ეთნოსები საქართველოში

საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა

გამოსაცემად მომზადებულია
საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ

თბილისი 2008

This publication was produced in the framework of the project "Capacity Building of the Public Defender's Office in Georgia" implemented by the Public Defender's Office of Georgia in cooperation with the United Nations Development Programme (UNDP) and Raul Wallenberg Institute of Human Rigts and Humanitarian Law (RWI), with financial support from the Swedish International Development Cooperation Agency (SIADA).

გამოცემულია საქართველოს სახალხო დამცველის, გაეროს განვითარების პროგრამისა და რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში — «საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება», შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის ან შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს თვალსაზრისს.

რედაქტორი:
მერაბ ბასილაია

სტილის რედაქტორი:
ლევან ბრეგაძე

ფოტო:
არჩილ ქიქოძე
ლევან ხერხეულიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

კორექტურა:
მანანა ყვავილაშვილი

გამოცემაზე
პასუხისმგებელი:
ბექა მინდიაშვილი

ISSN 1987-684X

ISBN 978-9941-0-0901-3 (ორივე ტომის)
ISBN 978-9941-0-0902-7 (მეორე ტომის)

უაკ: 2(479.22)+323.15(479.22)+323.1(479.22)
ე-416

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივისა და ფირმა Geoland-ისადმი, რომელთა თანადგომის შედეგად სტატიები უნიკალური ფოტო და ფერწერული ილუსტრაციებითა და ეთნიკური მრავალფეროვნების ამსახველი რუკით გამდიდრდა.

ტოლერანტობის ცენტრი განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის ორიგინალური ფოტოილუსტრაციების ავტორებს: არჩილ ქიქოძეს, ლევან ხერხეულიძეს, მიტროპოლიტ იოსებ კიკვაძეს (გვ. 36-37, 40-41) და გოგიტა ბუხაიძეს (გვ. 282-283, 286-287).

საგანგებო მადლიერებით უნდა ითქვას შორენა შავერდაშვილის გამორჩეული მხარდაჭრის შესახებ, რომლის გარეშე პუბლიკაცია გაცილებით გვიან იხილავდა დღის სინათლეს.

ტოლერანტობის ცენტრი ასევე განსაკუთრებით მადლიერია სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წარმომადგენლებისა, რომლებმაც ჩვენთან ერთად გაიზიარეს კრებულზე მუშაობის პროცესის სიმძიმეც და სიხარულიც.

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის შესახებ საცნობარო ინფორმაციის სისტემატიზებული მიწოდების პირველი მცდელობაა.

ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა და იმ ფაქტით, რომ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სხვადახვა ეთნოსის წარმომადგენლები მკვიდრობენ და მშვიდობიანად ახერხებენენ თანაცხოვრებას, ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ.

საქართველოში ეთნოსებს შორის თანაცხოვრების საუკუნოვანი გამოცდილების კვლევა-ძიება უნდა გახდეს ჩვენი მრავალეთნიკური ქვეყნის ხელისუფლებისა და საზოგადოებისთვის სამოქალაქო ინტეგრაციის სწორად წარმართვის მყარი საფუძველი.

კრებულის შედგენაზე მუშაობისას დავინახეთ, რომ ამ სიკითხების შესწავლა და წარმოჩენა სხვადასხვა სახის სიძნელესთან არის დაკავშირებული. ეთნიკური მრავალფეროვნების ისტორიისა და ტრადიციის წარმოჩენის დროს თითოეული სიტყვა განსაკუთრებული სიფრთხილითა და რიდით მოპყრობას მოითხოვს.

ვაცნობიერებთ, რომ სტატიებში წარმოდგენილი და გაშუქებული ესა თუ ის თემა შესაძლოა ბევრისთვის საკამათო გახდეს, მაგრამ, ცხადია, რომ ამჯერად აუცილებელი იყო ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის გადადგმა, გამბედაობის მოკრება და სტატიების ერთ წიგნად შეკვრის გადაწყვეტილების მიღება.

თუმცა იმასაც ვითვალისწინებთ, რომ «ეთნოსები საქართველოში» შეუძლებელია სრულყოფილ ნაშრომად იყოს მიჩნეული — ეს პირველი ამგვარი მცდელობაა. კრებულში წარმოდგენილი სტატიების ავტორები მზად არიან მიიღონ და სამამოვლოდ გაითვალისწინონ ნებისმიერი ისტორიული, კულტუროლოგიური თუ ეთნოლოგიური ხასიათის დასაბუთებული შენიშვნა.

ამ წიგნით სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი შეეცადა შეძლებისდაგვარად ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველისათვის საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის, მათი ისტორიის, სამეურნეო და საოჯახო ყოფის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ.

სტატიები, უმთავრესად, დალაგებულია საქართველოში ეთნიკური ჯგუფების დასახლების ისტორიული თანმიმდევრობის მიხედვით. თუმცა ოდნავ გადავუხვიეთ ამ წესს და სლავური წარმოშობის ერები ერთად დავაჯგუფეთ, ხოლო გერმანელები და ბალტიისპირელები — ერთად.

ეთნიკურ უმცირესობებზე სტატიების ციკლი საქართველოში ეთნოსების დასახლების, მათი სამეურნეო ყოფისა და საცხოვრებელი გარემოს, სულიერი და მატერიალური კულტურის შესახებ ზოგადი შესავალი სტატიით იწყება და სრულდება საქართველოში სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული პრობლემატიკის მიმოხილვით.

სტატიების საილუსტრაციოდ გამოყენებულია ცნობილი გერმანელი ეთნოგრაფის მაქს ტილკეს კავკასიური ტრადიციული კოსტიუმების სერია, ხოლო არჩილ ქიქოძის, ლევან ხერხეულიძის, მიტროპოლიტ იოსებ კიკვაძისა და გოგიტა ბუხაიძის ფოტონამუშევრები კრებულში დამოუკიდებელ თემატურ ხაზს ქმნიან.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე გამოცემა კარგ სამსახურს გაუწევს მკითხველს და ხელს შეუწყობს მრავალეთნიკურ საქართველოში ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის განვითარებას.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული
ტოლერანტობის ცენტრი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეთნო-კულტურული პროცესები საქართველოში;

ქართველები;

აფხაზები;

ოსები;

ებრაელები;

სომხები;

აზერბაიჯანელები;

ბერძნები;

ქურთები;

ავარიელები;
და სხვა დაღესტნელი ხალხები;

ვაინახები;

ასურელები;

უდიები;

რუსები;

უკრაინელები;

პოლონელები;

ჩეხები;

გერმანელები;

ლატვიელები;

ლიტველები;

ესტონელები;

ბოშები;

ეროვნული უმცირესობების
სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში;

შენიშვნები.

ეთნო-კულტურული პროცესები საქართველოში

1980-იანი წლების ბოლოს და სსრკ-ს დაშლის შემდეგ, საბჭოთა კავშირში არსებული მყიფე წონასწორობა მძაფრმა მოვლენებმა დაარღვია. კატაკლიზმებს თან ახლდა მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რასაც ზოგ ადგილას ეთნიკური დაპირისპირება მოჰყვა. სხვადასხვა ძალები შეეცადნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნება თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ, რისთვისაც კონფლიქტების გაჩაღებასაც არ ერიდებოდნენ. წარმოიქმნა ეთნიკური დაპირისპირების რამდენიმე კერა, გახშირდა იძულებითი მიგრაციები, გარკვეულწილად შეიცვალა ზოგიერთი რეგიონის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა.

ეთნოკონფლიქტების პროვოცირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიული ინსინუაციების იდეოლოგიამ, ეთნოცენტრიზმა, რომელთაც საკუთარი მიზნებისთვის იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები. ეთნოცენტრიზმი ოპოზიციური ჯგუფის ტრადიციული კულტურის ნეგატიურ პრიზმაში განხილვითა და საკუთარი ჯგუფის კულტურის განდიდებით ხასიათდება. ამ ტენდენციებმა არცთუ უმნიშვნელო გავლენა იქონია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში. ამრიგად, კულტურულისტორიული რეალიები იქცნენ არა ცალკეული ჯგუფების გაერთიანების, არამედ მათი გათიშვისა და დაპირისპირების საშუალებად. აქედან გამომდინარე, უდიდესი პასუხიმგებლობა ეკისრებათ იმ მეცნიერებს, რომლებიც ისტორიისა და ეთნოლოგიის სფეროში მუშაობენ. არატიტულარული ეთნიკური ჯგუფების საქართველოში დამკვიდრებისა და მათი ტრადიციული კულტურის პრობლემათა მკვლევარი სავსებით თავისუფალი უნდა იყოს აკვიატებული ნეგატიური სტერეოტიპებისაგან.

ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია და განსხვავებული ჯგუფების ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია მოითხოვს, რომ სახელმწიფოს ეთნიკური პოლიტიკა კარგად გააზრებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას ეყრდნობოდეს. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, როდესაც ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ გეზად აღიარა არა ეთნიკური, არამედ სამოქალაქო იდენტიფიკაცია. ასეთი მიდგომით *ქართველია* საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა. ავტოქთონობამოსულობა და ტრა-დიციული კულტურული მსგავსება-განსხვავებები მხოლოდ ისეთი ფუნქციების მატარებლად გვევლინება, როგორიცაა — შემეცნებითი (აღრმავებს ცოდნას წარსულის შესახებ), დიდაქტიკური (ასწავლის დადებითი და უარყოფითი მაგალითების მეშვეობით), ეთნო-კულტურული (აძლიერებს ადამიანის მენტალურ კავშირს წინაპრებსა და ტრადიციულ კულტურასთან) და მსოფლაღქმითი

(თითოეული ადამიანის, ჯგუფის და, საერთოდ, კაცობრიობის თვითშემეცნებისათვის იძლევა საზრდოს) ფუნქციები.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ეთნო-კულტურული თავისებურებების ობიექტურად წარმოჩენა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა ყოფა-ცხოვრების წესის ურთიერთშედარება, ტრადიციულ კულტურათა ელემენტების განსხვავებებსა და მსგავსებებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ სფეროში არსებული მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა.

საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო მოქცეული ინტენსიური მიგრაციების არეალში. განსაკუთრებით აქტიურად მიგრაციული პროცესები საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებს შორის მიმდინარეობდა. შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ როგორც კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, ასევე ცალკეული ჯგუფები მახლობელი აღმოსავლეთიდან. დროთა განმავლობაში მიგრანტთა ზოგი ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობაში ან სხვა ეთნიკურ ერთეულებში გაითქვიფა, სხვებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული სპეციფიკა.

საქართველოს ეთნიკური იერსახის ფორმირება, ძირითადად, მახლობელ აღმოსავლეთსა და დღევანდელი რუსეთის სამხრეთში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. ამ რეგიონში მიმდინარე ეთნომიგრაციებზე გავლენა მოახდინა როგორც უძველესმა იმპერიებმა, ისე ჰუნების, კიმერიელებისა და სკვითების მოძრაობამ, მონღოლთა შემოსევებმა, თემურ ლენგის ლაშქრობებმა, ირან-ოსმალეთის ომებმა, რუსეთის გაძლიერებამ და აღმოსავლეთის ქვეყნებთან (თურქეთთან, სპარსეთთან) მისი მეტოქეობის შედეგად წარმოქმნილმა ეთნოპოლიტიკურმა და რელიგიურმა იმპულსებმა.

ძველ აღმოსავლეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირებს ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელების საქართველოში მოსვლას. ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ (ძვ.წ. 586 წ.) იეჰუდას სახელმწიფოდან დევნილი ებრაელების ჯგუფი საქართველოში მოსულა და მცხეთის მამასახლისისაგან ხარკით მიწები აუღია. ებრაელთა შემოსვლა ამის შემდეგაც გრძელდებოდა და სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული.

მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი გარემოებების შედეგად გაჩნდა საქართველოში სომხური მოსახლეობის პირველი ფენაც. ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის დამდეგს, სელევკიდური სირიის მეფე ანტიოქ III-ის სარდლებმა არტაქსემ და ზარიადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და მეზობლად მდებარე ქართული მიწების ხარჯზე განავრცეს, სომეხთა პირველი შემოსვლაც მაშინ უნდა მომხდარიყო.

ირანელებთან, არაბებთან, მონღოლებთან და თურქებთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად საქართველოში (მეტწილად ქალაქებში) მკვიდრდებოდნენ ამ ხალხთა წარმომადგენლები, რის შესახებაც ქართულ საისტორიო წყაროებში მრავალი ცნობაა შემორჩენილი. ცალკეულ შემთხვევებში უცხო ეთნიკურ ერთეულს

სამეფო ხელისუფლებაც იყენებდა სამხედრო მიზნებისათვის, გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან ყივჩაღები შემოიყვანა, ხოლო გორ-ში სომხები ჩამოასახლა. სომხური წარმოშობის პირები მოგვიანებითაც მრავლად იყვნენ საქართველოს მეფეთა კარზე.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს საისტორიო საზოგადოებაში ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ეტაპების შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ მიგრაციის «უძველეს დროდ» III-IV ან VI-VII საუკუნეებს მიიჩნევს. საქართველოში ოსთა ინფილტრაციის პირველ პერიოდად მეცნიერთა უმეტესობა ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა გაბატონებას უკავშირებს. იყო ცდა, ოსური გვარების გენეალოგიებზე დაყრდნობით, მათი მიგრაციის ხანა XV-XVI საუკუნეებით განესაზღვრათ. რუსი და ქართველი მეცნიერების კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება, ძირითადად, XVII საუკუნეში მოხდა, ხოლო დას. საქართველოში ოსთა მიგრაცია XVIII საუკუნეში მიმდინარეობდა. ოსების კომპაქტური დასახლებები თანდათანობით გაჩნდა შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილში, მდ. ლიახვისა და მდ. ქსნის ხეობებში, თუმცა მათი დიდი ნაწილი დისპერ-სულად განსახლდა მთელ საქართველოში.

XIX საუკუნემდე წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით განსაზღვრება «სამხრეთი» ან «ჩრდილოეთი» არ ფიქსირდება. ეს ტერმინი მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაჩნდა. იმპერატორისადმი გაგზავნილ რაპორტებში რუსი სამხედროები მდ. ლიახვის მთიანი რეგიონების ოსებით დასახლებულ ტერი-ტორიას უწოდებდნენ «ოსეთს», «Грузинская Осетия»-ას, «Южная Осетия»-ს (1812-1837 წწ.). შემდეგ გაჩნდა ოპოზიციური წყვილი — «Южная Осетия – Северная Осетия» (1830, 1867, 1885 წწ.). XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე «Осетинский округ»-ი დაწესდა. სწორედ ეს ვითარება იქცა შიდა ქართლში ბოლშევიკების მიერ შექმნილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაყოფისათვის სახელის მინიჭების წინაპირობად (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი).

აზრთა არანაკლებ სხვადასხვაობას იწვევს აფხაზთა ეთნოგენეზი და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებული ეთნიკური პროცესები. მკვლევართა ნა-წილი მიიჩნევს, რომ ამ მხარეზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულმა ადიღეური მოდგმის ხალხებმა. ეთნიკური აფხაზების ბირთვს სწორედ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ჯგუფები შეადგენენ. ზოგ მეცნიერს კი სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს, მათი აზრით, II საუკუნეში წყაროებში მოხსენებული აფსილები და აბაზგები აფხა-ზურ-ადიღური მოდგმის ტომები იყვნენ და თანამედროვე აფხაზი ხალხის წინაპრები არიან. აფხაზური ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბება, ძირითადად, VIII საუკუნეში დასრულდა. პროცესში მთავარი როლი შეასრულეს აბაზგებმა და აფსი-ლებმა. ამ კონცეფციის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ გვიან შუა საუკუნეებში მიგრაციულ პროცესებს, პირიქით, საქართველოდან ჩრდ. კავკასიისაკენ ჰქონდა მი-მართულება. ერთიანი სამეფოს დაშლის პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი კავკასიონს გადაღმა, ჩრდილო კავკასიაში (მდ. ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების სათავეებში), დამკვიდრდა და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა როგორც თავისთავადი აბაზა ხალხი.

გვიანი შუა საუკუნეებისათვის განსაკუთრებით ძლიერი იყო მიგრაცია სომხეთიდან. ისტორიული სომხეთი განაწილებული აღმოჩნდა ორ მუსლიმურ სახელმწიფოს — ირანსა და ოსმალეთს — შორის. მრავალი ადამიანი ტოვებდა სამშობლოს იქ გამეფებული ეროვნულ-პოლიტიკური თუ რელიგიური შევიწროების გამო და სხვა ქვეყნებში ეძებდა თავშესაფარს.

XV-XVI საუკუნეებიდან მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური ხასიათი მიიღო თურქმენული მოდგმის (ქართული წყაროებით — თათრები, დღევანდელი აზერბაიჯანელების წინაპრები) ტომების ჩამოსახლებამ. XVII საუკუნის დამდეგს შაჰ აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის «საჩუქარი» მოსთხოვა. შაჰმა «ნაჩუქარ» მიწაზე ლორეს სახანო შექმნა და იქ ბორჩალუს მუსლიმი ტომები ჩამოასახლა. XVII-XVIII საუკუნეში აღმ. საქართველოში ჩამოსახლდა ჰასანლუს ტომის ერთი ნაწილი. ისინი, ძირითადად, კახეთსა და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის რაიონები) დანაწილდნენ. ნასიბუს ტომმა დმანისის ხეობაში შეაღწია, ქციახრამის ხეობების გაყოლებით აღმოსავლეთისაკენ წავიდა და მდინარე მტკვრის გაღმა მხარეზე ლილოებსა და ყარაიის მდიდარ საძოვრებს მოეკიდა. პირველ ხანებში ჩამოსახლებული ყიზილბაშები ირანის შაჰს ემორჩილებოდნენ და ქართლის სამეფოს აღწერებშიც არ გვხვდებიან. მოგვიანებით, თანდათანობით ქართულ ფეოდალურ სისტემას შეერწყნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამის მკაფიო მაგალითია სახალხო გმირი ხუდია ბორჩალოელი, რომელსაც ღირსეული ადგილი უჭირავს მეფე ერეკლე II-ს ერთგულ თანამებრძოლთა შორის.

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კაკენისელის სასულთნოსა და კახეთში ჩამოსახლება დაიწყეს დაღესტნელებმა. მართალია, დაღესტნელთა ქართულ მიწა-წყალზე გადმოსვლა-დამკვიდრება მშვიდობიან პერიოდშიც ხდებოდა, მაგრამ ეს პროცესი გააქტიურდა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ კავკასია ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. შაჰ აბასის ლაშქრობებმა კი დაღესტნელ მოახალშენეებს საქართველოსკენ გაუხსნა გზა.

ირან-თურქეთის მეტოქეობის პერიოდში (XVI ს.) აღმოსავლეთ საქართველოში (მესხეთში) გამოჩნდნენ ცალკეული ქურთული ტომებიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთნიკურ მიგრაციას ზოგჯერ ადგილობრივი მესვეურებიც მიმართავდნენ. კავკასიის სხვა რეგიონებიდან შემოყვანილ ეთნიკურ ჯგუფებს ქართული სამეფო კარი და ცალკეული ფეოდალი გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად იყენებდა. XVIII საუკუნის შუა ხანებში ერეკლე მეორემ ქართლში ოსები შემოიყვანა. 70-იან წლებში ყაბარდოელების ჩამოსახლება სცადა, რასაც წინ აღუდგა რუსეთი. ერეკლეს ძალისხმევის შედეგია ბერძენთა პირველი მცირერიცხოვანი დასახლებების გაჩენა აღმოსავლეთ საქართველოში. ომან მდივან ბეგ ხერხეულიძის ცნობით, სპილენძისა და ვერცხლის მოპოვების განვითარების მიზნით, ერეკლე II-მ, ბერძნები ჩამოასახლა ახტალაში, სომეხი მელიქების მამულებში, სადაც სპილენძისა და ვერცხლის საბადოები იყო. ამრიგად, საქართველოს სამეფოს მმართველობა არათუ უპირისპირდებოდა მიგრანტებს, პირიქით, ქმნიდა პირობებს მათი ინტეგრირე-

ბისათვის. ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) მიგრანტებისათვის შეღავათებს აწესებდნენ. სწორედ ამიტომ უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა.

ეთნიკური ჯგუფების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ ეთნოისტორიულ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ახალი ეთნოკულტურული მახასიათებლების შემოტანა ხშირად მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის მიზეზი ხდებოდა. მაგალითად, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქულენოვანი და ირანული მოდგმის ხალხების ინფილტრაციამ რადიკალური გავლენა იქონია აქ მცხოვრები ალბანელების ენაზე, ტრადიციულ ყოფასა და კულტურაზე.

სამხრეთ კავკასიაში ამჟამად არსებული ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის იმპერიის გაძლიერებისა და მისი კავკასიაში წინსვლის ისტორიას. რუსეთი უკვე XVI საუკუნიდან ერეოდა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში. მოგვიანებით თავად კავკასიელ მესვეურთა ნაწილი აქეზებდა ცარიზმის სამხრეთულ მისწრაფებას. რომ არაფერი ითქვას კახეთისა და ქართლის მეფეებზე, XVIII საუკუნეში სომხური საზოგადოების წინამძღოლი ეჩმიაძინის საპატრიარქოც აქტიურ მიმოწერას აწარმოებდა საიმპერატორო კართან. რუსეთში მოღვაწე სომხური ემიგრაცია — ლაზარევი, არღუთინსკი, ემინი — ცდილობდა პოლიტიკური ზედაფენა ირან-თურქეთის ბატონობიდან სომხეთის გამოხსნითა და მისგან მოკავშირე სახელმწიფოს შექმნის იდეით დაეინტერესებინა.

კავკასიაში რუსეთისათვის სასურველი პოლიტიკური სიტუაციის ფორმირება მხოლოდ სათანადო ეთნიკური მოზაიკის შექმნით შეიძლებოდა, რაც აუცილებლად მოითხოვდა მეცნიერულ კვლევას. კავკასიის ეთნოგრაფიული, გეოლოგიური, ბოტანიკური და გეოგრაფიული შესწავლისათვის ექსპედიციებმა XVIII საუკუნეში დაიწყეს ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიება. დიდძალი ეთნოგრაფიული მასალის მოძიებამ, ანალიზმა და სოლიდური სამეცნიერო ბაზის ჩამოყალიბებამ ჯერ ცარიზმს, შემდეგ კი საბჭოთა კავშირს ეთნიკური ვითარების ტრანსფორმირების საშუალება მისცა. ამ მიზნით ეფექტურად იყენებდნენ როგორც გარე (ეთნოტერიტორიულ ერთეულებს შორის მიმდინარე), ისე შიდა მიგრაციებს.

საქართველოში გაბატონების პირველივე წლებში რუსული მმართველობა სასურველი ეთნიკური სიტუაციის შესაქმნელად პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას შეუდგა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს თან ერთვოდა რესკრიპტი საქართველოს კოლონიზაციის თაობაზე. მასში იმპერატორი ალექსანდრე I საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელს, კნორინგს, მიუთითებდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ საზღვარგარეთიდან საქართველოში ქრისტიანი კოლონისტების მოზიდვისათვის. ამ მიზნით 1819 წლის 22 დეკემბერს მიიღეს საგანგებო დებულება, რომლითაც საქართველოში გადმოსახლებულ კოლონისტებს მთელი რიგი შეღავათები ენიჭებოდათ. სწორედ ამ შეღავათებით სარგებლობდნენ XIX საუკუნეში ცარისტული რეჟიმის ძალისხმევით გადმოსახლებულ მიგრანტთა ჯგუფები (რუსეთის ეკლესიასთან დაპირისპირებული რელიგიური ჯგუფები, სომხები, ბერძნები, გერმანელები და ა.შ.)

საიმპერატორო კარი მიზნად ისახავდა რუსების, განსაკუთრებით, კაზაკების ჩამოსახლებას საქართველოსა და კავკასიაში. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად დისლოცირების ადგილზე რჩებოდა. რუს კოლონისტებს მთავრობამ დაურიგა საუკეთესო მიწები, ეხმარებოდა მათ ფინანსურად, ათავისუფლებდა გადასახადებისაგან. შემდგომში ეს დასახლებები სოფლებად გადაიქცნენ. სამხედრო კოლონიზაციის გარდა, რუსი მოსახლეობის საქართველოში დაფუძნებას თავადაზნაურული და საეკლესიო-სამონასტრო კოლონიზაციაც უწყობდა ხელს.

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ე.წ. ერეტიკოსების გადმოსახლება საქართველოში. მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაპირისპირებული ჯგუფები მოდიოდნენ როგორც საკუთარი ნებით, ისე იძულებითაც. ერთ-ერთი პირველნი იყვნენ დუხობორები, რომლებიც ახალქალაქის უბანში გადმოასახლეს. მათ მალაკნები მოჰყვნენ. მთავრობა ცდილობდა გადასახლებისას არ დაერღვია რელიგიური თემის ერთიანობა და, როგორც წესი, მათ ცალკე საცხოვრებელ ადგილს უყოფდა. 1820-იანი წლებიდან დაიწყო რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან რუსი «რასკოლნიკების» საქართველოში ჩამოსახლება.

საქართველოში სხვა ეროვნების ქრისტიანულ ჯგუფებსაც ასახლებდნენ. 1817 წელს ვენის კონგრესიდან მომავალ ალექსანდრე I-ს შტუტგარტში შეხვდნენ ერთ-ერთი გერმანული რელიგიური ჯგუფის (სკეპტიკოსების) წარმომადგენლები და კავკასიაში გადმოსახლება სთხოვეს. რუსეთის იმპერატორმა შემოთავაზებულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა და გადმოსახლების მსურველებს რწმენის ხელშეუხებლობასა და საცხოვრებელი ადგილებით დაკმაყოფილებას დაჰპირდა. იმავე წლის დამდეგს საქართველოსკენ რამდენიმე პარტიად დაყოფილი გერმანელები დაიძრნენ. მათი უმრავლესობა ვიურტემბერგელი და ბადენელი პროტესტანტები (პიეტისტები) იყვნენ.

გარდა ამისა, საქართველოში მრავლად ასახლებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ამბოხებულ სხვადასხვა ჯგუფთა წარმომადგენლებს (დეკაბრისტებს, პოლონეთის აჯანყების მონაწილეებსა და ა.შ.).

რუსეთის გაბატონებას მოჰყვა ხელისუფლებისათვის არასასურველი ჯგუფების, პირველ რიგში, მეამბოხეთა, საქართველოდან გაძევება. კოლონიური რეჟიმის დამყარებას მთელი კავკასია მედგრად ებრძოდა. რუსეთის წინააღმდეგ XIX საუკუნის 70-იან წლებამდე რამდენიმე ფართომასშტაბიანი აჯანყება მოხდა აფხაზეთში. აჯანყებების სისხლში ჩახშობას სდევდა აფხაზთა იძულებითი მიგრაცია («მუჰაჯირობა») ოსმალეთის იმპერიაში. ვარაუდობენ, რომ იმ პერიოდში ოსმალეთში, დაახლოებით, 135 ათასამდე აფხაზი და აბაზი წავიდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს თურქეთში გადავიდა სამცხე-ჯავახეთის მუსლიმ ქართველთა უმეტესობაც. სამაგიეროდ, ჰყავდათ ქრისტიანები. 1828-29 წლებში რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით, რუსებმა საომარი ოპერაციების დროს დაკავებული თურქეთის ტერიტორიიდან (არზრუმის ვილაიეთიდან) ახლად შემოერთებულ ქართულ მიწაზე, სამცხე-ჯავახეთში, ჩამოასახლეს 30 ათასი სომეხი. ამავე პერიოდში საქართველოში შემოვიდა ბერძენთა დიდი ჯგუფიც, რომელიც, ძირითადად, წალკის რაიონში განსახლდა. XIX საუკუნის პირველ

ნახევარში შემოსული მიგრანტების ხარჯზე რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა.

მიგრაციული პროცესების ერთი ვექტორი უკავშირდება XIX საუკუნეში მიმდინარე რუსეთის ომებს კავკასიაში. ამ დროისათვის საქართველოში შემოვიდა ჩრდილო კავკასიელთა რამდენიმე ჯგუფი. მათგან აღსანიშნავია ვაინახები (ქართ. ქისტები). საქართველოში ქისტების მასობრივი ჩამოსახლება XIX საუკუნეში, სავარაუდოდ, 1826 წლიდან დაიწყო და ამავე საუკუნის 60-იან წლებში დასრულდა. თუმცა მიგრაციის ცალკეული შემთხვევები XX საუკუნის პირველ ნახევარშიც გვხვდება.

რუსეთის მპყრობელობის პირობებში, XIX საუკუნეში მოვიდნენ საქართველოში მიგრანტთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები — ჩეხები, ასურელები, უკრაინელები. იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ სამუშაოდ გამოგზავნილი ბალტიისპირელები, რომელთაც მოგვიანებით გამოქცეულნი და გადმოსახლებულნი შეემატნენ. XIX საუკუნეში უნდა გამოჩენილიყვნენ პირველად ბოშებიც.

ეთნიკური მიგრაციები XX საუკუნეშიც გაგრძელდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს მიიღო ქურთი-ეზიდები. ისინი თურქეთის მთავრობისა და მუსლიმი ქურთების ერთი ნაწილის მხრივ დევნას გამოექცნენ.

თავიანთ სამშობლოში შევიწროებული ადამიანები საქართველოში მოგვიანებითაც შემოდიოდნენ. XX საუკუნის 20-იან წლებში ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბერში (ყოფილ ზინობიანში) აზერბაიჯანიდან, ნუხის ოლქის სოფ. ვართაშნიდან, გადმოსახლდნენ აზერბაიჯანელებისა და სომხების თავდასხმებით შეწუხებული უდიები, კავკასიის მცირერიცხოვანი აბორიგენული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელნი.

XX საუკუნის 40-იან წლებში, ნაცისტურ გერმანიასთან ომის დროს, სსრკ-ს ევროპული ნაწილის ევაკუაციის შემდეგ მრავალმა რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა თუ სხვა ეროვნების ადამიანმა საქართველოს შეაფარა თავი და აქვე დარჩა.

ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ქართველებისა და აქ დასახლებული ეთნიკური ჯგუფების სამეურნეო ყოფასა და სულიერ კულტურაზე. საქართველოში დამკვიდრებულმა ეთნიკურმა ჯგუფებმა გაითავისეს რიგი ქართული წესებისა და ასევე, თავის მხრივ, გავლენა მოახდინეს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამაზე ნათლად მეტყველებს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მეურნეობის გაძღოლის წესები, ქორწინების, გლოვის, დაკრძალვის რიტუალები, ფოლკლორი და ა.შ. ერთი მხრივ, ბარისა და მთის რეგიონების ქართველთა ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად, მეორე მხრივ, კი მიგრირებულ ეთნიკურ ერთეულთა და მეზობელი დიდი სახელმწიფოების კულტურათა გავლენით შეიქმნა მეტად თავისებური კულტურა. ამის მაგალითად შეიძლება ტრადიციული კულტურის რამდენიმე სეგმენტი განვიხილოთ.

საქართველოში დასახლების სამი ტიპი არსებობს: მთური, აღმოსავლურ-ბარული და დასავლეთ ქართული (საკარმიდამო ტიპის დასახლება). დასახლების ამ ტიპებს შეეფარდება საცხოვრებელი ნაგებობების სახეობები: (1) მთური (ხევსურული

კალოიანი სახლი, სვანური «ქორ»-ი, რაჭული დუროიანი სახლი, თუშური ჩარდა-ხიანი სახლი, მოხეური სახლი), (2) დარბაზული — გვირგვინიან-ერდოიანი კომპლექსური ხასიათის შენობა — ერთ ჭერქვეშ, ჰორიზონტალურ ჭრილში განლაგე-ბული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით და (3) დასავლურ ქართული საცხოვრისი განცალკევებული კარმიდამოებით, ხის სახლითა და გაფანტული სამე-ურნეო ნაგებობებით (არქაული სახეობა — ფაცხა და ძელური ჯარგვალი, უფრო გვიან კი ფიცრულ-ბოყვიანი და საძირკველზე მდგომი ოთხკუთხოვანი ოდა სახლი). საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ადგილობრივმა ვარიანტებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს მიგრანტთა შენობა-ნაგებობებზეც.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული კლასიფიკაციით ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზული ნაგებობები აღმოსავლეთ საქართველოს ბარში იყო გავრცელებული და ძლიერად შეჯგუფებულ, მეტწილად გზისპირა დასახლებას უკავშირდება. დარბაზული ტიპის ნაგებობები გვხდებოდა ასევე ყარსში, ბასიანსა და მის მომიჯნავე ოლქებში და დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც. სწორედ ამ ტიპს განეკუთვნება საქართველოში დამკვიდრებული სომხების ტრადიციული საცხოვრე-ბელი «გლხატუნი», აზერბაიჯანელთა «ყარა დამი» და ბერძნების «ყარა იაპი».

ეს საცხოვრებლებიც კომპლექსური ნაგებობაა, ერთ ჭერქვეშ განლაგებული რამდენიმე სათავსოთი, რომელთა შორის საქონლის სადგომი ბოსელიც იყო. სა-ხურავი ყელისაკენ დავიწროებულ საფეხუროვან პირამიდას წარმოადგენდა, რომელიც ოთხ მსხვილ ხის ბოძს ეყრდნობოდა. ჰაერი და სინათლე გვირგვინის ყელიდან შემოდიოდა, იქიდანვე გადიოდა შუაცეცხლის კვამლი. შენობა გარედან თითქმის არ ჩანდა და უფრო ყორღანს წააგავდა, რომელშიც ვიწრო ბნელი დერეფანი შედიოდა. ამგვარი ნაგებობის ავეჯი და დგამ-ჭურჭელი მეტად უბრალო იყო. იდგა ხის ყუთები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, ასევე სკივრები და ხის გრძელი ტახტები.

სიპტომატურია, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ადრე შემოსული ეთნიკური ჯგუფის, ებრაელების საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიც ქართუ-ლის იდენტური იყო, ებრაელი ხალხის კულტურულ სპეციფიკასთან დაკავშირებულ რამდენიმე დეტალს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. დასავლეთ საქართველოს ებრაელთა დასახლებებში გავრცელებული იყო ხის ქართული ოდა სახლი, დიდი საკარმიდამო ეზოთი გარშემორტყმული, სადაც განლაგებული იყო სამეურნეო ნაგებობები: ბოსელი, საქათმე, ბეღელი; გაშენებული იყო ვენახი და ხეხილის ბაღი. აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა დასახლებები მჭიდრო, კომპაქტური იყო, საცხოვრებელი ნაგებობანი კი, ძირითადად, მიწური და დარბაზული სახლის ტიპისა.

ქართულის ანალოგიურად ვითარდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულ მიგრანტთა შენობა-ნაგებობები. თავდაპირველად ისინი მიწურებში ცხოვრობდნენ, შემდგომ კი საცხოვრებლების სხვადასხვა მასალით შენება დაიწყეს. აქ გვხვდება წნული, ფიცრული და ქვითკირის სახლები. წნული სახლები ამავე ტიპის ქართული სახლებისაგან არაფრით განსხვავდება. მშენებლები, ძირითადად, ქართველი ხელოსნები იყვნენ. უფრო მოგვიანებით გავრცელდა ორსართულიანი სახლები შემინული ან ღია რკინის მოაჯირიანი აივნებით (ვე-რანდებით), თუნუქის სახურავებით, მარმარილოს კიბეებით.

ოსები სამშენებლო მასალად, ძირითადად, ქვას იყენებდნენ, მათი სახლები ბრტყელი გადახურვით ხასიათდებოდა. ოჯახის საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობები ერთ ჭერქვეშ იყო განთავსებული. საცხოვრებლად მეორე სართული იყო განკუთვნილი, პირველზე კი საქონელი ჰყავდათ და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ინახავდნენ.

დასავლურ ქართულ ტიპთან ახლოს იდგა აფხაზეთში გავრცელებული ძველებური ტიპის სახლი — მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის ჩალით დახურული ფაცხა. აფხაზური ეზოსათვის დამახასიათებელი იყო, აგრეთვე, სამზადი სახლი მიწის იატაკითა და შუაცეცხლით. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის შუა ხანიდან მოყოლებული აფხაზურ სოფლებში დასავლურქართული ტიპის ოდა სახლების მშენებლობა დაიწყო. თანამედროვე სოფელში უკვე ქვისა და აგურის ორსართულიანი და მრავალოთახიანი სახლები ჭარბობს.

ქართულისგან განსხვავდებოდა რუსი და გერმანელი მიგრანტების საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა-ნაგებობები. მათი სოფლებისთვის ტიპური იყო სწორი ფართო ქუჩები, რომელთაც ორივე მხარეს მწკრივად მიუყვებოდა შეღებილი სახლები (რუს. იზბა). სოფლის შუაგულში მდებარეობდა მოზრდილი მოედანი, სადაც იდგა ეკლესია, სკოლა, საზოგადოებრივი შენობები და მაღაზიები. კარმიდამოები, დიდი, ფართო ეზოები სისუფთავითა და სიკოხტავით გამოირჩეოდა. რუსები სახლის სახურავებს ტრადიციული კეხით ამკობდნენ, ჭიშკარზე დამაგრებული იყო საშოშიე; ქართველებისაგან განსხვავებით ოთახის კედლებზე ქაღალდს (შპალერს) აკრავდნენ. ავეჯი, საწოლები და დგამი, თვითნაკეთი ჰქონდათ. გერმანელები კი სახლებს უმთავრესად ქვისაგან აგებდნენ. მათში 4-5 ოთახი და სამზარეულო იყო. სახლს მაღალი და ძალზე დაქანებული სახურავი ჰქონდა, მის ქვეშ მოწყობილი სხვენი ბეღლის, ხოლო სარდაფი მარნის მოვალეობას ასრულებდა. ეზოში დამხმარე შენობებიდან მხოლოდ თავლა-ბოსელი იდგა, რომელსაც მიშენებული ჰქონდა პატარა სათავსოები შინაური ფრინველისა და წვრილფეხა საქონლისათვის.

განსხვავებული ჯგუფების თანაცხოვრების პრაქტიკა ეკონომიკური ხასიათის კავშირურთიერთობებსა და ურთიერთზეგავლენაშიც გამოიხატებოდა. ტრადიციული სამეურნეო ყოფა განისაზღვრებოდა სამიწათმოქმედო და მესაქონლეობის კულტურათა ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებული პროპორციით, სოფლის მეურნეობის დარგებისა და ხელოსნობა-ვაჭრობის მდგომარეობით. ბარისა და მთის მოსახლეობის ბუნებრივი მიგრაციული პროცესები და უცხოეთიდან მოახალშენეების შემოყვანაც ბარის დაცლილი ტერიტორიების მოსახლეობით გაჯერებას ემსახურებოდა. ეს პროცესები, ერთი მხრივ, ეკონომიკური წონასწორობის დაცვას უწყობდა ხელს, მეორე მხრივ — ისტორიულ-გეოგრაფიული კარჩაკეტილობის მოხსნას, საზღვარგარეთიდან შემოსული თუ რომელიმე ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის კულტურული პოტენციალის ზოგადქართულ მოდელში ინტეგრირებას.

საქართველო აღიარებულია კულტურული პურეულის სელექციისა და მიწათმოქმედების აღმოცენების უძველეს კერად. დღემდე ცნობილი ხორბლის 16 სახეობიდან საქართველოში წარმოდგენილია 11, რომელთაგან 6 ენდემურია. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე,

მარცვლეული კულტურების სელექციის, შერეული კულტურების, საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბლის, მიწის დამუშავება-გაპატივების ხერხების შესახებ მდიდარი ემპირიული ცოდნა დაგროვდა. ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებში გავრცელებულია შრომის ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმები — მონდავი, ამბაზი, ულამი, მოდგამი, ნადი; ცნობილია სახნავ-სათესი მიწის მოპოვებისა და მისი მოვლის სხვადასხვა საშუალება — დასვენება, დაჭაობება, მორწყვა, მოლაბვა. ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავეს მემინდვრეობის თანმიმდევრული პროცესები: ნიადაგის სახნავ-სათესად გამოყენება, ნიადაგის მოსწორება-მოშანდაკება და დამაგრება ბაქნებისა და ოროკების სახით, მოხვნა, განოყიერება, მორწყვა. ქართველი მეურნე ფლობდა სრულყოფილ ცოდნას ნიადაგის მოსავლის უნარიანობის, მისი ხარისხისა და რაობის თვისებების შესახებ. ვერტიკალობის მიხედვით, განასხვავებდნენ დაბლობის, მთის ძირისა და მაღალმთიანის ხელოვნურ ნიადაგებს, რომლებიც ტერასების მსგავსად იქმნებიან ფერდობებზე.

მკვიდრი მოსახლეობის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ოპტიმალურად მორგებული სამუშაო იარაღები, შრომის წარმოების ხერხები და კულტურულ მცენარეთა ჯიშები უმეტესად უცნობი იყო უცხოეთიდან შემოსული მიგრანტებისათვის, რაც მათი შრომის შედა--რებით დაბალ პროდუქტიულობას განაპირობებდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიგრანტები ნასესხობის გზით ითვისებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ტექნიკურ უნარ-ჩვევებსა და შრომის იარაღებს. ისინი ებმებოდნენ ადგილობრივი ეთნოგეოგრაფიული გარემოსათვის დამახასიათებელ სამიწათმოქმედო და მესაქონლეობის სტრუქტურაში, უერთდებოდნენ უკვე ჩამოყალიბებულ საირიგაციო სისტემას, ითავისებდნენ მესაქონლეობის ტრადიციულ წესს, უკვე არსებულ საიალაღო ბაზებსა და ა.შ.

ხშირად მიგრანტთა ადაპტირება გართულებული იყო იმით, რომ მეურნეობისა და საცხოვრებლის ტიპი, რომელიც მათ ახალ ადგილას ხვდებოდა და სავსებით შეესაბამებოდა ადგილობრივ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოსა და აქაური მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ძლიერ განსხვავდებოდა ახალმოსულთა ყოფილ საცხოვრებელ ადგილებში არსებული პირობებისაგან. მაგალითად, ქ. ვერმიშევის ცნობით, XIX საუკუნის ბოლოსათვის სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებული სომხები იძულებულნი გახდნენ თავიანთი ტრადიციული სახნავი იარაღი «არორი», შრომის წარმოების ნაკლები ეფექტურობის გამო, თანდათანობით ადგილობრივი სახნისით — «ჯილღათი» — შეეცვალათ.

ქართული სამიწათმოქმედო იარაღები კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებსა და ზონალობას იყო მორგებული. ხელით სამუშაო საფარცხ-საოშმა, სამკალ-სათიბმა, სალეწმა და გამწევი ძალისათვის განკუთვნილმა სახვნელებმა სრულყოფის რთული გზა განვლეს. მიწათმოქმედებაში გამოიყენებოდა როგორც მარტივი, ისე რთული იარაღები. აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ზემო იმერეთში გავრცელებული კავის გვერდით ბარში გვხვდება ბევრად რთული დიდი გუთანი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული გუთნის სახელითაა ცნობილი.

მთიანი რეგიონებიდან საქართველოს ბარში ჩამოსახლებულ მიგრანტებს, ძირითადად, მესაქონლეობის ცოდნა-გამოცდილება ჰქონდათ, ამიტომ ადგილობრივ

სამეურნეო პირობებთან ადაპტირება უწევდათ, იცვლებიდა შრომის იარაღებიც. მაგალითად, პანკისელი ქისტების მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა მარცვლეული კულტურების — სიმინდის, ხორბლის, ქერის, შვრიისა და სხვ. — მოყვანა. ქისტები მიწას, თავდაპირველად, ტრადიციულად აჩაჩა გუთნით ხნავდნენ, რომელიც XX საუკუნის ბოლომდე შემორჩა. პარალელურად ხმარებაში შემოვიდა რკინის გუთანი, რომელმაც ბარში თანამედროვე ტექნიკას დაუთმო ადგილი. თანდათან დაიხვეწა მიწის დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის მეთოდები.

საქართველოში მომთაბარული ექსტენსიური მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო ბაზა ნაკლებად იყო, ამიტომ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოსულთ ადგილობრივ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლა უხდებოდათ. განსაკუთრებით ძნელი იყო ადაპტირება მომთაბარე მესაქონლეობის კულტურის მიმდევარი ელებისათვის. თუმცა უკვე XVIII საუკუნისათვის, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: «სახლობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა, და თესლსა ზევით წერილთა, და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითა». მესაქონლეობის შეზღუდვის ხარჯზე თანდათანობით გაიზარდა მიწათმოქმედების ხვედრითი წილი. XX საუკუნისათვის, საბჭოთა პერიოდში, აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში განვითარებული იყო მემარცვლეობა (ხორბალი, სიმინდი), მებახჩეობა (კომბოსტო, პომიდორი და ა.შ) და მევენახეობაც კი. ადგილობრივი ეკოსამეურნეო გარემოს გავლენით მომხდარი ეს ცვლილება კიდევ უფრო გაძლიერდა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ტრანსფორმაციის შედეგად. კოლმეურნეობების გაუქმების შემდეგ შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქალაქის მომარაგება უშუალოდ მიწათმოქმედს აეღო ხელში და მეტი მოგებაც მიეღო. ამგვარ ვითარებას საკმაოდ ადვილად აუღეს ალღო ქვემო ქართლში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა და მნიშვნელოვანი სეგმენტიც დაიკავეს თბილისის აგრარულ ბაზრებში.

ქართული ტრადიციული მეურნეობისათვის დამახასიათებელია მევენახეობა-მეღვინეობის მაღალი ხვედრითი წილი, ღვინის დაყენების მრავალფეროვანი წესები, სუფრის, ღვინის სმისა და სადღეგრძელოების მკაფიო რეგლამენტაცია, რაც მეღვინეობის კულტზე მიგვითითებს. ყოველივე ეს თავისებურად აისახა საქართველოში შემოსულ მიგრანტთა ყოფაზე, თვით ისლამიც კი არ იქცა ბარიერად ამისათვის. აღსანიშნავია, რომ მევენახეობისა და ღვინის დაყენების ჩვეულებამ აზერბაიჯანელებშიც მოიკიდა ფეხი, მრავალი მათი დღესასწაული — სახლის მშენებლობის დასასრული, ძეობა, ნიშნობა, ქორწილი უღვინოდ არ ტარდება.

მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მევენახეობა-მეღვინეობას აფხაზებშიც. ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს აფხაზეთში 60-მდე ჯიშის ვაზი იყო გავრცელებული. მაგრამ მრავალი ადგილობრივი ჯიში საბოლოოდ გაქრა მას შემდეგ, რაც აქ ფართოდ დაინერგა უცხოეთიდან შემოტანილი «იზაბელა».

ღვინის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში საკულტო სასმელად გამოიყენებოდა ლუდი, რომელიც, ძირითადად, კალენდარული დღეობებისათვის მზადდებოდა. აღსანიშნავია, რომ ლუდს იგივე დანიშნულებით ამზადებდნენ ოსები. ხორბლისა და ასკილისაგან ლუდს ამზადებდნენ ქისტებიც.

ქართველი ხალხისა და აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების სამეურნეო ყოფაში მიწათმოქმედების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მესაქონლეობას. საქართველოში არსებობდა როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მესაქონლეობა. პირუტყვი გამოიყენებოდა სამიწათმოქმედო სამუშაოებში, ხორცისა და რძის პროდუქტები კვების რაციონის მნიშვნელოვან წილს შეადგენდა.

საქართველოს ბარში და მთისწინეთში ჩამოყალიბდა მესაქონლეობის მთაბარული ანუ ალპური სისტემა. მსხვილფეხა საქონელი ზაფხულობით მთაში, დანარჩენ დროს კი ბარში ატარებს. ბარისაგან განსხვავებით, სადაც პრიორიტეტს მიწათმოქმედება ინარჩუნებს და მესაქონლეობა მიწათმოქმედების ხელშემწყობ დარგს წარმოადგენს (გამწევი ძალით უზრუყველყოფა), მთიანი მხარეების ეკონომიკაში მესაქონლეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. მესაქონლეობის ბაზაზე შეიქმნა სარძევე მეურნეობის მაღალგანვითარებული კულტურა, რასაც მოწმობს ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქცია, როგორიცაა თუშური ყველი, სულგუნი (მეგრული, სვანური და აფხაზური ვარიაციებით), იმერული ყველი და ა.შ.

გარკვეული თავისებურება ახასიათებდათ ქალაქში ჩასახლებულ მიგრანტებს. როგორც წესი, ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენლები, უპირატესად, ერთ პროფესიას ირჩევდნენ, მაგ., ვაჭრები ძირითადად ებრაელები და სომხები იყვნენ, ხელოსნები — სომხები, მეეტლეები — რუსები (მალაკნები) და ა.შ.

XX საუკუნის შუა ხანებამდე საქართველოს სოფლებისათვის დამახასიათებელი სოციალური ერთეული იყო დიდი მრავალთაობიანი ოჯახი. მართალია, დიდი ოჯა--ხების გვერდით არსებობდნენ მცირე ინდივიდუალური ოჯახებიც, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მრავალთაობიანი და მრავალრიცხოვანი ოჯახები, ეკონომიკური თვალსაზრისით, უკეთ იყვნენ მორგებული საქართველოსა და კავკასიის პირობებს. ამგვარ ოჯახებში ერთად ცხოვრობდა რამდენიმე თაობა და დაქორწინებული წყვილი (გაუყრელი ძმები თავიანთი ცოლ-შვილით).

პატრიარქალური ოჯახი ხასიათდებოდა ოჯახის უფროსის ძლიერი ძალაუფლებით. ანალოგიური სურათი გვხვდება საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებთანაც. მაგ., სომხები ხალხურ მეტყველებაში დიდი ოჯახის აღსანიშნავად ხმარობდნენ ტერმინებს «ტუნ» (სახლი) ან «ვოჯახ» (კერა), შესაბამისად, დიდ, მრავალთაობიან და მრავალსულიან ოჯახებს «მეწ ტუნ» (დიდი სახლი) ან «მეწ ვოჯახ» ერქვა. აზერბაიჯანული ოჯახიც ასევე სისხლით მონათესავე კოლექტივს წარმოადგენდა, ოჯახის უფროსი მამაკაცით («აღსაკალი») სათავეში. დიდი პატრიარქალური ოჯახები, გვიანდელ შუა საუკუნეებში აფხაზებისათვისაც დამახასიათებელი იყო, მაგრამ XIX საუკუნეში მათთან უკვე მცირე მონოგამური ოჯახები ჭარბობდა. ამასთან, სამეზობლო თემში გამოიყოფოდა და დღესაც შემორჩენილია გვაროვნულ-პატრონიმიული გაერთიანებები.

დიდ ოჯახს სათავეში ოჯახის უფროსი მამაკაცი (მაგ., სვან. *მახვში*) ედგა. ყველა მნიშვნელოვან საქმეში საბოლოო გადაწყვეტილებას უფროსი მამაკაცი, ოჯახის მამა, იღებდა. დიდი ოჯახებისათვის დამახასიათებელი იყო, აგრეთვე, საოჯახო ყოფისა და წევრთა ურთიერთობის მკაფიო რეგლამენტირება ჩვეულებითი სამართლით, სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით.

ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა ოსების საოჯახო თემიც. ოჯახის მეთაურად მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებოდა უხუცესი მამაკაცი — хистар-ი.

XIX საუკუნის დამლევისათვის უფრო განსხვავებული ვითარება ჩანს ბერძნებში. საველე ეთნოგრაფიული მასალების, საარქივო და ლიტერატურული წყაროების მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ თურქულენოვან ბერძნებში — ურუმებში — ოჯახის გაბატონებული ფორმა ორი თაობისაგან შემდგარი მცირე ოჯახი — «ქიუჩუკ ავი» — იყო. თუმცა კამერალური აღწერის ზოგიერთი მონაცემით ირკვევა, რომ ოჯახის წევრთა რაოდენობა, გადმოსახლების პირველ წლებში, საშუალოდ, სამიდან რვა კაცს შეადგენდა. ამგვარი ოჯახები ბიძაშვილ-მამიდაშვილებისა და გარე ბიძაშვილების ერთ-ორ თაობას აერთიანებდა. ამრიგად, შემორჩენილი იყო დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრების ტრადიცია.

სოციალ-ეკონომიკური გარემოს ცვლილებამ თანდათანობით აუცილებელი გახადა დიდი ოჯახის გაქრობა და XX საუკუნის ბოლოსათვის ამ ტიპის ოჯახები აღარ დასტურდება.

თავისებურად იყო აგებული ქურთული თემი. ტომი შედგებოდა ბარებისგან (პატრონიმია), თითოეული ბარი — «მალა მაზინ»-ებისა (დიდი ოჯახი) და მცირე ოჯახებისაგან. «მალა მაზინი» 30-დან 70-მდე ან უფრო მეტ ადამიანს ითვლიდა, რომელთა ურთიერთობას ჩვეულებითი სამართალი აწესრიგებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩამოსახლებული ქურთი-ეზიდები სასულიერო და საერო პირებად იყოფოდნენ. სასულიერო პირთა შორის განირჩეოდნენ შეიხები და ფირები. ქორწინება რელიგიურ ჯგუფებს შორის იკრძალებოდა. ეს წესი, ძირითადში, დღემდე მოქმედებს.

ქართველებსა და აქ მცხოვრებ სხვა ხალხებში საუკუნეების განმავლობაში ჩაცმულობის რამდენიმე ვარიანტი ჩამოყალიბდა. ძირითადი მაინც ჩოხა-ახალუხი იყო. სხვადასხვა ვარიაციით ეს სამოსი გვხვდება აფხაზებში, ოსებში, სომხებში, აზერბაიჯანელებში, უდებში და ა.შ. ტანისამოსის ამა თუ იმ ატრიბუტს ზოგიერთი ჯგუფი მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგ., განსაკუთრებით პოპულარული იყო ძვირფასი ქამრები თბილისელ კინტოებში. როგორც ამბობდნენ, ქამარი ესაა «კაპიტალი დასაფლავებისათვის». უფრო განსხვავებული იყო რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებიდან და ევროპული ნაწილიდან შემოსული მიგრანტების სამოსი. რა თქმა უნდა, ტრადიციული ეროვნული ტანისამოსი მათშიც მეტად პოპულარული იყო. საერთო ეროვნული ჩაცმულობის გარდა, სამოსის სხვადასხვა ტიპი გამომუშავდა სხვადასხვა სოციალური ფენისათვის (ხელოსნის, გლეხის, მოქალაქის, ვაჭრის, სასულიერო პირის, მგზავრის, მხედრის სამოსელი), აგრეთვე განსხვავებული ვითარებებისათვის (სამუშაო, საზეიმო, საქორწილო, გათხოვილი და გაუთხოვარი ქალისთვის განკუთვნილი, სამგლოვიარო, სამონადირეო სამოსელი). XIX საუკუნეში საქართველოში თანდათან გავრცელდა ე.წ. ევროპული ტანისამოსი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა ერთმანეთის ტრადიციულ დღესასწაულებში მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ხშირად ამ დროს

მოიწვევდნენ ხოლმე სხვა თემის იმ წევრებს, რომლებთანაც მეგობრობა ან ნათესაობა აკავშირებდათ (ასე იქცევიან, მაგალითად, აზერბაიჯანელები «ნოვრუზ ბაირამის» დროს). ხანდახან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დღესასწაულები ერთმანეთს ემთხვეოდა და რიტუალები პარალელურად ტარდებოდა (მაგ., აღდგომის, ყველიერის დღეებში საზეიმო რიტუალს ასრულებდნენ სომხებიც და ქართველებიც).

მრავალი რიტუალი ადგილობრივი ეთნიკური გარემოს გავლენაზე მიუთითებს. მაგ. საქართველოსა და სომხეთის ქურთებმა ბოლო წლებში დაიწყეს რელიგიური დღესასწაულის — «ჩარშამა სორი»-ს («წითელი ოთხშაბათის») — აღნიშვნა. ეზიდთა რწმენით, აპრილისთვის მიწა მოხნული და სათესად გამზადებული უნდა იყოს. ახალგაზრდები გადიან მინდორში, კრეფენ აპრილის წითელ ყვავილებსა და კონებად ჰკიდებენ შესასვლელი კარის თავზე. დილით ყველა სახლი ლამაზადაა მორთული, დიასახლისს კი სუფრაზე გამოაქვს წითლად, ყვითლად და მწვანედ შეღებილი კვერცხები, რაც სიცოცხლისა და სამყაროს მრავალფეროვნების სიმბოლოა. ამავე დღეს გლეხები მინდორში გადიან და ნათესებში კვერცხის სხვადასხვაფერ ნაჭუჭს მიმოაბნევენ, რათა იმ წლის მოსავალი უხვი იყოს. «ჩარშამა სორში», რომელსაც შეიძლება იეზიდთა წარსულში ღრმა ფესვები ჰქონდეს, შეინიშნება ქრისტიანული გარემოსათვის ნიშანდობლივი სააღდგომო და წინასაააღდგომო რიტუალის ელემენტები.

ზოგიერთი ადგილობრივი დღესასწაული მოსულმა ეთნიკურმა ჯგუფმა იმდენად გაითავისა, რომ თვითონაც აღნიშნავენ. მაგ., ქვემო ქართლის ცალკეულ სოფლებში აზერბაიჯანელები შემოდგომის გიორგობას ეკლესიაში მიდიან, საკლავს სწირავენ, სანთელს ანთებენ და ლოცულობენ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული პროცესების ისტორიულ ჭრილში შესწავლა საკმაოდ რთული საქმეა. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონიუნქტურის შედეგად ამ მხარის ეროვნული შემადგენლობა განუწყვეტლად იცვლებოდა. განსაკუთრებით ართულებს საქმეს წყაროების სიმცირე და მათი სიმწირე.

საქართველოში ფეოდალური ხანიდან არსებობდა მოსახლეობის პერიოდული აღწერის პრაქტიკა, მაგრამ მათზე დაყრდნობით მხოლოდ ფრაგმენტულ სურათს წარმოვიდგენთ. ცნობილია, რომ ქართლის სამეფოს ოთხი სადროშოს თითოეულ სარდალს თავისი სადროშოს შვიდ წელიწადში ერთხელ აღწერა ევალებოდა. ჩვენამდე მოღწეული ამ ტიპის დოკუმენტებიდან ყველაზე ღირებულია 1770 წლის 5 აპრილის ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგრაფიული ნუსხა. ამ ტიპის დოკუმენტების გარდა, გარკვეულ მონაცემებს შეიცავენ მოგზაურების ჩანაწერები და საქართველოში გარკვეული დავალებით შემოსული უცხოელი რეზიდენტების მოხსენებითი ბარათები. უფრო სისტემური ხასიათი აქვს ამგვარ მონაცემებს XIX საუკუნიდან. თუმცა კამერალური აღწერების მასალები და ხელისუფლების ორგანოების მიერ შეგროვილი ცნობები სრული მაინც არ იყო, თანაც ეთნიკურ კუთვნილებას ხშირად სარწმუნოებასთან აიგივებდნენ, ზოგჯერ კი ეთნოგრაფიულ ჯგუფს (მაგ., მეგრელებს, ხევსურებს, სვანებს და ა.შ.) ცალკე ეთნოსად წარმოადგენდნენ. შედარებით სრული სურათი მოგვცა რუსეთის იმპერიაში ჩატარებულმა პირველმა საყოველთაო აღწერამ (1897 წ.). მაგრამ ეროვნული შემადგენლობის ზუსტად დადგენა ამ აღწერითაც შეუძლებელია, რადგან ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ნიშნად მხოლოდ მშობლი-

ური ენა მიიჩნიეს. უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემას არც შემდგომში (საბჭოთა პერიოდში) რამდენჯერმე ჩატარებული საყოველთაო აღწერისას უდგებოდნენ ყოველთვის ობიექტურად[1], მაგრამ ეს მასალები მაინც ძირითად წყაროს წარმოადგენს ეთნოდემოგრაფიული პროცესების დინამიკის დადგენისას.

ხსენებულ წყარეობზე დაყრდნობით, XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც მიგრაციულმა ნაკადებმა შედარებით მოიკლო, ასეთი ეთნოდემოგრაფიული სურათი წარმოგვიდგება: 1865 წლიდან 1897 წლამდე შემცირდა მხოლოდ ქართველებისა და აფხაზების პროცენტული შემადგენლობა: ქართველებისა 73,8%-დან (1865 წ.) 69,4%-მდე (1897 წ.); აფხაზებისა 4,6%-დან (1865 წ.) 2,2%-მდე (1897 წ.). ყველა დანარჩენი ეთ-ნიკური ჯგუფის ხვედრითი წილი გაიზარდა: ოსებისა — 3,6%-დან (1865 წ.) 4,2%-მდე (1897 წ.), სომხებისა — 9,6%-დან (1865 წ.) 10,3%-მდე (1897 წ.), რუსებისა — 2,0%-დან (1865 წ.) 5,3%-მდე (1897 წ.), აზერბაიჯანელებისა — 4,0%-დან (1865 წ.) 4,2%-მდე (1897 წ.), ბერძნებისა — 0,9%-დან (1865 წ.) 2,0%-მდე (1897 წ.), ებრაელებისა — 0,6%-დან (1865 წ.) 0,9%-მდე (1897 წ.), გერმანელებისა — 0,3%-დან (1865 წ.) 0,4%-მდე (1897 წ.), დანარჩენისა — 0,7%-დან (1865 წ.) 1,1%-მდე (1897 წ.).

სომხების ხვედრითი წილი გასული საუკუნის შუა ხანებამდე 11%-ს შეადგნდა, შემდეგ კი კლება დაიწყო. 1989 წლის აღწერის მიხედვით, ისინი მოსახლეობის 8,1%-ს შეადგენდნენ, 2002 წლისათვის — 5,7%-ს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაიზარდა აზერბაიჯანული მოსახლეობის რაოდენობა, მან მატების ტემპით გაუსწრო საქართველოში მცხოვრებ ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფს. აზერბაიჯანელების რაოდენობა 30 წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა. თუ 1959 წელს მათი რიცხვი 153 600 კაცი იყო (რაც მთლიანი მოსახლეობის 3.8%-ს შეადგენდა), 1979 წელს 255 700-მდე გაიზარდა (5.1%), 1989 წელს კი 307 600 გახდა (5.7%). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედე-გების მიხედვით, საქართველოში 284 761 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რაც მთელი მო-სახლეობის 6.5%-ს შეადგენს.

საქართველოში ბერძენ მიგრანტთა პირველი მასობრივი ჩამოსვლიდან 1990-იან წლებამდე შეინიშნებოდა ბერძნების რაოდენობის განუხრელი ზრდა, რომელიც XIX საუკუნეში, უმთავრესად, ჩამოსახლებების, ხოლო შემდგომ ბუნებრივი მატების ხარჯზე ხორციელდებოდა. ზრდის პროცესი მხოლოდ XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს შემცირდა. 1926 წელს საბჭოთა საქართველოში 54 ათასი ბერძენი ცხოვრობდა (მთელი მოსახლეობის 2.0%), 1937 წელს — 85 ათასი (2.4%), 1959 წელს — 73 ათასი (1.8%), 1970 წელს — 89 ათასი (1.9%), 1979 წელს — 95 ათასი (1.9%). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წელთან შედარებით, საგრძნობ-ლად შემცირდა ბერძნების რაოდენობა. ამჟამად საქართველოში 15 ათასამდე ბერძენია, რაც მთელი მოსახლეობის 0.3%-ს შეადგენს, აქედან თბილისში ცხოვრობს 3 800-მდე ბერძენი, აჭარის ტერიტორიაზე — 2 200, ქვემო ქართლში კი — 7 500-მდე, მათ შორის — 4 600-მდე წალკის რაიონში.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ებრაელების ისრაელში დაბრუნებისათვის. საქართველოდან ებრაელთა გადინების კულმინაციურ პერიოდს 1991-1994 წლები წარმოადგენს. როცა საბჭოთა

კავშირში ზღვარდაუდებელი ანტისემიტური კამპანია იყო გაჩაღებული, საქართველოდან შედარებით უმტკივნეულოდ ხდებოდა ებრაელების რეპატრიაცია. საქართველოში დარჩენილია დაახლოებით 4 ათასი ებრაელი.

მიგრაციათა ძირითადი ვექტორები, ხასიათი და მასშტაბები გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით იცვლებოდა. მანამდე არსებობდა სლავური (ძირითადად რუსი) მოსახლეობის სსრკ-ს პერიფერიებში განსახლების ტენდენცია. 60-იან წლებში დაიწყო საპირისპირო პროცესი, ხოლო 70-იან წლებში რუსულ-ენოვანი მოსახლეობის გადინებამ არასლავური რესპუბლიკებიდან მასობრივი ხასიათი მიიღო. 80-იანი წლებისათვის სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ყველა რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი გახდა არამკვიდრი მოსახლეობის უარყოფითი სალდო.

1990-იან წლებიდან ყველა არაქართული ეთნიკური ჯგუფის წევრთა რაოდენობის შემცირება აღინიშნება, რაც მათი ემიგრაციით იყო განპირობებული. ემიგრაციის ძირითადი ფაქტორი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და აქ არსებული პოლიტიკური ვითარება იყო. ემიგრანტები, ძირითადად, თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ან რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წავიდნენ.

1990-იან წლებში დაწყებულ მიგრაციულ პროცესებში ყველაზე ინტენსიური იყო სლავების (ფაქტობრივად, აღმოსავლეთ სლავების, ანუ ეთნიკური რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების) გასვლა. მათ შორის ბევრი იყო საბჭოთა არმიის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც 1990-იანი წლების დამდეგიდან, მიმდინარე სამხედრო შენაერთების დისლოკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, მასობრივად ტოვებდნენ საქართველოს. ემიგრანტთა შორის სლავები 60%-ს აჭარბებდნენ. მათი უმეტესობა (88.5%) ქალაქის მკვიდრი იყო და ისინი, თითქმის მთლიანად, რუსეთის ფედერაციის ქალაქებში მიდიოდნენ საცხოვრებლად.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წლის ბოლო საბჭოთა აღწერასთან შედარებით (1989 წელს რუსების რაოდენობა 341.2 ათასი იყო, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6.3%-ს შეადგენდა), რუსების რაოდენობამ მკვეთრად იკლო და 67.671 ათასი შეადგინა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 1.5%-ია.

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია ოსთა ჯგუფი. გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევისთვის მათი რიცხვი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 164 ათასს შეადგენდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს ოსთა გარკვეული ნაწილი საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავიდა. 2002 წლის აღწერით, საქართველოში მათი რაოდენობა, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა გამოკლებით, 38 ათასი იყო.

1989 წლის აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 95,9 ათასი აფხაზი (საკუთრივ აფხაზეთში — 93,3 ათასი), ხოლო მთლიანად სსრ კავშირში — 105 ათასი. 2003 წელს

აფხაზეთში ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით, თვითგამოცხადებულ რეს-პუბლიკაში 94,5 ათასი აფხაზი ცხოვრობდა.

უკანასკნელი აღწერები საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის შემდეგ სურათს იძლევა:

ზემოთმოყვანილი ცხრილი, გარკვეულწილად, ასახავს უკანასკნელ 20 წელიწადში ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას[2]. მართალია, ქართველებისა და აზერბაიჯანელე-ბის ხვედრითი წილი გაიზარდა, მაგრამ ეს ამ პერიოდში განვითარებული მიგრაციების შედეგად, მოსახლეობის საერთო ოდენობის შემცირების ხარჯზე მოხდა. 1989 წელს საქართველოში ცხოვრობდა 5,4 მილიონი ადამიანი. 2007 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ ოფიციალური მონაცემებით 4,4 მილიონზე რამდენადმე ნაკლები შეადგინა, თუმცა ცალკეული ექსპერტული შეფასებებით, ეს ციფრი 2007 წლის დამდეგისთვის მხოლოდ 3,8 მილიონის ფარგლებში იყო.

ამრიგად, საქართველო თავისი ეთნიკური მრავალფეროვნებით ისეთ რთულ რეგიონშიც კი გამოირჩევა, როგორიც კავკასიაა. განსხვავებული ეთნიკური ჯგუფე-ბის თანაცხოვრებისა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზმში ინტეგრაციის მექანიზმები ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში იქმნებოდა და იხ-ვეწებოდა, სახელმწიფოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე კი მათ პრაქტიკული დანიშნულებაც შეიძინეს.

ლავრენტი ჯანიაშვილი

ქართველები

ქართველები საქართველოს მკვიდრი, უძველესი ადგილობრივი წარმოშობის ხალხია, 3,5 მილიონი ადამიანი. საერთო ეროვნული და სამწერლობო ენაა ქართული.

ქართველები საქართველოს ყველა გეოგრაფიულ ზოლში (მთა, ბარი, ზეგანი) ცხოვრობენ, დასახლების უკიდურეს ზღვარშიც: ერთი თემი სვანეთში, უშგულში, დასახლებულია ზღ. დ. 2250 მ. სიმაღლეზე. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე საშუალოდ 51 კაცს უდრის, დამუშავებული ფართობის მიხედვით — 255 კაცს 1 კვ. კმ-ზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველები (ასევე ქართული წარმოშობის მოსახლეობა) ცხოვრობენ ირანში (ფერეიდანი, მაზანდერანი, გილანი), თურქეთში (ისტორიული ლაზეთი, ჭანეთი, ტაო-კლარჯეთი), აზერბაიჯანში (ისტორიული ჰერეთ-საინგილო).

XX საუკუნეში ქართული ემიგრაცია რამდენიმე ეტაპად ევროპაში გადის: 1921 წელს, 1941-45 წლებსა და 1990-იანი წლებიდან. დაუზუსტებელი მონაცემებით, რუსეთში ცხოვრობს 800 ათასი, ირანში — 150 ათასი, თურქეთში — 3 მილიონი, დასავლეთ ევროპის, ჩრდ. და სამხ. ამერიკის ქვეყნებში — 200-250 ათასი ქართველი.

ენა

ქართული ენა იბერიულ-კავკასიური ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება; იგი აერთიანებს ქართულს, მეგრულ-ჭანურსა და სვანურს. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ქართველური ენა ერთადერთია, რომელსაც აქვს უძველესი დამწერლობა. ძველი ქართული ისტორიული ტრადიცია ქართული დამწერლობის შემუშავების თარიღად ძვ. წ. III საუკუნეს ასახელებს. ზოგიერთი მეცნიერი ანბანის შექმნის თარიღად IV საუკუნეს მიიჩნევს, რასაც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებენ. ქართული დამწერლობის განვითარებაში გამოიყოფა სამი საფეხური: მრგვლოვანი // ასომთავრული (V-IX სს.), ნუსხური (IX-XI სს.) და მხედრული (XI ს-დან), რომელნიც გენეტიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს. ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუში შემონახულია V საუკუნის ბოლნისის ბაზილიკაზე (492 წ.) და პალესტინაში (433 წ.).

ეთნოგენეზი

ქართველთა წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი ქართველებს ინდოევროპელებად მიიჩნევს, სხვანი — უძველესი ხალხების: შუმერების, ხეთების, სუბარელებისა (ხურიტების) და ა.შ. შთამომავლებად.

ისტორიულ წყაროებში მრავალი აღმოსავლური თუ დასავლური ქართველური ტომის სახელწოდებაა შემონახული (იბერ-ივერიელები, გუგარები, შავშ-კლარჯები, ტაოელები, მაკრონები, ხალდ-ხალიბები, სკვითინები, მარგველები, მისიმინიალები, პენიოხები და სხვ.), რომლებიც მონაწილეობდნენ ქართველი ერის წარმოქმნაში. აღიარებული მოსაზრებით, ეთნოგენეზის მრავალსაუკუნოვან პროცესში, უძველეს დროშივე, მოხდა ცალკეულ ქართველ ტომთა მიგრაცია სამხრეთით — მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში და სამხრეთ-აღმოსავლეთით — შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ ქართველურმა ტომებმა მოახდინეს ძველაღმოსავლური ცივილიზაციის შემქმნელი, სამხრეთში მცხოვრები ხალხების (ხურიტების, ხეთებისა და სხვ.) გარკვეული ნაკადის, ადგილობრივი ჩეჩნურ-ვაინახური, დაღესტნური ტომების ნაწილისა და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ინდოევროპული ეთნოსის ასიმილირება, რასაც ლინგვისტური მონაცემებიც უჭერს მხარს.

არქეოლოგიური მასალების საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებმა განვლეს კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხური, რადგან უძველესი დროიდან ნათლად ჩანს კულტურის განვითარების უწყვეტი ჯაჭვი. საქართველო უძველესი ადამიანის სამშობლოა. დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარზე აღმოჩნდა უძველესი ადამიანების ნაშთები, რომლებიც მილიონ რვაასი ათასი წლით თარიღდება. დმანისელი ადამიანი, მორფოლოგიური მონაცემებით, აფრიკის ადამიანის ფორმებს უახლოვდებოდა. ვარაუდობენ, რომ წინარეისტორიული ადამიანი საქართველოს ტერიტორიის განვლით განსახლდა ევროპასა და აზიაში. ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში ამიერკავკასიაში ყალიბდება საერთო-ქართული ენის მატარებელი დიდი ეთნიკური ერთობა ინდივიდუალური სახით, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული ძველი აღმოსავლეთის კულტურულ წრეში.

XVII საუკუნის ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, ქართველები არიან «შუენიერნი, ჰაეროვანნი... წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვიათ სქელნი, მხნენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენთა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი... სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი, სტუმართა და უცხოთა მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაის შეიჭირვიან; უხურნი, არცა თვისსა და არცა სხვისსა კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი».

წერილობითი წყაროების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ძვ. წ. XII საუკუნიდან დასტურდება: დიაოხი, კოლხა და სასპერები. ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება ეგრისის სამეფო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — ქართლის სამეფო (ძვ.წ IV-III სს.) სატახტო ქალაქით მცხეთა.

ძვ. წ. III საუკუნიდან ეგრისი ახლადწარმოქმნილი ქართლის სამეფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა, რამაც ხელი შეუწყო ქართველ ტომთა კონსოლიდაციას და საფუძველი ჩაუყარა ერთიანი ქართული ეროვნების ჩამოყალიბებას. ქართული საისტორიო მწერლობა პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას (ერთი ენითა

და დამწერლობით, კულტით, სახელმწიფო-სამოხელეო აპარატითა და საგადასახადო სისტემით) მეფე ფარნავაზს უკავშირებს, რომელმაც სათავე დაუდო ფარნავაზიანთა დინასტიას (ძვ. წ. III ს.) და გააერთიანა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველო.

საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვახტანგ I-მა გორგასალმა (V ს-ის II ნახ.), რომლის სახელთან ქვეყნის გაძლიერებასთან ერთად დაკავშირებულია ქვეყნის დედაქალაქ თბილისის დაარსება.

X-XII საუკუნეები გარდამტეხი ეპოქაა ქვეყნის ისტორიაში — პოლიტიკური, ეკონომიკური და კულ-ტურული აღმავლობის ხანა. ბაგრატ III-ის (975-1014) მეფობის პერიოდში დაწყებული ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა დასრულდა დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მიერ საქართველოს გაერთიანებით, ქვეყნის განმტკიცებითა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერებით. სახელმწიფოებრივ და კულტურულ აყვავებას საქართველომ თამარ მეფის (1184-1213) მეფობის წლებში მიაღწია.

ძველად ტერმინი «ქართველი» ეთნოგრაფიული «ქართლის» მკვიდრს აღნიშნავდა. საუკუნეების განმავლობაში ეთნოგენეტიკური პროცესის შედეგად წარმოქმნილ რეალურ კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებას აღარ შეესაბამებოდა ქვეყნის «ქართლის» სახელწოდებით არსებობა. X საუკუნიდან მას საქართველო ეწოდება, მის მკვიდრს — ქართველი. ეთნოგენეზის პროცესში ყალიბდება ქართული ეთნოსისათვის დამახასიათებელი ნიშნები, როგორც მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ისე ყოფასა და ეთნოფსიქიკაში. XI-XII საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბებულია ქართველი ხალხი და ქვეყანა ერთიანი სახელმწიფო ენით, ტერიტორიით, ინტენსიური ეკონომიკური კავშირებით.

IV საუკუნიდან საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამორჩეული წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის კონსოლიდაციის, კულტურული და სამოქალაქო განვითარების საქმეში.

შუა საუკუნეებში, პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ და მცირე ფეოდალური სამთავროების წარმოშობამ ხელი შეუწყო ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორიალური ერთეულების შექმნას, როგორიცაა აღმოსავლეთ საქართველოში — ქართლი, კახეთი, საინგილო, ქიზიყი; აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში — თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი-გუდამაყარი, ხევი; დასავლეთ საქართველოში — იმერეთი, გურია სამეგრელო; დასავლეთ საქართველოს მთიანეთში — რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი; სამხრეთ საქართველოში — სამცხე, ჯავახეთი, აჭარა. ამ რეგიონებში მცხოვრები ქართველები იწოდებიან რეგიონის სახელწოდების მიხედვით: თუშეთში თუშები ცხოვრობენ, ხევსურეთში — ხევსურები, ფშავში — ფშავლები, სამეგრელოში — მეგრელები, სვანეთში — სვანები, კახეთში — კახელები და ა.შ.

XIX საუკუნის II ნახევარში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად წარმოიქმნა თანამედროვე ქართველი ერი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს ყველა კუთხეში მცხოვრები ქართველები, რომელთაც აერთიანებდათ საერთო

ისტორიული ბედი, კულტურა, ეკონომიკა, ძირითადი ფსიქოლოგიური თვისებები და ხასიათი.

კულტურა და რელიგია

ქართველები და მათი წინაპრები მსოფლიო მნიშვნელობის მონაპოვრის — მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, კოლხეთის უნიკალური კულტურის — შემქმნელები არიან. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, მთელი შუა საუკუნეების ჩათვლით, საქართველომ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა მიიღო. მის ისტორიას ამშვენებს დიდებული ტაძრები: გელათი, იკორთა, ბეთანია, ყინწვისი, ოშკი, სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, ბიჭვინთა და ა.შ., კლდეში ნაკვეთი ვარძიისა და უფლისციხის სამონასტრო კომპლექსები მოხატულობის ბრწყინვალე ნიმუშებით. განვითარების მაღალ დონეზე ადის ხელოვნების მრავალი დარგი, მათ შორის მინანქარი, ოქრომჭედლობა. მსოფლიო ხელოვნების საგანძურშია შესული ბექა და ბეშქენ ოპიზართა შემოქმედება.

ფეოდალური საქართველოს წერილობითი მემკვიდრეობა მდიდარია როგორც ორიგინალური, ასე თარგმნილი ქრისტიანული ნაშრომებით, ასევე მხატვრული, ისტორიული, ფილოლოგიური, ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურით. უძველესთა შორის შეიძლება დავასახელოთ V საუკუნის ლიტერატურული ძეგლი «შუშანიკის წამება», VIII საუკუნის «აბო თბილელის ცხოვრება», საგალობელთა კრებული «იადგარი», X საუკუნის «სიბრძნე ბალავარისა», XII საუკუნის «აბდულ-მესია», ეფრემ მცირის ფილოლოგიური და გრამატიკული გამოკვლევები იოანე პეტრიწის ფილოსოფიური კომენტარები და მრავალი სხვა.

ქართული საერო ლიტერატურის მწვერვალია შოთა რუსთაველის პოემა «ვეფხისტყაოსანი» (XII ს.), რომელსაც საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის გენიალურ ქმნილებათა შორის. ისტორიული აზროვნების მაღალი დონის ნიმუშია ქართლის ცხოვრების კრებული, ლეონტი მროველის, ჯუანშერის, სუმბატ დავითის ძის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვარისა და სხვათა თხზულებები.

ქვეყანაში სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე მეტყველებენ 1103 წლის რუის-ურბნისის კრების ძეგლისდება, XI-XII საუკუნეების ნომოკანონი არსენ იყალთოელისა, XIII-XIV საუკუნეების ბექასა და აღი ბუღას სამართალი, XIII საუკუნის ხელმწიფის კარის გარიგება, ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული და ა.შ.

მეცნიერების განვითარებას ადრევე ჩაუყარეს საფუძველი ეფრემ მცირემ, იოანე პეტრიწმა, არსენ იყალთოელმა. საქართველოში შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრები: ფაზისის, იყალთოსა და გელათის აკადემიები.

ქართველთა ყოფით და სულიერ კულტურაში შემონახულია უძველესი ტრადიციული ფორმები, რომელთაგან აღსანიშნავია ხალხური სპორტი, ხალხური ფესტივალები, ხალხური ცეკვები, ხალხური სიმღერები და სხვ. თუ ხელოვნების ზოგიერთ დარგში, კერძოდ, მრავალხმოვან სიმღერაში, ქართველმა ხალხმა

უაღრესად მაღალმხატვრული და ორიგინალური გამომსახველობითი ფორმები შექ--
მნა, სხვა დარგებში (ქორეოგრაფია, გამომსახველობითი ხელოვნება) კარგად ჩანს მისი ათასწლოვანი თანამშრომლობა და კულტურულ ნათესაური კავშირები ისტორიულ და თანამედროვე მეზობლებთან. ქართველების უძველესი კულტურის მონაპოვარი თანამედროვე სოციალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევით დადგენილია, რომ ერთიანი ქართული კულტურის ჩამოყალიბების საფუძველი ბარისა და მთის რეგიონების ქართველთა ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული ერთგვაროვნება და თანაარსებობაა, რაც გამოიხატებოდა მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხელოსნობის პროდუქციის ინტენსიური გაცვლით, ვენახების, საძოვრების, სამიწათმოქმდო არეალის ისტორიულად დადგენილი წესით სარგებლობის, ისტორიული პროცესებით გამოწვეული ბარისა და მთის მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციით, რის შედეგადაც მუდამ ივსებოდა ბარის დაცლილი ტერიტორია. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ეკონომიკური წონასწორობის დაცვას, მეორე მხრივ, ისტორიულ-გეოგრაფიული კარჩაკეტილობის დაძლევასა და ცალკეული ეთნოგრაფიული კულტურული პოტენციალის ზოგადქართულ ეროვნულ მოდელში გაერთიანებას.

ასეთი მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის პროცესში ყალიბდება ქართველის ეთნიკური სახე, ქცევისა და ზნეობის ინდივიდუალური, საკუთარი ნორმებითა და ორიგინალური უძველესი კულტურით, რომელშიც მჟღავნდება ხალხის ეროვნული თვისებები.

მასალები ქართველ ტომთა სულიერი კულტურის შესახებ წარმოდგენილია უძველესი საკულტო დანიშნულების ნივთებზე, საიდანაც ჩანს, რომ ამ ტომთა მითოლოგია და რელიგიური შეხედულებები მიწათმოქმედ ტომთა მსოფლაღქმას გამოხატავს. უძველეს მითებში წარმოდგენილია ბუნების სეზონური აღორძინებისა და კვდომის, მიწის ნაყოფიერებისა და ხვავის სიმბოლოები. საკულტო ნივთებზე გამოსახულია წრიული ფერხულები და ნაყოფიერების, გამრავლებისა და კეთილდღეობის ამსახველი საკრალური ქმედებანი. ცალკეული ელემენტები კი მიწათმოქმედთა სამეურნეო ციკლის ეტაპებს ავლენს. აღიარებული მოსაზრებით, ამ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს მეზობლად მცხოვრებმა ისტორიულმა, ძველი მსოფლიოს კულტურულმა ხალხებმა (ეგეოსური სამყაროს, მცირე აზიის, შუამდინარეთის მოსახლეობამ).

ეთნოგრაფიულ ყოფაში, გადმონაშთის სახით, დღემდე დასტურდება უძველესი ტრადიციული ფორმები, როგორიცაა რიტუალური პურობა, რიტუალური საჭმელი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასმელს, ღვინოსა და ლუდს, ასევე სამსხვერპლო ხორცეულსა და რძის პროდუქტებს.

უძველეს ცნობებზე დაყრდნობით, წინაქრისტიანულ საქართველოში არსებობდა ღვთაებათა უმცროს-უფროსობაზე აგებული პანთეონი, რომელსაც ციური სხეულები შეადგენენ. უფრო მოგვიანებით ჩანს გაცისა და გაიმის კულტები, რომელიც ფარნავაზ I-ის რელიგიური რეფორმით არმაზის კულტის წრეში ჩაეწერა. ქართულ წარმართულ

ღვთაებათა პანთეონი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა. მის სათავეში არმაზი იდგა, შემდეგ მოდიოდნენ გაცი, გაიმი, აინინა, დაინინა, ზადენი. ამავე დროს ქართველები იცნობდნენ მითრას კულტს, ცეცხლთაყვანისმცემლობას, იუდაიზმს.

ერთიანი ქართველი ხალხის ფორმირებისა და ეროვნული თვითშეგნების განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქრისტიანობამ. ქრისტიანობას საქართველოში პირველი საუკუნეებიდანვე გამოუჩნდნენ მიმდევრები. საეკლესიო გადმოცემის თანახმად, აქ უქადაგიათ იესო ქრისტეს მოციქულებს — ანდრია პირველწოდებულსა და სიმონ კანანელს. ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის განმანათლებლად ნინო კაპადოკიელს მიიჩნევს, რომელსაც მიაწერს ქართლის სამეფო სახლის მონათვლასა და ქართლის გაქრისტიანებას. IV საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ეს იყო უმნიშვნელოვანესი სოციალ-პოლიტიკური და კულტურულ-მსოფლმხედველობრივი მოვლენა. მან ხელი შეუწყო ეთნიკურ და სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას, ცალკეული კუთხეების შემომტკიცებას, ხელოვნების, დამწერლობის, წიგნიერების, მეცნიერების განვითარებას. შუა საუკუნეებში ქართული ქრისტიანული მონასტრები და საყდრები საქართველოში (გელათი, იყალთო, გრემი) და საქართველოს ფარგლებს გარეთ (ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, მონასტერი შავ მთაზე სირიაში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში, ჯვრის მონასტერი იერუსალიმში და სხვ.) იქცნენ საგანმანათლებლო და სამწერლობო კერებად, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს დასავლური პოლიტიკური ორიენტაცია და კულტურული განვითარება.

ქართული ეკლესიის პირველი ორგანიზაცია მცხეთის საეპისკოპოსოს სახით ჩამოყალიბდა. V საუკუნეში შეიქმნა ქართლის ავტოკეფალური საკათალიკოსო ეკლესია. საქართველოს ეკლესიის მეთაურს თავდაპირველად ეპისკოპოსის წოდება მიენიჭა. XI საუკუნიდან ეკლესიის მესაჭის ტიტულს პატრიარქის წოდებაც მიემატა. ერთიანი საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქები იყვნენ იოანე IV ოქროპირი, მელქისედეკი, შუა საუკუნეებში ნიკოლოზ I გულაბერისძე, არსენ ბულმაისიმისძე, ელიოზ გობირანისძე და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი იყო ანტონ მეორე, რომელიც 1810 წელს გაიწვიეს რუსეთში. 1811 წელს რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. იგი რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გადაკეთდა. საქართველოს ეკლესიის დასუსტებით რუსეთის ხელისუფლება საძირკველს ურღვევდა ქართველთა ბრძოლას ეროვნულობის შენარჩუნებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

ქართველები არასოდეს შერიგებიან ამ ფაქტს და მთელი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ ბრძოლამ შედეგი მხოლოდ 1917 წლის 12 მარტს გამოიღო, როდესაც სვეტიცხოველის ტაძარში გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რაც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მხოლოდ 25 წლის შემდეგ დაადასტურა. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია თბილისში იდებს ბინას. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონ II (საძაგლიშვილი), რომლის მკვლელობა დღემდე ბურუსით არის მოცული.

1977 წლიდან წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად დადგინდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II (შიოლაშვილი-ღუდუშაური), რომლის შრომის შედეგად საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა რეალური ავტოკეფალია, მსოფლიო საპატრიარქომ და ყველა მართლმადიდებელმა ავტოკეფალურმა ეკლესიამ ცნო საქართველოს წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალურობა.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყანაში ის ინსტიტუტია, რომელსაც ხალხი ყველაზე მეტ ნდობას უცხადებს.

მთელი ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის განმავლობაში ქართველი ხალხის გზა აღსავსე იყო თავდადებული ბრძოლებით დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მან არამარტო ფიზიკურად გაუძლო უმძიმეს ისტორიულ გამოწვევებს, არამედ გარკვეული წვლილიც შეიტანა როგორც საკაცობრიო მატერიალური და სულიერი კულტურის, ისე მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმოქმნისა და განვითარების საქმეში.

სამეურნო ყოფა

ქართველები ძველი მიწათმოქმედი ხალხია, რაც მხატვრულად ასახულია მითოლოგიაში, ხალხურ ლეგენდებსა თუ ზღაპრებში, რომელთა მრავალი გმირი მიწისმოქმედია. ქართველები სახვნელ იარაღს ციურ საჩუქრად თვლიან, მეზობელი ხალხები კი მის გამომგონებლად ქართველებს მიიჩნევენ: ოსები — ქართლელებს, სკვითები — კოლხებს. მემინდვრეობასთან დაკავშირებულ მძიმე სამუშაოებს მეურნე შრომის სიმღერებით — «გუთნურითა» და «ოროველათი» — იადვილებს.

საქართველო აღიარებულია კულტურული პურეულის სელექციისა და მიწათმოქმედების აღმოცენების ერთ-ერთ კერად. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია VI-V ათასწლეულის კულტურული მცენარეულის ნაშთი. დღემდე ცნობილი ხორბლის 16 სახეობიდან, საქართველოში წარმოდგენილია 11, აქედან 6 ენდემურია. ქართველებში დასტურდება საუკუნოებრივი დაკვირვების საფუძველზე მიღებული ცოდნა პურეული კულტურების სელექციის, შერეული კულტურების მიღების, საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბლის ჯიშების, შრომის ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების შესახებ. ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავეს მემინდვრეობის თანმიმდევრული პროცესები — ნიადაგის სახნავსათესად გამოყენება, დატერასება, მოხვნა, განოყიერება, მორწყვა. ქართველი მეურნე ფლობდა სრულყოფილ ცოდნას ნიადაგის მოსავლისუნარიანობის, მისი ხარისხისა და რაობის, თვისებების შესახებ.

კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად, მემინდვრეობა საქართველოში დაიხვეწა ზონალობის შესაბამისი კულტურებითა და სამიწათმოქმედო იარაღებით. მემინდვრეობის ტრადიციულობაზე მიუთითებს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ხელით სამუშაო საფარცხსაოში, სამკალსათიბი, სალეწი და გამწევი ძალისათვის განკუთვნილი სახვნელები. სახვნელ იარაღთა მრავალფეროვნებას მათი

ფუნქციური სხვაობა განაპირობებდა სამეურნეო პირობებსა და მიწათმოქმედების სისტემებთან ერთად. ქართველი მიწათმოქმედის პრაქტიკაში იყო ხვნის როგორც მარტივი, ისე რთული სახეობანი. ხვნის სახეობებს შესაბამისი სახვნელი შეეფარდებოდა. სხვადასხვა კუთხეში ჩამოყალიბდა კონკრეტული პირობების შესატყვისი იარაღი, რამაც საქართველო სახვნელი იარაღების სიმრავლით გამორჩეულ ქვეყნად აქცია. ყველაზე მარტივ სახვნელად მიჩნეულია თუშეთსა და ხევსურეთში გავრცელებული კავი//კავწერა, ყველაზე რთული კი დიდი გუთანია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული გუთნის სახელითაა ცნობილი.

მემინდვრეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველომ, ასე რომ, სოფლის მეურნეობის ეს დარგი ისტორიული კოლხეთის ყოფიდან მიღებულ მემკვიდრეობად უნდა მივიჩნიოთ. აქ წარმოდგენილია მარცვლეული კულტურების ისეთი სახეობანი, რომლებიც გარდამავალ რგოლს ქმნიან ველურ და კულტურულ ხორბლეულებს შორის და ენდემური სახით მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება: ზანდური, კოლხური ასლი, მახა. შემონახულია უძველესი, მარტივი იარაღი — სამკალი — შნაკვი//შანკვი, რომლითაც ხდებოდა აღნიშნული პურეულის მოწევა.

დასავლეთ საქართველოს მემინდვრეობის სისტემაში ყველაზე გავრცელებული იყო ღომის კულტურა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ცალკეულ მხარეში პურის შემცვლელად ითვლებოდა. XVII საუკუნის დასასრულამდე ღომი ძირითადი საკვები იყო, XVIII საუკუნიდან კი იგი თანდათან განდევნა სიმინდმა.

დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის ბოლომდე ითესებოდა ბრინჯი. მოჰყავდათ როგორც სველი, ისე მშრალი ბრინჯი და ბოჭკოვანი მცენარეები: სელი და კანაფი. ბერძენი მწერლები მიუთითებენ კოლხური სელის მაღალ ხარისხზე — მისგან კარგი თევზსაჭერი ბადეები, ჩინებული სანაოსნო იალქნები მზადდებოდა. ანტიკურ სამყაროში განთქმული იყო აქაური სელის ტილო, რომელიც მეტოქეობას უწევდა ეგვიპტის საუკეთესო სელის ქსოვილებს. სელისა და კანაფისაგან ზეთსაც ხდიდდნენ.

კანაფი, როგორც საზეთე მცენარე, გავრცელებული იყო სვანეთში. კანაფის ზეთს საკვებადაც იყენებდნენ და სამკურნალოდაც.

კანაფისაგან რბილი და მტკიცე ტილო იქსოვებოდა. XIX საუკუნის ბოლოს კანაფის ტრადიციულმა მეურნეობამ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული სვანეთის საოჯახო მრეწველობაში, საგრძნობი ცვლილება განიცადა. სვანეთში სავაჭრო კაპიტალის შეჭრას და მზა პროდუქციის გავრცელებას ჯერ კანაფის ნაწარმზე მოთხოვნილების დაქვეითება მოჰყვა, შემდეგ — სათესი ფართობების საგრძნობლად შემცირება.

არქეოლოგიური მონაცემებით, საქართველოში მემინდვრეობას ნეოლითის ხანაში ეყრება საფუძველი. ძველი მსოფლიოს უდიდეს კულტურულ ერს, ბერძნებს, იმთავითვე შეუმჩნევიათ ქართველთა წინაპრების დამოკიდებულება მიწისმოქმედებასთან და მათი ტექნიკური ნიჭი. ამაზე მიუთითებს, თუნდაც, მსოფლიოს უძველეს ლეგენდაში აღწერილი კოლხეთის მეფის, აიეტის, სიმდიდრე, ღვინის შადრევნები და მტკიცე ფოლადისაგან გამოჭედილი გუთანი და კიდევ

რამდენი მოგზაურის დაკვირვება ქართველი მეურნის საქმიანობაზე, რის გამოც ისინი ხოტბით ამკობენ ძველი იბერიისა თუ კოლხეთის მცხოვრებთა სამიწათმოქმედო კულტურას.

ქართველებმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში შექმნეს მევენახეობა-მეღვინეობის მაღალი და ორიგინალური კულტურა, მრავალი ვაზის ჯიშისა და განთქმული ქართული ღვინოების სახით. მევენახეობა-მეღვინეობას ქართველების ყოფაში იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რომ თემურ ლენგმა XIV საუკუნის დამლევს და შაჰ-აბასმა XVII საუკუნიის დამდეგს ქართველების ეკონომიკურად და სოციალურად დასაძაბუნებლად, საქართველოში შემოჭრილ თავის ლაშქარს, უპირველესად, ვენახების გაკაფვა უბრძანეს. მიუხედავად დაბრკოლებისა, ქართველებმა საუკუნეებს გამოატარეს ვაზის სიყვარული და ღვინის დაყენების ემპირიული კულტურა.

ვაზი ქართველი კაცის სიცოცხლისუნარიანობის სიმბოლოა. მასზე შექმნილია საგალობელ-სადიდებელი სიმღერები, რომლებშიც გამოხატულია სიყვარული და პატივისცემა მეღვინეობის მფარველი ღვთაებისადმი (აგუნას გადაძახება კალანდა საღამოს გურიაში, ჩაგუნა — სამეგრელოში, შიოობა — მარნის ზედაშის დღესასწაული — რაჭა-იმერეთში, ზედაშის კულტი — კახეთში, ღვთისმშობლის სადიდებელი ჰიმნი «შენ ხარ ვენახი» და ა.შ.). ღვინის მონაწილეობის გარეშე არ სრულდებოდა არც ერთი რიტუალური ჩვეულება. ღვინის მეშვეობით ხორციელდებოდა ღვთაებრივთან ზიარება. ოჯახში ღვინით სავსე ჭური სიკეთის, ბარაქიანობის სიმბოლო იყო. არცერთი დღესასწაული ქართულ ოჯახში — ახალი ფუძის ჩაყრა, ძეობა, ნიშნობა, ქორწილი — უღვინოდ არ ჩატარდებოდა. ქართველმა სიყვარულით შექმნა ღვინის სმის მაღალი კულტურა, რიტუალური სასმისებითა და კოლორიტულ სადღეგრძელოთა მრავალფეროვნებით, რომელიც მეღვინეობის კულტზე მიგვითითებს. ქართველი ხალხი ვაზის შესანიშნავი ჯიშების გამოყვანისა და ღვინის განვითარებული ტექნოლოგიის გვერდით სუფრის დახვეწილ წესებს იმუშავებდა და ნაირგვარ სასმისებს ქმნიდა, რაც ესთეტიკური ტკბობის საშუალებას წარმოადგენდა.

მეღვინეობა კარგად იყო განვითარებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კახეთში. განთქმული იყო კარდენახი, მანავი, ახაშენი, ტიბაანი... ქართლში — საგურამო, ჭოპორტი, მუხრანი, ოძისი, ატენი... იმერეთში — ძირულა, ხარაგოული, სვირი, ობჩა... რაჭაში — ხვანჭკარა, ამბროლაური... სამეგრელოში — მუხური, სალხინო... გურიაში — შემოქმედი, ვაკიჯვარი...

საქართველოში ვაზის მოშინაურება ენეოლითის ხანიდან იღებს სათავეს. მრავალსაუკუნოვანი შრომის შედეგია 500-მდე კულტურული ვაზის ჯიშის დადასტურება საქართველოს ტერიტორიაზე, ბუნებრივი პირობების შესაბამისად, მევენახეობის ფორმების შემუშავება (დაბლარი, მაღლარი, ოლიხნარი, ტალავერი), ვაზის მოვლა-მოშენების ემპირიული წესების, ღვინოების დამზადების ნაირგვარი ტექნოლოგიის მიგნება. ქართული ღვინის დაყენების ხელოვნება იცნობს არამარტო თეთრი (რქაწითელი) და წითელი (საფერავი), არამედ ბუნებრივად ტკბილი (ხვანჭკარა, ტვიში, უსახელოურო, ქინძმარაული) და ცქრიალა (ატენური, ჩხავერი) ღვინოების დამზადება-შენახვის წესებს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია საღვინე სახლის//მარნის ღია (დასავლეთ საქართველოში) და დახურული (აღმოსავლეთ საქართველოში) ტიპი. დახურული ტიპის მარანი ქვის ნაგებობაა და საცხოვრებლის კომპლექსში შედის. მასში თავსდება ყველა სახის იარაღ-ჭურჭელი, რომელიც მეღვინეობაში იხმარება. ღია მარანი // ჭურის თავი, ის ადგილია, სადაც ღია ცის ქვეშ თავმოყრილია მიწაში ჩაფლული სხვადასხვა ზომის ქვევრები ტალავერით ან ხეებით დაჩრდილულ საგანგებოდ შემოღობილ მიწის ნაკვეთზე. განვითარებულ მევენახეობას შეესაბამება ასევე განვითარებული საღვინე ჭურჭლისა და ინვენტარის მრავალსახეობა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ღვინის დაყენების ურთიერთგანსხვავებული წესებია გამომუშავებული (ღვინის დაყენება ჭაჭაზე, დედით დაყენება, ღვინის დაყენება უჭაჭოდ და უკლერტოდ, ჭარმაგი ღვინის დაყენება, შუშხუნა ღვინის დაყენება და ა.შ.), მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ღვინის დაყენების კახური წესი. მისი სპეციფიკა ის არის, რომ თეთრი ღვინის დადუღება მთელ ჭაჭაზე ხდება, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში ტკბილი დუღს უჭაჭოდ ან დაწურული ყურძნის ჭაჭის უმნიშვნელო რაოდენობაზე. სპეციალისტების აზრით, ჭაჭაზე ღვინის დაყენება ადგილობრივ ტექნოლოგიური წესია.

ყურძნის ჭაჭიდან აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ხდის სანაქებო არაყს — «ჭაჭას». ყურძნის ნაყოფს ქართველები მრავალმხრივ იყენებენ და ოდითგან მისდევენ ყურძნის პროდუქტების დამზადება-გამოყენებას. ყურძნის წვენისგან თათარას ამზადებენ საჩურჩხელედ. ჩურჩხელა ოჯახის კვებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. იგი აუცილებელი და ყუათიანი საკვები იყო მონადირეების, მწყემსების, გზათმიმავლებისათვის. ჩურჩხელა სალაშქრო საკვებიც იყო. ცნობილია, ქართველი მეომარი ლაშქრობაში თავისი საგზლით — ჩურჩხელების მარაგით მიდიოდა.

საქართველოში ღვინო მარტო მოსალხენად და სარიტუალოდ კი არ გამოიყენებოდა, არამედ საკვებად და სამკურნალოდაც. ქართველებისთვის პურ-ღვინოს თანაბარი კვებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა სიცოცხლის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მოხუცებში. ასევე, ღვინით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ ფიზიკურად მომუშავენი. ძველი ღვინო წამლად გამოიყენებოდა სისუსტის, სისხლნაკლულობის, უმადობის დროს. მზადდებოდა შეჭამანდები შავი ღვინისგან, «თხლისაგან», «ისრიმისგან», რომელიც ნიგვზით, ნივრითა და მარილით იკმაზებოდა და ა.შ.

თუ საქართველოს ბარში მევენახეობა-მეღვინეობა განვითარების კლასიკურ ფორმებს აღწევს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში (ხევსურებში, ფშავლებში, თუშებში, მთიულ-გუდამაყრელებსა და მოხევეებში) «ნაციონალურ» სასმელად გამოიყენებოდა ლუდი, როგორც საერო, ისე საკულტო-სარიტუალო მსახურების შესრულებისას. სარიტუალო ლუდის მომზადება, ძირითადად, ჯვარ-ხატების მოვალეობას შეადგენდა. ისინი ფლობდნენ საგანგებო სალუდე ნაგებობებს, ხოლო სალუდე მეურნეობას უძღვებოდა მთავარი მსახური — ხუცესი, სათანადო სამეურნეო პერსონალთან ერთად. კალენდარული დღეობების დროს ლუდის კოდის გახსნა უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა. სადღესასწაულო რიტუალში ლუდი წმიდა სასმელადაა გამოცხადებული. ლუდის სარიტუალო დანიშნულება კარგად ჩანს მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელ დღეებში. ლუდი ფართოდ გამოყენებოდა

მთიელთა ყოველდღიურ ყოფაშიც. მთიელის ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი მომენტი (ძეობა, მოშუღლეთა შერიგება და მისთ.) ულუდოდ არ ჩაივლიდა. მთიელი ქართველისთვის ლუდი წმიდა სასმელია და ამიტომ მასთან დაკავშირებული ყველა ქმედება განწმენდილი ადამიანისგან უნდა შესრულდეს. წმინდადაა მიჩნეული საქვაბე, რაშიც ლუდი იხარშება, საკოდე, სადაც ის დუღდება და თას-განძი, რითაც მას სვამენ. საგანგებო სარიტუალო ჭურჭელს წარმოადგენდა «სახუცობო კოჭობი», რომელსაც სხვადასხვა სამკაული ჰქონდა შებმული: ვერცხლის ფული, მასრები, შიბები, ძეწკვები. სახუცობო კოჭობი წმინდა ჭურჭელია და მხოლოდ იმითაა ნებადართული კოდიდან ლუდის ამოღება. ხატის ყმანი მუხლებზე დაჩოქილნი ხელ-მიუკარებლად სვამენ თასიდან ლუდს. სმის ეს წესი ხატთან ზიარების, ხატის ყმებისა და თემის ერთიანობის გამოხატულებაა. ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ეს თასი, ხალხის რწმენით, ზეციური წარმოშობისაა, ღვთისშვილთა ნიშანს წარმოად-გენს და მისგან აღმოცენდება ჯვარ-ხატი. თასს განსაკუთრებული ძალა ხევისბერის ხელში ენიჭება.

ლუდის დაყენების წესი, მის მიღებასთან დაკავშირებული რიტუალური ჩვეულებები, საქართველოში ძველთაგანვე ლუდის კულტურის არსებობაზე მეტყვე-ლებს.

ქართველები ოდითგან მისდევდნენ მეხილეობას და მიწათმოქმედების სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. VI-IV საუკუნეების უძველესი ბერძნული ცნობებიც მიუთითებს საქართველოში მეხილეობის ფართოდ გავრცელებაზე. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში მთელი იმდროინდელი საქართველო, ველებიდან დაწყებული, ზღვის დონიდან 1000-1200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ადგილების ჩათვლით, ვენახ-ხილიან ზოლად არის წარმოდგენილი. ქარ-თველმა ხალხმა თავის ბაღ-ხილნარს «მტილ-სამოთხეები» და «ბაღ-წალკოტები» უწოდა.

წმინდა ხილის ბაღები საქართველოში გავრცელებული იყო ქართლში, იმერეთში, სამცხეში. ქართველმა მეურნემ, შემოქმედებითი ძიების გზით, «გლეხურ ლაბორა-ტორიულ პრაქტიკაში» შეძლო მიეღწია ხეხილის ჯიშთა მრავალფეროვნებისა და სიმრავლისათვის. ამაზე მეტყველებს ნიადაგის შერჩევის ცოდნა, უმცირესი მიწის ნაკვეთების მომზადება საშენად რამდენიმე წესის გამოყენებით: ტერასების მოწყობით, ჭაობის დაშრობით, შემობარვითა და ა.შ.; ხეხილის მოვლის წესები, მყნო-ბის ტრადიციული წესები, ხილის საკრეფი ხელსაწყო-იარაღების მრავალფეროვნება და ა.შ. ქართული ხილის ცნობილი ჯიშებია: მეფის ვაშლი, თურაშაული, კალოს მსხალი, გოგრა-ბალი, ხიდისთაური სახრავი, ალიბურახი და ა.შ.. სამცხეში, განს-ხვავებით საქართველოს სხვა რეგიონებისაგან თუთის ხის გამოყენების მრავალმხრივი პრაქტიკაც დასტურდება.

ისტორიულად ქართველი ხალხი საოჯახო მეურნეობაში ფართოდ გამოიყენებდა ველურად მზარდ ტყის ხილეულს სამკურნალოდ, სამღებროდ და საკვებად. სხვადას-ხვა რეგიონში დასტურდება «ტყის მეხილეობის» არსებობაც, რომლის ძირითადი ნიშანია უშუალოდ ტყეში, სანამყენე ხეზე, იმავე სახეობის შინაური ხეხილის ტოტის დამყნობა და ამით ამ ადგილის დასაკუთრება. აქვე მისდევდნენ მცენარეულის კულტივირებასა და სასარგებლო მცენარეების შერჩევა-დანერგვას.

სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარებას თან სდევდა სარწყავი სისტემების მოწყობა, რომლის უძველესი ფორმების აღმოცენება დაკავშირებულია ინტენსიური მემინდვრეობის განვითარებასთან. საუკუნეების მანძილზე საქართველოში ირიგაციის მრავალი ფორმა შემუშავდა, რასაც ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სირთულე, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავდა. ეთნოგრაფიული კვლევით დასტურდება სარწყავი სისტემის კულტურა, რისთვისაც იყენებდნენ მთის ნაკადულებს, წყაროებს, მდინარეებს, აკეთებდნენ ჯებირებს, გაჰყავდათ დიდი და მცირე ზომის არხები, გამოიყენებოდა მერუეთა ინსტიტუტი და მზის საათი. მორწყვის მრავალფეროვანი სისტემა შედრებით მარტივია მთაში, სადაც, ძირითადად, სათიბები ირწყვებოდა, ბარში კი, სადაც იგი მთლიანად განაპირობებს მემინდვრეობის მოსავლიანობას, უფრო რთულია. სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებამ მყარი საფუძველი შეუქმნა ქვეყნის ეკონომიკას. საქართველოში შეიქმნა მძლავრი სამიწათმოქმედო ცენტრები.

ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობაში, მიწათმოქმედების კვალდაკვალ, მთავარი ადგილი უჭირავს მესაქონლეობას. ისტორიულად საქართველოში ცნობილია მრავალდარგოვანი მესაქონლეობის არსებობა, რაც გულისხმობდა როგორც წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი, ფრინველი), ისე მსხვილფეხა მესაქონლეობის (ზროხა//ძროხა, კამეჩი, ცხენი, ჯორი, სახედარი) განვითარებას. საქართველოს ბარისაგან განსხვავებით, სადაც პრიორიტეტს მიწათმოქმედება ინარჩუნებს და მესაქონლეობა მიწათმოქმედების ხელშემწყობ მოვლენას წარმოადგენს (გამწევი ძალით უზრუნველყოფა), მთიანი მხარეების ეკონომიკაში მესაქონლეობა ჭარბობს სხვადასხვა ვარიაციით: სვანეთში, მთის რაჭასა და ხევსურეთში — მსხვილფეხა მესაქონლეობაა განვითარებული; თუშეთში, ფშავში, ხევსა და მთიულეთ-გუდამაყარში — მეცხვარეობა.

მესაქონლეობის განვითარების ინტენსიურ ხასიათზე მიუთითებს ქართველი ხალხის საჯიშე-სანაშენე საქმიანობაც, რომელმაც მოგვცა ცნობილი მეგრული ხარი, ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კახური ცხენი. ჯერ კიდევ კლასიკური ეპოქის ავტორები აღნიშნავდნენ უპირატესობას კოლხური დაბალტანიანი ძროხისა, რომელიც მაღალი წველადობით გამოირჩეოდა. საქართველოში ბუნებრივ ზონალობას ემორჩილება მესაქონლეობის ფორმები: მთური და ბარული. მესაქონლეობის ამ ორ ფორმას ბინადარი მოსახლეობა მისდევდა და აქედან გამომდინარეობდა მათი ცხოვრების წესიც (ფსიქიკა, სოციალური ინსტიტუტი, საწარმოო ჩვევები, შრომის ორგანიზაციის ფორმები, ადათობრივი სამართალი, სოციალური და მატერიალური კულტურა). ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია რძის პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიური ხერხების (ნაღების მიღების, კვეთის შემზადების, რძის შეყველების ტემპერატურის დაცვის, სიმჟავის ნორმალური დოზის შენარჩუნების...), სარძეო მეურნეობისათვის გამოსადეგი ჭურჭლის მასალის (ხე, თიხა, სპილენძი) ვარგისიანობის, ყველის შესანახი ჭურჭლის (გუდა, თიხა, ხე) მრავალსახეობისა და სხვ. მიგნება-გამოყენებაში. ქართველებმა კარაქის მისაღებად შექმნეს თიხის სადღვებელი, ნაპოვნია ძვ. წ-აღ IV ათასწლეულისდროინდელი მისი ნიმუში, და დღესაც, ეს სადღვებელი იმავე ფორმით განაგრძობს არსებობას აღმოსავლეთ საქართველოს ბარში (ქართლ-კახეთში), რაც მოსახლეობის ბინადარი წესის უტყუარი მატერიალური ნიშანია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლში სადღ-

ვებლად გამოყენებულია მთლიანი ხის «ვარია» და «ჩხუტ-ბრუნელი». ხევსურეთში ხის ვარიასთან ერთად სპილენძის ვარიასაც იყენებდნენ.

სარძევე მეურნეობის განვითარების მაღალი კულტურის შედეგია ისეთი მიღწევები მესაქონლეობაში, როგორიცაა თუშური ყველი, მეგრული სულგუნი, იმერული ყველი, ხევსურული ერბო, აჭარული კარაქი. მესაქონლეობის ცალკეული დარგების გავრცელება ზონალობასა და რელიგიურ რწმენებს ექვემდებარებოდა. ცხვარი ყველგან ჰყავდათ, მეთხეობა ძირითადად — გურია-სამეგრელოში, კამეჩი მხოლოდ საქართველოს ბარში იყო გავრცელებული, მეღორეობა — კახეთსა და სვანეთში. ღორს, რელიგიური მოსაზრებით, არ აშენებდნენ აჭარასა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. საკვებად არ გამოიყენებოდა უსურმაგის (ცხენის, ჯორის, ვირის) ხორცი.

მესაქონლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში. მეურნეობის ამ დარგის ინტერესებს შეესატყვისებოდა უძველესი სამეურნეო კალენდარიც. საახალწლო რიტუალში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა მეკვლის მიერ ცეცხლში მუგუზლის «შეჩიჩხინებას», ნაპერწკლების ასავარდნად, რასაც მოსდევდა საქონლის გამრავლების სურვილის გამომხატველი ფრაზა: «ამდენი ცხენი, ამდენი ძროხა». იცოდნენ რიტუალური კვერების გამოცხობა, საახალწლოდ საქონელზე მილოცვა და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ციკან-ბატკნის ბეჭის ძვლით მკითხაობდნენ ოჯახის დოვლათიანობაზე. მთელი რიგი ცერემონიებისა დაკავშირებული იყო მეწველი და მუშა საქონლის, წველა-დღვების, გუთნის გატანისა და ა.შ. გათვალვის წინააღმდეგ.

საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შემორჩა სანახაობები ხარის მონაწილეობით: ბუღების ჭიდაობა (აჭარა), კურული (სამეგრელო).

მეთევზეობას, როგორც სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს, შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ზედა პალეოლითის შემდგომ ეპოქაში მონადირეობასა და შემგროვებლობასთან ერთად განვითარებული ფორმით გვევლინება მეთევზეობაც. მეთევზეობის განვითარებაზე მიუთითებენ უძველესი ისტორიული წყაროები. ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი (I ს.) აღნიშნავს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქართველ ტომთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი მეთევზეობაა. მეთევზეობა ძველი დროიდანვე განვითარებული იყო ტბებსა და მდინარეებში, რაც ლეონტი მროველის წმიდა ნინოს ცხოვრებიდანაც ჩანს. როცა წმ. ნინომ «მოაწია მთასა ჯავახეთისასა, სადა იგი მიემთხვა ტბასა დიდსა... რომელსა ჰქვიან ფარავნა... და დაყო მუნ ორი დღე და ითხოვა საზრდეული მეთევზურთაგან». საქართველოს მდინარეებში თევზის სიმრავლეზე მიუთითებენ უცხოელი მოგზაურებიც. ჟ. შარდენის ცნობით, «მტკვარში მრავალ თევზს იჭერენ». გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ მდ. მტკვარზე მეთევზეები ხის სათევზაო «გოდრებითა» და «კალათებით» იჭერდნენ თევზს. გვიანდელი ფეოდალური ხანის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ყველა ფეოდალს ჰყავდა ყმა-მეთევზეები, მეფეთა კარზე სპეციალური თანამდებობაც არსებობდა — მებადურისა. ცნობილია თევზის ჭერის სხვადასხვა წესი: კონით, ფაცერით, ოჩხით, გოდრით, ჩანგლით, ბადით, აგრეთვე ხელაობა, ყინულში თევზჭერა და ა.შ. მტკვრის ხეობაში

თევზს, ძირითადად, ბადით იჭერდნენ, განსაკუთრებით გავრცელებული იყო სასროლი ბადე და ნავტიკი. ზღვაზე მასობრივი თევზაობის შემთხვევები არ გვხვდება, უფრო ინდივიდუალურად და მცირერიცხოვან ჯგუფებად თევზაობდნენ ნავებში მსხდარნი.

მეთევზეობის დაწინაურებაზე, ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, მიგვითითებს ქართული ზღაპრული ეპოსი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამირანის მამის სახელი სულკალმახი, საქართველოში ოდესღაც არსებული თევზის კულტის ნაშთია. იმერეთში დამოწმებულიაა თევზის მფარველი ღვთაება ლარსა. ქართველი ხალხის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში თევზი ითვლება ნაყოფიერების სიმბოლოდ, რაც მრავალი ეთნოგრაფიული ფაქტითაა დადასტურებული, როგორიცაა საქორწინო თარფი თევზით, კალმახი, როგორც საკურთხის აუცილებელი ატრიბუტი სამეგრელოში, ლოცვა-ვედრება თევზისადმი შვილიერების შეთხოვნის მიზნით; გურიაში კალმახის დაკვლა საკალანდო ქვევრის თავზე, მაგიური დანიშნულება ჰქონდა წყლის აუზს ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიასა და თრიალეთის სოფ. ჰოლიანქში, სადაც ეკლესიაში სასულიერო პირებს მოშენებული ჰყავდათ კალმახები, რომელთაც, ადგილობრივთა რწმენით, სასწაულების მოხდენა შეეძლოთ.

ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ხალხური ტრანსპორტი, რომელშიც ცოცხალი გამწევი ძალაა გამოყენებული, სამ ჯგუფად იყოფა, რაც ქვეყნის სამეურნეო-გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებით არის განპირობებული: უბორბლო საზიდი მარხილი (მთის ზოლში), ბორბლიანი ურემი (ბარის ზოლში) და გარდამავალი — შერეული ტიპის საზიდი (ბოლოთრია, აჩაჩა ურემი, სელი, თუში). ეს უკანასკნელი საქართველოს პირობებშია წარმოშობილი და სპეციალურ ლიტერატურაში შეფასებულია, როგორც ქართული მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მონაპოვარი. ამ სახეობის კონსტრუქციულ თავისებურებას წარმოადგენს ორი სრულიად განსხვავებული სამოძრაო პრინციპის — ბარის ზოლის ურმის გორვა-ბრუნვისა და მთის ზოლის მარხილის თრევა-სრიალის მოწყობილობათა — კომბინირებული გამოყენება. მის დასამზადებლად საყურადღებო ტექნოლოგიური ხერხები გამოიყენება.

უძველესი დროიდან საქართველოში განვითარებული იყო წყლის ტრანსპორტი. ზღვის, ტბისა და დიდი მდინარის ათვისება სამეურნეოდ და სანაოსნოდ მხოლოდ ნავით იყო შესაძლებელი. აღმოსავლეთ საქართველოში სანაოსნოდ გამოიყენებოდა მდინარეები: მტკვარი და ალაზანი, დასავლეთ საქართველოში — რიონი. ერთადერთი ტბა, რომელიც სანავიგაციოდ ფართოდ იყო გამოყენებული, პალიასტომის ტბაა. წყლის ტრანსპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობა ხის მორი და ტივი იყო, რომელთაც მდინარეზე აცურებდნენ და ჭოკით აძლევდნენ მიმართულებას. საქართველოში ისტორიულად გავრცელებული იყო ნავის ორი სახეობა: დაჭედილი და დაუჭედავი (ცალფა ნავი), ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი, რაც წყლის ტრანსპორტის განვითარების ყველაზე ადრეულ სახეობაზე მიგვითითებს. დროთა განმავლობაში ხდებოდა ცალფა ნავის სანაოსნო თვისებების სრულყოფა იმის გათვალისწინებით, თუ როგორ წყლებში უხდებოდა ცურვა. ცალფა ნავები განსხვავდებოდა ზომით და ზოგჯერ ფორმითაც, გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობისთვის, სათევზაოდ, სანადიროდ, ტვირთისა და მგზავრების გადასაყვანად.

დასავლეთ საქართველოში თითქმის ყოველ მოსახლეს ჰყავდა პატარა ნავი, რომელიც დაჰყავდათ როგორც მამაკაცებს, ისე ქალებსა და ბავშვებსაც.

ფიცრისგან შეკრული დაჭედილი ნავი მდინარეზეც გამოიყენებოდა და ზღვაზეც. დაჭედილი ნავის ოსტატებად ცნობილი იყვნენ მეგრელები და ქვემო იმერეთის მცხოვრებნი. სამდინარო ტრანსპორტის გავრცელებულ სახეობად ითვლებოდა ნავტიკები, ტივები. ტივი სატრანსპორტო საშუალებად გამოიყენებოდა მტკვარზე, ალაზანზე, ენგურზე, რიონზე, პალიასტომზე. ნავტიკი გამოიყენებოდა მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად. ძველად ფართოდ იყენებდნენ ბორანსაც.

ძველი კოლხეთი ნაოსნობის ერთ-ერთ ძლიერ ცენტრად იყო ცნობილი მთელ შავ ზღვაზე, ხოლო მდიდარი წერილობითი წყაროები, რომლებიც ძვ. წ-აღ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან მოგვეპოვება, საქართველოში ნაოსნობის ხანგრძლივ ტრადიციებზე მიუთითებს.

ქართველებს მელითონეობის დარგშიც გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. რკინის დამუშავებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, ღრმა სიძველით ხასიათდება. ამ მხრივ, არქეოლოგიური კვლევა-ძიება მეტად მნიშვნელოვან მასალას იძლევა. ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე XIV საუკუნიდან საქართველოში იწყება რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარება, რასაც ხელს უწყობდა რკინის საბადოების სიმრავლე როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში (ჩათახის (აღმ. საქართველო), წედისის (რაჭა), კურსების (იმერეთი), ჯიშრის (აფხაზეთი), შხიბარის (სვანეთი), სარკინეთის (ქართლი) და სხვა საბადოები). ქართველებს ძველი კულტურული სამყარო თვლის განთქმულ მელითონეებად, ნაქებ რკინის მოხელეებად. ბერძენი ტრაგიკოსი ესქილე (ძვ. წ-აღ. V ს.) ხალიბებს (ზოგიერთ მკვლევარს ისინი ქართველთა წინაპრებად მიაჩნია) გამომგონებლად თვლის, ხოლო ხალიბების ქვეყანას «რკინის დედას» უწოდებს. ქართველთა წინაპრები ფლობენ უჟანგავი რკინისა და მაღალი ღირსების ფოლადის მიღების თავისებურ ხერხებსა და საიდუმლოებას, რის გამოც მათი ნახელავი დიდად გამოირჩეოდა და შორს ჰქონდა სახელი გავარდნილი. ჯერ კიდევ ჰომეროსი ძველი ქართველი ტომების ალიბების (იგივე ხალიბების), ჭანების ქვეყანას იცნობდა როგორც ლეგენდარულ «ვერცხლის ქვეყანას» (თანამედროვე გიუმიშხანე). ხალიბები გვევლინებიან რკინის დამუშავების საუკეთესო ოსტატებად. ამ დროს წინა აზიისთვის კავკასია იყო ლითონის ნედლეულის მიმწოდებელი. ასურეთში ხალიბების რკინას «ხაბალკინუ» რქმევია. სპეციალური კვლევით დადგენილია, რომ ქრისტეშობამდე, IX-VII საუკუნეებში, ამ ხალხთა მეტალურგიულმა ოსტატობამ მანამდე არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ამ ვითარებას კარგად ესადაგება ბერძნული მითიც, რომლის მიხედვითაც მჭედლების ღვთაების — ჰეფესტოს — სამოქმედო არე კავკასიაა. საქართველოს მიწა-წყალზე მიმობნეული მრავალრიცხოვანი ნაშთი: დაგროვილი რკინა-წიდა, რკინის საბადოები და სხვ. მოწმობენ, რომ რკინის წარმოებას ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა. საქართველოს ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოინახა ძველი მელითონეების საწარმოო გამოცდილება და რწმენა-წარმოდგენები, რაც ხალხური მჭედლობის სიძველეზე მიუთითებს. ამ მიმართებით, ქართული მეტალურგიის ტრადიციების მატარებლად და ტიპიურ სახედ წარმოგვიდგა რაჭის სარკინეთი (ზემო

რაჭა), რომელთა მცხოვრებთ «რკინის კაცებს» ეძახდნენ. დადგენილია საუკეთესო ფოლადის მიღების საიდუმლოც, რკინის მადანში სადუღარი მიწის «ფა-შას»//პიროლუზიტის შერევის წესი, რომელიც ძველი ქართველი ტომების (ხალიბებისა და მოსინიკების) რკინის დამზადების წესის ანალოგიურია.

მელითონეობის ძველი კულტურის კვალი ატყვია არა მხოლოდ მატერიალურ წარმოებას, იგი ხალხის ცნობიერებამაც აღბეჭდა როგორც მაგიური ძალის შემცველი. მჭედლობას ჰყავდა თავისი მფარველი ღვთაება: სოლანი — სვანეთში, სოლომი — სამეგრელოში, შაშა — აფხაზეთში. ამასვე ადასტურებს რაჭული თქმულება «სირა მჭედელზე», რომელიც ახლოს დგას მჭედლობის მფარველ ღვთაებებთან. თვითონ სამჭედლო წმიდა ადგილად იყო მიჩნეული, ხოლო მჭედელი — ზეკაცური ბუნების მქონე არსებად. საქართველოში დღემდე დადასტურებული მელითონეობის მდიდა-რი და მრავალფეროვანი ტერმინოლოგია, ამ ტერმინთა ქართული წარმოშობა, ძველი ქართული მელითონეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

საქართველოში გავრცელებული იყო სპილენძის ხელადი. სპილენძის მადნეულის დამუშავების ცენტრი იყო ჭოროხის ხეობა და ალავერდის საბადოები. სპილენძის მოხელეები ფლობდნენ მისგან არამარტო ჭურჭლის დამზადების ტექნიკას, არამედ ძველი სპილენძეულის გადამუშავების ხელოვნებას, რაც მელითონეობის მაღალ კულტურაზე მეტყველებს. საერთოდ, სპილენძის ჭურჭელი ქალის სამზითვო ნივთი იყო. იგი დიდ როლს თამაშობდა სხვადასხვა რიტუალებსა და საწესო ჩვეულებათა შესრულებისას.

საქართველოს ქალაქები ისტორიულად ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ, სოფლად კი შინამრეწველობა იყო განვითარებული: ხის, ქვის, თიხის, რკინის დამუშავება ტრადიციული წესებით. მაღალ დონეზე იდგა ხალხური ფეიქრობა და ოქრომჭედლობა. არსებობდა შინამრეწველობის დარგების ოსტატთა გაერთიანებები — სახელოსნოები, ამქრული ორგანიზაციები. ისინი ამზადებდნენ სამხედრო იარაღს, თოფის წამალს, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, მუსიკალურ საკრავებს, ჭურჭელს, სამოსელს, ცხენ-აქლემის მოკაზმულობებს.

ვაჭრობდნენ პურით, ბამბით, აბრეშუმით, ბეწვეულით, ღვინით, მატყლით, სანოვაგით. უცხოეთში გაჰქონდათ კახური და ქართლური ღვინო, ენდრო, პური, მაღალხარისხოვანი მატყლი, ქსოვილი, ხალიჩები, სწრაფმავალი ცხენები და სხვ. XII საუკუნიდან მოკიდებული XVII საუკუნემდე ქართული აბრეშუმის ქსოვილები დიდად ფასობდა წინა აზიისა და ევროპის ბაზრებზე.

მზა საქონელი შემოჰქონდათ ირან-ოსმალეთიდან, ხოლო ევროპიდან — ფრანგული საქონელი. კავშირი იყო დამყარებული მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-ეკონო-მიკურ ცენტრებთან: ტრაპეზუნტთან, კონსტანტინოპოლთან, ბაღდადთან, ალექსან-დრიასთან და სხვ.

დასახლების ტიპები

საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბდა დასახლების სამი ტიპი: მთური — ფერდობზე შეფენილი სახლების მცირე რაოდენობა, მჭიდრო მსხვილი დასახლებული პუნქტი აღმოსავლეთ საქართველოში, საკარმიდამო ტიპის დასახ-ლება დასავლეთ საქართველოში. დასახლების ამ ტიპებს შეეფარდება საცხოვრებელ ნაგებობათა სახეობები: მთური, დარბაზული და კოლხური.

საქართველოს მთიანეთის საცხოვრებელი ნაგებობა წარმოადგენს 2-4-სართულიან ქვის ნაგებობას, აგებულს მშრალი წყობითა და დუღაბით. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი განლაგებულია ვერტიკალურ სიბრტყეზე და ჩაკეტილი კომპლექსის სახით წარმოგვიდგება (ხევსურული კალოიანი სახლი, სვანური «ქორ»-ი, მთის რაჭის დუროიანი სახლი, თუშური ჩარდახიანი სახლი, მოხეური სახლი).

აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია შეჯგუფული, უკარმიდამო დასახლება. საცხოვრის არქაული ფორმაა მიწური, რომლის განვითარების შედეგად წარმოიქმნა «დარბაზული სახლი» — კომპლექსური ხასიათის, მიწისზედა შენობა, ერთ ჭერქვეშ, ჰორზონტალურად განლაგებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით. დარბაზი გადახურულია გუმბათისებრი, საფეხურებრივი გვირგვინით (ქართლი, მესხეთი).

დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია განცალკევებული კარ-მიდამოები საცხოვრებელი ხის სახლით და გაფანტული სამეურნეო ნაგებობებით. დასავლურ საცხოვრებელში ვლინდება თანდათანობითი განვითარების რიგი. საცხოვრებლის პირველი არქაული სახეობაა წნული (ფაცხა) და ძელური (ჯარგვალი). საცხოვრისის ადრინდელი ფორმები განვითარებას ჰპოვებს ფიცრულ სახლში (ბოყვიანი სახლი), შემდგომ — საძირკველზე მდგომ ოთხკუთხოვან ფიცრულ ოდა სახლში.

საქართველოში ნაირსახოვანი საცხოვრებელი ნაგებობები შენდებოდა, რაც შეესაბამებოდა ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებსა და საზოგადოებრივ-ეკო-ნომიკური განვითარების დონეს.

სამოსი. ქართული კულტურის უძველესსა და მნიშვნელოვან მონაპოვარს ეროვნული სამოსლის დამზადება-გამოყენება წარმოადგენს. საოჯახო მეურნეობაში ქსოვილების დამზადების ტრადიციული, შინამრეწველური წესით მზადდებოდა შალი, ბამბა, სელი, აბრეშუმი, კანაფი. ქსოვისა და ქსელვის რთულ და მრავალფეროვან ხალხურ ტექნიკას ფლობდა საქართველოს მთის ზოლის მოსახლეობა. ჰეროდოტეს ცნობით, მაშინდელ მსოფლიოში კოლხეთში წარმოებული სელის ქსოვილი, ეგვიპტურთან ერთად, საუკეთესოდ ითვლებოდა.

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ჩაცმულობის სხვადასხვა ვარიანტი ყალიბდება, ხოლო მისი ძირითადი ტიპები — ქართული კაბა და ქართული ჩოხა — დაიხვეწა და თავისი საბოლოო სახე ბოლო საუკუნეებში მიიღო. ქართული

ეროვნული კოსტიუმის ძირითადი მახასიათებელი ელემენტებია: ფორმის დახვეწილობა და სინატიფე, წელზე გაწყობა, ასაკთან, პირისახის, კანისა და თვალის გუგის ფერებთან სამოსლის ფერთა შეხამება, ტარების მანერა. ქართულ კაბას ესადაგება ქართული თავდახურვაც: ჩიხტი, კოპი, ლეჩაქი და ბაღდადი.

ქართველი მამაკაცის ეროვნული კოსტიუმის ძირითადი ტიპი ჩოხა-ახალუხის კომპლექსია, ვერცხლისთავიანი მასრებითა და ვერცხლისქარქაშიანი ხანჯლით გაწ-ყობილი.

საერთო ეროვნული ჩაცმულობის გარდა, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კოსტიუმის თავისებური ტიპები გამომუშავდა: სამოსი სხვადასხვა წოდებისა და პროფესიის ხალხისთვის — ხელოსნისათვის, გლეხისათვის, მოქალაქისა და ვაჭრისათვის, სასულიერო პირისათვის, მგზავრისათვის, მხედრისათვის, ფალავნებისათვის, გათხოვილი და გაუთხოვარი ქალისათვის, აგრეთვე — სამუშაო, საზეიმო, საქორწილო, სამგლოვიარო, სამონადირეო და სხვა ტანსაცმელი.

ქართული კოსტიუმის ძირითადი ტიპები, ისტორიულად, სამეურნეო-ყოფითი, სოციალურ-წოდებრივი და ტერიტორიულ-ეთნიკური ნიშნების მიხედვით იქმნებო-და.

ქართული ეროვნული ტანსაცმლის პარალელურად არსებობას განაგრძობდა ძველი ქართული ეთნიკური წარმომავლობის ტანსაცმელიც. მათ შორის წარმოდგენილი იყო უნიკალური, ზოგჯერ სულ მცირე მიკრორაიონში გავრცელებული სამოსი, რომელიც ძველი ქართული ჩაცმულობის საწყის ფორმებს ენათესავება. ასეთია, მაგალითად, ხევსურული «ტალავარის» ელემენტი პერანგი, რომელიც თარგით ძველი კოლხეთისა და მცირე აზიის კულტურულ სამყაროს უკავშირდება.

დასავლეთ საქართველოში, ქართული კოსტიუმის თავისებური სახეა რაჭული ტანსაცმელი, ასევე აჭარულ-გურული და ლაზური სამოსი ჩაქურა, რომლის შემადგე-ნელი ელემენტია ყაბალახი. საერთო ქართული ჩაცმულობისათვის დამახასიათებელი იყო ნაბადი და ცხვრის ქურქისგან შეკერილი ჩასაცმელი. ეროვნული კოსტიუმის მრავალფეროვნებას კარგად შეესაბამება თავდახურვაც: თუშური, ხევსურული, სვანური, იმერული და მეგრული ქუდი, ყაბალახი, ფაფანაკი; საზამთრო ქუდებიდან: ყალმუხის ქუდი, გალიბანდი, ბუხრის ქუდი, დაბალი ბოხოხი.

XIX საუკუნიდან ტანსაცმელის ძირითად მასალად ფაბრიკული ქსოვილების გამოყენებამ დააკნინა შინამრეწველობა და კუსტარული შინარეწვა, რამაც ზეგავლენა მოახდინა ქართული ჩაცმულობის ტრადიციულ ფორმებზე. საქართველოში ვრცელდება ევროპული მოდა. სოფლის მოსახლეობა ჩოხას რუსულ მაზარაზე ცვლის, მაღალი კლასის წარმომადგენლები — ევროპულ ფრაკებსა და კოსტიუმებზე.

სოციალური ურთიერთობები

ისტორიულად საქართველოში ჩამოყალიბდა დიდი პატრიარქალური ოჯახი//ერთობის სახლი, ერთ ჭერქვეშ მცხოვრები, დაუყოფელი 3-4 თაობა. დიდ ოჯახს განაგებდა უფროსი მამაკაცი, რომელიც სათავეში უდგა შთამომავლობას და რომლის სახელსაც ატარებდა ოჯახი. ის იყო მთელი ოჯახისათვის საერთო გეზის მიმცემი ყველა საკითხში, პასუხისმგებელი, ფლობდა ხაზინის (ქისის) შენახვის, სხვა სამუშაოებით ნაშოვნი ფულის ცენტრალიზაციისა და ხარჯვის უფლებას, ოჯახს შიგნით იყო მოსამართლე და განმსჯელი. სოფლის ყრილობაზე, სადაც სოფლისათვის საერთო საკითხებზე მსჯელობდნენ, ოჯახს წარმოადგენდა უფროსი მამაკაცი: სახლის უფროსი (ხევში), ქორა მახვში (სვანეთში), უფროსი კაცი (ქართლში) ბაბუა (რაჭაში), ბერო (ფშავსა და თუშეთში), უფროსი მამაკაცი (მთიულეთში), სახლის დიდი (აჭარაში). უხუცესი მამაკაცის ძალაუფლებისა და ავტორიტეტის გამომხატველია საპატიო სკამ-სავარძელი — სვანური «საკურცხილ», მთის რაჭული «საკარცხულ», მთიულური «საუფროსო სკამი», მოხეური «სამარტო სკამი», როგორც ოჯახის უფროსის რიტუალური და სოციალური ყოფის გარკვეული ატრიბუტი.

ოჯახის შიდა საქმეებს, ძირითადად, სამეურნეო საკითხებს განაგებდა უხუცესი ქალი: ბებია (რაჭაში), მერბიელ (სვანეთში), უფროსი ქალი (ქართლში), ბებო (ფშავში), უფროსი დედაკაცი (მთიულეთში), ბერდედა (თუშეთში), დიასახლისი (ხევში), ზარეული (აჭარაში). მას ევალებოდა პურის ცხობა, მთელი წლის მოსავლის განაწილება-გაყიდვა, ოჯახის დანარჩენ ქალთა შორის სამუშაოს განაწილება და სხვ. ოჯახის დედასთან ინახებოდა სკივრებისა და ბეღლების გასაღებების ასხმულა — ოჯახის შიდა სამეურნეო საქმიანობის სიმბოლო. ქალი დედა ოჯახის ერთიანობის, სითბოს, სიმყუდროვის გამომხატველი და ოჯახის ბურჯი იყო.

დიდი ოჯახი გვიანობამდე (XX ს-ის 30-იანი წლებამდე) შემორჩა, უპირატესად იქ, სადაც მრავალდარგოვანი მეურნეობა (მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სიმბიოზი) იყო, რომელიც დიდ მუშახელს მოითხოვდა (სამხრეთ საქართველო) და ნაკლებად — ისეთ რეგიონებში, სადაც ამგვარი მეურნეობისთვის ხელსაყრელი კლიმატურ-გეოგრაფიული და სამეურნეო პირობები არ არსებობდა (ხევსურეთი). ამას გარდა, დიდი ოჯახის შიგნით, არსებობდა ოჯახის ცალკეულ წევრთა კერძო (პირადი) საკუთრება, რომლის ხელყოფის უფლება სხვა წევრს არ ჰქონდა, და ოჯახის გაყრისას ის გასაყოფ ქონებაში არ შედიოდა. ასეთი იყო ქალის მზითევი, რომელიც ქალის პირად საკუთრებად რჩებოდა. ოჯახის გაყრის დროს ძმებს შორის იყოფოდა უძრავი (მიწა, ნაგებობა) და მოძრავი (საქონელი) ქონება. საოჯახო სამართლებრივ უფლებებს ექვემდებარებოდა გაყრის დროს ოჯახის ამა თუ იმ წევრისთვის საერთო წილის ზევით ქონების გარკვეული ნაწილის მიკუთვნების ფორმები: უფროსი ძმისთვის — «საუფროსო», უმცროსი ძმისთვის — «საუმცროსო», დაუქორწინებელი ძმისთვის — «საქორწინო», გასათხოვარი დისთვის — «სამზითვო», მშობლებისათვის — «სამარხო». დიდი ოჯახის დაშლა, უპირველესად, სოციალ-ეკონომიკური განვითარების შედეგი იყო — გაძლიერდა ოჯახის წევრების ლტოლვა დამოუკიდებელი მეურნეობის შექმნისაკენ. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, პირველ ეტაპზე, პირადი ქონების წყარო შეიძლება ყოფილიყო პირადი ნივთები. შემდეგ ქონება თან-

დათან იზრდება და ასე წარმოიშობა საოჯახო თემში ასაკოვანი მამაკაცის ცალკე საკუთრება, რომლის წარმოქმნაში დიდი როლი შეასრულა ქალის მზითევმა და მისმა მონაგებმა (სათავნო). საკუთრების წარმოშობის გვერდით მიმდინარეობდა დიდი ოჯახის დიფერენციაცია პატარა, მხოლოდ მშობლებისა და შვილებისაგან შემდგარ ოჯახებად.

თამილა ცაგარეიშვილი

თანამედროვეობა

XIX-XX საუკუნეები ქართველი ხალხის ისტორიაში რევოლუციური ცვლილებების, ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიული იდეალებისთვის ბრძოლის ხანად შეიძლება შეფასდეს. რუსეთის იმპერიამ, ხოლო შემდეგ საბჭოთა ეპოქამ, ყოვლისმომცველმა კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა, პერმანენტულმა რეპრესიებმა ბოლომდე ვერ ჩაახშო საქართველოში მცხოვრები ადამიანების სწრაფვა ნაციონალური და ინდივიდუალური თვითმყოფადობისკენ, ვერ მიუჩინა შემოქმედებით თავისუფლებას მკაცრი იდეოლოგიური კალაპოტი.

მთელ ამ პერიოდს ქართველი ხალხის თავისუფლებისა და ღირსების სიმბოლოდ გასდევს ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი მოღვაწეობა. XIX-XX საუკუნეებში ქართული კულტურული ტრადიციების გაგრძელება და განახლება, ქართველი ხალხის ხასიათისა და მსოფლაღქმის ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში წარმოჩენა შეძლეს საუკეთესო ქართველმა მწერლებმა: ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, გალაკტიონ ტაბიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, ნიკო სამადაშვილმა, გურამ რჩეულიშვილმა, ანა კალანდაძემ, ნოდარ დუმბაძემ, ჭაბუა ამირეჯიბმა, ოთარ ჭილაძემ, გურამ დოჩანაშვილმა, ბესიკ ხარანაულმა და სხვ.; მხატვრებმა: ნიკო ფიროსმანაშვილმა, დავით კაკაბაძემ, ლადო გუდიაშვილმა და სხვ.; მოქანდაკეებმა: იაკობ ნიკოლაძემ, ელგუჯა ამაშუკელმა, მერაბ ბერძენიშვილმა და სხვ.; თეატრისა და კინოს რეჟისორებმა: სანდრო ახმეტელმა, კოტე მარჯანიშვილმა, მიხეილ ჭიაურელმა, ნიკოლოზ შენგელაიამ, მიხეილ თუმანიშვილმა, რობერტ სტურუამ, რევაზ გაბრიაძემ, თენგიზ აბულაძემ, სერგო ფარაჯანოვმა, ოთარ იოსელიანმა, ელდარ შენგელაიამ, გიორგი შენგელაიამ, რეზო ესაძემ და სხვ.; კომპოზიტორებმა და მუსიკალური, საბალეტო და საოპერო ხელოვნების ოსტატებმა: ზაქარია ფალიაშვილმა, ევგენი მიქელაძემ, ვახტანგ ჭაბუკიანმა, ჯანსუღ კახიძემ, გია ყანჩელმა, ზურაბ სოტკილავამ, ლამარა ჭყონიამ, პაატა ბურჭულაძემ, ნინო ანანიაშვილმა და სხვ. განსაკუთრებული წვლილი სამსახიობო ოსტატობის განვითარებაში შეიტანეს: სანდრო ჟორჟოლიანმა, სესილია თაყაიშვილმა, ვერიკო ანჯაფარიძემ, აკაკი ვასაძემ, ვასო გოძიაშვილმა, ეროსი მანჯგალაძემ, სალომე ყანჩელმა, რამაზ ჩხიკვაძემ, მედეა ჩახავამ, კახი კავსაძემ, გივი ბერიკაშვილმა, სოფიკო ჭიაურელმა და სხვ. ქართულ ხალხურ ცეკვასა და მრავალხმიან სიმღერას მსოფლიო აღიარება მოუტანეს ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით დაარსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა, ქართული ხალხური სიმღერის გუნდმა «რუსთავმა» და სხვ. ე.წ. ქალაქური სალხინო სიმღერა მთელი თავისი ხიბლით წარმოაჩინეს «დებმა იშხნელებმა», «ცისფერმა ტრიომ» და სხვ.

ნაციონალურ მასშტაბებს გასცდა ქართველი ფილოსოფოსების, მეცნიერების შემეცნებითი და საკვლევაძიებო ძალისხმევა. ამ კუთხით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ივანე ბერიტაშვილის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, ნიკო მუსხელიშვილის, ევგენი ხარაძის, მერაბ მამარდაშვილის, გივი მარგველაშვილისა და სხვათა მოღვაწეობა.

სამოქალაქო, საგანმანათლებლო დ სამეცენატო სფეროში ფასდაუდებელია ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, დავით სარაჯიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, ექვთიმე თაყაიშვილის, მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის, მიხეილ თამარაშვილის, რევაზ თაბუკაშვილისა და სხვათა მოღვაწეობა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ფენომენალური მიღწევები ჰქონდათ ქართველ მოჭადრაკე ქალებს: ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონებს ნონა გაფრინდაშვილსა და მაია ჩიბურდანიძეს, დიდოსტატებს ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს, ნინო გურიელს.

უდიდესი წარმატებები მოუტანეს ქართულ სპორტს ვიქტორ სანეევმა, ლევან თედიაშვილმა, ლერი ხაბელოვმა, დავით გობეჯიშვილმა და სხვ.

1981 წლის 13 მაისს თბილისის საფეხბურთო გუნდმა «დინამომ», გამოჩენილი მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის თაოსნობით, მოიპოვა ევროპის თასის მფლობელთა თასი. ქართული გუნდის გარდა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ისტორიაში მხოლოდ ერთ გუნდს — კიევის ,,დინამოს,, ერგო მსგავსი წარმატება.

1970-იან წლებში საქართველოში აქტიურად ამოქმედდა ანტისაბჭოური, ე.წ. არაფორმალური პოლიტიკური ორგანიზაციები. 1974 წელს საქართველოში დაფუძნდა «ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი», რომელშიც შედიოდნენ დისიდენტები მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. 1978 წელს ძმებმა ლევან და დავით ბერძენიშვილებმა, ვახტანგ ძაბირაძესთან ერთად, «რეს-პუბ-ლიკური პარტია» დააარსეს და სხვ. ეს მცირერიცხოვანი დისიდენტური ჯგუფები დაუფარავად მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლებისგან ადამიანის უფლებების დაცვას და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის იღვწოდნენ, რასაც საბჭოთა ხელი-სუფლებამ მათი დაპატიმრებით უპასუხა.

საბჭოთა კავშირში «გარდაქმნის» პროცესის დაწყებას ტოტალიტარული რეჟიმის რყევა მოჰყვა. 1987 წელს მთელ სსრკ-ში გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები, რომელთა შორის იყო დისიდენტური მოძრაობის ლიდერი მერაბ კოსტავა. 1988 წლიდან საქართველოში მცირერიცხოვანი დისიდენტური მოძრაობის რამდენიმე წარმომადგენელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად იქცა. 1990 წლის მარტში საქართველოში პირველი თავისუფალი არჩევნები გაიმართა, რომლის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა ზვიად გამსახურდია და მისი მომხრე პოლიტიკური გაერთიანება.

პრეზიდენტად არჩეულმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი გამოაცხადა, საქართველომ დატოვა საბჭოთა იმ-პერიის რიგები. სულ მალე საბჭოთა კავშირი დაიშალა.

ამავდროულად, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები უამრავი დაბრკოლებითა და უმძიმესი შეცდომებით იყო და არის აღსავსე. დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე თავი იჩინა არაერთმა საზოგადოებრივმა მანკიერებამ: რადიკალურმა დაპირისპირებამ პოლიტიკურ ძალთა შორის, ეთნოცენტრიზმმა, ქსენოფობიურმა განწყობამ. 1990-ანი წლების დასაწყისის პოლიტიკისთვის დამახასიათებელმა რადიკალიზმმა სამოქალაქო ომის გაჩაღებას შუწყო ხელი, გამოიწვია ე.წ. ეთნიკური დაპირისპირების ესკალაცია, რაც საბოლოოდ საომარ კონფლიქტებში გადაიზარდა. წლების განმავლობაში რუსეთი ამ ვითარებას საქართველოში თავისი იმპერიული პოლიტიკის გასატარებლად იყენებდა, ხოლო 2008 წლის 8 აგვისტოს მან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაუფარავი ოკუპაცია განახორციელა.

დღესდღეობით ამა თუ იმ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოში თანასწორუფლებიან მოქალაქეებად თავს ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ, თუმცა დაწყებულია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი, რომლის საბოლოო შედეგი სამოქალაქო ერის ჩამოყალიბება უნდა გახდეს.

მომზადებულია
ტოლერანტობის ცენტრის
მიერ

აფხაზები

აფხაზები — ხალხი, აფხაზეთის აბორიგენული მოსახლეობა. 1989 წლის აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 95,9 ათასი აფხაზი, აფხაზეთში — 93,3 ათასი, ხოლო მთლიანად სსრ კავშირში — 105 ათასი. 2003 წელს აფხაზეთში ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით, აფხაზთა რაოდენობა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 94,5 ათას კაცს უდრიდა[1]. გარდა ამისა, მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა (სავარაუდოდ, 400 ათას კაცამდე[2]) განსახლებულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთი, სირია, იორდანია და სხვ.), ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსა და აშშ-ში.

ენა და სახელწოდება

აფხაზური ენა, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლურ, ანუ აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს ეკუთვნის, აფხაზეთში დღეს წარმოდგენილია *ბზი-ფური* და *აბჟუური* დიალექტებით. პირველი მათგანი გავრცელებულია, ძირითადად, ქ. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, მეორე კი — სამხრეთ-აღმოსავლეთით. განსხვავებები აღნიშნულ დიალექტებს შორის, პირველ ყოვლისა, შეინიშნება ფონეტიკაში: ბზიფურ დიალექტს უფრო რთული ფონეტიკური სისტემა აქვს, რაც რამდენიმე სპეციფიკური ბგერის არსებობაში გამოიხატება, რომლებიც არ გვხვდება აბჟუურ დიალექტში.

გარდა ამისა, აფხაზურ დიალექტებს შორის გარკვეული სხვაობაა ლექსიკაშიც, კერძოდ, აბჟუურში ვხვდებით მეგრულ და ქართულ ლექსიკურ ელემენტებს, მაშინ როდესაც ბზიფურში, რომელზე მეტყველთაც წარსულში მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ ჩერქეზულ ტომებთან, შესულია ადიღური სიტყვების გარკვეული რაოდენობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსიკური განსხვავებები მთლიანობაში ხელს არ უშლის აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებზე მეტყველთ ადვილად გაუგონ ერთმანეთს.

აფხაზურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს აბჟუური დიალექტი.

აფხაზურ ენასთან ძალიან ახლოს დგას ჩრდილოკავკასიელი აბაზების ენა. აფხაზური და აბაზური ენები, ფაქტობრივად, ერთ ენობრივ ერთეულს წარმოადგენენ. მხოლოდ ტერიტორიული დაცილებისა და სალიტერატურო ენის ორ სხვადასხვა საფუძველზე ჩამოყალიბების გამო არის მიღებული აფხაზური (სალიტერატურო) ენის გარჩევა აბაზური (სალიტერატურო) ენისაგან[3].

ჩრდილო კავკასიის ხალხებიდან ენითა და კულტურით აფხაზებს ენათესავებიან აგრეთვე ადიღები (ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) და უბიხები. ეს უკანასკნელნი 1864 წლამდე დღევანდელი ქ. სოჭის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ხოლო

ამჟამად, ძირითადად, თურქეთში არიან განსახლებულნი. გარდა ამისა, აფხაზები მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებით უახლოვდებიან ქართველებს, რომლებთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და თანაცხოვრებამ გავლენა იქონია მათ ენასა და ანთროპოლოგიურ ტიპზე.

აფხაზთა საკუთარი სახელწოდებაა — *აფსუა*. ქართველები მათ «აფხაზებს» უწოდებენ და ქართული ენიდან გავრცელებული ეს ეთნიკური ტერმინი დღეს ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში.

თურქულ და ზოგიერთ ჩრდილო კავკასიელი ხალხის ენაში აფხაზების სახელწოდებაა «აბაზა».

ისტორიული ნარკვევი

პრეისტორიული ხანა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უძველესი ნაკვალევი 400-100 ათასი წლის წინანდელი აშელის კულტურით თარიღდება, რომელიც, არქეოლოგიური პერიოდიზაციით ქვის ხანის ერთ-ერთი ადრინდელი საფეხურია. აფხაზეთში კარგად არის წარმოდგენილი, აგრეთვე, ქვის ხანის შემდგომი პერიოდების ძეგლები. ძვ.წ. V ათასწლეულის მეორე ნახევარსა და IV ათასწლეულის დასაწყისში კავკასიაში იწყება ლითონების ათვისება, დაახლოებით 1000 წლის შემდეგ კი — ბრინჯაოს ხანა, როდესაც ლითონმა, როგორც საწარმოო იარაღის დასამზადებელმა მასალამ, საბოლოოდ გაიმარჯვა ქვაზე. აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ უძველეს ბრინჯაოს ნივთებს სპეციალისტები ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე-მესამე მეოთხედით ათარიღებენ.

ბრინჯაოს ეპოქის ნაგებობებიდან აფხაზეთში შემორჩენილია მეგალითური სამარხი ნაგებობები — *დოლმენები* (ძვ.წ. III-II ათასწლ.). ამ ტიპის ძეგლები, რომლებიც ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანით თარიღდება, მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც გვხვდება (დასავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილო აფრიკაში და სხვ.). კავკასიური დოლმენების გავრცელების არეალია ჩრდილო-დასავლეთ კავკასია მდ. ყუბანიდან მოყოლებული თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით (მდ. ღალიძგამდე).

ძვ.წ. XIII-VII საუკუნეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულია ბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე *კოლხური კულტურა*. იგი მოიცავს ტერიტორიას აფხაზეთიდან ქ. ორდუმდე მცირე აზიაში, აღმოსავლეთით კი სცილდება ლიხის ქედს. ამ ვრცელ არეალში წარმოდგენილია კოლხური კულტურის რამდენიმე ლოკალური ვარიანტი — აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ჭოროხის აუზისა და სხვ. კავკასიის ისტორიის ამ არქაულ პერიოდში, რომელიც არ არის გაშუქებული წერილობით ძეგლებში, შეუძლებელია დაბეჯითებით ითქვას რაიმე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, თუმცა ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური, ტოპონიმიური და სხვა სახის წყაროების მოშველიება, გარკვეულწილად, საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის ეთნიკურ სპეციფიკაზე. კერძოდ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხური კულტურის მატარებელ ტომებში იყვნენ როგორც წინარე ქართველური, ასევე წინარე აფხაზურ-ადიღური ტომები. ასე რომ, ქართველი

და აფხაზი ხალხების წინაპართა თანაცხოვრება და მრავალმხრივი მჭიდრო ურთიერთობები შორეულ წარსულში იღებს სათავეს.

ანტიკური ხანა. ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორია წერილობითი წყაროების თვალთახედვის არეში ძვ.წ. VI საუკუნიდან ხვდება. ბერძენი ავტორები აქ მრავალ სხვადასხვა ტომს ასახელებენ, მაგრამ მათი ცნობები ამ ტომთა შესახებ საკმაოდ მწირია და ეთნიკური კუთვნილების საკითხი საკამათო რჩება.

შედარებით უკეთესადაა ცნობილი ვითარება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ.წ. დასაწყისიდან, როდესაც ეს მხარე რომის იმპერიის გავლენის სფეროში ექცევა. I-II საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდება ახალი ეთნიკური სახელწოდებები, რომელთაგან აღსანიშნავია *აფსილები* და *აბაზგები* (ქართულ წყაროებში: *აფშილები* და *აფხაზები*). ამ ტომების საერთო წარმოშობაზე უკვე მათი სახელწოდებები მიანიშნებს, რომლებიც მომდინარეობენ ერთი ფუძიდან — *ფს-ბზ*. ეთნონინიმ «აფსილიდანაა» წარმოშობილი აფხაზთა საკუთარი სახელწოდება (ავტოეთნონიმი) «აფსუა», ხოლო «აბაზგიდან» — ალოეთნონიმები «აფხაზი» და «აბაზა».

მეცნიერების უმრავლესობა (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, ლ. ლავროვი, ზ. ანჩაბაძე, ე. ხოშტარია-ბროსე, ნ. ლომოური, მ. ინაძე და სხვ.) მიიჩნევს, რომ აფსილები და აბაზგები აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომები იყვნენ და თანამედროვე აფხაზი ხალხის წინაპრები არიან.

ახ.წ. პირველ საუკუნეებში აფსილებს, აბაზგებსა და მათ მეზობლად მცხოვრებ სხვა ტომებს საკუთარი ბელადები ჰყავდათ, რომლებსაც ბერძნულ-რომაული წყაროები მეფეებად მოიხსენიებენ. ეს «მეფეები» რომის იმპერატორთა უზენაესობას აღიარებდნენ, მაგრამ საშინაო საქმეებში დამოუკიდებლად მართავდნენ თავის საგამგებლო ტერიტორიებს.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომობრივი სამთავროებიდან IV-V საუკუნეებში განსაკუთრებით ძლიერდება *ეგრისი*, ანუ *ლაზიკა*, რომელიც დასავლურ ქართულ ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა. ეგრისის მეფეებმა მოახერხეს სხვა ადგილობრივი ტომების, მათ შორის აფსილებისა და აბაზგების, დამორჩილება, თუმცა, ამავე დროს, თვითონაც აღიარებდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) უზენაეს ძალაუფლებას.

აფხაზეთი VI-VIII საუკუნეებში. ბიზანტიის გავლენა ეგრის-აფხაზეთში ხელს უწყობდა ქრისტიანობის განმტკიცებას, თუმცა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების აღმოფხვრა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ბერძენი ისტორიკოსის ცნობით, VI საუკუნეში აფხაზური ტომები ქრისტიანობის აღმსარებლები იყვნენ, მაგრამ შენარჩუნებული ჰქონდათ ხეების თაყვანისცემა და წარმართობის სხვა გადმონაშთები.

ეგრისის ვასალებიდან შინაგანი დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი დონე ჩრდილოეთით მცხოვრებ აბაზგებს ჰქონდათ, რომლებმაც საკუთარი მეფე-მთავრების ინსტიტუტი შეინარჩუნეს. VI საუკუნის პირველ ნახევარში აბაზგები განუდგნენ ეგრისის მეფეებს და უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორს დაემორჩილენ[4]. 550 წელს აბაზგები ბიზანტიელებსაც აუჯანყდნენ, მაგრამ იმპერატორის მიერ გამოგზავნილმა

არმიამ დაამარცხა აჯანყებულთა ლაშქარი და იერიშით აიღო მათი მთავარი გამაგრებული პუნქტი — *ტრაქეა* (დღევანდელ ახალ ათონთან).

აბაზგებმა მალე მოიშუშეს 550 წელს მიყენებული ჭრილობები და VII საუკუნისათვის მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ ყალიბდება ადრეფეოდალური ტიპის აბაზგიის სამთავრო, რომლის შემადგენლობაში შედიან აფსილები და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა ტომები. ამ პოლიტიკური გაერთიანების ფარგლებში VII-VIII საუკუნეებში აქტიურად მიმდინარეობს ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი. როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს: «VIII საუკუნისათვის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აშკარა უპირატესობა აბაზგებმა მოიპოვეს. ეს ეთნიკური სახელი მალე უფრო ფართო, განმაზოგადებელ მნიშვნელობას იძენს. მისი ქართული ფორმა — «აფხაზი», რომელიც მიღებულია «აბაზგი», «აბაზხი»-დან თანხმოვანთა შინაგანი გადაჯგუფების გზით, ქართული ენის ფონეტიკური კანონების თანახმად, თანდათანობით საყოველთაო გავრცელებას პოულობს»[5]. მართლაც, VI-VIII საუკუნეებში წერილობითი წყაროებიდან ქრება აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები შედარებით წვრილი ტომური ერთეულების (მისიმიანები, სანიგები, ბრუქები, აფსილები) მოხსენიება და მათ ნაცვლად მემატიანეები უკვე მხოლოდ აბაზგებს, ანუ აფხაზებს, ასახელებენ.

ამრიგად, აფხაზური ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბება, ძირითადად, VIII საუკუნეში დასრულდა. ამ პროცესში მთავარი როლი შეასრულეს აბაზგებმა და აფსილებმა. ამ მცირე ეროვნებების შერწყმამ ჩამოაყალიბა ფეოდალური ეროვნების ბირთვი, რომელსაც შემდეგში შეერწყნენ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური კომპონენტები[6].

აბაზგიის პოლიტიკური გაძლიერება ხდებოდა ეგრისის სამეფოს დაცემის ფონზე, რომელიც ძალიან დააზარალა მის ტერიტორიაზე მიმდინარე ხანგრძლივმა ომებმა. მას შემდეგ, რაც VII საუკუნეში ბიზანტიელებმა გააუქმეს ეგრისის სამეფო, ჰეგემონობა თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თანდათანობით აბაზგიის (აფხაზეთის) მთავრების ხელში გადავიდა.

ამ პერიოდში აფხაზთა მთავრები პოლიტიკურ კავშირებს ამყარებენ აღმოსავლეთ საქართველოსთან. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია VIII საუკუნის 30-იანი წლები, როდესაც ქართლის მეფეებმა მიჰრმა და არჩილმა არაბთა შემოსევის დროს აფხაზეთს შეაფარეს თავი. 736 წელს აფხაზ-ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა *ანაკოფიასთან* (ძველი ტრაქეა) არაბთა ძლიერი შემოტევა მოიგერიეს, რამაც არაბებს უკან დაახევინა და მალე მათ დასავლეთ საქართველოს ტერიტორია დატოვეს.

VIII საუკუნის 80-იან წლებში აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ თავისი ხელისუფლება მთელს დასავლეთ საქართველოზე გაავრცელა, რომლის მოსახლეობა, ბიზანტიელი და არაბი დამპყრობლების თარეშით შეწუხებული, დაინტერესებული იყო ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნით. პირველ ხანებში ლეონ II ჯერ კიდევ ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ VIII საუკუნის ბოლოს მან ისარგებლა ბიზანტიაში ატეხილი შინაური შფოთით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლეონმა მიიღო «აფხაზთა მეფის» ტიტული და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო ისტორიაში შევიდა *აფხაზთა სამეფოს* სახელწოდებით.

აფხაზთა სამეფო. აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, რომელთა ხვედრითი წილი კიდევ უფრო გაიზარდა ლეონ II-ის მემკვიდრეების დროს, რომლებმაც თავისი ძალაუფლება აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე გაავრცელეს. ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ აფხაზთა სამეფო თავისი ჩამოყალიბებიდან მოკლე ხანში აქტიურად ჩაერთო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური წარმონაქმნების სისტემაში[7].

აფხაზთა სამეფო მონაწილეობდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში და ამ საქმეში პოზიტიური წვლილი შეიტანა. საკუთრივ აფხაზები, რომლებიც ძირითადად სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი: «აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა... იყო შედეგი არა ურთიერთ დაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათანი მშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში»[8].

978 წელს აფხაზთა სამეფო ტახტზე ბაგრატ ბაგრატიონი ავიდა, რომელიც მამის მხრიდან სამხრეთ საქართველოს მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, ხოლო დედის მხრიდან — აფხაზთა მეფეების შთამომავალი. მან წარმატებით გააგრძელა წინაპართა გამაერთიანებელი პოლიტიკა და ისტორიაში შევიდა როგორც საქართველოს პირველი გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ III (978-1014).

ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთი შედიოდა, ძირითადად, აფხაზეთის საერისთავოს სახით, რომლის სათავეში XII საუკუნიდან შარვაშიძეთა (აფხაზურად: ჩაჩბა) ფეოდალური საგვარეულო იდგა. აფხაზები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ერთიანი საქართველოს ცხოვრებაში. კერძოდ, აქტიურად მონაწილეობდნენ მის საგარეო ომებში, ხოლო როდესაც XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველო მონღოლებმა დაიმორჩილეს, აფხაზები ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაებნენ.

აფხაზეთის სამთავროს ჩამოყალიბება. ერთიანი ქართული სამეფო XV საუკუნეში რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიშალა. აფხაზეთის საერისთავო დასავლეთ საქართველოს, ანუ იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. დროთა ვითარებაში იმერეთის სამეფოში შემავალი საერისთავოებიც გადაიქცნენ სუვერენულ სამთავროებად (ოდიშის, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის), რომლებიც, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ იმერეთის მეფეთა უზენაესობას. აფხაზეთის სამთავრო, რომლის სათავეში შარვაშიძეთა საგვარეულო იდგა, თავდაპირველად ოდიშის მთავართა ვასალი იყო, მაგრამ XVI საუკუნის მეორე ნახევარში ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა.

აფხაზთა ნაწილის გადასახლება ჩრდილო კავკასიაში. ერთიანი სამეფოს დაშლის პერიოდში საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მძიმდება. ეს მდგომარეობა აფხაზეთსაც შეეხო. აქ აღარ მიმდინარეობს ტაძრების, ხიდებისა და სასახლეების მშენებლობა, რაც დამახასიათებელი იყო აფხაზთა სამეფოსა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს დროისათვის. როგორც ჩანს, გართულებულმა

პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი აიძულა კავკასიონს გადაღმა გადასულიყო. XIV საუკუნიდან ჩრდილო კავკასიაში (მდ. ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების სათავეებში) მკვიდრდება აფხაზური ეთნოსის ნაწილი, რომელიც დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა როგორც თავისთავადი აბაზა ხალხი. ამიტომ შემდეგი დროის ევროპელი ავტორები ისტორიულ აფხაზეთს «ძველ» ან «დიდ აფხაზეთად» მოიხსენიებენ, აბაზებით დასახლებულ მხარეს კი — «მცირე აფხაზეთად»[9].

აფხაზეთის სამთავრო XVII—XVIII საუკუნეებში. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ოსმალთა იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში ექცევა. სანაპირო პუნქტებში (მათ შორის სოხუმში) ოსმალთა გარნიზონები დგებიან და ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებს ხარკს ადებენ. ოსმალური ხარკი აფხაზეთსაც ჰქონდა შეწერილი, მაგრამ აფხაზები მას იშვიათად იხდიდნენ. ოსმალთა პოლიტიკურ გავლენას თან სდევდა აფხაზეთში ისლამის გავრცელება. XVIII საუკუნის ბოლოსათვის უკვე საკმაოდ ბევრი აფხაზი გამუსლიმდა, განსაკუთრებით თავად-აზნაურთაგან. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა აფხაზეთში არასოდეს ჩამკვდარა, რასაც ხელს უწყობდა ქართველებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება. ამ პერიოდში აფხაზეთის სამთავრო აქტიურად მონაწილეობს, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს შინაომებში. ამ ომების პროცესში XVII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის მთავრებმა თავისი სამფლობელოები კოდორიდან ენგურამდე გააფართოვეს.

აფხაზეთის სამთავრო, როგორც ფეოდალური წარმონაქმნი, არ გამოირჩეოდა შინაგანი სიმტკიცით. მთავრის უშუალო მმართველობის ქვეშ მხოლოდ მდინარე ბზიფსა და მდინარე კოდორს შორის მდებარე ტერიტორია იმყოფებოდა (ისტორიული ოლქები — *ბზიფი* და *გუმა*). მიწები მდ. კოდორიდან ენგურამდე (ისტორიული ოლქები — *აბჟუა* და *სამურზაყანო*) შარვაშიძეთა გვარის უმცროსი შტოების საუფლისწულო სამფლობელოებს წარმოადგენდნენ, რომლებიც სამთავროში ავტონომიის მაღალი დონით სარგებლობდნენ. მთავრებს მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდნენ, აგრეთვე, მთიანი აფხაზეთის თემები (*წაბალი, დალი, ფსხუ* და სხვ.) და ბზიფის დასავლეთით მცხოვრები აფხაზური ტომები — *საძები* (ქართული წყაროებით — *ჯიქები*). გარდა ამისა, მთავრებისა და უფლისწულების საგამგებლო ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი თავადური საგვარეულოების ხელში იყო, რომლებიც ასევე ნახევრადდამოუკიდებელ მფლობელებად მიიჩნევდნენ თავს. ასეთი პოლიტიკური სისტემა ფეოდალურ ანარქიას უწყობდა ხელს, რითიც ოსმალები სარგებლობდნენ თავისი პოზიციების გასამტკიცებლად. აფხაზები ხშირად გამოდიოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ (1725, 1728, 1733, 1771, 1806 წწ. და სხვ.). ზოგჯერ ეს გამოსვლები ქართველ მეფე-მთავრებთან იყო კოორდინირებული.

რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მიერ იქნა ანექსირებული. ამან შემდგომში საქართველოს სხვა ნაწილების რუსეთთან შეერთებაც განაპირობა. აფხაზეთში რუსეთის ჯარები 1810 წელს შეიჭრნენ და ხელთ იგდეს ქ. სოხუმი. მაგრამ აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს რუსები დიდხანს ვერ აკონტროლებდნენ. ამიტომ პირველ ხანებში შენარჩუნებული იქნა აფხაზეთის მთავრების ხელისუფლება შეზღუდული ავტონომიის სახით. მხოლოდ

მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ გატეხა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგობა და სრული კონტროლი დაამყარა აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე, პეტერბურგში მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, აფხაზეთში კი უშუალო რუსული მმართველობა შემოიღეს (1864 წ.).

ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ და მუჰაჯირობა. აფხაზი ხალხი რუსული კოლონიური რეჟიმის დამყარებას მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. ფართომასშტაბიან შეიარაღებულ აჯანყებებს ადგილი ჰქონდა 1821-1827, 1840-1842, 1866, 1877 წლებში. აჯანყებების სისხლში ჩახშობას თან სდევდა აფხაზთა იძულებითი მიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში. 1864 წელს კავკასიის მთიელი ხალხების დამარცხების შემდეგ რუსეთის მთავრობა შეუდგა ადრე შემუშავებული გეგმის განხორციელებას — მთიელთა განდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან. მაშინ აიძულეს 700 ათასამდე ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, დაღესტნელი და სხვა მთიელნი ოსმალეთში გადასულიყვნენ. სამშობლოდან განდევნილებს «მუჰაჯირებს» უწოდებდნენ, რაც არაბულად «გადასახლებულს» ნიშნავს. 1864 წლის მუჰაჯირთა შორის აფხაზთა რაოდენობა 20 ათასს აღემატებოდა. დაახლოვებით ამდენივე აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ხოლო 1877 წლის აჯანყების შემდეგ აფხაზეთი დატოვა კიდევ 30-40 ათასმა ადამიანმა. მთლიანობაში ოსმალეთში გადასახლებული აფხაზებისა და აბაზების საერთო რაოდენობას 135 ათასი კაცით ანგარიშობენ[10]. ამრიგად, რუსეთის აფხაზეთში გაბატონებისა და აფხაზთა შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგი იყო აფხაზური ეთნოსის დიდი ნაწილის სამშობლოდან გაძევება. საზღვარგარეთის აფხაზური დიასპორა (დსთ-ს ქვეყნებს გარდა), ძირითადად, XIX საუკუნის მუჰაჯირთა შთამომავალია.

«დამნაშავე მოსახლეობა». აფხაზთა უკანასკნელი, 1877 წლის, აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ სამშობლოში დარჩენილი აფხაზების სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. პრაქტიკულად, მთელი აფხაზი ხალხი (მცირე გამონაკლისის გარდა) ოფიციალურად გამოცხადებული იყო «დამნაშავე მოსახლეობად» და მისი უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. აფხაზებს აეკრძალათ, აგრეთვე, აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ცხოვრება: კერძოდ, ზღვისპირეთში, მაღალმთიან ზონასა და სოხუმის მიდამოებში — ქალაქიდან 25 კილომეტრის სიახლოვეს. «დამნაშავე მოსახლეობის» სტატუსი აფხაზ ხალხს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს.

აფხაზეთი 1880-1917 წლებში. აფხაზეთის დაცარიელებულ ადგილებზე რუსული ხელისუფლება ასახლებდა კოლონისტებს — რუსებს, სომხებს, ბერძნებსა და სხვ., რათა, აქ მათი სახით, მთავრობის ერთგული მოსახლეობა გაჩენილიყო. აფხაზეთში ჩასახლება დაიწყეს ქართველებმაც, განსაკუთრებით მეზობელი სამეგრელოდან. მეგრელთა გარკვეული ნაწილი აფხაზეთში ადრეც ცხოვრობდა, მაგრამ მასობრივი გადასახლება სწორედ XIX საუკუნის ბოლოდან იწყება. ქართველების აფხაზეთში ჩასახლებას რუსეთის ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ეს პროცესი მაინც განვითარდა. თანდათანობით ქართველები აფხაზეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი გახდა. ბევრი იყო რუსი, სომეხი, ბერძენი. გარკვეული რაოდენობით ცხოვრობდნენ თურქები, ესტონელები, ბულგარელები და სხვ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება აფხაზური კულტურის აღორძინება, ყალიბდება აფხაზური ინტელიგენცია, რომელიც მოწინავე ქართული და რუსული საზოგადოებრივი აზრის გავლენას განიცდის. აფხაზურ ენაზე ითარგმნა სასულიერო წიგნები (მათ შორის «ოთხთავი»), იქმნება აფხაზური ენის სახელმძღვანელოები და პირველი მხატვრული ნაწარმოებები.

დამწერლობა. აფხაზური ენა ახალდამწერლობიანი ენაა. ადრეულ შუა საუკუნეებში კულტურის იარაღად აფხაზეთში ბერძნული ენა და დამწერლობა გამოიყენებოდა. აფხაზთა სამეფოს დროიდან მოყოლებული გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მწიგნობრობის, სახელმწიფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა ქართული გახდა. ოსმალთა დომინირების პერიოდში, განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან, აფხაზეთში ვრცელდება თურქულ-ოსმალური დამწერლობა, თუმცა არც ქართული იყო დავიწყებული. XIX საუკუნის შუა ხანებიდან გავრცელებას იწყებს რუსული ენა და დამწერლობა. რუსულმა ადმინისტრაციამ, აფხაზეთში ქართული და ოსმალური კულტურული გავლენის შეზღუდვის მიზნით, საჭიროდ ჩათვალა შეექმნა რუსულ გრაფიკაზე დამყარებული აფხაზური ანბანი, რასაც მომავალში უნდა გაეადვილებინა აფხაზთა გარუსება. ასე იქმნება 1862 წელს პირველი აფხაზური ანბანი, რომელიც შემდგომ რამდენჯერმე შეიცვალა: 1926-1928 წლებში მოქმედებდა აკად. ნ. მარის მიერ შედგენილი ე.წ. ანალიტიკური ანბანი, 1928-1938 წლებში სარგებლობდნენ ლათინიზებული დამწერლობით, 1938-1954 წლებში მოქმედებდა ქართული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ანბანი, ხოლო 1954 წლიდან კვლავ რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი გამოიყენება. დამწერლობის ასეთი ხშირი ცვლა, რა თქმა უნდა, ნეგატიურ გავლენას ახდენდა აფხაზური კულტურის განვითარებაზე.

აფხაზეთი 1917-1920 წლებში. 1917 წელს რუსეთში მომხდარი რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერია დაიშალა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა — საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს (1918 წ. მაისი). აფხაზეთში რამდენიმე პოლიტიკური მიმდინარეობა იყო. კერძოდ, იყვნენ როგორც საქართველოსთან გაერთიანების მომხრეები, ასევე ჩრდილო კავკასიასთან ერთობის მხარდამჭერნი. საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოსთან ერთობის იდეამ. აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა ავტონომიის პირობით.

საბჭოთა ეპოქა. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს საქართველოს რესპუბლიკა. პირველ ხანებში ფორმალურად ითვლებოდა, რომ ქვეყანა დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა — შეიცვალა მხოლოდ პოლიტიკური წყობილება და საქართველო იქცა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. თავიდან ასეთივე სტატუსი მიანიჭეს კომუნისტებმა აფხაზეთსაც («საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აფხაზეთი»). რამდენიმე თვის შემდეგ აფხაზეთის რესპუბლიკა, ე.წ. ხელშეკრულების საფუძველზე, შევიდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. ეს ვითარება (რესპუბლიკა რესპუბლიკაში) გაგრძელდა 1931 წლამდე, როდესაც აფხაზეთის სტატუსი უკვე ავტონომიური რესპუბლიკის სახით იქნა განსაზღვრული და ასეთად დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები XX საუკუნეში. როგორც ზემოთ ითქვა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. საუკუნეების განმავლობაში ამ ხალხებს შორის მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობა სუფევდა.

ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში (XIX-XX ს-ის დასაწყისი) აფხაზი მიჩნეულია გმირობის, ვაჟკაცობის, ერთგულების განსახიერებად, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ამ ურთიერთობების რღვევა დაიწყო. ვითარება ურთიერთობები აფხაზეთში განსაკუთრებით დაიძაბა 1940-იანი წლებიდან. ამის ძირითადი მიზეზი იყო კომუნისტების მანკიერი საშინაო პოლიტიკა (საკადრო, დემოგრაფიული, სასკოლო და ა.შ.), თუმცა ეთნიკურ დაპირისპირებას, როგორც ჩანს, ზოგჯერ სპეციალურადაც აღვივებდნენ საბჭოთა ცენტრის გარკვეული სამსახურები, რათა აფხაზეთი და, მთლიანად, საქართველო უფრო ძლიერი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ. აფხაზთა გამოსვლები სხვადასხვა მოთხოვნებით, პერიოდულად, მასობრივ ხასიათს იძენდა (1956, 1967, 1978 წწ.). ამ მოთხოვნებში ზოგჯერ ჟღერდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის ლოზუნგიც, რაც ქართველთა საპროტესტო აქციებს იწვევდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოფით დონეზე ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში არ მიუღია ეთნიკური ანტაგონიზმის ხასიათი, რასაც მოწმობს თუნდაც შერეული ქორწინებების სიმრავლე.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ძალიან დაიძაბა 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების კრიზისის პერიოდში, როდესაც საქართველოსა და აფხაზეთში ჩამოყალიბდნენ და გავლენა მოიპოვეს ეროვნულმა მოძრაობებმა. ნაციონალისტური მიმართულებების ორგანიზაციათა აქციები და მოთხოვნები, როგორც წესი, რადიკალურ ხასიათს ატარებდნენ. პოლიტიკურმა კონფლიქტმა მალე ეთნიკური დაპირისპირების ფორმა მიიღო და 1992-1993 წლების ომში გადაიზარდა, რომელსაც ათასობით ადამიანი ემსხვერპლა. აფხაზეთის დატოვება მოუხდა მისი ქართული მოსახლეობის (245 ათასი ადამიანი) დიდ ნაწილსაც.

ქართულ-აფხაზური ომის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ჩიხი დღემდე გადალახული არ არის, თუმცა ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები არ მიმდინარეობს. თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკა არ აღიარებს საქართველოს იურისდიქციას. მხარეები კვლავ დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციებზე რჩებიან.

მეურნეობა და მატერიალური კულტურა

სოფლის მეურნეობა. აფხაზთა მეურნეობის ტრადიციული დარგებია ინტენსიური მიწათმოქმედება და მეცხოველეობა; დამხმარე — მეფუტკრეობა და მონადირეობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან წამყვანი ადგილი ეკავა სიმინდს, რომელმაც ნაწილობრივ დაჩრდილა ღომი, წარსულში დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის ძირითადი პურეული მარცვლოვანი. გარდა ამისა, მოჰყავდათ ქერი, ლობიო, მცირე რაოდენობით — ხორბალი.

მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მეღვინეობა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მხოლოდ ბზიფის აფხაზეთში (ახლანდელი გუდაუთის რაიონი) — მეღვინეობის ძირითად ზონაში — ყურძნის 30-ზე მეტი სხვადასხვა ჯიში იყო გავრცელებული, მთლიანად აფხაზეთში კი დაახლოებით ორჯერ მეტი[12]. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ფართოდ დაინერგა ყურძნის ამერიკული მოსავლიანი ჯიში —

იზაგელა (შემოიტანეს XIX საუკუნის ბოლოს), ადგილობრივი ჯიშების გავრცელება მნიშვნელოვნად შეიზღუდა, ზოგიერთი კი საერთოდ გაქრა.

აფხაზური სოფლები ხილის ბაღებით იყო მდიდარი, ხარობდა ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, გარგარი, თხილი, კაკალი, ლეღვი, ალუბალი და სხვ. მოჰყავდათ ბოსტნეული კულტურებიც, რომელთაც XIX საუკუნიდან კომბოსტო და კარტოფილი დაემატა.

ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებული იყო ბამბა, სელი, კანაფი, რომლებიც თითქმის ყველა ოჯახს მოჰყავდა, რაც ნატურალური მეურნეობის გადმონაშთების შედეგი იყო. XX საუკუნეში აითვისეს, აგრეთვე, მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის მეორე უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორც აღვნიშნეთ, იყო მეცხოველეობა. დიდი რაოდენობით ჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი (ძროხა, კამეჩი, თხა, ცხვარი), აგრეთვე ცხენი, სახედარი, ჯორი. ისლამის გავრცელებამდე ფართოდ მისდევდნენ მეღორეობასაც, რომელიც შემდეგ უფრო აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში შემორჩა. საქონელი ზამთარ-ზაფხულს, პრაქტიკულად, ღია ცის ქვეშ ატარებდა. გაზაფხულის ნაწილსა და მთელ ზაფხულს საქონელი მთაში ჰყავდათ. აფხაზები საზაფხულო საძოვრებად იყენებდნენ კავკასიონის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ფერდობებს. წლის სხვა დროს სარგებლობდნენ ზღვისპირა და მთისწინა ზოლებში არსებული საძოვრებით.

აფხაზეთის ზღვისპირა რაიონებში XIX საუკუნეში გარკვეულ როლს ასრულებდა საზღვაო რეწვა. კერძოდ, ნადირობდნენ დელფინებზე, რომლის ქონს ბერძენი და თურქი ვაჭრები ყიდულობდნენ. დელფინზე სანადიროდ აფხაზები ზღვაში მთლიანი მორისგან გამოთლილი ნავებით გადიოდნენ. რუსი მოგზაური ფ. ტორნაუ, რომელმაც 1830-იან წლებში აღწერა დელფინების რეწვა აფხაზეთში, აღნიშნავს: «თევზაობის ეს წესი არც თუ უსაფრთხოა, რადგან ნავი ზოგჯერ იძირება დახოცილი თევზის სიმძიმისგან ან ყირავდება დელფინის დაჯახებით, მაგრამ აფხაზებს ეს არ აშინებთ, ვინაიდან ისინი ისე ცურავენ, როგორც ველურები სამხრეთ ოკეანის კუნძულებიდან»[13].

ხელოსნობა. ნატურალური მეურნეობის პირობებში, რომელიც აფხაზეთში XIX საუკუნის შუა ხანებამდე შემორჩა, ხელოსნური წარმოება ბოლომდე არ იყო გამოყოფილი სოფლის მეურნეობისგან. საოჯახო მოხმარების საგანთა უმეტესობას (სამუშაო იარაღს, საოჯახო ჭურჭელს, ქსოვილებს, ნაბდებს, ტანსაცმელს, თოფის წამალსა და სხვ.) ყველა ოჯახი თავისთვის თვითონ ამზადებდა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში იყვნენ ხელოსნები, რომლებიც, როგორც ჩანს, ძირითადად უკვე ბაზრისთვის მუშაობდნენ, კერძოდ, მესაჭურვლეები, ოქრომჭედლები, ნავების მკეთებლები და სხვ. ადგილობრივი ხელოსნები კარგი ხარისხის თოფებს, ხმალ-ხანჯალსა და სხვა საჭურველს ამზადებდნენ, რომელიც ხშირად ოქრო-ვერცხლით იყო შემკული[14]. XIX საუკუნის დამდეგამდე აფხაზეთში დამცავი აბჯრების ჭედვაც გრძელდებოდა. გამოჩენილი გერმანელი ორიენტალისტი ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთის ცნობით, რომელმაც 1807-1808 წლებში იმოგზაურა კავკასიაში, განსაკუთრებით მაღალ-

ხარისხოვანი ჯაჭვის პერანგები იწარმოებოდა «აფხაზთა ქვეყანაში, შავი ზღვის სანა-პიროზე»[15].

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები ჰქონდა აფხაზეთში, აგრეთვე, ზღვაოსნობასა და გემთმშენებლობას. ძველი გემთსაშენების მდებარეობაზე დღესაც მიანიშნებს სანაპირო ზოლში შემორჩენილი ტოპონიმები, რომლებიც აფხაზურიდან ითარგმნება როგორც «ნავის გამოსათლელი ადგილი», «ხომალდის ასაგები ადგილი», «ნავის ჩასაშვები ადგილი» და ა.შ. ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც XIX საუკუნის 20-იან წლებში მოინახულა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, აღნიშნავს: «გემთმშენებლობის ხელოვნებას ჩერქეზეთისა და აფხაზეთის სანაპიროზე გაცილებით უკეთ ფლობენ, ვიდრე ხობისა და ფაზისის მიდამოებში»[16]. აფხაზური საზღვაო ნავები, ძირითადად, ბრტყელძირიანი აფრიან-ნიჩბიანი ხომალდები იყო, რომლებშიც 80-100 კაცამდე ეტეოდა[17], მაგრამ აფხაზ ოსტატებს, როგორც ჩანს, უფრო დიდი გემების აგებაც შეეძლოთ. მაგალითად, არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მთავარმა ქელეშბეგ შარვაშიძემ XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის სულთანს საჩუქრად გაუგზავნა თავის სამფლობელოში აგებული 60-ზარბაზნიანი ხომალდი[18].

ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ტრადიციები აფხაზეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოისპო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის გაბატონებით გა-მოწვეული სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორების გამო.

დასახლებები და საცხოვრებელი გარემო. აფხაზურ სასოფლო თემს, რომელიც, როგორც წესი, რამდენიმე უბანს აერთიანებდა, დიდი ფართობი ეკავა — ზოგჯერ რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრამდე. სამოსახლოების გაფანტულობა აფხაზური სოფლისთვის დღესაც დამახასიათებელი ნიშანია. ძველებური ტიპის სახლი მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის, ჩალით დახურული ფაცხა იყო. შეძლებული ოჯახების ეზოში, როგორც წესი, ორი სახლი იდგა: დიდი სახლი — სტუმრების მი-საღებად და უფრო მცირე — ოჯახისათვის. გარდა ამისა, თუ ოჯახში ახლად დაქორწინებული შვილი იყო, მისთვის დამატებით პატარა ფაცხა იდგმებოდა. აფ-ხაზური ეზოსათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, სამზადი სახლი მიწის იატაკითა და შუაცეცხლით. ფაქტობრივად, ოჯახის წევრები დროის დიდ მონაკვეთს სწორედ ამ სამზადში ატარებდნენ.

პრივილიგირებული კლასის წარმომადგენელთა სახლები გლეხური ფაცხებისაგან ზომით, მასალითა და დაგეგმარებით განირჩეოდა. ყველაზე მსხვილი ფეოდალების სამოსახლოები კი ციხე-დარბაზული ტიპის ნაგებობებს წარმოადგენდა გამაგრებული კოშკითა და მტკიცე მესერით, რომელიც ღრმა თხრილით იყო გარშემორტყმული.

XIX საუკუნის შუა ხანიდან მოყოლებული აფხაზურ სოფლებში და-სავლურქართული ტიპის ოდა-სახლების მშენებლობა დაიწყო. თანამედროვე სოფელში უკვე ქვისა და აგურის ორსართულიანი და მრავალოთახიანი სახლები ჭარ-ბობს.

ეროვნული ტანსაცმელი, შრომის იარაღები და სხვ. უმთავრესად დასავლეთ ქართული და კავკასიური ტიპისაა, ოღონდ ზოგიერთი ადგილობრივი

თავისებურებაც ემჩნევათ. ტრადიციული საკვებია ღომი, ლობიო, რძე, რძის პროდუქტები (განსაკუთრებით ყველი და მაწონი), მწვანილი, ხილი, ნიგოზი, თაფლი; ხორცეულიდან — საქონლის, თხის, ცხვრის, შინაური ფრინველის ხორცი. აფხაზური სუფრისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე ცხარე, საწებელი და «აფხაზური მარილი» — აჯიკა.

საზოგადოებრივი
და ოჯახური ურთიერთობები

საზოგადოებრივი წყობილება. XIX საუკუნის დამდეგს აფხაზეთი თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით გარდამავალ საფეხურზე იდგა დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის პატრიარქალურ-ფეოდალურ საზოგადოებებს შორის. ამასთან, ფეოდალური ურთიერთობები შედარებით განვითარებული იყო აფხაზეთის ზღვისპირა რაიონებში, ხოლო მთაში მეტად იყო შემორჩენილი თემურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთები, თუმცა აქაც წამყვანი სოციალური ფენა ფეოდალური იყო.

აფხაზეთის ფეოდალური საზოგადოების სათავეში იდგა მთავარი (აფხ. *აჭ*) შარვაშიძეთა გვარიდან. ამ საგვარეულოს აფხაზური ფორმაა — ჩაჩბა. გაბატონებული კლასის ზედაფენას წარმოადგენდნენ თავადები (აფხ. *ათავად*). პრივილეგირებული კლასის ქვედა კატეგორიას აზნაურები (აფხ. *აამსთა*) შეადგენდნენ, რომლებიც მთავრების, უფლისწულებისა და თავადების ვასალები იყვნენ.

ფეოდალურ კლასსა და გლეხობას შორის გარდამავალი ფენა იყო *აშნაყმა* (შინაყმა), რომლებიც ფეოდალთა შეიარაღებულ ამალას შეადგენდნენ ან მათ კარზე სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამსახურს ასრულებდნენ.
არაპრივილეგირებული წოდება შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: *ანხაიუ* (თავისუფალი მეთემე), *ამაწურასგუ* (ყმა გლეხთა ზედაფენა, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა გარკვეული უფლებრივი და ქონებრივი პრივილეგიები), *ახოიუ* (ტიპური ყმა გლეხი), *ახაშალა* (საოჯახო მონა)[19].

არაპრივილეგირებული წოდებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა იყო ანხაიუ (სიტყვასიტყვით: «მეურნე ადამიანი», «მიწათმოქმედი»), რომელთა რიცხვი 1869 წელს 47 ათასი იყო აფხაზეთში იმჟამად მცხოვრები 65 ათასი სულიდან. ე. ი., აფხაზთა დიდი ნაწილი მოსახლეობის ამ კატეგორიას ეკუთვნოდა. იურიდიულად ანხაიუ თავისუფალი მეთემე გლეხები იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო (მამაძუძეობა, მფარველობა, მიწისმფლობელობის საკითხი და სხვ.) ისინიც დამოკიდებულნი იყვნენ ფეოდალებზე და მათ სასარგებლოდ შრომითი ბეგარა და გამოსაღები ემართათ. ზოგჯერ თავისუფალი გლეხების ექსპლოატაცია ნებაყოფლობითი სამსახურის, პატივისცემის, საჩუქრის ფორმით ინიღბებოდა.

რუსეთის ხელისუფალთა მიერ აფხაზეთში საგლეხო რეფორმის გატარებამ 1870 წელს ეს ფეოდალური იერარქია გააუქმა, — შეიქმნა წინაპირობები საზოგადოების ბურჟუაზიული ტრანსფორმაციისათვის, მაგრამ გარდაქმნის პროცესი აფხაზურ სო-

ფელში ნელა მიმდინარეობდა და რეფორმის შემდეგაც დიდხანს ინარჩუნებდა ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფის გადმონაშთებს.

ოჯახი და ოჯახური ყოფა. გვიანდელ შუა საუკუნეებში აფხაზებისათვის, დიდი პატრიარქალური ოჯახები დამახასიათებელი იყო, მაგრამ XIX საუკუნეში უკვე მცირე მონოგამური ოჯახი ჭარბობდა. ამასთან, სამეზობლო თემში გამოიყოფოდა, და დღესაც შემორჩენილია, გვაროვნულ-პატრონიმიული გაერთიანებები.

აფხაზური წესებით, საქორწინო ურთიერთობებში მკაცრი ეგზოგამია იყო დაცული. ქორწინება იკრძალებოდა არამარტო ერთი გვარის წარმომადგენელთა შორის, არამედ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორი სხვადასხვა გვარი, გადმოცემით, ერთი ძირიდან მომ-დინარეობდა. ეგზოგამური აკრძალვები ვრცელდებოდა დედისა და ბებიების გვარებზეც, თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში, ეს წესი ყოველთვის ზედმიწევნით არ სრულდებოდა. არ შეიძლებოდა, აგრეთვე, ქორწინება მამა და დედამძუძეობით დაკავშირებულ სახლებს შორის. საკმარისი იყო ქალს ერთხელ მაინც მიეცა ძუძუ სხვა გვარის ბავშვისათვის, რომ ამ ოჯახებს შორის საქორწინო კავშირი დაუშვებელი ხდებოდა.

ეგზოგამიური აკრძალვების დამრღვევებს, უპირატესად, გვარიდან გაძევებით სჯიდნენ.

ძველ აფხაზურ ოჯახში პატრიარქალური საწყისები იყო გაბატონებული. ყველა მნიშვნელოვან საქმეში საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ოჯახის მამა, უფროსი მამაკაცი იღებდა. ქონების გაყოფის დროსაც გარკვეული უპირატესობით ყველაზე უფროსი და უმცროსი ვაჟიშვილები სარგებლობდნენ. ქალის მდგომარეობა არ იყო თანასწორუფლებიანი. იგი მამისა და მეუღლის მორჩილი იყო, არ გააჩნდა მემკ-ვიდრეობის უფლება. მაგრამ, ამავე დროს, ქალი ადათით დაცული იყო ქმრის მხრი-დან რაიმე უსამართლო ქმედებისაგან. ასეთ შემთხვევაში, იგი თავისი ნათესავებისგან პოულობდა დაცვასა და დახმარებას.

აფხაზურ საზოგადოებაში ქალი (განსაკუთრებით ხანშიშესული) საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და ფრიად დაფასებულიც იყო. ქალი არასოდეს არ იფარავდა სახეს, მონაწილეობდა თანასოფლელთა თავყრილობებში, თავისუფლად იღებდა სტუმრებს. მისი თანდასწრებით დაუშვებელი იყო უხეში გამოთქმის ხმა-რება ან ჩხუბისა და აყალ-მაყალის ატეხვა. მამაკაცისთვის ქალზე შურისძიება სირცხვილად ითვლებოდა. სისხლის ძიების წესი ქალზე არ ვრცელდებოდა[20].

მამამძუძეობა. აფხაზებისა და ზოგი სხვა კავკასიელი ხალხის ტრადიციული კულტურის დამახასიათებელი ნიშანი იყო მამამძუძეობა (აფხ. *აამარა*), რაც გუ-ლისხმობს ბავშვის გადაცემას აღსაზრდელად სხვა ოჯახისთვის, რომელიც, როგორც წესი, სოციალური «კიბის» უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ბავშვის ოჯახი. ამრიგად, პრივილეგირებული წოდების შვილები ძუძუმწოვრობიდან 8-13, ზოგჯერ კი 17-18 წლამდე, ქვემდგომი აზნაურებისა და გლეხების სახლებში იზრდებოდნენ. აღმზრდელი — მამამძუძე — აღსაზრდელ ვაჟს ასწავლიდა საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებას. მისი მეუღლე აღსაზრდელ გოგონას ასწავლიდა ხელსაქმეს, საოჯახო მეურნეობის გაძღოლას, ეტიკეტსა და სხვ.

ახალგაზრდა ადამიანის მშობლიურ სახლში დაბრუნების შემდეგ აღმზრდელისა და გაზრდილის ოჯახებს შორის ახლო ურთიერთობა გრძელდებოდა. აღზრდილის ოჯახი ვალდებულად თვლიდა თავს მფარველობა გაეწია მამამძუძის ოჯახისა და მთელი მისი საგვარეულოსათვის. ითვლება, რომ მამამძუძეობა არბილებდა კლასობრივ წინააღმდეგობებს აფხაზურ საზოგადოებაში, მაგრამ, ამავე დროს, ეს ჩვეულება ამყარებდა ფეოდალიზმის საფუძვლებს და აძლიერებდა მოსახლეობის ქვედა ფენების დამოკიდებულებას თავადაზნაურობაზე. აფხაზეთში მამამძუძეობის ინსტიტუტი XX საუკუნის დამდეგამდე შემორჩა.

სამართალწარმოება. ფეოდალურ აფხაზეთში საზოგადოებრივ ურთიერთობებს ხალხურ წეს-ჩვეულებებზე დაფუძნებული სამართალი აწესრიგებდა. პასუხისგებისაგან არავინ იყო დაზღვეული და ყველას ჰქონდა უფლება სასამართლოში ეჩივლა თავისი მჩაგვრელისა და შეურაცხმყოფელისთვის. წოდებრივ ან ნათესაურ უპირატესობას აქ არავითარი მნიშვნელობა არ ეძლეოდა. მსაჯულებად ირჩევდნენ პატივცემულ და ადათ-წესების მცოდნე ადამიანებს, რომლებიც საჯაროდ არჩევდნენ საქმეებს. ორივე მხარე ირჩევდა მედიატორებსა და თავდებებს, დებდა ფიცს, რომ დამორჩილდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. მსაჯულები ყურადღებით მოისმენდნენ მოდავე მხარეებისა და მათი მოწმეების ჩვენებებს და სათათბიროდ გადიოდნენ. მსაჯულთა დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთი მათგანი დაწვრილებით გაიმეორებდა საქმის დეტალებს და სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოაცხადებდა. გადაწყვეტილების აღსრულება თავდებთა მეშვეობით ხდებოდა. სასიკვდილო განაჩენი აფხაზეთში წესად არ იყო მიღებული. თავადები და აზნაურები თავისი ქონებით აგებდნენ პასუხს, გლეხი კი პირადი თავისუფლებით, თუ მისი ქონება საკმარისი არ იყო ჯარიმის დასაფარავად. დაზარალებულს შეეძლო მონად გაეყიდა იგი ან თავისთან ყოლოდა, ვიდრე ნათესავები გამოსასყიდ თანხას არ შეუგროვებდნენ.

1864 წელს, აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ძალაში დატოვა სახალხო სასამართლო, ვინაიდან მიჩნეული იყო, რომ კავკასიელი მთიელებით დასახლებულ რეგიონებში საერთო იმპერიული კანონმდებლობის გავრცელება ჯერ ნაადრევი იყო. მსაჯულებს ძველებურად მოსახლეობა ირჩევდა, მაგრამ სამართალწარმოების პროცესი უკვე რუსული ადმინისტრაციის კონტროლქვეშ მიმდინარეობდა.

სისხლის აღება. მკვლელობის შემთხვევაში სასამართლოს მხოლოდ ის ადამიანი მიმართავდა, ვისაც ძალა არ შესწევდა თვითონვე ეძია შური, ვინაიდან სისხლის აღების ძველი წესი მოკლულის ნათესავებისაგან მკვლელის ან რომელიმე მისი ნათესავის მოკვლას მოითხოვდა. ამ კანონის შეუსრულებლობა სირცხვილად ითვლებოდა. შურისძიებას ვადა არ ჰქონდა და ზოგჯერ იგი თაობიდან თაობაზე გადადიოდა. სისხლის ღვრა განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს იძენდა, როდესაც თავადურ სახლებს შორის ჩამოვარდებოდა მტრობა. ასეთ შემთხვევებში ბრძოლაში ებმებოდნენ ამ თავადებზე დამოკიდებული აზნაურები და გლეხები. თუ დაუსრულებელი მტრობის შეწყვეტა სურდათ, არსებობდა სიტუაციიდან გამოსვლის გზებიც, მაგალითად, მიმართავდნენ საპატიო მოხუცთა შუამდგომლობას, რათა მათ დაეყოლიებინათ მოკლულის ნათესავები, სისხლის წილ მატერიალური ანაზღაურე-

ბის მიღებას დათანხმებულიყვნენ. «სისხლის ფასი» მოკლულის წოდებრივ კუთვნილებასა და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.

სტუმართმოყვარეობა. სტუმარმასპინძლობის კანონი წმიდათაწმიდად ითვლებოდა. ჯერ კიდევ ვახუშტი წერს აფხაზებზე: «უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად»[21]. აფხაზის სახლი სტუმრისათვის ყოველთვის ღია იყო. ნებისმიერ მგზავრს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, შეეძლო პირველივე ეზოში შესვლა და იქ მას დიდი პატივით მიიღებდნენ. სტუმარს არ ეკითხებოდნენ ვინ იყო და რა საქმეზე მიდიოდა. მშვიდობით მოსულ მტერსაც კი ცუდს ვერ აკადრებდა მასპინძელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ვალდებული იყო, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, დაეცვა იგი. აფხაზებში, ისევე როგორც სხვა კავკასიელ მთიელებში, სტუმართმოყვარეობა სისხლის აღების კანონზე მაღლა იდგა.

ტრადიციული სულიერი კულტურა

რელიგიური ვითარება. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე აფხაზთა შორის არიან მართლმადიდებელი ქრისტიანებიც და სუნიტი მუსლიმებიც. აფხაზეთში მათ თანაცხოვრებას არასოდეს გამოუწვევია რაიმე შინაგანი კონფლიქტი. ხშირად ერთსა და იმავე ოჯახში იყვნენ როგორც ერთი, ასევე მეორე რელიგიის აღმსარებელნი. ქრისტიანები და მუსლიმები ერთად აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს, მაგალითად, აღდგომას. მსგავსი ვითარებაა დღესაც, თუმცა აფხაზეთში ქრისტიანები მნიშვნელოვნად სჭარბობენ ისლამის მიმდევართ (დიასპორის აფხაზები, ძირითადად, სუნიტი მუსლიმები არიან).

ქრისტიანობისა და ისლამის გვერდით აფხაზეთში ჩვენს დრომდე შემოინახა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები. ღმერთების პანთეონში, რომელსაც სათავეში უდგას მთავარი ღმერთი *ანცვა*, შედიან სხვა ღვთაებებიც და ყოველი მათგანი ამა თუ იმ სამეურნეო დარგის მფარველია. მაგალითად: *ჯაჯა* — ნაყოფიერების ქალღმერთი, მოსავლისა და მიწათმოქმედების მფარველი, *აითარი* — მეცხოველეობის ღმერთი, *ანანა-გუნდა* — ფუტკრებისა და მეფუტკრეობის მფარველი ქალღმერთი, *კვიკვინი* — სელისა და ბამბის მფარველი, *ერიში* — რთვისა და ქსოვის ქალღვთაება, *აჟვეიფშა* — ნადირთა მბრძანებელი, მონადირეობის მფარველი, *აირგი* — ომის ღმერთი, *ძიძლანი* — წყლის განმგებელი ქალღვთაება და ა.შ. ფართოდ არის გავრცელებული, აგრეთვე, წმინდა ხეებისა და მთების კულტი. სალოცავ ადგილებში დღესაც სრულდება ტრადიციული რიტუალები და ლოცვები, ხდება მსხვერპლშეწირვა. ამ ცერემონიალებში მონაწილეობენ როგორც ქრისტიანი, ასევე მუსლიმი აფხაზები.

ეპოსი და ხალხური ხელოვნება. აფხაზური ფოლკლორი მდიდარი და მრავალფეროვანია. უძველესი ეპიკური თქმულებები გვაროვნული წყობილების წიაღში იღებენ სათავეს. ასეთია, მაგალითად, თქმულება *აბრსკილზე* — სიკეთისა და სამართლიანობის ქომაგზე, რომელიც უცხოელთა შემოსევებისაგან იცავდა მშობლიურ მიწას, დევნიდა ბოროტ და მავნე ადამიანებს, მფარველობდა მშრომელ

ხალხს. ამაყი აბრსკილი თვით ღმერთსაც არ ემორჩილებოდა. ამიტომ შეიპყრეს იგი ღვთის მსახურებმა და ღრმა გამოქვაბულში ჩაკეტეს.

აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნართების ეპოსს, რომლის თავდაპირველი ბირთვი, სპეციალისტების აზრით, «სამხედრო დემოკ-რატიის» პერიოდში ჩამოყალიბდა. ნართები იყვნენ ასი ძმა, რომელთა გმირული თავგადასავალი მრავალ სიმღერასა და პროზაულ თქმულებაშია გადმოცემული. ეპოსში განსაკუთრებით გამოირჩევა *სასრიყვა*, ყველაზე უმცროსი ნართი, მაგრამ საინტერესოდ არიან წარმოჩენილი სხვა პერსონაჟებიც. მათ შორის, აღსანიშნავია ნართების დედა — *სათანეი-გუაშა*, რომლის მხატვრულ სახეში აშკარა მატრიარქალური ნიშნები იკვეთება.

არანაკლებ ძველია თქმულება ჯუჯა *აჩანების* შესახებ, რომლებიც ერთი ვერსიით: აფხაზეთის ტერიტორიაზე ნართებზე უფრო ადრე ცხოვრობდნენ, მეორე ვერსიით კი მათი თანამედროვენი იყვნენ.

პოპულარულია, აგრეთვე, სხვადასხვა სასიმღერო ჟანრები, ცეკვები, ეროვნული სპორტული თამაშობები.

გიორგი ანჩაბაძე

ოსები

ოსებს სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებენ ისტორიულ დოკუმენტებში: ბიზანტიურ, არაბულ, სპარსულ, სომხურ და დასავლეთევროპულ წყაროებში ისინი ზოგან *ალანებად* იწოდებიან, ზოგან — *ასებად*, რუსულ წყაროებში *იასი* (ясы) ეწოდებათ, ქართულ წყაროებში — *ოვსი* ან *ოსი*. ქვეყანას, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, ქართველებმა *ოვსეთი-ოსეთი* შეარქვეს. აქედან გავრცელ-და თანამედროვე რუსული სახელწოდებები осетины, Осетия. თვითონ ოსები თავიანთ თავს *ირონს* (ирон) უწოდებენ, ხოლო თავიანთ ქვეყანას — *ირისთონს* (Игрыстон).

მეცნიერთა ერთი ნაწილი ოსებს სკვით-ალან-სარმატთა პირდაპირ შთამომავლებად მიიჩნევს. ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპული ენების ჩრდილო ირანულ ჯგუფს. ოსები ლაპარაკობენ ორ დიალექტზე — *ირონულსა* და *დიგორულზე*. ლიტერატურული ენის საფუძველია ირონული დიალექტი.

განსახლება

ოსთა ჯგუფი, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის მათი რიცხვი მთელი ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 164 ათასს და რაოდენობრივად სომხებს, რუსებსა და აზერბაიჯანელებს ჩამორჩებოდა. საქართველოში ოსების რაოდენობის შემცირებაზე გავლენა მოახდინა 1990-იანი წლების დამდეგს სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განვითარებულმა კონფლიქტმა.

1921 წლის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობისა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1922 წლის 20 აპრილს, საქართველოს შემადგენლობაში შეიქმნა «სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი», რომლის დედაქალაქად გამოცხადდა ქ. ცხინვალი. «სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის» შემადგენლობაში შეყვანილ იქნა საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების ტერიტორიები. 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალისტური მოძრაობების გაძლიერების ფონზე საქართველოში ვითარება დაიძაბა, რასაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმება და კონფლიქტი მოჰყვა. კონფლიქტის შედეგად ოსთა გარკვეული ნაწილი საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავიდა.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით, მათი რაოდენობა 38 ათასი იყო, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის მონა-ცემების გამოკლებით. საქართველოში მცხოვრებ ოსთა ძირითადი რაოდენობა ცხოვრობს აღმოსავლეთ

საქართველოში, უმეტესად შიდა და ზემო ქართლში, ნაწილობრივ — კახეთში (კერძოდ, პანკისის ხეობაში). ოსები კომპაქტურად არიან დასახლებულნი დასავლეთ საქართველოს სამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში — კუდაროში, ზემო იმერეთსა და ზემო რაჭაში.

საქართველოში ოსთა დამკვიდრებას მეცნიერთა ერთი ნაწილი უძველეს დროს, III-IV ან VI-VII საუკუნეებს, უკავშირებს. საქართველოში ოსთა მასობრივი დასახლების პერიოდად ზოგიერთი მეცნიერი მონღოლთა შემოსევების ხანას — XIII-XIV საუკუნეებს ან შემდგომ პერიოდს მიიჩნევს. ზოგიერთი რუსი და ქართველი მეცნიერის აზრით, ოსები საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში დასახლდნენ.

ცნობილ ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ქართლის მთიანეთში ოსები XVII საუკუნეში დასახლდნენ, მათი ინტენსიური გადმოსახლება კი XVIII საუკუნუში ხდებოდა.

დასავლეთ საქართველოში ოსთა პირველჩასახლების ადგილია კუდარო, სადაც XVII საუკუნეში დაიწყო ოსთა ჩამოსახლება ჩრდ. კავკასიიდან, ხოლო ზემო იმერეთსა და რაჭაში ოსები კუდაროდან გადადიან ჯერ ფეოდალთა მიწებზე სამუშაოდ, ხოლო შემდეგ აქვე სახლდებიან (XIX-XX სს.).

ჩრდ. კავკასიაში მცხოვრებ ხალხსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი კავკასიონის ქედზე გადიოდა. იგივე ქედი ყოფ-და საქართველო-ოსეთს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ქართველთა და ოსთა მრავალმხრივი (ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული) ურთიერთობისთვის. ეს კავშირები საუღელტეხილო გზებით ხორციელდებოდა, კერძოდ, ცენტრალურ კავკასიაში მნიშვნელოვანი იყო დარიალის ხეობის — «არაგვის კარი» // ოვსთა კარი (ამჟამად საქართველოს სამხედრო გზა), უღელტეხილი «დვალეთის გზა» — როკის უღელტეხილით, მამისონის გზა (რაჭაზე გადმომავალი) და სხვა გზა-ბილიკები.

სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა

საქართველოში ოსთა გადმოსახლების ძირითადი მიზეზები ეკონომიკური ხასიათის იყო — ოსები მიწის მწვავე სიმცირეს განიცდიდნენ და გამოსავალს მეზობელ ტერიტორიაზე ეძებდნენ. გარდა ამისა, მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა სისხლის აღების ტრადიციული წესი, რაც არცთუ იშვიათი იყო კავკასიელ მთიელთა შორის. საფრთხეს არიდებული მრავალი ოსიც მეზობელ ხალხებს აფარებდა თავს.

თავდაპირველად ოსები საქართველოს მთიანეთში სახლდებოდნენ. ძირითადად, ცალკეული ოჯახი გადმოდიოდა და სამოსახლოს რაციონალურად იყენებდა: საცხოვრებელ სახლს ოსი მაღლობზე იშენებდა, რათა ეკონომიურად გამოეყენებინა მიწის ფართობი (დაბლობს სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა) და საცხოვრებელიც მტრის მოსაგერიებლად მოხერხებული ყოფილიყო. ამ მიზნით პირველმოსახლე კოშკსაც იშენებდა.

საცხოვრებელი გარემო. მიგრანტები ხშირად ქართველთაგან დაცლილ ნასოფლარებში სახლდებოდნენ და, უმეტესად, ძველ ტოპონიმებს უნარჩუნებდნენ სამოსახლოს. თავისუფალი ტერიტორიის ათვისების შემთხვევაში იწოდებოდა დასახლება ოჯახის უფროსის სახელის ან გვარის მიხედვით. თანდათან გამრავლებული ოჯახი ნათესაურ წრეს ქმნიდა და დასახლებებიც ერთგვაროვანი იყო. ასეთ დასახლებას, ანუ სოფელს ოსურად *ყაუ* (хъжу//хъеу) ეწოდებოდა. ამ ტერმინს ხშირად წინ უძღოდა სოფლის დამაარსებელი პიროვნების სახელი (მაგ., *ზასეთაყაუ, ხუგათ*[2] *ყაუ*). სოფლის გამრავლების პირველ ეტაპზე განაყარი ოჯახები მამის სახლის ირგვლივ სახლდებოდნენ და დასახლება შეჯგუფულ (შექუჩულ) ფორმას იღებდა. სოფლის ზრდის მომდევნო ეტაპზე ახალი განაყრები თავისუფალ სამოსახლოებს ითვისებდნენ და ახალი უბანი (сых) ჩნდებოდა, რომელიც სახელწოდებას რაიმე ნიშნით იღებდა — ზემო, ქვემო, გაღმა და სხვ. დროთა განმავლობაში სოფელს ახალი წევრებიც ემატებოდნენ — ჩასიძების, შვილად აყვანის, უცხო გვარის შემომატებისა და სხვ. შედეგად. ამდენად, სოფელი მრავალგვაროვნულ, მეზობლურ თემად იქცეოდა (ასეთი იყო დასახლებათა უმრავლესობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს. დამდეგს). მთის დასახლებები მცირეკომლიანი იყო.

საცხოვრებელი, ძირითადად, სწორი გადახურვის მქონე ნაგებობები, ქვისგან შენდებოდა. მაღალმთიანეთში საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობები ერთ ჭერქვეშ თავსდებოდა. პირველ სართულზე საქონელი იდგა და სასოფლო-სამეურნეო იარაღები ინახებოდა, მეორეზე — დიდ, ფართო საცხოვრებელში — хадзар-ში — მთელი ოჯახი თავსდებოდა. მის გვერდით იყო შემოსასვლელი ფარ-თი და საკუჭნაო. ოჯახის წევრთა მატებისას ხაძარს ახალ ოთახს უათს (yatae) მიაშენებდნენ ახალი წყვილისთვის და თანდათან ნაგებობა მოგრძო ფორმას იღებდა. მთაში გვხვდებოდა ციხე-სახლი (ганах), რომელიც საცხოვრებელი სართულის, საქონლის სადგომისა და ზემო — თავდაცვისთვის გამიზნული — სართულისგან შედგებოდა. სოფლის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი იყო მამაკაცთა თავშეყრის ადგილი ნიხასი (ныхас), რომელიც თავდაპირველად პირველმოსახლის ტერიტორიაზე ფუძნდებოდა, და იგი შემდგომაც საერთო-სასოფლო საკრებულოს ადგილად რჩებოდა. ნიხასზე მამაკაცები იკრიბებოდნენ თავისუფალ დროს სასაუბროდ, გასართობად და ხელსაქმობდნენ კიდეც, მაგალითად, ტყავს ქნიდნენ სპეციალური ხელსაწყოთი. ნიხასი იყო იმ შეკრებათა ადგილი, რომლებზეც ირჩეოდა და წყდებოდა საერთო-სასოფლო საჭირბოროტო საკითხები, იქნებოდა ეს საზღვრების დაცვა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება-დამთავრება, ხიდების, გზების მოწესრიგება, ზნეობის დაცვა თუ დანაშაულში შემჩნეულთათვის სხვადასხვა სასჯელის მიყენება. საკითხი ხმათა უმრავლესობით და უხუცესთა ავტორიტეტული გადაწყვეტილებით მთავრდებოდა. სოფელში ადათობრივი სამართალი მოქმედებდა.

მეურნეობა. საქართველოს მთიანეთში მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობა იყო. განსაკუთრებით — მსხვილფეხა საქონელი ფასობდა. ჰყავდათ წვრილფეხა საქონელი, ცხენები, კამეჩები. ძირითადად ქერი ითესებოდა, შესაძლებლობისდაგვარად — ხორბალი, მისდევდნენ მეფუტკრეობასაც; მოყავდათ კარტოფილი, ჭარხალი, ხახვი, კომბოსტო, ბოლოკი, ლობიო, ნიორი.

ოსები მისდევდნენ მეთევზეობას, მონადირეობას. დაბლობში ჩასახლებული ოსები მებაღეობასა და ზოგჯერ მევენახეობასაც ეწეოდნენ.

ოსები ამზადებდნენ ცნობილ ოსურ ყველს, რომელიც ძვირად ფასობდა, ქსოვდნენ ცნობილ ოსურ შალს, რომელსაც ჩერქეზულსაც კი ამჯობინებდნენ, გამოჰყავდათ ტყავეული, ქსოვდნენ ფარდაგებსა და სხვ. სამხრეთელი ოსები ხშირი სტუმრები იყვნენ საქართველოს ცნობილი ბაზრობებისა თბილისში, გორში, საჩხერეში, ონში და სხვაგან.

სამოსი. საქართველოში დაფუძნებულ ოსთა სამოსი ყოველი კავკასიელი მამაკაცისათვის, კერძოდ, მათი მამა-პაპისთვის დამახასიათებელი ჩოხა-ახალუხისა და შარვლისგან შედგებოდა, რომელიც ცნობილი ოსური შალისგან იკერებოდა. საშინაო სამუშაო პირობებში სატარებელი ჩოხები უფრო მოკლე იყო (მუხლებამდე), გულზე ჯიბეები ჰქონდა და იაფფასიანი შალისაგან მზადდებოდა. მის შიგნით ახალუხს არ იცვამდნენ. საგარეო ჩოხა გრძელი იყო, გულზე სავაზნეებით გაწყობილი, სახელოებიც გრძელი და ფართე ჰქონდა. ახალუხი ჩოხაზე მოკლე იკერებოდა, ვიწრო სახელოებით, დამდგარი საყელოთი, რომელიც ღილებითა და თასმებით იკვრებოდა. მამაკაცის საგარეო კოსტიუმი აუცილებელი აქსესუარი იყო ვიწრო ტყავის ქამარი, ვერცხლის ან სპილენძის აბზინდით (ბალთით). მასზე ეკიდათ ხანჯალი. შარვალი უხეში, სახლში ნაქსოვი მაუდისგან იკერებოდა. ზამთარში ცხვრის ტყავის ქურქებს ატარებდნენ. ძალიან მიღებული იყო ნაბდის ტარება.

ოსები ფეხზე ზაფხულში მაუდის ან ტარსიკონის წუღებს იცვამდნენ, ზამთარში — ტყავისას; მამაკაცის სამოსს განეკუთვნება აგრეთვე ტყავის, მაუდის ან ნაქსოვი შალის მუხლისა თუ მუხლზემო სათბუნებლები. თავსაბურავად ოსი მამაკაცები ხმარობდნენ ნაბდის ცნობილ ოსურ ფართე ნაპირებიან ქუდებს, ფაფახებს, ყაბალახს.

ოსი ქალები იცმევდნენ ქვედა კაბას ზედა ჩასაცმელთან ერთად ან კაბას. საყოველდღეოდ ფართო «კოფთები» გამოიყენებოდა, საგარეოდ — წელში გამოყვანილი, ღილებით და თასმებით შესაკრავი სამოსი. თავსაბურავად მხოლოდ თავშალს ან მანდილს ხმარობდნენ. ფეხზე წაღები ეცვათ.

საზოგადოებრივი ურთიერთობები

ოჯახური ყოფა. საქართველოს მთიანეთში დამკვიდრებული ოსები, ძირითადად, დიდ ოჯახებად, ანუ საოჯახო თემებად ცხოვრობდნენ ჩამოსახლების პირველ ეტაპზე. შემდგომში — XIX საუკუნიდან — უკვე მცირე ოჯახები ჭარბობდნენ (განსაკუთრებით მთისწინეთში), თუმცა ტრადიციული საოჯახო თემები კვლავ შემორჩა სამხრეთელი ოსების ყოფაში. დიდი ოჯახები გაუყოფლად ცხოვრობდნენ 4-5 თაობის მანძილზე. საოჯახო თემი ცხოვრობდა ერთ სახლში (რომელსაც დროთა განმავლობაში ახალშეუღლებულთათვის ემატებოდა ოთახი — *უათ*) შრომის, მოხმარებისა და ქონების ფლობის კოლექტიური პრინციპით.

ჩვეულებრივ, საოჯახო თემს ოჯახის დამფუძნებლის სახელი ერქვა და აღინიშნებოდა ტერმინით “анжужрст бинонтж” — განუყოფელი ოჯახი.

ოჯახის მართვისა და საოჯახო საქმიანობის ორგანიზაციის სფეროში ოსები, ისევე, როგორც სხვა მეზობელი მთიელებიც, განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის სქესსა და ასაკს. გამოიყოფოდა, ერთი მხრივ, სამამაკაცო და სადედაკაცო, ხოლო, მეორე მხრივ, საუფროსო და საუმცროსო საქმეები. ბუნებრივია, რამდენიმე თაობისგან შემდგარი მრავალსულიანი სოციალური ერთეულის მართვა ტრადიციით შემუშავებული ნორმების დაცვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა — ოჯახის ერთობას საფრთხე ემუქრებოდა. მთის მძიმე პირობებში ერთობის გარეშე ცხოვრება კი ძალიან ჭირდა.

როგორც საოჯახო თემში, ასევე ინდივიდუალურ ოჯახში, ყველაზე დიდი უფლებებით სარგებლობდა უხუცესი მამაკაცი — პაპა ან მამა, მისი გარდაცვალების შემდეგ, მომდევნო ასაკის მამაკაცი; ცხადია, იგულისხმება, რომ ის გონებრივად და ფიზიკურად ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო. ოჯახის უფროსის ავადმყოფობის შემთხ-ვევაში იგი საპატიო უხუცესად რჩებოდა და ოჯახის მართვის სადავეები ასაკით მომ-დევნო წევრის ხელში გადადიოდა.

უხუცესი მამაკაცის ავტორიტეტი გადამწყვეტი იყო არამარტო ოჯახის მართვის, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროშიც. ყოველი ოჯახის აზრს მისი უხუცესი წევრი წარმოადგენდა საზოგადოების, სოფლის, თემის საერთო კრებაზე — ნიხასზე (ныхас).

საოჯახო თემისთვის უცხო იყო არჩევითობა. ოჯახის მეთაურად მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებოდა უხუცესი მამაკაცი (хистар).

სამეურნეო სამუშაოებში მკაცრად იყო დაცული სქესობრივ-ასაკობრივი პრინციპი. სამამაკაცო საქმიანობას ანაწილებდა უხუცესი მამაკაცი, ხოლო სადედაკაცო საქმეების მოწესრიგება-განაწილებას ოჯახის უხუცესი დიასახლისი (афсин) ხელმძღვანელობდა, რომელიც ისევე პატივდებული იყო ოჯახში, როგორც მამაკაცი, თუმცა იგი «საკაცებო საქმეებში» ოფიციალურად არ ერეოდა.

ოჯახის მამის სიცოცხლეში გაყრა, ოჯახის რღვევა დიდ სირცხვილად ითვლებოდა და პრაქტიკულად არც ხდებოდა.

ოჯახის გაყრის შემთხვევაში (მამის გარდაცვალების შემდეგ), მიღებული იყო ქონების გაყოფა თაობებს შორის — მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საერთო საოჯახო ქონება იყოფოდა არა წევრთა ან, თუნდაც, მუშახელის რაოდენობის გათვალისწინებით, არამედ ძმათა რაოდენობის მიხედვით. უფროსი ძმა დამატებით საუფროსო წილს (хистарры хай) იღებდა, რაც მიწის ნაკვეთისა და რამდენიმე სული საქონლისაგან შედგებოდა. უმცროს ძმასაც გამოეყოფოდა საუმცროსო წილი (кжстжры). ოჯახიდან გამოყოფილი ძმების სახლები მამის სახლის ირგვლივ ან სიახლოვეს შენდებოდა. მამის სახლი რჩებოდა ძმათა ოჯახების ცენტრად, მათი ერთობის გამოხატულებად. განაყარი ოჯახების შიგნით იგივე, ზემოაღწერილი პროცესი გრძელდებოდა, კვლავ გამოიყოფოდა ახალი ოჯახები და მთელ ამ ერთობას ანუ ერთი მამის, წინაპრის შთამომავლებს აღნიშნავდნენ ტერმინით “фыдыфыртж”,

რაც «მამის ვაჟებს» ნიშნავს. ამ სანათესაოს “иу артжй байургж” — ერთი ცეცხლიდან, კერიდან განაყრები — ეწოდებოდა.

ნათესაური გაერთიანების წევრებს გარკვეული ურთიერთვალდებულებები ეკისრებოდათ. ისინი ერთმანეთს მხარში უდგნენ ჭირსა და ლხინში, როგორც ფიზიკურად, ისევე ნივთიერად. მტკიცედ იყო დაცული ეგზოგამია. ნათესავები იცავდნენ ერთმანეთის სიცოცხლეს და რომელიმე მათგანის მკვლელობის შემთხვევაში, სისხლის აღება ევალებოდათ. უწინარეს ყოვლისა, პირველი რიგის ნათესავი — მამა, შვილი, ძმა — იყო ვალდებული სისხლი აეღო, შემდეგ — ბიძაშვილობა.

ნათესაური კავშირ-ურთიერთობები. ოსებში ნათესაური ურთიერთობები მრავალგვარი ფორმით გამოიხატება, მაგრამ განსაკუთრებული თავისებურებით ის ურთიერთობები გამოირჩევა, რომლებიც ერთი წინაპრიდან წარმომავლობის აღიარებაზეა დაფუძნებული. ცხადია, მნიშვნელოვანია უფრო ფართო მასშტაბის ნათესაური ურთიერთობებიც. ასეთი ფორმებიდან აღსანიშნავია გვარი (мыггаг), ძმობა (жрваджлта), ანუ დიდი ოჯახის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელსაც ოსურ ყოფაში მეორე სახლს (дыкаг хждзар), ერთი ცეცხლიდან გასულებს (у иу артж байуаргж), ერთი მამისშვილებს (иу фыдыфырт), ანუ მეცნიერული ტერმინით — პატრონიმიას უწოდებენ. мыггаг — ეს არის ერთი წარმომავლობის ერთობა მამაკაცის ხაზით, მაგრამ, фыдыфырт-ისაგან განსხვავებით, მის ფარგლებში წარმოება, მოხმარება და საკუთრება კოლექტიური არ არის. მოგვარეებისადმი ახლო ნათესაობის გრძნობას ბავშვს ადრეული ასაკიდანვე უნერგავდნენ.

«მიგგაგის» (გვარის) წევრებს შორის სისხლით ნათესაობა განაპირობებდა ეგზოგამიას, რაც დღემდე მკაცრად არის დაცული. გვარი იურიდიულ სუბიექტს წარმოადგენდა, რომელიც პასუხს აგებდა მოგვარის ყველა ქმედებაზე.

საქართველოში მცხოვრები ოსები ახლო ნათესავების 4 თაობას აღნიშნავენ ტერმინით ввахс хастжджытж, შორეული ნათესაობის აღსანიშნავად აქვთ გამოთქმა дард хжстжджыж. მამის მხრიდან ნათესაობას ეწოდება фыды мыггаг, დედის მხრიდან ნათესაობას —мады жрваджлтж.

მართალია, ოსებისთვის ყველაზე ახლობლად სისხლით ნათესავი ითვლება, მაგრამ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებიან მოყვრობითა და ხელოვნური გზით შეძენილ ნათესავებსაც. მოყვრობითი ნათესაობა საქორწინო ურთიერთობებსა და ნორმებს ეფუძნება. ეს არის ორი ოჯახის, ორი გვარის დანათესავების შედეგად გაჩენილი უჯრედი. გამოიყოფა ქმრისა და ცოლის ნათესავთა კატეგორიები, რომელთაც თავისი მოვალეობები აკისრიათ ახალშექმნილი ოჯახის მიმართ.

ხელოვნური გზით წარმოქმნილი ნათესაური ურთიერთობები სხვადასხვა საფუძველს ემყარებოდა. ოსებში არსებულ ტრადიციათაგან აღსანიშნავია შვილად აყვანის წესი (лжппу кжнын). ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სისხლის სიწმინდეს და გვარის გაგრძელების აუცილებლობას, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, უშვილობისას, ოჯახი შვილად იყვანდა ან ახლო ნათესავის ბავშვს (რაც უფრო სასურველად ითვლებოდა), ან უცხო გვარტომისას. ეთნოგრაფებს მრავლად აქვთ აღნუსხული შემოხიზნული უცხო პირის

ოჯახში, გვარში მიღების მაგალითები (გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ). უფრო მეტიც, მესისხლეობის დროს, თუ მკვლელი მოახერხებდა მოკლულის დედის ძუძუს შეხებოდა, იგი ამ ოჯახში რძით დანათესავებულ ძმად (кжнгж жфсымжры) და «რძით შვილად» (кжнгж лжппу) ითვლებოდა.

ოსებში ბევრს ჰყავდა ძმობილი როგორც ახლო გარემოდან, ისე მეზობელი კუთხეებიდან. დაძმობილება (кжнгж жфсымжр — ცეცხლით შეფიცული) გამყარებული იყო ერთგულებისა და მეგობრობის ფიცით, ხშირად არყის ან ლუდის შესმით (რომელშიც მტკიცე მეგობრობის ნიშნად ჩაგდებული იყო ვერცხლის ან სპილენძის ნივთი). ქალებში მიღებული იყო დობილობა, ხოლო ქალსა და კაცს შორის დაძმობილობა. ხელოვნურად დანათესავებული ხდებოდა ახალშობილი ბავშვის მიმღები ბებია ქალის ან ბავშვის «მეორე დედის» — რძით მკვებავის — ოჯახები. მეტად საპატიო ნათესაურ კავშირად ითვლებოდა ნათელ-მირონობა, რაც ოჯახებს შორის (რამდენიმე თაობაში) ეგზოგამიას ამყარებდა.

ქორწინება. ოსებში ახალი ოჯახის შექმნა მარტო ქალ-ვაჟის პასუხისმგებლობით არ ხდებოდა. თუ ახალგაზრდებს შეუბღალავი რეპუტაცია, ადათ-წესების დაცვა, შრომისადმი სიყვარული და სხვა პიროვნული ღირსებები მოეთხოვებოდათ, მათ ოჯახებს მრავალი პრობლემის გადალახვა უხდებოდათ, ვიდრე შვილების ბედი გადაწყდებოდა. ცხადია, ყოველი მშობლის სურვილი იყო ღირსეულ მოყვრებს დანათესავებოდნენ. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანი იყო დაედგინათ მომავალი სასიძოსა თუ სარძლოს და, აგრეთვე, მათი ახლო სანათესაოს გენეტიკური წარსული ჯანმრთელობის მიხედვით. ამ მიზნით ხდებოდა, როგორც მთიელები იტყოდნენ, «ჯიშ-ჯილაგის» გამოკვლევა. ამის შემდეგ იწყებოდა მზადება ქორწილისთვის. ქალის გასტუმრება ოჯახისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა — მას მზითევის სახით ატანდნენ ლოგინს და საოჯახო ნივთებს, ტანსაცმელს. სამხრეთელი ოსები (ჩრდ. ოსებისაგან განსხვავებით) ქალს ერთ ძროხას ან რამდენიმე თხას თუ ცხვარსაც აძლევდნენ, რასაც ქართული ტერმინით — «სათავნო» — აღნიშნავდნენ.

უფრო რთული ამოცანის წინაშე იდგა ვაჟის ოჯახი, რომელსაც გამოსასყიდი — ურვადი (урвад) უნდა გადაეხადა — საქონელი, სპილენძის ჭურჭელი, ზოგჯერ — ფულიც. ურვადს განსაზღვრავდა შეთანხმება, რაც ღარიბ ოჯახს მძიმე ტვირთად აწვებოდა (მითუმეტეს, თუ ქალი უფრო დაწინაურებული ოჯახიდან მოჰყავდათ), ურვადის რაოდენობა ნორმირებული არ იყო. მის გადახდაში ოჯახს ნათესავები, პირველ ყოვლისა, ძმები ეხმარებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც უშვილობის გამო მეორე ცოლიც მოჰყავდათ. ქვრივის გათხოვება სასურველად არ ითვლებოდა, თუმცა იყო ლევირატის შემთხვევები, ანუ ქვრივს მაზლი ირთავდა. ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, ზოგჯერ სორორატსაც ჰქონდა ადგილი — დაქვრივებული კაცი ცოლისდას თხოულობდა.

საქართველოს ოსებში მკაცრად იყო დაცული ეგზოგამია. ქორწინება დაუშვებელი იყო არამარტო მოგვარეებში, არამედ დედის ხაზით ნათესავებს შორისაც.

დაკრძალვის წესები. ოსურ ტრადიციებს შორის მყარადაა შემორჩენილი მიცვალებულის კულტი — წინაპართა მიმართ პატივისცემა. ადამიანის გარდაცვალების ამბავს მაცნე ატყობინებდა არამარტო ნათესავებს, არამედ მთელ სოფელს.

ყველა თანაუგრძნობდა ოჯახს გასაჭირში და ყოველი ნათესავი (თუ მეზობელი), ახლობლობის ხარისხის მიხედვით, ტრადიციულად დადგენილი ნორმების შესაბამისად ეხმარებოდა ნათესავ-მეგობარს.

შემორჩენილია ახლობლის დატირებისა და გლოვის წესები — ესეც ნათესაური ახლობლობის მიხედვით. შემორჩენილი იყო წესი "иронвандаг", რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ახლო ნათესავი ქალები კარის ზღურბლიდან მიცვალებულამდე მუხლებით მიდიოდნენ. მიღებულია მიცვალებულისთვის ღამისთევა. დაკრძალვის წესებიდან აღსანიშნავია ცხენის შეწირვის წესი (ადრეულ ხანაში პირდაპირი მნიშვნელობით, შემდგომ სიმბოლურად — ირგვლივ შემოტარებით).

მაღალმთიანეთში მიცვალებულს მიწისზედა ან ნახევრად მიწისზედა საგვარეულო-პატრონიმიულ აკლდამაში კრძალავდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებიდან კი მიწაში მარხავდნენ.

რელიგია და რწმენა-წარმოდგენები

ოსთა წინაპრები რამდენიმე ღმერთს იცნობდნენ: მზისა და ცის განმგებელს — პაპაის; კერისა და ბედნიერების ღმერთს — თაბითის; ომების ღმერთს — არესს. ოსთა წარმართულ პანთეონში მთავარი ადგილი უკავია ღვთაებათა ღვთაებას (Хуыцёуты Хуыцау), ყველაზე პატივდებული სალოცავი ოსებში არის წინარექრისტიანული (VII-VI სს. ჩვ. წ. აღ-მდე.) ღვთაება ვასთირჯი (Уастырджи). ვასთირჯი წმინდა გიორგის კულტთან სინკრეტიზებული მამაკაცთა, მგზავრთა და მეომართა მფარველი ღვთაებაა. დიდ პატივს მიაგებდნენ ოსები მოსავლის ღვთაებას ვაცილას (Уацилла), მონადირეებისა და გარეული ცხოველების მფარველს აფსათის (Ёфсати), მგლების მფარველს თუთირს (Тутыр), წვრილფეხა საქონლის ღვთაებას ფალვარას (Фёлвёра), კერიის დამცველ ღვთაებას საფას (Сафа), სამჭედლო საქმეთა განმგებელს, ზეციურ ქურდალაგონს (Курдалёгон), წყალქვეშა სამეფოს განმგებელს დონბეთტირს (Донбеттыр) და სხვ. არსებობდნენ ხეობის, კუთხის, სოფლისა და ცალკეული გვარის მფარველი ღვთაებებიც.

ოსებში შემორჩენილია ძველი ხალხური რწმენა-წარმოდგენები, რომელთა შორის იკვეთება როგორც ძველი ირანული, ასევე კავკასიური ელემენტები. სამხრეთელი ოსების რწმენა-წარმოდგენებიდან ბევრია დაკავშირებული აგრარულ კულტთან. ოსები დღესაც აღნიშნავენ ძველ, ტრადიციულ დღესასწაულებს: თიბვის დაწყებას (атынёг), მოსავლის აღებას (хоры бон), სახალხო დღესასწაულებს (дзуар) და სხვ. გვხვდება ტოტემური რწმენის ნაშთები. მრავლადაა შემორჩენილი საგვარეულო, სასოფლო კულტები (дзуар). განსაკუთრებული პატივისცემით იყო მოცული წმ. გიორგის, წმ. ილიას, მთავარანგელოზთა სალოცავები, რომლებსაც ოსები ქართველებთან ერთად მიაგებენ პატივს.

დღესდღეობით ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან (მხოლოდ ჩრდ. ოსეთის ურუხის ხეობის რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ მუსლიმი ოსები). ოსეთის ქრისტიანიზაცია ხანგრძლივი პროცესი იყო. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ისინი IV

საუკუნეში გაქრისტიანდნენ. პროკოფი კესარიელი, ბიზანტიელი ისტორიკოსი, აღნიშნავდა, რომ ალანები ქრისტეს სჯულს მისდევენ. აქ იგულისხმებოდა ალანთა ერთი ნაწილი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან. ალან-ოსების მეორე ნაწილმა, «ქართლის ცხოვრების» მიხედვით, ქრისტიანობა საქართველოდან მიიღო (VII ს-ში).

ასე რომ, ქრისტიანობა ოსეთში ბიზანტიისა და საქართველოს ზეგავლენით გავრცელდა. X საუკუნიდან ქრისტიანობა ალან-ოსთა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

IX საუკუნის მოღვაწე, სლავური დამწერლობის შემქმნელი კონსტანტინე (იგივე კირილე, ცნობილი ბერძენი სწავლული) ალანებს მათ შორის იხსენიებს, რომლებსაც «დამწერლობა აქვთ და ადიდებენ ღმერთს მშობლიურ ენაზე». ამ დროისათვის ითარგმნებოდა ქრისტიანული სასულიერო ლიტერატურა და ღვთისმსახურებაც ალანურ ენაზე სრულდებოდა. XVII-XVIII საუკუნეებში დიგორელი ოსების ერთმა ნაწილმა (ყაბარდოს გავლენით) ისლამი მიიღო.

რამდენიმე საეკლესიო ტერმინი ოსურში ქართულიდანაა შესული: дзуар (ჯვარი),чырыстон (ქრისტიანი) და სხვ. კვირა დღეს ოსები ღვთის დღეს (Хуыцёубон) უწოდებენ.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები, პატივს მიაგებდნენ ქართულ სალოცავებსაც. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხეობებიდან წამოსულ ოსებს მამა-პაპური სალოცავებიდან თან მოჰქონდათ რაიმე ნიშანი (მაგ., ქვა) და ახალ სამოსახ-ლოზე აარსებდნენ საკუთარ სალოცავს, ქვით ამოშენებულ მცირე ნაგებობას, რომელშიც ძველი სალოცავიდან წამოღებულ საგანს ათავსებდნენ. ეს სალოცავი (дзуар) ძირითადი ოჯახიდან გასული ოჯახებისთვის თაყვანისცემის ადგილს წარმოადგენდა და მისი სახელობის დღესასწაულზე ყველა ერთად იყრიდა თავს.

ყოველ სოფელს თავისი სალოცავი ჰქონდა. არსებობდა სახეობო და მთლიანად ამა თუ იმ კუთხის საერთო სალოცავი (წმ. გიორგის, სამების, ღვთისმშობლის, მთა-ვარანგელოზის და სხვ.).

კულტურა

ფოლკლორი. ოსი ხალხის საზოგადოებრივ წყობაზე, ყოფაზე, ადათ-წესებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე წარმოდგენას გვიქმნის უმდიდრესი ოსური ფოლ-კლორი, ჩვენამდე მოღწეული ნართული თქმულებები. ოსური ზღაპრები, თქმულებები, ანდაზები, სიმღერები ნათლად მიგვანიშნებს ოსი ხალხის გმირულ სუ-ლისკვეთებაზე, მათ ვაჟკაცობაზე, კაცთმოყვარეობაზე. საუკეთესო მთქმელები (кадёггенёг) თქმულებებს სიმღერით ასრულებდნენ ნაციონალური მუსიკალური საკრავების თანხლებით.

ნართული ეპოსი ოთხ ძირითად ციკლს მოიცავს: 1. ნართების საწყისი (ვარხაგი და მისი შვილები — ახსარი და ახსართაგი); 2. ურუზმაგი და სათანა; 3. სოსლანი; 4. ბათრაძი.

ნართების ეპოსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სირდონისა და აცამაზის ციკლებს. გარდა ამ მთავარი ციკლებისა, არსებობს ცალკეული სიუჟეტები სხვადასხვა გმირების (თოთრაძის, აისანასის, არახძავსის...) მონაწილეობით.

ნართების გვარის ფუძემდებლად მიჩნეულია ვარხაგი (Уёрхёг), რაც «მგელს» ნიშნავს. ტოტემური წარმოშობა ამ სახელისა ეპოსის სიძველეზე მიგვანიშნებს.

ნართების ეპოსი სამ უძველეს გვარს იცნობს:

ახსართაგათა — შეუდარებელი მეომრები; ბორათა — გამოირჩეოდნენ მრავალრიცხოვნობითა და სიმდიდრით; ალაგათა — რელიგიური ტრადიციების დამცველნი.

ახსართაგების გვარის წარმომადგენლები იყვნენ სახელგანთქმული გმირები: ურუზმაგი, სათანა, ხამიცი, სოსლანი, ბათრაძი. ბორათების შთამომავლებად მიიჩნევენ ბურაფარნიგს თავისი შვიდი ვაჟით. ალაგათების გვარის წარმომადგენლებზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს.

ნართული ეპოსის გმირები გამოირჩევიან საუკეთესო ადამიანური თვისებებით: სიბრძნით, ვაჟკაცობით, ჰუმანურობით, სამშობლოს სიყვარულით. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისინი მითოლოგიურ პერსონაჟებად გვევლინებიან, მაინც ცოცხალი ადამიანების სახე-თვისებებით წარმოგვიდგებიან. განსაკუთრებული პერსონაჟია ურუზმაგი, ნართების უხუცესი, ბრძენი მრჩეველი, გაბედული და გამოცდილი მეომარი.

ნართების საამაყო გმირები არიან სოსლანი და ბათრაძი, დიდი ფიზიკური ძალის მქონე, ზეციური ქურდალაგონის ქურაში ნაწრთობი გმირები.

როგორც აკად. ვ. აბაევი მიიჩნევს, ყველა გმირის გარეშე შესაძლებელია ნართების ეპოსის წარმოდგენა, სათანას გარდა. ეს არის ერის საყრდენი და დედაბოძი, რჩევის მიმცემი, სწორ გზაზე დამყენებელი. სათანამ ბევრჯერ ააცილა ნართებს უბედურება და გადაარჩინა ისინი სიკვდილს.

სათანას სახე მატრიარქატიდან მოდის. ოსალანების საყვარელი სასმელის — ლუდის — გაჩენაც მის სახელს უკავშირდება.

მართალია, ნართების ეპოსი სხვა კავკასიელ ხალხებსაც (აფხაზებს, ადიღებს, ჩეჩნებს, ინგუშებსა და სხვებს) აქვთ, მაგრამ, როგორც ცნობილი ფრანგი ფოლკლორისტი ჟორჟ დიუმეზილი აღნიშნავდა, „თავის საფუძველში ნართების ეპოსი ოსურია». ამას ადასტურებს თვით სახელწოდება *ნართი* (Нартё) — *ნარ* — მზეა, ხოლო *-თა* მრავლობითობის სუფიქსია ოსურში. ვ. აბაევის მტკიცებით, *ნართი* მზის შთამომავლებს ნიშნავს.

უღრმესი არქაული შრეები, რომელიც ნართების ეპოსშია წარმოდგენილი, აშკარად მიგვანიშნებს მის შემქმნელთა ყოფაზე, იდეალებსა და მსოფლმხედველობაზე.

დამწერლობა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ოსთა უშუალო წინაპრებს, ჩრდილო-კავკასიელ ალანებსა და ადგილობრივ ავტოქთონურ მოსახლეობას, რომელთაც ყობანური კულტურა შექმნეს, ადრევე ჰქონიათ დამწერლობა. ამას მოწმობს ზელენჩუკის (მდ. ზელენჩუკის ნაპირას) საფლავის ქვის წარწერა, რომელიც X საუკუნით თარიღდება. ოსური ფრაზა აქ ბერძნული გრაფიკით არის შესრულებული: "Сахири фурт, Овси стури фурт Багатар, Багатари фурт Анбалан, Анбалан фурт лаг ани цирт" («სახირის ვაჟი, ოვსას დიდებული ძე ბაღათირ, ბაღათირის ძე ანბალან, ანბალანის ვაჟი ლაგი, მათი ძეგლები»).

ამასვე მოწმობს დასავლეთ ევროპელი მოგზაურის, ვილჰელმ დე რუბრუკის (XIII ს.) სიტყვები. მისი ცნობით, «ოსები ქრისტიანები არიან... ისინი იყენებენ ბერძნულ დამწერლობას და ჰყავთ ბერძენი წმინდანები».

XII საუკუნის ბიზანტიელი ავტორი იოანე ცეცი ოსურ ენაზე წარმოთქვამს მისასალმებელ სიტყვებს: «და ბონ ხორზ, მე ფსინ» («დილა მშვიდობისა, ჩემო დიასახლისო»).

რუსი მემატიანე იხსენიებს თავად ანდრეი ბოგოლიუბსკის მეცხოვნეს, ანბალს, რომელიც წარმოშობით იასი (ალანი) ყოფილა. მისი სახელი «ანბალ» (ёмбал) ოსურ ენაზე *მეგობარს* ნიშნავს. ასეთი მაგალითები მრავლადაა წყაროებში შემონახული.

ოსები უძველესი ისტორიის მქონე ხალხია, მაგრამ პროფესიული ოსური მწერლობის განვითარება XIX საუკუნიდან იწყება.

განათლება. 1743 წელს შეიქმნა ოსური სასულიერო კომისია (ცენტრით მოზდოკში), რომელშიც ქართველი სასულიერო პირებიც შედიოდნენ არქიმანდრიტ პახომის მეთაურობით. კომისიას ევალებოდა ქრისტიანობის გავრცელება ოსებში.

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისმა ცენტრმა 1814 წელს მოზდოკიდან თბილისში გადმოინაცვლა.

ამ კომისიის ყველაზე დიდი წარმატება სკოლების გახსნა და ადგილობრივ მცხოვრებთაგან სასულიერო კადრების მომზადება იყო.

პირველი სკოლა ოსებისათვის 1764 წელს გაიხსნა ქ. მოზდოკში. ეს სკოლა 1797 წლამდე არსებობდა და მან დიდი როლი შეასრულა ოსური კულტურის განვითარების საქმეში.

სამხრეთელი ოსებისათვის 1828 წელს საქართველოს ეგზარქოსის განჩინებით პირველი სასულიერო სკოლები გაიხსნა ჯავაში, ედისში, ჩესელთასა და ბეყმარში. ბავშვები განათლებას ქართული ანბანის საფუძველზე შედგენილი სახელმძ-

ღვანელოებით იღებდნენ. უკვე 1864 წელს 9 სასულიერო სკოლა მოქმედებდა, რომლებშიც 140 მოსწავლე სწავლობდა.

ცნობილია, რომ 1855 წლებში თომა ჩოჩიევმა, რომელსაც ქართული განათლება ჰქონდა მიღებული, სოფ. ხვწეში ჯავის თემის 40-მდე ვაჟი შეკრიბა და მათ ქართულ ენას ასწავლიდა.

ქრისტიანობის გავრცელებამ დღის წესრიგში დააყენა სასულიერო წიგნების ოსურ ენაზე თარგმნის საკითხი. თარგმანები ქართულიდან, ქართული ანბანის გამოყენებით, 1747-1753 წლებში შეასრულა იღუმენმა გრიგორმა. ესენი პირველი ხელნაწერი წიგნები იყო ოსურ ენაზე.

რელიგიური წიგნების ოსურ ენაზე თარგმნაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ოსეთის სასულიერო კომისიამ და მისიონერმა განმანათლებელმა, მოზდოკის ეპისკოპოსმა გაი (გაიოზ) თაყაევმა (იგი კახეთიდან იყო, სოფ. მაღაროდან. ერთ დროს თელავის სემინარიის რექტორად მუშაობდა, შემდეგ რუსეთში მოღვაწეობდა. ის რამდენიმე გვარით არის ცნობილი: თაყაევი, ნაცვლიშვილი, ბარათაშვილი, თაყაიშვილი). გაიოზ თაყაევმა და პავლე გენცაუროვმა საეკლესიო სლავური ანბანის საფუძველზე ოსური ანბანი შექმნეს. გაის მიერ ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნილი «დაწყებითი სწავლება ღვთისმეტყველებისა» 1798 წელს გამოიცა და ეს პირველი ოსური ნაბეჭდი წიგნია.

XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო იოანე იალღუზიძე-გაბარაევი (1770-1830). მან ჩინებული სასულიერო განათლება მიიღო ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის კარზე. იყო შესანიშნავი მცოდნე ქართული, ოსური და რუსული ენებისა. ეწეოდა პედაგოგიურ და მისიონერულ საქმიანობას. მან დიდი როლი ითამაშა კავკასიონის სამხრეთით მცხოვრები ოსების გაქრისტიანებაში. ქართული გრაფიკის საფუძველზე, იოანე იალღუზიძემ შექმნა ოსური ანბანი (1802 წელს). ამ ანბანს იყენებდნენ როგორც კავკასიონის სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ოსები. იოანე იალღუზიძემ ქართულიდან ოსურ ენაზე გადათარგმნა «კატეხიზმო», «ღვთისმსახურება». მისი გარდაცვალების შემდეგ ქართული ალფაბეტი ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის შედეგად რუსული ანბანით შეიცვალა. ი. იალღუზიძემ ოსების ისტორიული წარსული გააცოცხლა პოემა «იალღუზიანში».

ოსური ანბანი რუსული ანბანის გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აკადემიკოსმა ანდრეი შეგრენმა. მან საფუძვლიანად შეისწავლა ოსური ენა და 1844 წელს გამოსცა ნაშრომი „ოსური ენის გრამატიკა».

დიდი წვლილი შეიტანა ოსური ენისა და კულტურის შესწავლის საქმეში ვსევოლოდ მილერმა. მისი «ოსური ეტიუდები», ოსურ-რუსულ-გერმანული ლექსიკონი მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდშია შეტანილი.

ოსურ კულტურას დიდი ამაგი დასდო თბილისის საულიერო სემინარიის მასწავლებელმა, მწერალმა დანიელ ჭონქაძემ (1830-1860 წწ). მან შეადგინა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები, რომლებიც შემდეგ შიფნერმა გამოსცა.

პირველი სკოლა ცხინვალში 1881 წელს დაფუძნდა. 1915 წლამდე სკოლების რაოდენობა 20-მდე გაიზარდა. 1907 წელს თბილისში დაარსდა ოსური საღამოს სკოლა (ხელმძღვანელი ვ. აბაევი), 1913 წელს კი ოსი ბავშვებისათვის თბილისში დაწყებითი სკოლა გაიხსნა.

1922 წელს ჩამოყალიბდა ოსური სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოება, 1927 წელს საფუძველი ჩაეყარა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს (1940 წლიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ხოლო 1932 წელს ცხინვალში პედაგოგიური ინსტიტუტი გაიხსნა.

1906 წელს დაარსდა გამომცემლობა «ირ» ვლადიკავკაზსა და თბილისში. 1906 წლის 23 ივნისს ვლადიკავკაზში გამოიცა პირველი გაზეთი ოსურ ენაზე «ირონ გაზეთ». 1907 წლის 8 მარტს თბილისში გამოიცა მეორე გაზეთი ოსურ ენაზე «ნოგ ცარდ». მართალია, ამ გაზეთებმა მალევე შეწყვიტეს არსებობა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ოსური საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. მათი მეშვეობით აქტიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ ეფიმ გულიევი, რუთენ გაგლოევი, ნიკა ხანიკაევი და სხვ. ვლადიკავკაზში, თბილისსა და პეტერბურგში გამოიცემოდა ლიტერატურული-მხატვრული ჟურნალები “Зонд” (1907 წ.), “Ёфсир” (1910 წ.), “Хуры тин” (1912 წ.). ამ ჟურნალებში თანამშრომლობდნენ ა. ქოცოევი და ე. ბრიტაევი. ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწეები 1911-1917 წლებში გამოსცემდნენ ჟურნალს «Чырыстоны цард».

1924 წელს ცხინვალში ოსურ ენაზე გამოვიდა გაზეთი «ხურზარინ», შემდგომში «სოვეტონ ირისტონ». 1933 წელს იგივე გაზეთი («საბჭოთა ოსეთი») გამოდის ქართულ ენაზე. 1927 წელს დაარსდა ჟურნალი «ფიდუაგი».

ხელოვნება, მუსიკა. ოსურ ხალხურ მუსიკას დიდი ხნის ისტორია აქვს. არცერთი საზოგადოებრივი თუ საოჯახო დღესასწაული სიმღერისა და ცეკვის გარეშე არ ჩაივლიდა. ოსური სიმღერები იყოფოდა საგუნდო-მრავალხმიან და სოლო სიმღერებად. საწესჩვეულებო, სამიჯნურო, საგმირო-სარაინდო, შრომის, საკულტო, მითოლოგიური თუ ლირიკული სახუმარო-სატირული შინაარსის სიმღერები ოსური კულტურის ერთი მდიდარი ნაწილია, რომელიც ალამაზებდა ოსი ხალხის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. ოსებს ჰქონდათ სასულე, სიმებიანი, დასარტყამი საკრავი ინსტრუმენტები. ცნობილია ოსური მუსიკალური საკრავ-ინსტრუმენტები, ფანდირის სხვადასხვა სახეობა — далафандыр, кысын-афтдыр, уадындз. ოსების საყვარელი ინსტრუმენტია თორმეტსიმიანი არფა.

ოსური სიმღერები შეუკრებიათ ბორის გალაევს, დიმიტრი არაყიშვილს, თათარხან კოკოითსა და სხვ. ცნობილია ორ ათეულზე მეტი უძველესი ოსური ცეკვა (симд, хонга-кафт, зилга-кафт, цоппай და სხვ.). ბორის გალაევის, ქრისტეფორ ფლიევის, დუდარ ხახანოვისა და სხვათა ნაწარმოებებზე მთელი თაობები აღიზარდნენ. განსაკუთრებული პოპულარობა ხვდა წილად სიმღერისა და ცეკვის ოსურ აკადემიურ ანსამბლ „სიმდს».

ცხინვალის სამხატვრო სტუდიას, რომელიც ოს მხატვართა სამჭედლო იყო, მახარბეგ თუღანოვმა ჩაუყარა საფუძველი. სახელგანთქმული ოსი მხატვრები: ბორის და სერგო

სანაკოევები, გრიგოლ კოტაევი, უმარ და ხსარ გასიევები, შალვა ბედოევი და სხვ. სწორედ ამ სტუდიის აღზრდილები იყვნენ.

ლიტერატურა. ყველაზე ადრეული ლექსები ოსურ ენაზე განმანათლებელსა და რელიგიურ მოღვაწეს აქსო კოლიევს ეკუთვნის, მაგრამ პირველ ოს პოეტად თემირ-ბოლათ მამსუროვია აღიარებული. მისი შემოქმედების უმთავრესი თემა თურქეთში გადასახლებულ ოსთა ტრაგიკული ხვედრია. მისი ლექსები აღსავსეა სამშობლოს მოცილების გამო აღძრული სევდით.

მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ოსური მწერლობის ისტორიაში ინალ ყანუყოვმა. ის იყო პოეტი და პუბლიცისტი, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსი ხალხის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები დაგვიტოვა. ოსური ლიტერატურის განვითარე-ბაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბ. თუღანოვმა, ალ. კუბალოვმა, გ. ცაგოლოვმა, შესანიშნავმა პოეტმა და დრამატურგმა ბლეშკა გურჯიბეკოვმა და სხვ.

ოსური სალიტერატურო ენისა და პროფესიული მწერლობის ფუძემდებელია კოსტა ხეთაგუროვი. ის იყო პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, მხატვარი და დიდი სა-ზოგადო მოღვაწე. მისი ლექსები აღსავსე იყო ხალხის უკეთეს მერმისზე ზრუნვით. 1899 წელს გამოიცა მისი „ირონ ფანდირი», რომელსაც ილიას „ივერიამ» მაღალი შეფასება მისცა.

მალე ასპარეზზე შესანიშნავ მწერალთა პლეადა გამოვიდა: სეკა გადიათი, ელბასდუკო ბრიტაევი, ცომაყ გადიევი, არსენ ქოცოევი და სხვ., რომელთა შემოქმედებამ დაასრულა ოსური სალიტერატურო ენის სრულყოფის პროცესი.

თანამედროვე ოსური ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გიორგი ძუგაევმა, ნაფი ჯუსოითიმ, გიორგი ბესთაუთმა, კოსტა მარგიევმა, ლეონიდ ხარებათმა, ისიდორ ქოზათმა, გერსან კოდალაევმა, მიხეილ ნართიკოევმა, ვლადიმერ გაგლოევმა და სხვ.

თეატრი. ხალხური სანახაობები, სადღესასწაულო, საწესჩვეულებო რიტუალები ოსი ხალხის პირველი თეატრალიზებული წარმოდგენები იყო.

გაბო სიუკაევს 1892-93 წლებში კომედია დაუწერია. არც პიესაა შემორჩენილი და არც რაიმე სხვა ცნობა მოგვეპოვება მის შესახებ.

მეორე ოსური პიესის თაობაზე გაზეთ „ივერიაში» ვკითხულობთ: „სოფელ ქრისტიანეთში (ჩრდ. ოსეთი, ამჟამად ქ. დიგორა) არდონის სასულიერო სემინარიის მოსწავლე, გარდანოვმა, დიგორულ დიალექტზე ლექსად დაწერა პიესა „დიგორელების ცხოვრებიდან», რომელიც დაიდგა ავტორის ხელმძღვანელობით ამავე სოფელში. პიესის ორიგინალი დაკარგულია, შემორჩენილია ეპიზოდები».

1892 წელს კ. ხეთაგურმა რუსულ ენაზე დაწერა პიესა „დუნია». 1901 წლის 10 მარტს ავტორის ხელმძღვანელობით ეს პიესა დაიდგა ქ. პიატიგორსკში. შემდეგ კი თბილი-სისა და ცხინვალის თეატრალურ სცენებზე.

ორიგინალური დრამატურგიისა და ოსური თეატრალური ხელოვნების ფუძემდებლად ითვლება ელბასდუყო ბრიტიათი (1881-1923). არდონის სემინარიაში, სადაც ე. ბრიტიათი ასწავლიდა, სწავლობდნენ სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ახალგაზრდები. მათ ზაფხულის არდადეგებზე თან ჩამოიტანეს ეს პიესები, სპექტაკლები მოამზადეს და ჯავაში წარმოადგინეს. სპექტაკლებს მაყურებელი დიდი აღტაცებით ხვდებოდა.

ოსური თეატრის აღდგენის თარიღად 1906 წელი ითვლება, როცა ოსურმა დრამატულმა წრემ პირველი სპექტაკლი დადგა. ამ წელს შეიქმნა ოსური დრამატული წრეები თბილისსა და ცხინვალში. ცხინვალის ოსური თეატრის რეპერტუარში იყო როგორც ოსური, ისე სხვადასხვა ენიდან თარგმნილი პიესები: ე. ბრიტაევის «ორი და». კ. ხეთაგუროვის «დუნია», ა. ცაგარელის «ციმბირელი», მოლიერისა და სხვათა ნაწარმოებები. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ შემდგომში ცნობილი მსახიობები სონია ჯატიევა, ივან ძახოვი, სოფიო აბაევა და სხვ.

1932 წელს ცხინვალში შეიქმნა ოსური პროფესიული თეატრი. აქ მოღვაწეობდნენ რეჟისორი: ს. მურღულია, კომპოზიტორი ბ. გალაევი, მხატვრები მ. თუღანოვი ც. გაზდანოვი, ა. ზასეევი.

ეროვნული თეატრის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს დამსახურებულმა არტისტებმა: სონია ჯატიევამ, ზ. გაგლოევამ, დ. მამიევმა, ნ. ჩაბიევამ, ნ. ჩოჩიევამ, ი. ცხვარიაშვილმა გ. კაბისოვმა და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ოსური თეატრი ჯერ თბილისში ჩამოყალიბდა, შემდეგ, 1906 წელს, ცხინვალში. თბილისის ოსურ თეატრს ნიკო გოცირიძე 15 წლის განმავლობაში რეჟისორობდა.

1939 წლის 15 ოქტომბერს ცხინვალის თეატრს კოსტა ხეთაგუროვის სახელი მიენიჭა მწერლის დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით.

სპორტი. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონებმა ა. ბესტაევმა, ა. ცხოვრებოვმა, ს. გაბარაევმა და სხვ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ ვ. ბოგიევი, დ. თედეევი. წლების განმავლობაში აღტაცებაში მოჰყავდათ მაყურებელი სპორტის დამსახურებულ ოსტატებს, ფეხბურთელებს ზ. კალოევს, ვ. გუცაევს, გ. ცხოვრებოვს. ამჟამად მათ ტრადიციას აგრძელებენ ბ. თედეევი, ი. ჯიოევი, ხ. ბეკოევი და სხვ. მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონები არიან ა. მედოევი, ვ. კოჩიევი; მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ კ. კახიაშვილი, ჩ. გულიევი და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მძლეოსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონისა და ერთგზის ვერცხლის პრიზიორის, XX საუკუნის საუკეთესო ქართველ სპორტსმენად აღიარებული ვიქტორ სანეევის მიღწევები.

მომზადებულია
ტოლერანტობის ცენტრის მიერ
ნაირა ბეპიევისა და გულდამ ჩიქოვანის მასალების საფუძველზე

ებრაელები

ებრაელები სემიტური მოდგმის უძველესი ხალხის საერთო ეთნიკური სახელია. ამ ერის ფორმირებასა და ისტორიაში გადამწყვეტი როლი მონოთეისტურმა რელიგიამ — იუდაიზმმა შეასრულა. ებრაელები სახლობენ სხვადასხვა ქვეყანაში და ჩაბმულნი არინ მათი მოსახლეობის საერთო ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით შეიქმნა ებრაელთა სახელმწიფო ისრაელი, რომლის ოფიციალური ენაა ივრითი, რაც ებრაულ ენას ნიშნავს.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 4 ათასი ებრაელი ცხოვრობს. მათი ძირითადი რაოდენობა წარმოდგენილია თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავში, ახალციხეში. სოფლები კი ებრაელებისაგან თითქმის მთლიანად დაიცალა.

სინაგოგები მოქმედებს თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

საქართველოში მცხოვრები ებრაელები ორ დიდ ჯგუფად იყოფიან: 1. ქართველი ებრაელები (სეფარადები, დაახლ. 80%) და 2. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები).

ისტორიული ნარკვევი

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელთა საქართველოში მოსვლას ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებასა და იავარქმნას უკავშირებს (ძვ. წ. 586 წ.). იეჰუდას სახელმწიფოდან ებრაელებს საქართველომდე მოუღწევიათ, მცხეთაში მისი მამასახლისისგან ხარკით მიწები აუღიათ და ძველი დედაქალაქის გარეუბანში, ზანავში, დასახლებულან. მომდევნო პერიოდში საქართველოში დევნილ ებრაელთა კიდევ რამდენიმე ნაკადი შემოდის. მეორე ტალღა ახ. წ. I საუკუნეში რომაელი კეისრის იულიუს ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ (ახ. წ. 70 წ.) გამოჩნდა. «მოქცევაჲ ქართლისაჲზე» დაყრდნობით, ზოგი ვარაუდობს, რომ ებრაელთა ერთი ტალღა საქართველოში ძვ. წ. 169 წელს, ბარკოხბას აჯანყების დამარცხების შემდეგ, შემოვიდა. IV საუკუნეში მცხეთის გარდა, ებრაელებს ვხედავთ ურბნისსა და ბოდბეში, კოდისწყაროსა და ხობისში. VI საუკუნისათვის ისრაელიანთა კიდევ ერთი ჯგუფი, ბიზანტიიდან დაძრული, ჯერ დასავლეთ, ხოლო მოგვიანებით, აღმოსავლეთ საქართველოში მკვიდრდება. ვარაუდობენ, რომ აქ X საუკუნეში, ხაზართა სამეფოს დაცემის შემდეგ, სლავი ტომებისგან დევნილი ხაზარი ებრაელების ერთი ნაწილიც დაბინავდა. XIX საუკუნის დამდეგს თურქეთიდან არამეელი ებრაელები (ლახლუხები) შემოსულან. ამავე პერიოდში ებრაელები ირანიდან და ერაყიდანაც გადმოდიან. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) აქ პირველად 1804 წლიდან გამოჩნდნენ.

აღსანიშნავია, რომ IV საუკუნეში რამდენიმე უბნად დაყოფილ ქალაქ მცხეთის იმ ნაწილს, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, «უბანი ჰურიათა» ეწოდებოდა. აქ მათ ძველთაგანვე ჰქონდათ თავიანთი რელიგიური ცენტრები, ე.წ. «ბაგინი ჰურიათა», ანუ ბეით-ქნესეთები (სინაგოგები) იყო.

მემატიანენი მიუთითებენ, რომ ქართლის იმდროინდელ მოსახლეობაში თანაბარი უფლებით გავრცელებულ ექვს ენას შორის ებრაულიც ყოფილა, თუმცა ამის მიუხედავად, საქართველოს ებრაელობამ ადრევე შეითვისა ქართული ენა და იმთავითვე ეზიარა ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. «მოქცევაჲ ქართლისაში» ხაზგასმულია იერუსალიმისა და ებრაელთა განსაკუთრებული როლი საქართველოში მონოთეიზმის იდეის გავრცელებისა და საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. «მოქცევაი ქართლისაის» მიხედვით, მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია, ხოლო ქართველი ებრაელი ელიოზ მცხეთელი — ქრისტეს კვართის ჩამომტანი საქართველოში. ამავე ქრონიკაში ნათქვამია: ქალწულმა ნინომ, როდესაც ქართლში მოვიდა, პირველად ებრაელთა სინაგოგას, ბაგინად წოდებულს, მიაკითხა, რადგან მათი ენა, არამეული, იცოდა. იგი იქ რამდენიმე ხანს დარჩა და ამ ქვეყნის «ძალს განიცდიდა». ეს ნიშნავს: იუდეველები უკვე ისე იყვნენ ქართულ სინამდვილეში ინტეგრირებულნი, რომ უცხოელს, მათთან სტუმრად მყოფს, ამ სინამდვილის ობიექტურად აღქმა შეეძლო.

VIII-IX საუუნეებში რაბინულ-თალმუდისტურ და ყარაიმულ მიმდინარეობათა დაპირისპირებამ საქართველოს ებრაულ მოსახლეობაშიც პოვა გამოძახილი. IX საუკუნეში საქართველო აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ხაზართა სამეფოს ესაზღვრებოდა, რომლის ელიტამაც, როგორც ჩანს, VIII საუკუნის 40-იან წლებში მიიღო იუდაიზმი. საქართველოში იუდაიზმის გავრცელებაში ყარაიმული მიმართულების ხაზართა წვლილზე ზუსტი ცნობები არ შემორჩენილა, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ X საუკუნის შუა ხანებში ხისდან იბნ შაფრუთს ხაზართა მეფესთან საქართველოს გავლით უნდოდა წერილი გაეგზავნა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ IX საუკუნის მიწურულს საქართველოში იუდაისტური ჯგუფი წარმოიქმნა, რომელიც *ჰალახის* ზოგიერთ პუნქტს უარყოფდა, მათ შორის სქესობრივ ცხოვრებასთან და საკვების აკრძალავასთან დაკავშირებულ დებულებებს. ჯგუფის დამფუძნებელი აბუ-იმრან მუსა (მოშე) თბილისში ბაბილონიდან ჩამოსულა. მისი მიმდევრების რელიგიური თემი, რომელმაც 300 წელზე ოდნავ ნაკლები იარსება, ებრაულ წყაროებში «თბილისურ სექტად» არის მოიხსენიებული. მკაფიოდ ერთი შეიძლება ითქვას: საბოლოოდ ქართველი ებრაელები თალმუდისტური იუდაიზმის ერთგულნი დარჩნენ.

ადრე შუა საუკუნეებში საქართველოში მცხოვრები ებრაელები, როგორც ჩანს, ძირითადად, ირანის ებრაულ თემთან იყვნენ დაკავშირებული, რომლის მეშვეობითაც აღმოსავლეთის ებრაელთა რელიგიურ ცენტრთან, ბაღდადთან, ინარჩუნებდნენ ურთიერთობას. ბენიამინ ტუდელი XII საუკუნის 70-იან წლებში წერდა: საქართველოდან ებრაელები ჩამოდიან ხოლმე ბაბილონში, ექსილარხთან, «რათა მისგან ხელდასხმა და მფარველობა მიიღონ და მისთვის ძღვენიც მოაქვთ».

რეგენსბურგელი პთახის სამგზავრო ჩანაწერებიდან (XII ს.) შეიძლება დავასკვნათ, რომ «არარატის მხარის» (ანუ ამიერკავკასიის) ებრაელთა ნაწილი იმ დროისთვის სხვა

ქვეყნებში გადასულა. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ბაღდადში ყოფნისას მან «თავისი თვალით» იხილა «მეშეხთა მიწის» მთავრის მიერ წარმოგზავნილნი, რომელთაც უთქვამთ, რომ «მეშეხთა მთავარი და მთელი მათი მიწა გაებრაელდა». იგი აღნიშნავს, რომ მეშეხთა შორის იპოვებიან მოძღვრები, რომლებიც «მათ (მეშეხებს) და მათ შვილებს თორასა და იერუსალიმურ თალმუდს» ასწავლიან. საეჭვოა «მეშეხებში» პთახი მესხებს გულისხმობდეს, რადგან პარალელურ წყაროებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ მესხობა ან თუნდაც მისი ნაწილი იუდაიზმს ეზიარა.

მარკო პოლო, თბილისში იმ დროს შემოვიდა (1272 წელს), როცა ქალაქი მონღოლების უღელქვეშ იყო მოქცეული. ცნობილი მოგზაური გადმოგვცემს, რომ ის აქ ებრაელთა ერთობ მცირერიცხოვან ჯგუფს შეხვდა. ამ დროისთვის ებრაელების ნაწილი მონღოლთა მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან უფრო თავისუფალ დასავლეთ საქართველოში გადასულა და იქ ახალი თემები ჩამოუყალიბებია.

XIV საუკუნეში ებრაული თემი მომძლავრებულა ქალაქ გაგრაში, რაბი იოსებ თბილისელის თაოსნობით. ამ პერიოდში გაგრაში ცხოვრობდა სწავლული ფილოლოგი რაბი იეჰუდა ბენ იაკობიც, ავტორი (ან უფრო გადამწერი) ებრაული გრამატიკისა, რომელსაც ყარაიმული გრამატიკული სკოლის გავლენა ეტყობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მონღოლების ზეწოლის გამო, ებრაელების ნაწილი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან სხვადასხვა ქვეყანაში გადასახლდა. XIV საუკუნის დამდეგს ქალაქ თავრიზში (თებრიზ, ჩრდილო-დასავლეთ ირანი) მოღვაწეობს იუდაიზმის კანონების მცოდნე იეშაიაჰუ ბენ იოსებ თბილისელი, რომელსაც 1330 წელს «სეფერ გან ედენ» («სამოთხის წიგნი») დაუწერია.

ქართველმა ებრაელებმა საქართველოში დღემდე შემოინახეს ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორიცაა ტყავზე დაწერილი, მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერად აღიარებული თორა, რომელიც «ლაილაშის ბიბლიის» სახელწოდებითაა ცნობილი. XII საუკუნეში (1131 წ.) სალონიკში (საბერძნეთში) მაღალმხატვრულად, ლამაზი ორნამენტით შესრულებული ეს ძეგლი საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა ლაილაშის სინაგოგაში. მას სვანურ ბიბლიასაც უწოდებენ და არაერთი ლეგენდით ამკობენ ქრისტიანები თუ იუდაისტები. ჩვენამდე მოაღწია, აგრეთვე, ე.წ. ბრეთის, ანუ ავალიანთ (ავალიშვილების) ბიბლიამ (დაწერილია ქ. სალონიკში, 1513 წ., სულთან სელიმ I-ის მეფობის დროს, იეჰუდა გედალიას ოჯახში, ვინმე ყაზრიელის მიერ).

გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა ძირითად სამოსახლო პუნქტებს წარმოადგენდა: სურამი, ახალდაბა, ალი, ბაზალეთი, არაგვისპირი, ცხინვალი, ატენი, თამარაშენი, ძეგვი, ზანავი, ხერკი, მეტეხი, კასპი, მუხრანი, კავთისხევი და მთელი ტერიტორია არაგვისა და მტკვრის შეყოლებით, სამცხე-ჯავახეთში — ფანასკერტი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე; კახეთსა და ქიზიყში — ბოდბისხევი, ზემო ხოდაშენი, ველისციხე, ურიათუბანი, საგარეჯო, დასავლეთ საქართველოში: იმერეთში — ქუთაისი, ვანი, კულაში, სამეგრელოში — ფოთი, ბანძა, სენაკი, რაჭა-ლეჩხუმში — ონი, ლაილაში, ხოტევი, გურიაში — ოზურგეთი.

ებრაელთა ეპიგრაფიკული ძეგლები ებრაულ და არამეულ ენებზე (III-IV სს.) აღმოჩენილია ურბნისსა და მცხეთაში, მაგრამ, გვიანფეოდალურ ხანაში ისინი აღარ ჩანან. ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის განსახლების ადგილებში შემორჩა მხოლოდ ტოპონიმები («უბანი ურიათა», «ურიათუბანი», «ნაურიები», «ურია»).

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ებრაელთა მდგომარეობა გაუარესდა, რადგან რუსეთმა უმიწაწყლოდ დარჩენილი ებრაელები კანონგარეშე გამოაცხადა. არსებობის შესანარჩუნებლად მიწის მუშა-ებრაელი იძულებული გახდა წვრილმანი ვაჭრობისათვის მიეყო ხელი და კარდაკარ სიარულით მოეპოვებინა საზრდო. ეს კი იმის საბაბი გახდა, რომ შექმნილიყო მეწვრილმანე ებრაელის სტერეოტიპი, რომელსაც თითქოს ბუნებით მოსდგამდა მისწრაფება ამ საქმიანობისადმი. ეთნოგრაფიული მონაცემები კი ქართველ ებრაელს წარმოგვიდგენენ როგორც დიდი სამეურნეო ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილ მიწისმოქმედს, რომელშიც შერწყმულია ძირძველი ადგილობრივი — ქართული — და ბიბლიური საყოფაცხოვრებო ცოდნა.

სოციალური მდგომარეობა
და სამეურნეო ყოფა

ფეოდალურ საქართველოში ებრაელობა (კუთვნილების თვალსაზრისით) სამეფოსადედოფლოდ, საეკლესიო-სამონასტროდ, სათავადაზნაუროდ იყოფოდა. ებრაელები სამეგრელოში დადიანებს ეკუთვნოდნენ, ქართლში — ციციშვილებს, ავალიშვილებს, ფალავანდიშვილებს. ებრაელების მნიშვნელოვანი ნაწილი მართლმადიდებელი ეკლესიის ყმები იყვნენ, რაც, გარკვეულწილად, უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა.

«ყმა-ებრაელი» მიწას ამუშავებდა, ვენახს, ხეხილს აშენებდა, პურეული მოჰყავდა, ხელოსნობასა და აღებ-მიცემობას მისდევდა. ებრაელები მეფეს, ეკლესიასა თუ ფეოდალს (ბატონს) «თეთრით» უსწორდებოდნენ, გადასახადს სოფლის მეურნეობის პროდუქტითა და ბეგარით იხდიდნენ.

ფეოდალიზმის ხანაში ქართველ ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა ქართველი მოსახლეობის ანალოგიური იყო. ებრაელები ყველა იმ იურიდიული უფლებით სარგებლობდნენ, რითაც — ქრისტიანული მოსახლეობა. ქართული სამართლის ნორმები ისევე იცავდა ებრაელის საკუთრებას, როგორც ქართველებისას. მათ სრული უფლება ჰქონდათ შეეძინათ და გაესხვისებინათ უძრავი ქონება.

საუკუნეების განმავლობაში ებრაელებმა გაითავისეს ქართველებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის ფორმები და ყოფითი კულტურის ელემენტები. ქართველებთან მათი ახლო კონტაქტები აისახა ქართულ ონომასტიკაშიც — ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებში. ებრაელთა გვარების წარმოქმნა საერთო ქართულ პრინციპებს ემორჩილება და ოდითგანვე ყალიბდება «ძე»-ზე და «შვილ»-ზე დამთავრებული გვარები: ბათიაშვილი, ბერიკაშვილი, ბერიძე, დავითაშვილი, იაკობაშვილი, მაღალაშვილი, პაატაშვილი, მეგრელიშვილი, სიმონიშვილი და ა.შ.

ქართველი ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წარსულ საუკუნეებში საქართველოს დესპანებად წარგზავნილი ებრაელები (მაგ., დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი) აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამეფო კარის ცხოვრებასა და ქვეყნის პოლიტიკური კურსის შემუშავებაში. ებრაელები უახლოეს წარსულში, კერძოდ 1918 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის ფორმირებაშიც მონაწილეობდნენ: პირველ ქართველ პარლამენტართა შორის აბრამ ბუზიაშვილი და მოსე დავარაშვილიც იყვნენ. საუკუნეების განმავლობაში ებრაელები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მოძალებული მტრის მოგერიებისა თუ ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ცნობილია ახალციხელი ებრაელების საგმირო საქმეები თურქეთის შემოტევისას 1918-20 წლებში. ისტორიამ შემოინახა არაერთი სახელი იმ ებრაელებისა, რომელთაც თავი დადეს საქართველოსთვის.

თემის სტრუქტურა და საცხოვრებლის ტიპი

საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ შექმნა ქართველი ებრაელის ფენომენი. იგი სიმბოლურად ორი ერის შვილია: ქართულ მიწას ამუშავებს, ქართულად მეტყველებს, ქართულ სახლს აშენებს და, ამავე დროს, მტკიცედ იცავს რელიგიური ცხოვრების წესს.

ებრაელთა მშობლიური ენა, ბიბლიის ენა — ივრითი, განაგრძობდა არსებობას სწავლულ რაბინთა — იუდაიზმის ერთგულთა წრეებში (ისტორიამ შემოგვინახა სახელები თორისა და რწმენის უერთგულესი პიროვნებებისა). ამ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება ებრაულ სალოცავებში. ბეით ქნესეთი და მისი ეზო ყველა ჭირთათმენისა და სიხარულის ადგილი იყო ებრაელთათვის. ჯამაათის ზრდასთან ერთად ქალაქებსა თუ სხვა სახის დასახლებებში მატულობდა სალოცავების რიცხვიც.

საქართველოს ებრაელობა ამაყობს თავისი დიდი თალმიდ-ხახმებითა და რაბინებით, რომელნიც თორის ღრმა ცოდნითა და ტრადიციებისადმი ერთგულებით სულიერად აპურებდნენ ჯამაათს. სწორედ მათმა მოღვაწეობამ (ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც) დღემდე შემოუნახა საქართველოს ებრაელებს რწმენა, რაშიც მათდამი ქართველი ხალხის ტოლერანტობასაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი.

ბატონყმური ურთიერთობებიდან თავისუფალ მდგომარეობაზე გადასვლამ და ურბანიზაციის პროცესმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ქართული ებრაული თემის სტრუქტურა. ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია, რომ საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს დასახლების გარკვეული ფორმა და საცხოვრებელი ნაგებობა შეესაბამებოდა. გეოგრაფიული პირობების გარდა, უბნურ დასახლებას ებრაელთა სპეციფიკური საქმიანობა ან ეთნიკური ნიშან-თვისება განაპირობებდა, ზოგჯერ განმსაზღვრელი იყო რელიგიური ფაქტორი; კონცენტრაცია, ძირითადად, სამლოცველოს ახლომდებარე უბნებში ხდებოდა, რადგან სამლოცველო წარმოადგენდა როგორც მათი რელიგიურ-კულტურული, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს.

ებრაელები, როგორც წესი, ამა თუ იმ ქალაქში ერთად სახლდებოდნენ და ცდილობდნენ საკუთარი სინაგოგა დაეფუძნებინათ. სოფლებიდან წამოსულებიც ერთმანეთთან ახლოს იდებდნენ ბინას, რის გამოც ქალაქებში ებრაული დასახლებები იქმნებოდა. ჩვეულებრივ, ასეთი ჯგუფი დიდი ოჯახებისგან შედგებოდა, რომლებიც სამ-ოთხ თაობას აერთიანებდნენ. ჯგუფში ოჯახების რაოდენობა შეზღუდული იყო. მათ არჩეული *გაბაი* თავკაცობდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო სინაგოგაში საქმეთა წარმოებაზე. ხახამი კი თემის რელიგიურ ცხოვრებას უძღვებოდა, ადგენდა რაბინის, ხაზანის (მლოცველი სინაგოგაში), შეხოტის (ფრინველისა და ცხვრის შემწირველი) და ხედერას (მედრესის მასწავლებელი) ფუნქციებს.

თბილისშიც ებრაელთა უბანს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ებრაელებმა ჩაუყარეს საფუძველი. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ეს უბანი «სიონის მახლობლად, ფეთხაინის ეკლესიის ძირას ყოფილა». XX საუკუნის პირველ ნახევარში ებრაელებმა თხოვნით მიმართეს გუბერნატორს, რათა მას დედაქალაქში მათთვის ახალი სამლოცველოს აშენების ნება დაერთო. 1905-1906 წლებში ახალი სინაგოგის მშენებლობა დასრულებულა და ებრაული მოსახლეობაც, ძირითადად, მის მახლობლად განსახლებულა. ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩის მიდამოებში.

აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა დასახლებებიც მჭიდრო, კომპაქტური იყო, საცხოვრებელი ნაგებობანი კი — ძირითადად, მიწური და დარბაზული სახლის ტიპისა, ოჯახები — დიდი, პატრიარქალური (20-25 სული).

XX საუკუნის დამდეგის სოციალურ-ეკონომიკური ძვრების შედეგად დიდი ოჯახები იშლება და მათ ადგილს ერთპიროვნული ოჯახები იკავებს.

საკარმიდამო ნაკვეთებს გარდა, ებრაელები სახნავ-სათეს მიწებს, ბაღებსა და ვენახებსაც ფლობდნენ. დასავლეთ საქართველოს ებრაელთა დასახლებებში გავრცელებული იყო ხის ქართული ოდა სახლი, დიდი საკარმიდამო ეზოთი გარშემორტყმული, სადაც განლაგებული იყო სამეურნეო ნაგებობები: ბოსელი, საქათმე, ბეღელი, შიგნით გაშენებული იყო ვენახი და ხეხილის ბაღი.

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა საცხოვრებელი კომპლექსი, ძირითადად, ქართული ეროვნული საცხოვრებლის ტრადიციას ემყარება, მასში მაინც მკაფიოდ ჩანს ებრაელი ხალხის სულიერი კულტურის სპეციფიკასთან დაკავშირებული დეტალები. ყოველი ებრაელის სახლს ჰყავდა თავისი მფარველი, მშვიდობისა და დოვლათიანობის მცველი, რომელსაც *მეზუზა* ჰქვია. ამავდროულად, მეზუზა ოთხკუთხა, თავდახურული თხელი ყუთია, რომელშიც ჩასვენებულია *სოფერის* (წმიდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის ქაღალდზე ნაწერი «მეორე სჯულის» ფრაგმენტი თორიდან და მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს. დღესდღეობითაც ოჯახის ყველა წევრი სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას გარკვეულ რიტუალს ასრულებს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს.

ვაჭრობა და მეურნეობა

ებრაელები ქართველებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი არამარტო საერთო ტერიტორიაზე ცხოვრებით, არამედ საერთო ეკონომიკური ბაზის წარმოებითაც. ისინი ძველთაგანვე მისდევდნენ მიწათმოქმედებას — ოჯახის უფროსი მამაკაცი გუთნისდედა იყო. ის განაგებდა ხვნა-თესვასა და თიბვა-ლეწვასთან დაკავშირებულ საქმიანობას. ითესებოდა დოლის პური, დიკა, ქერი. პურეულს კალოზე ლეწდნენ. მესაქონლეობის ინტენსიურ წარმოებას არ მისდევდნენ, მას, ძირითადად, საოჯახო დანიშნულება ჰქონდა. ებრაელები წარმატებით ეწეოდნენ მევენახეობა-მეღვინეობას.

სოფლის მეურნეობასთან ერთად ებრაელთა ერთი ნაწილი ხელოსნობასა და შინამრეწველობას მისდევდა: მეთუნეობას, დურგლობას, მეწაღეობას, მექუდეობას, მღებრობას, მჭედლობას. ებრაელი ხელოსნები ქმნიდნენ საკუთარ სახელოსნოებს ან მცირე საწარმოო გაერთიანებებს — «ამხანაგობებს», რომლებშიც ძირითადი პროფესიის მიხედვით 2-3 ხელოსანი ერთიანდებოდა.

ქართლში (გორში, ცხინვალში) ებრაელებს ჰქონდათ ღვინისა და არყის ჩამოსასხმელი ქარხნები, ჩაის შემფუთავი საამქრო, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სამკერვალოები და სხვ. ნიქოზში, ებრაელების მფლობელობაში იყო აგურის მცირე ქარხნები, სადაც ამზადებდნენ აგურს, კრამიტს, ალიზს. ჰქონდათ სამხერხაოები, წისქვილები. რაჭაში ცნობილი იყვნენ ებრაელი მეთუნეები.

სამზარეულო

ებრაული სამზარეულო განსაზღვრავს ებრაელთა პურობის ხასიათს. მაგრამ როგორი შინაარსის ან სიდიდისაც არ უნდა იყოს ებრაელთა პურობა, მას ყოველთვის ახლავს სამი საკრალური ელემენტი: მარილი, პური, ღვინო. მარილზე დაწებული პურის ნატეხის («ჰამოცის» და «კლდუშის») და ღვინის კურთხევის რიტუალებით პურობის დაწყების აუცილებლობა ეტიკეტის სავალდებულო წესია. ყოველი ეთნოსის სამზარეულოში დასტურდება კანონით განსაზღვრული დასაშვები და აკრძალული საკვების არსებობა. ქართველ ებრაელთა კვებაში არსებული აკრძალვები ზოგადებრაულია. მკვლევართა აზრით, სწორედ ამ აკრძალვების დაცვა გახდა ებრაელი ხალხის მორალური და ფიზიკური სიმტკიცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

სოციალური ურთიერთობები
და ყოფა-ცხოვრება

საუკუნეების განმავლობაში ქართველებისა და ებრაელების ერთად ცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ორივე ხალხის ყოფასა და კულტურაზე. ებრაულმა ყოფამ გაითავისა მთელი რიგი ქართული წესებისა, რაც ნათლად ვლინდება ებრაული ქორწილის, დაკრძალვის, გლოვის რიტუალებში.

ებრაული თემის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო მორალურად და ეკონომიკურად ძლიერი ოჯახის არსებობა. ებრაულ ოჯახში, რო-

გორც ოჯახის წევრთა ურთიერთობაში, ისე მათ საქმიანობაში, ტრადიციის ძალით მკაცრად იყო დაცული ასაკობრივ-სქესობრივი სეგრეცია. ოჯახის უფროსად მიიჩნეოდა მამაკაცი — ყოველგვარი საკაცო საქმიანობის წარმმართველი და განმანაწილებელი, გარე ურთიერთობის მომწესრიგებელი, ოჯახის ქონების განმანაწილებელი, საოჯახო საქმეებში რჩევა-დარიგების მიმცემი.

უფროსი მამაკაცის შემდეგ ოჯახში საკმაოდ დიდი უფლება-მოვალეობები ეკისრებოდა უფროს ქალს (დედას). დედა ოჯახის იმედი და ბურჯია. მას საოჯახო საქმიანობის გარდა, მთელი რიგი რელიგიურ-სადღესასწაულო წესების დაცვა-შესრულება ევალება. ოჯახის დედა მეთვალყურეობდა ქალიშვილების აღზრდას: უზრუნ-ველყოფდა მათ მიერ საოჯახო საქმიანობისა და ხელსაქმის შესწავლას, ზნეობრივი ნორმების, სტუმართმოყვარეობის, უფროსებისადმი მოკრძალების, ოჯახის წევრების პატივისცემისა და სხვა წესების დაცვას. დედა შვილებს შრომისმოყვარეობასთან ერთად პატიოსნებასა და თავდაჭერილობის ჩვევებს უნერგავდა. ამრიგად, ოჯახში სიწმინდის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შემნახველი და დამცველი, ძირითადად, ქალი იყო.

ებრაელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახის შექმნასა და შთამომავლობზე ზრუნვას. ტრადიციით, საქორწინო ასაკად ქალისათვის 14-16 წელი ითვლებოდა, ვაჟი კი 18 წლის შესრულების შემდეგ ოჯახდებოდა; ნიშნობა უფრო ადრეულ ასაკში ხდებოდა. სრულასაკოვანთა დანიშვნასთან ერთად მცირეწლოვანთა და აკვანში დანიშვნის წესიც არსებობდა.

რელიგიური ტრადიციის ერთგულებამ განაპირობა ისიც, რომ ქართველ ებრაელებს შესისხლხორცებული ჰქონდათ საქველმოქმედო საქმიანობა: უსასყიდლოდ მომსახურება, სუსტთა, ობოლთა, ღატაკთა დახმარება, ამიტომ საზოგადოებას თითქმის არ ჰყავდა უსახლკაროები და კარ-დაკარ მოხეტიალე მათხოვრები. ყველა ებრაელი ვალდებული იყო დავრდომილისთვის ლუკმაპური გაენაწილებინა, თავშესაფარი მიეცა და დაგლახაკების უფლება არ მიეცა. გარდა ამისა, ებრაელებში მაღალ დონეზე იდგა თანადგომის კულტურა შრომაში, ლხინსა თუ ტირილში.

დღესასწაულები

ცნობილია, რომ ებრაელისათვის არსებობა იუდეველად ყოფნას ნიშნავს, რაც რჯულის დაცვას, ანუ წეს-ჩვეულებათა ერთგულებას გულისხმობს. ამიტომ ქართველ ებრაელთა კალენდარულ თუ რელიგიურ დღეებს მათ ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და მთელი რიგი თავისებურება-სპეციფიკურობით გამოირჩევა.

«უფლის დღედ» წოდებული წმიდა შაბათი, «როშ ჰაშანა» — ახალი წელი ებრაული კალენდრით, «ქიფური» — მონანიებისა და მიტევების დღე, «სუქოთი» — კარვობა — «ჟამი ჩვენი სიმხიარულისა», რომელსაც თორის დღესასწაული «სიმხათ თორა» აგვირგვინებს, ბრწყინვალე დღესასწაული «ხანუქა», ებრაული რწმენის გადარჩენას, სინათლის სიბნელეზე გამარჯვებას რომ განასახიერებს, ხეების ახალი წელი «ტუ ბიშვატი», «ფურიმი» — ებრაელთა ფიზიკური გადარჩენის სიმბოლო, «ფესახი» — «მაცობა», ეგვიპტის მონობიდან ებრაელთა გამოსვლის აღსანიშნავი დღესასწაული

«ჟამი ჩვენი თავისუფლებისა», «შავუოთი» — «ჟამი ჩვენი თორის ბოძებისა», მარხვისა და ხსოვნის დღეები, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების აღმნიშვნელი თარიღები, ადამიანის ასაკის განსაკუთრებული მომენტები — «ბრით მილა», «ბარ და ბათ მიცვა», ცხოვრების სხვადასხვა ეტაპების — «ხუფა», «ქეთუბა», «გეტი» — აღნიშვნა და კიდევ ბევრი ოჯახური თუ სათემო ტრადიცია, ქართველი ებრაელების სულიერი კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების მდიდარ სამყაროს წარმოაჩენს.

დღეობა-დღესასწაულები ებრაელების სოციალური ურთიერთობების, სულიერი თუ მატერიალური კულტურის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებს და თითოეულ მათგანში თვალნათლივ იკვეთება მდიდარი, დახვეწილი, ამავე დროს განსაკუთრებული, სპეციფიკური ნიშნების მატარებელი ყოფითი ტრადიციები.

საქართველოს ებრაელობამ სათუთად შემოინახა და დღემდე მოიტანა ებრაული რელიგიური ტრადიციისთვის დამახასიათებელი რეალიები. ამან განაპირობა ის, რომ საქართველოში ებრაელებმა არ დაკარგეს თავიანთი ეროვნულობა და თვითმყოფადობა. ამასთან, ისინი საქართველოში უცხოელებად არ იყვნენ მიჩნეული, პირიქით, ქართველი ებრაელები თანაზიარნი იყვნენ ქართველი ხალხის გაჭირვებისა თუ ლხინისა.

საქართველოს ებრაელები XIX-XX საუკუნეებში

რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა გამუდმებით ცდილობდა დაეპირისპირებინა ებრაელი და ქართველი მოსახლეობა («სისხლის შარი» — სურამის პროცესი, 1850 წ., ქუთაისი-საჩხერის პროცესი, 1879 წ., და სხვ.), თუმცა ამას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოში ანტისემიტიზმმა გასაქანი ვერ ჰპოვა.

ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა თავმოყრისა და გაერთიანების იდეამ სიონიზმის სახით შეისხა ხორცი. საქართველოში ამ იდეის შემომტანები და გამავრცელებლები, ძირითადად, აშკენაზები იყვნენ. სიონისტური წრეები თბილისში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში XIX საუკუნის დამლევს ამოქმედდა. 1905 წლის რევოლუციის დროს შეიქმნა ებრაელთა ეროვნული კომიტეტი, რომელმაც 1919 წლის ივნისში თავი საქართველოს სიონისტურ კომიტეტად გამოაცხადა, აგვისტოში კი საქართველოს პირველი სიონისტური კონფერენცია მოიწვია. მეექვსე სიონისტური კონგრესის მუშაობაში (ბაზელი, 1903 წ.) მონაწილეობა მიიღო რაბინმა დავით ბააზოვმა, რომელიც საქართველოს ებრაელთა სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი იყო. XX საუკუნის პირველ ათწლეულში მასთან ერთად სიონისტურ მოღვაწეობას ეწეოდა ნათან ელიაშვილი (1893-1929).

სიონიზმის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობაც შეხვდა რელიგიური მოძრაობა ხაბადის წევრების მხრიდან, რომლებმაც საქართველოში 1916 წლიდან დაიწყეს მოღვაწეობა. მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ ორთოდოქსი ლიდერებიც — ხახამები. მართლაც, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს დიდი არ იყო საქართველოდან ისრაელში ასული ხახამების რაოდენობა. მათგან მხოლოდ რამდენიმეს სახელია შემორჩენილი: ეფრაიმ ბენ იაკობ ჰალევი კუკია, რომელმაც 1877

წელს იერუსალიმში გამოაქვეყნა რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულება *იალკუთ ეფრაიმ ალ-ჰათორა იმ ხაშემ მეგილლოთ* («ეფრაიმის განმარტებათა კრებული ხუთწიგნეულსა და თორაზე») და *სამ ხაიმ: ლიკკუთიმ უ-მუსარიმ ტოვიმ* («სიცოცხლის ელექსირი: ამონარიდები სათნო ცხოვრების შესახებ»). ახალციხელი ხახამი იოსებ დავითაშვილი ერეც-ისრაელს XIX საუკუნის 90-იან წლებში დაუბრუნდა; სიმან ბენ მოშე რიჟინაშვილმა 1892 წელს იერუსალიმში გამოსცა ებ-რაულ-ქართული სახელმძღვანელო-სასაუბრო (ებრაული დამწერლობით) *სეფერ ჰინნუხ ხა-ნეარიმ* («ყრმათა აღზრდის წიგნი»).

1918 წლის იანვარში, თბილისში დაარსდა ნაციონალური საქმეების ებრაული კომისარიატი. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა სამმა ებრაელმა (ი. ელიგულაშვილმა, მ. დავარაშვილმა, ი. გოლდმანმა); ქარ-თველ ებრაელთა ლიდერებმა ბეით ქნესეთის ოქროს მარაგის ნაწილი საქართველოს ხაზინაში შეიტანეს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკური სა-ფუძვლის განსამტკიცებლად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, «მეცნიერული» ათეიზმის მძვინვარების მიუხედავად, იუდაიზმის ტრადიციების რღვევის საქმეში კომუნისტურმა ხელისუფ-ლებამ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია.

1960-70-იან წლებში ქართველ ებრაელთა უმრავლესობა განაგრძობდა სინაგოგაში სიარულს, იცავდა ქაშრუთს (გარკვეული საკვების აკრძალვის წესს). წინადაცვეთა, ქორწინება და დასაფლავება რელიგიური წესების დაცვით სრულებოდა. ბავშვები 13 წლის ასაკამდე სწავლობდნენ იატაკქვეშა არალეგალურ ხედერებში. მართალია, მათი არსებობის შესახებ ხელისუფლებამ იცოდა, მაგრამ ამჯობინებდნენ ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიექციათ.

საბჭოთა კავშირში პირველმა სწორედ საქართველოს ებრაელობამ შეძლო კომუნისტური «რკინის ფარდის» გარღვევა.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ალიასთვის (ისრაელში ასვლისთვის). ქართველი ებრაელებიც ჩაებნენ ამ მოძრაობაში. ეს ისტორიული სამშობლოსადმი მათი ლტოლვით აიხსნება და არა საქართველოში მათი რაიმე სახის დისკრიმინაციით.

დიდი გმირობა იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელზე ქართველ ებრაელთა 18 ოჯახის მიერ 1967 წლის 9 აგვისტოს გაგზავნილი მიმართვა და მათი ბრძოლა ისრაელში დაბრუნების უფლების მოსაპოვებლად (ამ თემაზე 2006 წელს დოკუმენტური ფილმიც შეიქმნა — «თუ დაგივიწყო იერუშალაიმ», რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, იდეისა და სცენარის ავტორი გურამ ბათიაშვილი). ეს დიდი ალიის დასაწყისი იყო. როცა საბჭოთა კავშირში ზღვარდაუდებელი ანტიისრაელური კამპა-ნია იყო გაჩაღებული, საქართველოდან შედარებით უმტკივნეულოდ ხდებოდა ებრაელების რეპატრიაცია. საქართველოდან ებრაელთა გადინებამ კულმინაციას 1991-1994 წლებში მიაღწია.

საზოგადოებრივ და კულტურულ ასპარეზზე

საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში.

ებრაულ თემს დიდ თანადგომას უწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავ-რცელებელი კომიტეტი «ჯოინთი» (დაარსდა 1914 წ.), რომელიც 1992 წლიდან თბილისში საქველმოქმედო, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და თემის აღმშენებლობის პროგრამებს ახორციელებს. «ჯოინთის» საქველმოქმედო ცენტრები («ხესედები») მოქმედებს თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავსა და ონში. კომიტეტის ეგიდით ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბავშვო ბაღი, ქართულ-ებრაული ცეკვის თეატრი «იონათ ჰაშალომი», ახალგაზრდული ორგანიზაცია «ჰილელი-თბილისი», ვოკალურ-მუსიკალური ჯგუფები, სხვადასხვა კლუბები, ეწყობა საზაფხული ბანაკები. «ჯოინთი» აქტიურადაა ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში — გამოდის ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო ნაშრომები. 2003 წლის 1 აგვისტოს საქართველოში «ჯოინთის» მოღვაწეობის მეათე წლისთავს დაუკავშირდა საქართველოს ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში პირველი «ებრაული სათემო სახლის» გახსნა თბილისში.

საქართველოს თანამედროვე ებრაული თემის არსებობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ებრაული სააგენტო ისრაელისათვის («სოხნუთი»), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიო ებრაელთა შეკავშირებასა და ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობას (გაიხსნა 1989 წ.). «სოხნუთის» საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარეა ინფორმაციის მიწოდება და დახმარების გაწევა იმ ებრაელთათვის, რომლებსაც ისრაელში ასვლა (რეპატრიაცია) აქვთ გადაწყვეტილი; ბოლო დროს «სოხნუთის» მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაიზარდა ისრაელის უნივერსიტეტებსა და სკოლებში სასწავლებლად წარგზავნილი ახალგაზრდების რაოდენობა. სააგენტოს ეგიდით მუშაობს «ულფანები» (ებრაული ენის შემსწავლელი კურსები).

დღეისათვის ივრითი ისწავლება, აგრეთვე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ივრითის სწავლება აქ შემოღებულ იქნა 1944 წ. აკად. კონსტანტინე წერეთლის თაოსნობით), ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში, ღია ებრაულ უნივერსიტეტში, ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდში, საშუალო და საკვირაო სკოლებში.

საქართველოში მოქმედი ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი «ნაბიჯი თორისაკენ», მოქმედებს საბავშვო ჯგუფი «შალომ სეზამი», ებრაული კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, ხორციელდება პროგრამა «ჰათიკვა», მიმდინარეობს ებრაული და ინგლისური ენების შესწავლა, მუშაობს პოეზიის მოყვარულთა წრე და სხვ. ფონდთან ფუნქციონირებს პროგრამა აფხაზეთიდან დევნილთათვის. 1997 წლიდან ყოველწლიურად ფონდი ატარებს ებრაული წიგნის ფესტივალს საქართველოში.

1987 წელს დაფუძნდა საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი. საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრმა დაარსებიდან 20 წლის განმავლობაში დიდი წვლილი შეიტანა ებრაული კულტურული გარემოს შექმნის, განვითარებისა და აღორძინების საქმეში.

1992 წელს აღდგენილ იქნა 1933 წელს დაარსებული და 1950 წელს გაუქმებული საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელსაც რაბინ დავით ბააზოვის სახელი მიანიჭეს. თუმცა დღეისათვის მუზეუმი სავალალო მდგომარეობაშია და გადაუდებელ დახმარებას მოითხოვს.

საქართველოს მთავარი რაბინის, არიელ ლევინის, თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილ საგანმანათლებლო ცენტრში («თიფერეთ ცვი») კარგა ხანია მოქმედებს ებრაული სკოლა, საბავშვო ბაღი, რელიგიური აკადემია «იეშივა», ქალთა ორგანიზაცია «ემუნა», კლუბი «მიშფახა», პროგრამები «მეხინა», “STARS” (ახალგაზრდებისათვის) და სხვ.

1993 წლიდან გამოიცემა ქართულენოვანი ებრაული გაზეთი «მენორა». იგი მკითხველს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ისრაელში მიმდინარე პროცესების თაობაზე, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ ებრაელებს საქართველოს ყოველდღიურობაზე უამბობს.

XX საუკუნის დამდეგს ებრაელ ქალთა მხოლოდ ცალკეული წარმომადგენლები ცდილობდნენ დაუფარავად შებრძოლებოდნენ კარჩაკეტილობას, მასობრივ გაუნათლებლობას, სტიქიურ რელიგიურ ფანატიზმს (აღსანიშნავია მწერლისა და ჟურნალისტის როზა თავდიდიშვილის (1886-1967) წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება, მისი «ეთნოგრაფიული ნარკვევი «ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებიდან», და რაბინ დავით ბააზოვის ქალიშვილების — ფაინასა (1911-1980) და პოლინას (1915-2003) თემის სიყვარულსა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში გატარებული საინტერესო ცხოვრება).

დღეს საქართველოში არსებობს ებრაელ ქალთა რამდენიმე აქტიურად მოქმედი ორგანიზაცია: საქართველოს ებრაელ ქალთა ასოციაცია «მირიამი»; ებრაელ ქალთა ფონდი, საერთაშორისო ფონდი «ლეა». 1999 წელს საქართველოს მთავარი რაბინის, არიელ ლევინის ინიციატივით, დაარსდა მსოფლიო ქალთა ორგანიზაციის «ემუნა»-ს (რწმენა) თბილისის ფილიალი. «ემუნა» მორწმუნე ქალების მოძრაობაა, რომელიც ისწრაფვის დააფუძნოს ცხოვრება თორის მიხედვით. 2002 წელს დაფუძნდა მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაცია საქართველოში.

საქართველოს ებრაელთა ცხოვრება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისა და საერთო ვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა. საქართველოს ებრაელებმა ამ პერიოდში მრავალმხრივ გამოიჩინეს თავი. დიდი ებრაელი განმანათლებლებისა და მოღვაწეების — რაბინ დავით ბააზოვის, მწერლისა და დრამატურგის, გერცელ ბააზოვის, შემდგომი თაობები მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში მიღწეული წარმატებებით გამოირჩევიან. საქართველოს ებრაულ თემს ათობით აკადემიკოსი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა

კანდიდატი, ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს სახელმწიფო პრემიის 5 ლაურეატი ჰყავს. ებრაელთა შორის არიან საქართველოს საპატიო მოქალაქეები და «საპატიო თბილისელები».

საქართველოს საპატიო მოქალაქეების წოდებას ატარებენ: იცხაკ დავიდი, შალომ დავიდი, დავით ბააზოვი, თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი, გინესის რეკორდს-მენი, აღიარებული ვირტუოზი-გიტარისტი, ღირსების ორდენის კავალერი თემურ ყვითელაშვილი, თბილისის ერთგულების მედლის მფლობელი, მოდელიორ-დი-ზაინერი, ღირსების ორდენის კავალერი აბრამ ბაზელი, ებრაული კულტურის აღორძინების სიმბოლო, «ვეფხისტყაოსნის» ებრაულ ენაზე — ივრითზე — მთარგმნელი ბორის გაპონოვი, ჯემალ აჯიაშვილი, გურამ ბათიაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი ჯემალ სეფიაშვილი, არქი-ტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი შოთა ბოსტანაშვილი, პოეტი-მთარგმნელი, ღირსების ორდენის კავალერი ნათან ბააზოვი, დრამატურგი, პოეტი, კრიტიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი გიგლა ხუხაშვილი.

ქართული სპორტის ისტორიაში ჩაიწერა ებრაელ სპორტსმენთა სახელები, მათ შორის არიან: მოჭიდავე გოჩა ციციაშვილი, სსრკ ორგზის ჩემპიონი კრივში გაბრიელ ხანუკაევი, მსოფლიოს რეკორდსმენი ძალოსნობაში რობერტ დათიკაშვილი, საქართველოს ერთადერთი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ფეხბურთში გურამ სეფიაშვილი, სსრკ ჩემპიონი გემთმოდელიზმში ზურაბ წიწუაშვილი, მსოფლიოს რეკორდსმენი ძალოსნობაში ხაიმ ხუბელაშვილი, სსრკ ჩემპიონი საჭად-რაკო კომპოზიციაში იოსებ კრიხელი, საერთაშორისო დიდოსტატები ჭადრაკში — ედუარდ გუფელდი, რომან ჯინჯიხაშვილი, სოფიკო ხუხაშვილი.

საქართველოს «მაქაბის» საზოგადოების სპორტსმენებმა (მაქაბიელებმა) დიდ წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიო თუ ევროპის მაქაბიადებზე, რაზეც მეტყველებს მათ მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი — ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს — მედალი, მსოფლიო და ევროპის მაქაბიადების ჩემპიონის ტიტულები და სხვა საპრიზო ადგილები. საქართველოში 1992 წლიდან ფუნქციონირებს საკალათბურთო კლუბი «მაქაბი», რომლის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელია ჯამლეტ ხუხაშვილი — სპორტული რადიოს («ჯაკო») გენერალური დირექტორი, სპორტული კომენტატორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი.

1998 წლის სექტემბერში საქართველოში უპრეცედენტო იუბილე გაიმართა, უნიკალური თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით — ქართველებისა და ებრაელების 26-საუკუნოვან თანაცხოვრებას ზეიმობდა ორი სხვადასხვა აღმსა-რებლობის ერი. მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა, რომელშიც ებრაული დიასპორაა, ვერ მოიწონებს თავს იმით, რომ საზეიმოდ აღენიშნოს ამ ქვეყანაში ებრაელთა შემოსვლისა და დასახლების თარიღი.

ზაირა დავარაშვილი
თამილა ცაგარეიშვილი

სომხები

სომხები (თვითსახელი — ჰაი) წარმოადგენენ სომხეთის რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას. კომპაქტურად ცხოვრობენ თვითაღიარებულ ყარაბახის რესპუბლიკაში, ცხოვრობენ, აგრეთვე, მსოფლიოს სამოცზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოსა და რუსეთში. მრავლად არიან შეერთებულ შტატებში, კანადაში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, მახლობელსა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. სომხური ენა შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში.

ამჟამად სომხები საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 6%-ს შეადგენენ. სხვადასხვა ოდენობით ცხოვრობენ ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით მრავლად არიან თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ისტორიული ნარკვევი

სომხური მოსახლეობის პირველი ფენა საქართველოში ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის დამდეგს გაჩნდა, როდესაც სელევკიდური სირიის მეფის, ანტიოქ III-ის, სარდლებმა არტაქსემ და ზარიადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და მეზობლად მდებარე ქართული მიწების ხარჯზე განავრცეს. ამის შემდეგ სომხურ-ქართული ურთიერთობა არ შემწყდარა და, ეპოქების შესაბამისად, სხვადასხვაგვარ ხასიათს ატარებდა. ამ მიმართულებით შეიძლება რამდენიმე ეტაპი გამოიყოს. VII საუკუნეში, საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, საქართველომ ქალკედონური ანუ «ბიზანტიური» ქრისტიანობა აირჩია, სომხეთმა — ანტიქალკედონური. ეკლესიებს შორის დაძაბულობა იქამდე მივიდა, რომ სომეხთა კათალიკოსმა ქალკედონური ქრისტიანობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა გააჩაღა. ავანის ქალკედონური საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ (605-607 წწ.) მის მრევლს სომეხთა ეკლესიამ გარკვეული მოთხოვნა წაუყენა: ან უარი ეთქვათ დიოფიზიტობაზე და არაქალკედონურ მრევლს შეერთებოდნენ, ან საერთოდ დაეტოვებინათ სომხეთი. დიოფიზიტი სომხების ერთი ნაწილი, რომელმაც უარი თქვა მრწამსის შეცვლაზე, საქართველოში გადმოსახლდა.

უფრო მოგვიანებით სომხური ეთნიკური ჯგუფები გაუკაცრიელებულ ადგილებზე სახლდებოდნენ. მათ საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებაშიც შეჰქონდათ მნიშვნელოვანი წვლილი. ამის მაგალითია დავით აღმაშენებლის მიერ გორში სომხების ჩამოსახლება. ასევე მრავლად იყვნენ სომხური წარმოშობის პირები საქართველოს მეფეთა სამსახურშიც.

გვიან შუა საუკუნეებში მრავალი სომეხი ტოვებდა ისტორიულ სამშობლოს, ვინაიდან იქ მათ ეროვნულ-პოლიტიკური თუ რელიგიური ნიშნით ავიწროებდნენ (იმ დროისათვის სომხეთის სახელმწიფომ კავკასიაში დამოუკიდებლობა დაკარგა) და სხვა ქვეყნებში, უფრო ხშირად საქართველოში, ეძებდა თავშესაფარს. სომხები,

უპირატესად, მოსაზღვრე ქვემო ქართლში სახლდებოდნენ სომხეთთან სიახლოვის გამო, იმ იმედით, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში თავიანთ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. XV საუკუნის პირველ ნახევარში ლორის პატრონმა პეგინ ორბელიანმა ოსმალეთიდან დევნილი უამრავი სომეხი შეიფარა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად თითქმის მთლიანად ამოჟლიტა 1440 წელს ლორეში შემოჭრილმა ყარა-ყოინლუს ფადიშაჰმა ჯეჰან-შაჰმა. იმ ხანებში ხშირი შემოსევებით გაუკაცრიელებული აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების დასახლებით ქართველი ხელისუფლებიც დაინტერესებული იყვნენ. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ვაჟი ბაგრატ მუხრანბატონი ყარაბაღში ჩავიდა, ყმა გლეხები შეიძინა და მუხრანში დაასახლა, სადაც მათი შთამომავლობა დღემდე ცხოვრობს.

სომეხმა მელიქებმა, აბოვმა და მეჯლუმმა, მეფე ერეკლე II-ს საქართველოში დასახლების ნება სთხოვეს. მეფემ შეიწყნარა აბოვის თხოვნა და თავისი ყმებიანად ქვემო ქართლში ჩამოასახლა, სოფელი ბოლნისი მისცა და კოლპის გზის დაცვა დაავალა. მეფე გიორგი XII-მ ქვემო ქართლში მელიქი ჯემშიდი ჩამოიყვანა გარკვეული პირობით: მას შეეძლო ეს ადგილი დაესახლებინა და მოეხმარა, «თუ არა და ისე სამეფო იყო, არა ჰქონდა ხელმწიფება გაყიდვისა».

საქართველოს სამეფოს მმართველობა არათუ უპირისპირდებოდა სომეხ მიგრანტებს, არამედ პირიქით — ქმნიდა პირობებს ქართველი და სომეხი მოსახლეობის მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის, ცდილობდა სომხური ეთნიკური ელემენტის ინტეგრირებას. ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) მათთვის შეღავათებს აწესებდნენ. სწორედ ამიტომ უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა.

ერთხანს ერეკლე II-ს სომხური კაპიტალის იმედი ჰქონდა და მისი საშუალებით ფიქრობდა ქვეყნის აღორძინებას. ამიტომ ფართოდ უღებდა კარს სომხებს. 1780 წელს ერევნიდან და 1787 წელს ყარაბაღიდან ერეკლემ 7000-ზე მეტი ადამიანი შემოიყვანა, თუმცა მათი ერთი ნაწილი მოგვიანებით განჯაში გადასახლდა. შემოდიოდნენ უფრო პატარა ჯგუფებიც, XVIII საუკუნის ბოლოს ირანელთა შემოსევებით შეწუხებული სომხების 50 ოჯახი ელიზავეტპოლიდან და შუშიდან სურამის «უბანში» გადმოვიდა და სოფ. ვაკის საბატონო მიწაზე დასახლდა.

საქართველოში რუსეთის გაბატონების შემდეგ სომხური მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა ახალი მიგრაციების ხარჯზე მოხდა. 1804 წელს გენერალმა ციციანოვმა ქვემო ქართლში ერევნის სახანოდან 2000 ადამიანი ჩამოასახლა (მანამდე აქ 5000-მდე სომეხი ცხოვრობდა). ცარისტულმა მმართველობამ XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ირანიდან და თურქეთიდან საქართველოში მრავალრიცხოვანი სომხური მიგრაციები განახორციელა. საქართველოში ირანიდან შემოსახლებული სომხები ქვემო ქართლში დაასახლეს, თურქეთიდან შემოყვანილნი კი, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთში.

1828-29 წლებში რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით რუსებმა საომარი ოპერაციების დროს დაკავებული თურქეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი დატოვეს. იქ მცხოვრები სომხები მათ იარაღით უჭერდნენ მხარს, ახლა კი თურქების წინაშე მარტო დარჩენისა და ფიზიკური განადგურების საფრთხე დაემუქრათ. ამიტომ ისარგებლეს ადრიანოპოლის

ხელშეკრულების იმ მუხლებით, რომელთა მიხედვითაც მეომარი მხარეების მოსახლეობას უფლება ეძლეოდა დაუბრკოლებლად გადასულიყო საცხოვრებლად ერთი ქვეყნიდან მეორეში, და რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ. 5 ათასი ოჯახი რუსეთის ხელისუფლებამ, ახლად შემოერთებულ ქართულ მიწაზე, სამცხე-ჯავახეთში ჩაასახლა.

თურქეთიდან სომხური მიგრაცია საქართველოში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პროცესმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო 1877-89 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. იმ ხანებში საქართველოში უამრავი სომეხი ჩამოვიდა, და ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში დამკვიდრდა.

1895-96 წლებში თურქეთში მომხდარმა სომხების დევნამ ლტოლვილთა ახალი ნაკადი გამოიწვია. მთლიანად ამიერკავკასიაში შემოსული 25000 ლტოლვილიდან 19000 ქართულ რაიონებში დასახლდა. თურქეთიდან მრავალი სომეხი შემოვიდა 1915 წლის შემდგომაც, იქ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის სომხები თბილისის გუბერნიის 267 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ. თითქმის ყველა სომხურ სოფელში იყო სომხური ეკლესია, ზოგან კი, მაგ., აგარაკში, ახპატში, სომხური სკოლებიც ჰქონდათ. მთლიანად სომხებით იყო დასახლებული მდ. დებედაჩაისა და ყაზახის მაზრას შორის მდებარე ველი. ძირითადად სომხებით იყო დასახლებული მდინარე დებედას აუზი და ლორეს სტეპი, თუმცა აქ ქართული, რუსული და ბერძნული სოფლებიც იყო.

ნარევი — ქართული-სომხური — იყო ახტალის მოსახლეობა, ხოლო დებედის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით ქართული მოსახლეობა თითქმის არ ჩანს. მდინარე მაშავერასა და ქციის ზემო წელი, რომელიც ყაფლანიშვილებს ეკუთვნოდა, გაპარტახებული ყოფილა. აქ სომხურ მოსახლეობაში, მცირე რაოდენობით, ქართველებიც სახლობდნენ.

1948-49 წლებში ალგეთის ხეობაში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევების დროს პატარა ენაგეთში, ვარდისუბანში, ვაშლოვანსა და სხვა სოფლებში დაფიქსირდა ქართულად მოლაპარაკე მოსახლეობა, რომლებიც აღმსარებლობით არაქალკედონელები იყვნენ. ამ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება დავუშვათ ორი ვარიანტი: ესენი ან ქვემო ქართლში მოსახლე უძველეს ქართველთა შთამომავლები არიან, რომლებმაც ქალკედონური მრწამსი შეიცვალეს, ან შედარებით გვიან მოსული სომხები, რომელთაც მშობლიური ენა დაკარგეს. შერეულ სოფლებში საურთიერთობო ენას ქართული წარმოადგენდა.

საცხოვრებელი
და სამეურნეო ნაგებობები

სომხებით დასახლებულ სოფლის უბანს სამცხეში «მაილას» უწოდებდნენ. ეს სახელწოდება შეიძლება შერქმეოდა მდებარეობის გამო — «ვერი მაილა» (ზედა უბა-

ნი), «ნერკინ მაილა» (ქვედა უბანი), ან შესაძლოა, მაცხოვრებელთა საერთო წინაპრის სახელიდან — «შოფერინგ მაილა» მომდინარეობდეს, ან გვარიდან — «დარბენენქ მაილა», ხელობასთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული — «დურგალენქ მაილა» და სხვ. ძირითად ორიენტირს, ჩვეულებრივ, სომეხთა სამოციქულო ან კათოლიკე ეკლესია წარმოადგენს. როგორც წესი, ეკლესიასთანვე მდებარეობს მცირე ზომის მოედანი, ხალხის თავშესაყარი. ხშირად აქვეა ხოლმე მილსადენით გამოყვანილი წყალი — ქვის, ბეტონის ან ხის აუზები და ჩამოსაჯდომი ძელ-სკამები. ეკლესიის მოედანზე იმართება სახალხო თავყრილობები, აქ იკრიბებიან საეკლესიო დღესასწაულების დროს, სოფლის საჭირბოროტო საქმეების გასარჩევად ანდა სალაპარაკოდ.

სასაფლაო, ჩვეულებრივ, სოფლის განაპირას მდებარეობს, ეთნიკურად შერეულ პუნქტებში კი — მოშორებით და სომხური სასაფლაოებისთვის დამახასიათებელი იერსახე აქვს. მიცვალებულთა პატრონიმიული პრინციპით დასაფლავება ბოლო დრომდეა შემორჩენილი.

შენობა-ნაგებობების განლაგებით სომხური სოფლები ადგილობრივი ქართული დასახლებებისაგან თითქმის არ განსხვავდება. ტრადიციულად, სამცხე-ჯავახეთის სიმბიოზური, მიწათმოქმედება-მესაქონლეობით წარმოდგენილი მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო კომპლექსური საცხოვრებელი და სამეურნეო, დარბაზული ტიპის ნაგებობები. დასახლებული პუნქტები ერთმანეთთან საიდუმლო ხვრელებით დაკავშირებული შენობებისაგან შედგებოდა, ეზოების უქონლობისა და ნაგებობების მაქსიმალური სიმჭიდროვის გამო ასეთი დასახლება თითქმის შეუმჩნეველი იყო. სოფელს მტრის თვალისაგან ისიც იფარავდა, რომ სასოფლო სამეურნეო სავარგულები მოშორებით მდებარეობდა. მიწურბანიანი და სანახევროდ მიწაში ჩაფლული სოფლები ნაკლებად ზარალდებოდა მტრის თავდასხმისას.

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების ტრადიციული საცხოვრებელი ერდოიან-გვირგვინიან დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს, ამგვარი სახლები, მეტწილად, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში გვხვდება. ამ ტიპის ნაგებობები ძლიერად შეჯგუფებულ, მეტწილად, გზისპირა დასახლებებშია გავრცელებული. სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზული ნაგებობების ლოკალურ ვარიანტთა ჩამოყალიბება გეოგრაფიული, სამეურნეო, ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორებით იყო განპირობებული.

დარბაზული ტიპის ნაგებობები გავრცელებული იყო, აგრეთვე, ყარსში, ბასიანსა და მის მომიჯნავე ოლქებში არსებულ სომხურ დასახლებებშიც. ამიტომ სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებისას დაცარიელებულ სოფლებში მათ საკმაოდ ნაცნობი საცხოვრებელი გარემო დახვდათ. მესხური საცხოვრებელი ერთ ჭერქვეშ მოთავსებულ ადამიანთა საცხოვრისსა და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა. ამ მხრივ, აქაური ტრადიციული სომხური და ქართული სახლები იდენტურია. XX საუკუნის 90-იან წლებში ასეთი შენობები ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო, თუმცა საცხოვრებლად თითქმის აღარ გამოიყენებოდა, არსად გვხვდება მათი თუნდაც სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაც.

სომხურ ენაში სახლის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი «ტუნ». ტუნს თავდაპირველად რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ის გამოხატავდა, ერთი მხრივ,

სამფლობელოს, მამულს, რაიონს, ოლქსა და თვით ქვეყანასაც კი, მეორე მხრივ კი, სოციალურ გაერთიანებებს აღნიშნავდა — გვარს, პატრონიმიას და, მოგვიანებით, დიდ საოჯახო თემს.

სამხრეთ საქართველოში ამ ტიპის საცხოვრებელს სომხები «გოღატუნ»-ს (მიწის სახლს) უწოდებენ. ის ქვისა და ალიზისაგან არის აგებული, გადახურვა მიწურბანიანია, შედგება კარაპანის, დერეფნისა და სამი განყოფილებისაგან. საცხოვრებლის შესასვლელში მოთავსებულია ღია აივანი — კარაპანი, რომელიც სამუშაო და საყოფაცხოვრებო იარაღების საწყობად გამოიყენება. ზაფხულობით ოჯახი სწორედ აქ ატარებდა დროს. კარაპნიდან ხის მძიმე, უბრალო კარით შევდივართ ბნელსა და ვიწრო დერეფანში («შვოგ»), რომელიც ნაგებობის ცალკეულ განყოფილებებს ერთმანეთთან აკავშირებს. შვოგის მარცხნივ იმყოფება «ტანდერტუნი» (თონის სახლი), დაახლოებით 20 კვ. მ. ფართობის სოხანიანი ოთახი. მისი სახელწოდება მომდინარეობს აქ მოთავსებული «ტუნდირ»-ისაგან (თონე=კერია). ეს ოთახი ორი განყოფილებისაგან შედგება — ერთი შედარებით (40-50 სმ-ით) მაღლაა განლაგებული. ამ განყოფილებაში ორი განსხვავებული ზომის ტუნდირია ჩადგმული. ტუნდირი =თუნდირი წარმოადგენს მიწაში პირამდე ჩაფლულ გამომწვარი თიხის უძირო ცილინდრული ფორმის ჭურჭელს (ქართული თონის მსგავსს). შედარებით დიდი ზომის ტუნდირში ოჯახის დიასახლისი კვირაში ერთხელ სომხურ ლავაშს აცხობდა, უფრო მომცროში კი ყოველდღიურ საჭმელს ამზადებდნენ. ამ ოთახის შემაღლებულ ნაწილს «ტენდრუჰ» ჰქვია.

ტენდერტუნის დაბალ განყოფილებაში დგას ხის გრძელი ტახტი. წინათ მასზე ოჯახის ახალგაზრდა წევრები იძინებდნენ. ტენდერტუნს საკუთარი გვირგვინი აქვს, რომელიც ხის ბოძებზეა დაყრდნობილი და ხუთი საფეხურისაგან შედგება. ამ სათავსოში ინახებოდა მარცვლეულისათვის განკუთვნილი ხის დიდი ჭურჭელი «ამბარი».

შვოგი მთავრდება საკმაოდ მოზრდილი ბნელი ოთახით «გომით». გომი საქონლის სამყოფელი (ბოსელი) იყო. მას სინათლე ზემოთ მოთავსებული პატარა ერდოდან «ერდიკ» მიეწოდებოდა. აქ იატაკი («სჰალდერუმ») ხის ძელებისაგანაა გაკეთებული. შუაში მას პატარა ღარი («გრანოცი») ჩამოუდის წუნწუხის გასასვლელად. გომს ბრტყელი მიწური გადახურვა აქვს.

დერეფნის მარჯვნივ, გომის მოსაზღვრედ, მოთავსებულია საცხოვრებელი ოთახი «სექუნი» ან «ბესჰიკ ოდა». შენობაში ესაა ყველაზე კეთილმოწყობილი განყოფილება. ოთახი ითვლებოდა ოჯახის უფროსის სამყოფლად, აქვეა მისი მოსასვენებელი ადგილი «მიზანდარან» და გრძელი ხის ტახტი ოჯახის უფროსის ცოლისა და შვილიშვილებისათვის, კედლის კარადა ხის კარებით («დოლაბ») ჭურჭლისა და თეთრეულისათვის. სინათლე და ჰაერი ბესჰიკ ოდაში გვირგვინის ბოლოს დატანებული ერდოდან შემოდის. გვირგვინი ოთხკუთხაა, ხუთსაფეხურიანი (მისი აგების წესი უკვე XIX საუკუნეში არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში). ერდო მცირე ზომის, 30-40 სმ-იან, ჭრილს წარმოადგენს, რომელსაც წვიმიან ამინდში პატარა ფიცარს აფარებდნენ, რათა საცხოვრებელში წყალი არ ჩამოსვლოდათ.

ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ნაგებობების ფორმის, სამშენებლო მასალის, სახურავის მოწყობილობისა და კერიის ადგილსამყოფლის მიხედვით ორი ტიპის ტრადიციულ ნაგებობას, ე.წ. «გლჰატუნს» გამოყოფენ. ეს ტიპები ზემოთ აღწერილი გოღიატუნისაგან განსხვავდება ელემენტებით, რომლებშიც ადგილობრივი ქართული სამშენებლო ტრადიციების ძლიერი გავლენა იგრძნობა.

ტრადიციულ სომხურ ნაგებობებში ზოგჯერ გვირგვინი ეყრდნობოდა არა მარტო ხის ბოძებს, არამედ კედლებსაც, უფრო მეტიც — ხშირად ტუფის ქვისაგან ნაგები სახლის გვირგვინი მხოლოდ კედლებს ეყრდნობოდა.

ეთნიკური იერსახე ჰქონდა შენარჩუნებული საცხოვრებლის იმ ელემენტებს, რომლებსაც საკულტო დანიშნულება ჰქონდათ. მაგალითად, ქართული კერისაგან განსხვავდებოდა სომხური «ვოჯახ» (კერა). სომხებისათვის დედაბოძის კულტი დამახასიათებელი არ ჩანს და ამიტომ სახურავის საყრდენი ბოძები, დედაბოძის ჩათვლით, სადაა და ნაკლებად გაფორმებული (ქართულ ეთნიკურ გარემოში დედაბოძს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც ამ ელემენტის მრავალფეროვანი ორ-ნამენტით შემკობაში გამოიხატება).

ტრადიციული ნაგებობების ინტენსიური მოდიფიკაციის პროცესს, რომელიც XX საუკუნის 30-40-იან წლებში დაიწყო, ეთნოდემოგრაფიული და სოციალ-ეკონო-მიკური ფაქტორები განაპირობებდა. ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრისიდან თანამედროვე საცხოვრებლზე გადასვლის პირველ საფეხურად მასში ახალი გან-ყოფილებების დამატებას მიიჩნევენ, რის შემდეგაც ქართულ ყოფაში «თაკარებიანი ოდა», ხოლო სომხურში «იურისენიაკი» გაჩნდა. ახალ ოთახებში ბუხრის შენების პრაქტიკამ კონსტრუქციული ცვლილებების აუცილებლობა გამოიწვია. კერიის («ვო-ჯახის») ადგილსამყოფლის შეცვლამ გავლენა მოახდინა ოთახის ინტერიერზე. შესასვლელი კარის მოპირდაპირედ კედელთან ბუხრის აგებამ და მისთვის საგანგებო საკვამურის მოწყობამ კვამლის გამტარის ფუნქცია დაუკარგა ერდოს, ხოლო ბინის განათება ფანჯრებს დაეკისრა. მტრის შემოსევათა საშიშროების გაქრობამ მიწურ ნა-გებობებს თავდაცვითი დანიშნულება დაუკარგა. კარდინალურმა საზოგადოებრივმა ცვლილებებმა გასული საუკუნის პირველ ნახევარში ტრადიციული სოციალური ერთეულის, საოჯახო თემის, დაშლა გამოიწვია; ამდენად, მოიშალა ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობების სოციალური ფუნქციაც, რადგან ქართული დარბაზი, სომ-ხური «გლხატუნი» და აზერბაიჯანული «ყარადამი» ახალ დროის მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა.

სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა

საქართველოს სომხური მოსახლეობა საცხოვრებელი ადგილის სპეციფიკიდან და საკუთარი ტრადიციული შრომითი ორიენტაციიდან გამომდინარე, სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდა.

ქალაქად მცხოვრები სომხები ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდნენ. განსაკუთრებით დიდი მასშტაბები ჰქონდა მეურნეობის ამ დარგებს ქალაქებში (თბი-

ლისში, ქუთაისში, გორში, თელავში და ა.შ.). საქალაქო ცხოვრების აღორძინებაში სომხურ ეთნიკურ ელემენტს დიდ როლს ანიჭებდნენ ქართველი მოღვაწენიც.

სოფლად მცხოვრები სომხები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. ისინი, ჩვეულებრივ, მტრის შემოსევებით გაპარტახებულ სოფლებში სახლდებოდნენ. მეურნეობის მხრივ აქ სპეციფიკური ვითარება იყო, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, სადაც თურქების გავლენის შედეგად, XVI-XVIII საუკუნეებში, თანდათანობით ისპობოდა ქართული მიწითსარგებლობის წესი და ოსმალური თიმარიოტული სისტემა ინერგებოდა, გამოხატული ე.წ. ახჩურ და თაფუს წესით მიწის ფლობაში. მიწათმფლობელობის ეს წესი კარგად იყო ცნობილი ოსმალეთიდან გადმოსული სომხებისათვის და თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე იქნა შენარჩუნებული. ამის მიუხედავად, მიგრანტებს გაუძნელდათ ახალ ეთნო ეკოსისტემას შეგუებოდნენ. მკვიდრი მოსახლეობის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ოპტიმალურად მორგებული სამუშაო იარაღები, შრომის წარმოების ხერხები და კულტურულ მცენარეთა ჯიშები უმეტესად უცნობი იყო მათთვის, რაც შრომის შედარებით დაბალ პროდუქტიულობას განაპირობებდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სომეხი მიგრანტები იძულებულნი გახდნენ ნასესხობის გზით, გადაეღოთ ადგილობრივი მოსახლეობისაგან ტექნიკური უნარ-ჩვევები და შრომის იარაღები. ისინი ებმებოდნენ ადგილობრივი ეთნოგეოგრაფიული გარემოსათვის დამახასიათებელ სამიწათმოქმედო და მესაქონლეობის სტრუქტურაში, ითვისებდნენ სოფლის მეურნეობის წარმოების ადგილობრივ ხერხებს, ებმებოდნენ უკვე ჩამოყალიბებულ საირიგაციო სისტემაში, ითავისებდნენ მესაქონლეობის ტრადიციულ წესს, უკვე არსებულ საიალაღო ბაზებს და ა.შ.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზი, თავის მხრივ, ცხოვრების სხვა მხარეებზეც ახდენდა გავლენას. პირუტყვს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ჯერ ერთი, სამიწათმოქმედო მეურნეობაში, და, გარდა ამისა, ხორცის და რძის პროდუქტებს კვების რაციონში ისეთივე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, როგორიც სამიწათმოქმედო კულტურებიდან დამზადებულ საკვებს. ცალკეულ რეგიონებში (ჯავახეთში) აუცილებელი იყო საქონლის ნაკელისაგან საწვავის (წივის) დამზადება. მაღალგანვითარებული მესაქონლეობა პოზიტიურ გავლენას ახდენდა შინამრეწველობაზე. ჯავახეთის სოფლები განთქმული იყო ოჯახებში დამზადებული შალის ნაწარმით, რომელიც საფრანგეთშიც კი გაჰქონდათ. მისდევდნენ მეცხვარეობას. ორი ჯიშის ცხვარი გავრცელებული იყო — «მაზიხი» და «თუშური». ამათ გარდა, ცნობილი იყო მათი ნაჯვარი ჯიში «კისიაკი». მას უკავშირებენ თურქეთში «ყარამანის» სახელით ცნობილ ცხვარს, რომელიც დიდი ზომით, წონითა და ცხიმიანობით გამოირჩეოდა.

ჰყავდათ მსხვილფეხა საქონელიც, განარჩევდნენ თურქმანული და თარაქამული მოდგმის პირუტყვს. თურქმანული საქონელი ტანად დიდი იყო და ცხიმიანი რძეც ჰქონდა, იგი გავრცელებული იყო ახალქალაქის მაზრის სამხრეთ ნაწილში, ყარსის მიმდებარე რაიონებში. მაზრის ჩრდილოეთით, ბორჩალოს მეზობელ ადგილებში, უფრო მეტად თარაქამული საქონლის მოშენებას მისდევდნენ. სომხები ადგილობრივი ჯიშის საქონელს ამჯობინებდნენ, რომელიც, მართალია, ტანად მორჩილი, მაგრამ ადგილობრივ გარემოს შეგუებული, ამტანი და ღონიერი იყო.

თითქმის ექვსი თვის განმავლობაში ბაგურ კვებაზე მყოფი საქონელი ზამთარში ძალიან ბევრ საკვებს მოითხოვდა. განსაკუთრებით ხარისხიან საკვებად ითვლებოდა თივა. თივის დამზადებას ივლისის თვიდან იწყებდნენ. პირველ რიგში, სოფლის მახლობლად მდებარე ბაღებსა და ჭალებს გათიბავდნენ. აგვისტოში კი მთაშიც ავიდოდნენ, სათიბები, ჩვეულებრივ, თითოეულ სოფელს თავისი საძოვრის მახლობლად ჰქონდა.

თივის გარდა ზამთარში საქონლის საკვებად იყენებდნენ ბზესაც (ნამჯა და ქერი), რომელიც საგანგებოდ მოწყობილ საბძლებში ინახებოდა. საბძელი საკმაოდ მოზრდილ ნაგებობას წარმოადგენდა. ჩვეულებრივ იგი «გომი ოდაზე» (საქონლის სადგომზე) უშუალოდ იყო მიდგმული და მას კარით უკავშირდებოდა.

ზაფხულობით სოფლებში საქონლის დატოვება მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მათ აქ ცალკე მომვლელი (მწყემსი) სჭირდებოდა, ხოლო ოჯახის წევრთა ძირითადი ნაწილი სხვა საქმიანობით იყო დაკავებული და საქონლისათვის მუშახელის მოცდენა ეძნელებოდათ. ამას ემატებოდა სოფლისპირა საძოვრების სიმცირე. ამიტომ მცირესაქონლიანი ოჯახები, რომლებსაც საზაფხულო საძოვრებზე ბინებიც არ ჰქონდათ, მეწველ საქონელს ახლო ნათესავს ან სხვა სანდო ადამიანს მიაბარებდნენ, რასაც სომხები «კისოვის» ეძახდნენ. ეს არის არენდის თავისებური ფორმა. საქონლის წამყვანი ვალდებულებას ღებულობდა, რომ მას პატრონს დაუზიანებლად დაუბრუნებდა. ამასთანავე, რძის პროდუქტების გარკვეული ნაწილიც (ერბო, საქონლისა და ცხვრის ყველი) საქონლის პატრონს ეკუთვნოდა.

შეძლებულ ოჯახებს ხშირად იმდენად ბევრი საქონელი ჰყავდათ, რომ ან ცალკე უნდა დაექირავებინათ მწყემსები, ან ოჯახიდან გამოეყოთ ვინმე.

ზაფხულის დასაწყისში საქონელი ალპურ საძოვრებზე («იაილებზე») მიდიოდა. მისი გაყვანის ვადები დამოკიდებული იყო სოფლის სარგებლობაში მყოფი საძოვრის მდებარეობაზე. ვისაც უფრო ქვემოთ ჰქონდა იაილები, შეეძლო ადრევე წაერეკა იქ პირუტყვი. საერთოდ კი, საზაფხულო საძოვრებზე ივნისის შუა რიცხვებიდან მიდიოდნენ.

იაილებზე საქონელს მიჰყვებოდნენ: ქალები (რძის პროდუქტების დასამზადებლად), ბავშვები და ოჯახის მოხუცი წევრები, რომელთა მონაწილეობას სამიწათმოქმედო საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. როდესაც ოჯახში რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა გაუყრელად ცხოვრობდა, მაშინ ერთი მათგანი (ჩვეულებრივ, უმცროსი) თავისი ცოლ-შვილით მიდიოდა იაილაზე და ზაფხულს იქ ატარებდა.

იაილებზე აგებული ქვის მიწურბანიანი შენობები ორი-სამი განყოფილებისაგან შედგებოდა. ბაგებზე ცალკე იყო გამოყოფილი საცხოვრებელი ოთახი («ტუნი»), ამ განყოფილებაში ეძინათ, აქვე ამზადებდნენ რძის პროდუქტებსაც. მეორე ოთახი განკუთვნილი იყო რძის დასაყენებლად (რათა თავზე ნაღები მოეგდო) და რძის პროდუქტების შესანახად. ერთი განყოფილება განკუთვნილი იყო ახლადმოგებული ხბოებისათვის. ნაგებობას მიშენებული ჰქონდა ხის სარებით შემოზღუდული უსახურავო საქონლის სადგომი «აღლი», რომელიც ცხვრის დასაყენებლადაც გამოიყენებოდა.

რძის გადამუშავება, ძირითადად, იაილებზე ხდებოდა. სომხები ამზადებდნენ ორი სახის ყველს — მრგვალსა და ჩეჩილს. რძეს («კათ») რამდენიმე ხანს გააჩერებდნენ ხის ვარცლებზე. შემდეგ მოხდიდნენ ნაღებს («სერუკ»), ნაღების შემდეგ დარჩენილი რძისაგან («ცოღ») მზადდებოდა ჩეჩილი ყველი («ჯაველ პანირ») ან მრგვალი ყველი («ქალა პანირ»). ადრე აკეთებდნენ ცხვრის ყველსაც («ვოჩხარე პანირ»). შესანახავად ყველს ხაჭოსთან ერთად ტენიდნენ საგანგებოდ გამზადებულ ცხვრის ტყავის გუდებში («ტიკ»). როდესაც ასეთი ყველი გაშრება, შეიძლება მთელი ზამთრის განმავ-ლობაში შეინახოს.

მოხდის შემდეგ ნაღებს ერთი დღე გააჩერებდნენ, რათა ამჟავებულიყო, შემდეგ საგანგებო სადღვებლით («ხნოცი») შედღვებდნენ. დარჩენილი დოსაგან («თან») ხაჭოს («ვაზნათს») ამზადებდნენ.

განსაკუთრებით გემრიელ საჭმელად ითვლებოდა «სერი». იგი ნაღებისა და ბრინჯისაგან მზადდება. ერთმანეთში არეულ ნაღებსა და მოხარშულ ბრინჯს თონეს-თან აშრობდნენ რაიმე ჭურჭლით. როცა იგი თხელ ფირფიტად გადაიქცეოდა, ჭრიდნენ და სუფრაზე მიჰქონდათ. «სერი» შეიძლება ქილაში ჩაიწყოს, ზედ თაფლი დაესხას და მთელი წელი შეინახოს. ამ პროდუქტს «მეღრასერი» ერქვა.

ივლის-აგვისტოში საქონელი წველას უკლებს. ამიტომ ერთ ან ორძროხიანი ოჯახები ერთმანეთს შეუამხანაგდებოდნენ და რძეს რიგრიგობით ერთმანეთს აძლევდნენ. ჩასესხებული რძის რაოდენობის დასამახსოვრებლად ხის ჯოხზე ჭდეს აკეთებდნენ. ამხანაგობის ასეთ ფორმას, ჭდის სომხური სახელწოდების მიხედვით, «ხაზს» უწოდებენ.

საქონლის გამრავლებისა და პროდუქტიულობისათვის ხელშესაწყობად სომხური მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო ჩვეულებებისა და რიტუალების მთე-ლი სპექტრი, რომელიც კალენდარული წლის განმავლობაში აგრარულ რიტუალებთან ერთად სრულდებოდა. რიტუალების ასეთი სიმრავლე და სინთეზი სომხურ მოსახლეობაში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დიდი ტრადიციების არსებობის ნიშანია. ეს დარგები მუდამ მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირე-ბული და ურთიერთწარმატებას განაპირობებდნენ.

სამოსი. მატერიალური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ჩაცმულობა, რომელზედაც სათანადოდ აისახება როგორც ეთნიკური ერთობის მიერ განვლილი გზა, ასევე თანამედროვე ტენდენციები. სოფლად მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში XX საუკუნის შუა ხანებამდე იყო შემონახული ტრადიციული კოსტიუმის ელემენტები, რომლებსაც თურქული და ქართული სამოსის გარკვეული გავლენა ეტყობოდა. ქალაქად კი XIX საუკუნეში ევროპულ ჩაცმულობაზე გადავიდნენ.

მამაკაცები ეტანებოდნენ უსაყელო პერანგს («შაპიკ»), რომელზედაც გარედან მუხლებამდე სატინის სამოსს, ახლუხს, იცვამდნენ. ახალუხზე კი გრძელი ჩოხა ემო-სათ. ჩოხაზე იკეთებდნენ ტყავის ვიწრო ქამარს. ზოგჯერ ეს ქამრები მასიური ოქროთი ან ვერცხლით იყო მოვარაყებული. ძვირფასი ქამრები განსაკუთრებით

პოპულარული იყო თბილისელ კინტოებში. როგორც ამბობდნენ, ქამარი — ესაა «კაპიტალი დასაფლავებისათვის”. იცვამდნენ ფართო შარვალს, რომელსაც ჰქონდა ქამარი (ხვანჯარი-ხონჯარი). ქალები გრძელი კაბის («ხალავ») ქვემოთ ატარებდნენ გრძელ შარვლებს («ფოხან»). თბილისელ სომხის ქალებს მდიდრულად მორთულ სამკერდიან პერანგზე («კრცკალ»), მთლიანი გრძელი კაბა ეცვათ. ქალები გამოირჩეოდნენ სამკაულებით, იყენებდნენ ნელსაცხებლებსა და ფერუმარილს. თურქეთიდან გადმოსახლებული სომხების ტანსაცმელი განსხვავდებოდა თურქული სამოსისაგან — მამაკაცები ახალუხის ნაცვლად ატარებდნენ ჟილეტის მსგავს სამოსს («ელაკ»), მასზე მოკლე (წელამდე) ქურთუკი («ვარტიკ») ეცვათ. მათი შარვლებიც შედარებით ვიწრო იყო.

სოციალური ურთიერთობები

ოჯახი. XX საუკუნის დამდეგამდე სოფლებში მცხოვრები სომხებისათვის დიდი მრავალთაობიანი ოჯახები იყო დამახასიათებელი. ამ ტიპის ოჯახს სპეციალურ ლიტერატურაში «გერდსტანი» ეწოდება, ხალხურ მეტყველებაში ხმარობდნენ ტერმინებს «ტუნ» (სახლი) ან «ვოჯახ» (კერა), შესაბამისად, დიდ, მრავალთაობიან და მრავალსულიან ოჯახებს «მეწ ტუნ» (დიდი სახლი) ან «მეწ ვოჯახ» ერქვა.

მართალია, დიდი ოჯახების გვერდით არსებობდნენ მცირე ინდივიდუალური ოჯახები, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მრავალთაობიანი და მრავალრიცხოვანი ოჯახები, ეკონომიკური თვალსაზრისით, უკეთ იყვნენ მორგებული საქართველოსა და კავკასიის პირობებს.

სომხური დიდი ოჯახებისათვის დამახასიათებელი იყო ოჯახის უფროსისადმი უსიტყვო მორჩილება, რაზეც სომხურ გარემოში მოხვედრილ არაერთ მოგზაურს გაუმახვილებია ყურადღება.

XIX საუკუნიდან დაიწყო დიდი ოჯახების საყოველთაო კრიზისი ამიერკავკასიაში. ამდროინდელი სომხურენოვანი პერიოდული პრესა უხვ ცნობებს იძლევა მსგავს პროცესებზე. ავტორები შეშფოთებას გამოთქვამდნენ გერდსტანის დაშლის მზარდი ტენდენციის გამო.

ნოქრის ინსტიტუტი. ხშირად თვით მრავალრიცხოვან ოჯახებსაც კი უჭირდათ საოჯახო მეურნეობის მოვლა და საჭირო ხდებოდა დაქირავებული მუშახელი. ასეთად სომხურ სინამდვილეში გვევლინება «ნოქრების» ინსტიტუტი. ნოქრის მდგომარეობა გერდსტანში წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, გერდსტანი ყიდულობდა მის სამუშაო ძალას, მეორე მხრივ კი, ჩვეულებითი სამართლის ნორ-მებით, თითქმის ამ გერდსტანის წევრების თანასწორად აღიქმებოდა და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ცხოვრობდა. ყოფილა გერდსტანის წევრ ქალიშვილზე ნოქრის დაქორწინების ფაქტებიც.

სომხური გარემო ნოქართა ინსტიტუტის არსებობის საშუალებას იმის გამო იძლეოდა, რომ თურქეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ზემოქმედების შედეგად, მათში მთლიანად მოისპო წოდებრიობა, ასეთ პირობებში კი

დამქირავებლისა და დაქირავებულის ერთმანეთზე დაქორწინება, მართლაც, შესაძ-ლებელი ხდება, რაც სავსებით გამორიცხული იყო რეფორმამდელ ქარ-თულ მოსახლეობაში.

ნათესაური კავშირ-ურთიერთობები. სომხური მოსახლეობა ნათესაობას აღნიშნავს ტერმინებით: «ჯინსი» (არაბულად: ჯიში, გვარი, ეროვნება), «ტოჰმი» (თურ-ქულენო-ვანი ტერმინი) და «ცეღი» (ტომი, ჯიში).

ნათესავები ორ კატეგორიად იყოფოდნენ: ღვიძლ ნათესავებად — «ტირბარეკამ» ან «ბარეგამითიუმ», რაც აერთიანებდა ნათესავებს მესამე თაობამდე და გარე ნათესავები — «ჰერბარეგამ», ანუ ნათესავები მესამე თაობის ზემოთ.

ნათესავებში განასხვავებდნენ მამის მხარის («აზგაკაცნერ» ან «ჰაირაგან ცეღ») და დედის მხარის («ქერანქ», «მორქურანქ», «მორქურ თოხუმ», «მაირაგანცეღ») ნათესავებს.

ცალკე გამოიყოფა ცოლის მხარის ნათესავებიც («ანერანცესთახუმ» — სიტყვასიტყვით: სიმამრის თოხუმი, «ანერანქეს» — სიმამრის მხარე).

ამდენად, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები ნათესავებში გამოყოფდნენ სისხლით ნათესავებს (მამის და დედის მხარე) და მოკეთეობით ნათესავებს.

სომხური მოსახლეობა შვილის აღსანიშნავად იყენებს ტერმინს «ტღა»//»მანჩ» (ბიჭი) ან «ახჩიკ» (გოგო). ნათესაობის ტერმინში ჩანს დამაკავშირებელი ნათესავის და ალტერის (ობიექტის) სქესიც, მაგ., «ჰოროღპერ — ახჩიკ» (მამის ძმის ქალიშვილი), «ჰოროპერტღა» (მამის ძმის ვაჟი), «ჰორქურტღა» (მამის დის ვაჟი), «ჰორტურახჩიკ» (მამის დის ქალიშვილი) და ა. შ. (შდრ. ქართული ბიძაშვილი, მამიდაშვილი, სადაც ალტერის სქესი არ ჩანს).

სომხებში გავრცელებული სისხლით ნათესაობის ტერმინები «პაპ», «მამ», «ტღა», მოკეთეობითი ნათესაობის ტერმინი «მარდ» — ელემენტარული ტერმინებია, რომლე-ბიც აღნიშნულ რეგიონში სომხური სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით იხმარება. ვაჟიშვილის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი «მანჩ», ნაცვლად ლიტერა-ტურული «ორდისა» და ა. შ.

მოკეთეობითი ტერმინებიდან აღსანიშნავია «ბაჯანაღი» (ქვისლი), რომელიც ადგილობრივ ქართულშიც არის გავრცელებული. ლიტერატურულ სომხურში ქვის-ლი აღინიშნება ტერმინით «ქენაკალის». ტერმინი ბაჯანაღი თურქულ გარემოსთან ხანგრძლივი ურთიერთობის გავლენით ჩანს შემოსული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობის სალაპარაკო ენაში («ბაჯი» — და, «აღა» — ბატონი).

ცალკე უნდა გამოიყოს ნათლიობის ინსტიტუტი, რომელიც სომხებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ნათლიას აღნიშნავენ ტერმინით «კნგრ» და «ხაჩკნგრ» (ლიტერატურულ ენაში «ქავორი»). ხაჩკნგრობის ინსტიტუტი უკავშირდება ჯვარედინ ნათლიობას. ორ ოჯახს შორის ნათლიობა თაობიდან თაობაზე გადადის. ერთი თაობის წარმომადგენელი მეორე ოჯახის მეორე თაობის წარმომადგენლის

ნათლიაა. ნათლული შემდგომში ნათლიის შვილის ნათლია ხდება ა. შ. ამ ოჯახებს შორის მკაცრი ეგზოგამია მყარდებოდა.

ანალოგიური ვითარება სამცხე-ჯავახეთის ქართულ მოსახლეობაშიც ვლინდება, ოჯახი ოჯახს (ზოგჯერ გვარი გვარს) ედგა ნათლიად და ასე გრძელდებოდა თაობიდან თაობამდე, მაგრამ როლების შეცვლა, ე. ი. მირონის დაბრუნება, როგორც ეს სომხებში იყო მიღებული, არ შეიძლებოდა.

ქორწინება. ოჯახი და ნათესაური გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქორწინო ციკლში. საპატარძლოსა და სასიძოს შერჩევას ქალ-ვაჟის ოჯახი, ტრადიციულად, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. მთავარი ყურადღება ექცევა სარძლოს ან სასიძოს ოჯახის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას, მათი მშობლების სანათესაო წრეს, თავად კანდიდატის პირად თვისებებსა და ჯანმრთელობას. შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა საქმროს ან საცოლის გარეგნობას, რასაც თვითონ ახალგაზრდები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მექორწინეთა სავარაუდო წრე საკმაოდ ფართოა, რადგან თეორიულად შეიძლება ყველა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი დაქორწინდეს ერთმანეთზე, თუ ისინი ახლო სისხლით ნათესავები ან ხელოვნური ნათესავები არ არიან, თუმცა, როგორც წესი, ცდილობენ, რომ საქორწინო პარტნიორი თავიანთ კონფესიურ და ეთნიკურ გარემოში მოძებნონ. სასიძოსა და საპატარძლოს საქორწინო ასაკი წინათ ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. მიღებული იყო შედარებით ასაკოვანი ვაჟის ასაკით ბევრად უმცროს გოგონაზე დაქორწინებაც.

სარძლოს ძებნაში აქტიურობდნენ დასაქორწინებელი ვაჟის მშობლები, მათი ჩარევის გარეშე ახალგაზრდები ერთმანეთს ვერ დაუკავშირდებოდნენ. უნდა ითქვას, რომ, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება საქორწინო პარტნიორის კანდიდატურის შერჩევაში ქალ-ვაჟმაც მიიღოს მონაწილეობა. ახალგაზრდებს შეიძლებოდა ერთმანეთი მოსწონებოდათ რელიგიური დღესასწაულების დროს (ყველიერი, აღდგომა, წყალკურთხევა და ა.შ.), რომლებიც სახალხო ზეიმის სახეს ატარებდა, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა თითქმის ყოველთვის მშობლებს ეკუთნოდათ.

როდესაც გარკვეული წინაპირობა შეიქმნებოდა, ვაჟის ოჯახი შუამავალს («მიჩნორთ») გაუგზავნიდა ქალის მშობლებს. შუამავალი უნდა ყოფილიყო ოჯახის ახლობელი, რომ საიდუმლო არ გაემჟღავნებინა. შუამავალი მოლაპარაკებას აწარმოებდა ქალ-ვაჟის დედ-მამას შორის. მას შეიძლება რამდენჯერმე დასჭირვებოდა მისვლა, ვიდრე საპატარძლოს მშობლებს არ დაითანხმებდა, თუმცა ეს თანხმობაც პირდაპირ არასოდეს წარმოითქმოდა.

შემდეგ ეტაპზე ქალიშვილის ოჯახს უკვე ვაჟის მშობლები და ბიძა ესტუმრებოდნენ მოსალაპარაკებლად («ხოსტევილ»). ამ დროს სახელდახელო სუფრა გაიმართებოდა და ოჯახები ნიშნობაზე («ნიშანდრექ») შეთანხმდებოდნენ.

ნიშნობა უნდა გამართულიყო უქმე დღეებში, შაბათ-კვირას ან რომელიმე რელიგიურ დღესასწაულზე. ვაჟის მხრივ, მიდიოდა 4-5 კაცი, მათ შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნათლია, ამ რიტუალს აუცილებლად უნდა დასწრებოდა ქალის ნათლიაც.

ვაჟის მხარე მიიტანდა ოქროს ბეჭედს, სამკაულებს, ყვავილების თაიგულს, სასმელს ბოთლების კენტი რაოდენობით (უფრო ხშირად კონიაკს). გაიშლებოდა სუფრა, რომელზედაც ქალის ოჯახიც კენტი რაოდენობის ჭურჭლით დადგამდა სასმელს. სუფრაზე უნდა ყოფილიყო ტკბილეული, სუნჯუხი, ბასთურმა, მწვადი, თევზი, ყაურმა, ხაშლამა, ბაზუქი (მწნილი), ჩაი და ყავა. სუფრასთან პირველად დასვამდნენ ვაჟის წარმომადგენლებს, შემდეგ — ქალის ნათესავებს. სარძლოს ნიშანს სადედამთილო გადასცემდა და თან დალოცავდა — «ერთ ბალიშზე დაბერდით და გამრავლდითო». სომხურ ყოფაში სრულწლოვანი წყვილის ნიშნობის გარდა, წინათ არსებობდა დაუბადებელ ბავშვთა ნიშნობა და აკვანში ნიშნობა («ბეშ-ჰიკ-ქერტსმა»).

ნიშნობის შემდეგ სასიძო ესტუმრებოდა ხოლმე მოყვრებს, თან საჩუქრები მიჰქონდა ბოხჩით: თავსაფარი, ტკბილეული და ა.შ. მიღებული იყო საპატარძლოს მოიპატიჟებაც ვაჟის ოჯახში.

მომდევნო ეტაპი იყო ქორწილი («ჰარსნიკ») ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ ვაჟის ოჯახში. აუცილებელი იყო ახალდაქორწინებულთა დასაჩუქრება. თანაც ხმამაღლა აცხადებდნენ, ვინ რა საჩუქარი მოიტანა. განსაკუთრებით ცდილობდნენ გამორჩეულიყვნენ ნათლიები. ვაჟის სახლში გამართულ ქორწილამდე ახალგაზრდები ეკლესიაში მიდიოდნენ ჯვრის დასაწერად. ახალგაზრდები პატარძლის ოჯახში ორ თეფშს მოიპარავდნენ, რომლებსაც ვაჟის სახლში შესვლის წინ ახალდაქორწინებულებს დაუდებდნენ ფეხქვეშ. წესით, ერთი თეფში პატარძალს, მეორე კი სიძეს უნდა გაეტეხა, რათა მომავალი თანაცხოვრებისას ორივეს თანაბრად შეძლებოდა გადაწყვეტილების მიღება.

ქორწინების მეორე დღეს ახალგაზრდა ვაჟები (ჰარსნაღპერები) ცეკვით მიიტანდენ სიძის ოჯახში მზითევს («ჯეჰეზ»). ქალიშვილისათვის სათანადო მზითევის გაწყობა ოჯახის ღირსების საქმედ ითვლებოდა.

მზითევის მომზადება და წესრიგში მოყვანა ქალიშვილის ოჯახისაგან მნიშვნელოვან მატერიალურ სახსრებსა და დროს მოითხოვდა, ამიტომ მისთვის მზადებას გოგონას მშობლები ხშირად მაშინ იწყებდნენ, როდესაც იგი ჯერ სულ პატარა იყო. მზითევში შედიოდა — ქვეშაგები, თეთრეული, სპილენძის ჭურჭელი, ძვირფასეული და ა.შ. ზოგიერთი სამზითვო ნივთი მემკვიდრეობითაც გადადიოდა დედიდან შვილზე.

გასულ საუკუნეში, საბჭოთა სისტემის პირობებში, ძლიერ შესუსტდა რელიგიური ნორმები და საოჯახო ურთიერთობების დარეგულირება, გარკვეულწილად, სახელმწიფომ იკისრა. სავალდებულო საშუალო განათლების შემოტანამ ცვლილება შეიტანა სრულწლოვანების ცნებაში. ამიერიდან სრულწლოვანად ჩაითვალა საშუალოსკოლადამთავრებული ახალგაზრდა. საბჭოთა საოჯახო სამართალი არ ცნობდა განსხვავებას ქალ-ვაჟის საქორწინო ასაკში და მის ქვედა ზღვრად დაწესებული იყო თვრამეტი წელი. ამდენად, საქორწინო საშუალო ასაკი ქალებში 18-20 წელი გახდა, ხოლო ვაჟებში 24-25 წელი (თუმცა მრავალი გამონაკლისიც არსებობდა). ამასთანავე, შემცირდა მექორწინეთა შორის ასაკობრივი განსხვავებაც. ახალგაზრდებს ერთობლივად სწავლისა და შრომის საშუალება მიეცათ. გაიზარდა მომავალი მეუღლის მშობლებისაგან დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა, გაიზარდა წრეც, საიდანაც ცხოვრების თანამგზავრს ირჩევენ. სოციალური გათანაბრების პირობებში

სახელმწიფო იდეოლოგია ფუფუნებას ერთგვარ მანკიერებად მიიჩნევდა და ახალგაზრდებში ნერგავდა შეხედულებას მომავალი მეუღლის არჩევისას ქონებრივი კრიტერიუმების გათვალისწინების ამორალურობის შესახებ. ყოველივე ამან თავისებური გავლენა იქონია მექორწინე წყვილთა შეხედულებებზე. გასული საუკუნის შუა ხანებიდან უკვე, ძირითადად, ერთი თაობის ადამიანები ქორწინდებოდნენ და ასაკობრივი განსხვავება მათ შორის, ძირითადად, 5-7 წელს შეადგენდა.

დაკრძალვა. სომხურ ყოფაში დიდი ადგილი უჭირავს მიცვალებულის მოვლა-გაპატიოსნებას. როდესაც ოჯახში ვინმე გარდაიცვლებოდა, პირველ ყოვლისა, მეზობლები მივიდოდნენ სამძიმარზე, მიცვალებულს სამოსს გამოუცვლიდნენ. ადრე გარდაცვლილს მხოლოდ ერთ დღეს აჩერებდნენ შინ, მერე კი ეკლესიაში გადაჰყავდათ. წინათ მიცვალებულს მოკლე დროში კრძალავდნენ — დილით თუ გარდაიცვლებოდა, საღამოს დამარხავდნენ, საღამოს გარდაცვლილს კი — დილით. ამჟამად მიცვალებულის ეკლესიაში გადაყვანა იშვიათია, მაგრამ აუცილებელია წესის ასაგებად მღვდლის ოჯახში მიყვანა.

მიცვალებულს სახლიდან მისი ახლო ნათესავები — შვილები, შვილიშვილები, მამა, სიძეები და ა.შ. გამოასვენებენ, გარეთ საგანგებოდ მოწყობილ ადგილას დაასვენებენ და გამოეთხოვებიან. შემდეგ ამ ადგილს სამჯერ შემოატარებენ და სასაფლაოზე წაასვენებენ. საფლავამდე მხოლოდ მამაკაცები უნდა მიჰყვნენ. აქ კიდევ ერთხელ მიუსამძიმრებენ ჭირისუფალს. სოფლებში საფლავის გაჭრაზე მეზობლები და ნათესავები მუშაობენ. ცდილობენ მიწის მიყრაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა.

ქელეხი («ჰოკაუც») შეიძლებოდა მიცვალებულის ოჯახში ან სასაფლაოზე გამართულიყო. სასაფლაოზე ქელეხის ჩატარების წესი XX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა და ეკონომიკურ სიდუხჭირეს უკავშირდებოდა. ყველა ოჯახს არ ჰქონდა საშუალება სუფრა ოჯახში გაეწყო და ამიტომ სასაფლაოზე გაშლილი შედარებით მწირი პურ-მარილით კმაყოფილდებოდნენ. სუფრაზე უნდა ყოფილიყო ლობიო, ხორცი და სხვა საჭმელები, ასევე სპირტიანი სასმელებიც. სადღეგრძელოებში მოიხსენიებდნენ გარდაცვლილსა და მის წინაპრებს. ახლობელ-ნათესავები და მეზობლები გარდაცვლილის ოჯახს მატერიალურადაც (ფულით) ეხმარებიან («მერელ ოქმეთიუმ»).

მიცვალებულის სულის მოხსენიება იციან გარდაცვალებიდან მეშვიდე და მეორმოცე დღეს და წლისთავზე. შეიკრიბებიან ახლობლები, წავლენ სასაფლაოზე, დაანთებენ სანთელს, მოიხსენებენ გარდაცვლილს და უკან ბრუნდებიან, სადაც მათ მიცვალებულის ოჯახი უმასპინძლდება.

ითვლება, რომ გლოვა ორმოცისათვის მთავრდება. ორმოცს აკეთებენ არა მეორმოცე, არამედ გარდაცვალებიდან 39-ე ან მე-41 დღეს. ამ დღეს ჭირისუფალი წვავს შავ ტანსაცმელს, მამაკაცები იპარსავენ წვერს. ახლობელ-ნათესავებს რამდენიმე დღით ადრე მიიწვევენ. მიაჩნიათ, რომ მეორმოცე დღეს მიცვალებულის სული ოჯახს ტოვებს და ზეცაში მიემართება.

სასაფლაოზე გადიან ყველა საოჯახო და ხალხურ დღესასწაულზე, მაგალითად, თუ სასიძოდ გამზადებულ ვაჟს მამა გარდაცვლილი ჰყავს, ქორწილის წინ მის საფლავზე გავა და სანთელს დაანთებს.

კალენდარული დღესასწაულები და ფოლკლორი

სომხური კალენდარული დღესასწაულები, მართალია, ქრისტიანულ ელფერს ატარებს, მაგრამ მრავალ წინარექრისტიანულ ელემენტსაც შეიცავს. დიდი სახალხო ზეიმი იყო ახალი წელი, წყალკურთხევა, სურბსარქისობა, აღდგომა, ვარდავარი, ამაღლება და მარიამობა.

დღესასწაულების ციკლი იწყება ახალი წლით («ნორ ტარი»). ზეიმი თითქმის ერთ კვირას გრძელდებოდა. ერთმანეთთან სტუმრად მიდიან უახლოესი ნათესავები (გათხოვილი ქალიშვილი ქმარ-შვილით, საშოვარზე წასული შვილი, ძმა და ა.შ.) საჩუქრით. საჩუქრად უნდა მიეტანათ ხილი, მარცვლეული, მამალი, რათა მომავალი წელი ბარაქიანი ყოფილიყო. გადმოცემით, მომავალ წელს უხვად იქნებოდა ის ყოველივე, რასაც ახალი წლის დღეებში საჩუქრად მიიღებდნენ. ამავე მიზნით მარცვლეულს ყრიდნენ მდინარეში, სახლის კარს ამკობდნენ ჯვრებით, აცხობდნენ რიტუალურ მრგვალ კვერებს. ახალი წლის მეორე-მესამე დღეს აუცილებლად მიდიოდნენ იმ ოჯახებში, სადაც ცოტა ხნის წინ ვინმე გარდაიცვალა და კიდევ ერთხელ მოიგონებდნენ განსვენებულს.

მეტად პოპულარული დღესასწაულია წმინდა სარქისობა («სურბ სარქისი»). სომეხთა ეკლესიის წმინდანის სახელი სიყვარულსა და ოცნებების ახდენას უკავშირდება. ამ დღეს ზოგიერთი ახალგაზრდა მარილიან კვერს ჭამს, რადგან ითვლება, რომ ვინც მოწყურებულს სიზმარში წყალს მიაწვდის, ის იქნება მისი საბედო. სოფ. პამაჯში ჩაწერილი ერთი გადმოცემის თანახმად, სურბ სარქისის სახელი კონფესიურ დაპირისპირებასთან არის დაკავშირებული. საბრძოლოდ წასულ სარქისს საგზლად წაუღია მოხალული ქერი («აღანძ»). რვადღიანი შეუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ აღანძი ქერის ფქვილად («ფოხინდ») გადაიქცა. ამ მოვლენის აღსანიშნავად სურბსარქისობაზე ფოხინდს გარეთ, კართან, აწყობენ, რათა როდესაც სურბ სარქისი გამოივლის, მასზე ნაკვალევი დატოვოს.

ტრადიციული დღესასწაული «ბერიკაობა-ყეენობა» სომხებისათვისაც ისევე იყო დამახასიათებელი, როგორც ქართველებისათვის. სომხური ყველიერის დღესასწაული «ბარეკენდან» ფონეტიკურადაც და ზეიმის ფორმითაც წააგავს ბერიკაობას. ამ დროს (დიდმარხვის ყველიერის დღეებში) იმართებოდა მასობრივი გართობა-თამაშობები, ცხვებოდა საგანგებო რიტუალური ნამცხვარი «გათა», შეძლებულ ოჯახებში იკრიბებოდნენ ახლობლები, იკვლებოდა საკლავი, მიჰყავდათ აშუღები, მეზურნეები. იმ დღეებში ყველაზე ხშირი იყო ნიშნობები, საპატარძლოს მშობლებთან მოციქულის გაგზავნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აღდგომა («ზატიკ»). სომხებით დასახლებულ ზოგიერთ სოფელში აღდგომის დღეებში იმართება ჭიდაობა ზურნის, სალამურისა და დოლის თანხლებით.

წარმართობისდროინდელ გადმონაშთად ითვლება «ვარდავარი», რომელსაც ზეიმობდნენ ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დამდეგს. ხალხი ამ დღეებში ერთმანეთს წყალს ასხამს. მზადდება საგანგებო საჭმელი «ჰარისა» (თონეში თიხის ჭურჭლით მოხარშული ხორბლის ქატო), აუცილებლად ითვლებოდა გომის დასუფთავება, საქონელს უყრიდნენ ბლომად ქატოს, კუდზე წითელ ლენტებს აბამდნენ, რომ ძლიერი და ბედნიერი წელიწადი ყოფილიყო. ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე ვარდავარის დღეებში უშვილო ქალები არას მთაზე, წახკავაკის გამოქვაბულში, მიდიოდნენ, წყლის კამარის ქვეშ დგებოდნენ და ქალწულ ვარვარას შვილიერებას შესთხოვდნენ. წყლის გამანაყოფიერებელი ძალა განსაკუთრებული ძალის მქონედ ითვლებოდა სადღესასწაულო პერიოდში. ვადავარის დღეებში საქონელზე ყურადღების გამახვილება სომხებში შემთხვევით არ ხდებოდა, ეს დღეობა საქონლისა და ადამიანის გამრავლებასა და ბარაქიანობას უკავშირდებოდა. სომხურ გარემოში მრავლად გვხვდება წარმართული ელემენტების შემცველი რიტუალები, რომლებიც მოსავლისა და საქონლის გამრავლებას უკავშირდება. მათ ქრისტიანობა მკაცრად კრძალავდა, თუმცა დღემდეა შემორჩენილი სალოცავისათვის საკლავის შეწირვა («მათაღი»).

წველადობის მატებას უკავშირდებოდა პირველი ხბოს მოგების შემდეგ პირველი ნაწველის მდინარეში გადაქცევა. სჯეროდათ, რომ წყლის გამანაყოფიერებელი და სიუხვის მომნიჭებელი ძალა მაგიურად იმოქმედებდა წველადობის გაზრდასა და ძროხის განაყოფიერებაზე. როდესაც პირუტყვი (ძროხა ან კამეჩი) აღარ იწველიდა, წაიყვანდნენ რომელიმე ეკლესიასთან, მისი პატრონი პირუტყვთან ერთად დაიდგამდა უღელს, ეკლესიას რამდენჯერმე შემოუვლიდა და უღელს ეკლესიაში დატოვებდა. მიიჩნევდნენ, რომ ამ რიტუალის შემდეგ ძროხა თუ კამეჩი ისევ მოიწველიდა.

გვალვის დროს «პურ ბადიკობის» ან «ნური ნურის» რიტუალი იცოდ-ნენ. ძონძებში გამოწყობილი ბავშვები სოფელს ჩამოივლიდნენ, მათ შორის ერთი მთლიანად გაწუწულია წყლისაგან. რიტუალი სიმღერისა და ცეკვის თანხლებით სრულდება.

მღერიან:

«პურ ბადიკი მოვიდა, შალის
პერანგი ჩაიცვა.
მიწას ცვარი უნდა, ხალხს ნაყოფი
უნდა,
შავ დედალს ციდან კვერცხი უნდა,
წითელ ძროხას ერბო უნდა,
ვინც რაიმეს იძლევა მოსავალი
გაეზარდოს,
ვინც არა და მშრალად დარჩეს.»

ხალხი ცდილობს რიტუალის მონაწილენი წყლით გაწუწოს, განსაკუთრებით კი — პურ ბადიკი. ამასთანავე, მონაწილეებს რაიმეთი ასაჩუქრებენ — კვერცხით, ხილით ან ფულით.

ქართულ ეთნიკურ გარემოსთან ურთიერთობა საქართველოში მცხოვრები სომხების ტრადიციული ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა სფეროზე აისახა. ქართული სამშენებლო ტრადიციების ძლიერი გავლენა იგრძნობა სოფლად მცხოვრები სომ-ხური მოსახლეობის XIX საუკუნის დროინდელ საცხოვრებელსა და სამეურნეო ნაგებობებზე. იმისათვის, რომ ახალ ეთნო-ეკოსისტემას შეგუებოდნენ, საქართველოში დამკვიდრებულმა სომხებმა ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს ოპტიმალურად მორგებული სამუშაო იარაღები აითვისეს. ძლიერი მსგავსება შეინიშნება სადღესასწაულო ციკლში, ტრადიციულ სამოსში, ფოლკლო-რულ გადმოცემებსა და რწმენა-წარმოდგენებში.

კულტურა

საქართველოს სომხური მოსახლეობა ყოველთვის აქტიური და სისხლსავე ცხოვრებით გამოირჩეოდა. მათი რიგებიდან გამოვიდა სხვადასხვა სფეროს მრავალი სახელგანთქმული მოღვაწე. შუა საუკუნეებზე რომ არაფერი ითქვას, XVIII-XX საუკუნეებში საქართველოში უამრავი სომეხი ეროვნების ადამიანი მოღვაწეობდა. მაგ., ცნობილი იყო ბოზარჯიანცის სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოება (თამბაქოს წარმოება), საქართველოს მკვიდრი იყო XVIII საუკუნის სომეხი «ეს დიდი თბილისელი», როგორც მას ოჰანეს თუმანიანმა უწოდა. საიათნოვას პოეზია ქართულ, სომხურ, სპარსულ, არაბულ და თურქულ ენებზე იქმნებოდა. თბილისში სხვა სომეხი აშუღებიც ცხოვრობდნენ — ჰაზირა, ჯეივანი.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთმა ერევნის სახანოც დაიპყრო და იქ ცალკე ადმინისტრაციული ოლქი შეიქმნა, ხოლო XX საუკუნეში ჯერ სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკა (1918 წ.), შემდეგ კი საბჭოთა სოციალისტუ-რი რესპუბლიკა არსებობდა, საქართველო და განსაკუთრებით თბილისი მაინც დიდხანს რჩებოდა სომეხი ხალხის კულტურის ერთგვარ სამჭედლოდ. XIX-XX საუ-კუნეებში საქართველოში გამოდიოდა გაზეთები სომხურ ენაზე, გახსნილი იყო სომხური სასწავლებლები, ფუნქციონირებდა სომხური კულტურის სახლი («აია-რთუნი»). აქ მოღვაწეობდნენ: აკოფ ოვანათანიანი, სტეფანოზ ნერსესიანი, ვაგარშაკ ელიბეკიანი, გევორქ ბაშინჯაგიანი, ალექსანდრე ბაჯბუკ-მელიქოვი, მკრტუმ ოვნათანიანი (მხატვრები), არამ ხაჩატურიანი, მიქაელ ტარივერდიევი, არმენ ტიგრანიანი, ა. ტერ-გევონდიანი, ვ. ტალოიანი, კ. ზაქარიანი, გ. ყორღანოვი (კომპო-ზიტორები), ო. თუმანიანი, ა. აგაბაბიანი, კ. აგამიანი, ა. აკოფიანი, გ. ახვერდოვი, გ. არწრუნი, მ. რაფი, გ. თუმანოვი. წარმოშობით თბილისელი იყო მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ტიგრან პეტროსიანი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს XX საუკუნის გამოჩენილი კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი და მესხეთიდან საფრანგეთში ემიგ-რირებული მომღერალი შარლ აზნავური (აზნაურიანი). ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ პოეტი გივი შაჰნაზარი, ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი და სხვ.

ლავრენტი ჯანიაშვილი

თანამედროვე მდგომარეობა

დღესდღეობით სომხები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ცხოვრობენ, როგორც დისპერსულად, ისე კომპაქტურად. მათი კომპაქტური დასახლებებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია სამცხე-ჯავახეთი.

1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციამ ამ მხარის ცალკეულ რაიონებში ხელი შეუწყო რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში სომხების პროცენტული მაჩვენებელის გაზრდას. მაგალითად, თუ ახალციხის რაიონში 1926 წელს სომხები მოსახლეობის 30.5%-ს შეადგენდნენ, 1959 წელს ეს მაჩვენებელი 51.1%-მდე გაიზარდა. 1926 წელს მთლიანად სამცხე-ჯავახეთში სომხები მოსახლეობის 41.8%-ს შეადგენდნენ, 1956 წელს ეს მაჩვენებელი 64.5% იყო. მათ შორის: სამცხეში 1926 წელს — 15.1%, 1959 წელს კი — 36.2%. ჯავახეთში კი იმავე წლებში ეს მაჩვენებელი 79.7%-დან 88.7%-მდე გაიზარდა.

1959 წელს საქართველოში 442.9 სომეხი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 11%-ს შეადგენდა, 1979 წელს — 448.0 (9%), 1989 წელს კი — 437.2 (8.1%). 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სომხები უმრავლესობას შეადგენდნენ ქ. გაგრაში, ახალქალაქისა და ნინოწმინდას რაიონებში. ქ. გაგრაში სომხები მთელი მოსახლეობის 29.6%-ს შეადგენდნენ. ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში კი ისინი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ: ახალქალაქის რაიონში სომეხი იყო მთლიანი მოსახლეობის 91.3%, ნინოწმინდის რაიონში კი — 89.6%.

რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სომეხი თბილისში ცხოვრობდა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, თბილისის მკვიდრი იყო 150 138 სომეხი, რაც დედაქალაქის მთლიანი მოსახლეობის 12%-ს შეადგენდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 76 541 სომეხი, რაც ავტონომიური რესპუბ-ლიკის მთლიანი მოსახლეობის 14.6%. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 15 849 სო-მეხი ცხოვრობდა — ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 4.0%.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, მიგრაციული პროცესების შედეგად, სომხური მოსახლეობის რაოდენობა 248 929-მდე შემცირდა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 5.7%-ს შეადგენს. დღეისათვის სომხები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ახალქალაქის (57 516 სული, 94.3%), ნინოწმინდისა (32 857 სული, 96%) და წალკის რაიონებში (11 484 სული, 55%). წალკის რაიონში 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, უმრავლესობას ბერძნული მოსახლეობა შეადგენდა, მაგრამ 1990-იან წლებში საბერძნეთში მათი მასობრივი ემიგრაციის შედეგად, რაიონის ყვე-ლაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი სომხები გახდნენ. მნიშვნელოვნად, 82 586 სულამდე (7.6%), შემცირდა სომხების რაოდენობა თბილისში. აფხაზეთის ავტონო-მიურ რესპუბლიკაში კი, დაუზუსტებელი მონაცემებით, სომხები ყველაზე მრავალ-რიცხოვანი ეთნიკური ჯგუფია, რაც გარკვეულწილად, 1992-93 წლების კონფლიქტის შედეგად ქართული მოსახლეობის იძულებითი ემიგრაციითაც არის განპირობებუ-ლი.

საქართველოში სომხური მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ძირითადი მიზეზი 1990-იან წლებში ქვეყანაში განვითარებული მიგრაციული პროცესებია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო, სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომით ემიგრაციაში წავიდა, ძირითადად, სომხეთსა და რუსეთის ფედერაციაში.

1990-იან წლების დამდეგს სომხების ემიგრაციას ხელი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გარდა, პოლიტიკურმა გარემომაც შეუწყო. საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების მოთხოვნის ფონზე ქვეყანაში გაჩნდა ნაციონალისტური ლოზუნგები, რასაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ღია თუ ფარული შევიწროება მოჰყვა. იმდროინ-დელი პოლიტიკური ლიდერების პატრიოტული რიტორიკა ზოგჯერ ეთნოცენტრიზმშიც გადადიოდა. ამის გამო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები შეიძლება არ განიცდიდნენ უშუალო შევიწროებას, მაგრამ გაურ-კვეველი მომავლისა და შიშის ფაქტორი მათ ემიგრაციულ განწყობაზე მოქმედებდა.

სომხური მოსახლეობის ნაწილმა, შევიწროების თავიდან ასაცილებლად, სომხური გვარები შეიცვალა და, ძირითადად, ქართული გვარები მიიღო. მსგავსი შემთხვევები 90-იან წლებამდეც ხდებოდა, მაგრამ 90-იან წლების დასაწყისში გვარების შეცვლამ მასობრივი ხასიათი შეიძინა. ამგვარი ტენდენცია ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აღარ შეიმჩნევა.

1990-იანი წლების დასაწყისში, სამხრეთ კავკასიაში განვითარებული ეთნიკური კონფლიქტების ფონზე, სომხებით კომპაქტურად დასახლებულ ჯავახეთში ეთნიკუ-რი ნიშნით შექმნილმა ორგანიზაციებმა პოპულარობა მოიპოვა. მსგავსი ორ-განიზაციების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო 90-იან წლებში ქვეყანაში გამეფებულმა ნაციონალიზმმაც. ეთნიკურ საფუძველზე შექმნილი «ჯავახკ»-ის მოძრაობა სომხების კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ჯავახეთის სკოლებში სომხეთის ისტორიის სწავლების უზრუნველყოფას მოითხოვდა. პოსტგამსახურდიასეულ პერიოდში მოძრაობა, რომლის მიზანი ჯავახეთის სომხების უფლებების დაცვაა, უფრო ორგანიზებულ ფორმას იღებს.

ჯავახეთში მოქმედი ორგანიზაციები და ჯავახეთის მოსახლეობა განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩა 1994 წელს პრეზიდენტის განკარგულებით, რომლის ძალითაც სამცხე და ჯავახეთი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გარდაიქმნა და მის ხელმძ-ღვანელად პრეზიდენტის წარმომადგენელი დაინიშნა. აღნიშნული ორგანიზაციების განცხადებით, მსგავსი გაერთიანებით ხელისუფლება რეგიონში დემოგრაფიული ბალანსის დარღვევას შეეცადა. ამ გაერთიანების შედეგად, სომხები სამცხე-ჯავახეთის ახალ ადმინის-ტრაციულ ერთეულში, რომლის ცენტრიც ახალციხეშია, აბსოლუტურ უმრავლესობას უკვე აღარ წარმოადგენდნენ.

წლების განმავლობაში ჯავახეთის რეგიონი, რომელიც მაღალმთიან ზონაში მდებარეობს და მძიმე კლიმატური პირობების გამო «საქართველოს ციმბირადაც» მოიხსენიება, მოწყვეტილი იყო საქართველოს დანარჩენ რეგიონებს. ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მომხმარებელნი ან რუსეთის სამხედრო ბაზის (დაიხურა 2007 წ.) თანამშრომლები იყვნენ, ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი.

1990-იან წლებში სრულიად მოიშალა ინფრასტრუქტურა, ელექტროენერგიით მომარაგება კი ნაწილობრივ სომხეთიდან შემოსული ელექტროენერგიით ხორციელდებოდა. ამ ფაქტორებმა ჯავახეთის რეგიონსა და ცენტრს შორის ურთიერთობების შესუსტებას შეუწყო ხელი და ჯავახეთის იზოლაცია განაპირობა.

ჯავახეთში 1990-იან წლებში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამოსასწორებლად ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ჯავახეთში ამჟამად მიმდინარე ინფრასტრუქტურისა და გზების რეაბილიტაციის მასშტაბური პროგრამის განხორციელების შემდეგ მეტნაკლებად გადაიჭრება რეგიონის იზოლაციის საკითხი და ჯავახეთის საქართველოს სხვა რეგიონებთან დამაკავშირებელი მანძილი მნიშვნელოვნად შემცირდება. საქართველოს სხვა რეგიონებთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კორუფციის შემცირებაც, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისათვის ეკონომიკურ საქმიანობაში ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი იყო.

ჯავახეთში მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. რუსულმა კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, 1990-იან წლებში მნიშვნელოვნად დაკარგა საკომუნიკაციო ენის ფუნქცია. საბჭოთა მემკვიდრეობისა და განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული ხარვეზების გამო ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ სომხურად ან რუსულად საუბრობს. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ენის შესწავლის საკითხი ინტეგრაციის პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან, ამ მხრივ, გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული და არაეფექტიანი აღმოჩნდა. არაქართული წარმოშობის მოსახლეობისთვის ქართული ენის სასწავლებლად განათლების სისტემაში ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები კი მხოლოდ წლების შემდეგ გამოიღებს დადებით შედეგებს. ჯავახეთის სომხური მოსახლეობისაგან განსხვავებით, თბილისში მცხოვრებმა სომხებმა მეტნაკლებად იციან სახელმწიფო ენა, რაც განპირობებულია იმით, რომ თბილისში სომხებს ყოველდღიურ, ყოფით თუ პროფესიულ დონეზე, ურთიერთობა უწევთ ქართულენოვან მოსახლეობასთან.

სომხური მოსახლეობის მიერ ქართული ენის არასათანადო ცოდნა უმაღლესი განათლების მიღების მსურველებში ემიგრაციის გამომწვევი ფაქტორია. ისინი, ვინც მხოლოდ სომხური ენა იციან, უმაღლესი განათლების მისაღებად სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიდიან, რუსული ენის მცოდნეები კი უპირატესობას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს ანიჭებენ, რადგან რუსეთში სწავლის პარა-

ლელურად სამსახურის შოვნის პერსპექტივასაც ხედავენ, რაც მათ, საქართველოში დარჩენილი ოჯახებისთვის, ფინანსური დახმარების საშუალებასაც მისცემს.

სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო სომხური და რუსული ტელეარხებია. რეგიონში ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონული ტელეკომპანია და სომხეთის, რუსეთისა და საქართველოს რამდენიმე ტელეარხის რეტრანსლირება ხდება. საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე კვირაში ერთხელ გადის სომხურენოვანი საინფორმაციო გამოშვება. ჯავახეთში ფუნ-ქციონირებს რეგიონული რადიოები: «ახალგაზრდული რადიო» და სათემო რადიო «ნორ»-ი (ნინოწმინდაში). რეგიონში გარკვეული პერიოდულობით გამოდის ადგილობრივი გაზეთები. თბილისში, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, გამოდის გაზეთი «ვრასტან», რომლის ოპერატიულობის ხარისხი დაბალია.

საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სომხურენოვანი სკოლები, კულტურული ცენტრები და საკვირაო სკოლები. უკვე საუკუნეზე მეტია, რაც თბილისში სომხური კულტურის კერას წარმოადგენს პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრი. სომხური თეატრი თბილისში 1858 წელს ჩამოყალიბდა. თეატრის რეპერტუარი მრავალფეროვანია, დგამენ როგორც სომეხი, ისე ქართველი, რუსი, ევროპელი დრამატურგების პიესებს. ყოველწლიურად საშუალოდ 4-5 პრემიერა მზადდება. უზრუნველყოფილია სპექტაკლების სინქრო-ნული თარგმანიც რუსულ ენაზე.

თბილისში არსებობს სომეხი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პანთეონი, სადაც სომეხი ეროვნების ცნობილი საზოგადო მოღვაწეები არიან დაკრძალულნი. თბილისისა და ერევანის მერიების მხარდაჭერით რეკონსტრუირებული პანთეონი 2002 წლის 9 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა. თბილისში ფუნქციონირებს სომხური ფოლკლორული ანსამბლები, თეატრალული წრეები.

საქართველოს სომხური მოსახლეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სომხური კულტურის ძეგლები, რომლის დაცვის სა-კითხმაც ბოლო წლებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. ზოგიერთი პრობლემის, მათ შორის სამართლებრივი საკითხების მოუგვარებლობის გამო, გაურ-კვეველია რამდენიმე რელიგიურ-კულტურული ძეგლის კუთვნილების საკითხი, რაც პერიოდულად მწვავე დავის მიზეზი ხდება.

მამუკა კომახია

აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელები (თვითსახელი — აზერბაიჯანლილარ) ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. კომპაქტურად არიან დასახლებული, აგრეთვე, საქართველოში (ქვემო ქართლში, კახეთში), დაღესტანში, ირანში. აზერბაიჯანელთა ფორმირებაში ადგილობრივ, ალბანურ, ეთნიკურ სუბ-სტრატთან ერთად მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო მოსულმა ირანულმა და თურქულენოვანმა, განსაკუთრებით ოღუზურმა და სელჩუკურმა ელემენტმა. აზერ-ბაიჯანული ენა შედის ალთაურ ენათა ოჯახის თურქულ ჯგუფში.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში აზერბაიჯანელები დაახლოებით 7%-ს შეადგენენ, მათი საერთო რაოდენობის 19,2% ქალაქად ცხოვრობს, დანარჩენი — სოფლად. მათ საქართველოში ჩამოსახლების თავისებური ისტორია და ადაპტაციის მეტად რთული გზა განვლეს.

ისტორიული ნარკვევი

ადრეულ შუა საუკუნეებში თურქულენოვანი ტომების საქართველოში შემოსვლისა და დამკვიდრების შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ მათი მოძრაობა მეზობელ სომხეთსა და ალბანეთში მიგვანიშნებს, რომ მეტ-ნაკლები ინტენსივობით მსგავს პროცესებს საქართველოშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. ზოგიერთი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ თურქულენოვანი ტომები (ბუნთურქები, საბირები) კავკასიაში და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდებიან.

თურქთა პირველი მასობრივი შემოსვლა-დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში «დიდ თურქობას» უკავშირდება. ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკები XI საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდნენ. მეფე გიორგი II-ის ხანაში (1072-1089) დაიწყო «დიდი თურ-ქობა». იქიდან მოკიდებული სელჩუკები ყოველ წელიწადს მოდიოდნენ, უკან იშვიათად ბრუნდებოდნენ და აქვე სახლდებოდნენ. მომთაბარეთა ჩამოსახლება უფ-რო და უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობდა. დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მიერ ჩამოსახლებული ყივჩაყები ასევე თურქული მოდგმისა იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით მათი უმეტესობა კვლავ ჩრდილო კავკასიაში გაბრუნდა, ხოლო მეორე ნაწილი გაქართველდა.

XIII-XV საუკუნეებში თურქული მოსახლეობის შემოსვლა გრძელდებოდა, თუმცა ნაკლები ინტენსივობით. გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური ვითარების გამო მომთაბარეთა მეურნეობას საქართველოში ისეთი მყარი საფუძველი არ გააჩნდა როგორც მეზობელ ალბანეთსა და სომხეთში, თუმცა მათი მცირე ჯგუფები აქაც შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ. ისე რომ, საზღვრისპირა რაიონებში გიორგი

ბრწყინვალის გამეფებისას (1314-1346) თურქმენებს კომპაქტური დასახლებებიც ჰქონდათ.

თურქმანთა შემდგომი მატება კავკასიაში თემურლენგის ლაშქრობებს (1370-1405) უკავშირდება. თემურმა კავკასიელ მთიელთა გამუსლიმების მიზნით «ელნი მაჰმადიანნი» დაასახლა ჩრდილო-კავკასიაში. საქართველოში თემურლენგის მიერ ელების ჩამოსახლების შესახებ პირდაპირი ცნობები არ არსებობს, მაგრამ ცნობილია პირობა რომლის მიხედვითაც ქართველ მეფეს აქ მცხოვრები მუსლიმების შევიწროება ეკრძალებოდა.

XV-XVI საუკუნეებიდან მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო ჯერ სომხების, ხოლო მოგვიანებით თურქმენული მოდგმის (ქართული წყაროებით — თათართა) ტომების ჩამოსახლება, მაგრამ XVII საუკუნემდე მომთაბარე თურქმენების ჩამოსახლებასა და დამკვიდრებას ძირითადად ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და ისინი ადვილად ახერხებდნენ ქართულ მოსახლეობასთან ინტეგრაციას.

XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის საჩუქარი მოსთხოვა, სანაცვლოდ კი ირანში რამდენიმე სოფელი და 300 თუმანი შესთავაზა. შაჰმა «ნაჩუქარ» მიწაზე ლორეს სახანო შექმნა, იქ ბორჩალოს მუსლიმი ტომები ჩამოასახლა და აღჯაყალის ციხისთავს დაუქვემდებარა. ლორის ხანად გამუსლიმებული ქართველი ფეოდალი დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ მანამდე საქართველოს ტერიტორიაზე ტოპონიმი «ბორჩალო» არსად გვხვდება.

შაჰ-აბასმა ქართლის ანალოგიური პოლიტიკა გაატარა კახეთშიც. მან კახეთის მეფისაგან კაკენისელი იჩუქა და მომთაბარეთა ჩასახლება დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობა აყარა და ირანში გადაასახლა, კაკენისელის სასულთნოში კი წახურელებმა დაიწყეს ჩამოსახლება.

თურქმენული მოდგმის ტომების დამკვიდრების შემდეგ აქტუალური გახდა ელის საკითხი. ვახტანგ VI-ის «დასტურლამალის» «ელის დებულებაში» ჩამოთვლილია ქართლისა და კახეთის ყიზილბაშური თემები, რომლებიც ტომთა დაშლა-დანაწევრების შედეგად წარმოქმნილან, ესენია: ჯავანშირი, ქეშალუ, ნაჯბადილუ, არანლუ, დემურჩი, ჰასანლუ, აჰმადლუ, ხიალუ და ა.შ. ისინი ცენტრალურ და სამხრეთ ირანიდან შემოვიდნენ და აქედან მასობრივად გასახლებული ადგილობრივი მოსახლეობის ადგილებზე დაფუძნდნენ.

ვახტანგ VI-ის «დასტურლამალში» საკანონმდებლო ნორმა «ელის დებულებით» განსაზღვრავდა თურქმენული მოსახლეობის უფლება-მოვალეობებს. მისთვის სრულიად უცხო სამეურნეო და ფისკალურ სისტემასთან შეგუება მომთაბარე ელ მოსახლეობას ძალზე უჭირდა. ვახტანგ მეფე ცდილობდა საკანონმდებლო საფუძველი შეექმნა ქართულ სამეფოში მათი ინტეგრირებისათვის. თურქმენთა მიგრაცია XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლდა ჰასანლუს ტომის ერთი ნაწილი. ისინი ძირითადად კახეთში (თელავთან 5 სოფელში) და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში) დანაწილდნენ, ცხოვრობდნენ სოფ. კესალოში, ყაფანახჩში, ილმაზუში, ნაზარ-ლუსა და

სარფანში. ამ ხანებში ელებმა გააფართოვეს საცხოვრისი, გადალახეს მათთვის მიჩენილი საზღვრები და ახალი მიწები აითვისეს. სომხითში შულავერამდე მისულან, ხოლო ნასიბუს ტომმა დმანისის ხეობაში შეაღწია, ქცია-ხრამის ხეობების გაყოლებით აღმოსავლეთისაკენ წავიდა და მდინარე მტკვრის გაღმა მხარეზე ლილოებსა და ყარაიის მდიდარ საძოვრებს მოეკიდა.

ერეკლე II-ის მეფობისას, პაპუნა ორბელიანის ცნობის თანახმად, «ქორონიკონს უმე დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში». სწორედ ამ მოვლენებს უკავშირდება XVIII საუკუნეში ერეკლე II-ის მიერ ეთნიკურად არაქართველების მეშვეობით გაუკაცრიელებული მიწების შევსების მცდელობა. XVIII საუკუნის შუა წლებში ერეკლე II-ს მუღანის ველიდან გადმოუსახლებია სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმენული ოჯახი, მათგან შეიქმნა სოფლები: მუღანლო, ყაფანახჩი და ყიზილ-ჰაჯილი, რომლებიც დღეს მარნეულის რაიონში მდებარეობენ. ქართლ-კახეთის მეფე მუდმივად აკვირდებოდა მიგრანტებს და არ აძლევდა მათ ქვეყნიდან წასვლის საშუალებას. 1755 წელს მან უკან დააბრუნა ერევნის სახანოსა და ყარა სუზე გადასახლებული ბორჩალოელები. 1756 წელს სამცხეში საიალაღოდ მდგომმა ელებმა გადაწყვიტეს ირანში წასვლა. მათ ყაზახის მომთაბარეებიც შეუერთდნენ. ერეკლე მეფე ყაიყულში დაეწია მათ, უკან დააბრუნა ისინი, განდგომილ ელთა მეთაურებიდან მძევლები აიყვანა, ხოლო ხალხი სოღანლუღს დააყენა. ელებს სამცხის ფაშისათვის მიყენებული ზარალი აანაზღაურებინა, შემდეგ კი ძველ საცხოვრებლებზე დააბრუნა, 1760 წელს ფანა ხანის დამარცხების შემდეგ ერეკლემ ყარაბაღსა და ნახჩევანში (ეს მხარეები მაშინ ირანს ექვემდებარებოდა) გადასახლებულთა დასაბრუნებლად ჯარი გააგზავნა, ააყრევინა ისინი და უკან დააბრუნა. მოგვიანებით ქვემო ქართლის ელების ერთი ნაწილი, თარაქამები, ალი-ბეგმა გადაიბირა ახალციხის საფაშოში დასასახლებლად (ეს იყო სამცხეში მომთაბარე თურქმენთა მასობრივად ჩასახლების პირველი შემთხვევა). ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-მ ხონთქართან იჩივლა მათი უკან დაბრუნების მოთხოვნით. ფორმალურად სულთანს არ ჰქონდა უფლება არ დაეკმაყოფილებინა ქართველი მეფის კანონიერი მოთხოვნა, ამიტომ თარაქამები ქართლის საზღვრის გაყოლებით დაასახლა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სამცხეში ისევ გადავიდნენ ყაზახ-შამშადილუდან თურქმენები თავიანთი ჯოგებიანად, ისინი ახალციხის ფაშამ გადასახადებისაგან გაათავისუფლა და სამხედრო საქმე დაავალა.

პირველ ხანებში ჩამოსახლებულები მხოლოდ ირანის შაჰს ექვემდებარებოდნენ და მათ ქართლის სამეფოს აღწერებისას არ აფიქსირებდნენ, მაგრამ მოგვიანებით, ყიზილბაშობის განლევის კვალობაზე, თანდათანობით, ისინიც ქართულ ფეოდალურ სისტემაში შეერწყნენ. 1721 წლის აღწერაში შეტანილი არ არის ბამბაკის და ბედ--რუჯის მხარეები, ლორის, ყაიყულისა და ელის რაიონები. ბამბაკ-ბედრუჯის მხარეები ბორჩალოს ხანის საბატონო იყო, ცალკე იყო ლორეს სახანოც, ამ ორ სახანოს, როგორც ვასალურ ერთეულებს ცალკე აღწერა უტარდებოდათ. «დასტურლამალის» თანახმად კი ელის აღწერა, სამხედრო და ფისკალური მიზნებით, ყოველ 3 წელიწადში ერთხელ ხდებოდა, მაშინ, როდესაც ქართლის სამეფოს აღწერა 7 წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. მეფეზე იყო დამოკიდებული ელის კაცთა გათარხნება, მის მიერვე იყო დადგენილი სახელმწიფო გადასახადები. ელებისათვის დიდხანს შეუთავსებელი აღმოჩნდა მკვიდრი ცხოვრების წესი. ცნობილია მათი გაპარვისა და

მასობრივი გაქცევის უამრავი შემთხვევა. «დასტურლამალში» ელის 76 თაბუნია მოცემული. იასე ლორთქიფანიძემ 28 თაბუნის საცხოვრებელი ადგილის დაზუსტება შეძლო, აქე-დან — 3 ალგეთში, 6 — ქციის ხეობაში, 13 — მდინარე მტკვრის გაღმა მხარეს, 5 — სომხითში, 1 კი დმანისის ხეობაში მდებარეობდა.

საქართველოში ჩამოსახლებული ყიზილბაშების სოციალური ორგანიზაცია საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგა. მომთაბარეები თაბუნებად სახლდებოდნენ, თაბუნი ტომის მეთაურს ან მეფის მოხელეს ემორჩილებოდა. ქართლში ისინი ჯერ მდინარეების — ქციისა და ალგეთის ხეობებში ჩამოსახლდნენ. თავდაპირველად, შექმნილი ლორის სახანოს კვალდაკვალ, ქვემო ქართლში გაჩნდა ბორჩალოს, ბამბაკის, ბაიდრის, შურაგელის სახანოები. ყიზილბაშურმა ტომებმა სეფიანთა სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში სამომთაბარეოდ მიიღეს მიწები, რის გამოც კიდევ უფრო დანაწევრდნენ. ერთი შინაარსის მქონე ტერმინები — თურქულ-აზერბაიჯანული «იღ», არაბული «ტაიფა» და მონღოლური «აიმაკი» — ყიზილბაშებში ხან ტომს აღნიშნავდა, ხან მის ნაწილს. ეს მომთაბარე ტომები (მონღოლური და თურქმენული) უფრო ადრე, XIII-XV საუკუნეებში, პოლიტიკურ გაერთიანებებსაც არ წარმოადგენდნენ, მათი ერთობა უნდა დამყარებოდა უფრო სისხლით ნათესაობასა და საერთო წინაპრიდან წარმოშობის პრინციპს. ეს იყო ადრინდელი (ფეოდალიზმამდელი) გვაროვნულ ტომთა დაჯგუფებები. უკვე ჩინგის ხანის დროს ისინი სხვადასხვა გვარისაგან შედგებოდნენ, რომელთაც საერთო წინაპარი ჰყავდათ. სეფიანთა ხანაში «აიმაკი», «ილ», «ტაიფა» აღნიშნავდა მომთაბარეთა გაერთიანებებს, რომლებიც არამარტო სხვადასხვა გვარის, არამედ სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებისაგან შედგებოდნენ, რაც მათ ტომის ელფერს აძლევდა. ამის მაგალითია XVI საუკუნეში თურქმენული და ქურთული ტომებისაგან ხელოვნურად შექმნილი «ოტუზ იქის» გაერთიანება, რომლის ხელმძღვანელად ჯევანშირის ტომი ითვლებოდა. მოგვიანებით, ეს გაერთიანება საქართველოში შემოასახლეს.

ელები ნაჯბადინამდე განსახლდნენ. ეს მხარე მარნეულის რაიონში მდებარეობს, საქართველოს სასაზღვრო მხარეს წარმოადგენს და იქ ამჟამადაც თურქმენული წარმომავლობის მოსახლეობა ჭარბობს, თუმცა თავად მარნეულში ვახუშტი ბატონიშვილი ელის მოსახლეობას არ იხსენიებს. ყულარად წოდებული ელები ცხოვრობდნენ მდინარე ქციისა და შულავრის წყლის შესართავთან, რაც დღევანდელ ტოპონიმიკაშიც არის ასახული (სოფ. ყულარი). ელებით იყო დასახლებული მდინარე მტკვრისა და ალგეთის შესართავი იაღლუჯის მთამდე.

ქართულ მიწებზე მომთაბარე ელების დამკვიდრებას დიდ ყურადღებას აქცევდა რუსული მმართველობა. მოხელეები ყოველნაირად აფერხებდნენ წინარე სამშობლოში მათ გადასახლებას. თუმცა ეს პროცესი მაინც მიმდინარეობდა. XIX საუკუნის დამდეგს ბორჩალოს მოურავის მოხსენების თანახმად, მთელი სოფელი ნაჯბადილუ აიყარა. ელების აყრა-გაქცევამ იმ ხანებში იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა გარკვეულ პირებზე თვალთვალი დაეწესებინა. უნდა აღინიშნოს, რომ ცარისტული ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ამ პროცესს. 1816 წელს ყარსის ყარაფაფახელთა და 15 სომხური ოჯახის ბორჩალოს დისტანციაში ჩამოსახლებით დასრულდა მარკიზ პაულიჩის წარმომადგენელ ლისანოვიჩისა და ყარაფაფახ აბულ აღა აბდალ-ოღლის რამდენიმეწლიანი მოლაპარაკება. მთავრობამ ნება დართო ადგილობრივ მმართველობას უკანვე

მიეღო აქედან წასულები. 1824 წელს შამშადილუში დამკვიდრდნენ წინათ ყარაბაღსა და ერევანში გაქცეული ელები.

საცხოვრებელი
და სამეურნეო ნაგებობები

მომთაბარეთა ცხოვრების სტილი და ნაგებობა-დასახლებათა ფორმები ტრადიციული, ნომადური ცხოვრების უმკაცრეს კანონებთან იყო შეგუებული. მყარი, მკვიდრად ნაგები, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები ამგვარი ცხოვრების წესთან შეუსაბამო იყო, მომთაბარეობისათვის უფრო მოსახერხებელი იყო მარტივი კარვები. XVI საუკუნის ინგლისელი მოგზაური ანტონი ჯენკინსონი აღნიშნავდა, რომ თურქმენული ტომები ერიდებოდნენ დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებში დაბინავებას და მათი გვერდის ავლით, სტეპებში მომთაბარეობდნენ. თითოეული ურდო ცალკე ჩერდებოდა და კარვებს ურდოს მეთაურის კარვის ირგვლივ დგამდა. იქვე აბინავებდნენ საქონლის ჯოგსაც, რომელსაც ტვირთის გადასაზიდი საჭაპანო ტრანსპორტით შემოზღუდავდნენ, რითაც მტრისგან თავდასაცავ გამაგრებულ პუნქტს ქმნიდნენ. საქართველოში შემოსახლებულ მომთაბარეებს მზა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები დახვდათ, რადგან, ძირითადად, აყრილი მოსახლეობის ნაცხოვრებ ადგილებში მკვიდრდებოდნენ. დროთა განმავლობაში ხდებოდა მომთაბარე ელთა ადაპტაცია ადგილობრივ სამეურნეო-ეკოლოგიურ გარემოსთან, რასაც მათ მიერ ადგილობრივი საცხოვრებელი ტიპის ათვისება მოჰყვა. ჩამოსახლებულთა ერთი ნაწილის ადგილებზე დამაგრებასა და მკვიდრ საცხოვრებელ ნაგებობებში დაბინავებას ირანელი მოხელეებიც უწყობდნენ ხელს. მოჰამედ თაჰერის ერთი ცნობით, საქართველოში საცხოვრებლად გამოგზავნილ ელებს კალატოზებსაც აყოლებდნენ თან, რომელთაც მათთვის საცხოვრებელი სახლები უნდა აეგოთ. სავარაუდოდ, ეს სახლები ამიერკავკასიისათვის ტიპური გვირგვინიან-ერდოიანი სახლის ადგილობრივ ვარიანტს წარმოადგენდა.

აზერბაიჯანელთა შორის გავრცელებული იყო ტრადიციული მიწური ნაგებობა «ყარადამი» (შავი სახლი). ყარადამი კომპლექსური ნაგებობაა, სადაც ერთ ჭერქვეშ რამდენიმე სათავსოა განლაგებული, მათ შორის — საქონლის სადგომი ბოსელიც («მალდამ»). ყარადამის სახურავი წარმოადგენდა ყელისაკენ დავიწროებულ საფეხუროვან პირამიდას, რომელიც ოთხ მსხვილ ხის ბოძს ეყრდნობოდა. ყარადამში ჰაერი და სინათლე გვირგვინის ყელიდან შემოდიოდა, აქედანვე გადიოდა შუაცეცხლის კვამლი. ყარადამი გარედან თითქმის არ ჩანდა და უფრო ყორღანს წააგავდა, რომელშიც ვიწრო ბნელი დერეფანი შედიოდა. ამგვარი ნაგებობის ავეჯი და დგამჭურჭელი მეტად უბრალო იყო. იდგა ხის ყუთები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, ასევე სკივრები და ხის გრძელი ტახტები. აქვე იყო ფქვილის შესანახი თხის ტყავის ტომრები და ორმო ხორბლისათვის. ოთახის გასანათებლად იყენებდნენ ნავთის ლამპას ან ჭრაქს («ყარა ჩირახ»). იატაკი, ნაწილობრივ ხალიჩებით, ფლასებით და ჯეჯიმებით იყო მოფენილი.

საბჭოთა პერიოდში რადიკალურად შეიცვალა დასახლების სტრუქტურა და საცხოვრებელი ნაგებობები. მიწურბანიანი სახლების ადგილი დაიჭირა ერთ და ორსართულიანმა კაპიტალურმა ქვის ნაგებობებმა. დასახლებების ცენტრში გაჩნდა

სავაჭრო, სასწავლო და კულტურული დაწესებულებები. XX საუკუნის ტიპური აზერ-ბაიჯანული სოფლის ცენტრში იყო სალაყბო, სადაც წყდებოდა საჭირბოროტო საკითხები, იქვე ჰქონდათ წყარო პატარა აუზითურთ, საიდანაც სოფელი სასმელ წყალს ეზიდებოდა და საქონელს არწყულებდა. აზერბაიჯანული დასახლებები, უმეტესად, მდინარეებისა და სარწყავი არხების სანაპიროებზე იყო განლაგებული. ინდივიდუალური ეზოები, ბაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები დაგეგ-მარების გარეშე შენდებოდა. მეურნეობის თავისებურება და ცხოვრების წესი კარგად არის ასახული სოფლების სტრუქტურასა და საცხოვრებელ კომპლექსში. XXI საუკუნის დამდეგს რამდენიმე ადგილას დაიწყო სოფლის ცენტრებში მეჩეთების შენება. შენარჩუნებული იქნა ნაგებობათა ზოგიერთი თავისებურებაც, კერძოდ, სახლი ყრუ კედლით გზისაკენ და ფასადით ეზოსაკენ არის მიმართული. ეზოები შედარებით მომცროა და ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი.

სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა და სოციალური ურთიერთობები

მეურნეობა. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტრანსფორმაცია მჭიდროდ უკავშირდება მეურნეობის დარგების პროპორციის ცვლილებას. საქართველოში მახ-ლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მომთაბარული ექსტენსიური მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო ბაზა ნაკლებად იყო, ამიტომ აზერ-ბაიჯანლებმა ადგილობრივ ტრადიციულ სიმბიოზურ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლა დაიწყეს. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, უკვე XVIII საუკუნისათვის «სახლობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა, და თესლსა ზევით წერილთა, და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითა».

მესაქონლეობის შეზღუდვის ხარჯზე თანდათანობით გაიზარდა მიწათმოქმედების ხვედრითი წილი. XX საუკუნისათვის, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, აზერ-ბაიჯანელებით დასახლებულ რიგ სოფლებში განვითარებული იყო მემარცვლეობა (ხორბალი, სიმინდი), მებახჩეობა (კომბოსტო, პომიდორი და ა.შ) და მევენახეობაც კი. ადგილობრივი ეკოსამეურნეო გარემოს გავლენით მომხდარი ეს ცვლილება კიდევ უფრო გაძლიერდა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ტრანსფორმაციის შემდეგ. კოლმეურნეობების გაუქმებისთანავე შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქალაქის მომარაგება, რამაც შემოსავლის კარგი წყარო გაუჩინა ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს.

სამოსი. სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები სათანადოდ აისახებოდა აზერბაიჯანელთა მატერიალური ყოფის თითქმის ყველა მხარეზე. ამ მხრივ გამონაკლისს არც ტანისამოსი წარმოადგენს. აზებაიჯანელი ქალის ტრადიციულ სამოსი XX საუკუნის შუა ხანებამდე იყო ქვედა და ზედა კაბა, ხოლო სახეს ჩადრით იფარავდა. მდიდარი ქალები ატარებდნენ ოქროს სამაჯურებს, ძვირფასი ქვების მძივებსა და საყურეებს. მამაკაცის სამოსს შეადგენდა საცვალი («კეინეკი»), კალსონი («დიზლიკ»), ზემოდან შარვალი, ახალოხი («არხალიგი») და ჩოხა («ჩუხუ»). ასევე აუცილებელი ატრიბუტი იყო ქუდი («ფაფახი»), რომლის ქვეშაც ატარებდნენ მოქარგულ ქუდს («არახჩინ»). თანამედროვე აზერბაიჯანული სამოსი ევროპული ყაიდისაა, თუმცა რამდენიმე ნაციონალურ ელემენტსაც შეიცავს. ჩადრის ადგილი დაიჭირა თავსაფარმა, რომლის ტარებაც აუცილებელია ქალისა და სრულ-

წლოვანებას მიღწეული გოგონასათვის. ასევე ნაწილობრივ შემონახულია ფაფახის ტარების ტრადიცია ხანდაზმულთა შორის.

ოჯახი და ქორწინება. ოჯახის შექმნისა და მის წევრთა ურთიერთობის რეგლამეტირების საკითხებში განსაკუთრებით ღრმად იჭრება ისლამური რელიგია. აზერ-ბაიჯანულ თემში ოჯახის შარიათის მოთხოვნათა საფუძველზე აგებას უკვე ხანგრძლივი ტრადიცია აქვს და საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოს მიერ გატა-რებული სასტიკი ღონისძიებების მიუხედავად, დღესაც გვხვდება: მრავალ-ცოლიანობა, დროებითი ქორწინება, სყიდვითი ქორწინება, შედარებით დაბალი საქორწინო ასაკი, საქორწინო ურთიერთობისას ქალის სურვილის გაუთვალის-წინებლობა და ა. შ.

ოჯახი წარმოადგენს სისხლით მონათესავე კოლექტივს, რომელსაც სათავეში უდგას ოჯახის უფროსი მამაკაცი, «აღსაკალი». ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა ხანებამდე არსებობდა დიდი, მრავალთაობიანი პატრიარქალური ოჯახები. ამგვარ ოჯახებში ერთად ცხოვრობდა რამდენიმე თაობა და რამდენიმე დაქორწინებული წყვილი (გაუყრელი ძმები თავიანთი ცოლ-შვილით). პატრიარქალური ოჯახი ხასიათდებოდა ოჯახის უფროსის ძლიერი ძალაუფლებით. სახელმწიფო წყობილებისა და სოციალ-ეკონომიკური გარემოს ცვლილებამ აუცილებელი გახადა ამ ტიპის ოჯახის გაქრობა და XX საუკუნის ბოლოსათვის ასეთი ოჯახები თითქმის აღარ დასტურდება.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ნათესაობის გამომხატველი ტერმინები და, ნაწილობრივ, ნათესაობის სისტემაც, თურქულია. ნათესაობას გამოხატავენ ტერმინით „თოხუმი», „კოხუმი» ან „თუხუმი». ამ ტერმინის ქვეშ ერთიანდება მთელი სანათესაო, როგორც სისხლისმიერი, ისე მოკეთეობითი. ნათესაობის სისტემაში შედის როგორც ელემენტარული (ბაბა, იემი, აბლა, დედე და სხვ.), ისე შედგენილი (ემინ ოგლუ, ბიბი კზი და ა.შ.) ტერმინები.

მეუღლეების აღსანიშნავად გამოიყენება ინდივიდუალური ტერმინები (ქარ=ცოლი, ქოჯა//ხოჯა= ქმარი). იდენტური ტერმინები მოკეთეობით სისტემაში გამოიყენება სხვადასხვა თაობის აღსანიშნავად (ენიშტე=სიძე; კაინ=ცოლისძმა, სიმამრი და ცოლის სისხლით ნათესავი მამაკაცები; გალიმ=რძალი და აგნატების მეუღლეები).

მოკეთეობით ტერმინთაგან აღსანიშნავია «ბაჯანაღი» (ქვისლი). იგი შედგება ორი ნაწილისაგან — «ბაჯი» (და) და «აღა» (ბატონი) და გავრცელებულია სომეხ და ქარ-თველ მოსახლეობაშიც.

არსებობს წინადაცვეთის, «დასუნათების», წესი. დასუნათებას ესწრება «ქირვა», რომე-ლიც ქრისტიანული ნათლიის ანალოგია.

სოციალურ ურთიერთობათა სფეროში უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია ქორწინება. საპატარძლოსა და სასიძოს შერჩევას ქალ-ვაჟის ოჯახი ტრადიციულად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. მექორწინეთა სავარაუდო წრე საკმაოდ ფართოა, რადგან თეორიულად შეიძლება დააქორწინონ ახალგაზრდები, თუ ისინი ახლო სისხლით ნათესავები ან ხელოვნური ნათესავები არ არიან და ისლამს აღიარებენ.

უცხო ოჯახების დამოყვრების ინიციატორად, ჩვეულებრივ, შუამავალი ქალი («არ-არვად») გვევლინება, რომელიც მოლაპარაკებას წარმართავს ქალ-ვაჟის მშობლებს შორის, რადგან ქორწინების დროს გადამწყვეტი სიტყვა მათ ეკუთვნით. ყურადღება ექცევა სარძლოს ან სასიძოს ოჯახის ქონებრივ მდგომარეობასა და რეპუტაციას, პრეტენდენტის მშობლების ნათესაურ წრეს, მათ ავტორიტეტს, თავად კანდიდატის პირად თვისებებს, და ჯანმრთელობას. ამ დროს შედარებით უკანა პლანზე დგას საქმროს ან საცოლის გარეგნობა.

ნათესავების შეუღლება რეგულირებულია შარიათის ნორმებით. მუსლიმური სამართალი კრძალავს მხოლოდ პირველი მუხლის ნათესავების (და-ძმების) და თაო-ბებს შორის (მშობლები და შვილები, შვილები და მშობლების დედმამიშვილები) ქორწინებას. გარდა ამისა, ქმარს არ შეუძლია მომდევნო ცოლებად თავისი ცოლის ახლო ნათესავები მოიყვანოს, ვიდრე ცოლი ცოცხალია ან მასთან საბოლოოდ არ გაყრილა. არც ქალს შეუძლია ცოლად გაჰყვეს ქმრის ნათესავს, ვიდრე ქმარი ცოცხალია, მაშინ როდესაც ასეთი ქორწინება დაქვრივების შემთხვევაში ერთგვარ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს.

მუსლიმური ტრადიციით, დაქორწინება მხოლოდ სრულწლოვან ადამიანებს შეეძლოთ. სრულწლოვანად თხუთმეტი წლის ვაჟი და ცხრა წლის ქალი ითვლებოდა (მთვარის კალენდრით).

საველე-ეთნოგრაფიული მასალით და სამეცნიერო ლიტერატურით ირკვევა, რომ XIX-XX საუკუნეებში ცხრა წლის ასაკში გოგონას უიშვიათესად ათხოვებდნენ. შესაძ-ლოა, უფრო მცირეწლოვანი წყვილიც დაენიშნათ, მაგრამ საქორწინო ასაკად ქალებში თორმეტი-ცამეტი, ხოლო ვაჟებში ჩვიდმეტი-თვრამეტი წელი იყო მიღებული. XX საუკუნის დამდეგამდე ხშირი იყო ახალგაზრდა გოგონას გათხოვება შედარებით შეძ-ლებულ, ხანდაზმულ ან ქვრივ მამაკაცზე, რაც საკმაოდ პრესტიჟულად ითვლებოდა პატარძლის ოჯახისათვის. ცოლ-ქმარს შორის ასაკში განსხვავება ხშირად 15-20 წელს შეადგენდა.

მექორწინეთა მშობლების შეთანხმების შემდეგ ტრადიციულ საქორწინო ციკლში შედიოდა ბელგის («ბარგ») აღება და ნიშნობა.

საქორწინო მოლაპარაკებათა პირველ ეტაპზე (შერჩევა, გაკითხვა) აქტიურობას ქალები იჩენდნენ, შემდეგ საქმეში მამაკაცები ებმებოდნენ. საპატარძლოს სახლში მიდიოდნენ ვაჟის მამა, ბიძები ორივე მხრიდან და სასიძო. დიდი ყურადღება ექცეოდა დელეგაციის შემადგენლობის სოლიდურობას. ანდაზის თანახმად, «ცხენის საყიდლად ახალგაზრდები უნდა წავიდნენ, ქალის სათხოვნად კი — მოხუცები». თავის უახლოეს ნათესავებს იწვევდა ქალის მამაც. ამ ცერემონიალში დაუპატი-ჟებლობას ახლო ნათესავები დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევენ და ასეთი პირი, როგორც წესი, ნიშნობა-ქორწილზე აღარ მივიდოდა.

ქორწინების მნიშვნელოვან მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს საქორწინო გამოსასყიდი «ყალიმი». ყალიმის ოდენობის შესახებ მხარეები ბელგის დროს უნდა შეთანხმებულიყვნენ, ხოლო ნიშნობაზე უკვე უნდა მიერთმიათ ის ქალის ოჯახისათვის.

შემდეგი ეტაპი საქორწინო ციკლში არის ნიშნობა. აზერბაიჯანელთა ყოფაში სრულწლოვანი წყვილის ნიშნობის გარდა, ადრე გვხვდებოდაა დაუბადებელ ბავშვთა ნიშნობა და აკვანში ნიშნობა («ბეშჰიკ-ქერთმა»).

ნიშნობის რიტუალის აღსანიშნავად XIX საუკუნის აზერბაიჯანულ გარემოში უფრო გავრცელებული იყო სპარსული ტერმინი «შირინ-ხურონი», რომელიც ამჟამად მთლიანად ჩანაცვლებულია ტერმინით «ნიშან». საქორწინო ბეჭდის მნიშვნელობის გაზრდის გამო აზერბაიჯანელებში იხმარება ტერმინი «ნიშან-იუზიუ» (ნიშნობის ბეჭედი). აზერბაიჯანულ ნიშნობაში ისლამური რელიგიის გავლენა შეიმჩნეოდა. ეს განსაკუთრებით ეტყობოდა სუფრასა და ტრადიციული ხონჩის შემადგენლობას — ალკოჰოლური სასმელები იკრძალებოდა და საქორწინო ციკლის ეს ეტაპი მოლას მონაწილეობით მიმდინარეობდა. ნიშნობაზე იწვევდნენ მოლასა და უახლოეს ნათესავებს. თეორიულად არსებობდა შესაძლებლობა ნიშნობის დროს საპატარძლოს არასასურველი ქორწინება ჩაეშალა, რადგან მოლას არ ჰქონდა უფლება ქალის ნების გარეშე დაექორწინებინა იგი, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი შემთხვევა იშვიათია.

უკანასკნელ ხანებში ნიშნობის რიტუალში აღარ ხდება სასიძოსა და საპატარძლოს იზოლაცია ერთმანეთისგან. თუ XX საუკუნის 80-იან წლებამდე საპატარძლო მხოლოდ ქალებს შეეძლოთ ენახათ, ხოლო სასიძო თავის ნიშნობას არ ესწრებოდა, XX საუკუნის ბოლოსათვის, ცალკეულ შემთხვევაში (უფრო ქალაქად), მას შემდეგ, რაც საპატარძლოს სადედოფლო ტანსაცმლით შემოსავდნენ, იგი რიტუალის დანარჩენ მონაწილეებს უერთდებოდა, აქვე იმყოფებოდა სასიძოც.

ქორწინებამდე რამდენიმე თვით ან დღით ადრე აუცილებელი იყო სასულიერო პირს მკაფიოდ დაეზუსტებინა მხარეების თანხმობა ქორწინებაზე და შეედგინა დოკუმენტი («ქეაბინ»), სადაც დაწვრილებით იქნებოდა აღნუსხული პატარძლის მზითევის («ჯეჰიზ») შემადგენლობა და საქმროს მიერ გაღებული თანხა («მაჰრი»).

მუსლიმური სამართლის ნორმებით არსებული გაყრის ოთხი სახეობიდან, ორი მამაკაცს უფლებას აძლევდა ცოლისათვის გაყრის საფასურად საჩუქარი («ცჰაალ») ან «მუბარათი» («მუბატათი») მოეთხოვა. შარიათის თანახმად, ამ საჩუქრის რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ქალის მზითევის საერთო ღირებულებას, რადგან მას (ქალს) სხვა საკუთრება არ გააჩნია. ქალი საჯაროდ წარმოთქვამდა ფორმულას: «უარს ვამბობ მაჰრზე, გაათავისუფლეთ ჩემი სული». ამის შემდეგ იგი პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ ქმრის ოჯახიდან რაიმე წილის მოთხოვნა არ შეეძლო.

შარიათის მიხედვით, მუსლიმური ქორწინების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს სასულიერო პირის მიერ მისი ოფიციალურად გაფორმება — ქებინი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საოჯახო ქონების გაყოფისას, თუკი მეუღლენი განქორწინდებიან. ქებინის გარეშე ქორწინება არ შედგებოდა. ქალის მოტაცების შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ქებინს შეადგენდნენ და შეიძლებოდა ქორწილი სულაც არ გადაეხადათ. ამ დოკუმენტის გარეშე ქალი ქმრის სახლში სტუმრად ითვლებოდა. ეს აქტი, მოგვიანებით, სამოქალაქო რეგისტრაციით შეიცვალა.

ბოლო ხანებში ხშირია მოდერნიზებული ქორწილები (რიტუალების სასახლეებში, რესტორნებში და ა.შ.), ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს სპირტიანი სასმელების მოხმარება, ქალებისა და მამაკაცების ერთად ლხინი, აუცილებლად ითვლება ქორწინების ოფიციალური რეგისტრაცია.

ქალიშვილისათვის სათანადო მზითევის («ჯეჰიზ») გაწყობას აზერბაიჯანელები ოჯახის ღირსების საქმედ მიიჩნევენ, ამიტომ მზითევის შედგენილობის დაზუსტება წინა საქორწინო მოლაპარაკებისას ხდება, მას შემდეგ, რაც მხარეები გამოსასყიდის («ყალიმის») რაოდენობაზე შეთანხმდებიან. ქალის მხარე მზითევის მეშვეობით ყალიმის გაზრდას ცდილობს, ვაჟის მხარე კი ყალიმის მეშვეობით — მზითევში ქალის მამის წილის გაზრდას, რადგან მზითევის ნაწილი ქალიშვილის ოჯახის ხარ-ჯებით იყო მომზადებული. მზითევი ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ იგი ქმრის ოჯახის კეთილდღეობას ხმარდებოდა.

მზითევის მომზადებაში მონაწილეობას ღებულობდა სასიძოს ოჯახი, რომელიც საპატარძლოს უგზავნიდა მატყლს სამზითვო ლოგინისათვის, სპილენძის ჭურჭელს და სხვ. მზითევს ხმარდებოდა ყალიმის გარკვეული ნაწილიც.

აზერბაიჯანელებში ბოლო დრომდე გვხვდებოდა მოტაცებითი ქორწინებაც. უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილი ქორწინების ამგვარი წესი, გარკვეულად, გან-სხვავდება კავკასიის ქრისტიან ხალხებში გავრცელებული ანალოგიური მოვლენისაგან და შარიათის ნორმებით განპირობებულ ცალკეულ ნიშნებს შეიცავს. მოტაცებას ხალხი საკმაოდ უარყოფითად ეკიდებოდა და იგი ხშირად კონფლიქტური სიტუაციების შექმნის მიზეზი ხდებოდა. მოგვიანებით, ასეთი კონფლიქტების მოწესრიგება სასამართლოს დაეკისრა. XIX საუკუნის პერიოდიკაში გვხვდება მონაცე-მები, როდესაც მოტაცების საქმეს სასამართლო განიხილავდა.

დაკრძალვა. აზერბაიჯანელთა ყოფით რიტუალებში ყველაზე არქაულად მიჩნეულია დაკრძალვის ცერემონიალი, რომელიც ისლამურ ტრადიციაზეა აგებული და, ამასთანავე, უამრავ ისლამამდელ რიტუალსაც შეიცავს. მომაკვდავს აწვენენ ზურგზე ყიბლას (სამხრეთის) მიმართულებით. შემდეგ კითხულობენ შაჰადათის ლოცვას (სა-სურველი იყო ეს ლოცვა თავად მომაკვდავს მოესმინა). ახლად გარდაცვლილს უსწო-რებენ ხელებსა და ფეხებს, უხვევენ თვალებსა და ყბებს. აუცილებელია გარდაცვლი-ლის სამჯერ წყლით ან ქვიშით განბანვა. შარიათი კრძალავს გარდაცვლილის ტანსაცმლით დამარხვას, იგი თეთრი ტილოს სუდარაში გახვეული უნდა დაიკრ-ძალოს. მიცვალებული რაც შეიძლება მალე უნდა დამარხონ. საფლავს ოჯახის ახლობელი პირები ჭრიან. მისი სიღრმე დამოკიდებულია გარდაც-ვლილის სქესზე: ქალის საფლავი მკერდამდე, ხოლო მამაკაცის — წელამდე ითხრება.

მთელ სოფელს საერთო «ჯანაზა» (მიცვალებულის საფლავამდე მისატანი ხის ან ლითონის ჭურჭელი) ჰქონდა. მიცვალებული არ უნდა შეხებოდა მიწას, ამიტომ საფლავს ქვით, აგურით ან ფიცრით ამოაშენებდნენ, ზემოდან ხის მასიურ ფიცრებს აწყობდნენ და ისე აყრიდნენ მიწას. დაკრძალვის შემდეგ, საღამოს, საფლავზე ცეცხლს ანთებდნენ, რომლითაც მიცვალებულს საიქიოსკენ უნდა გაეკვალია გზა. ეს რი-ტუალი ზოროასტრიზმის გადმონაშთად ითვლება.

ქელეხისთვის საგანგებო რბილ ლავაშებს — «არატიჩ»-ს — აცხობდნენ, აუცილებელი იყო ასევე ჰალვა და ჩაი. დაკრძალვიდან სამი, შვიდი, ორმოცი და ორმოცდათორმეტი დღის შემდეგ, აგრეთვე, ყოველ ოთხშაბათს, შეკრებები იმართება. ამ შეკრებებზე მოდიან უახლოესი ნათესავები და კითხულობენ ყურანს. აზერბაიჯანელებში გვხვდება როგორც ისლამურ ყაიდაზე — ნახევარმთვარითა და ვარსკვლავით მოწყობილი — ასევე მიცვალებულის სურათიანი სასაფლაოები.

ფოლკლორი

აზერბაიჯანელი ხალხის და ოღუზური მოდგმის ტომთა ეთნოკულტურული ცხოვრების რეკონსტრუქციის საქმეში მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს ფოლკლორი, განსაკუთრებით ეპიკური ძეგლები. აღსანიშნავია «დედე ქორქუთის წიგნი». ამ ეპოსის ზეპირი ვარიანტები, მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, უნდა შექმნილიყო XI-XIV საუკუნეებში დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, წერილობით კი — XV საუკუნეში. «დედე ქორქუთის წიგნი» იმდენად პოპულარულია თურქულენოვან ხალხებში, რომ ყველა მათგანს ის თავის შექმნილად მიაჩნია.

შუა საუკუნეების თურქული ლიტერატურა ისლამს ეყრდნობოდა, ამიტომ მისი ნიმუშები, როგორც წესი, ისლამურ სამყაროში გავრცელებული კულტურულ-ესთეტიკური ფასეულობების დამკვიდრებას ემსახურება, თუმცა ცალკეულ ნაწარმოებებში აღწერილი წეს-ჩვეულებები მრავალ საერთოს პოულობს წინაისლამურ შამანიზმსა და ტოტემიზმთან. შამანები ძალზე პოპულარულნი იყვნენ შუა საუკუნეებში, მათ მრავალი ჯადოსნური უნარი მიეწერებოდათ. შელოცვით რიტუალებს მოლები დღემდე ასრულებენ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთათვის. მოლები XX საუკუნემდე ექიმის ფუნქციასაც ითავსებდნენ, რადგან აზერბაიჯანელთა კონსერვატიული საზოგადოება სამედიცინო მეცნიერებას ნაკლებად ცნობდა.

ისლამურ გარემოში მითებისა და გადმოცემათა პერსონაჟები მართლმორწმუნე მუსლიმებად უნდა ქცეულიყვნენ, ე.ი. უარი ეთქვათ წარმართულ ჩვევებზე, რადგან ნამდვილი მუსლიმი მხოლოდ ყურანითა და სუნით რეგლამენტირებულ ცხოვრების წესს მიიჩნევს კანონიერად. ამის მიუხედავად, «დედე ქორქუთის წიგნში» თავისებურად აისახა ტრადიციები, რომლებიც თურქული მოდგმის ტომებს ახასიათებდათ როგორც ისლამის მიღების შემდეგ, ისე წინაისლამურ პერიოდში. ეპიკური ნაწარმოების გმირები ასრულებენ ნამაზს, მაგრამ, ამავე დროს უარს, არ ამბობენ ჯადოქრობაზე, წინასწარმეტყველებასა და სხვა წარმართულ რიტუალებზე. ტექსტუალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შუა საუკუნეების თურქული საზოგადოების ღირებულებათა სისტემაში რელიგიასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ომების, ნადირობის, ლხინის, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებულსა და სხვა წინაისლამურ ტრადიციებს. «დედე ქორქუთის წიგნში» მოცემული ოღუზი ტომების ასტრალური წარმოდგენები დაკავშირებულია თურქების ეთნოგენეზთან. ძველი თურქები და მონღოლები განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ ამომავალ მზეს. ოღუზების ეთნარქად მიჩნეულია კაგანი, რომელსაც ექვსი ვაჟი ჰყავდა: კუნი (მზე), აი (მთვარე), ილდაზი (ვარსკვლავი), გოი (ცა), დაგი (მთა), დენიზი (ზღვა). კაგანის თითოეულ მემკვიდრეს ოთხი ვაჟი ჰყავდა. სწორედ ისინი ითვლებიან ოღუზების

ოცდაოთხი ტომის წინაპრად. ისინი, ღმერთების რანგში აყვანილნი, იერარქიულად არიან განლაგებულნი თურქების წარმართულ პანთეონში. გაღმერთებულ ციურ მნათობთა სახელები ხშირად გამოიყენება ადამიანთა საკუთარ სახელებად. მზისა და მთვარის დაბნელება უდიდეს უბედურებად ითვლებოდა ისლამურ პერიოდშიც, ამ მოვლენების შემდეგ მოლები და ახუნდები საგანგებო ლოცვას აღავლენდნენ ხოლმე. ასევე დიდი ადგილი უჭირავს ეპოსში ადამიანის ურთიერთობას ცხოველთა სამყაროსთან, რაც, ზოგჯერ, საქორწინო კავშირითაც გვირგვინდება. ადამიანისა და ცხოველის ქორწინება აუცილებლად განსაკუთრებული თვისებების მქონე გმირის დაბადებით მთავრდებოდა. არსებობს გარკვეული წრე ცხოველებისა, რომლებთანაც ადამიანებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, რაც თურქული ტომების ტოტემური წარმოდგენების ამსახველია.

რადგანაც «დედე ქორქუთის წიგნი» მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში შეიქმნა, მასში განსაკუთრებული ადგილი ქრისტიან ხალხებთან ურთიერთობას უჭირავს. ეპოსის გმირები ხშირად ლაშქრობენ გიაურთა წინააღმდეგ. ნაწარმოებში ხშირად მოიხსენიება «ბაში-აჩუკი». მკაფიოდ ჩანს, რომ ქრისტიანებთან პირველი კონტაქტები, რომლებიც ეპიკურ ნაწარმოებში აისახა, კონფლიქტური ხასიათის იყო, რის გამოც გიაური-ქრისტიანი სტერეოტიპულად მტერთან იყო გაიგივებული.

შეიცვალა თუ არა ეს დამოკიდებულება ქრისტიან მოსახლეობასთან ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და ისლამის მიღების შემდეგ და როგორ აისახა ყოველივე ზეპირსიტყვიერებაში?

ეთნოგრაფიული კვლევით დაფიქსირდა ქრისტეს ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც გავრცელებულია საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებში. ეს მასალა რამდენადმე განსხვავდება ქრისტეს ბუნების ყურანისეული გაგებისაგან და მასში თავისებურადაა ინტერპრეტირებული არა მარტო ბიბლია, არამედ ყურანიც.

ფოლკლორულ მასალაში ასახულია მარიამის უბიწოების დოგმა, თუმცა იგი ზღაპრული ბურუსითაა მოცული და თითქმის არაფერი აქვს საერთო სახარებისეულ მოთხრობასთან ქრისტეს ჩასახვისა და შობის შესახებ. გადმოცემაში მთავარ როლს თამაშობს უცნობი მოხუცისაგან მარიამისათვის მიცემული ვაშლი და ყვავილი. ვაშლის შეჭმისა და ყვავილის დაყნოსვის შემდეგ მარიამი დაფეხმძიმდა. ნაყოფი დაბადებამდე მუცლიდან ესაუბრებოდა დედას თავის მომავალ მისიაზე. იმავე გადმოცემით, ქრისტე კაცობრიობას მოევლინა მხსნელად. თავისებურადაა ინტერპრეტირებული ქრისტიანული პირჯვრისწერა. ფეხმძიმე მარიამი ბრბოს განსჯის საგნად იქცა, რის გამოც მან დაიფიცა: «ვფიცავ მაღლა ღმერთს (შუბლზე დაიდო ხელი), შვილს მუცელში (ხელი მუცელზე დაიდო), მარჯვენა და მარცხენა მხრის ანგელოზებს (ხელი დაიდო ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა მხარზე), რომ მე ქალწული ვარ». გაურკვეველია ვინაა ზემოხსენებული მოხუცი — ღვთის წარმოგზავნილი ანგელოზი თუ თავად ღმერთი, ხოლო ვაშლი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, კარგადაა ცნობილი კავკასიელთა მითოპოეტური სამყაროსათვის. მარჯვენა და მარცხენა მხარზე მსხდომი ანგელოზები ხშირად ფიგურირებენ ისლამურ ესქატოლოგიაში. ხალხური გადმოცემების თანახმად, ადამიანის ბედს დაბადებიდან გარდაცვალებამდე ამ ორი ანგელოზის ბრძოლა განსაზღვრავს, ისინი ემსახურებიან

კეთილსა და ბოროტ ძალებს. გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ადამიანი ღვთის სამსჯავროზე წარდგება, ამ ორი ანგელოზის დაგროვილი ტვირთი აიწონება და ამის მიხედვით ღებულობს სული სამუდამო სამყოფელს ჯოჯოხეთში ან სამოთხეში.

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს თავისებური წარმოდგენა აქვთ ქრისტიანულ საიდუმლოებებზე. ზეპირსიტყვიერება არ უარყოფს ქრისტეს განსაკუთრებულ მისიას. მარიამს ალლაჰის ნება ღვთისაგან გამოგზავნილმა ანგელოზმა გადასცა, მისივე ნებით დაეხმარნენ მშობიარეს. თავად მარიამსაც მტკიცედ სწამს ვაჟის განსაკუთრებულობა, რომ მისი შვილი ალლაჰის გვერდით დგას ამქვეყნადაც და საიქიოშიც. გადმოცემა უარყოფს ამბავს ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის ამბავს და მიიჩნევს, რომ ჯვარზე იუდა გააკრეს, თავად ქრისტე კი ჯიბრაილთან (გაბრიელი) ერთად ამჟამადაც იმყოფება მეოთხე ცაზე და მეორედ მოსვლისას დაუბრუნდება დედამიწას.

არსებული საველე მასალა მოწმობს აზერბაიჯანელების მისწრაფებას დაამტკიცონ თავიანთი რელიგიის უპირატესობა, მაგრამ იგრძნობა ბევრად უფრო ტოლერანტული დამოკიდებულება ქრისტიანობის მიმართ, ვიდრე ეს «დედე ქორქუთის წიგნის» გმირებს ახასიათებთ. ეს, ერთი მხრივ, ოფიციალური ისლამის მიერ ქრისტეს მოციქულად აღიარების, ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგია. კულტურულ-სამეურნეო ურთიერთობებმა დაარღვია «დედე ქორქუთის წიგნისათვის» დამახასიათებელი სტერეოტიპი (გიაური=მტერი) და მეზობელ ქრისტიანებთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის კულტუ-რის დამკვიდრებას შეუწყო ხელი.

ცნობილი მოღვაწეები

საქართველოს აზერბაიჯანელთა წინაპრები იმთავითვე განიცდიდნენ თურქული, ირანული და ქართული კულტურების ზეგავლენას, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა მათი კულტურული ორიენტირების ჩამოყალიბებაზე. ისინი, ერთი მხრივ, თავს მიიჩნევენ საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მოღვაწეების (ებუ მუამედ ელ-ჰუსეინი ეთ-ტიფლისი, ბედრ ეთ-ტიფლისი, გააზი ეთ-ტიფლისი, ჰუბეიში და ა.შ) მემკვიდრეებად, მეორე მხრივ, თავიანთ კულტურას თურქულ სამყაროს უკავშირებენ და საკუთარი წინაპრების შემოქმედებად მიიჩნევენ ოღუზურ სამყაროში შექმნილ «დედე ქორქუთის წიგნს», საგმირო-საფალავნო ეპოსს «ქოროღლუ» და სამიჯნურო დასტანებს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავის მხრივ, საქართველოს თურქულენოვანი მოსახლეობიდან წამოსული ლიტერატურული იმპულსები გავლენას ახდენდა ქვეყნის გარეთაც. მაგ., ითვლება, რომ აზერბაიჯანული რენესანსული ლიტერატურის ერთ-ერთი ნიმუში დასტანი-პოემა «შეჰრიარი» სწორედ საქართველოშია შექმნილი.

საქართველოში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები და მწერლები — ფაზილ ხან შეიდა, აბბასაგულუ აღა ბაქიხანლი და სხვ.

საქართველომ და, კერძოდ, თბილისმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აზერბაიჯანელი ხალხის მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის

სხვა სფეროების განვითარების საქმეში, განსაკუთრებით XIX საუკუნიდან, როდესაც თბილისი მთელი კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა.

თბილისში მოღვაწეობდა გამოჩენილი დრამატურგი მირზა ფათალი ახუნდზადე (ახუნდოვი), რომლის კომედიებმაც საფუძველი დაუდა აზერბაიჯანულ დრამატურგიას. აქ ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს მირზა შაფი ვაჰეზ, ნარიმან ნარიმანზადე (ნარიმანოვი), მირზა ალი აბბასოვი, მირზახან გულიევი, ქერიმ-ბეი შერიფლი.

XIX საუკუნეში ქვემო ქართლელი ჰუსეინ მინასაზლის ინიციატივით გაიხსნა სკოლები, რუსულ ენაზე გამოიცა გაზეთები და ჟურნალები. იგი თავადაც მუშაობდა მასწავლებლად მშობლიურ სოფელ სარვანში. ჰუსეინ მინასაზლის მოთხრობები საკუთარი ხალხის ყოფა-ცხოვრებას ასახავს, მათში არსებული განწყობილება იმ ეპოქის ქართული პროზისთვისაც არ იყო უცხო (მაგ., მ. ჯავახიშვილის მოთხრობა «მართალი აბდულაჰ»).

საქართველოს აზერბაიჯანელთა კულტურული ტრადიციები გრძელდებოდა და ვითარდებოდა XX საუკუნეშიც. 20-იანი წლებიდან აზერბაიჯანულ ენაზე გამოდიოდა გაზეთები, ჟურნალები, ლიტერატურული კრებულები, ალმანახები, აზერბაიჯანულ თეატრში იდგმებოდა სპექტაკლები და ა.შ. ამ ხანებში მოღვაწეობდნენ ცნობილი ავტორები: ზია ბორჩალი, მემედჰუსეინ ბეხთიარლი, ისა ბორჩალი, ისა სადიგი და სხვ.

აზერბაიჯანული დიასპორიდან გამოსული მრავალი მწერალი, ლიტერატურთმცოდნე, მსახიობი, მეცნიერი და სხვა დარგის წარმომადგენელი დღესაც აქტიურად მოღვაწეობს საქართველოში. 1986 წელს საქართველოს მწერალთა კავშირთან შეიქმნა გაერთიანება «დან ულდეზე» («ცისკარი»), რომელშიც სხვადასხვა რაიონში მცხოვრები 50-მდე აზერბაიჯანელი მწერალი გაერთიანდა. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელთა შორის კვლავ ცოცხლობს XIX საუკუნეში მეტად პოპულარული აშუღური პოეზია. დიდი სიყვარულით სარგებლობენ აშუღები — მეჰმედ სადახლი, გიულაბი, ნურედდინ გასიმლი, ასლან ქოსალი და სხვ.

XXI საუკუნის დამდეგს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე ახალი პერსპექტივები დასახა, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა იქონია აზერბაიჯანულ თემზეც. საქართველოს აზერბაიჯანელთა დიდი ნაწილი აქტიურადაა ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში.

ლავრენტი ჯანიაშვილი

თანამედროვე მდგომარეობა

საქართველოში აზერბაიჯანული მოსახლეობის რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მატების ტემპით გაუსწრო საქართველოში მცხოვრებ ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფს. აზერბაიჯანელების

რაოდენობა ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, 30 წლის განმავლობაში, თითქმის გაორმაგდა. თუ 1959 წელს აზერბაიჯანელების რაოდენობა 153 600 კაცი იყო (რაც მთლიანი მოსახლეობის 3.8%-ს შეადგენდა), 1979 წელს მათი რაოდენობა 255 700-მდე გაიზარდა (5.1%), 1989 წელს კი — 307 600 გახდა (5.7%).

1989 წლის მოსახლეობის ბოლო საბჭოთა აღწერის მიხედვით, თბილისში 18 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა. საქართველოს რაიონებიდან კი აზერბაიჯანელები უმრავლესობას წარმოადგენდნენ: მარნეულში — 91 923 (76.3%), ბოლნისში — 53 808 (66%), დმანისში — 33 107 (63.9%). აზერბაიჯანელები რაოდენობით მეორე ეთნიკური ჯგუფი იყო საქართველოს რამდენიმე რაიონში: გარდაბანში — 48 781 (42.5%), საგარეჯოში — 15 804 (26.3%), ლაგოდეხში — 9 683 (17.9%), თელავში — 7 094 (9.1%).

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, მიგრაციული პროცესების შედეგად აზერბაიჯანელთა რაოდენობა შემცირდა და ამჟამად საქართველოში 284 761 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, თუმცა მათი პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს მთელ მოსახლეობაში 6.5%-მდე გაიზარდა. თუკი 1989 წლის მოსახლეობის აღწერისას, აზერბაიჯანელები საქართველოში რაოდენობის მიხედვით ეთნიკურ უმცირესობებს შორის სომხებისა და რუსების შემდეგ მესამე ადგილზე იყვნენ, ამჟამად ისინი ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. რაც, როგორც აზერბაიჯანული მოსახლეობის მაღალი შობადობით, ასევე სხვა ეთნიკური ჯგუფების რაოდენობის შემცირებით არის განპირობებული.

აზერბაიჯანელები საქართველოს რამდენიმე რეგიონში, ძირითადად, კომპაქტურად ცხოვრობენ. მათი უმრავლესობა ქვემო ქართლშია განსახლებული. ისინი დღეისათვის ქვემო ქართლის მთელი მოსახლეობის 45%-ს შეადგენენ, თუმცა ქვემო ქართლის რეგიონში შემავალ ოთხ რაიონში (ექვსიდან) ისინი აბსოლუტურ ან შედარებით უმრავლესობაში იმყოფებიან: მარნეულის რაიონი — 98 245 (83.1%), დმანისის რაიონი — 18 716 (66.7%), ბოლნისის რაიონი — 49 026 (66%), გარდაბანის რაიონი — 49 993 (43.7%).

ქვემო ქართლის გარდა, აზერბაიჯანელების კომპაქტური დასახლებებია: თელავის რაიონში — 8 373 (11.9%), ლაგოდეხის რაიონში — 11 392 (22.3%) და საგარეჯოს რაიონში — 18 907 (31.9%); მცხეთის რაიონში — 2 236 (3.5%) და კასპის რაიონში — 3 962 (7.6%). საქართველოს სხვა რაიონებში აზერბაიჯანელთა უმნიშვნელო რაოდენობაა განსახლებული. დასავლეთ საქართველოს რაიონებში მხოლოდ რამდენიმე ასეული აზერბაიჯანული ოჯახი ცხოვრობს. თბილისში აზერბაიჯანელთა რაოდენობა თითქმის განახევრდა და 2002 წლის აღწერის მონაცემებით, 10 942 კაცს შეადგენს.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ეიფორიისა და ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის ნაციონალისტური რიტორიკის ფონზე, ქვემო ქართლში ვითარება დაიძაბა. 1990-იანი წლების დასაწყისში ქვემო ქართლში, განსაკუთრებით ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, ქართულ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას

შორის დაპირისპირების რამდენიმე ფაქტიც აღინიშნა. დაპირისპირებას სისხლისღვრა არ მოჰყოლია, მაგრამ ქ. ბოლნისში მცხოვრები აზერბაიჯანელები იძულებულნი გახდნენ ქალაქი დაეტოვებინათ. ამ ფონზე ქვემო ქართლში მოქმედი ნაციონალისტური ორგანიზაციების მხრიდან აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის რაიონების ტერიტორიაზე «ბორჩალოს ავტონომიის» შექმნის მოთხოვნებიც გაისმა. ავტონომიის იდეის ავტორები ნაციონალისტურად განწ-ყობილი ჯგუფები იყვნენ, რომლებსაც მოსახლეობაში მხარდაჭერა არ ჰქონიათ.

1992 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა ედუარდ შევარდნაძემ ნაციონალისტურ რიტორიკაზე უარი თქვა. თუმცა, ამის მიუხედავად, წლების განმავლობაში აზერბაიჯანელთა და, ზოგადად, ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან გადადგმუ-ლი ნაბიჯები უმნიშვნელო იყო და სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. აზერბაიჯანელთა ლოიალობა ხელისუფლებისადმი, ძირითადად, განპირობებული იყო შევარდნაძისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ გეიდარ ალიევის მეგობრობით. ამ ფაქტორის გამო აზერბაიჯანელთა პრობლემებზე საუბარი ორი ქვეყნის ხელისუფლების წარმომად-გენლების მხრიდან მტრულ ქმედებადაც კი ფასდებოდა.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული არჩევნებში ქვემო ქართლის მოსახლეობის მიერ სახელისუფლო პოლიტიკური ჯგუფების მხარ-დაჭერა განპირობებული იყო ხე-ლისუფლების აქტიური ჩარევისა და აზერბაიჯანის ხელისუფლების პოზიციით, რო-მელიც ქვემო ქართლში შევარდნაძის პოლიტიკური გუნდის სასარგებლო წინასა-არჩევნო კამპანიასაც აწარმოებდა. თავად აზერბაიჯანელებიც არჩევნებში მონა-წილეობას და ხელისუფლების მხარდაჭერას სახელმწიფოსადმი ლოიალობის გამო-ხატულებად მიიჩნევდნენ. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის არცოდნა და საარჩევნო ბიულეტენების მხოლოდ ქართულ ენაზე არსებობა აზერბაიჯანელი მოქალაქეების საარჩევნო ხმებით მანიპულირებას ამარტივებდა. აღნიშნული ფაქტორების გამო, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლები არჩევნებში ყველაზე სერიოზულ დარღვევებს ქვემო ქართლში აფიქსირებდნენ. როგორც წესი, ოპოზი-ციური პოლიტიკური ჯგუფები ქვემო ქართლში წინასაარჩევნო კამპანიას არ აწარმოებდნენ და რეგიონს ხელისუფლების მხარდამჭერ პლაცდარმად მიიჩნევდნენ. ეს მანკიერი ტრადიცია მხოლოდ 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არ-ჩევნებისათვის დაირღვა, როდესაც ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ ქვემო ქართლში საარჩევნო კამპანია აწარმოა.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქვემო ქართლიდან ეთნიკური აზერბაიჯანელები გარანტირებულად ხვდებიან პარლამენტში, მაგრამ სახელმწიფო ენის არცოდნის გამო მათი საპარლამენტო საქმიანობის ხარისხი ძალზე დაბალია.

1990-იან წლებში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პასიური მონაწილეობისა და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის არარსებობის მიუხედავად, ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები სოფლის მეურნეობის პროდუქციითა და აზერბაიჯანიდან იმპორტირებული, ძირითადად, საყოფაცხოვრებო საქონელით

ვაჭრობდნენ, რაც მათ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების აქტიურ მონაწილეებად აქცევდა. თუმცა ეკონომიკური საქმიანობა, დიდწილად, სახელმწიფოს სტრუქ-ტურებთან (საბაჟო სამსახური, საგადასახადო ინსპექცია, საგზაო პოლიცია) კორუფციულ გარიგებებს ეფუძნებოდა, რაც ურთიერთობის მისაღები ფორმა იყო ორივე მხარისათვის.

ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობისა და ვაჭრობის ერთობლიობა წლების განმავლობაში უზრუნველყოფდა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა ეკონომიკურ თვითკმარობას. თუმცა ვარდების რევოლუციის შემდეგ განვითარებული პროცესების შედეგად მოსახლეობა ახალი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დადგა. რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი დარტყმა მიაყენა კონტრაბანდული საქონელით ვაჭრობისა და გადასახადების დამალვის ბრალდებით საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სადახლოს საბითუმო ბაზრობის დახურვამ, სადაც არა მარტო აზერბაიჯანელები, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსული ადამიანებიც ვაჭრობდ-ნენ.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა დიდი ნაწილის შემოსავლის წყაროდ, ტრადიციულად, მცირე და საშუალო ბიზნესი რჩება. მათ ეკონომიკურ საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სოფლის მეურნეობა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია ქვეყნის მასშტაბით. რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საუკეთესო ხარისხით გამოირჩევა და თბილისთან სიახლოვის გამო დედაქალაქის მოსახლეობაც ამ პროდუქციით მარაგდება.

არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის შემცირების ფონზე მოსახლეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სასოფლო-სამეურნეო მიწებმა, რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ ქვემო ქართლში როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური სახის პრობლემად გადაიქცა. 1990-იანი წლებში მიღებული კანონმდებლობის შესახებ არაინფორმირებულობის შედეგად, მიწის დიდ ნაწილზე საკუთრების უფლება მე-საკუთრეთე მცირე რაოდენობამ მოიპოვა, მოსახლეობის უმრავლესობა კი მიწის გარეშე დარჩა. უმიწონი წლების განმავლობაში იძულებულნი იყვნენ მიწის ნაკვე-თები მსხვილი მოიჯარეებისაგან მაღალი გადასახადის ფასად მიეღოთ. გარდა ამისა, არსებული კანონმდებლობა საზღვრისპირა ზოლის 21-კილომეტრიან მონაკვეთს, რომელიც არარენტაბელურ სამხედრო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ეკავა, განსაკუთრებულ ზონად აცხადებდა. რეგიონში მიწის განაწილების არსებულ წესს ადგილობრივი მოსახლეობა ეთნიკურ დისკრიმინაციად აფასებდა, რაც პერიოდულად ხელისუფლებასთან დაპირისპირებასაც იწვევდა. ბოლო წლებში ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებები შეინიშნება, რაც ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში მიწის განაწილების პროცესის დაწყებით გამოიხატა.

ქვემო ქართლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. რუსულმა კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუ-ნიკაციის ერთადერთი ენა იყო, 1990-იან წლებში მნიშვნელოვნად დაკარგა საკომუნი-კაციო ენის ფუნქცია. განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული

ხარვეზების გამო ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ აზერბაიჯანულად საუბრობს და სხვა ეთნოსების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის არა თუ ქართულს, უკვე რუსულ ენასაც ვეღარ იყენებს. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ენის შესწავლის საკითხი ინტეგრაციის პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო, თუმცა სახელწიფოს მხრიდან საამისოდ გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული და არაეფექტიანი აღმოჩნდა. ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით, განათლების სისტემაში ამ ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები კი მხოლოდ წლების შემდეგ გამოიღებს დადებით შედეგს. ქართული ენის არცოდნის გამო ის აზერ-ბაიჯანელები, რომლებსაც უმაღლესი განათლების მიღება სურთ, ძირითადად, აზერ-ბაიჯანში მიდიან სასწავლებლად და სწავლის დამთავრების შემდეგაც, უკეთესი მომავლისა და სამსახურის მოძებნის იმედით, მათი დიდი ნაწილი სამუდამოდ რჩება აზერბაიჯანში საცხოვრებლად.

სახელმწიფო ენის არცოდნის გამო მოსახლეობისათვის მიუწვდომელია ქართულენოვანი საინფორმაციო საშუალებები. საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე მხოლოდ კვირაში ერთხელ გადის აზერბაიჯანულენოვანი სა-ინფორმაციო გამოშვება, რის გამოც ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები უფრო უცხოურ (ძირითადად აზერბაიჯანულ, თურქულ, რუსულ) მედიასაშუალებებზე არიან ორიენტირებულნი. საქართველოში სუსტად არის განვითარებული აზერბა-იჯანულენოვანი მედია. ქვემო ქართლში არსებულ ტელევიზიათა გადაცემები მცირე არეალზე ვრცელდება და თანაც შეფერხებებით. სუსტად არის განვითარებული აზერ-ბაიჯანულენოვანი ბეჭდვითი მედიაც. თბილისში 1921 წლიდან გამოდის გაზეთი «გიურჯისტანი», რომლის ოპერატიულობის ხარისხი დაბალია. აღნიშნული ფაქ-ტორების გამო, ხშირ შემთხვევაში, ქვემო ქართლის მოსახლეობა უკეთესად არის ინ-ფორმირებული აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესების შესახებ, ვიდრე საქარ-თველოში არსებული ვითარების თაობაზე.

აზერბაიჯანელთა თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანულენოვანი სკოლები, აზერბაიჯანული კულტურის სახლი, ფოლკლორული ანსამბლები, აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების მირზა ფათალი ახუნდოვის, ნარიმან ნარიმანოვის, ჯალილ მამედყულიზადეს სახლ-მუზეუმები. ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაცი-ები, რომლებიც აზერბაიჯანელთა კულტურული ცხოვრების განვითარებაზე ზრუნავენ. თბილისში მოქმედებს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი და თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრი.

მამუკა კომახია

ბერძნები

ბერძენი ხალხის ჩამოყალიბება დაიწყო ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგს, როდესაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პროტობერძნულმა ტომებმა — აქაველებმა და იონიელებმა, ხოლო ძვ.წ. XII საუკუნიდან — დორიელებმა ადგილობრივი მოსახლეობის (პელასგების და სხვ.) ასიმილაცია მოახდინეს. ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში (ძვ.წ. VIII-VI სს.) შეიქმნა საერთო ბერძნული კულტურული ერთობა და გაჩნდა საერთო საკუთარი სახელი «ელინები» (ასე ეწოდებოდა შუა საბერძნ. ოლქის, შემდეგ — მთელ ბერძნულენოვან მოსახლეობას). რომაელებმა ელინებს უწოდეს «გრეკო», რაც შემდეგ ევროპის ხალხებმა შეითვისეს. ელინიზმის ხანაში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელდა საერთო ბერძნული ენა «კოინე». ძველმა ბერძნებმა შექმნეს მაღალი კულტურა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ევროპისა და წინა აზიის ხალხთა კულტურულ განვითარებაზე. შუა საუკუნეებში ბერძენი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძლიერ შეიცვალა: მას ერწყმოდნენ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული ვლახები, სლავები (VI-VII სს.), მაგრამ ძირითად ბირთვად მაინც ბერძნული ეთნიკური ელემენტი დარჩა, რომელიც თანამედროვე ბერძნებს უშუალოდ აკავშირებს ძველ ბერძნებთან.

საქართველოში ბერძნების პირველი დასახლებების გაჩენა შავი ზღვის სანაპიროების ინტენსიურ ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირდება.

ისტორიული ნარკვევი

საქართველოში მცხოვრები თანამედროვე ბერძნები, უმთავრესად, ე. წ. პონტოს ბერძნები არიან, რომლებიც თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან გადმოსახლდნენ. მათი პირველი დასახლებები საქართველოში XVIII საუკუნეში გაჩნდა, როდესაც ახტალის სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს საბადოების დასამუშავებლად ერეკლე მეორემ აღმოსავლეთ ანატოლიიდან ბერძენი მუშები და ხელოსნები მოიწვია და სოფელ მისხანში დაასახლა.[1] შემდეგში ისინი განსახლდნენ სომხეთსა და საქართველოში, მტრისაგან დარბეულ სოფ. ოფრეთში. 1806-1807 წლებში ბერძენთა ცალკეული ჯგუფები ქვემო ქართლში დამკვიდრდდნენ.[2] 1813 წელს 32 ბერძნულ ოჯახს გადაეცა სახაზინო მიწა თეთრიწყაროს რაიონის დაცარიელებულ სოფ. წინწყაროში.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ვილაიეთებიდან ქრისტიანული მოსახლეობის დიდი მასა — ქართველები, ბერძნები, სომხები — ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადმოსახლდა. ამის

ძირითადი მიზეზი ქრისტიანული რელიგიის დევნა იყო. დევნილები საქართველოში რამდენიმე ეტაპად შემოვიდნენ და, უმთავრესად, წალკის რაიონში დასახლდნენ.

გადმოსახლებულები თავისუფალ პირებად ითვლებოდნენ და ამიტომ ხაზინას მიეკუთვნებოდნენ. თურქეთიდან ჩამოსულები ნასოფლარებს ირჩევდნენ დასასახ-ლებლად, სარგებლობდნენ ქართველების მიერ მიტოვებული წისქვილებით, კარაქის სადღვებებითა და სხვ. თრიალეთის ტრადიციულ სოფლებში ჩასახლების შემდეგ მო-სულები ცვლიდნენ ძირძველ ადგილობრივ ტოპონიმებსა და მათ ნაცვლად მშობლიური სოფლების სახელებს ამკვიდრებდნენ. მაგალითად, ერძანს ბარმაქსიზი უწოდეს, თეზს — ავრანლო, წალკას — გუნიაკალა, კოხთას — სანამერი, ქვემო ახალშენს — კირაკი, ზემო ახალშენს — ბაშკოი, ეძვენა-სოფელს — შიპიაკი, უწყლოს — სანტა, გველფარეხას — კუშჩი, საბატეს — დარაკოვი. ზოგ შემთხვევაში, ადგილობრივ დასახელებას თავისებურად მოიაზრებდნენ, მაგალითად, ბეშკენა-შენი ბეშთაშენად აქციეს («ბეშტაშ» თურქულად «ხუთ ქვას» ნიშნავს).

ერთ-ერთ სოფელს გადმოსახლებულებმა ედიქილისა უწოდეს, რაც თურქულიდან ითარგმნება, როგორც «შვიდი ეკლესია» და, მართლაც, ამჟამად, ამ სოფელში შვიდი ეკლესიაა. იგივე ითქმის სოფ. ტაქქილისაზე, რაც თურქულად «ერთ ეკლესიას» ნიშნავს და ამ სოფელშიც ერთი, ბაზილიკის ტიპის, ეკლესიაა. სოფელ ქვემო ავლადს კიზილქილისა შეარქვეს, რაც თურქულად «წითელ ეკლესიას» ნიშნავს. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, აქ წითელი ქვისგან ნაშენი ეკლესია ყოფილა, რომელიც დროთა განმავლობაში დანგრეულა.

სოფლებისთვის სახელების შეცვლის შედეგად თრიალეთში თურქული გეოგრაფიული ნომენკლატურა გაჩნდა, რაც დღემდეა შემონახული.

ამავე პერიოდში სახელები შეეცვალა ბერძნებით დასახლებულ სოფლებს დმანისის რაიონში (ისტორიული ზურტაკეთი): სარკინეთს დემირ-ბულაღი ეწოდა, ველისპირს — ბულგასონ-ეივანი.

ენობრივად საქართველოში მცხოვრები ბერძნები იყოფოდნენ ბერძნულენოვნებად (ელინოფონები) და თურქულენოვნებად (ურუმები). ელინოფონები ლაპარაკობდნენ ბერძნული ენის პონტოს კილოკავზე, რომელიც VI-VII საუკუნეებში იღებს სათავეს. ბერძნული სიტყვა «პონტოს» — ზღვა, რომელიც ზღვისპირეთსაც აღნიშნავს და ქვეყანასაც, ანტიკური ტრადიციით შავი ზღვისპირეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმო-სავლეთ ტერიტორიის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, სადაც ბერძნებმა VI საუკუნეში თავიანთი დასახლებები დააარსეს.

ბერძნული ენის პონტურ კილოკავზე საქართველოში შემდეგ სოფლებში მეტყველებდნენ: სანტაში, ნეოხარაბაში, გუმბათში, ტარსონში (წალკის რ-ნი), სა-კირეში, გორაში (დმანისის რ-ნი), ივანოვკაში, დიდსა და პატარა ირაგაში, ჯიგრაშენში, ვიზიროვკაში, ალექსეევკის ნაწილში (თეთრიწყაროს რ-ნი), ოფრეთში (მარნეულის რ-ნი), მიქელწმინდაში (ახალციხის რ-ნი), ციხისჯვარში (ბორჯომის რ-ნი). ამავე კილოკავზე ლაპარაკობდნენ აფხაზეთსა და აჭარაში მოსახლე ბერძნები.

ელინოფონების ძირითადი მასა საქართველოში XIX საუკუნის 50-80 წლებში დასახლდა. მათი ადრინდელი საცხოვრებელი იყო ზღვისპირა რაიონები — სანტე, სიურმენე, კრომა, მიუზენი, ოვას, ხოფის, რიზეს ოლქები, ხოლო გორასა და საკირეს მცხოვრებლები ყარსის სოფლებიდან იყვნენ.

წალკის რაიონის ბერძნების ძირითად მასას ურუმები (თურქულენოვანი ბერძნები) წარმოადგენდნენ. მათ ეკუთვნოდათ სოფლები: ხადიკი, გუნია-კალა, ტაქქილისა, ედიქილისა, წინწყარო, ჯინისი, ავრანლო, ხანდო, ბეშთაშენი, ბაიბურთი, ბაშკოვი, ლივადი, კარაკომი, ოლინკაი. ურუმები ცხოვრობდნენ, აგრეთვე, დმანისის რაიონის სოფლებში: სარკინეთში, განახლებაში, ველისპირსა და თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში.

ტერმინი «ურუმი» გაჩნდა აღმოსავლეთი რომის იმპერიის დაცემისა და თურქეთის მიერ ბიზანტიის ყოფილი პროვინციების დაპყრობის შემდეგ.[3] იგი წარმოქმნილია ლათინური ძირიდან «რომა», რაც რომაელს, ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეშევრდომს ნიშნავს. ეს ტერმინი გულისხმობდა თურქების მიერ დაპყრობილი პროვინციების მოსახლეობას, მისი ეთნიკური წარმომავლობის გაუთვალისწინებლად. ურუმების ეთნიკურ შემადგენლობაში შევიდნენ ლაზებიც. ლაზებს შორის მრავალი სახელგანთქმული ხურო და ხის მხატვრული დამუშავების ოსტატი იყო.[4] ისინი აგებდნენ საცხოვრებელს, რომელიც «ლაზური ტიპის სახლის» სახელით იყო ცნობილი.[5] წალკის რაიონში ურუმები სოფლებში სანტასა და იმერაში სახლობდნენ. ურუმებმა შეითვისეს ძველი ქართული ტრადიციები, კულტურის ელემენტები (მაგალითად, ლაზ ქალებში გავრცელებული თავსაბურავი «დაბლა» — ქართული სიტყვიდან «დაბალი»).[6]

მართლმადიდებელ გადმოსახლებულთათვის XIX საუკუნის 40-იან წლებში 12 სამრევლო დაარსდა. მოსულებს დახვდათ მზა ტაძრები, რომლებიც თავიანთ სამრევლო ეკლესიებად აქციეს, თავიდან ყოველგვარი ცვლილებების გარეშე.[7] გადმოსახლებულები განსაკუთერებულ პატივს სცემდნენ წმინდანებს: კონსტანტინეს, პეტრესა და პავლეს, ილიას, კუზმასა და დამიანეს, აღნიშნავდნენ სოფიოს დღეებს, ფერისცვალებას, ღვთისმშობლის მიძინებასა და წმ. პანტელეიმონის დღეებს. წალკელები დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ ღვთისმშობლის გამოსახულებას ვარძიაში, ეთაყვანებოდნენ წმ. გიორგის, რომლის დღეს 23 აპრილსა და 10 ნოემბერს დღესასწაულობდნენ.

სოციალური ურთიერთობები, საცხოვრებელი გარემო

ოჯახი. საველე ეთნოგრაფიული მასალების, საარქივო და ლიტერატურული წყაროების მონაცემები იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დამდეგს თურქულენოვანი ბერძნების — ურუმების — ოჯახის გაბატონებული ფორმა ორი თაობისაგან შემდგარი მცირე ოჯახი — «ქიუჩუკ ავი» — იყო. ასეთი ოჯახის წევრთა რაოდენობა, გადმოსახლების პირველ წლებში, საშუალოდ, სამიდან რვა კაცამდე მერყეობდა. ეს ოჯახები ბიძაშვილ-მამიდაშვილებისა და გარე ბიძაშვილების ერთ-ორ თაობას აერთიანებდა.

ასეთ ოჯახებში შემორჩენილია რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრების ტრადიცია, დამახასიათებელი დიდი ოჯახისათვის, რომელიც დროთა განმავლობაში დაირღვა.

აღნიშნულ პერიოდში წალკის რაიონში გადმონაშთის სახით დიდი ოჯახებიც იყო შემორჩენილი (ბირ-ლიკ-ავ-ი, ბეიუ კავ-ი, ბეიუკ ოჯახ-ი, ბეიუკ კიუფლატ-ი). ბეიუკ ავ-ი სამ, ზოგჯერ ოთხ თაობას აერთიანებდა, 25 და მეტი სულისაგან შედგებოდა.

ურუმების ოჯახში მამაკაცთა რაოდენობა საგრძნობლად სჭარბობდა ქალებისას. ეს გარემოება გავლენას ახდენდა მუშახელის რაოდენობაზე. შრომითი საქმიანობას, განსაკუთრებით ბიჭები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, 15 წლის ასაკზე ბევრად ადრე იწყებდნენ.

საცხოვრებლი ტიპი. თურქულენოვანი ურუმების ძირითად ქონებას წარმოადგენდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების მიწა, საქონელი.

წალკის რაიონში გავრცელებული იყო საცხოვრებელი ნაგებობა «ყა-რა იაფი» მიწური გადახურვით. «ყარა იაფში» ჰორიზონტალურ პლანში წარმოდგენილი იყო: ადამიანის საცხოვრებელი — ოდა ან ავი, სასადილო-საკუჭნაო — ავ ან აშხანა, ალიზის სათავსო — სამანლიხი ან მარაკი, ბოსელი — კომი ან დამი, ფარდულ-ჩარდახი, საზაფხულო სადგომი — იაზლიხი. გავრცელებული იყო საცხოვრებელი ნაგებობის რამდენიმე სახეობა: «დარბაზული», «ყარსული», «ლაზური». ყველა ამ ნაგებობას კომპლექსური ხასიათი ჰქონდა.

«ყარა იაფის» არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ მისი ბინადარი ოჯახი ერთიან სამეურნეო-გვაროვნულ კოლექტივს წარმოადგენდა.

როგორც დიდი, ისე მცირე ოჯახის საქმიანობის დიდი ნაწილი საცხოვრებელ ოთახში — ოდაში — მიმდინარეობდა. აქ იკრიბებოდა თავისუფალ დროს ოჯახის ყველა წევრი. აქ ათევდნენ ღამეს, იკვებებოდნენ (უფრო ხშირად მხოლოდ კაცები). ზოგჯერ ოჯახს გამოეყოფოდა ხოლმე საქორწინო წყვილი, თუმცა საერთო საოჯახო ქონება, კოლექტიური მეურნეობა და მოხმარება შენარჩუნებული იყო.

«ყარა იაფის» საცხოვრებელ კომპლექსში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა სასადილო-საკუჭნაოს — აშხა ნა-ს ან ავ-ს. აშხანაში კეთდებოდა ურუმების ყველა საოჯახო საქმე. იქ იყო ტანდირი, რომელშიც პური ცხვებოდა, იქვე ამზადებდნენ საჭმელს. ტანდირი ათბობდა ზამთარში სახლის ამ ნაწილს, მასზე დგამდნენ ფარდაგგადაფარებულ დაბალ მაგიდას, გარშემო სხდებოდნენ და სადილობდნენ ქალები. გავრცელებული იყო ტანდირის ორი ტიპი — მიწისზედა და მიწაში ჩადგმული.

«ყარა იაფის» აშენებისას დიდი ყურადღება ექცეოდა ბოსელს. ბოსელი — ქომ-ი ან დამ-ი — ყველაზე დიდი სათავსო იყო სახლში. ოჯახი, რომელსაც ცოტა საქონელი ჰყავდა, მთელ პირუტყვს ერთ სადგომში ათავსებდა. ბევრი საქონლის მფლობელი ოჯახი კი (როგორც წესი, ეს დიდი ოჯახი იყო) მთელ პირუტყვს ერთ ბოსელში ამწყვდევდა, რომელიც ერთმანეთისაგან დაბალი ტიხარით გამოყოფილი რამდენიმე

სადგომისაგან შედგებოდა. მსხვილფეხა საქონლისთვის გამოყოფილ სადგომს «კოში მალი კომ» ეწოდებოდა, საძროხეს — «ინაკ მალი კომ», ფარეხს — «ქოიუნ-კომ».

ამგვარად, საოჯახო ყოფის თვალსაზრისით, საცხოვრებელი სახლის მთავარ ნიშანს ერთკამერიანი საცხოვრებელი ფართი წარმოადგენდა, რომლის ყოველ ნაწილს თავისი დანიშნულება ჰქონდა. ჭამის, დასვენების, საქმიანობის დროს ოჯახის წევრთა ადგილის ასაკისა და სქესის მიხედვით განსაზღვრა პასუხობდა ოჯახის ისეთი ფორმის ინტერესებს, რომელშიც შენარჩუნებულია საოჯახო თემის ტრადიციები. ოჯახის მთელი ცხოვრება ოჯახის უფროსის თვალწინ მიმდინარეობდა, რაც საოჯახო თემის ტრადიციის დამახასიათებელი ნიშანია.

სამეურნეო ყოფა. ურუმთა უძრავი ქონების მეორე ნაწილს მიწა შეადგენდა. მიწა, რომლითაც თურქულენოვანი ბერძნები სარგებლობდნენ, სახაზინო იყო. სახნავი მიწა, მოსავლიანობის მიხედვით, პირობითად რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა, თითოეული ოჯახისთვის მოზომილი მიწაც რამდენიმე კატეგორიისა იყო. დიდი ოჯახები, რომლებიც, როგორც წესი, ეკონომიკურად უფრო ძლიერები იყვნენ, მიწის მეტი ფართობით სარგებლობდნენ. მცირე, ეკონომიკურად უფრო სუსტ ინდივიდუალურ ოჯახებს მიწის ნაკლები ფართი ქონდათ მიზომილი.

სათიბები საერთო სასოფლო მფლობელობაში იყო და მათი გადანაწილება ყოველ წელს ხელახლა ხდებოდა.

თივის დამზადებისას ურუმების ოჯახები მამითადში ერთიანდებოდნენ, რომელსაც «ამპა» (სომხებთან — «გლოხი») ეწოდებოდა. ამპისა და გლოხის ორგანიზაციის პრინციპი ერთნაირი იყო. როგორც ამპის, ისე გლოხის წევრები თანაბარი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი. ყოველი ოჯახი ვალდებული იყო წარმოედგინა მთიბავთა განსაზღვრული რაოდენობა და ყოველ ოჯახს თივის განსაზღვრული ოდენობა ეკუთვნოდა მათი სათიბის ფართობის შესაბამისად. «ამპას» ამპა ბაში ხელმძღვანელობდა. წალკის რაიონში ისეთი დიდი, ეკონომიკურად ძლიერი ოჯახები იყო, რომლებიც თიბვის დროს ერთ ამპას შეადგენდნენ.

ურუმების მოძრავ ქონებას საქონელი წარმოადგენდა, რომელიც მთელი ოჯახის კოლექტიურ საკუთრებაში შედიოდა. ოჯახის წევრთა ქონებრივი უფლებები საქონლის მიმართ არავითარ პირობებს არ ექვემდებარებოდა, რაც ტიპურია დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმისათვის. თითოეულ ოჯახს საქონლის საკუთარი დამღა — ენ-ი — ჰქონდა. მესაქონლეობის პროდუქტებს, განსაკუთრებით იალაღიან სოფლებში, ძირითადი ადგილი ეჭირა ურუმების ეკონომიკურ ცხოვრებაში. ისინი ყიდდნენ რძის პროდუქტებს, ხორცს, მატყლს და, უპირველეს ყოვლისა, პურსა და პირველი მოხმარების საგნებს იძენდნენ.

ეკონომიკურად ძლიერ ოჯახებს, რომელთაც დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელი ჰყავდათ, საკუთარი გუთანი ქონდათ, რომლითაც მიწას ამუშავებდნენ. ეკონომიკურად სუსტი, ძირითადად, მცირე, ინდივიდუალური ოჯახები, ასეთ დროს ურთიერთდახმარების ფორმას — მოდგამს — მიმართავდნენ. წალკის რაიონში მოდგამის ორი სახე არსებობდა — ზემოწალკური და ქვემოწალკური.

ოჯახის წევრებს შორის შრომითი ფუნქციების განაწილებისას ასაკი, სქესი, ინდივიდუალური მონაცემები იყო განმსაზღვრელი. ამ ნიშნების მიხედვით, ბერძნების ოჯახში გამოიყოფოდნენ ოჯახის უფროსი — «ავ ბოიუგი» — და დიასახლისი — «ავ ქეივანი», ოჯახის დანარჩენ წევრებსაც თავ-თავიანთი ფუნქციები ჰქონდათ.

ოჯახის უფროსი ასაკითაც ყველაზე უფროსი იყო ოჯახში. მას ექვემდებარებოდა ოჯახის ყველა წევრი. მისი გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის უფროსი მომდევნო ძმა ან შემდეგი თაობის ყველაზე უფროსი წარმომადგენელი ხდებოდა. ბერძნების ოჯახის უფროსი არამარტო შესანიშნავი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო, არამედ მარჯვე მუშაკიც, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ საოჯახო საქმეს ასრულებდა. იგი ხელმძღვანელობდა ხვნას, მარცვლოვანი კულტურების თესვას, მოსავლის აღებას, ზრუნავდა საქონლის გამრავლებაზე, ქირაობდა საძოვრებს. ოჯახის უფროსი ასრულებდა ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ და საპატიო მოვალეობას — თესდა მარცვალს მოხნულ მინდორში («თახიმ საპიერ»).

«ავ ქეივანის» არჩევისას, უპირველეს ყოვლისა (მაგრამ არა ყოველთვის), ასაკს ითვალისწინებდნენ. უმრავლეს შემთხვევაში იგი «ავ ბოიუგის» ცოლი იყო. დიდ ოჯახებში «ავ ქეივანი» ხელმძღვანელობდა ქალების შრომას, აცხობდა პურს, ამზადებდა საჭმელს. მცირე, ინდივიდუალურ ოჯახებში, დიდი ოჯახისაგან განსხვავებით, არ იყო შრომის ასეთი მკაცრი დანაწილება და, ფაქტობრივად, მთელ საოჯახო საქმეს «ავ ქეივანი» ასრულებდა. კერასთან იგი ოჯახის უფროსის პირისპირ იჯდა. სტუმრის შემოსწრებისას დგებოდა, უთმობდა მას ადგილს და გადიოდა ოთახიდან. დიასახლისი მინდვრის სამუშაოებში მონაწილეობას არ იღებდა.

კაცებსა და ქალებს შორის შრომითი ფუნქციების განაწილების დროსაც განმსაზღვრელი ასაკი იყო. ზემოწალკურ ვარიანტში, სადაც მესაქონლეობა მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა, ქალთა შორის შრომის დანაწილებას უფრო გარკვეული და მკაფიო სახე ჰქონდა. აქ ქალების მოვალეობას შეადგენდა საქონლის მოვლა, წველა, რძის პროდუქტების დამზადება, იალაღებზე გამგზავრება. თითოეულ ქალს გარკვეული ფუნქცია ეკისრებოდა. ქვემოწალკურ ვარიანტში, სადაც მეურნეობა სიმბიოზური იყო, ქალები, ძირითადად, შინაური საქმეებით იყვნენ დაკავებულნი და მათ ნაკლებ ევალებოდათ მესაქონლეობასთან დაკავშირებული საქმიანობა.

ბერძნების ოჯახის ყველა შრომისუნარიანი მამაკაცი მონაწილეობას იღებდა მინდვრის სეზონურ სამუშაოში. ყველა მამაკაცს ევალებოდა საქონლის მოვლა, მაგრამ თითოეული მამაკაცის ნებისმიერი საქმიანობა დამოკიდებული იყო როგორც მის ასაკზე, ისე მის უნარზე გაძღოლოდა ამ საქმეს. ოჯახის წევრებს, რომლებიც საქონელს უვლიდნენ, ეწოდებოდათ «მალჯი» — მესაქონლე. ოჯახებს, სადაც ცოტა საქონელი იყო, ერთი მალჯი ჰყავდათ, ბევრი საქონლის მფლობელ ოჯახებს კი — რამდენიმე. «მალჯის», რომელიც მუშა საქონელს უვლიდა, ეწოდებოდა «კოში-მალი ბაან»-ი, მეწველი საქონლის მომვლელს — «ინაკ მალი ბაან»-ი, მეცხვარეს — «ჩობან»-ი. ოჯახის უმცროს წევრებს, ბიჭებს, რომლებიც მოზარდეულს უვლიდნენ, «კისირ მალი ბაან»-ს უწოდებდნენ.

«მალჯის» ასეთი დიფერენციაცია განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ზემოწალკური ვარიანტისთვის, სადაც ოჯახის სამეურნეო ყოფაში წამყვანი მესაქონლეობა იყო და მთავარ როლს მესაქონლეები ასრულებდნენ.

ხვნის დროს გუთანს ერთ-ერთი უფროსი მამაკაცი უძღვებოდა, ხარების დანარჩენ უღელს კი — საშუალო და უმცროსი თაობის წარმომადგენლები. მინდორში ოჯახის ყველა წევრი მუშაობდა, მაგრამ, ძირითად, ტვირთს მამაკაცები ზიდავდნენ.

სასაქონლო წარმოების კაპიტალისტური ფორმის განვითარებასთან ერთად, როცა ოჯახის ზოგიერთი წევრი გარკვეულ პროფესიას იძენს, იცვლება ოჯახში შრომითი ფუნქციების განაწილების საერთო სისტემაც. ცვლილებები, ძირითადად, მამაკაცთა შორის შრომის განაწილებას ეხება.

ამგვარად, შრომის ორგანიზაციისა და ოჯახის მართვის სისტემაში განმსაზღვრელ მომენტად გვევლინება ასაკი და სქესი, ოჯახის წევრთა პირადი თვისებების გათვალისწინებით.

ბერძნების როგორც დიდი, ისე მცირე, ინდივიდუალური ოჯახისთვის დამახასიათებელი იყო ოჯახის ყველა წევრს შორის მჭიდრო კონტაქტი, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ერთობლივი გადაჭრა.

ოჯახის ბუნების განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრებას, რომელიც ყველაზე უფრო სრულად გამოიხატება ოჯახის წევრთა ურთიერთობის ქონებრივ-სამართლებრივ ნორმებში.

ოჯახის გაყრისას იყოფოდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მიწა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თესლის მარაგი.

ბერძნული ოჯახის საკუთრება ძმათა ცალკეული წილებისგან შედგებოდა, რომელთა უფლება მათ კუთვნილ წილზე ოჯახის ქონების გაყოფის დროს ვლინდებოდა. თუ ძირითადი მეწილე იმ დროისთვის ცოცხალი არ იყო, მას შვილები ენაცვლებოდნენ, რომელთა სარგებლობაშიც გადადიოდა მისი წილი, მათი რაოდენობისა და ასაკის მიუხედავად.

ოჯახის გაყრის დროს ხდებოდა, რომ უფროს მეწილეს ზედმეტ ქონებას, ე. წ. წანამატს გამოუყოფდნენ ხოლმე საძმო წილზე — უფროსობისთვის. ამ წანამატს «ბოიუკლუხ»-ი ეწოდებოდა და ეს შეიძლება ყოფილიყო ზედმეტი საქონელი, სახლის საუკეთესო ნაწილი, ზოგჯერ მთელი სახლიც, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და სხვ. «ბოიუკლუხის» გაცემა ურთიერთშეთანხმების გზით ხდებოდა.

ოჯახის ქონების გაყოფისას, «ბოიუკლუხის» გარდა, გამოიყოფოდა ხოლმე ქონების ნაწილი უცოლ-შვილო მეწილეებისთვის, რათა მათ ამ სახსრებით ქორწილი გადაეხადათ. ამ წილს «არგანჩალიხ»-ი ეწოდებოდა. ის, ძირითადად, მეწილისთვის დამატებითი სული საქონლის გადაცემაში გამოიხატებოდა.

თურქულენოვანი ბერძნების ოჯახში ორივე მშობელს ან ერთ-ერთ მათგანს ყველა მეწილის საერთო თანხმობით გამოუყოფდნენ ხოლმე საგანგებო წილს «კოჯალიხ»-ს სიბერისათვის, აგრეთვე, წილს დასაფლავებისა და ქელეხისთვის («ოლიუმ პაი»). ეს წილიც საქონლის სახით გამოიყოფოდა. საქონელს იმ მეწილეს აძლევდნენ, რომლის მზრუნველობის ქვეშაც რჩებოდნენ მშობლები. იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ მეწილეს, რომელმაც თავისი შრომით ოჯახის კე-თილდღეობა აამაღლა, დამატებითი წილი — «ამაგ»-ი — გამოუყვეს.

ქონების გარკვეული ნაწილი, კერძოდ, ქალის პირადი საკუთრება, არ იყოფოდა. ქალის პირადი საკუთრება ბერძნების ოჯახში შეიძლება ყოფილიყო საქონელი — გი-ალინი მალი» ან ფული — «ფარა». პირველ შემთხვევაში, რომელიც საოჯახო ყოფის უფრო არქაულ ფორმას გამოხატავს, «გიალინი მალი» არ შედიოდა ოჯახის ძირითად ქონებაში და არ ნაწილდებოდა მეწილეთა შორის, ის შეიძლება ყოფილიყო დედისა-გან ქალიშვილისთვის დანატოვარი მემკვიდრეობა. მეორე შემთხვევაში, როდესაც ქალის კერძო საკუთრება ფულია, ის შეიძლება გასხვისებული ყოფილიყო ქალის ნება-სურვილით, ვთქვათ, გადასცემოდა ვაჟს, რომელთანაც დედა რჩებოდა ოჯახის გაყრის შემდეგ.

ქალის კერძო საკუთრება ამაღლებდა მის როლს ოჯახის ეკონომიკურ ცხოვრებაში და აძლიერებდა მის საზოგადოებრივ მდგომარეობას.

ტანისამოსი. საქართველოში მცხოვრებმა ბერძნებმა (აფხაზეთსა და აჭარაში) შემოინახეს ძველი ტანისამოსის ელემენტები. მამაკაცის ტანისამოსიდან შეიძლება გამოვყოთ «ზიპუნი» ან «ენტერი» (ზედატანის სამოსი), «გელანი» (თბილი ჟილეტი ან მოკლე თბილი პიჯაკი), ფართო შარავარები, ხოლო ქალის ტანსაცმელში — «ხიტონი».

წარსულში ურუმები კაბის ნაცვლად ხელნაკეთი მაუდისგან შეკერილ «ჩხუს» ატარებდნენ, პიჯაკის ნაცვლად — არხალუხს, შარვლის ნაცვლად — ფართო შარავა-რებს; ფეხთ ემოსათ — შალის მოხატული ნაქსოვი წინდები და მოქნილი ტყავის ფეხსაცმელი — «ჩარუზი», თავზე ცხვრის ტყავის ფაფახი ეხურათ.

მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ქალების თავის, მხრის, მკერდის, ყურისა და ხელის მორთულობა.

სამზარეულო. საქართველოში მცხოვრები ბერძნების საკვებიც არაერთგვაროვანი იყო. მდიდრებს უფრო მეტი ჰქონდათ ხორციანი საჭმელი, ღარიბები კი ახალდაკ-რეფილი, საკვებად ვარგისი ველური ბალახით — ღიმითა და პავალიკით კმაყოფილდებოდნენ. ბალახებს იმარაგებდნენ და უხვად ინახავდნენ ზამთრისთვის. ბერძნები აცხობდნენ ხორბლის პურს ან სიმინდის მჭადს, წარსულში საკვებად გამოიყენებოდა ქერის ან ასლის პურიც (წალკა). აფხაზი ბერძნების ეროვნულ ნა-ციონალურ საკვებს წარმოადგენდა ფაფა — ხალისია.

კულტურა და
გამოჩენილი მოღვაწენი

წარსულში ბერძნების კომპაქტური დასახლებებში არსებობდა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლები. მთელ საბჭოთა კავშირში სახელი გაითქვა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, დირიჟორმა ოდისეი დიმიტრიადიმ და საქართველოში ემიგრირებულმა მომღერალმა ანასტასა ბაკალადიმ.

ლამარა ფაშაევა

თანამედროვე ვითარება

საქართველოში ბერძენ მიგრანტთა პირველი მასიური ჩამოსვლიდან 1990-იან წლებამდე შეინიშნებოდა ბერძნების რაოდენობის განუხრელი ზრდა, რომელიც XIX საუკუნეში, უმთავრესად, ჩამოსახლებების, ხოლო შემდგომ ბუნებრივი მატების ხარჯზე ხორციელდებოდა. ზრდის პროცესი მხოლოდ XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს შემცირდა. 1926 წელს საბჭოთა საქართველოში 54 ათასი ბერძენი ცხოვრობდა (მთელი მოსახლეობის 2.0%), 1937 წელს — 85 ათასი (2.4%), 1959 წელს — 73 ათასი (1.8%), 1970 წელს 89 — ათასი (1.9%), 1979 წელს — 95 ათასი (1.9%).

> 1989 წელს საქართველოში 100 ათასი ბერძენი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 1.9%-ს შეადგენდა. ისინი უმრავლესობას წარმოადგენდნენ წალკის რაიონში — 27 ათასი, რაც რაიონის მოსახლეობის 61.0% იყო. ბერძნების გარდა, რაიონში სომხები (28.5%) და აზერბაიჯანელებიც (5.1%) ცხოვრობდნენ. წალკის რაიონში ქართული მოსახლეობა, ხელახლა რამდენიმე საუკუნის შემდეგ, 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა, როდესაც საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სვანეთსა და აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებების შემდეგ, ეკოლოგიური მიგრანტების ნაწილი რაიონის რამდენიმე სოფელში დასახლდა.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა ბერძნების რაოდენობა. ამჟამად ქვეყნის მასშტაბით 15 ათასამდე ბერძენია, რაც მთელი მოსახლეობის 0.3%-ს შეადგენს.

ქ. თბილისში ამჟამად ცხოვრობს 3 800-მდე ბერძენი, აჭარის ტერიტორიაზე — 2 200, ქვემო ქართლში კი — 7 500-მდე, მათ შორის წალკის რაიონში — 4 600-მდე. მასობრივი ემიგრაციის შედეგად ამჟამად ბერძნები აღარ წარმოადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს წალკის რაიონში. ქვემო ქართლში ბერძენთა კომპაქტური დასახლებებია თეთრიწყაროს, დმანისისა და მარნეულის რაიონებშიც. სამცხე-ჯავახეთში ბერძნები ცხოვრობენ ახალციხისა და ბორჯომის რაიონებში.

1990-იან წლებში დაწყებულ მიგრაციულ პროცესებში ბერძნები, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბერძნეთის მთავრობამ, რომელიც ხელს უწყობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მცხოვრები ბერძნების საბერძნეთში იმიგრაციას. 1992-93 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად აფხაზეთის ბერძნული მოსახლეობა, რომელიც 1989 წელს 14.700

ადამიანს შეადგენდა, საბერძნეთის მთავრობის ხელშეწყობით, თითქმის მთლიანად გადასახლდა საბერძნეთში.

1990-იანი წლების დამდეგს, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ბერძნების ემიგრაციას ხელი შეუწყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად ქვეყანაში გამეფებულმა ნაციონალიზმმაც. უშუალოდ ეთნიკურად ბერძენი მოქალაქეების წინააღმდეგ არ ყოფილა მასობრივი შევიწროების შემთხვევები, მაგრამ ნაციონალისტური ისტერია მათში გაურკვეველი მომავლის შიშს წარმოქმნიდა, რაც საქართველოს ბერძნებს ქვეყნის დატოვებისკენ უბიძგებდა. გამსახურდიას ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ბერძნების ემიგრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი გახდა.

წლების განმავლობაში წალკის რაიონიდან ბერძნების ემიგრაციას რაიონში დანაშაულის მაღალი დონეც განაპირობებდა. ხშირი იყო ბერძნულ ოჯახებზე თავდასხმები, მათ შორის მკვლელობის შემთხვევებიც, ბერძნების კუთვნილი სახლებისა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობის გადაწვის ფაქტები. ბოლო დროს რაიონში მიმდინარე პროცესებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შედეგად, უსაფრთხოების მხრივ, ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდა.

ბერძნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ საბერძნეთსა და კვიპროსს მიაშურა. ისინი დასახლდნენ ათენში, სალონიკში, ნიქოზიაში, ლარნაკაში. შედარებით მცირე რაოდენობით გადასახლდნენ რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ემიგრაციის შედეგად წალკის რაიონი პრაქტიკულად დაიცალა ბერძნებისაგან. რაიონში, ფაქტობრივად, აღარ დარჩა ახალგაზრდა თაობა. ამჟამად წალკის ბერძნული მოსახლეობა, ძირითადად, ხანდაზმული ადამიანებისგან შედგება.

წალკის რაიონში მცხოვრები ბერძნების, ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების კომუნიკაციის ძირითადი ენები რუსული და თურქულია. წალკის რაიონის ბერძნებმა არ იციან ქართული ენა, რადგან სკოლებში, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, დაბალი იყო ქართული ენის სწავლების ხარისხი და მოტივაცია. რაიონებისაგან განსხვავებით, თბილისში და საქართველოს სხვა რაიონებში მცხოვრებმა ბერძნებმა მეტ-ნაკლებად იციან ქართული ენა, თუმცა მათ ძირითად სასაუბრო ენად კვლავ რუსული რჩება.

სახელმწიფო ენის არცოდნის გამო რაიონებში მცხოვრები ბერძნები, ფაქტობრივად, საინფორმაციო იზოლაციაში აღმოჩნდნენ, რაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ სრულფასოვან მონაწილეობას აფერხებს. გარდა ამისა, ახალგაზრდა თაობა რეგიონში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ვითარებას არაპერსპექტიულად მიიჩნევს და ამიტომაც ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენს ქართული ენის შესწავლის მიმართ.

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ბერძნებით დასახლებული წალკის რაიონი სპეციფიკური პრობლემებითა და განსაკუთრებით მძიმე კლიმატური პირობებით გამოირჩევა. 1990-იან წლებში წალკის რაიონში სრულად მოიშალა ინფრასტრუქტურა და თბილისთან დამაკავშირებელი მაგისტრალი. ამ მხრივ,

უახლოეს წლებში მოსალოდნელია ვითარების გაუმჯობესება, ვინაიდან აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული საქართველოს განვითარების ათასწლეულის პროგრამის ფარგლებში, წალკასთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაციაც განხორციელდება.

რაიონის ბერძნული მოსახლეობის მასობრივი უმუშევრობის ფონზე, შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყარო ის ფულადი გზავნილებია, რომელსაც საზღვარგარეთ, ძირითადად, საბერძნეთში ემიგრირებულები ოჯახის წევრებსა თუ ახლო ნათესავებს უგზავნიან. საქართველოში დარჩენილი ბერძნების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ძალისხმევას იჩენს საბერძნეთის მთავრობა და სხვა-დასხვა საერთაშორისო ბერძნული ორგანიზაციები, რომლებიც სისტემატურად ახორციელებენ ჰუმანიტარულ პროგრამებს. უცხოეთის ბერძნების მსოფლიო საბჭოს ეგიდით, 1999 წლიდან საქართველოში გაიხსნა სამი კლინიკა — თბილისში, წალკასა და ციხისჯვარში.

1990-იან წლებში წალკის რაიონის ბერძნული მოსახლეობისათვის განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მათ მიერ მიტოვებული სახლების უსაფრთხოების საკითხმა. ამჟამად მიტოვებული სახლების ნაწილში ემიგრირებულთა ახლო ნათესავები ცხოვ-რობენ, სახლების ნაწილი გაყიდულია, ნაწილი კი უპატრონოდ არის მიტოვებული. მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი სახლების დიდი ნაწილი გაძარცვულია. მიტოვებული სახლების ერთ ნაწილში ეკოლოგიური მიგრანტები ცხოვრობენ — ზოგი სახლის მესაკუთრესთან შეთანხმებით, ზოგი კი — თვითნებურად.

სახლების უკანონოდ დაკავებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემის გამო ხშირია რაიონის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება. გარდა ამისა, ეკოლოგიური მიგრანტების ნაწილი, მაღალმთიანი აჭარიდან ჩამოსახლებული ქართველები, მუსლიმური მრწამსის მომდევარია, ბერძნები და სომხები კი ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლები არიან, რის გამოც მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტები, ეთნიკურის გარდა, რელიგიური დაპირისპირების ელ-ფერსაც იძენს.

საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით 30-იან წლებში განხორციელებული რეპრესიების შემდეგ, საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რეს-პუბლიკებში მოქმედი ბერძნული სკოლები, თეატრები, ტიპოგრაფიები, პედაგოგიური ტექნიკუმები დაიხურა. 40-იან წლებში ამას პონტოელი ბერძნების შავი ზღვისპირეთიდან გადასახლებაც მოჰყვა. ვითარების გაუმჯობესება 80-იან წლებში იწყება. 1983 წლის იანვარში კომკავშირის თბილისის ქალაქკომში ბერძნული სექ-ცია გაიხსნა, რომელიც, ფაქტობრივად, ბერძნული ახალგაზრდული ორგანიზაცია იყო. იმართებოდა კონცერტები ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების «ელადასა» და «სირტაკის» მონაწილეობით. 1986 წელს «პონტოელი ბერძნების შემოქმედების» პირველი ფესტივალიც კი გაიმართა. იმართებოდა სხვა შემოქმედებითი საღამოებიც.

1990-იანი წლებიდან ბერძნებისათვის საკუთარი კულტურის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოდისეი დიმიტრიადის სახელობის ბერძნული კულტურის ცენტრი. ამჟამად ეს ცენტრი საქართველოში საბერძნეთის საელჩოს მიერ შეძენილ შენობაშია განთავსებული. კულტურის ცენტრში ტარდება ბერძნული ენის, საბერძნეთის ისტორიის გაკვეთილები, ფუნქციონირებს ანსამბლი «ელადა».

კულტურული ცენტრისა და სხვა ბერძნული ჯგუფების მონაწილეობით პერიოდულად ეწყობა კონცერტები როგორც თბილისში, ისე ბერძნებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა ადგილებში. აღინიშნება ბერძნებისათვის მნიშვნელოვანი დღესასწაულები, რომელსაც ზეიმობენ საბერძნეთში და სხვა ქვეყნების ბერძნულ დიასპორებში.

თბილისში 1992 წლიდან, პირველად 1937 წლის შემდეგ, გამოდის საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა სათვისტომოების ფედერაციის გაზეთი «ელინიკი დიასპორა», რომელიც საქართველოში მცხოვრები ბერძნების ცხოვრებას ასახავს, ქართულ-ბერძნულ ურთიერთობებს აშუქებს და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბერძნულ დიასპორათა პრობლემებსაც ეხება. გაზეთი თვეში ერთხელ ბერძნულ, რუსულ და ქართულ ენებზე გამოდის და, ძირითადად, ბერძნებით დასახლებულ რაიონებში ვრცელდება.

მამუკა კომახია

ქურთები

ქურთები (თვითწოდება — ქურდი, კურმანჯი), წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, სიარიაში, ერაყში (ამ ტერიტორიას ქურთები ქურთისტანად მოიხსენიებენ), ლიბანში, ავღანეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, თურქმენეთი).

ქურთების ეთნოგენეზში მონაწილეობდნენ ძველი მიდიელი და ირანული ტომები. ქურთული ენა განეკუთვნება ირანული ენების დასავლურ შტოს და გამოიყოფა ორი ძირითადი დიალექტი: კურმანჯი (ჩრდილო-დასავლური) და სორანი (სამხრეთ-აღმოსავლური). ძირითადად სუნიტი მუსლიმები არიან, მცირე ნაწილი — შიიტები, ეზიდები, ალი-ილაჰები და სხვ.

1514 წელს ქურთისტანი გაინაწილა ირანმა და თურქეთმა, ხოლო I მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) შემდეგ გაიყო ოთხ სახელმწიფოთა შორის (თურქეთი, ირანი, ერაყი და სირია).[1] ამ დაყოფამ ქურთი ხალხი ჩაგრული უმცირესობის მდგომარეობაში ჩააყენა.

ლიტერატურაში ქურთისტანი ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ ცნებად არის წარმოდგენილი.

ქურთების საერთო რაოდენობა 10 280 000 ათასია.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 20 843 ქურთი ცხოვრობს (მათ შორის თბილისში — 19.2), რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 0.4%-ს შეადგენს. ქურთების ძირითადი ნაწილი თბილისში, ასევე რუსთავში, ბათუმსა და თელავშია წარმოდგენილი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ქურთების რაოდენობა საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა. 1959 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში 16.2 (ათასი) ქურთი იყო, რაც მთელი მოსახლეობის 0.4%-ს შეადგენდა, 1970 წელს — 20.7 (0.5%), 1979 წელს — 25.7 (0.5%). 1989 წელს საბჭოთა საქართველოში ჩატარებული ბოლო აღწერის მიხედვით კი, ქვეყანაში 33.3 ათასი (0.6%) ქურთი ცხოვრობდა.

ისტორიული ნარკვევი

ცალკეული ქურთული ტომები საქართველოში, კერძოდ, მესხეთში, XVI საუკუნიდან ჩნდებიან. XIX საუკუნის დამდეგს ქურთული მოსახლეობა ციხესიმაგრე ქველის მიდამოებში ბინადრობს.

XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისის გუბერნიაში, რომელშიც ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრები შედიოდა, დაახლოებით 3000 ქურთი ცხოვრობდა. ისინი მისდევდნენ მეცხვარეობას, ყიდდნენ საქონელს, მატყლს, კარაქს, ყველს, მატყლიდან ამზადებდნენ მაუდს, ხალიჩებს, ფარდაგებს, ქეჩას, ხურ-ჯინებს.[2] ნაქალაქევსა და წუნდაში მცხოვრები ქურთები ცხოვრების ბინადარ წესს მისდევდნენ და მიწათმოქმედებას ეწეოდნენ.

ზემოხსენებული ქურთები რწმენით მუსლიმები იყვნენ.

თბილისის გუბერნიის გარდა, მუსლიმი ქურთები (839 ადამიანი) ცხოვრობდნენ, აგრეთვე, აჭარაში, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა.[3]

აჭარის ქურთების მცირე ნაწილი ზაზაზე საუბრობდა. ეს ერთადერთი ქურთი-ზაზანი იყვნენ არამარტო საქართველოში, არამედ იმ დროის მთელ მეფის რუსეთში. 1939 წელს ისინი ბათუმიდან 2 კმ-ში ცხოვრობდნენ, სოფელში, რომელსაც «ქურთების სოფელი ზაზა» ეწოდებოდა და 25 კომლს ითვლიდა.[4]

საქართველოს მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მიხედვით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში 4024 ქურთი ცხოვრობდა. იმავე აღწერის ცნობით, ქურთები, ძირითადად, დეპორტირებულ იქნენ ყირგიზეთსა და ყაზახეთში.

თანამედროვე ქურთების ძირითადი ნაწილი, კონფესიითი ეზიდები, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს მიიღო, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მთავრობისა და მუსლიმი ქურთების ერთი ნაწილის მხრივ, მათი რელიგიურ-პოლიტიკურ ნიადაგზე დევნის გამო.

ქურთისტანის ისტორიულ ტერიტორიაზე ქურთების საზოგადოებრივი წყობილება ამგვარი იყო: ყველაზე მსხვილ ერთეულს ტომი წარმოადგენდა. თითოეული ტომი შედგებოდა ბარებისგან (პატრონიმია), თითოეული ბარი — «მალა მაზინ»-ებისა (დიდი ოჯახი) და მცირე ოჯახებისაგან. «მალა მაზი-ნი» 30-დან 70-მდე ან უფრო მეტ წევრს ითვლიდა, რომელთა ურთიერთობას ქურთების ჩვეულებითი სამართალი აწესრიგებდა.[5]

ქურთების რელიგიური ცენტრები მდებარეობდა და მდებარეობს სინჯარის მთიან მხარეში, მოსულის ჩრდილოეთით (ერაყის ქურთისტანი). სინჯარს სამხრეთით ემიჯნება უდაბნო, ჩრდილოეთიდან კი — ჯეზირეს რაიონი. სინჯარის ქურთ ეზიდებს წარსულში დამოუკიდებელი თვითმმართველობა ქონდათ სასულიერო და საერო პირების მეთაურობით. ეზიდების მთავარი რელიგიური ცენტრი ამჟამადაც აინსიფნია, სადაც მდებარეობს ტაძარი და დაკრძალულია წმინდა შეიხ ადი (ლალი-ში). ეზიდები პატივს მიაგებენ, აგრეთვე, წმინდა შეიხ შამს ბაზრისა და შეიხ მუჰამე-დის საფლავებს.[6]

მრავალი ეზიდი ვანის საფაშალიკოში ცხოვრობდა. იქ მათ თავდაცვის მიზნით, რამდენიმე ციხე-სიმაგრე ააგეს: დერგეზინი, კალე-რაში, ალკალე, კუშკე-შეიხა.[7]

პირველი მსოფლიო ომის წლებში ეზიდებს უმძიმესი განსაცდელი დაატყდათ თავს. ქურთისტანი სამი არმიის — თურქეთის, რუსეთისა და ინგლისის ჯარების საბრძოლო მოქმედების ასპარეზად იქცა. ოთხი წლის განმავლობაში ქურთისტანის ტერიტორიაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლი გამოიწვია და აუნაზღაურებელი მატერიალური ზარალი მიაყენა გადარჩენილ მოსახლეობას. თითოეული მეომარი მხარე ცდილობდა საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა ქურთები და აღმოსავლეთ თურქეთის, დასავლეთ ირანისა და ერაყის სხვა ხალხები, რისთვისაც ერთმანეთს უპირისპირებდა ანდა თავისი მტრების წინააღმდეგ ამხედრებდა მათ, რამაც ახლო აღმოსავლეთის ამ რეგიონში სრული ანარქია გამოიწვია და მოსახლეობას მრავალი უბედურება დაატეხა თავს. ქურთებთან ერთად უზარმაზარი მსხვერპლი გაიღეს სომხებმა და ასურელებმა.

რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების თანახმად, მცირე აზიის აღმოსავლეთში რუსეთის ყველა მონაპოვარი, ომამდელი თუ ომისდროინდელი, თურქეთს გადაეცა. ახლა უკვე თურქეთი უსწორდებოდა მათ, ვინც რუსეთს დაუჭირა მხარი. ეზიდების პოლკი ჯანგირაღას მეთაურობით იცავდა ეზიდებს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა თურქეთის ჯარს. ეზიდებს მუსლიმი ქურთებიც არ ინდობდნენ. მრავალი ეზიდი ეპიდემიებმა იმსხვერპლა. ცოცხლად დარჩენილებმა მთელი ქონება დაკარგეს.

ლტოლვილი ეზიდების ძირითადმა ნაწილმა საქართველოს შეაფარა თავი. 1918 წლის ბოლოს ისინი თბილისში აღმოჩნდნენ. მათი უმრავლესობა აქვე დაბინავდა. მცირე ნაწილი დასახლდა კახეთში, თელავის სიახლოვეს. ზოგი მათგანი თიანეთსა და ალვანში გადავიდა. თიანეთისა და ალვანის ეზიდების უმრავლესობამ ასიმილაცია განიცადა.

საქართველოში გადმოსახლდნენ შემდეგი ტომები და ბარები: რაში, ჩოღრაში, მამრაში, მანდეკი, მანდასორი, კორკიტი, ბარავი, ბალაკარი, ხანი, ანკოსი, მოსაკი, კაშახი, ბაინდური, ქორბალახი, პივაზი, სიპკი, ბოტი, გასანი, როჟეკი.

მანდეკისა და ბარავის ბარების წარმომადგენლები ზაარბრიუკენის (ყოფილი კ. მარქსის) მოედნის მიდამოებში და ყოფილ «პესკებზე» (რიყეზე) დასახლდნენ, ბარი რაშის წარმომადგენლები — რუსთაველისა და მარჯანიშვილის მოედნების მიმდებარე ქუჩებზე, ჩოღრაში — ნინოშვილსა და მის მიმდებარე ქუჩებზე[8], ბალაკარი და მოსაკი — სოლოლაკში, კორკიტი — გრიბოედოვისა და ყოფილი პაპანინის ქუჩებზე, ბანდური და ქაშახი — «ხარფუხში».

ასეთი განსახლების შედეგად თბილისელი ეზიდი-ქურთების სალაპარაკო ენაში გაჩნდა ქუჩების დასახელება ტომისა და ბარის იმ სახელწოდების მიხედვით, რომელსაც ისინი ისტორიულ სამშობლოში ატარებდნენ.

საცხოვრებელი გარემო
და სოციალური დაყოფა

აჭარაში ქურთები ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ორასამდე კომლი ბინადრობდა იაილებზე შავ ტბასა და სარიჩაირის მთებს შორის, შავშეთწამუს გვერდით. მათი რძის პროდუქტები ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. სილამაზით გამორჩეული ქურთი ქალები თავისუფალნი იყვნენ ყოფა-ცხოვრებაში. ქურთი ქალები ქსოვდნენ ხალიჩებს, მაუდს.

სოფლად მცხოვრებ ქურთებს ორი ტიპის სახლი ჰქონდათ ზამთრისა — მიწური ან გუმბათიანი, ნახევრად მიწური და საზაფხულო — კარავი. ქურთების კარვები ორად იყო გაყოფილი: ერთში ცხოვრობდნენ, მეორეში ყველსა და კარაქს ამზადებდნენ. საქონელი ცალკე იყო მოთავსებული.[9] საზამთროდ ქურთები ბარში ჩადიოდნენ და ბათუმის ახლოს, კახაბერში სახლობდნენ.

თბილისში ჩამოსული ქურთი-ეზიდები იმის მიხედვით სახლდებოდნენ, როგორც თავის სამშობლოში ცხოვრობდნენ, ანუ თანასოფლელები ცდილობდნენ ერთად დასახლებულიყვნენ, უფრო მეტიც, ერთი ბარის (პატრონიმიული გაერთიანების) წარმომადგენლები ერთ ქუჩაზე სახლდებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში, იქვე ბინავდებოდნენ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ერისკაცებს ემსახურებოდნენ.

საქართველოში ჩამოსახლებული ქურთი-ეზიდები სასულიერო და საერო პირებად იყოფოდნენ.[10] სასულიერო პირები, თავის მხრივ, შეიხებად და ფირებად განიყოფოდნენ. ქორწინება რელიგიურ ჯგუფებს შორის იკრძალებოდა. ეს წესი, ძირითადად, დღემდე მოქმედებს.

რელიგიური დღესაწაულები

ქურთ ეზიდთა ძირითადი ნაწილი გლეხი იყო, ხოლო საქართველოში გადმოსახლების შემდეგ, ქალაქის მცხოვრებლად იქცა. არაერთი ეზიდური ტრადიცია, მარხვა და დღესასწაული მივიწყებას მიეცა ჯერ კიდევ ამიერკავკასიაში გადმოსახლებამდე, თუმცა უმთავრესი ახსოვდათ და იცავდნენ.

ქურთთა უპირველესი დღესასწაულია «როჟიე ეზიდი», რომელიც ღმერთისადმია მიძღვნილი. ვიდრე სადღესასწაულო რიტუალს შეუდგებიან, სამ დღეს მარხვას იცავენ. მეოთხე დღეს, რომელიც დეკემბრის პირველი კვირის ხუთშაბათ-პარასკევს მოდის, «აიდა ეზიდს» ზეიმობენ. ამ დღესასწაულის მთავარი კომპონენტია მიცვალებულთა წილი საჭმლის გამოტანა. ეს რიტუალი ქურთი ეზიდების ყველა დღესასწაულზე აუცილებლად სრულდება.[11]

«როჟიე ხიდირნაბი ხიდრილისი» სურვილის შემსრულებელთა პატივსაცემი სამდღიანი მარხვაა. დღესასწაულს მათი სახელი ეწოდება და თებერვლის პირველ ხუთშაბათს დგება.

«კლოჩი» აღმოსავლური კალენდრით მარტის პირველ ოთხშაბათს ეწყობა. ყოველ ოჯახში აცხობენ კულიჩს, რომელშიც მძივს ან მონეტას დებენ. მეორე დღეს, ადრე დილით, ოჯახის წევრები თავს იყრიან კულიჩის გარშემო, ოჯახის უფროსი ახსენებს ღმერთს და ჭრის ნამცხვარს. ჯერ შუაში დაუსვამენ კულიჩს დანას — ამას «ხა-ტა ჯოტი», ანუ «გუთნის კვალი» ეწოდება. შემდეგ ერთ ნახევარს ნაწილებად ჭრიან, იგი წმინდანებისა და ანგელოზებისთვისაა განკუთვნილი. ესენი არიან: 1) აფტ მერე დივანე — შვიდი ანგელოზი, 2) ხოდანე მალე — ოჯახის მფარველი, 3) მამე შვან — წვრილფეხა რქოსანი საქონლის მფარველი, 4) გავანე ზარზან — მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მფარველი, 5) ხათუნა ფარხა — ბავშვებისა და ქალების მფარველი, 6) შამსი — ნათელმოსილი ანგელოზი. მეორე ნახევარს ჭრიან მამრობითი სქესის ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად და დიასახლისისთვის. ვისაც მძივი ან მონეტა ერგება, ის ღმერთისგან კურთხეული იქნება. ამ დღესასწაულს მხოლოდ საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის ეზიდები ზეიმობენ.

ამიერკავკასიისა და რუსეთის ეზიდები, სხვა ეზიდებისგან განსხვავებით, აღნიშნავენ აგრეთვე «როჟე მარზალას» — გარდაცვლილთა ხსოვნის დღეს. იგი ივნისის პირველი კვირის ხუთშაბათ დღეს უწევს აღმოსავლური კალენდრით და ზაფხულის ხილის შემოსვლას ემთხვევა. ამ დღეს ეზიდები ნათესავების საფლავებზე გადიან. ამიერკავკასიის ეზიდები, რომლებიც საცხოვრებლად რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გადავიდნენ, ცდილობენ ამ დღეს დაბრუნდნენ და ახლობლების საფლავები მოინახულონ.

ბოლო წლებში საქართველოში მცხოვრები ქურთი-ეზიდები ცდილობენ აღადგინონ დავიწყებული რელიგიური დღესასწაულები. ასე, მაგალითად, საქართველოსა და სომხეთში მცხოვრებმა ქურთებმა აღნიშნეს რელიგიური დღესასწაული — «ჩარშამა სორი» (წითელი ოთხშაბათი). ეზიდთა რწმენით, აპრილისთვის მიწა მოხნული და გამზადებული უნდა იყოს დასათესად. ახალგაზრდები გადიან მინდორში, კრეფენ აპრილის წითელ ყვავილებსა და კონებად კიდებენ შესასვლელი კარის თავზე. დილით ყველა სახლი ლამაზადაა მორთული, დიასახლისს კი სუფრაზე გამოაქვს წითლად, ყვითლად და მწვანედ შეღებილი კვერცხები, რომლებიც სიცოცხლისა და სამყაროს მრავალფეროვნების სიმბოლოა. ამავე დღეს გლეხები გადიან მინდორში და ნათესებში მიმოაბნევენ კვერცხის სხვადასხვაფერ ნაჭუჭს, რათა წლის მოსავალი უხვი იყოს.[12]

განათლება და კულტურა

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ საქართველოსა და სომხეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო ზომები წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კომიტეტების, მუშფაკის ინტერნატისა და მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების ჩამოყალი-

ბების შედეგად შეიქმნა განათლებისა და კულტურის კერათა ქსელი: თბილისში გაიხსნა კლუბი, რომლის სცენაზე წარმოდგენილ პიესებში დაგმობილი იყო ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილი წარსულის დრომოჭმული, მავნე გადმონაშთები: სისხლის აღება, 13-14 წლის გოგონების გათხოვება ურვადის აღებით (ხშირად მცირეწლოვან გოგონებს ხანშიშესულ მამაკაცებს მიათხოვებდნენ ხოლმე, გოგონებს უკრძალავდნენ სკოლაში სიარულს). კლუბთან არსებობდა ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, მუშაობდა სამკითხველო დარბაზი. მთელ ამიერკავკასიაში იყო ცნობილი შესანიშნავი მუსიკოსი და მომღერალი, მრავალი სიმღერის ავტორი, თბილისელი შაროე ბრო. მისი სიმღერები დღემდე პოპულარობით სარგებლობენ არამარტო ამიერკავკასიასა და რუსეთში, არამედ ქურთისტანში და დასავლეთ ევროპაშიც. 1936 წელს თბილისში გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა და ერთი შვიდწლედი. დირექცია და პედკოლექტივი, ძირითადად, ეთნიკური ქურთებით იყო დაკომპლექტებული.

თბილისში, პლეხანოვის (ამჟამად დავით აღმაშენებლის) პროსპექტზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის საზაფხულო ბაღში, შეკრიბეს ქურთი ქალების ჯგუფი, რომელთაც ჭრა-კერვას ასწავლიდნენ. ტურგენევის ქუჩის კუთხეში გაიხსნა ქურთული საბავშვო ბაღი.

ორმოცდაათიანი წლების დამდეგიდან თბილისში კვლავ აღორძინდა ქურთული კულტურული კერები. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიხსნა ქურთული ენის შემსწავლელი და ხალხური ზეპირსიტყვიერების შემკრები წრე. მას პედაგოგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, «ღირსების ორდენის» კავალერი აზიზე ისკო სლოევი ხელმძღვანელობდა.

1961 წელს თბილისის 70-ე საშუალო სკოლასთან დაკომპლექტდა «ქურთული სექტორი». მეორედან მეოთხე კლასის ჩათვლით, ბავშვები წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ. სექტორმა 16 წელი იარსება. მისი დაარსების ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს დამსა--ხურებული პედაგოგი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ბაღჩოე ისკო სლოევი. ქალაქის რაიონულ საბჭოებთან გახსნილი იყო «სახალხო უნივერსიტეტები», რომლებიც ქურთ მოსახლეობას შორის იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა.

ჩამოყალიბდა ხალხური ცეკვის ჯგუფები, შემდეგ — სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ბოლო წლებში ცეკვის ანსამბლს ზეკოე ქლერი ხელმძღვანელობდა.

საქართველოს მწერალთა კავშირთან შეიქმნა ქურთ მწერალთა ჯგუფი. გამოდიოდა როგორც მშობლიურ ენაზე, ასევე ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნილი ქურთ მწერალთა ნაწარმოებები. ქურთულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელთა შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი გლან ონანიანმა. ქურთი მწერლების ჯგუფს სათავეში ედგა ბახჩოე ისკო.

სამოციანი წლების დამდეგს თბილისში ქურთებმა ბინები მიიღეს და სარდაფებიდან გამოვიდნენ.[13]

50-60-იან წლებში ქურთი ახალგაზრდები მასობრივად ჩაებნენ სპორტში. ბევრმა მათგანმა წარმატებას მიაღწია. მათ შორის იყვნენ შესანიშნავი მოჭიდავეები,

მოკრივეები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, აკრობატები, ტანმოვარჯიშეები.[14] საბჭოთა კავშირში გაითქვა სახელი მოკრივემ ალიხან ჩოხერაშიმ. იგი ხშირად გამოდიოდა საზღვარგარეთ გამართულ ტურნირებში.

1975 წელს თბილისისა და ბათუმის უმაღლეს სასწავლებლებში ორ ათეულზე მეტი ქურთი სტუდენტი სწალობდა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ ასს გადააჭარბა. მომზადდნენ ქურთი იურისტები, პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები, არქიტექტორები, მხატვრები, მსახიობები და მუსიკოსები. ერთ-ერთი პირველი, ვინც თბილისის კონსერვატორიაში მიიღო განათლება, იყო დოდო მირანგი. საბჭოთა კავშირის არც ერთ მხარეში, სადაც ქურთები ცხოვრობდნენ, არ ყოფილა იმდენი მხატვარი, რამდენიც საქართველოში. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილნი იყვნენ ბასე ჯაფაროვა, მრაზ დაუდი, ანტონ მირზოევი, ლიოვა უტეი და სხვ. ერთ-ერთი პირველნი შევიდნენ თბილისის საბალეტო სკოლაში და-ძმა აჯამოვები. ამჟამად ისინი პეტერბურგში ოპერისა და ბალეტის თეატრში ცეკვავენ. საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კარი ქურთთაგან პირველმა ზინა ტალოევამ შეაღო.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე თბილისის ქურთებით დასახლებული რაიონების სკოლებში, მეორედან მეოთხე კლასის ჩათვლით, ქურთულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდნენ.

1978 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს საქტელერადიოს ქურ-თული რადიოგადაცემების რედაქციამ, რომელიც სამი კაცისაგან შედგებოდა. მათ მიერ მომ-ზადებული გადაცემა ეთერში კვირაში ერთხელ თხუთმეტი წუთის განმავლობაში გადიოდა. ქურთული რადიოს სათავეებთან იდგა ქერიმ ანყოსი.

საქართველოს ქურთი მოსახლეობის ცხოვრებაში დიდ მოვლენად იქცა ქურთული თეატრის დაარსება (საზეიმოდ გაიხსნა 1979 წ.), რომელმაც ოც წელიწადს იარსება. მისი სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს. თეატრის შექმნაში მონაწილეობა მი-იღეს ზ. ტალოევამ და ლიოვა უტეიმ (ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს). თეატრის რეპერტუარში შედიოდა თხუთმეტზე მეტი სპექტაკლი — ქართველი, სომეხი, ოსი და რუსი ავტორების მიხედვით თარგმნილი პიესების მიხედვით. მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი იყო ქურთი დრამატურგის ა. ბოიკის პიესის — «სინჯო ქალიშვილს ათ-ხოვებს» — მიხედვით დადგმული პირველი სპექტაკლი. ეს წარმოდგენა თეატრის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მაყურებელთა უცვლელი წარმატებით სარგებ-ლობდა. თეატრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 9 აპრილთან დაკავშირებულ მოვლენებში, კერძოდ, ამ ტრაგედიას საგანგებო დადგმა მიეძღვნა, რომელსაც მრავალი ქართველი დაესწრო.

1981 წლის 13-15 მარტს პირველად საბჭოთა კავშირში საქართველოში ჩატარდა ქურთული კულტურის დღეები. ჩამოვიდა უამრავი სტუმარი სომხეთიდან, ყაზახე-თიდან, აზერბაიჯანიდან, შუა აზიიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საქართველოში არაერთმა ქურთმა მეცნიერმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებაში მუშაობის პერიოდში, ამ სტატიის ავტორმა გამოაქვეყნა ნაშრომები საქართველოში მცხოვრები ქურთების საქორწინო წეს-ჩვეულებების, ბავშვის დაბადებისა და აღზრდის (დ. ფირბარისთან თანაავტორობით), ხალხური მკურნალობის მეთოდების, ქურთთა სამგლოვიარო ტრადიციების შესახებ.[15]

ლამარა ფაშაევა

თანამედროვე ვითარება

1990-იან წლებში ქურთების რაოდენობის შემცირება საქართველოდან მათი ემიგრაციით იყო განპირობებული. ემიგრაციის ძირითადი ფაქტორი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და რეგიონში გამეფებული ნაციონალისტური განწყობილებების გაძლიერება იყო. ქურთული მოსახლეობა ემიგრაციაში, ძირითადად, რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წავიდა, სადაც ძლიერი ქურთული დიასპორებია.

ქურთული მოსახლეობის ემიგრაციამ და მათ წინაშე არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა საქართველოში მცხოვრები ქურთების რელიგია — ეზიდიზმი, რომელიც მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს, სერიოზული სირთულეების წინაშე დააყენა. ეზიდური რელიგიის საფუძვლების ელემენტარული ცოდნის გარეშე ეზიდი ქურთების ნაწილი სხვა კონფესიის მიმდევარი გახდა.

ქურთებისათვის ეზიდური რელიგიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ საკითხის ირგვლივ შექმნილი გარემოებითაც არის განპირობებული. საქართველოს ქურთულ მოსახლეობასა და ინტელიგენციაში დღემდე არ არის საერთო აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიხსენიონ საქართველოში მცხოვრები ქურთები, ანუ ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთები, ქურთებად თუ ეზიდებად.

ტერმინი ეზიდი დიდ ქურთულ ეთნიკურ ჯგუფში სუბეთნოსის აღმნიშვნელი ისტორიული პროცესების შედეგად გახდა. ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ქურთი ერი მხოლოდ ისლამის მიმდევარ ქურთ მოსახლეობასთან ასოცირდება და მათდამი ნეგატიური დამოკიდებულება დღემდე შენარჩუნებულია. ეზიდი ქურთების ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილია ოსმალთა იმპერიაში მუსლიმების, მათ შორის მუსლიმი ქურთების მიერ რელიგიის ნიადაგზე ეზიდი ქურთების დევნის მასობრივი შემთხვევები. მუსლიმი ქურთების რეპრესიულმა პოლიტიკამ სამხრეთ კავკასიაში დევნილი ეზიდი ქურთების ქურთული ეთნიკური ჯგუფისაგან გაუცხოება გამოიწვია და მათ განსხვავებული ეთნიკური თვითშეგნება ჩამოუყალიბა, რაშიც გადამწყვეტი როლი ეზიდურმა რელიგიამ შეასრულა. შედეგად ქურთულ ეთნიკურ ჯგუფში გაჩნდა ქურთული ეთნოსის შემადგენელი, მაგრამ განსხვავებული რელიგიური ტრადიციის მიმდევარი ადა-

მიანთა ჯგუფი, რომელიც საკუთარ ეთნიკურობას რელიგიური ფაქტორით განსაზღვრავდა. აღნიშნული პროცესების შედეგად, ეზიდი რელიგიური კუთვნილების გარდა, ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინიც გახდა.

ქურთების ეთნიკური ჯგუფის ორ ნაწილად, ქურთებად და ეზიდებად დაყოფა, გასულ წლებში ოფიციალურად დაფიქსირდა საქართველოსა და სომხეთში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ საბოლოო მასალებში. აღწერის შედეგებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე არიან მოხსენიებულნი ეზიდები (ანუ ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთები) და ქურთები, როგორც ორი დამოუკიდებული ეთნიკური ჯგუფი. საქართველოში 1939 წლის აღწერის შემდეგ ეზიდი ქურთები აღირიცხებოდნენ ქურთებთან ერთად. თუმცა, 2002 წლის აღწერის დროს ისინი ცალკე გამოიყვნენ ეზიდთა ტრადიციების ცენტრის «რაზიბუნ»-ის მოთხოვნით. ამის გამო, საბოლოო მონაცემების შედგენისას, ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების გრაფაში ეზიდები ეზიდებად ჩაწერეს (18 329), ხოლო არაეზიდი ქურთები, — ქურთებად (2 514). მსგავსი ვითარებაა სომხეთშიც. უკანასკნელი აღწერის შედეგების მიხედვით, სომხეთში მცხოვრები ქურთები ორ ნაწილად არიან გაყოფილნი: ცალკე ეთნიკურ ჯგუფადაა მოხსენიებული ეზიდები და ქურთები.

1990-იანი წლებიდან საქართველოში მცხოვრები ეზიდი ქურთები საკუთარ თავს უფრო ქურთებად მოიხსენიებენ, რაც უკანასკნელ პერიოდში ქურთული საკითხის გლობალიზაციის შედეგი უნდა იყოს. ბოლო წლებში საქართველოში მოღვაწე ქურთულ ორგანიზაციებსა თუ საზოგადო მოღვაწეებს შორის მიღწეულ იქნა გარკვეული კონსენსუსი და არჩეულია შუალედური ტერმინი ქურთი-ეზიდი, მაგრამ ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარებულად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება. ამ საკითხზე ერთიანი აზრის არარსებობას ადასტურებს საქართველოში მოღვაწე ქურთული ორგანიზაციებიც, რომელთა დასახელებაში საქართველოში მცხოვრები ქურთების სახელის განსხვავებული ინტერპრეტაციაა მოცემული.

საქართველოში ქურთების ინტერესების დამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციები 1990-ანი წლებიდან იქმნება. პირველი ქურთული ორგანიზაცია «რონაი» საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში, ჯერ კიდევ 1988 წელს შეიქმნა. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეროვნული გამოღვიძების პროცესი შეინიშნება და მთელი ქვეყნის მასშტაბით ეთნიკური ნიშნით სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები იქმნება. ორგანიზაციას შემდგომში «საქართველოს ქურთ მოქალაქეთა საზოგადოება», 1998 წელს კი, «საქართველოს ეზიდთა კავშირი» ეწოდა.

საქართველოში ასევე მოღვაწეობს საქართველოს ეზიდთა ახალგაზრდული კავშირი და ქურთ-ეზიდთა ეროვნული კონგრესი, გიორგი შამოევის სახელობის ქურთების უფლებებისა და რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ფონდი, საქართველოს ქურთ-ეზიდ ქალთა დამოუკიდებელი ლიგა, საქართველოს ქურთი ინტელიგენციის კავშირი, ეზიდური რელიგიის ცენტრი, ეზიდთა ტრადიციების დაცვის ცენტრი «რაზიბუნი». გარდა ამისა, არსებობს სხვა ორგანიზაციებიც, რომლებიც ფაქტობრივად ენთუზიაზმისა და არარეგულარული კერძო შემოწირულობების ხარჯზე მუშაობენ.

საქართველოში მცხოვრები ქურთები საუბრობენ ქურთული ენის ჩრდილო-დასავლურ დიალექტზე კურმანჯიზე, რომელიც ირანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მცირე პერიოდი ქურთებით კომპაქტურად დასახლებულ თბილისის რაიონების ოთხ სკოლაში ფაკულტატურ დონეზე მიმდინარეობდა ქურთული ენის სწავლება. თუმცა სწავლება უფრო ფიქტიურ ხასიათს ატარებდა. ამჟამად ქურთულ ოჯახებს ბავშვები შეჰყავთ, როგორც რუსულენოვან, ისე ქართულენოვან სკოლებში. ისინი, ვინც რუსეთში წასვლაზე არიან ორიენტირებულნი, ძირითადად, რუსულენოვან სკოლებში შედიან, საქართველოში დარჩენაზე ორიენტირებულნი კი — ქართულენოვან სკოლებში.

მშობლიური ენის შესწავლა დღეისათვის მხოლოდ ოჯახებშია შესაძლებელი. ახალგაზრდა თაობის გარკვეულმა ნაწილმა მხოლოდ სალაპარაკო ქურთული იცის, რაც გამოწვეულია, როგორც საქართველოში ქურთულ ენაზე ლიტერატურის სიმწირით, ასევე ქურთული ენის სპეციალისტების ნაკლებობით. სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობაში ქურთები უფრო რუსული ან ქართული ენით სარგებლობენ. ბოლო წლებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, მნიშვნელოვანდ გაუმჯობესდა ქართული ენის ცოდნის ხარისხი, რის შედეგადაც ქართულმა ენამ ქართველებთან კომუნიკაციაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

საქართველოში მცხოვრები ქურთების აბსოლუტური უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომი და გასაგებია ქართულენოვანი მედია. თანამედროვე ტექნიკური საშუალებების პირობებში, საქართველოს ქურთული მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია ქურთულენოვანი რადიოები და ტელევიზიები, რომლებიც ირანისა და ერაყის ქურთისტანში და დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მაუწყებლობენ. ამ მედიასაშუალებებიდან საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს “RojTV”, “Mezopotamia” და “Kurdistan”, რადგან აღნიშნულ ტელევიზიებზე გასული გადაცემების უმრავლესობა კურმანჯის დიალექტზეა.

ბეჭდვითი მედიიდან აღსანიშნავია საქართველოში გამომავალი პირველი ქურთულენოვანი გაზეთი «გლავეჟი», რომელიც ფინანსური პრობლემების გამო აღარ გამოიცემა. ქურთული ორგანიზაციების მიერ გამოცემული გაზეთების უმრავლესობა 2003 წელს რუსულენოვანი იყო. აღნიშნული გაზეთები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიერ საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ფინანსდებოდა. გაზეთები ქურთული საკითხების გარდა, ადგილობრივ პოლიტიკურ ვითარებასაც აშუქებდა და, პირდაპირ თუ ირიბად, საქართველოში მცხოვრებ ქურთებს გაზეთის სპონსორი პოლიტიკური ჯგუფის მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა.

2003 წლის ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ ყველა ამ გაზეთს ფინანსური პრობლემა შეექმნა, რადგან მათი სპონსორი პოლიტიკური პარტიებიდან ორმა არსებობა შეწყვიტა, ერთმა კი არჩევნებში სუსტი შედეგი აჩვენა.

ქურთების კულტურული ცხოვრება 1990 წლებიდან სერიოზულ კრიზისს განიცდის. ამის მიზეზი ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და მწირი დაფინანსებაა. ქურთულმა სახალხო თეატრმა ფინანსური პრობლემების გამო

მუშაობა შეწყვიტა. ფინანსური პრობლემების გამო ნელ-ნელა გაუქმდა სხვა ქურთული კულტურული დაწესებულებებიც. დღეისათვის ეროვნული თუ რელიგიური დღესასწაულები, ძირითადად, კერძო შემოწირულობების ხარჯზე აღინიშნება. თუმცა, 2007 წელს, რამდენიმე მნიშვნელოვანი და იმედისმომცემი ფაქტი მოხდა: საზოგადოებრივმა მაუწყებლმა აღადგინა ქურთულენოვანი რადიოგადაცემა. საქართველოს ქურთი ინტელიგენციის კავშირმა და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა გამოსცა დიმიტრი ფირბარის, ლამარა ფაშაევასა და ელდარ ნადირაძის წიგნი «ქურთული მატერიალური კულტურის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმებიდან», ხოლო კავკასიურმა სახლმა ქურთულ ენაზე გამოსცა შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი» (“werigire poste piling”). თარგმანი ეკუთვნის ჯადროე ასადს (არტო ოზმანიანი). რუსთაველის პოემის ქურთულ ენაზე თარგმნას ჯარდოე ასადმა 25 წელი მოანდომა. მის წიგნად გამოცემას, სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო (1929-1993). თარგმანი კურმანჯის დიალექტზეა შესრულებული.

მამუკა კომახია

ავარიელები და სხვა დაღესტნელი ხალხები

დაღესტანი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და მისი სახელწოდება თურქულ-ირანული სიტყვებისაგან შედგება: «დაღ» თურქულად მთას ნიშნავს, ხოლო «ესთან» გეოგრაფიული დასახელების ირანული მაწარმოებელია. ეს სახელწოდება XIV საუკუნეში ჩნდება და საბოლოოდ მკვიდრდება XVI საუკუნიდან. ასე რომ, დაღესტანი რეალურად ამართლებს თავის სახელწოდებას — იგი «მთების ქვეყანაა». ეს პატარა ქვეყანა დიდი ეთნიკური და ენობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

დაღესტნის მოსახლეობა 2002 წლის აღწერის მონაცემებით, 2 576 ათას ადამიანს შეადგენს; ისინი, ძირითადად, კავკასიურ, თურქულენოვან და ირანულენოვან ხალხებს მიეკუთვნებიან. დაღესტნურ ენებში სამი უმთავრესი ჯგუფი გამოიყოფა: ავარიულ-ანდიურ-დიდოური, ლაკურ-დარგოული და ლეზგიური. სულ ცნობილია 26 დაღესტნური ენა. დაღესტნური ენები იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიუკუთ-ვნება.

დაღესტნურ ენაზე მოლაპარაკეთაგან ხუთ ძირითად ხალხს გამოყოფენ: ავარიელებს, დარგოელებს, ლეზგებს, ლაკებსა და თაბასარანელებს. თითოეული დასახელებული ხალხის ირგვლივ კონცეტრირებულია შედარებით მცირე ეთნიკური ჯგუფები, რომ-ლებიც ენით, კულტურითა და ყოფით შედარებით ახლოს დგანან ერთმანეთთან. გარდა ამისა, ცალკე განიხილავენ რუთულებს, აღულებსა და წახებს, რომელთა ენა, ისევე როგორც თაბასარანელებისა, ლეზგიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.

დარგოელებს (356 ათასი) მიეკუთვნებიან საკუთრივ დარგოელები, ხაიდაყელები და კუბაჩელები. დარგოელების ტრადიციული დასახლების ადგილი შუა დაღესტნის მთისა და მთისწინა რაიონებია, ზღვისპირეთის ზოლსა და მდინარე ღაზიყუმუხის აუზს შორის. ისინი ავარიელების შემდეგ დაღესტანში სიდიდით მეორე ეთნიკური ჯგუფია.

ლეზგებს (262 500) მიეკუთვნებიან თვითონ ლეზგები, თაბასარანელები, აღულები, რუთულელები, წახები. ლეზგების ძირითადი საცხოვრებელი ადგილი დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონია. ლეზგიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ჯგუფს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხები: უდიები, ბუდუხები, კრიწები და ხინალუღები. უდიები ცხოვრობენ საქართველოშიც, ყვარლის რაიონის სოფ. ზინობიანში.

ლაკები (120 ათასი) ცხოვრობენ მთიანი დაღესტნის ცენტრალურ ნაწილში, თაბასარანელები (98 ათასი) კი — დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აღულები (16 500), რუთულები (17 800) და წახები (6 600) ცხოვრობენ დაღესტნის სამხრეთში. რუთულებისა და წახების ნაწილი ცხოვრობს აზერბაიჯანშიც: ზაქათალის, კახისა და ბელაქნის რაიონებში.

შუა საუკუნეებში დაღესტნის ტერიტორია და მოსახლეობა მეზობელ ხალხთა მიერ, მიუხედავად ეთნიკური მრავალფეროვნებისა, ხშირად ერთიან წარმონაქმნად აღიქმებოდა. მაგალითად, ქართველებმა განაზოგადეს ერთ-ერთი დაღესტნური ტომის სახელწოდება და მთელ დაღესტანს «ლეკეთს» უწოდებდნენ, დაღესტანში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს კი «ლეკებს». ეს სახელი დღესაც გამოიყენება დაღესტანში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების აღმნიშვნელ ტერმინად.

დაღესტანში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებიდან საქართველოში, ძირითადად, ცხოვრობენ ავარიელები, ლაკები, ლეზგები. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი ავარიელები (თვითწოდება — მაარულალ), იგივე ხუნძები არიან, რომლებიც კომპაქტურად სახლობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ისინი ანწუხისა და კაპუჭის თავისუფალ მეთემეთა შთამომავალნი არიან). ავარულ-ანდიურ-დიდოურ ენებზე მოლაპარაკე ეს ეთნიკური ჯგუფი დაღესტნის ხალხებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია (650 ათასი). ის ავარელების სახელით ძირითადად რუსულ ლიტერატურაში არის ცნობილი, ქართულ ისტორიულ წყაროებში კი ამ ტომებით დასახლებული ქვეყანა ხუნძეთად მოიხსენიება, თუმცა ტერმინი — ავარელები — ქართულ საისტორიო ლიტერატურაშიც გვხვდება.

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ავარიელების ნაწილი მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლდა ბარში, ყიზლარის, ხასავიურთისა და ყიზილიურთის რაიონებში. დაღესტნის გარდა, ავარიელები ცხოვრობენ აზერბაიჯანში — ზაქათალასა და ბელაქნის რაიონებში. მათი ახლო მონათესავეები არიან: ანდიელები, ახვახელები, ბოთლიხელები, ღოდობერიელები, ტინდიელები, კარატალები, ჭამალელები, ბაგვალები (ანდიური ქვეჯგუფი), დიდოელები ანუ ცეზები, ბეჟიტელები, ხვარშიელები, ჰინუხელები, ჰუნზიბელები (დიდოური ქვეჯგუფი).

ისტორიული ნარკვევი

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 1996 ავარიელი ცხოვრობს (1989 წელს — 4230 ცხოვრობდა), 210 ლაკი (1989 წელს — 426), 44 ლეზგი (1989 წელს — 720). მათგან მხოლოდ ავარიელები არიან კომპაქტურად დასახლებულნი. ავარიელების აბსოლუტური უმრავლესობა ყვარლის რაიონის სოფლებში — თივში, ჩანთლისყურეში, სარუსოსა და თხილისწყაროში ცხოვრობს.

საქართველოსა და დაღესტნელ ხალხებს შორის ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ქართლის მეფე ფარნავაზი დაღესტნელ ხალხებთან ერთად იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი დაღესტანში ქართველი მისიონერები გამოჩნდნენ. ქართველების მიერ

ქრისტიანობის გავრცელების მცდელობად უნდა მივიჩნიოთ X-XI საუკუნეებში აშენებული ქრისტიანული ეკლესია სოფ. დათუნში, ავარიის ყოისუს ხეობაში. ეკლესიას იმ პერიოდის ქართულ ხუროთმოძღვრებასთან აქვს კავშირი. დაღესტანში აღმოჩენილია, აგრეთვე, ქვის ჯვრები ორენოვანი წარწერებით. ქრისტიანობის გავრცელება დაღესტანში სავარაუდოდ, XIV საუკუნეში, თემურ-ლენგის ლაშქრობების დროს, შეწყდა, როდესაც დაღესტნის ისლამიზაცია დასრულდა.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოსა და დაღესტანს შორის ურთიერთობები გართულდა. შედარებითი მშვიდობა კახეთის მეფის ლევანის პერიოდში (1520-1574) შეიმჩნეოდა, რომელმაც «მოიყვანა და დასხნა ლეკნი» ფიფინეთში ანუ ჭარში. მათი მოვალეობა ზაფხულობით მთებიდან ყინულის ჩამოტანა იყო. ეს მიწები 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა ჭარელ ლეკებს. ამით მათ გავაზის წყლამდე ვრცელი ტერიტორიები დაეთმოთ.

XVII საუკუნიდან იმდენად გახშირდა თავდასხმები საქართველოს ტერიტორიაზე დაღესტნის მხრიდან, რომ ამ მოვლენამ საქართველოში თავისი სახელიც კი შეიძინა — «ლეკიანობა». დაღესტანიდან საქართველოში განხორციელებულ სამხედრო ექსპედიციებს დაღესტნელი ფეოდალები ხელმძღვანელობდნენ. ერთ-ერთი ასეთი მოლაშქრე კოხტა ბელადი იყო, რომელმაც 1757 და 1759 წლებში ილაშქრა საქართველოში. დარბევისა და გაძარცვის მიზნით მოწყობილმა ამ ლაშქრობებმა დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

დაღესტნელი ხალხები, კერძოდ კი ავარიელები, საქართველოში დასახლებას ქვეყნის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ იწყებენ. მათი ნაწილი სოფ. თივში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოსახლდა, ნაწილი კი — უფრო მოგვიანებით, 1957 წელს. XX საუკუნის 30-40-იან წლებში ავარიელებს კახეთის სამი სოფელი ეჭირათ: თივი, თებელჯოხი (1944 წელს ავარიელების ჩეჩნეთში გადასახლების შემდეგ ეს სოფელი აღარ არსებობს, მისი მიწები შეუერთეს სოფ. ჭიკაანს) და ხაშალხუტი (დღეს სოფ. მთისძირი). თივსა და თებელჯოხში მხოლოდ ანწუხელები ცხოვრობდნენ, ხაშალხუტში — კაპუჭელები.

1944 წელს, ვაინახების შუა აზიაში დეპორტაციის შემდეგ, მათ ადგილას, სხვებთან ერთად, საქართველოდან აყრილი ლეკებიც ჩაასახლეს (633 ოჯახი). ჩეჩნების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი დაღესტნელებმა თვითნებურად მიატოვეს ახალი საცხოვრებელი ადგილი და კახეთში დაბრუნდნენ. ავარიელები ჯერ ქართულ სოფლებში დაფანტეს, შემდეგ, მათი კატეგორიული მოთხოვნით (რასაც თავიანთი რელიგიური მიკუთვნილობით ხსნიდნენ), ცალკე დაასახლეს და ასე გაჩნდა ავარიელთა სოფლები: თივი, სარუსო, თხილისწყარო და ჩანთლისყურე. ოთხივე სოფელი ყვარელ-ლაგოდეხის გზაზე მდებარეობს.

1990-ანი წლების დამდეგს ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენების შედეგად ავარიელების ერთმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და სახლების გაყიდვა დაიწყო. იმ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან სახლების შესყიდვაზე დაიხარჯა 4372 ათასი მანეთი და მაშინდელმა პრეფექტმა მათში ადგილობრივი, ძირითადად მრავალშვილიანი ოჯახები შეასახლა. ავარიელთა დარჩენილი ოჯახებიც გამოთქვამდნენ დაღესტანში დაბრუნების სურვილს და თავი-

ანთი სახლების დაჩქარებულ შესყიდვას მოითხოვდნენ. 1991 წელს ავარიელების დაღესტანში ორგანიზებულად გადასახლების საკითხთა მოსაგვარებლად ჩამოსული იყო დელეგაცია, შეიქმნა სამთავრობო კომისიაც. რუსეთის ფე-დერაციაში ბორის ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში იყო მცდელობა იმისა, რომ საქართველოს მთიანეთსა და დაღესტანში მცხოვრები ავარიელების გამყოფი სახელმწიფო საზღვარი გამჭვირვალე გაეხადათ, რათა ავარიელებს ისტორიულ სამშობლოში მიმოსვლა გაადვილებოდათ. იმ დროს საზღვარზე გადასვლა განსაკუთრებულ სირთულეებთან არ იყო დაკავშირებული და ავარიელებიც ხშირად კვეთდნენ სახელმწიფო საზღვარს თავისი ახლობლებისა თუ წმინდა ადგილების მოსანახულებლად.

1990-იანი წლების შემდეგ შექმნილ ახალ ვითარებასთან ადაპტაციის პრობლემა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისგან სრული იზოლაცია, ავარიელებს ისტორიულ სამშობლოში გადასახლებისკენ უბიძგებს, რაც უახლოეს წლებში საქართველოში მათი რაოდენობის კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს.

მამუკა კომახია

საცხოვრებელი გარემო

კახეთის დაღესტნურ სოფლებს, რომლებიც ტიპური კახური სოფლებისაგან არ განსხვავდებიან, ერთმანეთისაგან ხევები ჰყოფთ. დაგეგმარება გზისპირულია. მთავარი გზატკეცილიდან სოფლებში შემავალ ცენტრალურ ქუჩას პარალელური და ერთმანეთში გამავალი მცირე ქუჩები უერთდება. დასახლება წარმოდგენილია ქუჩის ორივე მხარეს განლაგებული კარმიდამოებით, სადაც საცხოვრებელი და მცირე ზომის სამეურნეო ნაგებობები (ბაკი, სასიმინდე, გომური და სხვ.) ერთმანეთს უკავშირდება. წინათ სამეურნეო ნაგებობები სოფლის ბოლოს, უშუალოდ სამეურნეო ზონაში იყო, მაგრამ სოფლების დღევანდელი სახით ფორმირების შემდეგ, ისინი საკარმიდამო ტერიტორიაზე გადმოიტანეს. სოფელი უბნებად არის დაყოფილი. ყველა სოფლის ცენტრში რომელიმე ადმინისტრაციულ დაწესებულებასთან არის მოედანი, რომელიც სოფლის საერთო «გოდეკანად» (საკრებულოდ) ითვლება. წინათ ყველა უბანს თავისი გოდეკანი ჰქონდა, დღეს ეს პრონციპი მოშლილია და გოდეკანსაც თავისი პირვანდელი სახე და ფუნქციები დაკარგული აქვს. ლეკურ დასახლებათა მცირე ერთეულს წარმოადგენს «ყაე» — სოფლის შემადგენელი უბანი, რომელიც პოლიგენური ხასიათისაა, ანუ რამდენიმე გვარით არის წარმოდგენილი. მოსახლეობის მატების შედეგად სოფელიც გაიზარდა და ახალი პოლიგენური უბნები გაჩნდა, თავდაპირველი უჯრედი კი გაზრდილი სოფლის შემადგენელ ნაწილად იქცა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაღესტანში დიდი ოჯახები მხოლოდ გადმონაშთის სახით არსებობდა, იქ, უმთავრესად, ინდივიდუალური ოჯახები იყო. კახეთში ჩამოსახლებული ინდივიდუალური ოჯახების მოთხოვნილებებს კი სრულიად აკმაყოფილებდა აქ გავრცელებული მიწურ-ბანიანი სახლები. თავდაპირველად ავარიელები მიწურებში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი მათ საცხოვრებელი ნაგებობების სხვა-

დასხვა მასალით შენება დაიწყეს. გვხვდება წნული, ფიცრული და ქვითკირის სახლები. წნული სახლი ამავე ტიპის ქართული სახლებისაგან არაფრით განსხვავდება. ავარიელთა სოფლებში ქვითკირის სახლებმა განვითარების იგივე გზა განვლეს, რაც ანალოგიურმა სახლებმა საქართველოში. მშენებლები, ძირითადად, კახელი ქვისმთლელები და ხუროები იყვნენ. უფრო მოგვიანებით გავრცელდა ორ-სართულიანი სახლი შემინული ან ღია რკინის მოაჯირიანი აივნით (ვერანდით), თუნუქის სახურავით და მარმარილოს კიბით. სახურავი და აივანი უმეტესად დეკორირებულია. ქვედა სართულს წინათ სამეურნეო დანიშნულებისათვის ხმა-რობდნენ, დღეს კი საცხოვრებლად გამოიყენება.

ოჯახი. კახეთის ავარიელთა ოჯახები ინდივიდუალურია, მუსლიმური კულტუ-რისათვის დამახასიათებელი მრავალცოლიანობა აქ ნაკლებად გვხვდება. თანამედ-როვე პერიოდში ქორწინების ძველი ტრადიციები თითქმის დავიწყებულია. დასაშვებია გვარის («თუხუმის») შიგნით ქორწინება. ქალებს ან ერთმანეთში ათხოვე-ბენ, ან დაღესტნიდან მოჰყავთ. ქართველებთან და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებ-თან შერეულ ქორწინებას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადგილი არ აქვს. ქალის შეფასების კრიტერიუმები ყოველთვის ითვალისწინებდა მის შრომისმოყვარეობას, ოჯახის ავტორიტეტს, ძმათა სიმრავლესა და პოპულარობას. წინათ ქალის დაქორ-წინების გადაწყვეტილებას მისი მშობლები იღებდნენ, გასათხოვარს არავინ არაფერს ეკითხებოდა. დღეს უკვე ერიდებიან ადრეულ ასაკში დაოჯახებას, მეტ ინიციატივას იჩენენ თვითონ ახალგაზრდები მომავალი მეუღლის შერჩევისას. კვლავინდებურად დიდი ყურადღება ექცევა ქალის პატიოსნებას. საქორწინო ურთიერთობების ციკლი ორი ეტაპისაგან შედგება — ნიშნობისა და ქორწილისაგან. დღეს ავარიელი ქალის მზითევი, წინანდელთან შედარებით, უფრო გამრავალფეროვნდა. საქორწინო რიტუალში შეიმჩნევა ქართული (ქრისტიანული) კულტურის გავლენა (მუსიკის თანხლება, სუფრის წესები და ა.შ.). აუცილებელია ქორწინების რელიგიურად გაფორმება. საქორწინო ტერმინოლოგიაში შესულია ქართული სიტყვები: «მაჭანკა-ლი», «მაყარი», «მეჯვარე».

სამეურნეო ყოფა

დაღესტნელების მიერ საქართველოში მიწების დაკავების პროცესს, თავდაპირველად, ეკონომიკური ინტერესები ედო საფუძვლად. აქაური ლეკები ოდითგანვე საქართველოს ზამთრის მდიდარი საძოვრებით სარგებლობდნენ. ან-წუხელები და კაპუჭელები ბეჟანიანის მინდორზე (ძველი გავაზი, დღევანდელი ახალსოფელი) და მდ. შოროხევის სანაპიროზე გამოსაზამთრებლად ჩამოდიოდნენ, ზოგიერთი დაღესტნური თემი სასაძოვრე ადგილებს იჭერდა ქართუბანში, ხოლო თებელისა და ჭურმუტის ლეკობა ლაგოდეხში ბინავდებოდა. მათ ჩამოსახლებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი მეურნეობის მომთაბარულმა ხასიათმა. ისინი კახეთში სეზონურად ცხოვრობდნენ (სექტემბრიდან მაისის ბოლომდე) და საძოვრების გამო-ყენებისათვის «საბალახეს» იხდიდნენ. თუ თავდაპირველად ფარებს მარტო მწყემსები მოჰყვებოდნენ, შემდეგ ოჯახებით იწყეს სიარული. მალე საკარმიდამო ნაკვეთები შემოიერთეს და ადგილზე დაიწყეს მეურნეობის წარმოება. გაჩნდა ლეკური დასახ-ლებები. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს საძოვრებზე მომთაბარე ლეკებს სახაზინო მიწების ფონდიდან 200 დესეტინა მიწა ეჭირათ ავანის ხეობაში

(ავანი მდინარეა ყვარლის რაიონში, მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადი. მას სათავე კახეთის კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე აქვს).

მაღალმთიანი ზონიდან საქართველოს ნაყოფიერ მიწებზე დამკვიდრების შემდეგ ავარიელებს საშუალება მიეცათ დაეხვეწათ თავიანთი სამეურნეო ტრადიციები და გაემრავალფეროვნებინათ შრომითი საქმიანობის სფერო. დაღესტნელებმა ქართველებისაგან მათთვის მანამდე უცხო სამეურნეო დარგები აითვისეს (მევენახეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა). შეიცვალა მათი სამეურნეო პირობები და შრომის იარაღები. გაიზარდა მემინდვრეობის ხვედრითი წილი, ახლა მას ავარიელთა საოჯახო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სახვნელი, რომელსაც დაღესტნის მთის პირობებში ხმარობდნენ, ქართულმა გუთანმა ჩაანაცვლა, რასაც თანამედროვე ტექნიკის გამოყენება მოჰყვა. ავარიელებმა კახელებისაგან აითვისეს მეღვინეობის კულტურა (აღსანიშნავია, რომ დღეს მუსლიმი ავარიელი ალკოჰოლური სასმელის დალევაზე ხშირად უარს აღარ ამბობს).

ავარიელებმა საქართველოში დიდხანს შემოინახეს მომთაბარე მესაქონლეობის წესი, ე. წ. ორხელაობა, რაც ზაფხულობით საქონლის სამთო სადგომებზე გადარეკვას და იქ მეურნეობის წარმოებას გულისხმობს — ოჯახის გაუყოფლად მთასა და ბარში ფუნქციები გადანაწილებული იყო ოჯახის წევრებს შორის. ამ ტიპის მეურნეობა, პრაქტიკულად, 1940-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. მეურნეობის ტრადიციული ფორმებიდან ავარელებში შემორჩენილია მეცხვარეობა. ცხვარი ავარელებს ბოლო დრომდე დაღესტნის მთიანეთში გადაჰყავდათ. რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ, საქონლის საძოვრებთან დაკავშირებით, გარკვეული პრობლემა წარმოშვა.

საგრძნობლად შეიცვალა ვაჭრობისადმი ავარიელთა დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებშიც და ლეკებშიც ვაჭრობა არაპრესტიჟულ საქმიანობად ითვლებოდა, ამ ბოლო ხანებში მათმა ნაწილმა ხელი მიჰყო აღებმიცემობას. რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებამდე ისინი კერძო სავაჭრო კავშირებს ამყარებდნენ ჩრდილოეთ კავკასიელებთან, საიდანაც შედარებით ადვილად ჩამოჰქონდათ მესაქონლეობის პროდუქტები და ცვლიდნენ ფქვილზე, ხილზე, არაყზე. წინათ აღებმიცემობას ბარტერის ფორმა უფრო ჰქონდა — საჭიროებისდა მიხედვით, წინასწარ ადგენდნენ გასაცვლელი პროდუქტების სახეობას. გაცხოველებული ვაჭრობა იმართებოდა სოფ. ყვითილოში (კაპუჭელების სოფელია დაღესტანში), დაღესტნელები კი, ძირითადად, სიღნაღისა და თელავის ბაზრობებზე ჩამოდიოდნენ. სადემარკაციო პუნქტების შექმნის შემდეგ ლეკები უფრო აქტიურად სარგებლობენ ქართული ბაზრებით. დღეს ავარიელთა ნაწილი მშენებლობაზე მუშაობს. ისინი სეზონურ სამუშაოებზედაც დადიან, თუმცა დაღესტნურ სოფლებში მთავარი საქმიანობა მაინც სოფლის მეურნეობაა. მოჰყავთ საზამთრო, ბოსტნეული და სხვ.

რელიგიური
რწმენა-წარმოდგენები

ავარიელები ოფიციალურად მუსლიმი სუნიტები არიან, თუმცა მათი რწმენა არქაული ისლამური და ქრისტიანული (შედარებით მცირე დოზით) რელიგიების

ელე-მენტთა ნაზავს წარმოადგენს. ქრისტიანული კულტურის კვალი კარგად ვლინდება ლეკების მიერ ქრისტიანული დღესასწაულების — ალავერდობისა და ნეკრესობის — ქართველებთან ერთად აღნიშვნის ტრადიციაში. ისლამური ტრა-დიციები ნათლად იკვეთება, მაგალითად, მიცვალებულის დაკრძალვის წესებში. განსვენებულს ჯერ ბანენ, თეთრ სუდარაში ახვევენ და მარჯვენა გვერდზე მწო-ლიარეს ასაფლავებენ, პირით სამხრეთისაკენ, მზის ჩასვლამდე. დასაფლავების დღეს იკრძალება იარაღის სროლა, მიწის დამუშავება, სოფლიდან გასვლა. მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად იხდიან ქელეხს. სუფრა ოჯახში იშლება დაკრძალვის დღეს, აგრეთვე, მესამე ან მეშვიდე პარასკევს, მეორმოცე დღეს და წლისთავზე. საერთო სუფრა კი ყურბან ბაირამის დღესასწაულზე იციან. ქართული კულტურის გავლენა შეინიშნება სასაფლაოების დიზაინში (ქვის მოხატულობა, ქართული წარწერები — უმთავრესად ქართველი მეგობრებისაგან), ქვაზე მიცვალებულის სურათის დახატვა ან მოთავსება, რაც ისლამური წესით, იკრძალება. ბოლო დროს დაიწყეს საფლავების შემოღობვა და ყვავილებით შემკობა, თუმცა თანამედროვე რეისლამიზაციის პროცე-სები აქაც იჩენს თავს — საფლავის ქვებზე ვხვდებით ისლამურ სიმბოლიკას — ნახევარმთვარეს, მიზგითების გამოსახულებას, არაბულ წარწერებს, თარიღებს ჰიჯრის კალენდრით და ა.შ.). ავარიელთა სოფლებში მოქმედებს მეჩეთი. არიან მოლები. მართალია, მეჩეთები არაა რეგისტრირებული და ამდენად ისინი მოხეტიალე მოლებად ითვლებიან, მაგრამ სოფლებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ.

განათლება

1950-იან წლებში, საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ყვარლის რაიონში ჩამოსახლებულ ავარიელთა სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლით უზრუნველყოფა დაევალა. განათლების სამინისტრომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად შეისწავლა საქმის ვითარება და მათ საცხოვრებლად ყვარლის რაიონის ოთხი უბანი მიუჩინეს. ეს უბნები 4-8 კილომეტრით იყო დაშორებული ერთმანეთისაგან. ჩატარებული აღრიცხვის შედე-გად დადგინდა, რომ ოთხივე უბანში სასკოლო ასაკის 215 ბავშვი ჰყავდათ. ეს ის კონტინგენტია, რომელსაც მშობლიურ ენაზე უნდა ესწავლა, ხოლო უფროსი კლასე-ბის მოწაფეებს სწავლა უახლოესი რუსული სკოლების შესაბამის კლასებში უნდა განეგრძოთ.

ჩანთლისყურესა და სარუსოს უბნებში დასახლებულ ავარიელთა 74 ბავშვი ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბრისა და ახალსოფლის სკოლებში მიაბარეს. აღნიშნული სკოლების დირექტორებს მითითება მიეცათ, რათა სასწრაფოდ შედგომოდნენ ბავშვებთან მუშაობას. პედაგოგები ჩამოსახლებულთაგან შეარჩიეს. ელოდებოდნენ დაღესტნიდან პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს. განათლების სამინისტროს სას-წავლო პროცესი ყველა საჭირო სასწავლო ინვენტარით უნდა უზრუნველეყო. მოსწავლეები სკოლებში განათლებას, ძირითადად, რუსულ ენაზე იღებდნენ. მათმა დიდმა ნაწილმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა.

თუმცა მომდევნო პერიოდში კახეთის ავარიულ სოფლებში 1970-იან წლებამდე ქართული სკოლები მოქმედებდა და ამის შედეგად იმ პერიოდის ლეკურმა მოსახლე-

ობამ ქართული კარგად იცოდა და ინტეგრაციის პროცესიც იოლად მიმდინარეობდა. 70-იანი წლების შემდეგ ქართული სკოლები რუსულენოვან სასწავლებლებად გადაკეთეს. ქართული ენის არასაკმარისი ცოდნა განაპირობებდა დაღესტნელი ახალგაზრდების რუსეთისაკენ სწრაფვას განათლების მისაღებად.

ამჟამად სწავლება ქართულად მიმდინარეობს, ისწავლება ავარიული და რუსული ენებიც. ავარიელთა სოფლებიდან საშუალო სკოლა მხოლოდ თივშია, სარუსოსა და ჩანთლისყურეში არასრული საშუალო სკოლებია. საერთოდ, ავარიელთა უფროსმა თაობამ ქართული უკეთ იცის. საქართველოში მცხოვრებ ავარიელთა გარკვეულ ნაწილს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული.

კახეთის ავარიელთაგან ცნობილი სპორტსმენები (მოჭიდავეები) არიან ევროპის ჩემპიონი ძიუდოში აბდულა ბარკალაევი და ადილა კახიკაევი, რომელიც ამჟამად მახაჩკალაში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

კახეთში მცხოვრებ ავარიელებსა და ადგილობრივ ქართველებს კარგი ურთიერთობა აქვთ. ავარიელები სრულად არიან ჩაბმულნი ყვარლის რაიონის ცხოვრებაში. რაიონის საკრებულოში ავარიელებს ჰყავთ თავიანთი რწმუნებული.

ნათია ჯალაბაძე

ვაინახები

ვაინახი — ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდებაა და ნიშნავს «ჩვენს ხალხს». ამ ეთნონიმით ეს მონათესავე ხალხები თავიანთ თავს ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ეთნოსებისაგან გამოაცალკევებდნენ. ვაინახები ცენტრალური კავკასიის ოდინდელი მკვიდრნი არიან. ჩეჩნების თვითსახელწოდებაა ნოხჩი, ხოლო ინგუშებისა — ღალღაი. ისინი ჩრდილო-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფში ერთიანდებიან.

ისტორიული ნარკვევი

ვაინახებს უშუალოდ ემეზობლება ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს ერთი მონაკვეთი — თუშეთი და ხევსურეთი. ტერიტორიული სიახლოვე ხელს უწყობდა მეზობელ ქართულ თემებში ვაინახური მოსახლეობის ინფილტრაციას. XI საუკუნიდან, ვაინახების ის ნაწილი, რომელიც მთიან ზოლში ცხოვრობდა, საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. აქ საქართველოდან გავრცელდა ქრისტიანობა და, შესაბამისად, ქრისტიანული კულტურის ელემენტები. მართალია, ახალმა რელიგიამ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მსგავსად, ვაინახებშიც სრულყოფილად ვერ მოიკიდა ფეხი, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც, გარკვეულწილად, განაპირობა საქართველოსაკენ მათი ორიენტაცია.

მოსახლეობის დინება, ძირითადად, ბარისკენ ხდებოდა, მაგრამ ამავე დროს იყო მთის პირობებში ახალი საცხოვრებელი ადგილების ძიების ფაქტებიც. ვაინახები ქართულ ტერიტორიაზე გადმოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ ცალკეულ კომლებად და ზოგჯერ ერთდროულ მასობრივ დასახლებებსაც ქმნიდნენ. დროთა განმავლობაში ხდებოდა მათი ასიმილაცია.

ქართულ წერილობით წყაროებში თავდაპირველად ვაინახური ტომები კავკასიანებად ან დურძუკებად//ძურძუკებად მოიხსენიებიან, თუმცა მოგვიანებით, ეს ეთნონიმი კონკრეტულად ჩეჩნების აღმნიშვნელად იქცა, ხოლო ინგუშების აღსანიშნავად გვხვდება ეთნონიმი ღლიღვი. გვიან ფეოდალური ხანიდან ქართველთა ლექსიკონში მკვიდრდება ეთნონიმი ქისტი, რომელშიც ჩეჩნების გარდა ინგუშებიც იგულისხმებიან. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ეთნონიმ ქისტს დღესაც ორივე ხალხთან დაკავშირებით ხმარობენ. ამავე დროს, ქისტებად იწოდება საქართველოს მოსაზღვრე თემებიდან პანკისის ხეობაში გადმოსული და კომპაქტურად მოსახლე ჩეჩნური წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფი (ზოგიერთი ავტორის შეხედულებით, ქისტები ცალკე ვაინახური ტომია).

ვაინახების საქართველოში მიგრაციის მიზეზად მკვლევარები მთიელთა ეკონომიკურ სიდუხჭირეს, მეტად მწირ მიწის სავარგულებს, სისხლის აღების ტრადიციასა და შამილის მიერ გატარებულ რელიგიურ რეფორმებს მიიჩნევენ, აგრეთვე, ე.წ. «ბეითალ-ვაჴარის» (ბეითალმანობის) წესსაც, რაც დაწინაურებული მეურნეობის მქონე ოჯახისთვის საქონლის ნაწილის კონფისკაციას გულისხმობდა: თუ რომელიმე მეურნეს საქონლის ჯოგი ძალიან გაუმრავლდებოდა, თემის უხუცესნი გადაწყვეტდნენ პატრონისათვის ჩამოერთმიათ «ზედმეტი» საქონელი და თანასოფლელებს შორის გაენაწილებინათ. ქონების ჩამორთმევისათვის თავის არიდების მიზნით, მეპატრონე კავკასიის ქედს გადაღმა ეძებდა თავშესაფარს. ამ მიზეზით, ბევრმა ვაინახმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი და საქართველოში გადმოსახლდა.

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ვაინახური ეთნიკური ერთეულის შემოდინებას თავდაპირველად ჩვ. წ. III საუკუნეში ჰქონდა ადგილი, როდესაც ფარნავაზ მეფის ძემ, საურმაგმა, პოლიტიკური მოსაზრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მასობრივად გადმოასახლა თავისი დედულნი — დურძუკები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დასახლებული დურძუკები დროთა განმავლობაში გაქართველდნენ. ამის შემდეგ კავკასიონის ქედის სამხრეთით ვაინახთა გადმოსახლების პროცესი ინტენსიურ ხასიათს XIII საუკუნიდან იღებს, ხოლო XVIII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა — ერთეულ შემთხვევებს მოგვიანებითაც აქვს ადგილი. XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილოეთიდან საქართველოში გადმოსული ვაინახები, ძირითადად კი ქისტებად სახელდებული ჩეჩნები, თიანეთისა და თელავის რეგიონებში ბინავდებოდნენ. ამათი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირდა, ხოლო ნაწილი პანკისის ხეობაში დასახლდა.

ქისტები. საქართველოში ქისტების კომპაქტური სამოსახლოები კახეთის ბარის მთისწინა ზოლში XVIII-XIX-საუკუნეების მიჯნაზე ჩნდება. მათი პირველი ნაკადი თიანეთის მაზრის სოფელ ხორბალოს (ქისტნელის) ტერიტორიაზე ფუძნდება. ისტორიული წყაროებით, ხორბალოში ქისტების რაოდენობა დაახლოებით 20 კომლი იყო, ფლობდნენ 120 დღიურ სახნავ მიწას, ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ 1791 წლიდან (ზოგიერთი საბუთის მიხედვით, უფრო გვიანდელი პერიოდიდან) და მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიმდევარნი იყვნენ. ქისტური ოჯახები დასახლდნენ, აგრეთვე, სოფ. ჩაბანოში, ხოლო პანკისის ხეობაში ქართველთაგან დაცლილ ტერიტორიაზე ქისტების მასობრივი ჩამოსახლება XIX საუკუნეში, სავარაუდოდ, 1826 წლიდან, დაიწყო და იმავე საუკუნის 60-იან წლებში დასრულდა. თუმცა მიგრაციის ცალკეული შემთხვევები XX სა-უკუნის პირველ ნახევარშიც ფიქსირდება.

XIX საუკუნის დამდეგს ხეობა მთლიანად იყო მოსახლეობისგან დაცარიელებული და გაუკაცრიელებული. პანკისის ხეობის ისტორიის გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდი ბურუსითაა მოცული, რასაც ქართველი ისტორიკოსები ლეკიანობით ხსნიან. ამას დაემატა ჟამიანობა, რის არსებობასაც ადასტურებს ხეობაში სწორედ ასეთი პირობებისთვის დამახასიათებელი საფლავებისა და აკლდამების სიმრავლე. ასეა თუ ისე, XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე პანკისის ხეობა უკაცრიელეია და

ხეობის მიწის ფონდი, იოანე ბაგრატიონის ,,ქართლისა და კახეთის აღწერის,, მიხედვით, ეკუთვნის მეფეს, თავადადებს, აზნაურებსა და ეკლესიას.

ერთი მთვარი მიზეზი ხეობის დაცარიელებისა, რასაც ყველა ისტორიკოსი აღიარებს, არის დაღესტნელი ლეკების გამუდმებული თავდასხმები. პანკისი იყო კორიდორი ლეკებისთვის კახეთზე თავდასასხმელად და ხალხი იძულებული ხდებოდა, დაეტოვებინა მშობლიური საცხოვრისი და ეძებნა უსაფრთხო ადგილი. ამ პერიოდში საქართველოს მოსაზღვრე რეგიონში მცხოვრები ჩეჩნები ხშირად სტუმრობდნენ საქართველოს და ქართული მხარე დაინტერესებული იყო ქისტების, როგორც გამორჩეულად მამაცი და მეომარი ხალხის, პანკისის ხეობაში ჩასახლებით. Pპანკისის ხეობაში ქისტების დასახლებიდან ცოტა ხანში (დაახ. 1829 წლიდან) კახეთზე ლეკების თავდასხმებს ბოლო მოეღო.

ქისტები პანკისში საქართველოს მოსაზღვრე მაისტის, მელხისტის, ტერლოის, ხილდიხაროსა და მაღალმთიანი ხეობის სხვა მცირემიწიანი სოფლებიდან ჩამოვიდ-ნენ. ვაინახთა საქართველოში მიგრაციის ზემოხსენებული მიზეზების გარდა ქისტების საქართველოში დასახლებას, როგორც ჩანს, პოლიტიკური საფუძველიც ედო. პანკისის ხეობაში მათი მასობრივი ჩამოსახლებით თავად მეფისნაცვალი იყო დაინტერესებული; ქისტებისათვის საქართველოში ცხოვრება რომ სახარბიელო გაეხადა, ხელისუფლება მათთვის გარკვეულ შეღავათებს აწესებდა: ათავისუფლებდა სახელმწიფო გადასახადებისაგან, აჰყავდა სახელმწიფო კმაყოფაზე და ა. შ.

სოფელი დუისი პანკისის ხეობაში ყველაზე ადრეული ქისტური დასახლება უნდა იყოს — სავარაუდოდ, იგი 1826 წლიდან არსებობს. სოფელ ჯოყოლოს დაარსების თარიღად 1855 წელი მიიჩნევა. 1854 წლისათვის ქისტების 54 კომლი, რომლებიც თიანეთის მაზრაში მიიღეს მაისტის საზოგადოებიდან, მათივე თხოვნის საფუძველ-ზე, 1855 წელს პანკისის ხეობაში გადაიყვნეს. ასე შეიქმნა ქისტების მეორე დასახლება — ჯოყოლო. გაჭირვებისა და რთული საარსებო პირობების გამო ჯოყოლოელმა ქისტებმა სამშობლოში დაბრუნება ორჯერ სცადეს (1855-1856 წწ-ებში), მაგრამ მეფის მთავრობამ უკანვე მოაბრუნა თუშებისა და მილიციის დახმარებით და ხელმეორედ დაასახლა პანკისში. დაახლოებით ამავე პერიოდში ფიქსირდება სოფ. ომალო. არსებობს მოსაზრება, რომ იგი ჯოყოლოზე ადრინდელი დასახლებაა და დაარსებუ-ლია თუშეთში დიდი ხნის წინ გადმოსახლებული და ერთ ხანს იქ მცხოვრები მართლმადიდებელი ქისტების მიერ. ქისტების ოცდათორმეტამდე კომლი 1848 წელს პანკისის ხეობის ბალთაგორის მიდამოებში დაფუძნდა. მათ ჰქონდათ 1000 ჰექტარი სახნავ-სათესი სავარგული და მიწათმოქმედებას ეწეოდნენ. როდესაც ხელისუფლება ქისტების ახალი ნაკადის დასასახლებლად ადგილს არჩევდა, ომალოში ქისტები უკვე ბინადრობდნენ. 1858 წელს დაისვა ქისტების 75 ოჯახის ომალოში გადაყვანის საკითხი. იმავე წელს ალვანიდან ომალოში გადმოასახლეს ქისტების 37 ოჯახი, ხოლო 40 ოჯახის ჩამოსახლება შემდეგი წლის გაზაფხულისთვის იყო განზრახული. ამრიგად, XIX საუკუნის I ნახევარში პანკისში ქისტების კომპაქტური სამოსახლოები შეიქმნა — სოფლები: დუისი, ომალო და ჯოყოლო. დროთა განმავლობაში ქისტები პანკისის ხეობის სხვა სოფლებშიც დასახლდნენ (ჩხათანაში, ხორაჯოში, ძიბახევში).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოფ. ჯოყოლო პანკისის ხეობის კულტურული ცენტრი გახდა. 1888 წელს «კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ» ჯოყოლოში არსებული ფიცრული ეკლესიის ნაცვლად ქვითკირის ეკლესია ააშენა, ხოლო ყოფილი ეკლესიის შენობაში სასულიერო სასწავლებელი გახსნა. ეს იყო განათლების პირველი კერა პანკისის ხეობაში.

1891 წელს არქიმანდრიტ ლეონიდეს ინიციატივით, ჯოყოლოში სასოფლო სკოლა გაიხსნა, სადაც ბავშვები ქართულად სწავლობდნენ. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ სკოლები გაიხსნა პანკისის თითქმის ყველა, მათ შორის, ქისტებით დასახლებულ სოფლებში — დუისში (1922 წ. 1944 წ-მდე ქართულთან ერთად ჩეჩნური ენაც ისწავლებოდა), ომალოში (1928 წ.), ხორაჯოში (1938 წ.).

1902 წელს მუსლიმმა ქისტებმა სოფ. დუისში კავკასიის მუფტისა და ადგილობრივ მორწმუნეთა ინიციატივით მეჩეთი ააშენეს.

საქართველოში დაფუძნების შემდეგ პანკისელი ქისტები ქვეყნის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილად იქცნენ, ამიტომაც ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესი უშუალოდ აისახებოდა მათ ყოფასა და ცხოვრებაზე. საქართველოს სხვა კუთხებში მცხოვრებთა მსგავსად, მათაც შეეხო ეგზეკუციაც და გაციმბირებაც, გაკულაკებაც და კოლექტივიზაციაც... პანკისის ხეობა იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის თავდაპირველი ბაზა, სადაც შეთქმულთ ქისტი თანამოაზრეები ჰყავდათ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯოყოლოში გაიხსნა ათადგილიანი საავადმყოფო, აფთიაქი, დანარჩენ სოფლებში კი — ამბულატორიები. 1950-ინი წლებიდან დუისში 60-ადგილიანი საავადმყოფო ფუნქციონირებდა (ამჟამად დაკეტილია).

ათეულობით პანკისელი ქისტი მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. პირველმა ქისტმა მფრინავმა მახმად მარგოშვილმა 1941 წელს განახორციელა პირველი გადაფრენა ბრესტ-ლიტოვსკის რკინიგზის დასაბომბად.

ერთადერთი რამ, რაც ქისტებს არ შეხებიათ, ეს 1944 წლის რეპრესიები იყო, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები, მათ შორის ჩეჩნები და ინგუშები, შუა აზიაში გადაასახლეს. თავად ქისტებს სტალინის რეპრესიებისაგან თავის დაღწევა ქართველების დამსახურებად მიაჩნიათ. 1940-50-იან წლებში პანკისელი ქისტები თანაუგრძნობდნენ და ფარულად მხარში ედგნენ ვაინახ აბრაგთა რაზმებს, რომლებიც ჩეჩენ-ინგუშთა სამშობლოდან აყრის შემდეგ მთებში დარჩნენ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში, საყოველთაო მატერიალურმა სიდუხჭირემ განაპირობა პანკისის ქისტური მოსახლეობის მიგრაცია, რასაც შედეგად ხეობის სოფლების დაცარიელება მოჰყვა. ქისტების ეთნიკური ჯგუფიდან ახალგაზრდებმა და საშუალო ასაკის ადამიანებმა ჩეჩნეთს მიაშურეს. რთულია ზუსტად განისაზღვროს ამ პერიოდში ქისტების რიცხოვნება საქართველოში, რადგან ადგილი ჰქონდა ორმხრივ მიგრაციულ პროცესს — საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში და, პირიქით. ქისტი მოსახლეობის ჩეჩნეთში გადასულმა შრომისუნარიანმა ნაწილმა

შექმნა ქისტი ვაინახების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც ჩეჩნეთის საზოგადოების ორგანულ ნაწილად იქცა. XX საუკუნის ბოლო წლებში ჩრდ. კავკასიაში არსებული მდგომარეობისა და განსაკუთრებით ჩეჩნეთ-რუსეთის ომის (1994-1996 წწ.) გამო ქისტების უმრავლესობა (დაახლოებით 2000 ადამიანი) დაუბრუნდა პანკისის ხეობას. ამას მოგვიანებთ დაემატა ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი, რომელმაც რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შედეგად 1999 წელს პაკისის ხეობაში მოიყარა თავი.

პანკისის ხეობის სოფლებიდან დღეს ქისტები ცხოვრობენ ძიბახევში, ბირკიანში, ჯოყოლოში, ომალოში, შუახალაწანსა და დუისში. ზემო ხალაწანში ქისტებთან ერთად ცხოვრობენ ფშავლები. ქისტები ჩასახლდნენ, აგრეთვე, ოსურ სოფლებში — დუმასტურში, ქვემო ხალაწანსა და წინუბანში (ამ ბოლო დროს ოსების დიდმა ნაწილმა ეს სოფლები მიატოვა).

საცხოვრებელი გარემო

პანკისელი ქისტების დასახლების ერთეულია სოფელი — «*იურთ*». ქისტების სოფლებს ხეობიდან ველისაკენ გასასვლელი უკავიათ. ხეობის ზემო წელზე მდებარე თავდაპირველი სოფლები, ე.წ. «შექუჩული» ფორმისა იყო, გაშლილ ადგილებზე მდებარე სოფლებისთვის კი დამახასიათებელი იყო შედარებით ფართო სწორი ქუჩები, შესახვევებითა და ერთმანეთთან დამაკავშირებელი პარალელური შიდა ქუჩებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დუისელებს დასახლებისას არავითარი პრინციპები არ დაუცავთ და სახლებიც ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად უშენებიათ. საკუთარ სამშობლოში ქისტების სოფლები სისხლით ნათესაობის ნიშნით, ანუ ერთი გვარის წარმომადგენლებით, იყო დასახლებული — სოფლებს მონოგენური ხასიათი ჰქონდა. საქართველოში მოსვლისას კი ერთ სოფელში რამოდენიმე გვარი ჩასახლდა, თუმცა თითოეულ გვარს ყველა სოფელში გამოკვეთილად ერთი უბანი ეჭირა. თავდაპირველი სოფლები ერთ ან ორუბნიანი იყო, თანდათანობით კი მათი რაოდენობა გაიზარდა, მაგალითად, თუ სოფ. დუისში თავიდან ორი უბანი იყო, მოსახლეობის მატების შედეგად, შვიდი უბანი გამოიკვეთა. მრავალრიცხოვანი ოჯახების განაყრებისა და საკარმიდამო ნაკვეთების სიმცირის გამოისობით დროთა განმავლობაში დასახლების ტრადიციული სტრუქტურა შეიცვალა და ახალ უბნებში გვარები შერეულად დასახლდნენ. პანკისში ქისტები, თავდაპირველად, ახოს სახით აღებულ მიწის ნაკვეთებზე დაფუძნდნენ, შემდეგ კი სოფლის გარშემო მიწების ათვისება დაიწყეს. საკარმიდამო ნაკვეთი კერძო საკუთრებაში იყო და მეპატრონეს მისი თავისუფალი განკარგვის უფლება ჰქონდა. ქისტურ სოფლებში თითოეული მოსახლის კარ-მიდამო მეორე მეზობლის კარ-მიდამოს უშუალოდ ესაზღვრება. თავდაპირველად, ხეობაში მოსულმა ქისტებმა საცხოვრებლად ტრადიციული სიპი ქვის სახლების ნაცვლად წნული სახლების შენება დაიწყეს, რომელთაც კახეთის ნაგებობებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდათ. თუმცა ამ ტიპის საცხოვრებელმა აქაურ პირობებში ფეხი ვერ მოიკიდა და ქისტების ყოფაში თანდათან დამკვიდრდა ჯერ ფიცრული, შემდეგ კი ქვითკირის, ერთი ან ორსართულიანი სახლები. XX საუკუნის მეორე ნახევარში მასობრივად დაიწყო არქიტექტურული სტილით, ეზო-კარმიდამოთი და ინტერიერით კახურის ანალოგიური ქვითკირის სახლების მშენებლობა.

გვარები და ოჯახები

საქართველოში დასახლებისთანავე ქისტებმა მამის სახელს ქართული დაბოლოება — «შვილი» — დაუმატეს და მათმა გვარებმა ქართული გაფორმება მიიღო. პანკისელმა ქისტებმა დღემდე შემოინახეს მშობლიური ენა. ისინი ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტზე მეტყველებენ, თუმცა ქართული ენის გავლენის შედეგად მათმა ენამ ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური ცვლილებები განიცადა. მათ ლექსიკაში ბევრი ქართული სიტყვაა.

გადმოსახლების პერიოდისათვის პანკისელ ქისტებში გვხვდებოდა როგორც პატარა, ისე დიდი ოჯახები. დიდ ოჯახებში ერთიანდებოდნენ მშობლები, დაცოლშვილებული შვილები და შვილთაშვილები, რომლებიც ერთ საერთო კომლად ცხვრობდნენ. დღეს ქისტებს ინდივიდუალური ოჯახები აქვთ. ოჯახში მკაცრად არის დაცული უფროსუმცროსობის მამაპაპური წესი, რაც ყოფის ნებისმიერ სფეროში იჩენს თავს (მაგალითად, უფროსები და ახალგაზრდები სუფრასთან ერთად არ სხდებიან, მოხუცის თანდასწრებით ახალგაზრდები არ სვამენ არც ეწევიან და სხვ.). ოჯახის უფროს მამაკაცს და უფროს დიასახლისს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. ქისტს უფროსის პატივისცემას ბავშვობიდან ასწავლიან. ქისტებში მიღებული იყო სოფლის შიგნით ქორწინება. ყოველი ქისტის ოჯახი დაინტერესებული იყო მოყვრობითი ნათესაობა თავისივე სოფელში დაემყარებინა. ყურადღება ექცეოდა სასიძოს ავტორიტეტს, ეკონომიკურ მდგომარეობას და შესახედაობას. თუ წინათ ქალი 20 წლის, ხოლო ვაჟი 25-30 წლის ასაკში ქორწინდებოდა, დღეს ქალი 16-17 წლისა თხოვდება, ხოლო ვაჟი 18-19 წლისა ოჯახდება. ქისტებში ნათესაობის სამი ფორმა არსებობდა: სისხლითი, მოყვრობითი და ხელოვნური. სისხლით ნათესაობა შვიდ თაობაზე ვრცელდება და სისხლით ნათესავთა შორის ქორწინებას ადათი სასტიკად კრძალავდა. ქორწინება დასაშვებია დედის მხრიდან მესამე და მეოთხე თაობათა წარმომადგენლებს შორის. მამაკაცს ადათით, ერთი ცოლის შერთვის უფლება ჰქონდა, გაყრის შემთხვევაში კი, შეეძლო რამდენმეჯერ ექორწინა. აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურის გავლენით, პანკისელ ქისტებში შარიათით, ნებადართული მრავალცოლიანობა აკრძალულია. ამ მხრივ, ქისტების ოჯახის ფორმა ჩეჩნურისა და ინგუშურისაგან განსხვავდება. ქმრის მიზეზით ცოლის მშობლების ოჯახში დაბრუნება შეურაცხყოფად არ ითვლებოდა. თანამედროვე პირობებში შეიცვალა ქორწინებასთან დაკავშირებული ძველი წესები. დღეს იმ ფორმებიდან ქალის დანიშვნით წაყვანა და ქალის ოჯახიდან გაპარვაა შემორჩენილი. კვლავ აქტუალურია მზითევი, რომელიც ქართული კულტურის გავლენით უფრო გამრავალფეროვნდა.

სამეურნეო ყოფა

ქისტები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. მთიანი ჩეჩნეთიდან გადმოსახლებულ ქისტებს მესაქონლეობის მეტი ცოდნა-გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ საქართველოში მიწათმოქმედება პანკისელი ქისტების მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა. მარცვლეული კულტურებიდან მათ მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ქერი, შვრია და სხვ. ქისტები მიწას, თავდაპირველად, ტრადიციულად აჩაჩა გუთნით

ხნავდნენ, რომელიც XX საუკუნის ბოლომდე შემორჩა. პარალელურად ხმარებაში შემოვიდა რკინის გუთანი, რომელმაც ბარში ადგილი თანამედროვე ტექნიკას დაუთმო. თანდათან დაიხვეწა მიწის დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის მეთოდები. პანკისელმა ქისტებმა სოფლის მეურნეობის ადგილობრივ გავრცელებულ დარგებიც აითვისეს: მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა. მათი სამეურნეო საქმიანობა მთასა და ბარზე განაწილდა. მესაქონლეობას ალპური ხასიათი ჰქონდა (და ნაწილობრივ ახლაც აქვს). საქონელი ზაფხულობით მთაში, დანარჩენ დროს კი ბარში ჰყავდათ, ცხვარი მაღალმთიანი მდელოებიდან შირაქის საძოვრებზე ინაცვლებდა ადგილს. ქისტებმა თუშებისაგან ისწავლეს ცხვრის ყველის წარმოება. მეურნეობის ძირითად დარგებთან ერთად ვითარდებოდა დამხმარე სამეურნეო დარგები, რომელთაგანაც ზოგიერთი ქისტებმა ახალ გარემოში აითვისეს, ზოგიერთი კი მათ ოდინდელ საქმიანობას წარმოადგენს (მეღვინეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მონადირეობა და სხვ.). კახეთში ისწავლეს არყის გამოხდა, რასაც, უმთავრესად, ხილისაგან ამზადებენ, ხოლო ქერის, ხორბლისა და ასკილისაგან ამზადებენ ლუდს. გარდა ამისა, პანკისში შინამრეწველობის დარგებიდან საკმაოდ განვითარებულია ხელოსნობა, ხის ჭურჭლის, საფენი და წამოსასხამი ნაბდების, ქუდების დამზადება.

სამოსელი. ქისტების ტრადიციული სამოსი საქართველოში თანდათან კახეთში გავრცელებულმა ტანსაცმელმა შეცვალა. თანამედროვე პირობებში ქისტები ქალაქურ ყაიდაზე იცვამენ. ქალებს თმა გრძლად აქვთ დაყენებული და თავსაბურავი ახურავთ, რომლის გარეშე საზოგადოებაში არ გადიან. გოგონები ახლა უთავშლოდ დადიან. წინათ მამაკაცები თმას იპარსავდნენ და წვერს ატარებდნენ, ბოლო ხანებში კი თმას მოკლედ იჭრიან.

სამზარეულო. ქისტების ტრადიციული საკვები მრავალფეროვანებით არ გამოირჩევა. ისტორიულ სამშობლოში ყოფნისას ისინი, ძირითადად, ცხოველურ პროდუქტებს მოიხმარდნენ (რძეს, ხაჭოს, ერბოს, ხორცს). პანკისში კი მათი კვების რაციონში მცენარეული საკვების წილი გაიზარდა. ქისტების ტრადიციული კერძებია: მოხარშული ხორცი ნივრიანი საწებლით, მოხარშული გალანა, სიმინდის ფქვილის ანტრიები, ერბო-კვერცხი, ხაჭო-ერბო, სვამენ თაფლისგან დამზადებულ ტკბილ წყალს. ქისტების ხინკალი ქართულის ანალოგიურია და განსხვავდება ჩეჩნების ხინკლისაგან. ქისტები დღეში სამჯერ იკვებებიან, მუსლიმი ქისტები კი მარხვის დროს — ორჯერ: საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, და ღამის 4-5 საათზე.

რელიგია

მიგრირებული ქისტების ძირითადი ნაწილი იმ ადგილებიდან წამოვიდა, სადაც ისლამი ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. მათი რწმენა ვაინახთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანული რელიგიის მთური ვარიანტის სინთეზს წარმოადგენდა. ამიტომ პანკისის ხეობაში ქართველთა მიტოვებულ სამოსახლოზე დაფუძნებულმა ქისტებმა ადვილად გაითავისეს ადგილობრივი სამლოცველო ნიშები და ქრისტიანული ძეგლები. ქართველების უძველესი სალოცავები მათთვის წმინდა ადგილებად იქცა. პანკისში მიგრირებული ქისტების ნაწილი წარმართობას მისდევდა, მცირე ნაწილი ქრისტიანი იყო, ნაწილი კი (უფრო გვიან ჩამოსულები) — მუსლიმი. ხეობაში, ქისტების ჩამოსახლების პირველი წლებიდანვე, ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებული მისიონერული მოღვაწეობის შედეგად

ქისტი მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ოფიციალურად ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო (თუმცა ამ პროცესს ერთგვარი იძულების ხასიათი ჰქონდა და მოსახლეობის პრაქტიკული დაინტერესებაც ედო საფუძვლად), რაც მეტ-ნაკლებად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. 1886 წელს ქართული ქრისტიანული მისიონერული საზოგადოების მიერ ჯოყოლოელი ქისტები ქრისტიანებად მოინათლნენ. მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობაში პარალელურად თანდათანობით მოიკიდა ფეხი ისლამმა (სოფ. დუისი გახდა ისლამის მიმდევართა ცენტრი), ქისტები სალოცავებში და ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ნაწილობრივ, დღესაც დადიან. ისინი კვლავინდებურად პატივისცემით ეპყრობიან ხეობაში არსებულ ქრისტიანულ სალოცავებს და რელიგიურ დღესასწაულებს ზეიმობენ (აღდგომას, კვირაცხოვლობა-სა და სხვ.). აღდგომისთვის დღემდე საგანგებოდ ემზადებიან პანკისელი (ჯოყო-ლოელი, ომალოელი) ქისტები. მაგალითად, სოფ. ომალოს მოსახლეობა აღდგომას («თიეყარიე დი») წმ. გიორგის ხატში აღნიშნავდა. ხატის კარზე ამ დღეს სოფელში მცხოვრები თუშებიც მოდიოდნენ (შემდეგ თუშები სოფ. ალვანში გადავიდნენ საც-ხოვრებლად). იკვლება საკლავი, ინთება სანთელი, მოაქვთ შესაწირი ქადები, სარიტუალო კვერები, სასმელი (ლუდი, არაყი), შლიან სუფრებს. აღდგომის მეორე დღეს ომალოელები ღვთისმშობლის (თი-შუოლის) სალოცავში იკრიბებოდნენ. თუშოლი შვილიერებისა და ნაყოფიერების, ქალებისა და ბავშვების მფარველი ღვთა-ებაა. ღვთისმშობელს, ანუ თიშუოლს შესთხოვდნენ ბავშვების კარგად ყოფნას. უშვილო ქალები თიშუოლის ვერცხლის ფიგურას მკერდით ეხებოდნენ. დღესას-წაული სამ დღეს გრძელდება.

სოფ. ჯოყოლოს მოსახლეობა აღდგომა დღეს ბალთაგორაზე მდებარე წმ. გიორგის სალოცავში დადიოდა. მათთან ერთად აღდგომას დღესასწაულობდა ქართული სოფ. დედისფერულის (კაკლიანის) და სოფ. დუისის ქისტი მოსახლეობა. აღდგომის მეორე დღეს ჯოყოლოელები «ჭვებიერ წუუში» — ჭობიოს ხევში — მდებარე სალოცავს სტუმრობდნენ. აღდგომის მესამე დღეს ჯოყოლოს მოსახლეობა სოფლის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში დღესასწაულობდა.

პანკისელი ქისტები, ქართველებთან და ოსებთან ერთად, ქართულ ქრისტიანულ ეკლესიებშიც დადიოდნენ. აწყურის თეთრი გიორგისა და ალავერდობის დღესასწა-ულებისთვის სპეციალურად ემზადებოდნენ (ურემს ფარდაგით გადახურავდნენ, თივას მიაფენდნენ, ზედ საჭმელ-სასმელს დააწყობდნენ, საკლავს მოათავსებდნენ). ეკლესიის ეზოში ქისტები ქართველებისგან მოშორებით შლიდნენ სუფრას, თუმცა ერთმანეთის გადაპატიჟება იცოდნენ. დღეობაზე ბაზრობა იმართებოდა — ქისტები ნაბდის ქუდებს ყიდდნენ და სანაცვლოდ ფართლეულსა და საოჯახო ნივთებს იძენდნენ.

დღეს პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები, ერთეული შემთხვევის გარდა, სუ-ნიტური ისლამის აღმსარებლები არიან.. ხეობაში, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ვაჰაბიზმი გავრცელდა. მისი მიმდევრები, ძირითადად, ახალგაზრდები არიან. პანკისის ხეობის სოფლებში 1998-99 წლებში 4 მეჩეთი აშენდა.

ქისტები, მუსლიმური ტრადიციისამებრ, მიცვალებულს მზის ჩასვლამდე მარხავდნენ, თუმცა დღეს ეს წესი, რამდენადმე, შეცვლილია და დასაფლავება შეიძლება მეორე ან მესამე დღეს მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ჭირისუფალი შორიდან

არის მოსასვლელი. მიცვალებულს ბანენ, მამაკაცს თეთრ სუდარაში ახვევენ, ქალს კი სპეციალური ფორმის ორ-სამ პერანგს აცმევენ. ცხედარს საფლავის ძირზე, გვერდით გამოჭრილ ნიშაში ოდნავ გვერდულად აწვენენ, ნიშას ფიცრებს მიაფარებენ და მერე აყრიან მიწას. ქალები სასაფლაოზე არ მიდიან, სასაფლაოდან უკან მობრუნებულ მამაკაცებს სუფრა გაშლილი ხვდებათ. ქრისტიანებისათვის ცალკე სუფრა იშლება ღვინით. მიცვალებულის დასაკრძალავ ხარჯებს მთელი სოფელი გაიღებს. ქართული კულტურის გავლენით, ბოლო დროს ქისტური საფლავების დიზაინში უზარმაზარი გრანიტის ძეგლები და რკინის მოაჯირები გაჩნდა. საფლავის ქვებზე გვხვდება მიცვალებულის სურათებიც, რაც მაჰმადიანური სარწმუნოებით აკრძალულია.

ტრადიციული ინსტიტუტები

ქართულ გარემოში მოხვედრილმა ქისტებმა ქართული კულტურის უშუალო გავლენა განიცადეს და მოხდა საერთო მახასიათებლების ფორმირება, რაც ყოფისა და კულტურის ყველა ასპექტში გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, მათში უძველესი ტრადიციები დღემდეა შემორჩენილი. მკაცრად არის დაცული სტუმარმასპინძლობის ეტიკეტი, სიცოცხლისუნარიანია დაძმობილების ინსტიტუტი, სისხლ-მესისხლეობის ტრადიცია, კვლავ აქტუალურია ადათობრივი სამართალი, საერთო საზოგადოებრივ და სამართლებრივ საკითხებს წყვეტს უხუცესთა საბჭო და ა.შ.

დაძმობილება ხდება, როგორც ერთი ეთნოსის წარმომადგენლებს, ასევე განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წევრებს შორისაც. ძმობილდებიან ერთმანეთის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ. დაძმობილების ძირითადი საბაბი ურთიერთმოწონებაა, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც შერიგების შემდეგ მტრადმოკიდებულნიც დაძმობილებულან. დაძმობილება გარკვეულ ვალდებულებებს გულისხმობს: ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით ყოფნას, მოსაკითხით ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას, ძმობილისთვის შურისძიებასაც (ძველად) და ა.შ. დაძმობილების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რიტუალი თითების დასერვითა და მათი ერთმანეთზე მიდებით ტარდება, რაც სისხლის სიმბოლურ შერევას ნიშნავს. გარდა ამისა, ცნობილია ფიცვერცხლით დაძმობილება, რომელიც ასე სრულდება: ხნიერი, დაფასებული მამაკაცი არყიან ჭიქაში (ყანწში) ვერცხლს ჩათლის (ქამრის ბალთიდან, მონეტიდან თუ სხვა რამ ვერცხლის ნივთიდან) და სალოცავებს მიმართავს, მფარველობა გაუწიონ მომავალ ძმობილებს, მისცენ მათ ერთურთის ნდობა და სიყვარული. მერე თითოეული ძმობილთაგანი სამ-სამჯერ მოასმევინებს ვერცხლჩათლილ სასმელს მეორეს, შეჰფიცავს ძმობას და ადღეგრძელებს.

საერთოდ, ძმადნაფიცი უახლოეს და სისხლხორცეულ მოკეთედ ითვლება. პანკისელი ქისტები დღემდე სათუთად უფრთხილდებიან ძმადნაფიცობის მადლს, ღალატი წარმოუდგენელია. ძმადგაფიცულნი არამხოლოდ ოჯახებით უახლოვდებიან ერთმანეთს, არამედ მათი ბიძაშვილები და სხვა ნათესავებიც ერთმანეთის მოკეთეებად ითვლებიან. გაჭირვების ჟამს, განსაცდელში ქისტი საკუთარ სიცოცხლეს ანაცვალებს ძმადნაფიცს და ამასვე მოელის მისგანაც. დაძმობილება, მსგავსად სისხლით ნათესაობისა, კრძალავდა ქორწინებას ძმობილებსა და მათ შთამომავლებს შორის.

განათლება და კულტურა

პანკისელი ქისტები განათლებას ქართულად იღებენ და ქართული მათთვის მეორე მშობლიურ ენად იქცა. ხეობაში რუსული სკოლები არ არის. ქისტური სოფლების ქართულ სკოლებში რუსული მეორე ენად ისწავლება.

პანკისის ქისტებს ყოველთვის ჰყავდათ ტრადიციული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ის პირველად 1930-იან წლებში სოფ. დუისში ჩამოყალიბდა და სხვადასხვა სოფლის მკვიდრთ აერთიანებდა. XX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს დუისში, მ. მარგოშვილის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ქალთა ხალხური შემოქმედების ანსამბლი «დაიმოხქ», რომელმაც არაერთი წარმატებული კონცერტი ჩაატარა ადგილობრივ და საზღვარგარეთ.

პანკისელ ქისტთა წარმომადგენლებმა თავიანთი საქმიანობითა და პროფესიონალიზმით სახელი არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გაითქვეს. მათ შორის არიან: საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი, ეთნოგრაფი, პანკისის ხეობის პირველი განმანათლებელი მათე ალბუთაშვილი, დუისის საშუალო სკოლის დამაარსებელი, დამსახურებული პედაგოგი უსუფ მარგოშვილი, საფეიქრო მრეწველობის საუკეთესო სპეციალისტი შალვა დუიშვილი, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე რკინიგზელი საბა დუიშვილი, ცნობილი ეთნოლოგი ლეილა მარგოშვილი, რომელმაც სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდი პანკისელი ქისტების ეთნოგრაფიის შესწავლას დაუთმო, სპორტის ოსტატი, საქართველოს, სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ძიუდოში ბუღდან ბაღაკაშვილი და სხვანი.

თანამედროვე ვითარება

საქართველოს მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემებით, 1989 წლიდან 2002 წლამდე ქისტური მოსახლეობა 5,455 ადამიანიდან 7,110-მდე გაიზარდა.

ამავე მონაცემებით, საქართველოში 7110 ქისტი//ჩეჩენია აღრიცხული, მათგან, 6997 სული — კახეთში, მცირე რაოდენობით — თბილისში (73 სული), ქვემო ქართლში (22 სული). საქართველოდან ჩეჩენი ლტოლვილების თანდათანობით გასვლის შედეგად, მნიშვნელოვნად მოიკლო ქისტ/ჩეჩენთა საერთო რაოდენობამ.

ჩეჩენი ლტოლვილები. 1999 წელს საქართველოს მთავრობამ ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომის შედეგად ჩეჩნეთიდან ლტოლვილ მოსახლეობას (დაახლოებით 7000-8000 ადამიანს, რომელთა შორის ბავშვები, ქალები და ხანში შესულები ჭარბობდნენ) თავშესაფარი მისცა და ისინი მათი ეთნიკურად მონათესავე ქისტებით დასახლებულ პანკისის ქისტურ სოფლებში განათავსა. პანკისის ხეობაში ლტოლვილებად შემოვიდნენ როგორც წლების წინ ჩეჩნეთში საცხოვრებლად გადასული ყოფილი პანკისელი ქისტები, ისე ჩეჩნეთის ავტოქთონური მოსახლეობა. ლტოლვილთა დიდი ნაწილი სოფ. დუისში დამკვიდრდა. თავდაპირველად, სანამ ლტოლვილებს საკუთარ საცხოვრებელს მიუჩენდნენ, ადგილობრივმა მოსახლეობამ ნებაყოფლობით დაინაწილა ისინი ოჯახებში. თითოეულ ქისტურ ოჯახში 30 და უფრო მეტი ლტოლ--

ვილი ჰყავდათ შეფარებული, შემდეგ კი მათ ცალკე შენობები გამოუყვეს საცხოვ-რებლად. ლტოლვილი ჩეჩნების უმეტესობა ქალაქებიდან იყო წამოსული, ამიტომ მათ სოფლურ ყოფასთან შეგუება და გლეხური მეურნეობის გაძღოლა გაუჭირდათ. ქისტებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ჩეჩენებს შარიათის კანონების მიმართ, განსხვავებაა ქორწინების წესებშიც (ჩეჩნებში, მაგალითად, ორცოლიანობა ნებადართულია და სხვ.), მაგრამ პანკისის ხეობაში მოხვედრილნი, იოლად შეეგუენ პანკისელთა ტრადიციებს და პირველ ეტაპზე მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩეჩნეთში დაბრუნებას ხეობაში დარჩენა არჩია.

2000 წლის გაზაფხულისათვის ჩეჩენი ლტოლვილების ნაწილი ხეობიდან გავიდა — ზოგერთი უკან, სამშობლოში, დაბრუნდა, ზოგიერთი თბილისში გადავიდა საცხოვ-რებლად, ზოგიერთმა ბაქოსა და საზღვარგარეთს მიაშურა. ასეთი გზით პანკისის ხეობა 2000 წლის ივლისისათვის, დაახლოებით, 1000-1500 ადამიანმა დატოვა.

2002 წელს პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის შედეგად, შეიარაღებული ფორმირებების საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის შემდგომ, სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა და ხეობაში სტაბილიზაციის პროცესი დაიწყო. თუმცა კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა სამშობლოში დაბრუნების ან მესამე ქვეყნაში გასვლის უფლების მოთხოვნით რამდენიმეჯერ მოაწყვეს აქცია პანკისსა და თბილისში.

2003 წლის აგვისტოს მონაცემებით, პანკისში 2600 ლტოლვილი ჩეჩენი იყო დაფიქსირებული.

2005 წლის 28 მაისს ამოქმედდა მოხალისეთა რეპატრიაციის ოფიციალური პროგრამა და 220 ჩეჩენი, ძირითადად ასაკოვანი ხალხი, ჩეჩნეთში დაბრუნდა. ადგილობრივთა თქმით, მათი დიდი ნაწილი პანკისელი ქისტები არიან. დღეს პანკისში დარჩენილ ლტოლვილთაგან უმეტესობა არაადგილობრივი ჩეჩენია, ისინი მეტ-ნაკლებად ნორმალურად მოეწყვნენ ხეობაში. ზოგიერთმა მათგანმა სახლიც იყიდა, ქისტებთან კარგი ურთიერთობა აქვთ და ჩეჩნეთში დაბრუნებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

2006 წლის აპრილისათვის საქართველოში 486 ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობდა, ამათგან 46 ოჯახი (142 სული) — თბილისში, 96 ოჯახი (344 სული) კი — პანკისში. ლტოლვილების მდგომარეობა პანკისში კვლავაც არასახარბიელოა: სამშობლოში ვერ ბრუნდებიან, საქართველოში სამუშაოს ვერ შოულობენ, მათ არც საქართველოს მოქალაქეობას აძლევენ და არც მესამე ქვეყანაში გადასვლის უფლებას.

2007 წელს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიციატივით, დაიწყო ჩეჩენი ლტოლვილების რეგისტრაცია მათთვის 3-წლიანი დროებითი ბინადრობის მოწმობების გასაცემად.

ნათია ჯალაბაძე

ასურელები

საქართველოს ასურული მოსახლეობა ძველ არამეელთა ეთნიკურ ანალოგად ითვლება. კავკასიელი ასურელები ანთროპოლოგიურად საკმაოდ ერთგვაროვანნი არიან. ისინი განეკუთვნებიან წინააზიურ ტიპს, რომელიც ხასიათდება კანის შავგვრემანი ფერით, მუქი და ტალღოვანი თმით, მაღალი შუბლით, გამოკვეთილი ყვრიმალის ძვლებით. ამ კონტინგენტის აღსანიშნავად XIX-XX საუკუნეებში გამოიყენებოდა ტერმინი აისორი, რომელიც სათავეს იღებს სომხური «ასსორის», ანუ ასურელისაგან. ასურელთა შორის გავრცელებული თვითსახელები იყო: ათურაი, სურაი, ქალდაი, სოგრახი-ასურიანნი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ასურელის აღმნიშვნელი ეთნონიმი გადმოიცემა ტერმინებით: ასური, ასურასტანელი, ასურელი, ხოლო მათი ქვეყანის სახელწოდებათა ვარიანტებია: ასურია, ასოასტანი, ასურეთი, სირია. ამჟამინდელ ერთადერთ საერთო ენდოეთნონიმს წარმოადგენს «სურიოი»/ «სურიაი».

ასურელები არამეული მოდგმის სემიტებს მიეკუთვნებიან, ისინი ისტორიულ სამშობლოდ მესოპოტამიას მიიჩნევენ (ბეტ-ნაკჰრეინ). არამეული ენა ერთ-ერთი ძირითადი სემიტური ენაა. საქართველოში მცხოვრებ ასურელებში გავრცელებულია ახალი არამეული, კერძოდ, აღმოსავლური არამეულის დიალექტები: ურმიული, სალმასური, ვანური, ჯილუბოტანი. ენაში შენარჩუნებულია სემიტური ენის ტიპი, თუმცა შეცვლილი სტრუქტურით (ძირითადი ცვლილებები შეეხო ზმნასა და ბგერით სისტემას).

ისტორიული ნარკვევი

საქართველოში ასურელთა ცხოვრების პირველ კვალს «ქართლის ცხოვრებაში», ლეონტი მროველის თხზულებაში, ვხვდებით. ადრეულ შუა საუკუნეებში ასურელი მამების სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაწყება და განვითარება. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული თემები, მათ შორის ასურელები, სამშობლოდ ქართულ სახელმწიფოს მიიჩნევდნენ. სავარაუდოდ, მუსლიმთა მიერ შევიწროებული ასურელების მცირე ტალღა იმ პერიოდში ჩასახლდა აღმოსავლეთ საქართველოში.

XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II-ის ინიციატივით, ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილი ქურთული და ასურული ოჯახები კახეთში ჩაასახლეს. ცოტა მოგვიანებით კი ასურელთა რამდენიმე ოჯახი დას. საქართველოშიც დასახლდა. XVIII საუკუნის ბოლოს სპარსეთის ასურელ-ქალდეელებმა (ნესტორიანელებმა) მართლმა-

დიდებლობაში გადასვლის თხოვნით მიმართეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. საქართველოს შინა და საგაერო პოლიტიკურმა ვითარებამ ამ საკითხის გადადება გამოიწვია. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ამ თხოვნით ასურელებმა საქართველოში რუსეთის საეგზარქოსოს მიმართეს. რუ-სეთ-სპარსეთის ომის შემდგომ, 1830-იან წლებში, სპარსეთიდან გამოქცეული 3000-მდე ასურელი დაიძრა კავკასიისკენ, მათი ნაწილი დასახლდა საქართველოში. მოგ-ვიანებით ისინი მართლმადიდებელ მრევლად ჩამოყალიბდნენ.

1840-იანი წლებიდან ასურელები კავკასიაში ურმიიდან და სალმასიდან ჩამოდიოდნენ სეზონურ სამუშაოებზე. ისინი განსაკუთრებით თბილისს ეტანებოდნენ, სადაც დროთა განმავლობაში მუდმივ საცხოვრებლადაც რჩებოდნენ. 1860-იანი წლების ბოლოს ურმიელი ასურელების ჯგუფი აღმ. საქართველოში ჩასახლდა (ყარაიას ველზე, დღევანდელი გარდაბნის რაიონი) და სოფელი ვასილევკა დააარსა. ურმიიდან ჩამოსული ასურელები XIX საუკუნის ბოლოს მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაშიც დამკვიდრდნენ. მუხრან-ბატონების კუთვნილი სოფელი ქანდა იოანე მუხრან-ბატონმა ასურელებს მიჰყიდა. ასურელები დას. საქართველოს სხვა-დასხვა რაიონებში სახლდებოდნენ. 1897 წელს კავკასიაში 5286 ასურელი ცხოვრობდა, აქედან თბილისის გუბერნიაში — 1570, ქუთაისის გუბერნიაში — 127, ყველაზე მეტი (1017 სული) დედაქალაქის მკვიდრი იყო.

XX საუკუნის დასაწყისის მოვლენებმა — ირანსა და თურქეთში ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ ახალი იდეოლოგიური პარადიგმის ჩამოყალიბებამ, 1912-13 წლებში ბალკანეთისა და შემდეგ I მსოფლიო ომებმა — განაპირობა ასურელთა ახალი, დიდი ტალღის შემოსვლა საქართველოში ირანიდან და თურქეთიდან. თბილისი იქცა ასურელთა პოლიტიკური და კულტურული განვითარების ცენტრად. აქ გამოდიოდა გაზეთი «მადინხა» («აღმოსავლეთი»). თბილისში მოიყარეს თავი ასურელთა გაერთიანებისთვის მებრძოლმა მოღვაწეებმა, რომელთა შორის იყვნენ ექიმი ფერეიდან ათურაი, რაბი ბენიამენ ბინ არსენი, ექიმი ბაბა ბით ფახრადი და სხვ.

1915-1918 წლებში თურქეთიდან ასურელ ლტოლვოლთა არაერთი ტალღა მოადგა საქართველოს. მათ საქართველოსა და რუსეთის გავლით ევროპისა და ამერიკისკენ ჰქონდათ გეზი აღებული, მაგრამ 1917-18 წლებში რუსეთის იმპერიაში განვითარებული მოვლენების გამო, ასურელები საქართველოში დამკვიდრნენ.

1917 წელს თბილისში ჩამოყალიბდა «ასურული სოციალისტური პარტია», იმავე წელს შეიქმნა «თავისუფალი ასურული კავშირის გაერთიანების ურმიის მანიფესტი», რომელიც ახალ რუსეთში თავისუფალი ასურული ავტონომიის შექმნის პროგრამას წარმოადგენდა.

დემოკრატიული საქართველოს ხანაში გამოიკვეთა თბილისის ასურული საზოგადოების გათიშულობა. ერთი ნაწილი რუსეთზე იყო ორიენტირებული, მეორე ნაწილი მხარს უჭერდა საქართველოს მთავრობის კურსს და ასურელთა საკითხის გადაწყვეტას დას. ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერით იმედოვნებდა.

ასურელთა მცირერიცხოვანი ნაკადი საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც ჩამოვიდა თურქეთიდან და ახალციხის მიდამოებში დასახლდა.

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა ასურელების მიმართ არაერთგვაროვანი იყო. თუ 20-იან წლებში ასურელები გარკვეული შეღავათებითა და პრივილეგიებით სარგებლობდნენ, 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ასურელების ნაწილიც კომუნისტური რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა. მათ ირანთან და თურქეთთან კავშირში დასდეს ბრალი და ციმბირში გადაასახლეს. 1947-49 წლებში ასურელთა კიდევ ერთი ჯგუფი გადაასახლეს ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში. მათ ირანისა და თურქეთის ქვეშევრდომთა შთამომავლობა ედებოდათ ბრალად.

განსახლების გეოგრაფია. საქართველოში ასურელები დისპერსიულად ცხოვრობდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში — თბილისში — კომპაქტურად ძველი და ახალი კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მცხეთა-მთიანეთის რაიონში — კომპაქტურად სოფ. ქანდაში, გარდაბნის რაიონში — კომპაქტურად სოფ. ვასილევკაში, დას. საქართველოში — ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიაში, სენაკში, ბათუმში. XX საუკუნის აღწერებით, საქართველოში ასურელთა შემდეგი რაოდენობრივი მონაცემები იკვეთება: 1926 წელს — 2904 ასურელი (მოსახლეობის 0,01%); 1959 წელს — 5005 (0,01%); 1989 წელს — 6206 (0,01%).

საქართველოში თურქეთიდან გადმოსახლებული ასურელების თემობრივი განსახლება ამგვარი იყო: თბილისში დასახლდნენ დასილვაის, შაპიტნაის, ვანაის, ბოტანაის თემთა წარმომადგენლები, ხოლო დასავლეთში, ძირითადად, ტალნაის, თხუმნაისა და ტიარაის თემთა წევრები.

უკანასკნელ ათწლეულში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ასურული მოსახლეობის ბედზეც აისახა: ბევრმა ასურელმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, საშოვარის პოვნის მიზნით დატოვა საქართველო და სხვა ქვეყნებში, ძირითადად, რუსეთში გადასახლდა, თუმცა ბოლო დროს შეიმჩნევა მათი უკან დაბრუნების ტენდენცია. საქართველოში მცხოვრებ ასურელებში ნაკლებად მიმდინარეობდა შიდა მიგრაციული პროცესები — სოფ. ქანდიდან, მაგალითად, სულ რამდენიმე ოჯახი გადასახლდა თბილისში.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობაშიც ასურულენოვანი სკოლები XX საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ აღარ არსებობს და ასურელთათვის მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის სწავლება მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე რამდენიმე ინდივიდის ენთუაზიაზმზე არის დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ყველა ასურელის ოჯახში მშობლიურ ენად ასურული ენა რჩება.

დასახლების ტიპები

საქართველოში ჩამოსახლებულ ასურელთა ადაპტირება, ქალაქებშიც და სოფლებშიც, სწრაფად მოხდა. ქალაქებში უბნებად დაყოფა-გადანაწილება კანონზომიერად შედგა. მაგ., თბილისში, ვაკის ტერიტორიაზე (დღევანდელი ატენისა და დარიალის ქუჩებზე), განსახლდნენ ერთი პროფესიის (ფეხსაცმლის მკერავი და მწმენდავი) ადამიანთა ოჯახები, ვერაზე (მელიქიშვილის ქუჩის მიმდებარედ), აგურის

გამოსაწვავი ქარხნის მახლობლად, მეაგურეები, კალატოზები და მათი ოჯახები ბინადრობდნენ.

კუკიაზე მდგებარე აგურისა და კრამიტის ქარხნებმა განაპირობა იმ უბანში ასურელთა კომპაქტური დასახლება. XX საუკუნის I ნახევარში კუკიის ტერიტორიაზე თურქეთიდან გადმოსული კათოლიკე ასურელთა ოჯახებიც სახლდებიან. მოგვიანებით კათოლიკე ასურელები გარდაბნის რაიონშიც ჩაასახლეს, რამაც სოფელ ალექსეევკის ორ უბნად განაწილება გამოიწვია: ზედა უბანში კათოლიკე ასურელები ბინადრობდნენ, ქვედა უბანში — მართლმადიდებელი ასურელები. ჩამოსახლების პერიოდისთვის მათი დასახლებები გაფანტულ-ბუდობრივი ფორმით ხასიათდებოდა, მოგვიანებით კი სოფელში დასახლების სერულ-ხაზოვანი ფორმა ჩამოყალიბდა და სოფელი ქანდა დაგეგმარების ჩარჩოებში მოექცა. სოფელი ორ უბნად გაიყო: ზედა უბნად («მათადტულულ») და ქვედა უბნად («მათადილთხ»).

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. საქართველოში ჩამოსახლებულმა ასურელებმა სწრაფად აითვისეს ადგილობრივი კულტურის ელემენტები. ნაგებობების ასაშენებლად ისინი ქართველი მშენებლების გამოცდილებასა და გემოვნებას იზიარებდნენ.

თავდაპირველად, როგორც სოფლად ასევე ქალაქად, მათი საცხოვრებელი სახლები ერთსართულიანი იყო. სოფელში საძირკველს ნახევარ მეტრზე თხრიდნენ. ხით აგებულ კედლებს თიხნარი მიწით ლესავდნენ. სახლი ერთი ოთახისაგან შედგებოდა, სადაც მთელი ოჯახი ცხოვრობდა. ოთახს მარტივი ტიპის შუაცეცხლით ანათებ-დნენ და ათბობდნენ. კერა მიწაზე დადებული ორი ცეცხლგამძლე ქვისაგან შედგებოდა. სახლზე ბოსელი იყო მიდგმული, რათა საქონელი არავის მოეპარა.

აგურის ოროთახიანი მიწისზედა სახლი სოფ. ქანდაში პირველად ბადალოვებმა ააშენეს. სახლი, მუხრან-ბატონის სასახლის მსგავსად, თაღოვანი იყო. ოთახებს თითო ფანჯარაც ჰქონდა. კედელში დატანებული იყო ბუხარი. ქალაქური ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ქუჩაზე ერთმანეთის მიჯრით იდგა. სახლის წინა ოთახი სავაჭროდ ან სახელოსნოდ გამოიყენებოდა. უკანა ოთახს საცხოვრებლად იყენებდნენ.

ტრადიციული მეურნეობა

ასურული მოსახლეობა საქართველოში ჩამოსახლებისას, ძირითადად, სოფლად მიწათმოქმედება-მესაქონლეობას მისდევდა. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზში ამ დარგების პროპორცია მჭიდროდ უკავშირდებოდა ვერტიკალური ზონალობის ცვლას. მთაში სახნავ-სათესი ფართობების სიმცირე განაპირობებდა მეცხოველეობის უპირატესობას მიწათმოქმედებაზე, ბარში კი პირიქით, მიწათმოქმედება იყო წამყვანი დარგი, ხოლო მესაქონლეობას დამხმარე როლი ენიჭებოდა. ამდენად, აღმოსავლეთ საქართველოსა და განსაკუთრებით შიდა ქართლის რესურსები ხელს უწყობდა ასურელებში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფართოდ განვითარებას.

ასურელთა, როგორც მიწათმოქმედთა, მაღალი კულტურაზე მეტყველებს გუთნის, კევრისა და სხვა სამეურნეო იარაღების დამზადების მათეული ტრადიცია. ტრადიციული მეთოდით ამზადებდნენ ასურელი ქალები თონესაც, რომელიც თიხითა და ღორის ჯაგრით იზილებოდა და მთლიანად იყო მიწაში ჩაფლული.

XX საუკუნის I ნახევარში საქართველოში მცხოვრებ ასურელებში უკვე შეიმჩნეოდა ძლიერი სოციალური დიფერენციაცია. სამეურნეო თვალსაზრისით, განსაკუთრებით დაწინაურდნენ თბილისელი ასურელები, რომელთა შორის იყვნენ მოიჯარეები, აგურის ქარხნის მფლობელები, სახლების მეპატრონეები, ვაჭრები, ხელოსნები, მათ შორის სახელგანთქმული კედლის მხატვრებიც, რომელთაც ხელობა თბილისში არსებულ იტალიური ხატვის სკოლაში ისწავლეს. ცნობილ ასურელ ხელოსანთა — მიხეილ ბით სარქისის, სერგო ბით აივაზისა და მიხეილ მუშულოვის მიერ არის მოხატული საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა.

სოციალური ორგანიზაცია

ოჯახი. XX საუკუნის დამდეგამდე ასურელთა სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა ძლიერი გვაროვნულ-ტომობრივი ნიშნების მქონე ფეოდალურ ორგანიზმს წარმოადგენდა. გამოკვეთილი სოციალური ერთეული იყო «თუხმა», «კაბილა», რომელსაც სათავეში ყველაზე მდიდარი და ძლიერი ოჯახის მეთაური «რიშთუხმა» და უხუცესთა საბჭო ედგა. «რიშთუხმას» სტატუსი უხუცესთა საბჭოს არჩევნებით ენიჭებოდა, მაგრამ იგი ხშირად მამიდან შვილზე ან უფროსიდან უმცროს ძმაზე გადადიოდა. კომპაქტურად დასახლებული რამდენიმე სოფელი, რომელიც «თუხმაში» ერთიანდებოდა, ერთი წინაპრის შთამომავლად თვლიდა თავს და საერთო მიწის ფონდი და საერთო სასაფლაო ჰქონდათ. ტომებს («ასირაშირეთი»), რომელებიც გვარებისაგან შედგებოდა, მსხვილი ფეოდალი — მალიქი — მეთაურობდა. მალიქობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა, მაგრამ რელიგიური ლიდერის, მარშიმონის, მიერ მტკიცდებოდა. ყველა მალიქი პასუხისმგებელი იყო მარშიმონის წინაშე.

რუსეთის იმპერიაში გადმოსახლების შემდეგ ასურელთა სოციალური ორგანიზაცია შეიცვალა, ხსენებული გვაროვნულ-ტომობრივი სტრუქტურა დაიშალა და ასურელებმა სახელ-გვარები მიიღეს. პატრონიმიის აღმნიშვნელ «ბით» პრეფიქსიან ოჯახის სახელს დაერთო რუსული სუფიქსი «ოვი» ან «ევი», მაგალითად, ბითკაშა (მღვდლის ოჯახი) გახდა კაშაევი, ბითრუბან იქცა რუბანოვად და ა.შ. დასავლეთ საქართველოში ასურულ გვარსახელების წარმოება ქართული სუფიქსების «ძე» და «შვილი»-ს დართვით და ქართული ანთროპონიმიკის კანონებით წარიმართა — შეიცვალა მორფოლოგია და, ნაწილობრივ, შენარჩუნდა სემანტიკა (ბითიოა — იონანიძე, ბითაშიკშაი — აშკაშიძე და ა. შ).

XX საუკუნემდე ასურელებმა შეინარჩუნეს დიდი ოჯახები, რომელთა ორგანიზაცია მთლიანად ემთხვეოდა კავკასიაში გავრცელებულ ანალოგიურ ერთეულს. მთელი ძალაუფლება თავმოყრილი იყო ოჯახის უფროსის ხელში, რომელიც განაგებდა საოჯახო ქონებასა და ფუნქციებს ანაწილებდა ოჯახის წევრებს შორის.

მიგრაციული პროცესების გავლენით დიდი ოჯახის სტრუქტურა ნაწილობრივ დაირღვა. საქართველოს თანამედროვე ასურელთა ოჯახში ორი ან სამი თაობაა (დაქორწინებული ძმები ერთად აღარ ცხოვრობენ) და იგი საშუალოდ 5-7 წევრისგან შედგება. ხშირია სამ და მეტშვილიანი ოჯახები.

შეიცვალა საოჯახო ქონების გაყოფის წესიც. თუ წინათ დიდი ოჯახის გაყოფა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ექვემდებარებოდა, ახლა უკვე სახელმწიფო სამართლის ნორმებს ექვემდებარება. მაგალითად, ქალს ადრე საოჯახო ქონებიდან მხოლოდ მზითევი ეკუთვნოდა და ქონებას ძმის უყოლობის დროსაც ვერ მიიღებდა. დღეს კი, გაყოფის დროს, როგორც წესი, ქალის ინტერესსაც ითვალისწინებენ.

ქორწინება. ტრადიციულად, ასურელები ადრეულ ასაკში ქორწინდებოდნენ — მამაკაცები 16-20-ის, ხოლო გოგონები — 12-14 წლის. დღეს ეს ტრადიცია დარღვეულია და ვაჟები 20-25, ხოლო ქალები 17 წლის ასაკიდან ქორწინდებიან.

საქორწინო წყვილის შერჩევას ქალ-ვაჟის ოჯახი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. მექორწინეთა სავარაუდო წრე საკმაოდ ფართოა, რადგან თეორიულად შეიძლება ყველა ქალ-ვაჟი შეუღლდეს, თუ ისინი ნათესავები არ არიან. ასურელებში საკმაოდ ლოიალური დამოკიდებულებაა ინტერეთნიკური ქორწინებისადმი — ქორწინდებიან ქართველებზე, სომხებზე, ოსებზე და ქრისტიანობის მიმდევარ სხვა ეთნოსის წარმომადგენლებზე. არის ებრაელებთან ქორწინების შემთხვევებიც, მაგრამ კატეგორიულად გაურბიან მუსლიმებთან შეუღლებას.

XIX-XX საუკუეებში ოჯახის შექმნის ტრადიციული ფორმა იყო გარიგებით ქორწინება. ეს ტრადიცია დღესაც საკმაოდ მყარია, მაგრამ მას, ნაწილობრივ, ჩაენაცვლა სიყვარულით შეუღლება. გარიგებით ქორწინების შემთხვევაში ინიციატივა ვაჟის ოჯახიდან მოდის. ვაჟისთვის შესაფერის კანდიდატურას ეძებენ ოჯახის წევრი ქალები და შუამავალი-მაჭანკალი («ნაშით არალიღ»), რომელიც ოჯახის ახლობელია და მისი დავალებით მოქმედებს.

ვაჟის ოჯახის წევრი ქალები სხვა-დასხვა თავშეყრისას (ქორწილის, დღეობის, დაკრძალვის, რელიგიური დღესასწაულებისა და ა.შ. დროს) აკვირდებიან შესაფერის სარძლოს და მოწონების შემთხვევაში არკვევენ საპატარძლოს ოჯახის ავკარგიანობას და მის პირად ღირსებებს. მხოლოდ ამის შემდეგ აყენებენ საქმის კურსში სასიძოს, რომელიც შორიდან აკვირდება ქალს. სასიძოს თანხმობის შემთხვევაში იწყება მოლაპარაკებები, რომლებშიც წინათ სასულიერო პირებიც იყვნენ ჩართულნი.

ასურელების მეხსიერებას შემორჩა ქალ-ვაჟის დაწინდვაც. დაწინდვა როგორც აკვანში, ისე მუცლად ყოფნის პერიოდშიც ხდებოდა. ამ რიტუალს «ბარ ჰიმზმანს» უწოდებდნენ — დედების ფეხმძიმობის დროს ან აკვანში დანიშნულები 12-13 წლის ასაკში ქორწინდებოდნენ. ნიშნობის ჩაშლა იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ გოგოს სხვა მოიტაცებდა ან ვაჟი სხვაზე დაქორწინდებოდა. ორივე შემთხვევა დიდად შეურაცხმყოფელი იყო იმედგაცრუებული დანიშნულის ოჯახისთვის და ამას ბევრი გართულება მოსდევდა.

მექორწინეთა მშობლების შეთანხმებას მოჰყვებოდა საპატარძლოს ოჯახში ვაჟის ოჯახის წევრების სტუმრობა, ე.წ. «ბელგა». ქალის ოჯახი სადღესასწაულო სუფრას შლიდა, სტუმრებს ტკბილეული და ხილი, ხოლო სარძლოსათვის ვაჟის ოჯახს საჩუქარი — აბრეშუმის ქალაღაი, ოქროს ნივთები და სხვა — მოჰქონდათ. გაცნობის ამ რიტუალს «მცირე ნიშნობასაც» უწოდებდნენ. «ბელგის» შემდეგ, ერთ კვირაში, იმართებოდა «დიდი ნიშნობა». ნიშნობის სუფრა, რომელშიც უკვე მეჯვარეებიც («ყარივა» და «ყარივთა») მონაწილეობდნენ, ქალებისა და კაცებისთვის ცალ-ცალკე იშლებოდა. სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ასურული კერძები — ბურუშა გუფთა, ტოლმა და გირსა. დიდი ნიშნობისას თანხმდებოდნენ მზითევზე («ნიგდასა») და გამოსასყიდზე («ხილი»).

საქორწინო სამზადისი პარასკევს, გვიან ღამით, იწყება — იმართება სასიძოს რიტუალური ბანაობა და მას დედა ახალ ტანისამოსს უმზადებს. ახალ ტანსაცმელს და საჩუქრებს პატარძლისთვისაც ამზადებს სადედამთილო. შაბათს, დღის პირველ ნახევარში, ვაჟის სახლში გაშლილ სუფრასთან მაყრიონი იკრიბება. სუფრის თავში მჯდარ სიძეს ლოცავს მამა (ან ბიძა — მამის ძმა). შემდეგ მეჯვარე სასიძოს საკურთხ წყალს აპკურებს. იმართება ცეკვა-თამაში და მაყრიონი საპატარძლოს სახლისკენ მიემართება. იქ ქალი მეჯვარე პატარძალს საქორწილო ტანსაცმელში გამოაწყობს. იმართება სიძე-პატარძლის დასალოცი მცირე სუფრა, რის შემდეგაც მამამთილი შინ ბრუნდება, წყვილი კი დიდ გაშლილ სუფრასთან მიჰყავთ. სუფრა პატარძლის ოჯახში გამთენიისას იშლება და ქალ-ვაჟი ახლობლებთან ერთად ჯვრის დასაწერად ეკლესიაში მიჰყავთ.

ტაძრიდან გამოსული ჯვარდაწერილები პატარძლის ოჯახში ბრუნდებიან. დედოფალი მშობლებთან ერთად სახლში შედის. კარი მჭიდროდ იკეტება, ეზოში იწყება ვაჭრობა გამოსასყიდზე ქალისა და ვაჟის ახლობლებს შორის.

საქართველოს ასურელებში ეს ვაჭრობა ადრე საკმაოდ სერიოზულ ხასიათს ატარებდა და გამოსასყიდი თანხაც სოლიდური იყო. ქალის გამოსყიდვის რიტუალი დღემდეა შემორჩენილი დასავლეთ საქართველოს ასურელებში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში იგი სიმბოლურ ხასიათს ატარებს.

დაკრძალვის წესები. მიცვალებულს პირისახით აღმოსავლეთისკენ ათავსებენ და ამის შემდეგ ატყობინებენ ახლობელ-ნათესავებს მის გარდაცვალებას. ად-რე მიცვალებულის განბანვის მიზნით ღვთისმსახური — ზარების მრეკავი ან მღვდელი — მოჰყავდათ. მოგვიანებით ეს მოვალეობა რიგითმა ადამიანებმა — ძირითადად, ოჯახის ნათლიებმა — იკისრეს. რიტუალი «მამაო ჩვენოს» წაკითხვით იწყება.

განწმენდა-განბანვა ნაკურთხი წყლით ხდება. სახელდახელოდ გაკეთებულ ხის ჯვარს თბილი წყლით სავსე ჭურჭელში ათავსებენ. განმბანავი ამ წყალში დასველე-ბული ხელით მიცვალებულს ჯვარს გამოსახავს და ოჯახის წევრების დახმარებით განბანვის პროცედურას იწყებს. დარჩენილი წყალი ხის ჯვართან ერთად გადააქვთ ვარცლში და მიცვალებულს თავთან უდგამენ ანთებულ სანთლებთან ერთად.

ადრეულ ხანაში მიცვალებულთათვის კუბოს არ იყენებდნენ, სუდარაში ახვევდნენ მათ და თოკებისგან საგანგებოდ დაწნულ საკაცეზე ასვენებდნენ. აღმ. საქართველოს

ასურულ მოსახლეობაში ბოლო დრომდე შემორჩა მიცვალებულის კევრზე დასვენების ტრადიცია. საუკეთესო გამრჯელ გლეხს, გუთნისდედას, კევრზე დაასვენებდნენ, იქვე განბანდნენ და შემოსავდნენ.

განსვენებულს მიცვალებიდან მესამე დღეს კრძალავენ, თან ატანენ ლოცვანსა და ხის ჯვარს. სახლიდან გამოსვენების წინ კი ამტვრევენ იმ ნივთებს, რომლებსაც მიცვალებული ყოველდღიურად ეხებოდა: სკამს, ჭიქას, თეფშსა და ა.შ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ასურელები დასაფლავების შემდეგ განსხვავებულ რიტუალებს ასრულებენ. სოფ. ქანდაში (მცხეთის რაიონი) დაკრძალვის დღის ბოლოს, გვიან, მამაკაცებს საფლავზე მიაქვთ ხორცი, რომელსაც იქვე წვავენ, ღვინოს აყოლებენ და მიცვალებულს მოიხსენიებენ. დას. საქართველოში ასურელები 40 დღემდე მარხულობენ და ხორცს არ მიირთმევენ.

გლოვეს შემდეგ, მე-40 დღეს, სასაფლაოდან მობრუნებულ ჭირისუფალს ოჯახის ნათლია მაკრატლით შემოაჭრის ძაძებს, რასაც ასურელები «შავის მოხსნას» უწოდებენ.

ყველა რელიგიურ დღესასწაულზე ასურელები მთელი ოჯახით გადიან სასაფლაოზე და გარდაცვლილ ნათესავებს მოიხსენიებენ.

რელიგია
და რწმენა-წარმოდგენები

თანამედროვე ასურელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანული აღმსარებლობისაა. მათი წინაპრები აღმოსავლეთში ერთ-ერთი პირველი ქრისტიანები იყვნენ. დაახლოებით 300 წელს ჩამოყალიბდა ასურული (აღმოსავლეთის) ეკლესია ცენტრით სელევკია-ქტესიფონში. V საუკუნიდან ასურელთა ეკლესიამ ნესტორიანებლობა მიიღო და ანტიოქიურ ქრისტოლოგიურ სწავლებას შეუერთდა. ნესტორიანელთა მოძღვრებას სათავე დაუდო ნესტორ კონსტანტინოპოლელმა, რომლის ქრისტოლოგიური დოქტრინით, იესო ქრისტე არის მხოლოდ კაცი, რომელშიც ღმერთი სულიწმიდის საშუალებით ჩასახლდა. ამიტომ ღვთისმშობელს («თეოთოკოს») უნდა ეწოდოს კაცისმშობელი («ანთროპოთოკოს») ან ქრისტესმშობელი («ქრისტოთოკოს»). 431 წელს ეფესოში, მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო და განკვეთა ნესტორი.

XIV საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთის ასურული ეკლესიის მრევლის დიდი ნაწილი განადგურებულ იქნა თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად, რამაც, ცხადია, დაამცრო ეს ეკლესია. მოგვიანებით, მის დასუსტებას ხელი შეუწყო ასურელთა ნაწილის კათოლიკობაზე გადასვლამ და ე.წ. ქალდეური კათოლიკური ეკლესიის შექმნამ (1530-იანი წლები), რომელიც რომს დაექვემდებარა.

საქართველოს ასურელთა დიდი ნაწილი მართლმადიდებელია, მცირე ნაწილი — კათოლიკე. ნესტორიანელ ასურელთა მართლმადიდებლობაზე გადასვლა 1830-იანი წლებიდან, რუსეთ-სპარსეთის ომის შემდეგ, დაიწყო. პირველად სპარსეთის

ტერიტორიიდან გამოქცეული და კავკასიაში ჩასახლებული ასურელები გადავიდნენ მართლმადიდებლობაზე. 1867 წელს თბილისიდან ერევნის სახანოში დანიშნულმა დეკანოზმა დავით გურგენიძემ, 22-მდე ასურელი აზიარა მართლმადიდებლობას (მათი თხოვნის საფუძველზე). მოგვიანებით, თბილისელმა ასურელებმა ვერაზე (ყოფილი აგურის ქარხანასთან) შეისყიდეს წმ. თომას ეკლესია, სადაც წინამძღვრად ერევნის სახანოდან დაბრუნებული დეკანოზი დავით გურგენიძე აკურთხეს. დეკანოზი დავითი ასურულად ატარებდა წირვა-ლოცვას, რამაც ასურული მრევლის ძლიერ მატებას შეუწყო ხელი.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მცხოვრებ ასურელთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი იყო. I მსოფლიო ომის პერიოდში მათ თურქეთიდან და ირანიდან გამოქცეული კათოლიკური აღმსარებლობის მცირე ნაწილიც დაემატა, რომლებიც, ძირითადად, თბილისში (კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე) და გარდაბანში (ვასილევკის უბანში) სახლობენ.

მართლმადიდებელი ასურელები, ჩვეულებრივ, ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებში იწერენ ჯვარს, ინათლებიან, იხდიან პარაკლისებსა და პანაშვიდებს. აღნიშნავენ თითქმის ყველა მართლმადიდებლურ დღესასწაულს. განსაკუთრებით გამოარჩევენ წმ. მარიამის მიძინების (28 აგვისტო) და დაბადების (21 სექტემბერი) დღეებს. ამ ღირშესანიშნავ თარიღებს ასურელი მართლმადიდებლები ღამის თევით, ნაციონალური კერძებით, სიმღერით და ცეკვით ეგებებიან წმ. მარიამის ტაძრებსა და მათ ეზოებში. ჰყავთ ქართველი მართლმადიდებელი მოძღვრები.

კათოლიკე ასურელები წირვა-ლოცვას თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე კათოლიკურ ეკლესიაში, ყოველ კვირა დილას ესწრებიან. მათთვის მსახურებას ასურულად ატარებს აშშ-დან (ჩიკაგოდან) ჩამოსული ასურელი მღვდელი ბენიამინი.

აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ასურელებისთვის ტრადიციული ქრისტიანული დღესასწაულების გარდა დიდი დატვირთვა ენიჭება ზამთრის (18 იანვარი) და ზაფხულის (14 ივნისი) მოსავლისა და ბარაქის დღესასწაულებს, რომლებსაც «მარეზობა» ეწოდება. მარეზობა ზამთარში ხორცის დღესასწაულია. ახალ წლიდან მოკიდებული სოფელში გროვდება ფული, რომლითაც 18 იანვრისთვის საქონელს იძენენ. სამი დღის მარხვის შემდეგ, 18 იანვარს, გამთენიისას, კლავენ საქონელს, ხარშავენ და ხორცს მთელ სოფელში არიგებენ. საქონელთან ერთად საღვთო მამლებიც იკვლება. ზაფხულის მარეზობისას სოფელში გროვდება რძე, ფქვილი, ერბო, სოფლის შუაგულში, ხის ჩრდილში დუღდება «მურთუხა» (ყოველივე ამის ნაზავი) და მთელი სოფლის მოსახლეობაზე ნაწილდება.

მარეზობის სხვა განმარტება აქვთ დას. საქართველოს ასურელებს. ისინი მარეზის დღესასწაულს, სურვილის დღეს უწოდებენ.

როგორც მართლმადიდებელ, ისე კათოლიკე ასურელებში გვხვდება დამატებითი რელიგიური დღესასწაულები და მათთან დაკავშირებული სამარხვო დღეები. მაგალითად, თბილისელი კათოლიკეები აღდგომამდე 70 დღით ადრე, სამ დღეს — ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს — მარხულობენ, რასაც ნინევიის (ასურეთის

დედაქალაქი ძვ. წ. VIII-VII სს.) გადარჩენის დღეს უკავშირებენ — «ბაუთა დნნვაი» «ნინევიის სურვილს» ნიშნავს.

საქართველოში მცხოვრებ ასურელებში ჩამოყალიბდა, ე.წ. სინთეზირებული რელიგია: იგი ნესტორიანულ, მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ელემენტებს შეიცავს.

ფოლკლორი

საქართველოს ასურელთა ეროვნული ფოლკლორი ყველაზე კარგად ცეკვებშია შემონახული. ასურულ ცეკვებს, «შერხაანსა» და «კოჩაარს», ძირითადად, ქორწილებში და რელიგიურ დღესასწაულებზე ასრულებენ. მათ მოლხენის გარდა, ავი სულების განდევნის ფუნქციასაც ანიჭებენ. ასურული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები მრავლად არის შემორჩენილი დას. საქართველოს ასურულ მოსახლეობაში.

ნინო აბაშიძე

თანამედროვე ვითარება

1990-იან წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გამო თბილისში მცხოვრები ასურელები ემიგრაციაში, ძირითადად, რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებში წავიდნენ. გარდაბანში კომპაქტურად დასახლებულებმა რუსეთს, განსაკუთრებით სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებს, მიაშურეს, სადაც ემიგრირებული და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრირებული მათი ნათესავები ცხოვრობდნენ.

ემიგრაციის შედეგად 1989 წელთან შედარებით ასურელების რაოდენობა 6 ათასიდან, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, 3. 299-მდე შემცირდა. ამჟამად ასურელები, ძირითადად, ცხოვრობენ თბილისში (კომპაქტურად არიან დასახლებულნი დედაქალაქის ორ რაიონში: ვაკესა და კუკიაზე), გარდაბანში, სოფ. ძველ ქანდაში, მცირე რაოდენობით არიან ბათუმში, სენაკში, ზუგდიდსა და ქუთაისში.

თბილისში მცხოვრები ასურელები, ძირითადად, წვრილ ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევენ. მნიშვნელოვან დახმარებას იღებენ ემიგრაციაში წასული ნათესავებისაგან ფულადი გზავნილების სახით. გარდაბანში მცხოვრები ასურელების ძირითადი საქმიანობა ხელოსნობაა.

საქართველოს ასურელები, ძირითადად, რუსულენოვანები არიან. გამონაკლისია სოფ. ძველ ქანდაში მცხოვრები ასურელები, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ ქართულ ენასა და განათლებას ქართულ სკოლებში იღებენ, ასურულ ენას კი, ძირითადად, ოჯახებში სწავლობენ.

გარდაბანში მცხოვრები ასურელები თითქმის მთლიანად რუსულენოვანები არიან და ისინი განათლებას რუსულ სკოლაში იღებენ. თბილისელი ასურელების მცირე ნაწილი განათლებას ქართულ სკოლებში იღებს, თუმცა უპირატესობას რუსულ სკოლებს ანიჭებს, რადგან ისინი რუსეთში ემიგრაციაზე არიან ორიენტირებულნი. თბილისში მცხოვრები ასურელები მშობლიურ ენას, ძირითადად, ოჯახებში სწავლობენ. ბოლო წლებში მშობლიური ენის შესწავლა ეკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლაშიც გახდა შესაძლებელი, სადაც ახალგაზრდებისათვის ენის შემსწავლელი სპეციალური კურსები ტარდება.

საქართველოში დაფუძნებული ასურული ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია საქართველოს ასურელთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც 1992 წლიდან მოქმედებს. იგი საქართველოში ასურულ თემს წარმოადგენს. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ასურული ენის, კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების დამყარება.

საქართველოში მცხოვრებ ასურელთა საერთაშორისო კონგრესს მჭიდრო კავშირები აქვს მსოფლიოში მოღვაწე საერთაშორისო ასურულ ორგანიზაციებთან. ორგანიზაციის წარმომადგენელი 2005 წელს ასურელთა საერთაშორისო ალიანსის 24-ე მსოფლიო კონგრესზე აღმასრულებელ საბჭოს წევრად აირჩიეს. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი საქართველოში მცხოვრებ ასურელებთან კავშირების შენარჩუნებაც არის. თბილისის გარდა, ასურელთა ინტერესების დამცველი ორგანიზაცია — ასურული კულტურული ცენტრი «ბეტ ნახრაინ» — გარდაბანშიც საქმიანობს.

1990-იანი წლებიდან საქართველოში არსებობს ასურული ცეკვის ანსაბლები «ნინევია» და «დაიანა», გამოდის საქართველოში მცხოვრებ ასურელთა საერთაშორისო ეროვნული კონგრესის გაზეთი «ავი-უთა», სადაც სტატიები ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდება.

1995 წელს თბილისში დაარსდა ასურულ-ქალდეური კათოლიკური მისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მამა ბენიამინ ბეტ-იადგარი. მისიის საქმიანობის მიზნები სამ სფეროს მოიცავს: სულიერს, ჰუმანიტარულსა და საგანმანათლებლოს. მისია დახმარებას უწევს სოციალურად დაუცველ ასურელებს. გარდა ამისა, მისიაში არსებობს ახალი სირიული ენის შემსწავლელი კურსები და ახალგაზრდული ჯგუფები.

საქართველოში მცხოვრები ასურელების უმრავლესობა მართლმადიდებელია, თუმცა ისინი კათოლიკურ ეკლესიაში ასურულ-ქალდეურ ლიტურგიასაც ესწრებიან. ასურულ-ქალდეური წესით ლიტურგია თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში პირველად 1995 წელს ჩატარდა. ღვთისმსახურებას ბენიამინ ბეტ-იადგარი ატარებს, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ასურულ-ქალდეური ეკლესიის

წინამძღოლია. ეკლესიასთან ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, სადაც ასწავლიან ასურულ ენას, რელიგიის ისტორიას. ყოველ კვირას ლიტურგია იმართება გარდაბანშიც.

ქართულ ენაში ასურელების აღმნიშვნელი სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება. ქართულში სირიელისა და ასურელის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები დიდი ხნის შემოსულია, რაც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. «სირიელი» დღეს მარტო სირიის არაბული სახელმწიფოს მკვიდრს კი არ გულისხმობს, არამედ ქრისტიან არამეელსაც, და სწორედ ეს იყო მისი პირველადი და ძირითადი მნიშვნელობა. რაც შეეხება ტერმინ «ასურელს», დღეს იგი აღნიშნავს როგორც მესოპოტამიის ტერიტორიაზე ოდესღაც არსებული სახელმწიფოს — ასურეთის — მკვიდრს, ისე სირიელსაც.

თანამედროვე სირიელები თავის თავს ასურელებს უწოდებენ, რადგან თავს ძველი ასურელების შთამომავლებად თვლიან. ამასთანავე, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხდება შემთხვევები, როდესაც «ასურელი» სირიელის მნიშვნელობით იხმარება.

ტერმინი «აისორ» ქართული წერილობითი ძეგლებიდან პირველად თავს იჩენს ერეკლე II-ის წერილებში და იგი «ასურელის» იდენტურია. შემდეგ ეს იქცა იმ ასურელთა (სირიელთა) გავრცელებული სახელწოდებად, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ქართლში, სადაც მათ კომპაქტურად დასახლებული სოფლები აქვთ.

უკანასკნელ წლებში «ასურელის» ნაცვლად ხშირად იხმარება ტერმინი «ასირიელი», რომელიც, ძირითადად, ზეპირ მეტყველებასა და ჟურნალ-გაზეთებში გვხდება. «ასირიელი» რუსულის გავლენითაა შემოსული ქართულ მეტყველებაში. იგი რუსულ სკოლებში აღზრდილმა ასურელებმა შემოიტანეს და, ქართული ტრადიციის უგულებელყოფით, ქართულშიც დამკვიდრდა.

მამუკა კომახია

უდიები

უდიები კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი აბორიგენული ეთნიკური ჯგუფია. ცხოვრობენ საქართველოში, ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანში (სოფ. ოქტომბერში, სადაც 1920-22 წლებში გადმოსახლდნენ აზერბაიჯანიდან — ნუხის ოლქის სოფ. ვართაშნიდან, აზერბაიჯანელებისა და სომხების თავდასხმების გამო) და აზერბაიჯანის სამ სოფელში: ვართაშენში, ნიჯსა და მირზაბელუში.

ზინობიანელი და ვართაშნელი უდიები მართლმადიდებელი ქრისტიანები (დიოფიზიტები) არიან, ნიჯელნი და მირზაბელუელნი — სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მრევლს მიაკუთვნებენ თავს.

უდიური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფს, აქვს ორი დიალექტი: ვართაშნული და ნიჯური, ხმოვანთა რთული და თანხმოვანთა რამდენადმე რთული სისტემით — 13 ხმოვანი, 38 თანხმოვანი. უდიები მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ.

უდიურ დამწერლობას (ანუ ალბანურს) სამეცნიერო ლიტერატურაში მიაკუთვნებენ წაუკითხავ წარწერებს, რომელიც აღმოჩენილია საქართველოში, აზერბაიჯანში, დაღესტანში. ამჟამად უდიური უმწერლობო ენაა. XX საუკუნის 20-იან წლებში უდიურისთვის შემოღებულ იქნა ლათინური ანბანი. 1934 წელს გამოქვეყნდა თევდორე ჯეირანაშვილის მიერ შედგენილი საანბანო-საკითხავი სახელმძღვანელო, რომლითაც უდიური ენა 1945 წლამდე ისწავლებოდა.

საქართველოში მოსახლე უდიები კახეთის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს (მევენახეობას, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას) მისდევენ. აზერბაიჯანში მცხოვრები უდიების სამეურნეო ყოფა კი ადგილობრივი მოსახლეობის ყაიდაზეა მოწყობილი.

რაოდენობა და განსახლება

მსოფლიოში უდიების რაოდენობასთან დაკავშირებით ერთიანი მოსაზრება არ არსებობს და სრული სიზუსტით მათი რაოდენობის დასახელება სირთულეებთან არის დაკავშირებული. პირველი, შედარებით სანდო წყარო მათი რაოდენობის შესახებ XIX საუკუნის მიწურულიდან არსებობს: 1880 წელს რუსეთის იმპერიაში 10 ათასი უდი ცხოვრობდა, 1897 წელს — 4 ათასი, 1926 წელს — 2500, 1959 წელს — 3700, 1970 წელს — 5900, 1979 წელს — 7 ათასი. ეს განსხვავებანი იმით არის გამოწვეული, რომ ამ ხალხის უდიებად რეგისტრაცია დამოკიდებული იყო: 1) კონკრეტულ

პერიოდში ხელისუფლების პოლიტიკის მიზნებზე, 2) უდიების მიერ კონფესიური კუთვნილების ან მათი იმჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის, ადგილ-ზე გავრცელებული ენის ან მშობლიურ ენად რომელიმეს დასახელებაზე, 3) უდიების განათლების ან კომუნიკაციის ძირითად ენაზე.

1989 წლის აღწერის მონაცემებით, საბჭოთა კავშირში 8652 უდი ცხოვრობდა: მათ შორის აზერბაიჯანში — 6125, რუსეთში — 1102, საქართველოში — 793, ყაზახეთში — 366, უკრაინაში — 109, უზბეკეთში — 46, თურქმენეთში — 32, ტაჯიკეთში — 31, მოლდავეთში — 16, ბელორუსიაში — 15, ლატვიაში — 15, ყირგიზეთში — 2. საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში გაფანტული უდიები წარმოშობით აზერბაიჯანიდან არიან. ეს რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული: 1) ისინი აზერბაიჯანის დღევანდელი ტერიტორიის მკვიდრი ეთნოსია, 2) აზერბაიჯანის ტე-რიტორიაზეა მათი ისტორიული სამშობლო და ფესვები, 3) აზერბაიჯანის გარდა, მსოფლიოში არსად არ არის უდიური თემი ან დასახლება, 4) უდიებმა აზერბაიჯანში სხვა მცირე ერებზე ნაკლებად განიცადეს ასიმილაცია.

1970 წლის აღწერით, საქართველოში 800 უდი ცხოვრობდა, 1989 წელს — 793. 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით კი, საქართველოში 203 უდი ცხოვრობს და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ყვარლის რაიონის სოფ. ზინობიანშია დასახლებული. თუმცა, საქართველოში უდიების ასოციაციის ხელმძღ-ვანელის, მამული ნეშუმაშვილის, შეფასებით, ყვარლის რაიონში ორჯერ მეტი უდი ცხოვრობს. აზერბაიჯანში 4100-მდე უდი გაბალის რაიონის სოფელ ნიჯისა და ოღუზის რაიონული ცენტრის მცხოვრებია, რუსეთში კი, ძირითადად, აზერბაიჯანიდან ემიგრირებული 3700-მდე უდი არის დასახლებული.

წარმომავლობა და ისტორია

უდიების უძველესი წარსულისა და ადგილსაცხოვრისის შესახებ ცნობები ძველაღმოსავლურ და ანტიკურ წყაროებში მოიპოვება. ვარაუდობენ, რომ უდიების წინაპრები იყვნენ ძვ. წ. III ათასწლეულის შუმერულ-აქადურ ტექსტებში დამოწმებული კუტიები (გუტიები), რომლებიც მთიანი ზაგროსის უძველეს მოსახ-ლეობას შეადგენდნენ. ბაბილონური წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ კუტიების შემოსევამ ძვ. წ. III ათას-წლეულში დაამხო აქადური დინასტია. კუტიების ბატონობა მესოპოტამიაში დაახლოებით 125 წელს გრძელდებოდა და მათი უკანასკნელი მეფე ტირაკანი ურუქის მბრძანებელმა უტუხეგალემ დაამარცხა. შუამდინარეთიდან სამშობლოში (სამხრ. აზერბაიჯანში) დაბრუნებული უდიები ლულუბების მიერ იქნენ შევიწროვებულნი და იძულებულნი გახდნენ ამიერკავკასიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში დასახლებულიყვნენ. ურარტული ლურსმული წყაროები მათ ეტიუნების სახელით მოიხსენიებენ. მკვლევართა ერთი ნაწილი «ეტი-უნებს» ანტიკური წყაროების «უტიებთან» («ჯტიებთან») აიგივებს. ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.) აქამენიანთა იმპერიის მეთოთხმეტე სატრაპიეს აღწერისას, ასახელებს საგარტიებს, სარანგიებს, თამანელებს, მიკებს, უტიებს და სხვ. ჰეროდოტეს მიხედვით, ქსერქსეს ლაშქარში მყოფი უტიები ტყაპუჭით იყვნენ შემოსილნი და მშვილდები და ხანჯლები ჰქონდათ. სტრაბონი (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს.) «გეოგრაფიაში» ასახელებს კასპიის ზღვის მთიან სანაპირო ზოლში მოსახლე გელებს, კადუსებს,

ამარდებს, ჯტიებსა და ანარიაკებს. იქვე ნათქვამია, რომ აჲნიანებს ჯტიაში აუგიათ ქალაქი, რომელსაც აჲნიანა ეწოდებოდა. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის (V ს.) «სომხეთის ისტორია» გვამცნობს, რომ ალბანეთის მკვიდრი მოსახლეობა ოთხი ტომისაგან შედგებოდა: უტეაცთა, გარდმანელთა, წავდეელთა და გარგარელთა გვარებისგან. იქვე აღნიშნულია, რომ ალბანელთა მითიური წინაპრისგან — არანისგან — წარმოდგება უტეათა გვარი. მომვსეს კალანკატუაცი (სავარაუდოდ, VII-X სს.), რომელიც უტიის პროვინციის სოფ. კალანკატუკიდან იყო, «ალვანთა ქვეყნის ისტორიაში» უტიებს არანის შთამომავლებად მიიჩნევს და სხვადასხვა ამბების თხრობისას მათ მრავალჯერ მოიხსენიებს.

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით, იმ ავტორებს, რომლებიც კავკასიის ალბანელების ისტორიის, გეოგრაფიის, ენისა და კულტურის საკითხებს სწავლობდნენ, გამოთქმული აქვთ სხვადასხვა მოსაზრებანი: უდიები ალბანელების შთამომავლები არიან (ა. იანოვსკი, ა. კრიმსკი, ა ბოლტუნოვა, ი. მეშჩანინოვი, ზ. იამპოლსკი, გ. მელიქიშვილი, კ. ტრევერი, ფ. მამედოვა), უდიების სამშობლო ჰერეთია (მ. ჯანაშვილი), უდიები ნოეს შთამომავლები არიან (მ. ნეშუმაშვილი), უდიები ცხოვრობდნენ მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე ალაზნის შესართავთან (კ. ტრევერი), უდიები ცხოვრობდნენ მდ. არაქსის სამხრეთით, ირანის აზერბაიჯანში, ე.ი. იქ, სადაც შუმერულ-აქადური წყაროების მიხედვით ლოკალიზდებიან კუტიები. I საუკუნეში უტიებმა ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და არაქსმა გაყო მათი მიწები — ოტენა (ძირიდან «ოტ»-»უტ») ატროპატენასაგან. II საუკუნეში უტიები მდინარე მტკვართან აღმოჩნდნენ (ი. ალიევი).

უდიური ენის მეცნიერული შესწავლა XIX საუკუნიდან დაიწყო. ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდეს ა.შიფნერმა, ა. დირმა, ფ. მიულერმა, რ. ერკეტმა, ჰ. შუხართმა, ტ. დიუმეზილმა, ნ. ტრუბეცკოიმ, ი. მეშჩანინოვმა, კ. ბოუდამ, რ. ლაფონმა; ქართველმა მეცნიერებმა: პ. ინგოროყვამ, ივ. ჯავახიშვილმა, ილ. აბულაძემ, აკ. შანიძემ, არნ. ჩიქობავამ, ვლ. ფანჩვიძემ, ევგ. ჯეირანიშვილმა, ზ. ალექსიძემ, რომელთა აზრითაც უდიური ენა ძველი ალბანური ანბანის გასაღებს წარმოადგენს.

უდიებს ეთნოგრაფიულად იკვლევდნენ ა. შიფნერი, ა. არუთინოვი, გ. ბარხუდარიანი, მ. ბეჟანოვი, გ. ბეჟანიშვილი, თ. შარაბიძე, ა. არზუმანიანი. მათი მონაცემები (უდიებისა და აზერბაიჯანელების წეს-ჩვეულებების მკვეთრი განსხვავება) უსაფუძვლოს ხდის ზოგი ავტორის (ა. ბაკიხანოვი, ზ. იამპოლსკი) მოსაზრებას აზერბაიჯანელების ალბანეთის მკვიდრი მოსახლეობის შთამომავლებად მიჩნევის შესახებ.

რელიგია

უდიები IV საუკუნეში გაქრისტიანდნენ, მაგრამ VII საუკუნეში არაბთა მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის დაპყრობის შედეგად ქრისტიანმა უდიებმა, ისევე როგორც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობამ, ისლამი მიიღო. თუმცა ნაწილმა ძველი რწმენა შეინარჩუნა, რის შედეგადაც VII საუკუნეში, არაბთა ხალიფის განკარგულებით, ისინი სომეხთა სამოციქულო ეკლესიას დაექვემდებარნენ,

რომელიც ჯერ კიდევ VI საუკუნეში ცდილობდა ავტოკეფალური ალბანური ეკლესია შეერთებინა.

უდიების დასავლური ჯგუფების საბოლოო გადასვლა მართლმადიდებლობაზე, სავარაუდოდ, XI-XIII საუკუნეებში დაიწყო, რეგიონში ქართული ეკლესიის გააქტიურების გამო. უდიებს შემორჩათ გადმოცემა XV საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი სასულიერო პირის, იოანეს საქმიანობის შესახებ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი უდიური ეკლესიის წინამორბედად ძველი ალბანეთის ისტორიულ ეკლესიას მიიჩნევს. 1836 წელს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა უდიებს ალბანური ტრადიციის უარყოფა აიძულა, რის გამოც ვართაშენის უდიები ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შეურთდნენ. ეს, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სოფ. ზინობიანში მათი ემიგრაციისა. სოფ. ნიჯში მცხოვრები უდიები კი სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას შეერწყნენ. ამ ფაქტორის გამო უდიების ბევრმა გვარმა სომხური დაბოლოება მიიღო. ამას ხელს უწყობდნენ ადგილობრივი სომხური ეკლესიის წარმომადგენლებიც, რომლებიც მათი გვარების რეგისტრაციის დროს სომხურ დაბოლოებას (-იან) იყენებდნენ, რის გამოც შემდგომში ბევრმა მეზობელმა ისინი სომხებად ჩათვალა, რამაც მთიანი ყარაბაღის ომის დროს, აზერბაიჯანელი მეზობლების მხრიდან, რეპრესიების საფრთხე შექმნა.

სომხური მხარის შეფასებით, უდიები სომეხთა ეკლესიის მიმდევრები იყვნენ, ისევე, როგორც ადრე კავკასიელი ალბანელები. ამიტომაც ისინი მათ «სომეხ უდიებად» მოიხსენიებდნენ, «ქართველი უდიებისგან» განსხვავებით, რომლებიც მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმდევრები არიან. ამან ხელი შეუწყო იქაური უდიების იდენტიფიცირებას სომხებთან, რამაც მთიანი ყარაბაღის ომის დროს მათი შევიწროება გამოიწვია, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ სოფ. ნიჯიდან აყრილიყვნენ.

ოღუზის რაიონში მცხოვრები უდიები მართლმადიდებლები არიან, თუმცა მათ შორის სომეხთა ეკლესიის წევრებსაც ვხვდებით. ისინი, ძირითადად, სოფ. ნიჯში ცხოვრობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობას უდიებმა თავისი ძველი რელიგიური წარმოდგენებიც შეუერთეს. ამის გამო სადღესასწაულო ცერემონიები უდიური რწმენებისა და ქრისტიანული კულტების ნაზავს წარმოადგენს (იხ. ქვემ.)

გვარები და საცხოვრებელი გარემო

სოფ. ნიჯის დასახლება მოიცავდა 14 უბანს («აიზ-მაჰალა» — ეზო-სოფელი): დალაქლუ, პაწილუ, მალიქლუ, ალჩულუ და სხვ. თითოეული უბანი შედგებოდა 5-25 გვარისაგან («ხოდ»). მაგ., უბან მალიქლუს გვარებია: მურადაარხო, დამეჩაარხო, შირიანლუხ და სხვ. ყველა გვარს ჰქონდა თავისი სალოცავი («ქილისა»), საძოვრები, ყანები, ბაღები. საერთო სალოცავი არ ჰქონიათ. დიდ დღესასწაულებზე სალოცავად მიდიოდნენ სოფ. ვართაშენში — «იეღიშ არაქელში» — და სოფ. ჯილტში (ამჟამად სომხები ცხოვრობენ), ჰქონდათ საერთო სასაფლაო. სოფ. ვართაშენი დასახლებული იყო გვარების («ოდმაღ”) მიხედვით. ეს გვარებია: კანანჩი, ივანი, ყაზარი, ურუზი,

ტღრი, თოსტინ, ჰაჯინ, აღასი, ქუმისა, ტოწკონი, ფოლადი, სილიკი, ჯინკორი, ყოტინ, კიწბაბა, პაჯიკი, ჰუპტანი, ტატანი, ხოსროვი, სილდირი, ფირინ, ნეშუმი, ხოშმატი, გუმბური, ველიხანი, გოგოლი, ფაფახჩინ, ჯეირან, ბულუნი და სხვ. თითოეული გვარი შედგებოდა 4-5 სახლისგან — ოჯახისგან («ქულატ”), ყოველი ოჯახი — 3-4 თაობისგან და აერთიანებდა 20-40 წევრს. სოფ. ყიშლაღი მდებარეობდა სოფ. ვართაშნიდან 2-3 კმ-ზე, დაბლობში, დასახლებული იყო გვარების მიხედვით. ყიშლაღური გვარებია: ხაჩიკი, მევათაღარი, ხანიკი, ყოფინღარი, ჰაივაზი, ნევათაღარი, ყარაბაღარი, ჯუღრაღარი, მისხალი, აღბაბა, აბრამაღარი, ჩალატეზი, ყორთუქალლი, თოლორაღარი, ფაფახში, ივანაღარი, იალაღარი, ყაზარაღარი, მათტარუნ, ტიღრაღარი და სხვ.

1919 წელს იქაური მცხოვრებლები აზერბაიჯანელების თავდასხმების გამო სოფ. ვართაშენში გადავიდნენ. სოფ. ზინობიანში მცხოვრებნი ყიშლაღურ და ვართაშნულ გვართა წარმომადგენლები არიან (ქართული ენის შესაბამისი დაბოლოებითურთ), აქვთ სალოცავი ნიში («ეველ»), რომელიც შედგება ვართაშნის სალოცავ «წიმერიდან» წამოღებული ქვის, მიწისა და ჯვრისგან. სოფლის ცენტრში შენდება წმ. მარიამის სახელობის ეკლესია.

უდიები ძველად საცხოვრებელი ნაგებობის საძირკველს აგებდნენ ქვებით, კედლებს — გამოუწვავი აგურით, ხურავდნენ თივით. მაღალ სხვენში ინახავდნენ როგორც ადამიანების, ასევე საქონლის საკვების მარაგს. ჭერს ამაგრებდნენ ორი დედაბოძით («ოლ»). ცენტრში ჩაუქრობლად ენთო კერა. კერაში იწვოდა დიდი მორი, რომლის ბოლიც გარეთ გადიოდა, რის გამოც დღისით კარი არ იხურებოდა. კედლებზე მოთავსებული იყო ნიშები, სადაც ინახავდნენ ლოგინს, ჭურჭელს. შენობა შედგებოდა 2-3 ოთახისგან, მათგან ერთი სასტუმრო იყო. ეზოში განლაგებული იყო სამეურნეო ნაგებობანი: საქონლის სადგომი და თონე.

სამოსი. უდი მამაკაცის ტრადიციული სამოსია შარვალი, ჩოხა და ახალუხი, ტყავის ან ვერცხლის ქამრით, ფეხსამოსი — ჩექმა ან ტყავის ქალამანი, თავსაბურავი — ცხვრის ბეწვის ქუდი — «ფაფახი» ან «დინგა» (ყაბალახის მსგავსი).

უდი ქალის ტანსაცმელი შედგებოდა გრძელი პერანგისგან («გურატ») და მიწამდე დაშვებული ფართო, წითელი შარვლისგან («ხოლოხ»). მის ზევით იცვამდნენ თეძოებიდან ნაოჭასხმულ, ახალუხის მსგავს «კავაის», გრძელი, მუხლებამდე დაშვებული, ვერცხლის ღილებითა და მონეტებით მორთული, ბოლოებჩაჭრილი სახელოებით. «კავაის» შალის ნაჭრით ან ვერცხლის ქამრით იკრავდნენ. «კავაის» ქვემოთ ატარებდნენ წინსაფარს, რომელიც მკერდს ზემოთ იწყებოდა და მუხლებთან მთავრდებოდა. ახალგაზრდების «კავაი» ღია ფერისა იყო, ხანდაზმულებისა — მუქი. ფეხზე იცმევდნენ ქოშებს («ლალაკანი»). თავსაბურავი მრავალფეროვანი ელემენტებისგან შედგებოდა: შავი მოსახვევის («მაცნ ჩარაგატ») ზემოდან პერანგის ბოლომდე ეშვებოდა წითელი ფერის ჰაეროვანი ქსოვილი, ხოლო მოსახვევის ქვემოდან, თავის ორივე მხარეს, ყურს ზემოდან, მკერდზე ვერცხლის მონეტებით, მარგალიტებითა და სხვა თვლებით მორთული ქსოვილი. ქალი ქორწინებისას სახეს იბურავდა «იეშმაღით», რომლის ქვემოდან მხოლოდ ცხვირი და თვალები უჩანდა. «იეშმაღი» ქალს მთელი ცხოვრება უნდა ეტარებინა.

ნათესაური ურთიერთობები. უდიებს უძველესი დროიდან ახასიათებთ ნათესაობის სისტემის სამი ფორმა: სისხლითი, მოყვრობითი და ხელოვნური. სისხლითი ნათესაობის აგნატური კატეგორიის — საგვარეულოს («ოვლად»/ვართ/, «ხოი»/ნიჯ/) — შიგნით ქორწინება აკრძალულია შვიდ თაობამდე, კოგნატური ნათესაობის ჯგუფში თაობათა ზღვარის დაუდგენლად. მოყვრობითი ნათესაობის (ანუ ქორწინებით შეძენილი ნათესავების) ჯგუფს შიგნით ქორწინება ეკრძალებათ დაქორწინებულ წყვილთა ოჯახის წევრებს. ხელოვნური ნათესაობის ჯგუფში (ძმადნაფიცი — «ვიჩილუღ», ნათლია — «ხაშბაბა», რძით დანათესავებულნი) ისეთივე აკრძალვები მოქმედებს, როგორც სისხლით ნათესაობაში.

უდიების საქორწინო ურთიერთობაში ჯერ სარწმუნოებას ენიჭებოდა უპირატესობა და შემდეგ ეროვნებას. ვართაშნელ და ნიჯელ უდიებს შორის ნიჯელების მიერ სომეხთა სარწმუნოების აღიარების შემდეგ აიკრძალა საქორწინო ურთიერთობა. ამიტომ ვართაშნელები, ნიჯელებთან შედარებით, უპირატესობას ერთმორწმუნე ინგილოებს ანიჭებდნენ და მათზე ათხოვებდნენ ქალებს. უმკაცრესად იკრძალებოდა საქორწინო ურთიერთობანი აზერბაიჯანელებთან. დღეს საქორწინო ურთიერთობისას სოციალურ-ეკონომიკური და სარწმუნოებრივი აკრძალვები აღარ არსებობს.

უდიებში ქორწინებისათვის დასაშვები ასაკი ქალისათვის 12-15, ხოლო ვაჟისათვის 15-17 წელი იყო. 17-18 წლის ქალი შინაბერად («კუამანდი ხინარ»/ვართ/, «კუამანდი ხუვარ» /ნიჯ/) ითვლებოდა. მამაკაცისათვის არ არსებობდა საქორწინო ასაკის ზედა ზღვა-რი — საქორწინო ასაკის დადგომიდან გარდაცვალებამდე მას ყოველთვის შეეძლო დაქორწინებულიყო. დღეისათვის საქორწინო ასაკი 18 წლიდან იწყება.

უდიებში დასაქორწინებლად ქალს რელიგიური დღესასწაულების დროს ირჩევდნენ და ითავისებდნენ მას ქალის წარმომადგენელთან არყის დალევით, ქალისათვის მანდილის სროლით, საქანელაზე ჯოხის შეხებით ან რაიმე ნივთის დადებით.

უდიებმა იცოდნენ გარიგებით ქორწინებაც, დედის ძმის («ხალიკ» /ვართ/, ხოდლიკ», «ხოდლი» /ნიჯ/) შუაკაცობით ან მაჭანკლის («ხოზამანდ») მონაწილეობით. გარიგებით მოლაპარაკების («ხოალდოლი”) წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ ეწყობოდა პატარა ნიშანი («მიწიკ ნიშან») და დიდი ნიშანი („ქალა ნიშან”), რის შემდეგაც ქალი დანიშნულად ითვლებოდა. უდიებში ცნობილია, აგრეთვე, ბავშვის დაბადებამდე ან აკვანში დანიშვნა და მცირეწლოვანთა დანიშვნა. დიდი ნიშნობის შემდეგ ეწყობოდა «ფარჩის სტუმრობა» («ფარჩინ ყონაღლუხ») — ქალებს სასიძოს სახლში მიჰქონდათ ქსოვილები, ქადა-ნაზუქები, არაყი, ხილი, რითაც სასიძოს გზა ეხსნებოდა («ჩოჭეკევსუნი») საპატარძლოს ოჯახისკენ. ნიშნობიდან ქორწილამდე ერთიდან ოთხ წლამდე გადიოდა.

ქორწილის წინა დღეს ირჩვედნენ ქორწილის მეთაურს («თოდბაშ») და მაყრებს, რიტუალურად აცხობდნენ პურს და კლავდნენ ხარს, სასიძო ნათლიასთან ერთად მიდიოდა საპატარძლოს ოჯახში, მიჰქონდა გამოსასყიდი და სასიძო-საპატარძლო ერთად ცეკვავდა. ქორწილის («ლაშკო”) დღეს სასიძოს ნეფედ აკურთხებდნენ («ბეგ ბესუნ») გაპარსვა-განბანებით, მაყრები ესროდნენ ნიშანს — მაღალი ხის წვერზე დაკიდებულ ქათმის თავს, ხახვს ან ვაშლს, შემდეგ კი ქალები ნათლიასა და ნეფეს

ქსოვილებით ასაჩუქრებდნენ. შუადღისას ნეფე მაყრებითურთ, ნეფის მამა და მამიდა («ᲔᲜᲒᲐ») პატარძლის სახლში მიდიოდნენ, პატარძლის ძმას საალაყაფო გადასახადს («დოხყაზ ჰავყი») გადაუხდიდნენ, ნიშანში ისროდნენ. სუფრასთან ნეფე გამოისყიდდა ბალიშს («დოშლიკ»), გაიბუტებოდა, პატარძლის სახლიდან გამოსაყვანად კართან გამოსასყიდს გადაიხდიდა. პატარძალი გამოეთხოვებოდა კერას და მამას, რომელიც ქსოვილის ან ᲯᲮოხის ერთ ბოლოს ნეფეს აძლევდა, მეორეს პატარძალს ან პატარძლის ხელს ჩაუდებდა ნეფეს ხელში და დალოცავდა. პატარძლის გამოყვანის შემდეგ პატარძლის დედა ქსოვილებით ასაჩუქრებდა ნათლიასა და ნეფეს, უძღვნიდა ან უცვლიდა მათ წითელ ვაშლს (ან ბროწეულს), შემდეგ ცეკვავდნენ, გამოისყიდდნენ მზითევს და ნეფე-პატარძალი მაყრიონითურთ ეზოდან გავიდოდა. თან მიჰყვებოდათ პატარძლის მამიდა და პატარა ძმა. მაყრებს მიჰყავდათ მამალი, რომელსაც აყივლებდნენ, უწმაწურ სიტყვებს ეუბ-ნებოდნენ მამიდას და გამოსასყიდს უხდიდნენ ან ეჭიდავებოდნენ პატარძლის ახლობლებს ჩახერგილი გზის გასახსნელად. ეკლესიაში ნეფე-პატარძალი ᲯᲯვარს დაიწერდა და მაყრიონითურთ ნეფის სახლისკენ გაემართებოდა. მექორწილეებს ნათესავ-მეზობლები თავიანთ ჭიშკართან «ტუზლუღით» (ტაბაკი ერბოკვერცხით, პურით, არყითა და სამი სანთლით) ხვდებოდნენ. ნეფის ეზოში შესვლისას ნეფე-პატარძალი გაივლიდა გადაᲯᲯვარედინებულ ხმლებს შორის ჭიშკართან დადებულ ᲯᲯაჭვზე და მიწაში ჩაფლულ ნალზე. ეზოში პატარძალს ნორჩი ხის ძირას დააყენებდნენ, ნათლია ფეხებთან ცხვარს დაუკლავდა და სისხლს სახესა და ხელებზე წაუსვამდა. ნეფის დედა მიულოცავდა პატარძალს — თავზე დაადებდა ქსოვილს. ჩამოატარებდნენ ხონჩებს, ცეკვავდნენ და ნეფე-პატარძალს სახლის კარამდე მიაცილებდნენ. პატარძალი კარს კარაქს წაუსვამდა, მაყრები კი კარზე წასმულ კარაქს ერთმანეთს საულვაშეზე უსვამდნენ. ოთახში შესვლისას პატარძლის ძმა ცდილობდა პატარძალს ზღურბლზე არ გადაებიᲯᲯებინა, მაგრამ მაყრებს თავისი გაჰქონდათ. პატარძალი მულს ჭრელი ფარდით («ᲒᲔᲠᲓᲐᲥ») გამოყოფილი ოთახის კუთხეში შეჰყავდა, სადაც ის ფეხშიშველი უნდა მდგარიყო პატარა ბალიშზე, სანამ დედა არ შეცვლიდა ან დედამთილი ფულს არ აჩუქებდა. როცა პატარძალი დაᲯდებოდა, კალთაში პატარა ბიჭს ჩაუსვამდნენ. მაყრები სუფრას მიუსხდებოდნენ. სუფრასთან ეპატიჟებოდნენ მოგვიანებით მისულ პატარძლის მშობლებსაც. ნეფის მამა პატარძლის მამას მიაწვდიდა პურს, რომელსაც ორივე თავის მხარეს გაწევდა, შეჭამდა, არაყს ან ღვინოს დააყოლებდა და დაილოცებოდა. ასევე იქცეოდნენ ნეფე-პატარძლის დედებიც ქმრების თანდასწრებით. მაყრები მთელ ღამეს ქეიფობდნენ, ნეფე კი შეუმჩნევლად იპარებოდა ნათლიის სახლში. ქორწილის მეორე დღეს პატარძლის ოᲯახის ქალებს ფლავი («ᲭᲐᲔᲜᲐᲮᲣᲤᲘ») მიჰქონდათ ნეფის ოᲯახში. ხსნიდნენ მზითვის სკივრს. ნათლიის სახლიდან დაბრუნებულ ნეფეს მამიდა პატარძალს ჩააბარებდა, ჩაკეტილს გახსნიდნენ — ხარის სისხლში ამოვლებულ კვანძსაც. პატარძალთან წოლის შემდეგ ნეფე ფანᲯრიდან გაიპარებოდა ნათლიის სახლში. თუ პატარძალი ქალწული აღმოჩნდებოდა, გამოიყვანდნენ («ᲑᲘᲜ ᲩᲝᲭᲔᲙᲔᲕᲡᲣᲜ»), ნათლია თავსაბურავს მოხსნიდა და ფულით დაასაჩუქრებდა, პატარძლის ოᲯახს კი «თავᲯᲯას» დოქით ღვინოს და ვაშლს გაუგზავნიდნენ, თუ ქალწული არ აღმოჩნდებოდა, ქურქს უკუღმა ჩააცმევდნენ და მშობლებთან გაუშვებდნენ. საღამოს პატარძალს ფეხები უნდა დაებანა მამამთილ-დედამთილისთვის და შემდეგ სხვათათვისაც, ვინც ოᲯახში იმყოფებოდა. პატარძალს უფროსების წინაშე სახე მუდამ დაფარული უნდა ჰქონოდა, არ უნდა დალაპარაკებოდა დედამთილ-მამამთილს და უფროს მაზლს, მანამ სანამ მამამთილი საჩუქარს არ მისცემდა, არ შეეძლო მათი და ქმრის სახელების წარმოთქმა და სხვების

თანდასწრებით ქმართან ლაპარაკი. ახალი უდიური საქორწილო წეს-ჩვეულებები, ძირითადად, მსგავსია ძველისა, თუმცა ნაკლებრიტუალურია.

დაკრძალვა. ადამიანის გარდაცვალებისთანავე მის დასატირებლად განსვენებულის ოჯახში ახლობელ-ნათესავები იკრიბებოდნენ. განბანებისა და ზიარების შემდეგ მიცვალებულს ეზოში გამოასვენებდნენ და სპეციალურად გამზადებულ კიბეზე («სალაპა») დაასვენებდნენ. მღვდელი მიცვალებულს გულზე დაადებდა ჯვარს, რომელსაც ყველა იქ მყოფი ეამბორებოდა და ფულსაც დებდა. მიცვალებულს კიბითვე მიასვენებდნენ ეკლესიაში და იქ ტოვებდნენ. მეორე დღეს, ლიტურგიის შემდეგ, მიცვალებულის გარშემო ქალები დასხდებოდნენ და დაიტირებდნენ. ერთ-ერთი მოტირალი ქალი ჩამოთვლიდა მიცვალებულის ღირსებებს, სხვები კი უსიტ-ყვოდ მოთქვამდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მღვდელი ქალებს ტირილს შეაწყვე-ტინებდა, კაცები მიცვალებულს სასაფლაოზე წაასვენებდნენ, მიწაში ამოშენებულ სამარხში ჩაასვენებდნენ, სამარეს გადახურავდნენ და მიწას დააყრიდნენ, ქალები კი გარდაცვლილის ოჯახში ბრუნდებოდნენ. დასაფლავების შემდეგ კაცებიც გარდაცვლილის ოჯახში მიდიოდნენ ქელეხზე («ფათარაკ»). «ფათარაკს» შვიდჯერ იხდიდნენ. მეორე «ფათარაკზე» ყველას მიჰქონდა ფლავი და ღვინო. მერვე დღეს სასაფლაოზე გარდაცვლილის ახლობელ-ნათესავები იკრიბებოდნენ, მიცვალებულის ორ გამბანავს გარდაცვლილის ტანსაცმელს უნაწილებდნენ და კვლავ «ფათარაკს» მართავდნენ. მიცვალებულის ხსოვნის პატივსაცემად სექტემბრის შუა კვირას სასაფ-ლაოზე გადიოდნენ, მიჰქონდათ «ტაბაკი» — ფლავი, ხილი, ტკბილეული, ღვინო.

დღესასწაულები

უდიების რელიგიურ დღესასწაულებია: 1. ბზობის კვირა («ზარაზართარ») — გოგონები და პატარძლები ეკლესიაში მიდიოდნენ წირვაზე. ქალი, რომელსაც ოჯახ-ში მიცვალებული ჰყავდა, უთენია ურიგებდა ბავშვებს ხილს, სასიძო საპატარძლოს ახლობლებს ხილს მიართმევდა, საპატარძლოს კი — ფულსა და მანდილში გახვეულ სანთელს («ჩირაღუნ ადლუღ), 2. აღდგომა («ახწიმა») — აღდგომის წინა დღეს, მზის ჩასვლისას, უდიები ეკლესიასთან იკრიბებოდნენ, მიჰქონდათ მოხარშული ცხვრის ხორცი («ახარ»), რომელსაც ღარიბებს უწილადებდნენ და ზეიმობდნენ (ცეკვავდნენ, მღეროდნენ, უკრავდნენ ზურნას). იმ ღამით კლავდნენ შესაწირავ ცხვრებს, რომელთაც წინასწარ შეგროვებული ფულით ყიდულობდნენ და ხორცს არიგებდნენ. აღდგომის მეორე დღეს უდიები სასაფლაოზე გადიოდნენ (მიჰქონდათ წითელი კვერცხები, ფლავი და ხილი), მესამე დღეს დიდ ეკლესიაში («ქალა გერგეც») იკრი-ბებოდნენ სალოცავად და ცხვრის შესაწირად. «ქალა გერგეცის» ეკლესია სოფ. ვარ-თაშნის სამხრეთ ნაწილში მთაზე მდებარეობდა და წმინდა ხეებით იყო გარშემორტ-ყმული. ეკლესიაში სალოცავად დადიოდნენ როგორც უდიები (სხვა სოფლებიდანაც), ასევე სომხებიც. სომხები «ქალა გერგეცს» «იეღიშ არაქელის» (წმინდა ელისეს) ეკლესიას უწოდებდნენ, რის გამოც უდიებსა და სომხებს შორის გამუდმებული დავა მიმდინარეობდა. საბაბიც ჰქონდათ: ეკლესია აშენდა უდი პეტრე სილიკის მიწაზე, რომლის შთამომავლებმაც გრიგორიანული სარწმუნოება მიიღეს და ეკლესიაც გრი-გორიან მორწმუნეებს გადასცეს; 3. ფერისცვალობა («ვართივარ») — გოგონები იღებავდნენ თითებს, კრეფდნენ ხილს და მინდვრის ყვავილებს, რომლებისგანაც ჯვრებს აკეთებდნენ. ხილი და ჯვარი მიჰქონდათ ნათესავ-ახლობლებთან, საფასურად იღებდნენ ფულს და ძღვენს, რომელსაც ერთად მიირთმევდნენ. ბიჭები

და გოგონები «წიმერის» ეკლესიასთან იკრიბებოდნენ, ცეკვავდნენ, ერთმანეთს სიმღერაში ეჯიბრებოდნენ; გოგონები საქანელაზე ქანაობდნენ, სადაც ხშირად მათი «სახელდახელოდ დათავისების» რიტუალიც იმართებოდა.

უდიები საქართველოში გადმოსახლების შემდეგ აღნიშნავენ ორ მაისს, იკრიბებიან სოფლის მახლობლად, მოედანზე და ზეიმობენ, ცეკვავენ, მღერიან, ჭიდაობენ და სხვადასხვა თამაშობებით ერთობიან. ამ დღეს ყველა უდის სახლის კარი ღიაა ნებისმიერი სტუმრისთვის — ახლობლისა თუ უცხოსთვის, — ყველას გულღიად უმასპინძლდებიან.

უდიებმა რელიგიური დღესასწაულების დროს სხვადასხვა თამაშობანი იცოდნენ: «ზანგუ» და «ნიკო ბეშ ჰინგ» (თამაშები ბურთით), «ჩილინგ ჰსთი» (თამაში ჯოხებით), «ჩიზ» (თამაში ბურთითა და ჯოხებით), «ხან» (ყეენობა) და სხვ.

უდიები მრავალფეროვან (დაახლოებით ორმოცდაათამდე) ყოველდღიურ და სარიტუალო კერძს ამზადებენ. მათგან აღსანიშნავია: ერბოს ფლავი («ჭაჲნა-ხუპ»), მზადდება ქიშმიშით, წაბლით, ქათმის ხორცითა და ბრინჯით, ლობიოს ფლავი («ფახლინ-ხუპ») — მზადდება ლობიოთი და ბრინჯით, გოზინაყი («გოზინაყ») — მზადდება დანაყული ნიგვზითა და თაფლით, მიართმევენ სტუმარს.

უდიების რწმენით, არსებობენ კეთილი სულები — ანგელოზები, რომლებიც ხალხს სამეურნეო საქმიანობაში ეხმარებიან და ბოროტი სულები: ალი («ჰალ»), ჯინნი («ჯინ»), ეშმაკი («შეითან»), კოჭლი ეშმაკი («კალა შეითან»), სულთამხუთავი («ქავთაე ქსტი»), რომელთაც ზიანი მოჰქონდათ ადამიანებისთვის. ისინი, ცხოველების სახით მოვლენილნი, იტაცებდნენ ბავშვებს, აცლიდნენ ადამიანებს გულ-ღვიძლს და აწამებდნენ მათ.

უდიური გამოცანები («თაფმაჩიუხ»): ერთ ქვევრში ორნაირი ღვინო რა არის? (კვერცხი).

«სა კოჲე ბოშ პაგ-ჯ რა ი, — ეკა — ა? (ჴოხლა).

2. ერთ თონეში ორნაირი პური: ერთი თბილი, ერთი ცივი, — რა არის? (მზე და მთვარე).
«სა თარნინ ბოშ პაგჯ რა შაუმ: სო გამ, სო ჩახ, ეკა — ა? (ბეღგ ყა ხაშ)».

უდიური ლექსი («აზბარ») — სატრფიალო:

დოდინ ხინარ ჭენებაჭი,
ბეზ უკინ ჭან ხენებაქი
გოლო-ზ-ბუყი ზაჭ ბეღაენე,
ბეზ დილაგ თამ-თე-ნე-ბაქი
ზუ თადალ შუმახუქან,
ვი ფეხ ბეზ ლახო საქან,
ან ინგან მუჭა-ნ-ქარხო,
აგარ უნ ბეზი ბაქან.

დოდაანთ გოგომ გაიარა,
ჩემი გულის ერბო დადნა
(წყლად იქცა).
ძალიან ვისურვე ჩემკენ ეყურა,
ჩემი ნანატრი რამ არ შესრულდა.
ჩემს მოსაცემად პურს თუ შეჭამ,
შენს თვალს თუ ჩემზე დააგდებ
ჩვენ თავიდანვე ტკბილად
ვიცხოვრებთ,
თუკი შენ ჩემი იქნები.

თანამედროვე ვითარება

უდიების საქართველოში ჩამოსახლება 1920-იან წლებს უკავშირდება. ისინი ყვარლის რაიონში დამკვიდრდნენ. სოფელს, სადაც ისინი პირველად დასახლდნენ, ზინობიანი ეწოდა იმ პიროვნების პატივსაცემად, რომელმაც ემიგრირებულ უდიებს უწინამძღვრა. მისი სახელი იყო ზინობ სელიკოშვილი. 1937 წელს საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეპრესიების დროს სელიკოშვილი დააპატიმრეს და სოფელს ოქტომბერი დაარქვეს.

1921-22 წლებში აზერბაიჯანში გაჩაღებული სამოქალაქო ომის სირთულეებმა ვართაშენის მცხოვრებთა ნაწილი, რომელიც მართლმადიდებლობას აღიარებდა, აიძულა საქართველოში გადმოსახლებულიყო. ვართაშენში უდიები, ძირითადად, მიწათმოქმედებას მისდევდნენ: თესავდნენ ხორბალს, ქერს, ფეტვს, მოჰყავდათ ბრინჯი და ყურძენი. მესაქონლეობას ისინი ნაკლებად ეტანებოდნენ. მათი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო მეაბრეშუმეობაც იყო.

საქართველოში გადმოსახლების შემდეგ უდიებმა არსებითად შეინარჩუნეს ტრადიციული სამეურნეო დარგები, თუმცა სოფ. ზინობიანში, ძირითადად, ქერისა და სიმინდის მოყვანა დაიწყეს. გადმოსახლების პირველ წლებში ბრინჯიც მოჰყავდათ, თუმცა შემდგომ, რეგიონში შექმნილი ეკონომიკური ვითარების გამო, ამ კულტურამ დაკარგა სამეურნეო მნიშვნელობა. თანდათანობით გაქრა აგრეთვე, მეურნეობის ტრადიციული დარგი — კრამიტის წარმოება. უდიებმა მეზობელ რაიონებში სეზონურ სამუშაოებზე სიარულიც დაიწყეს, რაც ადრე, ვართაშენში, არ იყო მათთვის დამახასიათებელი. სოფ. ზინობიანში უდიების ცხოვრების პირველ ათწლეულში სეზონურ სამუშაოზე მათთან ლეზგები ჩადიოდნენ. ლეზგებისა და უდიების საურთიერთო ენა აზერბაიჯანული იყო.

ცვლილებები მოხდა სახლის მშენებლობის ტრადიციაშიც. საქართველოში უდიები ტყიან ადგილებში დასახლდნენ, ამიტომ ქვის სახლების ნაცვლად ხის სახლების მშენებლობა დაიწყეს. მოგვიანებით მათმა სახლებმა ქართველთა სახლების სახე მიიღო.

დროთა განმავლობაში შეიცვალა მათი ჩაცმის სტილიც და სრულიად გაქრა ქალის მიერ თავსაბურავის ტარებისა და სახის ქვედა ნაწილის დაფარვის ტრადიციაც. ქართველებთან თანაცხოვრებამ შეცვალა მიცვალებულის დაკრძალვის წესიც. თუ ვართაშენში გარდაცვალებიდან მეორე დღესვე ხდებოდა დაკრძალვა, საქართველოში, ადგილობრივი ტრადიციის გავლენით, ეს ვადა 3-4 დღემდე გაიზარდა.

მცირერიცხოვნობის მიუხედავად, უდიები ინარჩუნებენ ეთნიკურ თვითმყოფადობას (თვითდასახელება უდი). უდიების უმრავლესობა კარგად ფლობს ქართულ ენას. ამას ხელს უწყობს ყოველდღიური ურთიერთობა ქართველებთან და საშუალო სკოლა, სადაც სწავლა ქართულად მიმდინარეობს. სოფ. ზინობიანში ახლად დასახლებულმა უდიებმა იცოდნენ აზერბაიჯანულიც, მაგრამ შემდგომმა თაობებმა აზერბაიჯანული ენა აღარ იციან. ვართაშენში უდიებმა, სომხებთან თანაცხოვრების შედეგად, სომხურიც იცოდნენ. ქართულის, სომხურის, აზერბაიჯანულის გარდა, უდიებს შორის ფართოდ იყო გავრცელებული რუსული ენაც. სოფ. ზინობიანში ჩამოსახლების შემდეგ უდიები უმაღლესი განათლების მიღებას თბილისში ამჯობინებდნენ, ცოტანი მიდიოდნენ ამისთვის რუსეთში.

1970-იანი წლებისათვის სოფ. ზინობიანში უდიური სიმღერები შემორჩენილი აღარ იყო. ადგილობრივი მცხოვრებნი ქართულ და აზერბაიჯანულ სიმღერებს მღერიან. სხვა ხალხებთან თანაცხოვრებამ შერეულ ქორწინებებსაც შეუწყო ხელი. თავიდან უფრო ხშირი იყო ქართველი ქალების გათხოვების ფაქტები უდიებზე. მერე და მერე კი უდი ქალებიც თხოვდებოდნენ ქართველებზე.

უდიებს სკოლაში მშობლიური ენის შესწავლის საშუალება მცირე ხნით მიეცათ 1934-39 წლებში. შემდგომ უდიური ენის შესწავლა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ 2002 წელს, როდესაც უდიური ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა და თითქმის ერთი წელი მოქმედებდა, სანამ ფინანსური დახმარება არ შეწყდა. კურსებს პრინცი ჰანს ფონ ზაქსენ ალტენბურგი აფინანსებდა, რომელიც უდიების საკითხით არის დაინტერესებული. მამული ნეშუმაშვილის განცხადებით, საქართველოს უდიების ასოციაციამ უდიური ენის სასწავლო პროგრამა ქართული ალფაბეტის საფუძველზე შექმნა, რადგანაც უდიები ქართულ გარემოში ცხოვრობენ და ბავშვობიდანვე მხოლოდ ქართულად საუბრობენ.

უდიების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის საქართველოს უდიების ასოციაციამ ადგილობრივ სკოლაში ისტორიული მუზეუმი დააფუძნა, რომელიც 2003 წელს გაიხსნა. პროექტი დონორების დახმარებით 1000 ამერიკული დოლარით დაფინანსდა. მუზეუმს სკოლის პირველი სართულის ერთი ოთახი უკავია. ამჟამად ეს მუზეუმი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მცირერიცხოვან ერს ეთნიკური იდენტიფიკაციის გაღვივებასა და შენარჩუნებაში ეხმარება.

თამარ შარაბიძე

სტატიაში თავები: რაოდენობა და განსახლება, რელიგია და უდიები საქართველოში (თანამედროვე ვითარება) მოამზადა მამუკა კომახიამ

რუსები

რუსები რუსეთის ფედერაციის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ. ისევე როგორც უკრაინელები და ბელორუსები წარმოიშვნენ ძველი რუსი (როსი) ხალხისაგან (IX-XIII სს.), რომელიც ჩამოყალიბდა აღმ. სლავი ტომების საფუძველზე, კიევის გარშემო ძველი რუსული სახელმწიფოს შექმნის პროცესში (კიევის რუსეთი). რუსული ენა შედის სლავური ენების აღმოსავლურ ჯგუფში. საზღვარგარეთ რუსების გარკვეული ნაწილი ცხოვრობს აშშ-ში, კანადაში, ევროპის ქვეყნებში, ბელორუსში, უკრაინაში, ყაზახეთსა და სხვ.

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა შორის რუსები დღეს შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფით არიან წარმოდგენილნი. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის სტატისტიკური მონაცემებით, ისინი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 1,5%-ს შეადგენდნენ, თუმცა დღეს მათი რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებულია (1989 წლიდან — 80%-ით, რაც საბჭოთა პერიოდის საქართველოს რუსი მოსახლეობის 4/5-ია). ისინი, უმთავრესად, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ. საქართველოს რუსული მოსახლეობა ემიგრაციის პრობლემის წინაშე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ პროცესის თანმდევი მოვლენების გამო დადგა. იქამდე კი ისინი საქართველოს თითქმის ყველა რაიონში სახლობდნენ და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა შორის, სომხების შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენდნენ.

ისტორიული ნარკვევი

საქართველოში რუსების მასობრივი ჩამოსახლება XIX საუკუნის I ნახევარში დაიწყო, მანამდე კი, ისტორიული ცნობების თანახმად, საქართველოში რუს მოსახლეთა მცირე რაოდენობის არსებობაც დასტურდება: 1772 წლის ივლისში გენერალ სუხოტინის მიერ რუსეთის საექსპლუატაციო კორპუსის საქართველოდან გაყვანის პროცესში რუსულ კორპუსს ჩამორჩენილ დეზერტირთა ნაწილი თბილისში დარჩა და ხელოსანთა რიგებს შეერია. XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაურის, იაკობ რაინეგსის (იმყოფებოდა ერეკლე II-ის კარზე 1778-1781 წლებში) ცნობით, ბამბაკის ქედებსა და მათ ნაყოფიერ ველებზე ცხოვრობდა ხალხი, რომელიც თავს დონელი კაზაკების შთამომავლად თვლიდა. მათი დასახლების ადგილს კი *ყაზახს* უწოდებდნენ და იგი ბორჩალოსაგან მდინარე ხრამით გამოიყოფოდა.

საქართველოს მიერთების შემდეგ რუსეთის პოლიტიკა მიზნად ისახავდა რუსებისა და, განსაკუთრებით, კაზაკების ჩამოსახლებას საქართველოსა და კავკასიაში, ამიტომაც სამხედრო სამსახურის მოსახდელად აქ, უმთავრესად, კაზაკებს აგზავნიდნენ. სამხედროების ჩამოსახლება ჯერ კიდევ საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა დაიწყო (1802-1806) — მის დროს მდ. ენგურზე დონელი კაზაკების დიდ

ჯგუფი ჩამოსახლდა. იმპერიის სამხრეთ საზღვრების დასაცავად დისლოცირებული კაზაკების რეგულარული პოლკები 1802 წლიდან იდგნენ თბილისში, გორში, ცხინვალში, ქარელში, სურამსა და დუშეთში. 1803 წელს გენერალმა ციციანოვმა კახეთში გააგზავნა ორი ბატალიონი, რომელმაც ააშენა პირველი სამხედრო გამაგრება — «ცარსკიე კოლოდცი» (დედოფლის წყარო). გენერალ კნორინგის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ლეკთა საკორდონო ხაზი, რომელსაც შიდა კახეთი უნდა დაეცვა ჩრდილოეთიდან დაღესტნელ და აღმოსავლეთიდან ზაქათალის ოლქის მთიელთა თავდასხმებისაგან. ამ ხაზის სტრატეგიულ პუნქტად ლაგოდეხი იქცა. სასაზღვრო სამსახურის ფორმირება მოხდა ტვერის, ყუბანისა და დონის კაზაკებისაგან. კაზაკთა საგუშაგო იყო, აგრეთვე, ცივის ხეობაშიც. XIX საუკუნის დამდეგიდან რუსული არმიის პოლკი იდგა მანგლისშიც. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ პოლკის ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ნაწილი საცხოვრებლად დისლოცირების ადგილზე რჩებოდა. თუმცა თადარიგის ჯარისკაცების დამაგრება ახალ საცხოვრებელ ადგილზე იოლი არ ყოფილა.

ნიკოლოზ პირველმა რუსული კოლონიზაცია ე.წ. სამხედრო დასახლებების შექმნით განაგრძო. გადაწყვეტილ იქნა მოეწყოთ დემობილიზებულ რუს ჯარისკაცთა კოლონიები, რომლებიც სამსახურიდან გადამდგარი, დაოჯახებული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. ეს გულისხმობდა, რომ 15-წლიანი სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ რუს ჯარისკაცებს დაოჯახებისა და საქართველოში სამუდამოდ დარჩენის უფლება ეძლეოდათ. ეს იყო სამხედრო-სამიწათმოქმედო წოდების იძულებითი ორგანიზაცია, ანუ ჯარის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც სამხედრო სამსახურს სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობას უთავსებდა და სამხედრო უწყებას ექვემდებარებოდა. ჯარების ბანაკებთან ახლოს, ანუ იქ, სადაც სამხედრო ორგანიზაციები არსებობდა, რუს კოლონისტებს მთავრობამ საუკეთესო მიწები დაურიგა, ხელისუფლება მათ ფინანსურად ეხმარებოდა, აძლევდა შეღავათებს, ათავისუფლებდა გადასახადებისაგან. შემდგომში ეს დასახლებები სოფლებად გადაიქცა. 1837 წლიდან ამგვარი დასახ-ლებანი გაჩნდა თბილისთან, წალკაში, კოჯორში, მანგლისში, თეთრიწყაროში, წითელწყაროში, გომბორში, ნორიოში, სამგორში, ლაგოდეხში, სიღნაღში, გორში, აბასთუმანში, წალკაში, ოზურგეთში, ბათუმში, სოხუმში, ახალქალაქში, ახალციხეში, გორის, ქუთაისის, სიღნაღის, ბორჩალოს მაზრებში და სხვა.

1859 წელს სამხედრო კოლონისტები სახელმწიფო გლეხებად გამოაცხადეს. დარჩენილი ჯარისკაცები ადვილად შეეჩვივნენ მეზობელ ქართველებს, ისწავლეს ქართული ენა, ტანსაცმელიც ნახევრად ქართული ჩაიცვეს, ხვნა-თესვის წესიც ქართველებისაგან აითვისეს. რუს პირველმოსახლეთა და ქართველთა შორის იდეალური ურთიერთობა დამყარდა.

რუსეთს კოლონიზაციის იგივე გეგმები ჰქონდა აფხაზეთსა და აჭარასთან მიმართებითაც (აჭარა იმპერიამ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შეიერთა).

1864 წელს რუსეთმა აფხაზეთი რუსეთის იმპერიის სამხედრო ოლქად გამოაცხადა. 1866 წლის 10 მარტს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა დებულება შავი ზღვის ოკრუგის დასახლებისა და მართვის შესახებ, რაც ანაპიდან მდინარე ბზიფამდე სანაპირო ხაზის კაზაკებით დასახლებას ისახავდა მიზნად. ეს

ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც 628 კაზაკური ოჯახის დამკვიდრებით კონს-ტანტინოვის სიმაგრესა და მდინარე ტუაფსეს შორის. რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთი აზიაში რუსეთის შემდგომი წინსვლისთვის ხელსაყრელ საყრდენ პუნქტად მიაჩნდა. ამიტომ მან ხელი შეუწყო მთიელების თურქეთში ემიგრაციას და ათასობით აფხაზი 35 სოფლიდან იძულებული გახადა სამშობლო დაეტოვებინა. დარჩენილი დაბალი წოდების აფხაზები ზღვის ნაპირიდან 3 ვერსტის მანძილზე სიღრმეში გადაასახლეს. რუსეთის მთავრობის ხელში აღმოჩნდა ათასობით საკარმიდამო მიწა, ბაღ-ბოსტანი, სახლი. ამის შემდეგ კი შესაძლებელი გახდა, რომ მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებული ზღვისპირა ზოლი (სავარაუდოდ, 20-22 ათასი აფხაზი გადასახლდა) რუსეთის იმპერიისათვის სასურველი, სანდო მოსახლეობით შეევსოთ. 1868 წელს სოხუმის ოლქში მუჰაჯირთა მიწაზე 27 სოფელი დაარსდა, სადაც რუსების გარდა, დაასახლეს სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. რუსეთის ხელისუფლებამ ეს მიწები მსხვილ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს დაურიგა. ამ პროცესმა 80-90-იან წლებში დიდი მასშტაბები შეიძინა. ცდილობდა რა აფხაზეთის რუსულ ოლქად გადაქცევას, რუსეთის ხელისუფლება იქ ინტენსიურად ასახლებდა რუს კოლონისტებს. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს რუსი გლეხები დასახლდნენ სოხუმში, ბაბუშერაში, ვლადიმიროვკაში (კოდორში), დრანდაში, ოჩამჩირეში, პოლტავსკოეში, ჩერნიგოვში, ბაკლანოვკაში, ალაჯარში, გაგრაში, გალში, გულრიფშში, სოხუმისა და გუმისთის რაიონებში.

აჭარაში, მსგავსად აფხაზეთისა, მიწის ფონდის ხელში ჩაგდების მიზნით, რუსეთის ხელისუფლება ხელს უწყობდა მუჰაჯირობას. 1880 წლისათვის ბათუმის 3,5 ათასი მცხოვრებიდან ჩამოსახლებული იყო 895 რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი. 1882 წელს კი მარტო რუსების რაოდენობა 980-მდე გაიზარდა და ისინი ქალაქის მოსახლეობის 11,3%-ზე მეტს შეადგენდნენ. 1883 წელს ბათუმის ოლქში რუსების 2 კომპაქტური დასახლება არსებობდა — «სმეკალოვკა» ქობულეთთან და «ხოლოდნაია სლობოდა» ბათუმთან ახლოს. 1882-1890 წლებში რუსული მოსახლეობა ბათუმში 4-ჯერ გაიზარდა, რაც ქალაქის მცხოვრებთა 22,9%-ს შეადგენდა. რუსი მოსახლეობის ზრდა რეგიონში მრეწველობის განვითარებასთანაც იყო დაკავშირებული.

სამხედრო კოლონიზაციის გარდა, რუსი მოსახლეობის საქართველოში დაფუძნებას თავადაზნაურული და საეკლესიო-სამონასტრო კოლონიზაციაც უწყობდა ხელს. მაგალითად, „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი» ვლანგალი სამცხე-ჯავახეთის 21 სოფლის მფლობელი გახდა და მესხეთის დიდ ფეოდალად გადაიქცა. ახალ კუკიაზე საფრონოვს ჰქონდა მიწა ბაღისა და ვენახისათვის, სოფ. ლოჭინში მამული ჰქონდა ბარონ ნიკოლაის. რუსი დიდგვაროვნები მამულებს ფლობდნენ ლაგოდეხში, კოჯორში, ბორჯომში; ბორჯომში ჰქონდა ნაკრძალი დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს, საუფლისწულო მამულები იყო ქართლსა და კახეთში. XIX საუკუნის მიწურულს შავი ზღვის კოლონიზაციის და მსხვილ მიწათმფლობელთა სოციალური ფენის შექმნის მიზნით, დაარსდა ზღვის სანაპირო მიწების ლატარეის გათამაშების განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც გაავრცელა ლატარეის ბილეთები რუსეთის ქალაქების აზნაურთა, მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა შორის. ამ ლატარეის საფუძველზე მიწებს იგებდნენ და ყიდნენ.

საეკლესიო კოლონიზაციის შედეგად რუს ბერებს გადაეცათ მონასტრები და მათ გარშემო მამულები, სადაც რუსული დასახლებები ჩნდებოდა. მაგალითად, ბიჭ-ვინთის მონასტერი, ახალი ათონის სიმონ ქანაანელის მონასტერი, ფსხირტი, რომელ-საც ალექსანდრე II-მ სოფლების ანუხვასა და ფსირცხას გლეხების მიწები გადასცა და სხვ.

რუსული დასახლება-კოლონიები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მრავლდებოდა, შესაბამისად, მატულობდა რუსული მოსახლეობის რაოდენობაც. 1856 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 21 რუსული სოფელი იყო, სადაც დაახლ. 6 000 რუსი ცხოვრობდა. მარტო გურიაში XIX საუკუნეში კაზაკთა 500 ოჯახი ცხოვრობდა — ეწერში, მაკვანეთში, ბახვში, დვაბზუში, ლიხაურში, ხრიალეთში, აკეთში, ზედუბანში, ხვარბეთში, ლანჩხუთში, ნაგომარში და სხვ.

თბილისის მოსახლეობის 1864 წლის აღწერით, თბილისში ცხოვრობდა 12 302 რუსი ეროვნების ადამიანი, მაშინ, როდესაც 1803 წლის იანვრისათვის, ჯარსა და რუს მოხე-ლეებს თუ არ ჩავთვლით, აღრიცხულია რუსი ეროვნების ერთი კომლი ყმა გლეხის ოჯახი 3 ადამიანის შემადგენლობით. 1865 წლის აღწერით მათი რაოდენობა 12 142 ადამიანი იყო, 1876 წელს — 30 823, ხოლო 1897 წელს — 44 823. იმავე 1897 წლის აღწერით, საქართველოში მცხოვრებ რუსთა რაოდენობა შეადგენდა დაახლ. 98 000 კაცს, საიდანაც 74,3% თბილისში ცხოვრობდა.

თუ XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში რუსი ეთნოსის წარმომადგენელთა ჩამოსახლებანი საქართველოში უპირატესად ჯგუ-ფურად, ორგანიზებულად ხდებო-და, 60-იანი წლებიდან უკვე ფართო ხასიათს ატარებდა ინდივიდუალური, სტიქიური მიგრაცია. რუსულენოვანი დასახლებები განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი 10-15 წლის განმავლობაში, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა სარკინიგზო ტრან--სპორტის განვითარება, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაძლიერება რუსეთის იმპერიის სხვა რაიონებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ამ პერი-ოდისათვის საქართველოს კოლონიზაციის საკითხი მეფის ხელისუფლებისათვის ჯერ კიდევ ბოლომდე გადაუჭრელი პრობლემა იყო.

1908-1914 წლებში კოლონიზაციის შედეგად კავკასიის სამეფისნაცვლოში სულ 285 დესეტინა მიწა იქნა ათვისებული, რომელზედაც 50 000 ადამიანი ჩამოასახლეს: 1 520 — ყარსის ოლქში, 173 — ბათუმის ოლქში, 4 000-ზე მეტი — შავი ზღვის გუბერნიაში, 6 518 — აფხაზეთში, 3 263 — თბილისის გუბერნიაში, ხოლო 24 000-მდე — ბაქოს გუბერნიაში. ყარსის ოლქში შეირჩა არტაანის მხარე, რომელიც ნაყოფიერი მიწებითა და ხორბლეული კულტურების უხვმოსავლიანობით გამოირჩეოდა. 1905 წელს ამ მხა-რეში 5 რუსული დასახლება იყო 1 365 მოახალშენით. ბათუმის ოლქში ათვისებულ იქნა თანამედროვე აჭარის ზღვისპირეთი, რომელიც ნაკლებად იყო დასახლებული და ადგილობრივნი მას სათიბ-საძოვრებად იყენებდნენ. რამდენიმე ოჯახი მდ. კინტ-რიშის დაბლობში, ბათუმის შემოგარენში დასახლდა (გოროდოკი), ნაწილი კი — მდინარე ჭოროხის დელტაში (სოფლებში: თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო, ზღვის შესართავთან კი ალექსეევკა). რუსული ახალშენის თავისებურ ნაირ-სახეობას წარმოადგენდა ჩაქვის საუფლისწულო მამული, მისი ადმინისტრაციული

აპარატი და მუდმივი მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსები იყვნენ. რუსებს ეკავათ, აგრეთვე, ბათუმ-ქობულეთის დაბლობი რაიონებიც.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში რუსები, უპირატესად ჩრდილო კავკასიიდან ჩამოვიდნენ და ნაწილი ქალაქებში — თბილისსა და ზღვისპირა დასახლებულ პუნქ-ტებში, ნაწილი კი ახლად შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში დამკვიდრდა. მიგრანტთა ძირითადი ნაწილი სოფლებიდან იყო წამოსული. ისინი მეურნეობის სხვადასხვა სფეროში ჩაებნენ, მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე და სხვ. მათ შორის ბევრი იყო სამხედრო მოსამსახურე.

XX საუკუნის 20-იან წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და გასაბჭოებული რესპუბლიკებიდან სამუშაოს საშოვნელად საქართველოს მრავალი უცხოელი მოაწ-ყდა. მათ შორის იყვნენ რუსებიც. გასული საუკუნის 20-30-50-იან წლებში შეიმჩნევა საქართველოში რუსული მოსახლეობის ზრდის ტენდენცია.

1922 წელს თბილისში 38 612 რუსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობდა. 1926 წლისათვის მათმა რაოდენობამ 45 937 მიაღწია, 1939 წელს კი — 93 337-ს. 1926 წელს ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა 2 492 რუსი, ბათუმის მაზრაში — 9 190, ქობულეთის მაზრაში — 295, ხულოს მაზრაში — 117, ქედის მაზრაში — 54. საქართველოში მათი რაოდენობა, 12 წლის განმავლობაში, სამჯერ და უფრო მეტჯერ გაიზარდა. 1934-1935 წლებში აჭარის რუსი მოსახლეობა ვორონეჟის ოლქიდან გადმოსახლებული ჯგუფებით შეივსო. 1939 წლის აღწერით, ადიგენის რაიონში — 1 281 რუსია, ასპინძის რაიონში — 293, ახალქალაქის რაიონში — 1 538, ბოგდანოვკის (ახლანდ. ნინოწმინდა) რაიონში — 5 862, ბათუმის რაიონში — 21 786, ქობულეთის რაიონში — 8 096, ხულოს რაიონში — 397, ქედის რაიონში — 256. 1940 წელს რუსების მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩამოსახლდა ქობულეთის რაიონის დაბა ოჩხამურში. შიდა ქართლში რუსთა განსახლების მნიშვნელოვანი ადგილი ქალაქებთან ერთად ბორჯომის ხეობა იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მრავალი რუსი ეროვნების ადამიანი საცხოვრებლად საქართველოში დარჩა.

რასკოლნიკები. XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში რუსული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ერთი მხრივ, სამხედრო, სათავადაზნაურო და სა-მონასტრო კოლონიზაციის ხარჯზე მიმდინარეობდა, მეორე მხრივ კი, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმპერიის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან დევნილი ჯგუფები — დუხობორები, სკოპცები, მალაკნები და სხვ. ხსენებული რუსული ქრისტიანული გაერთიანებები XVIII საუკუნის შუა ხანებში წარმოიქმნა. ისინი უპირისპირდებოდნენ ოფიციალურ ეკლესიას, რის გამოც მათ ეკლესია და სახელმწიფო სდევნიდა და იმპერიის უკიდურეს პროვინციებში ასახლებდა.

1820-იანი წლებიდან დაიწყო რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან რუსი, ე. წ. «რასკოლნიკების» (მართლმადიდებელ ეკლესიიასთან განხეთქილებაში მყოფი თემე-ბის) საქართველოში ჩამოსახლება. მათი ზნე-ჩვეულებანი მკვეთრად განსხვავდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებისაგან, მათ არც ადგილობრივთა ენა

იცოდნენ. რუსეთში დევნილი რელიგიური ჯგუფები, საქართველოში ადგილობრივ მშრომელ მოსახლეობასთან შედარებით, შეღავათებით სარგებლობდნენ. მათ ეძლეოდათ გაცილებით უკეთესი და მეტი მიწა. ხელისუფლება რუს კოლონისტთა სოფლებს მოსაზღვრე ეთნიკურ ჯგუფთა ყაჩაღური თავდასხმებისაგან შეიარაღებული ძალით იცავდა. აქ დასახლებულ რელიგიური ჯგუფების წევრებს 8 წლით ათავისუფლებდა გადასახადებისაგან, ხოლო მას, ვინც მართლმადიდებლობას აღიარებდა — 25 წლით.

პირველი რუსი რასკოლნიკები, რომლებიც საქართველოში გაჩნდნენ, „სკოპცები» (საჭურისები) იყვნენ. 1822 წლისათვის საქართველოში ჩამოასახლეს სკოპცების ერთი ჯგუფი, დაახლოებით 300 ადამიანი, რომლებიც კავკასიის კორპუსის ჯარის ნაწილებში გაამწესეს. გენერალმა ერმოლოვმა ბრძანება გასცა ყველა «სექტანტი» შეეკრიბათ და დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონთან ახლოს, სოფელ მარანში დაესახლებინათ (0,3 ათასამდე); ნაწილი კი მოგვიანებით კოდორში დაასახლეს. მათგან შეადგინეს საჯინიბო რაზმები, რომელთაც სამხედრო ტვირთის ტრანსპორტი-რება ევალებოდათ რიონით რედუტ-კალედან (ყულევი) სოფ. მარანამდე. მათი ქალები კი უმძიმეს პირობებში მუშაობდნენ, ძირითადად — ჰოსპიტლებში მრეცხავებად. მძიმე შრომამ და გაჭირვებამ გახშირებული სიკვდილიანობა გამოიწვია. 1855 წლისათვის მარანსა და კოდორში ჩასახლებული რასკოლნიკების» რაოდენობა განახევრდა. XIX საუკუნის შუა წლებში თემში ძალაუფლება მდიდარი ვაჭრების ხელში აღმოჩნდა. სკოპცები საკმაოდ რეაქციული ჯგუფი გახდა და უკვე ცარიზმის ინტერესებს ემსახურებოდა. 1842 წელს ქონების განაწილებასთან დაკავშირებით მათ შორის განხეთქილება მოხდა. უკმაყოფილოთა ერთი ჯგუფი შეურიგდა მართლმადიდებლურ ეკლესიას და უარყო სკოპეცთა მოძღვრება. 1859 წლიდან მათი სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლება შეწყდა ნიკოლოზ I-ის ბრძანების საფუძველზე, რომლის თანახმადაც „საჭურისების» ჯარში გაწვევა აიკრძალა.

1829 წელს დამტკიცებულ იქნა ცალკე საეკლესიო წესდება საქართველოში რასკოლნიკთა კოლონიებისათვის, ხოლო შემდეგ, 1830 წლის კანონით, ნებადართულ იქნა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან «მავნე ერეტიკოს რასკოლნიკების», როგორც სასამართლოს დადგენილებით, ისე მათი საკუთარი სურვილისამებრ, სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლება. 1830 წლის 20 ოქტომბერს ნიკოლოზ I-მა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ყველა რასკოლნიკი, რომელიც ავრცელებდა თავის მოძღვრებას და აგიტაციას ეწეოდა ეკლესიის, სასულიერო პირთა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, ასევე დუხობორები, მალაკნები და მათგან გამოყოფილი პრიგუნები და სუბოტნიკები, ჯარისკაცებად უნდა გაეგზავნათ კავკასიის კორპუსში, ხოლო სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარნი და ქალები უნდა გადაესახლებინათ სამხრეთ კავკასიის პროვინციებში. მიგრანტების განაწილება ადგილობრივ მმართველებს ევალებოდათ. ჩასახლება მოხდა მთელ ამიერკავკასიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში და შემდეგ — საქართველოში.

1830 წლამდე საქართველოში უკვე ცხოვრობდა რუსების გარკვეული რაოდენობა, ამ დადგენილებამ კი სტიმული მისცა ქვეყანაში რუსი მოსახლეობის მასშტაბურ ინფილტრაციას. 1830-1840 წლებში ხსენებული რელიგიური ჯგუფების ათეულობით ათასმა წევრმა დატოვა რუსეთი და საქართველოში ჩამოვიდა.

ახალმოსახლეები რუსეთის სხვადასხვა პროვინციიდან მოდიოდნენ: ტამბოვიდან, ვორონეჟიდან, ორენბურგიდან, სამარადან, ასტრახანიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან და დონისპირეთიდან. გარდა გლეხებისა, რომლებიც უმრავლესობას შეადგენდნენ, გადმოსახლებულთა რიგებში იყვნენ ვაჭრები, მეშჩანები და სხვ.

მიგრანტებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი მელიტოპოლსკის ოლქის *დუხობორები* იყვნენ. 1841 წელს საქართველოში ჩამოვიდა დუხობორების 73 ოჯახი, 769 აადამიანი. მათ მიწები მისცეს ახალციხის მაზრაში, აგრეთვე, 50 მანეთი დაურიგეს თითო ოჯახს. 1841-1845 წლებში საქართველოში დაახლოებით 200 ოჯახი (2000 სულზე მეტი) დუხობორი ჩამოვიდა. მათ ჯავახეთში, ახალციხის მაზრაში, ბოგდანოვკის (ნინოწმინდის) რაიონში 8 სოფელი დააარსეს: როდიონოვკა, ტამბოვკა, ბოგდანოვკა (ნინოწმინდა), ორლოვკა, ანუ ტერპენიე (ძველი ბუღდაშენი), გორელოვკა, სპასოვკა, ტროიცკოე, ეფრემოვკა. ახალციხის მაზრაში დასახლებულ დუხობორებს, ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, ხელისუფლებამ ბევრად მეტი მიწა უბოძა. ვორონცოვის ბრძანებით, მათ გაორმაგებული ნადელი არგუნეს — თითო ოჯახზე 60 დესეტინა.

1842 წელს ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მრეწველობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ განსაკუთრებული უფლება გამოითხოვა ჩამოსახლებული რუსების კერძო მემამულეთა მიწებზე დასასახლებლად. 1846-1852 წლებში დუხობორთა 136 ოჯახმა თავად ორბელიანისაგან 20 წლით იჯარით მიწა აიღო. დუხობორთა ჩამოსახლება შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. მათი უკანასკნელი ჯგუფი 1875 წელს ჩამოვიდა. 1886 წლისათვის დუხობორთა რაოდენობამ 6,6 ათას სულს მიაღწია.

თავიანთი მრწამსიდან გამომდინარე, დუხობორები უარს ამბობდნენ სახელმწიფო და სამხედრო სამსახურზე, ამიტომ მთავრობამ მათ წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო. მალე დარბეულ დუხობორთა დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში გადასახლდა — სიღნაღის, გორის, თიანეთისა და დუშეთის მაზრების სოფლებში (4000 კაცი). მძიმე მდგომარეობაში მყოფ დუხობორებს დიდი თანადგომა აღმოუჩინეს ნაკაშიძეების ოჯახმა, როსტომაშვილებმა და ჩოლოყაშვილებმა; მათ დუხობორთა დევნის ამბავი საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანეს და მსოფლიო საზოგადოებას მიმართეს, დახმარება გაეწიათ მათთვის. ამ თანადგომის შედეგი ის იყო, რომ 1899 წელს დუხობორთა ნაწილი (7 370 სული) კანადაში გადასახლდა.

1917-1921 წლებში ახალქალაქის მთელი მოსახლეობა და მათ შორის დუხობორებიც, თურქებმა ხუთჯერ დაარბიეს. 1989 წლის მოსახლეობის აღწერით, საქართველოში 3,1 ათასი დუხობორი ცხოვრობდა. 1990 წელს დუხობორთა ნაწილი ტულის რაიონში გადასახლდა. ახლა საქართველოში დაახლოებით 400 დუხობორი დარჩა, უმეტესობა გორელოვკის მკვიდრია, მცირე ნაწილი სპასოვკასა და ორლოვკაში სახლობს. საქართველოში დარჩენილმა დუხობორებმა გორელოვკაში დუხობორ-თა ისტორიის მუზეუმი გახსნეს.

დუხობორებს გარდა, საქართველოში კომპაქტურად სახლობდნენ რუსი *მალაკნებიც*. ისინი (დაახლოებით 1 365 სული) საქართველოში 1833 წელს ჩამოვიდნენ „თავიანთ ღმერთთან შესახვედრად». მათი პირველი დიდი ნაწილი აღმოსავლეთ

საქართველოში დასახლდა (სიღნაღში და საგარეჯოში), სადაც დააარსეს სოფლები კრასნოგორსკი და ულიანოვკა.

1835 წლის 21 მაისის ბრძანებულებით, «სექტანტებს» ნება დართეს ამიერკავკასიის მხარის საქალაქო ორგანიზაციებში ჩაწერილიყვნენ. ამ ბრძანებით, მალაკნები თბილისზე იყვნენ მიწერილნი. აქ გადმოასახლეს რუსეთისა და მალორუსიის სახაზინო, საბატონო, გააზატებული გლეხები, რომლებიც თავიანთ მემამულეებს გამოექცნენ. 1850 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ მალაკნები სარატოვიდან. ისინი დასახლდნენ თბილისის გარეუბნებში: საბურთალოზე, ჩუღურეთში, ავლაბარში, ნავთლუღში, ორხევში, რიყეზე, სადაც თავიანთი უბნები მოიწყვეს. თბილისში მათმა რაოდენობამ 1902 წლისათვის 11,3 ათასი ადამიანი შეადგინა. გარდა ამისა, მალაკნები დასახლდნენ მალხაზოვკაში (ულიანოვკა), ბაკურციხეში, რუსულ გერგერში, კონსტანტინოვკაში, თეთრიწყაროში, პრივოლნოეში, ასევე საგარეჯოს, ლაგოდეხის, წითელწყაროსა და სხვა რაიონებშიც.

1860-70 წლებში საქართველოში სახლდებიან, აგრეთვე, რუსი *ბაპტისტები, პატკობიტები* და *შტუნდისტები*, რომლებიც რუსეთისათვის «განსაკუთრებულად საშიშ სექტანტებად» ითვლებოდნენ.

თბილისი რუს ბაპტისტთა თემის ჩამოყალიბების კერა იყო. ბაპტისტებად მოინათლნენ თბილისელი მალაკნები (ისინი მონათლა ყოფილმა მალაკანმა ვორონინმა 1869 წელს. თვითონ ვორონინი 1867 წელს მონათლა მტკვარში გერმანელმა ბაპტისტმა მარტინ კოლვეიტმა).

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მალაკანთა ახალი მიმართულებები გაჩნდა: *პრიგუნები — მალაკანთა მხტუნავები* (დამაარსებელი 90 წლის ლუკიანე სოკოლოვი. თბილისში, პესკოვის ქუჩაზე, მან 1841 წ. მოაწყო პრიგუნთა სამლოცველო სახლი), *ახალი მალაკნები, ევანგელისტი ქრისტიანები,* ე.წ. *მშრალი ბაპტისტები* (არ ცნობდნენ წყლით მონათვლას), აგრეთვე, მალაკანთა ლიბერალური მიმდინარეობა და სხვ. მალაკანთა მოთხოვნით, დიდუბეში გაიხსნა კერძო სახალხო სასწავლებელი მართლმადიდებელთა და მალაკანთათვის, შემდეგ კი — მეორე კერძო სკოლა. ბევრმა მათგანმა სწავლა სამრეწველო სკოლაში დაიწყო. 80-იან წლებში მალაკნებმა დააარსეს კუკიის სამოქალაქო საზოგადოება, რომელშიც მართლმადიდებლები და ბაპტისტებიც ერთიანდებოდნენ.

1883 წლის თბილისის მალაკანთა საზოგადოებამ რიყეზე გახსნა მესამე კატეგორიის დაწყებითი სასწავლებელი, 1893 წლის 26 დეკემბერს კუკიაზე — საქველმოქმედო სკოლები, ხოლო გოგოლის ქუჩაზე — პანსიონატი ღარიბ მოსწავლეთათვის.

1890-იან წლების მიწურულს მალაკანთა მცირე ჯგუფმა კუდინოვის მეთაურობით «განათლებულ მალაკანთა საზოგადოება» დააფუძნა, რომელმაც 1900 წლიდან მიიღო სახელწოდება «პროგრესისტები». მათ შეიმუშავეს რელიგიური მოდერნიზმისა და მეცნიერების შერწყმის კონცეფცია, ცდილობდნენ საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერების მიღწევები ბიბლიური მოძღვრების მიხედვით აეხსნათ.

1910 წელს ვორონეჟის და სტავროპოლის გუბერნიებიდან საქართველოში გადმოვიდნენ «ახალი ისრაელის» რელიგიური ჯგუფის წევრები. მათ მიწები ამიერკავკასიის რკინიგზის გასწვრივ და ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებში მისცეს. 1912 წელს საქართველოში ამ ჯგუფის 5000 წევრი გადმოსახლდა. მათ ტექნიკურად კარგად აღჭურვილი ფერმერული ტიპის მეურნეობა შექმნეს. მორმუნეთა ნაწილი თავად ქობულოვის მამულში დამკვიდრდა. მათ დააარსეს სოფ. კახასონოვი (120 კომ-ლი) და იარალოვისა და ანდრონიკაშვილისაგან მიწები შეისყიდეს სოფ. მწვანე ველში (კახეთში, ულიანოვკის ახლოს), სადაც რუს პროტესტანტთა 125 კომლი ცხოვრობდა.

I მსოფლიო ომის წინა პერიოდში მეფის მთავრობამ და მართლმადიდებელმა ეკლესიამ «სექტის» წევრთა დევნა დაიწყო. ადგილობრივი მემამულეები მათ მიწებს ითვისებდნენ. მაგ., ლევან და შაქრო აბაშიძეებმა თემის წევრებს სოფ. მწვანე ველში 120 დესეტინა მიწა წაართვეს. ამგვარი შევიწროების გამო «ახალი ისრაელის» მიმდევრები ურუგვაიში გადასახლდნენ.

XX საუკუნის დამდეგს, რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ, საქართველოში *სტაროვერები* ჩნდებიან. XVII საუკუნის შუა ხანებში პატრიარქ ნიკონის მიერ ჩატარებულმა საეკლესიო რეფორმამ განხეთქილება, ე.წ. «რასკოლი» გამოიწვია, რასაც შედეგად სტაროვერთა მოძრაობის წარმოშობა მოჰყვა (რუსეთში რასკოლნიკებში ხშირად სტაროვერებს — ძველმართლმადიდებლებს — გულისხმობენ). მასში ერთიანდებოდნენ დიდგვაროვანი ბოიარები და ვაჭრები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ სახელმწიფო და საეკლესიო პოლიტიკით. სტაროვერებს მიემხრნენ საბატონო გლეხები და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა ფენა. მთავრობა დევნიდა მათ და ციმბირში, ავსტრიაში, პრუსიაში, თურქეთსა და რუმინეთში ასახლებდა. რუმინეთში გადასახლებულმა მორწმუნეებმა, უკიდურესად მძიმე საარსებო პირობების გამო, საქართველოში «განდევნის» სურვილი გამოთქვეს. ისინი თემის ზომიერი მიმდინარეობის წარმომადგენლები (უმღვდელონი) იყვნენ. სტაროვერები თბილისში პირველად 1912 წელს გამოჩნდნენ. მათი სამოსახლო არსენალის მთასთან მდებარეობდა. სტაროვერებს ჰქონდათ სამლოცველო სახლი, სადაც მათთან ერთად თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებიც დადიოდნენ. მათი ნაწილი ბათუმის გუბერნატორმა, მეთევზეობის განვითარების მიზნით, სოფ. გრიგოლეთში ჩაასახლა და აქ ისინი დღემდე ცხოვრობენ.

სამეურნეო ყოფა და კულტურა

დასახლების ტიპები. საქართველოში ჩამოსული რუსები რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან და მხარეებიდან იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ჯგუფს თავისი ინდივიდუალური კულტურული ტრადიციები ჰქონდა, ყოველ მათგანს საერთო რუსული კულტურა აერთიანებდა. კომპაქტურად დასახლებულ რელიგიურ ჯგუფებში ტრადიციული კულტურის ელემენტები დღემდეა შემონახული, რაც ამ ჯგუფების წევრთა ჩაკეტილმა ცხოვრების წესმა განაპირობა. მაგალითად, ქორწინებასა და დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციული დღესასწაულები და სამოსი, მიწათსარგებლობის წესები და სხვ. უცვლელი ფორმით შემოინახეს დუხობორებმა. დისპერსიულად, არაიზოლირებულად მცხოვრები რუ-სების ნაწილმა ასიმილაცია განიცადა, ზოგიერთი გაქართველდა და მხოლოდ

რუსული გვარიღა აქვს შემორჩენილი, ზოგიერთებმა გვარებიც ქართულად გადაიკეთეს, მაგალითად, ტროფიმოვი — ტროფიმაშვილი, პეტროვი — პეტრიაშ-ვილი გახდა.

კოლონიებში რუსებმა საცხოვრებელი გარემო რუსულ ყაიდაზე მოაწყვეს, ოღონდ სხვაობა იგრძნობოდა რუსეთის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულთა დასახლების ტიპებს შორის. მაგალითად, ცენტრალური გუბერნიიდან ჩამოსულთა სოფლები განსხვავდებოდა მალოროსიიდან გადმოსახლებულთა სოფლებისაგან. რუსების სოფ-ლებს ახასიათებდათ სწორი, ფართო ქუჩები ორივე მხარეს ჩამწკრივებული, შეღებილი სახლებით, თითქმის ყველა სახლს აივანი ჰქონდა. სოფლის შუაში იყო ეკ-ლესია. რუსების კარ-მიდამოს, რომელიც სისუფთავითა და სიკოხტავით გა-მოირჩეოდა, ჰქონდა დიდი ფართო ეზო, სამეურნეო სათავსოები, სახლის უკან — პა-ტარა ბოსტანი. სახლის სახურავებს ტრადიციული კეხით ამკობდნენ, ჭიშკარზე და-მაგრებული იყო საშოშიე. ქართველებისაგან განსხვავებით, ოთახის კედლებზე ქა-ღალდს (შპალერს) აკრავდნენ, ავეჯი, საწოლები და დგამი თვითნაკეთი ჰქონდათ. ფანჯრებს ფარდები ამშვენებდა, ინტერიერის აუცილებელი აქსესუარი იყო სამოვარი, ოთახის ერთ კუთხეში ხატები ესვენა. რუს პროტესტანტებს ოთახის კედლებზე ეკიდათ მეფისა და მხედართმთავრების სურათები.

მეურნეობა. საქართველოში ჩამოსახლებულმა კაზაკებმა ახალ პირობებში მეურნეობის ახალი დარგების ათვისება დაიწყეს. ზღვისპირა დასახლებებში განვი-თარდა მეთევზეობა და ვაჭრობა. ახალგაზრდა თაობის განათლებაზე ზრუნვა მათი ინტერესის სფეროში მოექცა. კაზაკები სოფლის მეურნეები და ხელოსნები გახდნენ. მისდევდნენ პურის ცხობას, ლუდის წარმოებას, მეჩექმეობას, იყვნენ ნალბანდები, მეეტლეები და სხვ. კაზაკები მონაწილეობდნენ საქართველოს სამხედრო გზის გაყ-ვანაში. კურორტ ბორჯომსა და ლიკანში მეფისნაცვლის შენობის მშენებლობაში.

წყაროების თანახმად, XIX საუკუნეში გურიაში მცხოვრებ ყველა კაზაკს ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა. მათმა შვილებმა რუსული არ იცოდნენ. ეწერელი კაზაკების უმრავლესობა ხვნა-თესვას მისდევდა. იმავე წესით ხნავდნენ და თესავდნენ, რა წესი-თაც გურულები. სამეურნეო იარაღიც კი გურულებისაგან ჰქონდათ გადაღებული. მოჰყავდათ სიმინდი და ღომი, ვენახები არ გაუშენებიათ, რამდენიმე ძირი «ადესა» მხოლოდ ეზოებში ედგათ, მაგრამ ყურძნადვე ჭამდნენ. სამაგიეროდ, უყვარდათ სმა. ასაკოვანი რუსები ტანისამოსს ჯერ ისევ რუსულს ატარებდნენ — ჩექმებს, რუსულ კარტუზს, ხალათს და სხვ., ახალგაზრდობა კი ქართული ტანსაცმლით იმოსებოდა.

თბილისის მაზრის სართიჭალის თემში, რუსი მოსახლეობა უმეტესად მერძევეობას მისდევდა, რუსებს შორის შენარჩუნებული იყო უფროს-უმცროსობის პრინციპი. უფროსი თაობა, ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო რელიგიური იყო. ახალგაზრდები მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებზე დადიოდნენ ეკლესიაში. რუსი მოსახლეობა წიგნიერი იყო, მათ ქართველებთან მეგობრული და ნათესაური კავშირები ჰქონდათ.

რელიგიურობა. საქართველოში მცხოვრებ რუსთა უმეტესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, თუ არ ჩავთვლით კონფესიურ ჯგუფებს. რელიგიურ დღესასწაულებს რუსები როგორც ოჯახებში, ასევე ქრისტიანულ რუსულ ტაძრებში ატარებენ,

კონფესიური ჯგუფები კი — თავიანთ სამლოცველო სახლებში. რელიგიური დღესასწაულების დროს რუსები მათთვის ტრადიციულ კერძებს ამზადებენ (ფაფეულობას, ბლითებსა და სხვ.). საქართველოში ხშირია შერეული ქორწინება რუსებსა და სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის, მაგრამ განსხვავებული კონფესიის წარმომადგენელთა შორის ქორწინების შემთხვევები ძალზე იშვიათია.

კულტურა და მეცნიერება. რუსული კულტურისადმი საქართველოში ოდითგანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ. რუს და ქართველ კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობები ყოველთვის სანიმუშო იყო და ორივე მხარეს ამდიდრებდა ახალი შემოქმედებითი იდეებით.

საქართველოში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ რუსეთიდან გასახლებული დეკაბრისტები, მწერლები: ა. სოლოგუბი, ბობლიევი, ა. გრიბოედოვი (მეუღლესთან, ნინო ჭავჭავაძესთან ერთად დაკრძალულია მთაწმინდაზე), ბ. სერებრიაკოვი და სხვ. XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში (განსაკუთრებით თბილისსა და ქუთაისში) ვითარდება რუსული თეატრალური ხელოვნება, თბილისში არსებობდა რუსული მცირე თეატრი, სატირულ-სააგიტაციო თეატრი, 1910 წელს დაარსდა რუსული დრამატული წრე, 1915 წელს — რუსული თეატრალური საზოგადოების მსახიობთა ამხანაგობა, 1917 წელს გაიხსნა რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრი.

საქართველოში რუსული კულტურის მნიშვნელოვანი კერაა ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი, სადაც პერიოდულად იმართება, როგორც რუსულენოვანი სპექტაკლები, ისე რუსული კულტურის საღამოები. თეატრი 1845 წელს დაარსდა გრაფ ვორონცოვის ინიციატივით. მას შემდეგ თეატრმა უდიდესი როლი შეასრულა ქართულ და რუსულ კულტურათა დაახლოებაში. 2005 წელს თეატრის 160 წლის იუბილეც აღინიშნა. თეატრში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი რუსი მსახიობები: ე. სატინა, პ. ბელოუსოვა, ლ. ვრუბლიოვსკაია, სსრკ სახალხო არტისტები: ნ. ბურმისტროვა, დ. სლავინი და სხვ.

საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბევრი ცნობილი რუსი მხატვარი: გ. გაგარინი, რომელიც მ. ლერმონტოვის მეგობარი იყო, ნ. ჩერენცოვი, ა. შევჩენკო და სხვ.

ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსმა მუსიკოსებმა და მომღერლებმა. არანაკლები წვლილი მიუძღვის რუსებს ქართული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქების არქიტექტურულ დაგეგმარებაში (კალოგინი, სევეროვი, ტატიშჩევი...), მშენებლობაში, ფოტოგრაფიაში (ერმაკოვი), სპორტში (დიაჩკოვი, სერგეევი, ჟემჩუჟინა, ჩაიკოვსკაია...).

ბოლო დროს საქართველოს რუსი მოსახლეობის მკვეთრმა შემცირებამ რუსული სკოლების შემცირებაც გამოიწვია, ხოლო რუსული საბავშვო ბაღები გაუქმდა. სახელმწიფო აკრედიტებულ უნივერსიტეტებში არის რამდენიმე რუსულ-ენოვანი ფაკულტეტი, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. მოქმედებს რამდენიმე

რუსული ეკლესია, ტრადიციებს აგრძელებენ ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრები.

ნათია ჯალაბაძე

თანამედროვე ვითარება

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, შექმნილ გარემოსთან ადაპტაცია განსაკუთრებით მძიმე რუსული მოსახლეობისათვის აღმოჩნდა. რუსულმა ენამ, რომელიც საბჭოთა კავშირში ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციისა და საქმის წარმოების ძირითადი ენა იყო, ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში ეს ფუნქცია დაკარგა. სრულიად განსხვავებულ გარემოსთან შეგუება რუსულ მოსახლეობას გაუჭირდა, რის გამოც მათმა დიდმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

1990-იან წლების მიგრაციულ პროცესებში ყველაზე ინტენსიური იყო სლავების (ფაქტობრივად, აღმოსავლეთ სლავების, ანუ ეთნიკური რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების) გასვლა. მათ შორის ბევრი საბჭოთა არმიის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი იყო. ისინი 1990-იანი წლების დამდეგიდან, მიმდინარე სამხედრო შენაერთების დისლოკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, მასობრივად ტოვებდნენ საქართველოს. ემიგრანტთა შორის სლავები 60%-ს აჭარბებდნენ. მათი უმეტესობა (88.5%) ქალაქის მკვიდრი იყო და თითქმის მთლიანად რუსეთის ფედერაციის ქალაქებში მიდიოდნენ საცხოვრებლად.

საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების მოთხოვნის ფონზე ქვეყანაში გაჩენილმა ნაციონალისტურმა ლოზუნგებმა, სამრეწველო ობიექტების დახურვამ, ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ბევრი რუსი აიძულა უკეთესი პირობები სხვაგან, ძირითადად, ისტორიულ სამშობლოში ეძებნა. დარჩენილი რუსული მოსახლეობა კი ახალ კულტურულ, რელიგიურ თუ სოციალურ გარემოში ადაპტირების რთული ამოცანის წინაშე დადგა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან გაძლიერებული ნაციონალისტური რიტორიკა ხელისუფლებაში ედუარდ შე-ვარდნაძის მოსვლის შემდეგ შესუსტდა. 1993 წლიდან რუსების ემიგრაციის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არა პოლიტიკურს, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა: ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა, კრიმინალური ვითარება.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წლის ბოლო საბჭოთა აღწერასთან შედარებით (1989 წელს რუსების რაოდენობა 3412 ათასი იყო, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6,3%-ს შეადგენდა), რუსების რაოდენობამ მკვეთრად იკლო და 67671 ათასი შეადგინა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 1,5 პროცენტია. საქართველოს რეგიონებში რუსების შემდეგი რაოდენობაა განსახლებული: თბილისი — 32 580, აჭარა — 9 073, გურია — 1 558, იმერეთი — 4 924,

კახეთი — 3 844, მცხეთა-მთიანეთი — 2 248, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი — 109, სამეგრელო-ზემო სვანეთი — 4 163, სამცხე-ჯავახეთი — 2 230, ქვემო ქართლი — 6 464, შიდა ქართლი — 5768.

რუსები კომპაქტურად ცხოვრობენ სოხუმის (ფსხუს სასოფლო საბჭო — 5 სოფელი), ნინოწმინდის (გორელოვკის სასოფლო საბჭო, იყო 6 სოფელი, დარჩა 2), გარდაბნის (1 სოფელი — ვაზიანი), ლაგოდეხის (1 სოფელი — სვობოდნოე), ლანჩხუთის (1 სოფელი — მალთაყვა), მცხეთის (1 სოფელი — კარსანი), ოზურგეთის (1 სოფელი — შეკვეთილი), საგარეჯოს (1 სოფელი — კრასნოგორსკი), სიღნაღის (1 სოფელი — ულიანოვკა) რაიონებში.

ამჟამად რუსული მოსახლეობის დიდ ნაწილს ხანდაზმული ადამიანები შეადგენენ. ახალგაზრდობა კი ისტორიულ სამშობლოში უკეთესი პერსპექტივის იმედით ემიგრაციას ანიჭებს უპირატესობას. ბოლო პერიოდში რუსების რაოდენობის კიდევ უფრო შემცირება რუსეთის სამხედრო ბაზების თანამშრომელთა მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების პროცესთან არის დაკავშირებული.

ბოლო წლებში რუსეთ-საქართველოს შორის მწვავე პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობაში ანტირუსული განწყობილება არ წარმოქმნილა, მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ რუსების ემიგრაციას კიდევ უფრო დააჩქარებს რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან თანამემამულეების ემიგრაციისათვის ხელის შეწყობას ითვალისწინებს. 2006 წლის ოქტომბერში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მესამე კონგრესზე გადაწყდა, რომ რუსეთი თანამემამულეებს დახმარებას აღმოუჩენს ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად.

რუსების ემიგრაციაში გამორჩეული ადგილი უკავიათ დუხობორებსა და მალაკნებს. დუხობორების ორგანიზებულ ემიგრაციას ხელი შეუწყო 1998 წლის დეკემბერში რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის, ევგენი პრიმაკოვის დადგენილებამ საქართველოში მცხოვრები დუხობორების შესახებ. ამ საკითხზე სპეციალური რეზოლუცია მიიღო რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამაც. ამის შედეგად 1999 წლის იანვარში დუხობორთა დიდი ნაწილი ბრიანსკის რეგიონში გადასახლდა. დუხობორთა დარჩენილი ნაწილიც ემიგრირებას ფიქრობს, რისი მიზეზიც, მათი განცხადებით, საქართველოსთან შედარებით, რუსეთში უკეთესი ეკონომიკური პირობები და საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობებია.

ნინოწმინდის რაიონის სოფლებში დარჩენილი დუხობორების ეკონომიკურ საქმიანობაში წამყვანი ადგილი მეცხოველოებასა და საკუთარი მეურნეობის წარმოებას უკავია. ადგილობრივ დუხობორთა შეფასებით, ფერმა მათთვის კომუნალური ტრადიციების შენარჩუნების საშუალებაა, თუმცა მათ წინაშე არსებული პრობლემები დუხობორთა ემიგრაციას შეუქცევად პროცესად აქცევს. 2007 წლის განმავლობაში დუხობორთა ნაწილი რუსეთის ფედერაციაში გადასახლდა. მათ რუსეთის მთავრობისაგან უფასო ტრანსპორტირების, დასახლებისა და ექვსი თვის განმავლობაში შეღავათებით სარგებლობის პირობა მიიღეს. საქართველოში დარჩენილი დუხობორებისათვის ისტორიულ სამშობლოში გადასახლება მათთვის საცხოვრებელი ადგილების შერჩევის შემდეგ გაგრძელდება.

საბჭოთა პერიოდში რუსული ენა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის ძირითადი ენა იყო. რუსული ენის პრიორიტეტულობის პირობებში კი რუსული მოსახლეობისათვის ქართული ენის სწავლის აუცილებლობა არ არსებობდა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუსულმა ენამ დაკარგა დომინანტური პოზიცია. ამის მიუხედავად, რუსული ენა ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკომუნიკაციო ენად ჯერ კიდევ რჩება, მაგრამ მისი როლი სულ უფრო სუსტდება, რაც აქ დარჩენილ რუს ახალგაზრდობას ემიგრაციისათვის დამატებით სტიმულს აძლევს. 1991 წლის შემდეგ საქართველოში დაბადებული რუსი ბავშვები რუსულ სკოლებში შედიოდნენ, რადგან მშობლები ნაკლებად ენდობოდნენ ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხს და იმედოვნებდნენ, რომ ასე უფრო ადვილად იშოვნიდნენ სამსახურს რუსეთში. რუსულ სკოლაში შეყვანის კიდევ ერთი მიზეზი მოზარდებში ქართული ენის სუსტი ცოდნა იყო.

2003-04 სასწავლო წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 168 რუსული სკოლა, მათგან ერთენოვან სკოლებს შორის 55 რუსული სკოლა იყო, დანარჩენი კი — ორენოვანი და სამენოვანი (რუსულთან ერთად ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც მიმდინარეობდა სწავლება). თუმცა, რუსულენოვანი სკოლების რაოდენობა რუსულენოვანი მოსახლეობის შემცირების პირობებში სულ უფრო კლებულობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს არა რუსები, არამედ სხვა ეთნიკურ ჯგუფთა წევრები წარმო-ადგენდნენ.

რუსულენოვანი მოსახლეობისათვის პრობლემას წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელში, განათლების რეფორმის შედეგად დანერგილი, ჩაბარების ახალი წესები. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე რუსი ახალგაზრდობა ყოფით დონეზე კარგად ფლობს ქართულ ენას, უმაღლეს სასწავლებლებში ტესტირების გავლა მათ-თვის ადვილი არ არის, რადგან ტესტირება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. ამიტომ რუსი ახალგაზრდები უმაღლესი განათლების მისაღებად, ძირითადად, რუსეთში მიემგზავრებიან, რაც მათ იქ სამუდამო დასახლებისაკენ უბიძგებს.

რუსული მოსახლეობის დახმარებასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში გარკვეულ როლს ასრულებს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციები, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია საქართველოში რუს თანამემამულეთა კავშირი «ოტჩიზნა», რომელიც 24 ორგანიზაციას აერთიანებს. იგი 2004 წლის ივნისიდან არსებობს და აქტიურად მონაწილოებს თანამემამულეების დახმარების პროგრამაში, რომელსაც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს. კავშირი ახორციელებს სამედიცინო დახმარებას, აგზავნის სტუდენტებს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მატერიალურად ეხმარება ომის ვეტერანებსა და სხვ.

საქართველოში მოღვაწე სხვა ორგანიზაციები — რუს ქალთა ასოციაცია «იაროსლავნა», საქართველოს სლავური სახლი, საერთაშორისო ჰუმანიტარულ-საქ-ველმოქმედო კავშირი «ნადეჟდა», საქართველოს რუსთა კავშირი, რუსეთის

მეგობართა საერთაშორისო კავშირი, ქართულ-რუსული მეგობრობის კავშირი, რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება, რუსული ენის მასწავ-ლებელთა ასოციაცია — ძირითად დაფინანსებას რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტრუქტურებიდან იღებენ და მათი საქმიანობა რუსი მოსახლეობის დახმარების სხვადასხვა ასპექტს მოიცავს — მატერიალურ-ფინანსურიდან კულტურული ღონისძიებებამდე.

საქართველოში რუსული კულტურის შესანარჩუნებლად განსაკუთრებულ როლს ასრულებს საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი «რუსული კლუბი» (“Русский клуб”), იგი წევრია რუსი თანამემამულეების საერთაშორისო კავშირისა, რომელიც 57 ქვეყანას აერთიანებს. ორგანიზაციაში, რომელიც 2005 წლიდან ფუნქციონირებს, ხუთი ათასამდე სხვადასხვა ეროვნების ადამიანია გაერთი-ანებული. ორგანიზაციის ძირითადი პრიორიტეტებია კულტურულ-საგანმანათ-ლებლო საქმიანობა და რუსულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყო-ბა. კავშირის ეგიდით გამოდის ყოველთვიური საზოგადოებრივ-მხატვრული ჟურნალი“Русский клуб”.

საქართველოში ფუნქციონირებს, აგრეთვე, საქართველოს კაზაკთა კავშირი. კავშირის შექმნის იდეა აფხაზეთში ომის პერიოდში აღმოცენდა. კავშირის მიზანი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და რუსეთსა და საქართველოს შორის კულ-ტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განმტკიცება. საქართველოს კაზაკთა კავშირის უმაღლეს ატამანად აირჩიეს გენერალ-ლეიტენენტი ვასილ კადე-ნეცი. კავშირი თავდაპირველად 50 კაცს აერთიანებდა, ამჟამად მისი წევრების რაოდენობა დაახლოებით 5 000-ია. კაზაკთა კავშირის წევრები საქართველოში პირველად დასახლებულ კაზაკთა შთამომავლები არიან. ორგანიზაციაში გაერთიანებულნი არიან, აგრეთვე, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც: სომხები, ბერძნები, ოსები, ასურელები, ქურ-თები და სხვ. 1998 წლის ნოემბერში ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა საქართველოს კაზაკთა კავშირის შექმნის 5 წლის-თავისადმი მიძღვნილი საღამო.

საქართველოში რუსულ ენაზე გამოდის გაზეთები, მათ შორის “Свободная Грузия”, “Вечерний Тбилиси”. საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე კვირაში ერთხელ გადის რუსულენოვანი საინფორმაციო გამოშვება.

მამუკა კომახია

უკრაინელები

უკრაინელები უკრაინის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ. მათი გარკვეული ნაწილი ცხოვრებს რუსეთში, აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში და სხვ. ლაპარაკობენ უკრაინულ ენაზე, რომელიც აღმოსავლური სლავური ენების ჯგუფს განეკუთვნება.

ისტორიული ნარკვევი

უკრაინელები მცირე რაოდენობით საქართველოს ტერიტორიაზე პირველად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ, როდესაც რუსეთის იმპერიის დედოფალმა ეკატერინე II-მ დაუმორჩილებლობის გამო დაშალა ე.წ. «ზაპოროჟსკაია სეჩ», რის შედეგადაც ბევრი კაზაკი იძულებული გახდა იმპერიის სამხრეთი ტერიტორიებისაკენ გაქცეულიყო. ამის შედეგად ზოგიერთი მათგანი საქართველოშიც აღმოჩნდა.

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში რუსული სამხედრო ნაწილები ჩამოასახლეს, მათში იყვნენ უკრაინელებიც. ხანგრძლივი სამხედრო სამსახურის გამო ბევრი მათგანი მშობლიურ მხარესთან კავშირს წყვეტდა. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ უკრაინელთა ნაწილი სამუდამოდ დასახლდა სამხედრო ნაწილების ახლოს მათთვის სპეციალურად გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. მაგრამ დასახლებების მცირერიცხოვნობის გამო, მათი არსებობა ხანმოკლე გამოდგა. XIX საუკუნის შუა ხანებში ამგვარი დასახლებები საერთოდ გაუქმდა.

სამხედრო მოსამსახურეების გარდა პირველ უკრაინელთა შორის იყვნენ, აგრეთვე, ადმინისტრაციულ დაწესებულებებში მომუშავე ოფიცრები. მათი ნაწილი სამუდამოდ დასახლდა საქართველოში. XIX საუკუნეში უკრაინელთა გადმოსახლების ერთი მიზეზი პოლიტიკური ხასიათის იყო: მათი უმეტესობა დევნასა და რეპრესიებს გაურბოდა. მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ფაქტორიც, რომელიც უმიწაწყლო გლეხებს თავისუფალი მიწების ძიებისაკენ უბიძგებდა. რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხებმა თავისუფალი მიწების ძიება დაიწყეს. ამ პერიოდში, საქართველოში მომხდარი მოვლენების შედეგად, ბევრი თავისუფალი ტერიტორია გაჩნდა, კერძოდ, აფხაზეთში, სადაც რუსებით, უკრაინელებით, სომხებით, ბერძნებითა და სხვა ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული სოფლები წარმოიშვა.

უკრაინელების საქართველოში დასახლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავ ზღვაზე ნაოსნობის განვითარებამ, ახალი პორტების, რკინიგზისა და კურორტების მშენებლობამ, რაც კვალიფიციურ უკრაინელ სპეციალისტებს დასაქმების შესაძლებლობას აძლევდა.

1887 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 8,5 ათასი უკრაინელი ცხოვრობდა, მათგან 64% — ქალაქებში, ხოლო 36% — სოფლებში. იმ პერიოდში საქართველოში უკრაინელთა შემოსვლის პროცესი არ შენელებულა. აღსანიშნავია უკრაინელი ინტელიგენციის — მწერლების, მეცნიერების, მსახიობების, ჟურნალისტების — საქართველოში ჩამოსახლება.

XX საუკუნის დამდეგს თბილისში დაფუძნდა უკრაინული თეატრალური ჯგუფი მ. ბელიაევას ხელმძღვანელობით, რომელმაც 1902-13 წლებში ორმოცდახუთამდე პიესა დადგა. ამავე წლებში საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა თავის მეუღლესთან, ეთნოგრაფ კ. კვიტკასთან ერთად. 1880-86 წლებში კი თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, უკრაინის პირველი პრეზიდენტი მიხეილ გრუშევსკი.

1917 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 2,5 მილიონს შეადგენდა. უკრაინული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, მათ შორის 185 ათასი ითვლებოდა რუსად, რომელთა 70% უკრაინელები იყვნენ, რაც 129 ათასს კაცს შეადგენდა. სოფლებში უკრაინელთა ძალზე მცირე ნაწილი სახლობდა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა კი სამრეწველო ცენტრებში — თბილისში, ბათუმსა და სოხუმში იყვნენ დასაქმებულნი (მათ შორის იყვნენ მუშები, ხელოსნები, ვაჭრები და ინტელიგენციის წარმომადგენლები).

1917 წელს მოეწყო უკრაინელთა სამხედრო სხდომა, სადაც შეიქმნა კავკასიის უკრაინული სამხედრო რადა და უკრაინული რადა. კავკასიის უკრაინული სამხედრო რადა გამოსცემდა გაზეთ «ვისტი»-ს («ცნობები»), რომელსაც, მოგვიანებით, «უკრაინსკი ვისტი» ეწოდა. 1917 წლის ნოემბერში უკრაინულმა რადამ, ცენტრალური უკრაინული რადას მხარდაჭერით, თბილისში სამხრეთ კავკასიაში პირველი უკრაინული სხდომა ჩაატარა, რომლის ძირითად მიზანს უკრაინული საზოგადოებების, გაერთიანებებისა და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირება წარმოადგენდა. 1918 წელს უკრაინამ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. საქართველოში ჩამოვიდა უკრაინის საგანგებო დიპლომატიური მისია ი. კრასოვსკის მეთაურობით.

მეორე უკრაინული რადა 1918 წელს ჩატარდა. თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და ფოთში შეიქმნა უკრაინული საზოგადოებები, რომლებიც უკრაინული ენისა და კულტურის გადასარჩენად იღვწოდნენ. ისინი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ, მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და ბათუმის დუმის არჩევნებში. ბათუმის დუმაში აირჩიეს კრასიცკი, სახნოვსკი, ლოვინსკი, მიკოლაენკო, პოლნიცკი. 1919 წელს კი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატად აირჩიეს ალექსანდრე კლიუჟნი.

1917-1926 წლებში უკრაინელთა ნაწილი დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მათი რაოდენობა საქართველოში. ამავე დროს 1922 წლიდან საქართველოში უკრაინელთა ახალი ტალღის შემოსვლა აღინიშნება. მხოლოდ 12 წლის განმავლობაში, 1926 წლიდან 1939 წლამდე, უკრაინული მოსახლე-

ობის რაოდენობა საქართველოში 3,2-ჯერ გაიზარდა და ამ პერიოდის ბოლოსათვის 46 ათასი ადამიანი შეადგინა. საქართველოში უკრაინელების გადმოსახლება განპირობებული იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მაღალი ტემპების შედეგად მაღალკვალიფიციურ კადრებზე გაჩენილი მზარდი მოთხოვნით.

უკრაინული მოსახლეობის რაოდენობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ინდუსტრიალიზაციის პროცესის შედეგად (რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აგება, კოლხეთის დაბლობის ათვისება, ჰიდროელექტროსადგურებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა). საქართველოში დარჩენას არჩევდა სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული ბევრი სამხედრო პირი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1959-1979 წლებში, სლავების, მათ შორის რუსებისა და უკრაინელების რაოდენობა საქართველოში 43.5 ათასით შემცირდა, ხოლო საქართველოს მთელ მოსახლეობაში მათი პროცენტული წილი 11.3%-დან 8.3%-მდე დავიდა. 1970 წლის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები რუსებისა და უკრაინელების 82.2% ქალაქებში ცხოვრობდა.

1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველოში 52,4 ათასი უკრაინელი იყო, რაც ქვეყნის საერთო მოსახლეობის 1%-ს შეადგენდა. უკრაინელები ცხოვრობდნენ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ქუთაისსა და ფოთში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, მათი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა ან სხვა ქვეყნებში გაემგზავრა.

ამჟამად საქართველოში უკრაინელთა დარჩენისათვის მნიშვნელოვანი სტიმულია ინტეგრაციის მაღალი ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები არსებობს, განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანებში, ქართველი ნათესავებისა თუ ახლო წრის არსებობამ, შერეულ ქორწინებებში ყოფნამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უკრაინელთა საქართველოში დარჩენას.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 7 039 უკრაინელი ცხოვრობს. მათი ნახევარი ქ. თბილისში სახლობს, მრავლად არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც.

1999 წლის 1 სექტემბრიდან თბილისში მოქმედებს მიხეილ გრუშევსკის სახელობის პირველი უკრაინული სკოლა. სკოლის მოსწავლეების დიდი ნაწილი ქართულ-უკრაინული შერეული ოჯახებიდან არიან. მოსწავლეები უკრაინულ ენაზე განათლებას დაწყებით კლასებში იღებენ, შემდეგ კი მშობლიურ ენაზე სწავლობენ უკრაინულ ლიტერატურასა და ენას. ახალგაზრდა თაობამ, უფროსი თაობისაგან განსხვავებით, უკეთესად იცის ქართული ენა. ისინი განათლებას, ამჟამად, ძირითადად რუსულ ან ქართულენოვან სკოლებში, უმაღლეს განათლებას კი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ან უკრაინაში იღებენ. უკრაინული მხარე ყოველწლიურად (თავისი ხარჯებით) უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში 10 სტუდენტის სწავლებას უზრუნველყოფს.

საქართველოში უკრაინელთა თვითმყოფადობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს 1992 წლის 15 ივლისს დაარსებული საქართველოში მცხოვ-რებ უკრაინელთა ასოციაცია. 1994 წლიდან დღემდე ასოციაციას ხელმძღვანელობს მიხეილ ბორისი.

1995 წლიდან უკრაინელებით კომ-პაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე იქმნება და ფუნქციონირებს უკრაინული საზოგადოებები: ქ. რუსთავში — კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება «სლავუტიჩ», ქ. კასპში — გაერთიანება «ჩერვონა კალინა», ქ. ზუგდიდში — გაერთიანება «ოლესია» და ა.შ. უკრაინული ორ-განიზაციების ძირითადი საქმიანობა კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. თბილისში არსებულ კულტურულ-საგანმანათ-ლებლო ცენტრში მიმდინარეობს კომპიუტერისა და ინგლისური ენის, ცეკვისა და სიმღერის სწავლება. აღნიშნულ საზოგადოებებს ფინანსურად და ტექნიკური აღ-ჭურვილობით, პერიოდულად, ეხმარებიან უკრაინაში არსებული ორგანიზაციები.

2001 წლის 19-20 მაისს ქ. თბილისში, საქართველოში უკრაინის საელჩოს მხარდაჭერით, ჩატარდა საქართველოში უკრაინული საზოგადოებების წარმომადგენლების ფორუმი. ფორუმის მიზანი იყო საზოგადოებების გაერთიანება და მათი საქმიანობისათვის საკოორდინაციო ცენტრის შექმნა. ფორუმზე შეიქმნა უკრაინელთა საკოორდინაციო რადა, შეიმუშავეს წესდება და აირჩიეს რადის მმართველი ორგანო. რადა საქართველოში მოღვაწე 18 ორგანიზაციას აერთიანებს.

მამუკა კომახია

პ ო ლ ო ნ ე ლ ე ბ ი

პოლონელები პოლონეთის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ. ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ს, ევროპის ქვეყნებში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში. ლაპარაკობენ პოლონურ ენაზე, რომელიც სლავური ენების დასავლურ ჯგუფს განეკუთვნება.

ისტორიული ნარკვევი

პოლონელების დასახლება საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულიდან იწყება. ამ პროცესმა უფრო ინტენსიური სახე XIX საუკუნეში მიიღო, მას შემდეგ, რაც პოლონეთი და საქართველო რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ. პოლონელთა საქართველოში ჩამოსვლის მიზეზები ზოგ შემთხვევაში პოლიტიკური ან მისიონერული მიზნები, ზოგჯერ სამხედრო ვალდებულებანი, ზოგჯერაც კომერციული ინტერესები თუ უკეთესი საცხოვრისის ძიება იყო.

ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში გამოჩნდნენ პირველი პოლონელი მისიონერები, რომლებიც იმავდროულად დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ. მათ შორის იყვნენ ვეჩერკოვსკი და კრუშინსკი, რომლებმაც მოგვიანებით გამოსცეს ნაშრომები სამხრეთ კავკასიაში თავიანთი მისიონერული მოღაწეობის თაობაზე. მათი ნაწერები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს საქართველოს შესახებ. XVIII საუკუნეში საქართველოში მოღვაწეობდა პოლონელი მისიონერი იან როტა.

XVIII-XIX საუკუნეებში პოლონელთა უმრავლესობამ ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიასა და პოლონეთის ორად გაყოფის რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა. მათ მიაჩნდათ, რომ თურქების მიერ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობა, რაც პოლონელ ხალხს გადაშენებით ემუქრებოდა, პოლონური კულტურისათვის გაცილებით უფრო საზიანო იქნებოდა. ამგვარად, კავკასიაში გამოჩნდნენ პოლონელი ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც რუსეთის მეფის არმიაში მსახურობდნენ და თურქეთისა და სპარსეთის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდნენ. იმ დროისათვის პოლონელთათვის ეს იყო ერთადერთი რეალური შესაძლებლობა შეერთებოდნენ მუსლიმი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას. კავკასიის არმიაში დაახლოებით 180 პოლონელი ოფიცერი მსახურობდა, ხოლო მეფის ჯარში მომსახურე ოფიცრობის და რიგითი პოლონელი ჯარისკაცების ნაწილი სამხედრო ვალდებულებას საქართველოში იხდიდა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში აღმოჩნდნენ, აგრეთვე, მეფის მთავრობის მიერ სამშობლოდან დეპორტირებული მეამბოხე პოლონელები (მათ, ძირითადად, ციმბირსა და კავკასიაში ასახლებდნენ). XVIII საუკუნის მიწურულს, კერძოდ, 1794 წელს, საქართველოში სამშობლოდან გასახლებულ პოლონელთა პირველი ტალღა

გამოჩნდა. ესენი იყვნენ ტადეუშ კოსტიუშკოს აჯანყების მონაწილეები, რომელთაც რუსეთის არმიის რიგები შეავსეს. XIX საუკუნეში საქართველოში ეტაპობრივად შემოვიდა პოლონელთა რამდენიმე ჯგუფი. ესენი ნაპოლეონის მხარეს 1812 წელს რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ტყვე პოლონელი ჯარისკაცები და ოფიცრები, ასევე პოლონეთის 1830 წლის აჯანყების დროს დახვრეტილ გენერალთა და ოფიცერთა შვილები იყვნენ. ეს უკანასკნელნი აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის სამხედრო სკოლებსა და რუსული არმიის კორპუსებში გააგზავნეს. ტყვე ჯარისკაცთა ნაწილი (დაახლ. 1000 კაცი) კავკასიაში გაამწესეს, სადაც ისინი კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ ომში მონაწილეობდნენ. სწორედ მათი ერთი ჯგუფი მოხვდა საქართველოში. პირობები, რომელშიც პოლონელ სამხედროებს არსებობა უწევდათ, ძალზე მძიმე იყო. ბევრი მათგანი ვერ ეგუებოდა მათთვის უჩვეულო გარემოს და იღუპებოდა.

კავკასიის პოლკში მომსახურე პოლონელებს, განსხვავებული სოციალური წარმომავლობისა და სტატუსის მიუხედავად, ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ, რასაც მათი საერთო ეთნიკური წარმოშობა განაპირობებდა. ესენი იყვნენ პოლონური საზოგადოების განათლებული, პატრიოტი და ნიჭიერი წარმომადგენლები, რომელთა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საბრძოლო მოქმედებათა შემდგომ მსვლელობაზე. მაგალითად, XIX საუკუნის დამდეგს გენერალმა პეტრე კოტლიარსკიმ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიიდან გაამევა თურქები და სპარსელები. აღსანიშნავია, რომ კავკასიის ოლქის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების თანამშრომელთაგან ორმოცდახუთი პოლონელი იყო. საქართველოში მსახურობდნენ პოლონურ საზოგადოებაში კარგად ცნობილი პიროვნება, პოლონეთის საიდუმლო ორგანიზაციის წევრი პარადოვსკი, მასონთა ლოჟის წინამძღოლი მაიორი სტანისლავ კარვიცკი (იგი თავის ძმასთან ერთად მსახურობდა იმერეთში). 1829-31 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს გუბერნატორი იყო პეტრე ზაველეისკი (მან სამცხე-ჯავახეთში 20-მდე სოფელი შეისყიდა), ხოლო 1833 წელს ვიცე-გუბერნატორის პოსტი კალინოვსკის ეკავა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში პოლონელების კიდევ ერთი ტალღა შემოდის. ესენი იყვნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — ფიზიკოსები, მასწავლებლები, ოფიცრები, ვაჭრები და სხვ., რომელთა მიგრაცია ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა. საქართველოში XIX საუკუნის 40-50-იან წლებში დაახლოებით 4000 პოლონელი ცხოვრობდა. თბილისში პოლონელთა პირველი ნაკადი XIX საუკუნის დამდეგს დამკვიდრდა, ხოლო შემდგომი ტალღა — 40-50-იან წლებში. XIX საუკუნის შუა ხანებში თბილისში 900 პოლონელი ცხოვრობდა, ხოლო თბილისის შემდეგ პოლონელების სოლიდური რაოდენობა იყო ქუთაისში, გორში, თელავში, ბათუმსა და სიღნაღში.

საქართველოში მყოფი პოლონელები აქტიურად იყვნენ ჩართული იმ პროცესებში, რომელთა მიზანი ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ნორმალიზაცია იყო. მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში თურქეთის ექსპანსიის შესაჩერებლად და რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო იყო სავაჭრო გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და პორტის მოწყობა შავ ზღვაზე. ამ გეგმის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვით პოლონელ ინჟინრებს (ბ. სტატკოვსკის, ფ. რიდზევსკის, ვ. სკორჟინსკისა და სხვ). XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეფის

რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, პერიფერიებსა და იმპერიის ცენტრს შორის პირდაპირი და იოლი კავშირისათვის საქართველოში სატრანსპორტო გზების მშენებლობა დაიწყო. საუღელტეხილო გზების დაპროექტების მიზნით, 1855 წელს კომისიები შეიქმნა. კომისიათა მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა პოლონელი ინჟინერი ბოლესლავ სტატკოვსკი (მასვე ეკუთვნის სამხრეთ კავკასიის ალპინისტთა კლუბის შექმნის იდეა). 1886 წელს დაიწყო და 1890 წელს დასრულდა სურამის გვირაბის მშენებლობა ფერდინანდ რიდზევსკის ხელმძღვანობით. 4 კმ. სიგრძის გვირაბის შენება რეკორდული ტემპებით მიმდინარეობდა — დღეში 12 მეტრი ით-ხრებოდა.

პოლონელები საქართველოში მეტ-ნაკლებად კომპაქტურად ურბანულ ცენტრებში — თბილისში, ქუთაისში, ახალციხესა და სოხუმში ცხოვრობდნენ. ისინი თბილისში პეტრე-პავლეს ეკლესიის სიახლოვეს იყვნენ თავმოყრილი, რომელიც 1877 წელს არ-ქიტექტორ ა. ზელცმანის პროექტით აიგო. 1898 წელს გაიხსნა ეკლესიასთან არსებული პოლონური სკოლა, სადაც, თავდაპირველად, 105 მოსწავლე ირიცხებოდა. მოგვიანებით, აქვე გაიხსნა ბიბლოთეკა სამკითხველო დარბაზით, სადაც დაცული იყო 2 314 წიგნი. 1903 წელს ეკლესიასთან შეიქმნა კათოლიკური საქველმოქმედო საზოგადოება — “Dobroszynność”.

1899 წელს პოლონელი ინჟინრებისა და ექიმების — სობეპანსკის, ორიენბოვსკის, ზაკშევსკის და სხვათა ინიციატივით საქართველოში დაარსდა ორგანიზაცია «პოლონური სახლი», რომელიც ასი წლის შემდეგ — 1999 წელს — იმავე სახელწოდებით იქნა აღდგენილი.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველომდე პოლონელ ემიგრანტთა ახალი ტალღა აღწევს. ისინი აქ, უმთავრესად, სამუშაოს ძიების ინტერესმა ჩამოიყვანა. ამ ჯგუფში შედიოდნენ პროფესიონალები, ძირითადად, ინჟინრები, მასწავლებლები, მუსიკოსები, მხატვრები, ექიმები, მეანები და სხვ. ასე რომ, XIX საუკუნის მიწუ-რულისთვის საქართველოში პოლონელთა საკმაოდ ფართო დიასპორა არსებობდა 8000-მდე პოლონელის შემადგენლობით. ამათგან 50% სამხედრო იყო. ამავე პე-რიოდში კავკასიის არმიის სამხედრო მოსამსახურეთა 20% პოლონელი იყო. ის პოლკები, სადაც პოლონელები მსახურობდნენ, პოლონურ პოლკებად იწოდებოდა (პოლონურ პოლკები იდგნენ გომბორში, ლაგოდეხში, თბილისში, თეთრიწყაროში და სხვ.). თბილისში 1887 წლისათვის 4 133 პოლონელი ცხოვრობდა. მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა I მსოფლიო ომის დასაწყისისათვის.

პოლონური დიასპორა საქართველოში აქტიურ მონაწილეობას იღებდა I მსოფლიო ომისა და რევოლუციის წინა პერიოდის პოლიტიკურ პერიპეტიებში. XX საუკუნის დამდეგისათვის იგი საქართველოში ქმნის კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, 1907 წელს — თბილისში, მოგვიანებით — ქუთაისსა და ბათუმში; პოლონელ მხატვართა ინიციატივით, 1905 წელს თბილისში დაარსდა «ხატვისა და ფერწერის კურსები», 1914 წელს ყალიბდება პოლონური ახალგაზრდული ორგანი-ზაცია და ხარცერთა კავშირი.

I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე თბილისში, «პოლონურ სახლში», შეიქმნა ომის მსხვერპლთა დახმარების კომიტეტი, სადაც კრებდნენ ფულს, პოლონელ ჯარისკა-

ცებს ეხმარებოდნენ საკვებით, ამარაგებდა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ადგილობრივ სამხედრო ჰოსპიტალში მომუშავე პოლონელი სამხედრო ექიმების (ა. გადომსკის, ე. გორბოვსკის, ა. ნოვიცკის, ი. ოსტროვკის და სხვ.) წვლილი.

1917 წლის რევოლუცია ძირფესვიანად ცვლის საქართველოში მცხოვრებ პოლონელთა ცხოვრებას. იქმნება ახალი პარტიები და გაერთიანებები: პოლონური სამხედრო საბჭო და თბილისის პოლონური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, სადაც 100-მდე წევრია გაერთიანებული; გამოდის პოლონური ყოველკვირეული პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიტერატურული ჟურნალი. მოგვიანებით, 1919 წელს, ფუძნდება პოლონურ-ქართული საწარმოო-სავაჭრო კავშირი. 1917 წლის შუა პერიოდში პოლონურმა ორგანიზაციებმა თბილისში შექმნეს პოლონეთის საოლქო საბჭო კავკასიაში, რომელიც საქართველოში პოლონეთის პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი უნდა გამხდარიყო. იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით 1917 წლის მიწურულს პოლონეთის საოლქო საბჭო შეუდგა სამხედრო დანაყოფების შექმნას კავკასიაში პოლონელთა თვითმოქმედი ბრიგადების სახით. ამ ბრიგადების ფორმირების ცენტრი საქართველოს დედაქალაქი გახდა. 1918 წელს ყალიბდება პოლონური ჯარის კავკასიური ბრიგადა 1500 კაცის შემადგენლობით, რომელმაც მანამდე იარსება, სანამ გერმანელი სამხედრო ხელმძღვანელობის მოთხოვნით საქართველოს მთავრობა მისი დაშლის გადაწყვეტილებას მიიღებდა (1918 წ.). პოლონელ სამხედროებს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცეს და საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიზნით გარკვეული თანხაც კი გამოყო. 1918-1924 წლებში მრავალი პოლონელი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო დარჩენილთა ნაწილი სტალინური რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. რეპრესირებული პოლონელები ყაზახეთში გადაასახლეს.

1926 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 3159 პოლონელი ცხოვრობდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიცხვი ზუსტი არ უნდა იყოს, ვინაიდან მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გამო, კონკრეტულად კი რეპრესიების შიშით, ბევრი პოლონელი მალავდა თავის ეთნიკურ წარმომავლობას და რუსად ან უკრაინელად ეწერებოდა.

1926-1927 წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა ეროვნულ უმცირესობათა 359 სკოლა, სადაც სწავლება მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. მათ შორის ერთი პოლონური სკოლაც იყო. 1926 წლისთვის თბილისში, კალინინის ქ.№59-ში, განთავსებული იყო კარლ ლიბკნეხტის სახელობის დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა კლუბი, რომელიც კულტსაგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა საქართველოში მცხოვრებ დასავლური წარმომავლობის მქონე ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელთა შორის. კლუბის წევრების რაოდენობა 371 ადამიანს შეადგენდა. კლუბს ჰქონდა 7 სექცია, მათ შორის ერთი პოლონური.

II მსოფლიო ომის დროს, პოლონეთისათვის მეტად ტრაგიკულ პერიოდში, საქართველომ დიდი დახმარება აღმოუჩინა პოლონელებს. როგორც ცნობილია, 1939 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოთა კავშირის მიერ ანექსირებულ რეჩ-პოსპოლიტას აღმოსავლეთი მხარის მოსახლეობას სსრკ მოქალაქეობა მიანიჭეს. ამდენად, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის (22. 06. 1941)

შემდგომ დაიწყო პოლონელთა მიგრაცია, რომლის შედეგადაც პოლონელ ლტოლვილთა ცალკეული ჯგუფები სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში აღმოჩნდნენ. მათზე ზრუნვა იტვირთა პოლონეთის საელჩომ მოსკოვში (შემდეგ — კუიბიშევში). საქართველოში ლტოლვილ პოლონელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი ჩამოვიდა. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, II მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოში 10 000 პოლონელი იმყოფებოდა. ისინი საქართველოს მრავალ ქალაქსა და სოფელში ცხოვრობდნენ. პოლონელთა ყველაზე დიდი სათვისტომოები 1943 წლისათვის თბილისში, ბათუმში, ბოლნისში, ბორჯომში, ხაშურში, ჭიათურაში, ჩოხატაურში, გეგეჭკორში, გორში, კულაშში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, სამტრედიაში, სტალინირში (ცხინვალში), სოხუმში, ტყიბულში, ზესტაფონსა და ზუგდიდიში იყო. საქართველოში პოლონელი ლტოლვილები უსაფრთხო და მყუდრო პირობებში იმყოფებოდნენ. მათ თავიდანვე დაამყარეს კავშირი ადგილობრივ პოლონურ ორგანიზაციებთან. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (გორში, შემდეგ სტალინირში, ქუთაისში) პოლონელთა საქმეების საწარმოებლად საოლქო ფონდები შეიქმნა, რომლებიც პოლონეთის საელჩოსაგან და უცხოეთიდან იღებდნენ დახმარებას. დაიწყო პოლონელი მოსახლეობის აღწერა და საორგანიზაციო სამუშაოების წარმოება.

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ პოლონელთა მდგომარეობაზე მნიშვნელნად იმოქმედა სსრკ-სა და პოლონეთს შორის ურთიერთობის გამწვავებამ. 1942 წლის ივლისში ხელისუფლებამ გააუქმა პოლონეთის სალჩოს ტერიტორიული წარმომადგენლობები და მათი თანამშრომლების უმრავლესობა დააპატიმრა. დაარსდა «პოლონელ პატრიოტთა კავშირი» (პპკ), რომელსაც საბჭოთა კავშირში მყოფ თანამემამულეებზე ზრუნვა დაევალა. 1943 წელს საქართველოში შეიქმნა ამ კავშირის 3 ტერიტორიული წარმომადგენლობა. სამხარეო სამმართველოები იყო თბილისში (1944 წელს იგი პპკ-ს რესპუბლიკის სამმართველოდ გადაკეთდა), ქუთაისსა და გორში. 1944 წელს სტალინირში შეიქმნა დროებითი საოლქო სამმართველო. საქართველოს ხელისუფლებამ პპკ-ს გამოუყო კლუბები და ქოხ-სამკითხველოები, სადაც პოლონელები პოლიტიკურ საღამოებს აწყობდნენ. თბილისის პპკ-ს ხელისშეწყობით, მსგავსი ორგანიზაციები შეიქმნა ერევანსა და ბაქოში. პოლონელი ლტოლვილები, ძირითადად, საწარმოებში მუშაობდნენ ან ხელოსნობას მისდევდნენ. საქართველოში არ იყო პოლონური სკოლები და ამიტომ ახალგაზრდა თაობა განათლებას პოლონურად ვერ იღებდა. ისინი, ძირითადად, რუსულ სკოლებში სწავლობდნენ.

1944 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 4 208 პოლონელია აღრიცხული. ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა მათი სამშობლოში დაბრუნების გამო. 1944 წელს ლიტვის, ბელორუსიისა და უკრაინის მთავრობებთან დაიდო ხელშეკრულებები პოლონელთა რეპატრიაციის თაობაზე. საქართველოსთან ასეთი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, ამიტომაც ქვეყნიდან პოლონელთა გადინება თვითნებურად ხდებოდა. უკვე 1945 წლისათვის პოლონელთა რაოდენობა საქართველოში 1 068 კაცამდე შემცირდა, ამათგან 396 თბილისში ცხოვრობდა. მათი რაოდენობა ნახევარ წელიწადში 259-მდე დავიდა. ქუთაისიდან პოლონური მოსახლეობის 90% წავიდა.

საქართველოში მცხოვრებ პოლონელებს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან. დიდია პოლონელთა

დამსახურება საქართველოს ყოფისა და კულტურის განვითარების საქმეში. პოლონელებმა დიდად შეუწყვეს ხელი მთლიანად ქვეყნისა, თუ მისი ამა თუ იმ მხარის შემდგომ წინსვლას. ინტერესდებოდნენ საქართველოს ბუნებით, წერდნენ ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომებს, ხატავდნენ და ა.შ. საქართველოში მცხოვრებ პოლონელთა შორის იყვნენ მწერლებიც, ე.წ. პოლონური კავკასიური პოეზიისა და პროზის შემქმნელები: ტადეუშ ლადა-ზაბლოცკი (1813-1847), ვოიცეხ პოტოცკი (1801-1848), კაზიმეჟ ლაპჩინსკი (1823-1892). ამ უკანასკნელმა პოლონურად თარგმნა შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი». ცნობილია მისი ნაშრომები საქართველოს მცენარეთა გეოგრაფიასა და ფლორისტიკაში. ამავე დროს, ის სამხედრო ინჟინრად მუშაობდა კავკასიის რკინიგზის მშენებლობაზე. ცნობილ ლიტერატორთა შორის შეიძლება დავასახელოთ მ. გრალევსკი და ბ. სტსელნიცკი.

უზარმაზარია პოლონელ მხატვართა — ზ. ვალიშევსკის, ნ. სკლიფასოვსკის, გ. ჰრინევსკის, კ. ზდანევიჩისა და სხვათა ღვაწლი ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. კირილე ზდანევიჩსა და მის ძმას, ილიას (მწერალსა და ხელოვანს, ქართული ავანგარდის ლიდერს), ზიგმუნდ ვალიშევსკისთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვით ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციაში. კ. ზდანევიჩმა ნ. ფიროსმანაშვილის ნახატების საკუთარი კოლექცია უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. მასვე ეკუთვნის ნ. ფიროსმანაშვილზე დაწერილი მონოგრაფია.

საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ჰენრიეტა იუსტინსკაიას თაოსნობით, 1999 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში და 2001 წელს სურათების ეროვნულ გალერეაში მოეწყო საქართველოში მცხოვრები და მოღვაწე პოლონელი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა.

ქართული ბუნებისმეტყველების განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ლუდვიკ მლოკოსევიჩმა (1831-1909). მან დააარსა საქართველოში პირველი ნაკრძალი ლაგოდეხში. ვლადისლავ ბაგრინოვსკიმ 1839 წელს დააპროექტა და საფუძველი ჩაუყარა სოხუმის ბოტანიკურ ბაღს, რომლის პირველი დირექტორიც თავად იყო.

კავკასიის არმიის მთავარი ქირურგი იან მინკევიჩი (1826-1897) იყო, აგრეთვე, ეთნოგრაფი, ანთროპოლოგი და საზოგადო მოღვაწე. მან დააარსა კავკასიის სამედიცინო საზოგადოება, ერთ-ერთი დამფუძნებელია თბილისის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში კათოლიკური საქველმოქმედო საზოგადოებისა “Dobroszynność”.

პოლონელმა არქიტექტორებმა დააგეგმარეს და ააგეს მრავალი შენობა მეფეთუბანში (მიხეილის, შემდგომ პლეხანოვის, ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირზე, რომელიც ტოვარნიცკიმ დააპროექტა 1835 წელს). 1882 წელს სამხრეთ კავკასიის რკინიგზის პირველი უფროსი პოლონელი ინჟინერი, რკინიგზელი იოსებ კოზლოვსკი იყო (რკინიგზის ეს ხაზი ბათუმს, ფოთს, ბაქოს ცენტრალურ კავკასიასთან — თბილისთან აკავშირებდა).

აღსანიშნავია ისტორიკოს ნინა კოზლოვსკაიას პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა. იგი ძველ ისტორიას ასწავლიდა, ავტორია მსოფლიო ხელოვნების 4 ალბომისა.

კავკასიაში პოლონელთაგან დღეს ყველაზე მეტი საქართველოში ცხოვრობს (დაახლ. 1100 კაცი), მათი უმრავლესობა თბილისის მკვიდრია. საქართველოს პოლონელები, ძირითადად, კათოლიკეები არიან. ბევრმა მათგანმა შერეული ოჯახები შექმნა და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს დაუნათესავდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავალმა პოლონელმა ასიმილაცია განიცადა, ეთნიკური თვითშეგნება და კულტურული ტრადიციები არ დაუკარგავთ, ყოველთვის განსაკუთრებულად აღნიშნავენ პოლონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს (11 ნოემბერს), ზრუნავენ ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მხატვრობის, ზოგადად, კულტურის განვითარებაზე.

საქართველოში დაფუძნებულმა პოლონელებმა შექმნეს ორგანიზაცია «ქართული პოლონია», რომელიც რაოდენობრივად ნელ-ნელა გაიზარდა. «ქართული პოლონია» საქართველოს მრავალეთნიკური საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. მას თავისი წარმომადგენლობები აქვს თბილისში, ახალქალაქში, გომბორში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ცხინვალში, ლაგოდეხსა და ფოთში. «ქართული პოლონია», ძირითადად, ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს აერთიანებს. დღეს საქართველოში მოქმედებს პოლონელთა შვიდი ორგანიზაცია, მათგან ორი აფხაზეთში — სოხუმში.

საქართველოში მოქმედებს პოლონეთის საგანმანათლებლო ცენტრი, სამხრეთ საქართველოს პოლონელთა კავშირი, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება «პოლონია», დედოფალ იადვიგას სახელობის პოლონური საკვირაო სკოლა და «პოლონური სახლი», რომლებსაც დახმარებას უწევენ პოლონური ორგანიზაციები.

თბილისში არის დედოფალ იადვიგას სახელობის პოლონური საკვირაო სკოლა. აქ მოსწავლეები სწავლობენ პოლონურ ენას, ეცნობიან პოლონეთის ისტორიასა და კულტურას. პოლონური წარმოშობის მოსწავლებს გარდა, სკოლაში სხვა ეთნიკური წარმოშობის თბილისელებიც დადიან. პოლონური სკოლის ოცმა კურსდამთავრებულმა სწავლა პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძო.

ნათია ჯალაბაძე

ჩეხები

ჩეხები ჩეხეთის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ. ცხოვრობენ აგრეთვე ავსტრიაში, კანადაში, აშშ-ში და სხვ. ლაპარაკობენ ჩეხურ ენაზე, რომელიც დასავლური სლავური ცნების ჯგუფს განეკუთვნება.

ისტორიული ნარკვევი

ჩეხებს საქართველოში კომპაქტური დასახლებები არასდროს ჰქონიათ, არც რაოდენობრივად ყოფილან ბევრნი, თუმცა მნიშვნელოვანია მათი გავლენა საქართველოს ყოფასა და კულტურაზე.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 46 ჩეხი ცხოვრობს, მათგან 39 — თბილისში.

ჩეხი მიგრანტების პირველი ნაკადი საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოჩნდა. მიგრაციის პროცესი, ძირითადად, ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, კერძოდ, ავსტრიაში საგანმანათლებლო სისტემის გამოისობით შექმნილ ვითარებას უკავშირდებოდა. სახელმწიფო ვერ აკმაყოფილებდა სამუშაო ადგილებით უმაღლესი სასწავლებლების მიერ ჭარბი რაოდენობით გამოშვებულ სპეციალისტებს, ეს უკანასკნელნი კი სამუშაოდ სხვა ქვეყნებში მიდიოდნენ. მათი საქართველოში ჩამოსვლაც პროფესიული ინტერესებით იყო განპირობებული, რასაც, ამავე დროს, ეგზოტიკურ ქვეყანაში მოხვედრის ინტერესიც ემატებოდა. ჩეხი მიგრანტების უმეტესობა საქართველოში ოჯახებით ჩამოვიდა და სამუდამოდ აქ დარჩა. ჩეხების პირველი ტალღა, ძირითადად, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სპეციალისტებს მოიცავდა, რომელთა უმეტესობა საქართველოში რუსეთიდან ან სხვა ქვეყნებიდან გადმოვიდა.

ჩეხ სპეციალისტთა მეორე ნაკადი საქართველოში 1920-იან წლებში ჩამოდის. ამ პერიოდში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გააძლიერა ქართველი სპეციალისტების რეპრესირება და აიძულა ისინი საზღვარგარეთ წასულიყვნენ სამუშაოდ. მათ ნაცვლად რუსეთისა და სხვა ქვეყნების სპეციალისტთა ჩამოყვანა იყო დაგეგმილი. XX საუკუნის 20-იან წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და გასაბჭოებული რესპუბლიკებიდან სამუშაოს საშოვნელად მრავალი უცხოელი მოაწყდა საქართველოს. მათ შორის იყვნენ ჩეხებიც. მიგრანტი ჩეხები მაღალკვალიფიციური სპეციალისტები იყვნენ (ინჟინრები, მეტალურგები, მექანიკოსები, ექიმები...), რომელთა ცოდნა და გამოცდილება უდავოდ საჭირო იყო საქართველოსათვის.

საქართველოში ჩეხები, მათი სამუშაო ადგილის შესაბამისად, ურბანულ ცენტრებში სახლობდნენ ძირითადად თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ახალ ქვეყანაში მათი დამკვიდრების გზა არაერთგვაროვანი იყო. თუ ერთ შემთხვევაში ჩეხი სპეციალისტები თავიდანვე სახარბიელო პირობებში აღმოჩნდნენ, მათ ნაწილს საკმაოდ რთული ეტაპების გადალახვა მოუხდა ნორმალური ყოფის შესაქმნელად. ამ უკანასკნელთ გაჭირვებაც გამოიარეს, რეპრესიებიც და გადასახლებაც.

დღეს საქართველოს ჩეხთა უმრავლესობა, რომელიც რამდენიმე თაობას ითვლის, თბილისში ცხოვრობს. ჩეხები კათოლიკეები არიან. ვინაიდან აქ ჩეხური სკოლები არ ყოფილა, ახალგაზრდები განათლებას რუსულად ან ქართულად იღებდნენ. ადგილობრივ მოსახლეობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. საქართველოში ჩეხების ნაწილმა შერეული ოჯახები შექმნა. ჩეხების ინტეგრაცია, ზოგადად, იოლად მიმდინარეობდა, ბევრი მათგანის ქართველებთან ასიმილაცია მოხდა, თუმცა თავიანთი ეთნიკური წარმომავლობა და კულტურული ტრადიციები არ დავიწყებიათ.

ჩეხები განსაკუთრებულად აღნიშნავენ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან დღესასწაულს — შობას და მას ტრადიციული სუფრით ეგებებიან (ამ დღისთვის ამზადებენ თევზის, კარტოფილის კერძებს, საშობაო ფუნთუშებსა და სხვ.).

საქართველოში ვერ ნახავთ მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ სფეროს, სადაც ჩეხ სპეციალისტებს თავიანთი წვლილი არ შეეტანოთ. დიდია მათი დამსახურება ქართული კულტურის განვითარების საქმეშიც.

საქართველოში დასახლებული ჩეხები აშენებდნენ და აარსებდნენ მსხვილ ქარხნებს, ქმნიდნენ ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტებს, გაჰყავდათ რკინიგზა. ბევრი ხიდი და გვირაბი საქართველოში სარკინიგზო საქმის უბადლო სპეციალისტის — ინჟინერ პეტრე შმალცელის ხელმძღვანელობით აიგო. მისივე ხელმძღვანელობით აშენდა თბილისში ცენტრალური ვაგზლის მიწისქვეშა; იგი მონაწილეობდა მწვანე კონცხის გვირაბის მშენებლობაშიც.

ნიკოლოზ შმალცელი საქართველოში ერთ-ერთი პირველი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი იყო, რომელმაც ქვეყანაში არსებული თითქმის ყველა ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროტექნიკური პროცესების მოდელირება მოახდინა.

ჩეხი იყო თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი ვაცლავ ბურეში. ივან სოკოლმა კი თბილისში პირველი სასულე ინსტრუმენტების ქარხანა დააარსა.

ჩეხები აქტიურად მოღვაწეობდნენ მედიცინის დარგშიც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მედიცინის დოქტორი, ქირურგი ივან პრიბილი. მან განათლება ჯერ პრაღაში და შემდეგ ვენაში მიიღო, ამის მერე სამუშაოდ რუსეთში გაემგზავრა, საიდანაც საქართველოში გამოაგზავნეს ერთ-ერთი პოლკის ექიმად. ივან პრიბილის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ბალნეო-კლიმატურ (ახტალა, ბორჯომი, აბასთუმანი) სიმდიდრეთა ათვისება. მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ კურორტოლოგიას. მანვე დააარსა თბილისში პირველი სამხედრო ჰოსპიტალი,

რომლის მთავარი ექიმიც თავად იყო, იყო კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა და პეტერბურგის ექიმთა საზოგადოების საპატიო წევრი, შავი ჭირისა და ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე. ი. პრიბილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან, მკურნალობდა გრიბოედოვს, კარგად იცოდა ქართული ენა. საქართველოში მან 50-წელზე მეტი გაატარა და აქვე გარდაიცვალა 85 წლის ასაკში.

სერიოზული წვლილი მიუძღვით ჩეხებს ქართული სპორტის განვითარებაში. მათ საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე სასკოლო ფიზიკურ აღზრდას საქართველოში. 1907 წელს ჩეხი ა. ლუკეშის თაოსნობით, შეიქმნა ქართველ ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება — «სოკოლი» (შემდგომ «შევარდენი» ეწოდა). ჩეხები ქართული ტანვარჯიშის სკოლის ფუძემდებლებად ითვლებინ.

ჩეხი ხალხის წვლილი ქართული მუსიკის განვითარებაში იოსებ რატილის სახელს უკავშირდება. პრაღისა და ჰელსინკის საოპერო თეატრების სოლისტი, კონცერტმაისტერი და პედაგოგი იოსებ რატილი (ნავრატილი) საქართველოში 1880 წელს ჩამოვიდა. იგი რუსეთის საბალეტო დასს ჩამოჰყვა გასტროლებზე და შემდეგ, 4 წლის განმავლობაში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. რატილი იმდენად მოხიბლა საქართველომ და აღაფ-რთოვანა ქართულმა მუსიკამ, რომ სამუდამოდ აქ დარჩა და 32 წლის განმავლობაში ქართული მუსიკალური კულტურის აღორძინების საქმეს ემსახურა (გარდაიცვალა თბილისში 72 წლის ასაკში). იგი იყო ქართული ხალხური სიმღერის შემკრები, დირიჟორი, კომპოზიტორი, პედაგოგი. რატილი 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, ლ. აღნიაშვილის ინიციატივით, 1886 წელს ჩამოყალიბებულ ქართული ხალხური სიმღერების პირველ გუნდს. მისმა შვილებმაც და შვილთაშვილებმაც თავიანთი ცხოვრება სამუდამოდ საქართველოს დაუკავშირეს. 2001 წლის 14 ივნისს რუსთაველის თეატრში რატილის დაბადებიდან 160 წლისთავი საზეიმოდ აღინიშნა.

რატილის გარდა ქართული ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში მცხოვრებმა ბევრმა სხვა ჩეხმა. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ბალერონი რომან ნოვაკი ვახტანგ ჭაბუკიანის მოწაფე იყო. ოპერის თეატრთან არის დაკავშირებული ოპერისა და ბალეტის თეატრის მხატვარ-დეკორატორის, ფრანც ნოვაკის შემოქმედება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო გერტრუდა შმალცელი. ბათუმის კონსერვატორიის დოცენტმა ირინა ხერჟმა კი საერთაშორისო კონკურსების «გრან პრის» 5 ლაურეატი მოამზადა.

ქართულ კინოსტუდიაში მულტიპლიკატორების კოლექტივს ხელმძღვანელობდა იან ლუკეში.

მხატვარ-დეკორატორმა იოზეფ ბროუჩეკმა გააფორმა ოპერისა და ბალეტისა და რუსთაველის თეატრების ინტერიერი, ყოფილ კინოთეატრ «ამირანის» ფოიე.

1990-იან წლებში ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობამ რთულ ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ თანამემამულეთა სამშობლოში დაბრუნების პროგრამა შეიმუშავა. პროგრამა, ძირითადად, ყოფილ სსრ კავშირსა და რუმინეთში მცხოვრებ ჩეხებზე იყო

გათვლილი. სახელმწიფომ გამოყო ფინანსები და შეიქმნა შესაფერისი მატერიალური ბაზა. მაშინ, როდესაც სხვა რეგიონებიდან ათასობით ჩეხი დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში, საქართველოდან ჩეხეთში მხოლოდ ერთეულები წავიდნენ.

1996 წელს თბილისში შეიქმნა საქართველოს ჩეხეთის სათვისტომო «ზლატა პრაღა». მისი პრეზიდენტი არის გაროლდ შმალცელი (ფიზიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის გამოყენებითი გეოფიზიკის ინსტიტუტში, ამჟამად მუშაობს საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული მართვის ცენტრში). სათვისტომო რიცხობრივად დიდი არაა — იგი დაახლოებით 120 წევრს აერთიანებს. ამათგან ნახევარს წინაპარი ჩეხი ჰყავს. ისინი საქართველოში დაიბადენ და გაიზარდნენ და იმათი შთამომავლები არიან, ვინც ჩვენში XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს ჩამოვიდა. სათვისტომოს დანარჩენი წევრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან. მათ აინტერესებთ და უყვართ ჩეხური კულტურა და ამიტომაც არიან გაწევრიანებული სათვისტომოში. სათვისტომო საკმაოდ წარმომადგენლობითია. მასში გაერთიანებულნი არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ინჟინრები, მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები, რომელთა მოღვაწეობაც საქართველოსთან არის დაკავშირებული. ჩეხები საქართველოში აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში, თანამშრომლობენ პრეზიდენტის ადმინისტრაციულ სამსახურთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებთან, აქვთ კავშირი ჩეხეთის რესპუბლიკასთან და საქართველოს ჩეხურ დიასპორასთან. სათვისტომო ეწევა ჩეხური ენისა და კულტურის, ისტორიის, საგანმანათლებლო საქმიანობის პროპაგანდას. ხელს უწყობს ჩეხური და ქართული კულტურის დაახლოებას, ქართველ და ჩეხ ბიზნესმენთა კავშირების გაფართოებას. იგი სერიოზულ მუშაობას ეწევა ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის სფეროში.

ნათია ჯალაბაძე

გერმანელები

გერმანელები (თვითსახელი — დოიჩ) წარმოადგენენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას, რომლის ეთნიკური ფორმირება გერმანული ტომების: ალემანების, ბავარელების, ფრანკების, საქსების, ლანგობარდების, გოთების, ნემეტების, შვაბებისა და სხვ. საფუძველზე განხორციელდა. გერმანული ენა ინდოევროპულ ენათა გერმანულ ოჯახში შედის. ავსტრიის, შვეიცარიის, ლიხტენშტეინის და ლუქსემბურგის გერმანულენოვანი მოსახლეობა თავს გერმანელად არ მიიჩნევს. გერმანელთა დიდი თუ მცირე თემები არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ისტორიული ნარკვევი

საქართველო-გერმანიის ურთიერთობის პირველი ნაბიჯები შუა საუკუნეებში გადაიდგა. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ გარკვეული ცნობები ჩნდება გერმანიის წარსულსა და აწმყოზე, ხოლო გერმანიასა და, საერთოდ, ევროპას ცნობებს საქართველოზე, მის ხალხზე, ისტორიაზე, კულტურაზე, ბუნებაზე სხვებთან ერთად აწვდიან გერმანელი მოგზაურები, დიპლომატები, მწერლები, მეცნიერები (შიტბერგერი, ვოლფი, შტედერი, გიულდენშტედტი, რაინეგსი, ჰაქსტჰაუზენი, ვინკელმანი, კანტი, ლესინგი, ბოდენშტედტი, ვირხოვი და სხვ.).

ქართველ და გერმანელ ხალხთა ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახდა მას შემდეგ, რაც 1817 წლიდან, გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს, ხელისუფლებამ XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოში გერმანელი კოლონისტები ჩამოასახლა. ეკატერინე II-ის ინიციატივით, რუსეთის მიერ ახლად დაპყრობილ სამხრეთ ტერიტორიებზე დაიწყო ევროპელი, ძირითადად გერმანელი, კოლონისტების მოწვევა-ჩამოსახლება. ამის უზრუნველსაყოფად რუსეთში მიიღეს მთელი რიგი კანონებისა და დადგენილებებისა, რომლებიც მოწვეულ კოლონისტებს კარგ პირობებსა და პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნიდა. შემდგომში ეს ვითარება გაავრცელეს საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანელ კოლონისტებზეც. მთავრობის აზრით, აქ ჩამოსახლებული კოლონისტები მაგალითის მიმცემნი უნდა გამხდარიყვნენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

1817-1819 წლებში საქართველოსა და კავკასიაში გერმანელ კოლონისტთა ჩამოსახლება გერმანიაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამაც განაპირობა. კაპიტალიზმის განვითარებამ და ნაპოლეონის ომებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი გერმანიიდან ემიგრაციის გაძლიერებას, განსაკუთრებული როლი ითამაშეს პროტესტანტულმა რელიგიურმა ჯგუფებმაც, რომელთა ერთი ნაწილი აღიარებდა «ჰილიაზმს» — მოძღვრებას მეორედ მოსვლის, მსოფლიო წარღვნისა და

«ათასწლოვანი» სამეფოს შექმნის შესახებ. ისინი ცდილობდნენ ამ მოვლენას აღმოსვ-ლეთში, არარატის მთასთან შეხვედროდნენ.

ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის «სეპარატისტების» წარმომადგენლები 1815 წელს შტუტგარტში მყოფ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს შეხვდნენ და მიიღეს მისი თანხმობა ამიერკავკასიაში გადმოსახლების თაობაზე. 1817 წლის დამდეგს ამიერკავკასიისკენ, დუნაის გზით, რამდენიმე პარტიად დაყოფილი კოლონისტები დაიძრნენ. მათი უმრავლესობა ვიურტემბერგელი, ბადენელი პროტესტანტები იყვნენ. რუსეთის ხელისუფალთა ყოველმხრივი დახმარების მიუხედავად, კოლონის-ტებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მგზავრობა. რამდენიმე ასეული კოლონისტი გზაში გარდაიცვალა.

1819 წლის ბოლოსათვის გერმანიიდან გადმოსახლებულებმა, ქვეყნის ადმინისტრაციის დახმარებით, სულ რვა კოლონია შექმნეს: მარიენფელდი — კახეთის გზატკეცილზე, სართიჭალაში, თბილისის კოლონია — კუკიაზე (ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი), სადაც მხოლოდ ხელოსნები დასახლდნენ; ალექსანდერსდორფი — დიდუბეში (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოები), პეტერსდორფი — დაარსდა მარიენფელდის მახლობლად, ელიზაბეტტა-ლი — ქვემო ქართლში (დღევანდელი ასურეთი), კატარინენფელდი — მდებარეობდა ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისთან, ანენფელდი — შამქორის სახაზინო მიწებზე, ჰელენენდორფი — განჯის მახლობლად.

მოგვიანებით საქართველოში კიდევ რამდენიმე გერმანული კოლონია შეიქმნა (ალექსანდერსჰილფი — წალკის მახლობლად, ნაიდორფი და გრანდენბერგი — სო-ხუმთან, გეორგფელდი, აიგენფელდი, გრიუნფელდი და ტრაუბენფელდი «ძველი» კოლონიების მახლობლად.

1848 წლამდე გერმანელ კოლონისტთა დასახლებები საქართველოში მოიხსენიებოდა როგორც «საქართველოს გერმანული კოლონიები», ხოლო ამ წლიდან უკვე, როგორც «ამიერკავკასიის გერმანული კოლონიები». გერმანელი კო-ლონისტები ლაპარაკობ-დნენ შვაბურ დიალექტზე.

მიწათმფლობელობა
და სამეურნეო საქმიანობა

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა გერმანიიდან და რუსეთიდან ცალკეულ გერმანელ კოლონისტთა ჩამოსვლა. ისინი, ძირითადად, გერმანულ კო-ლონიებში ან დიდ ქალაქებში (ხელოსნები) მკვიდრდებოდნენ.

ხელისუფლება ეხმარებოდა გერმანულ კოლონიებს: უფასოდ უშენებდა სახლებს, აძლევდა ფულს საქონლისა და შრომის იარაღების შესაძენად, ურიგებდა მიწებს (ოჯახს 35 დესეტინა სავარგული — სახნავ-სათესი, საბაღე და სავენახე — ნაკვეთი ეძლეოდა, გარდა ამისა, კოლონისტების განკარგულებაში იყო საერთო საძოვრები, ტყეები, სათიბები), იცავდა მათ შეიარაღებული ნაწილებით მთიელთა თავდასხმები-საგან და ა.შ. ჩამოსახლების პირველ წლებში კოლონისტებს მნიშვნელოვან დახმარე-

ბას უწევდა ადგილობრივი მოსახლეობაც. ჩამოსახლებულთ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ შენარჩუნებული გერმანიასთანაც.

ყოველმხრივი მხარდაჭერის მიუხედავად, კოლონისტები, პირველ ხანებში, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი უნდა შეგუებოდნენ უჩვეულო კლიმატს, ჯარის დახმარებით თავი უნდა დაეცვათ მოთარეშე ბანდებისაგან, დაეძლიათ მოუსავლიანობითა და ეპიდემიებით გამოწვეული სიძნელენი.

ხელისუფლებამ კოლონისტთა მძიმე მდგომარეობის გამოყენება მოინდომა და სცადა ისინი ლუთერანულ აღმსარებლობაზე გადაეყვანა. 40-იანი წლების დამდეგს ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა. გერმანელმა კოლონისტებმა უარი თქვეს თავიანთ «ჰილიასტურ» რწმენაზე და ლუთერანულ ეკლესიას შეუერთდნენ, რომელიც კავკასიელ გერმანელთა ერთიანობასა და მათ სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სამხრეთ კავკასიაში ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის სტრუქტურისა და ხელმძღვანელობის ჩამოყალიბება პირველად 1832 წლის საეკლესიო კანონის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. 1834 წელს სამხრეთ კავკასიაში პირველი ლუთერანული ეკლესია აკურთხეს. ეკლესიის ხარჯებს სახელმწიფო და თემი იხდიდა. პასტორთა ინიციატივით, დაარსდა სკოლები, რომლებიც მშობლიური შვაბიის რვაწლიან სახალხო კოლეჯებს შეესაბამებოდნენ. კოლონისტთა სკოლები ლუთერანული ეკლესიის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და სწავლება გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა.

გერმანელი კოლონისტები თავიანთი უფლებებით, იურიდიულად, თავისუფალ გლეხებს უთანაბრდებოდნენ, მაგრამ რეალურად გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ. ისინი კარგად სარგებლობდნენ მინიჭებული პრივილეგიებით და ეკონომიკურად ძლიერდებოდნენ. მათ ინტერესებს იცავდა ხელისუფლების მიერ დანიშნული ზედამხედველი. მთავრობის მიერ დაწესებული განსაკუთრებული მმართველობა კოლონისტებს საგუბერნიო და სამაზრო ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ყოველგვარი ჩარევისაგან ათავისუფლებდა.

გადმოსახლებამდე კოლონისტები აცხადებდნენ, რომ კარგად იცოდნენ მიწათმოქმედება და მევენახეობა, მაგრამ გადმოსახლების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან ნაკლებად იცნობდნენ ამიერკავკასიაში გავრცელებული კულტურების, განსაკუთრებით ვაზის, მოვლა-პატრონობას. კოლონისტების მიერ გერმანიიდან ჩამოტანილი იარაღები ადგილობრივ პირობებში გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, 40-50-იანი წლებიდან მათ უკვე შეძლეს გარკვეული სამეურნეო-ეკონომიკური წარმატების მიღწევა. ამავდროულად, გერმანელებმა ბევრი რამ ისწავლეს და გადაიღეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან (ვაზის მოვლა, ქართული სასოფლო სამეურნეო ტექნიკის — მძიმე ქართული გუთნის, კევრის — გამოყენება და სხვ.).

1870-იან წლებში რუსეთის იმპერიაში გატარებული აგრარული რეფორმების შედეგად, კოლონისტებს ჩამოერთვათ განსაკუთრებული უფლებები, თვითმმართველობა გაუუქმდათ, სამხედრო ვალდებულებაც დაეკისრათ და ერთობის სკოლებიც რუსულ სახალხო სკოლებად გადაუკეთეს.

XIX საუკუნის ბოლოსათვის თბილისში 4 ათასამდე გერმანელი ცხოვრობდა. კუკიაზე დასახლებული კოლონისტების ძირითადი საქმიანობა ხელოსნობა იყო. გერმანელი ხელოსნები ორ რიგად ჩამწკვრივებულ ერთსართულიან საკუთარ სახლებში ცხოვრობდნენ, რომლებსაც ირგვლივ ბაღები ერტყა. მათი ნაწარმი კარგად საღდებოდა. მთავრობის ხელშეწყობით, კოლონისტებმა გაავრცელეს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურა (მაგ., კარტოფილი) და ზოგიერთი პროდუქტის (სხვადასხვა სახის ძეხვეულის, შვეიცარიული ყველის) საქართველოში დამზადების ტრადიციასაც ჩაუყარეს საფუძველი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კოლონისტთაგან რამდენიმემ საქართველოში მსხვილი კაპიტალისტული მეურნეობა შექმნა (კუჩენბახმა, ფორერმა, ფივეგმა და სხვ.).

ადგილობრივ კოლონისტებთან ერთად თბილისის გერმანული ერთობის წევრები იყვნენ შავი ზღვისპირეთიდან გადმოსახლებული გერმანელები, ვოლგისპირელი მუშები, მაღალ თანამდებობებზე დასაქმებული ბალტიისპირელი გერმანელები და სხვები, რომლებიც ვაჭრების, მუსიკოსებისა თუ მეწარმეების რანგში სტუმრობდნენ თბილისს და შემდეგ აქ დიდი ხნით რჩებოდნენ. ბალტიისპირელი თუ ქალაქური წარმოშობის რუსი გერმანელები სამართალდამცავ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში მოღვაწეობდნენ, მათი ერთი ნაწილი ოფიცერი, აფთიაქარი ან ექიმი იყო. ბალტიისპირეთიდან ჩამოვიდნენ გერმანელი მასწავლებლები და გუვერნანტებიც, რომლებიც ქალაქის ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლებს ამეცადინებდნენ. XIX საუკუნის 70-იან წლებში, ფირმა «ზიმენსის» შემოსვლასთან ერთად, თბილისში მრავალი ტექნიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერი ჩამოვიდა. მათი ნაწილი ქალაქის მმართველობის დავალებით, წყლისა და ელექტროგაყვანილობაზე მუშაობდა.

საცხოვრებელი გარემო
და ყოფა

XIX საუკუნის 50-იან წლებამდე გერმანული კოლონიები უსწორმასწორო, ვიწრო ქუჩებით, მიწური, ბანიანი ქოხმახებით, არაფრით განსხვავდებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სოფლებისაგან.
XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიის ყოველ გერმანულ კოლონიაში იყო ერთი ან რამდენიმე სწორად დაგეგმილი ფართო, ე.წ. მთავარი ქუჩა, რომლებიც ერთმანეთს პერპენდიკულარული, უფრო ვიწრო ქუჩებით უერთდებოდნენ. შემლებულ კოლონიებში ქუჩები მოკირწყლული იყო. კოლონიის შუაგულში მდებარეობდა მოზრდილი მოედანი, სადაც განთავსებული იყო კოლონიის სამმართველო, ეკლესია, სკოლა, საზოგადოებრივი შენობები და მაღაზიები.

ქუჩის პირას, ორივე მხარეს, ფრონტონით ქუჩისაკენ ჩამწკრივებული იყო კოლონისტთა სახლები, რომელთაც, უმთავრესად, ქვისაგან აგებდნენ. მათში იყო 4-5 ოთახი და სამზარეულო. სახლის სახურავი მაღალი და ძალზე დაქანებული იყო. სახურავის ქვეშ იყო სხვენი, რომელიც ნაწილებად იყოფოდა და ბეღლის მოვალეობას ასრულებდა, სადაც ყოველგვარ სურსათ-სანოვაგეს ათავსებდნენ. სახლის ქვემოთ მოწყობილი იყო თაღებიანი სარდაფი, რომელიც მარნის მოვალეობას ასრულებდა მასში ღვინიან კასრებს ინახავდნენ. სახლის მოშორებით, დამხმარე შენობებიდან,

მხოლოდ თავლა-ბოსელი იდგა, რომელსაც მიშენებული ჰქონდა პატარა სათავსოები შინაური ფრინველისა და წვრილფეხა საქონლისათვის.

სამოსი. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე კოლონისტები ტიპურ შვაბურ ტანსაცმელს ატარებდნენ. 80-იანი წლებიდან «შვაბური» ტანსაცმელი გაქრა და კოლონისტები იმდროინდელ ქალაქებში გავრცელებულ ევროპულ სამუშაო და სადღესასწაულო კოსტიუმებს იცვამდნენ.

ოჯახი. გერმანელ კოლონისტებში ოჯახის მეთაური იყო მამა, რომელსაც ემორჩილებოდა ოჯახის ყველა წევრი. ყოველგვარ ოჯახურ სამუშაოს — ბავშვების მოვლას, სადილის მომზადებას, დალაგებას, რეცხვას, კერვას, პირუტყვისა და ფრინველის მოვლასა და სხვ. — ოჯახის დიასახლისი ასრულებდა; ამასთან ერთად, იგი ფიზიკურად მუშაობდა ქმრის გვერდით. ბავშვები იზრდებოდნენ მკაცრ რელიგიურ გარემოში. მათ სწავლასთან ერთად, პატარაობიდანვე, აჩვევდნენ შრომას. დაქორწინების შემდეგ ოჯახს ვაჟი ეყოფოდა. მშობლები ეხმარებოდნენ მას საკუთარ სახლის აშენებასა და მეურნეობის შეძენაში. ნებადართული იყო ქორწინება ბიძაშვილებს შორის.

ქორწილი. გერმანულ კოლონიებში ქორწილები, როგორც წესი, გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში იმართებოდა. ქორწილს წინ უსწრებდა ნიშნობა, რომელიც ეკლესიაში სრულდებოდა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟის შეუღლებაში გადამწყვეტ როლს მშობლები თამაშობდნენ, ამიტომ ამ აქტის დროს უფრო მატერიალურ მხარეს ეწეოდა ანგარიში, ვიდრე გრძნობებს. დასაქორწინებელი ქალი არანაკლებ 17-ის, ხოლო ვაჟი 20 წლისა უნდა ყოფილიყო.

ქორწილი ეკლესიაში ჯვრისწერით იწყებოდა. სხვა ქრისტიანული მიმდინარეობებისაგან განსხვავებით, ლუთერანულ ეკლესიაში ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფალი ბეჭდებს არ ცვლიდნენ. საეკლესიო რიტუალის შემდეგ სტუმრები დედოფლის მშობლების სახლში მიდიოდნენ, სადაც ქორწილი იმართებოდა.

დაკრძალვა. მიცვალებულების დასამარხავად გერმანელ კოლონისტებს ჰქონდათ სასაფლაო, რომელიც ეკლესიისაგან განცალკევებით, კოლონიის გარეთ მდებარეობდა. სასაფლაოს გარს ერტყა ქვის გალავანი ან მაგარი ხის მესერი. სასაფლაომდე კუბო აუცილებლად თავდახურული უნდა წაეღოთ სპეციალური კატაფალკით. მიცვალებულს გალობით მიჰყვებოდნენ სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, მას უკანასკნელ გზაზე თითქმის მთელი კოლონია აცილებდა. არ იმართებოდა ქელეხი, არ აღინიშნებოდა მეორმოცე დღე და წლისთავი.

უბედურების (სიკვდილის, დასახიჩრების, მოსავლის განადგურების, ხანძრის და სხვ.) შემთხვევაში კოლონისტები მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ დაზარალებულ თანასოფლელს.

პირველი მსოფლიო ომის წლები

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გერმანელი კოლონისტები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. კავკასიის იმპერიულმა ადმინისტრაციამ ღონისძიებები გაატარა კოლონიების მიმართ. პირველი ასეთი ღონისძიება იყო კოლონიების გერმანული სახელწოდებების შეცვლა რუსული და ქართული სახელწოდებებით: კატარინენფელდი ეკატერინოვკად გადაკეთდა, ფროიდენტალი — ვესიოლოედ, მარიენფელდი — მარინოდ, ელიზაბეტტალი — ასურეთად, ტრაუბენბერგი — ახალ ალავარად და ა.შ. 1915 წლის ნოემბრიდან მეფისნაცვლის ბრძანებით, გერმანულ სოფლებში «კოლონისტებზე თვალყურის სადევნებლად და მავნე საქმიანობის აღსაკვეთად» დანიშნეს სახელმწიფო მამასახლისები და მოხელეები — რუსი და ადგილობრივი ეთნოსების წარმომადგენლები.

ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებს კარგად ესმოდათ ის ორჭოფული მდგომარეობა, რაც მათ შეექმნათ რუსეთ-გერმანიის ომის გამო. მათთვის ცნობილი იყო, რომ იმყოფებოდნენ გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ; თუმცა როგორც პოლიციისა და ჟანდარმერიის მოხელეთა საიდუმლო მოხსენებებშია აღნიშნული, მეთვალყურეობა ძნელდებოდა კოლონიების კარჩაკეტილობისა და მათი მონოეთნიკური შემადგენლობის გამო.

ომთან დაკავშირებით შექმნილ ანტიგერმანულ ატმოსფეროში პირველ ხანებში კოლონისტები ცდილობდნენ ხელისუფლებას ეჭვი არ შეეტანა მათს ლოიალობაში, ამიტომ სახელმწიფოს გადასცეს მოთხოვნილი ცხენები და ფურგონები, სამხედროვალდებული კოლონისტები დროულად გამოცხადდნენ გასაწვევ პუნქტებში, საქართველოს გერმანულ კოლონიებში დაიწყეს ფულის შეგროვება წითელი ჯვრისათვის — ლაზარეთის გასახსნელად, მოკლედ, კოლონიების ადმინისტრაცია ყოველმხრივ ცდილობდა ხაზი გაესვა სახელმწიფოსადმი თავისი ერთგულებისათვის. 1914 წლის 23 სექტემბერს გერმანული კოლონიების ობერპასტორმა გაინცელმანმა კატარინენფელდიდან უქვეშევრდომილესი დეპეშა გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს.

პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთ-გერმანიის ეკონომიკური წინააღმდეგობის გამწვავების გამო რუსეთის პრესასაში დაიწყო კამპანია, ე.წ. «გერმანული ძალმომრეობისაგან» გასათავისუფლებლად. იგი გამოხატავდა რუსეთის ბურჟუაზიისა და მემამულეთა ზოგიერთი წრის ინტერესებს. ბურჟუაზიის ეს ნაწილი ცდილობდა განთავისუფლებულიყო უცხოელთა კონკურენციისაგან, ხოლო მემამულეები მიწის ფართობების შეძენას ესწრაფვოდნენ იმპერიის სამხრეთ რეგიონებში, სადაც მათ ძლიერ კონკურენციას უწევდნენ გამდიდრებული გერმანელი კოლონისტები.

გერმანელთა მიწათმფლობელობის შეზღუდვა მეფის მთავრობამ ჯერ კიდევ ომამდე სცადა, მაგრამ ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ომის დაწყების შემდეგ გახდა. 1915 წლის 2 თებერვალსა და 13 დეკემბერს რუსეთში გამოიცა კანონები გერმანული წარმოშობის პირთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის შესახებ. მაგრამ ამ კანონების გატარების წინააღმდეგ გამოვიდნენ როგორც «მემარჯვენე» (კადეტები

და სხვ.), ისე «მემარცხენე» (ტრუდოვიკები, სოციალ-დემოკრატები [მენშევიკები]) პარტიები.

მიწების ჩამორთმევის შიშით შექმნილ გაურკვეველ სიტუაციაში კოლონისტები არ აწარმოებდნენ ხვნა-თესვას. მათ ხელში კი რუსეთის იმპერიის სათესი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფებოდა. ეს ვითარება კიდევ უფრო აუარესებდა რუსეთის ისედაც მძიმე სასურსათო მდგომარეობას. პურისა და სურსათის ნაკლებობას განსაკუთრებით დიდი ქალაქები განიცდიდნენ. ამიტომ უკვე 1916 წლის გაზაფხულისათვის მინისტრთა საბჭო იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება, რომ იმ კოლონისტებს, რომლებიც განაგრძნობდნენ ხვნა-თესვას, მიწებს სულ მცირე ორი წლით შეუნარჩუნებდნენ. ამით ცარიზმის ბიუროკრატიამ ოფიციალურად აღიარა მის მიერ მოფიქრებული და ფართოდ რეკლამირებული გეგმის ჩაშლა. დროებით მთავრობას არც უცდია ამ საკითხის ახლებურად გადაჭრა. მან საერთოდ შეაჩერა სალიკვიდაციო ღონისძიებები მიწათმფლობელობის დარგში.

ამ პერიოდში, როგორც საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა ზოგიერთი წარმომადგენელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გერმანიის სადაზვერვო საქმიანობაში. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული გერმანიის თბილისის საკონსულოსთან, რომელიც ამიერკავკასიაში გერმანიის სადაზვერვო ცენტრს წარმოადგენდა. საკონსულომ განსაკუთრებით გააქტიურა მოქმედება ამ მიმართულებით მას შემდეგ, რაც გერმანიის კონსულად თბილისში გრაფი შულენბურგ ფონ ბერგი დაინიშნა.

1906 წელს ამიერკავკასიაში მცხოვრებ გერმანელთა მომსახურების მიზნით, თბილისში დაარსდა გერმანულენოვანი გაზეთი «კაუკაზიშე პოსტი». გაზეთში ქვეყნდებოდა მასალები ამიერკავკასიის ცხოვრებიდან, გერმანული კოლონიების შესახებ, ადგილობრივი და საერთაშორისო ქრონიკა და სხვ. 1909 წლამდე გაზეთს რედაქტორობდა ქართული ლიტერატურის ნიმუშების, მათ შორის «ვეფხისტყაოსნის», გერმანულ ენაზე მთარგმნელი, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან თბილისში დამკვიდრებული ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის მეგობარი არტურ ლაისტი.

საქართველოში გერმანიის ჯარების შემოსვლის შემდეგ (1918 წ. მაისი) გერმანელი კოლონისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ. გერმანელთა სარდლობამ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე გამოაცხადა აქ მცხოვრები ყველა გერმანელი სამხედრო ვალდებულისა და სამხედრო ტყვის მობილიზაცია. გერმანიის ჯარების მოწვევა საქართველოში გამოწვეული იყო თურქების შემოტევის საშიშროებით, რომლებიც არ დასჯერდნენ ბრესტის ზავით (1918 მარტი) გადაცემულ ტერიტორიებს (ყარსი, არდაგანი, ბათუმი) და მთელი ამიერკავკასიის დაკავებას ცდილობდნენ. გერმანიას იმ მომენტში თურქეთის შემაჩერებელი როლი უნდა ეთამაშა. გერმანელების ჩარევა თურქეთის მხარემ უკანონოდ ჩათვალა, მაგრამ ძლიერი პარტნიორისათვის წინააღმდეგობის გაწევა ბოლომდე ვერ შეძლო. საქართველო თურქეთის ოკუპაციას გადარჩა.

გარდა ამისა, გერმანელებმა გარკვეული დახმარება გაუწიეს საქართველოს სხვადასხვა ანტისახელმწიფოებრივი ამბოხების ჩაქრობაში, რომლებიც ძირითადად

ბოლშევიკური რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული. მაგრამ გერმანიის ჯარები დიდხანს არ დარჩენილან საქართველოში. 1918 წლის 9 ნოემბრის რევოლუციამ გერმანიაში დაამხო მონარქია. 11 ნოემბერს გერმანიის წარმომადგენლებმა კომპიენის ტყეში ხელი მოაწერეს ზავს, რომლითაც გერმანიამ აღიარა თავისი დამარცხება მსოფლიო ომში. 1918 წლის დეკემბრის ბოლოს გერმანიის ჯარებმა და დელეგაციამ დატოვა საქართველო.

1920 წლისათვის გერმანელებმა განაახლეს ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსთან, რაც, ძირითადად, მანგანუმის იმპორტით გამოიხატა.

1922 წელს თბილისში ცხოვრობდა 2457 გერმანელი. 1926 წელს მათი რაოდენობა 3156 გახდა. ამავე პერიოდში ქვემო ქართლში მცხოვრებ გერმანელთა რაოდენობამ 6000 მიაღწია.

გურამ მანჯგალაძე

საბჭოთა პერიოდი

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას, ისევე როგორც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, საქართველოში მცხოვრები გერმანელებიც უარყოფითად შეხვდნენ. ნელ-ნელა დაიხურა გერმანული დაწესებულებები, 1922 წელს მუშაობა შეწყვიტა «კაუკაზიშე პოსტის» რედაქციამ, დაიშალა «ამიერკავკასიელ გერმანელთა გაერთიანება». 1924 წელს გაასაბჭოეს გერმანული გიმნაზია. სამშობლოში დაბრუნდნენ გერმანიის მოქალაქეები, რომლებიც მასწავლებლებლად მუშაობდნენ საქართველოში. რუსიფიკაციის წლების შემდეგ გერმანელი მოსახლეობა ეროვნულ უმცირესობად აღიარეს.
მიწის დანაწილებასთან დაკავშირებით გერმანულმა კოლონიებმა პირველ ეტაპზე ნაკლები ცვლილებები განიცადა. ამის მიზეზი ის იყო, რომ კოლონისტებს მიწა მხოლოდ მემკვიდრეობითი სარგებლობის უფლებით ჰქონდათ გადაცემული და არა საკუთრების უფლებით. ვინც დადგენილ ნორმაზე მეტ ფართობს ფლობდა, იძულებული შეიქნა «ზედმეტი» ფართობი ღარიბი გლეხებისათვის გადაეცა. 1930-იანი წლებიდან კოლონიების კოლექტივიზაციასთან ერთად კოლონისტების მიერ შექმნილი ერთობებიც დაიშალა. კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგეები დააპატიმრეს. გერმანელების ნაწილმა 1930 წელს გერმანიაში დაბრუნება გადაწყვიტა.

სტალინის მმართველობის პერიოდში გერმანელებს მტრის იარლიყი მიაწებეს და სხვა «არასაიმედო» ეთნიკურ ჯუფებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდნენ. სხვადასხვა მონაცემებით, 1941 წელს საქართველოდან 24 ათასამდე გერმანელი გაასახლეს. გერმანელთა დეპორტაცია მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარეობდა. საქართველოში დარჩენის უფლება მხოლოდ არაგერმანულ ოჯახებში გათხოვილ ქალებს მისცეს. სსრკ-ს სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 1941 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოდან ყაზახეთში 23.580 გერმანელი უნდა გაესახლებინათ. უმეტესობას ბარგის ჩასალაგებლად რამდენიმე საათი მისცეს. მათ საცხოვრებელ სახლებს, ბინებს, ავეჯეულობასა და საქონელს ყადაღა დაადეს. დეპორტირებულები საქონლის ვაგონებით ჩაიყვანეს ჯერ ბაქოში, იქიდან გემებით

კრასნოვოდსკში, ალტაის მხარეში და შემდეგ ისევ მატარებლით ყაზახეთსა და ყირგიზეთში. ბევრი მათგანი, აუტანელი სამგზავრო პირობების გამო, გზაში დაიღუპა, ბევრი გადასახლების ადგილზე ჩასვლისთანავე სხვადასხვა დაავადების მსხვერპლი გახდა. 1942 წელს 12-დან 70 წლამდე გადასახლებული მამაკაცი გაიწვიეს ე.წ. ,,შრომით არმიაში,,.

1955 წელს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით, გააუქმეს საგანგებო დასახლებათა რეჟიმი და საბჭოთა გერმანელებს გადასახლების ადგილის დატოვების ნება დართეს მშობლიურ მხარეში დაბრუნების უფლების გარეშე. 1979 წლამდე 2053 დეპორტირებული გერმანელი დაუბრუნდა საქართველოს.

გამოჩენილი გერმანელები

მრავალ გამოჩენილ გერმანელ მოღვაწეს მიუძღვის წვლილი საქართველოს განვითარებისა და ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ეკატერინე II-ის დავალებით, კავკასიაში იმოგზაურეს გერმანელმა მეცნიერებმა, რომლებსაც კავკასიის შესწავლა და უმაღლესი ხელისუფლებისთვის რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენებების წარდგენა ევალებოდათ. მათ შორის იყო აკად. იოჰან გიულდენშტედტი, რომლის შედგენილია დღემდე აქტუალური საქართველოს რუკა.

ერეკლე II-ის კარზე მოღვაწეობდა გერმანელი ექიმი, დიპლომატი, მეცნიერი და პოლიგლოტი ქრისტიან რუდოლფ ელიხი, რომელიც იაკობ რეინეგსის სახელით არის ცნობილი. ერეკლემ გაწეული შრომისთვის მას ბოლნისის შვიდი სოფელი აჩუქა.

1829 წელს გერმანელმა ფარმაცევტმა ფლორ შიონბერგმა თბილისში პირველი აფთიაქი გახსნა. საფთიაქო საქმეში ცნობილ ი. ზემელთან ერთად მოღვაწეობდნენ: ოტენი, კოხი, ჰაინე და სხვ.

საქართველოში ოცდაათი წელი იცხოვრა ბაღების არქიტექტორმა ჰაინრიხ შარერმა, რომელიც განაგებდა ბოტანიკურ მუზეუმს და პარკებისა და ბაღების (მათ შორის ალექსანდრეს პარკისა და ბორჯომის პარკის) გაშენებას ხელმძღვანელობდა. 1870 წელს გუსტავ რადეს ძალისხმევით თბილისში კავკასიის მუზეუმი გაიხსნა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მხარეთმცოდნეობის ერთადერთი მუზეუმი იყო რუსეთის იმპერიაში.

მეცნიერთაგან უნდა აღინიშნოს ცნობილი გეოლოგი პროფესორი ჰ. აბიხი — კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციის სამთო საქმის მთავარი მოხელე. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სასარგებლო წიაღისეულთა მეცნიერულ შესწავლას. გამოავლინა და შეისწავლა მანგანუმის, ქვანახშირისა და სხვა საბადოები.

გერმანული ფირმები ყოველთვის იჩენდნენ საქართველოსადმი დაინტერესებას. ისინი მონაწილეობდნენ ჭიათურის მანგანუმისა და სპილენძის მოპოვებაში და ა.შ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობილი ფირმა ,,სიმენსის,, მოღვაწეობა, რომელმაც 1858 წლიდან მთელ საქართველოში შექმნა სატელეფონო ხაზების ხშირი ქსელი. XIX საუკუნის ერთ-ერთ ტექნიკურ მიღწევად ლონდონ-კალკუტის

სატელეფონო ხაზი ითვლებოდა, რომლის სიგრძე 10 ათას კილომეტრამდე იყო, ხოლო მის საკვანძო წერტილს თბილისი წარმოადგენდა. ვალტერ სიმენსი, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, მისი ძმა ოტო (ფირმის დამფუძნებლის ვერნერ სიმენსის უმცროსი ძმები) თბილისში ფირმის წარმომადგენლები და ამავდროულად ჩრდ. გერმანიის კავშირის კონსულები იყვნენ ამიერკავკასიაში. ძმები ვალტერ და ოტო სიმენსები თბილისში არიან დაკრძალულნი, თუმცა მათი საფლავები დაკარგულია.

1912 წელს მეფის მოწვევით თბილისში ჩამოდის კოსტიუმების მკვლევარი პროფესორი მაქს ტილკე, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი «კოსტიუმების ისტორია სურათებში», მასში კავკასიაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების კოსტიუმებია ასახული.

1922 წელს კარიკატურისტმა ოსკარ შმერლინგმა, ხელოვნების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, თბილისში დაარსა «კავკასიის ხელოვანთა საზოგადოება». შმერლინგის ნათესავმა, ალბერტ ზალცმანმა, საქართველოში მრავალი შენობა ააგო, რომელთა ნაწილი დღეს უკვე აღარ არსებობს: კავკასიის მუზეუმი, საქალაქო ბიბლიოთეკა, ბორჯომის საზაფხულო სასახლე, სასტუმრო «ორიენტი», ცისფერი გალერეა, კათოლიკური ეკლესია. პაულ შტერნის აშენებულია დღევანდელი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდს თბილისის ქაშუეთის ეკლესიის, ლიკანის მეფისნაცვლის სასახლისა და აღმაშენებლის პროსპექტზე ვენცელის სასტუმროს პროექტები ეკუთვნის.

მუსიკალურ ცხოვრებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ბერლინის მუსიკალური აკადემიისა და თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა ფ. კესნერმა, პიანისტმა რ. კერერმა და სხვ.

საავიაციო დარგში საქმიანობდა გამოცდილი მფრინავი-ინსტრუქტორი მილი.

დღევანდელი ვითარება

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 651 გერმანელი ცხოვრობს და მათი უმრავლესობა (424) თბილისის მკვიდრია, 83 — ქვემო ქართლში, 37 — იმერეთში, დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა რაიონებში სახლობს. მათი რაოდენობის შემცირება გარკვეულწილად 90-იან წლებში საქართველოში შექმნილ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას უკავშირდება, როდესაც მძიმე ყოფითი პირობების გამო, ბევრი მათგანი ემიგრაციაში წავიდა. 1990-იანი წლების დასაწყისში გადასახლების მსურველებს გერმანიის მთავრობაც დაეხმარა.

საქართველოში მცხოვრებ მცირერიცხოვან გერმანელთა ეროვნული თვითშეგნების, კულტურისა და ყოფის შენარჩუნებასა და მხარდაჭერაზე საქართველოს გერმანელთა ასოციაცია «აინუნგი» ზრუნავს (ძველგერმანული სიტყვა ,,აინუნგი,, ნიშნავს ერთობას), რომელიც 1991 წელს დაარსდა თბილისში. ორგანიზაციას ფილიალები აქვს ბათუმსა და რუსთავში. ასოციაციის პირველი პრეზიდენტი 1991 წლიდან 2001 წლამდე იყო ნოდარ ქურდიანი, 2001 წლიდან დღემდე მას გარი აუგსტი ხელმძღვანელობს. ასოციაციის ძალისხმევით მრავალმა გერმანელმა სტალინური

რეპრესიების დროს გამოცვლილი გვარი და ეროვნება აღიდგინა. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ პრობლემის გადაწყვეტა პირველად საქართველოში დაიწყო. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლითაც ,,აინუნგია,, დაკავებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფაა. 1997 წელს საქართველომ მიიღო კანონი ,,საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ,,. ,,აინუნგის,, ძალისხმევის შედეგად კანონის მოქმედება გავრცელდა ეთნიკური ნიშნით დეპორტირებულ გერმანელებზეც.

,,აინუნგის,, შექმნისთანავე ჩამოყალიბდა გერმანული ენის შემსწავლელი კურსები. ასოციაციასთან მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა ახალგაზრდული გერმანულენოვანი თეატრალური სტუდია, რომელსაც დიანა კესნერი თაოსნობდა. ასოციაცასთან პროფესიონალ მხატვართა ჯგუფიც არსებობს. ახალგაზრდებისთვის ყოველწლიურად ეწყობა საზაფხულო ბანაკები, სადაც მოზარდები ინტენსიურად ეუფლებიან გერმანულს.

გერმანული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია. 1991 წლიდან მამა-შვილმა დრაილინგებმა ლუთერანული ღვთისმსახურება განაახლეს, რომელსაც ისტორიულ სამშობლოში მათი დაბრუნების შემდეგ, პასტორი გარი აზიკოვი ატარებდა. 1995 წელს ასოციაცია ,,აინუნგმა,, მიწის ნაკვეთი მიიღო (გერმანელთა ყოფილი სასაფლაო ტერენტი გრანელის ქუჩაზე). 90-იან წლებში ზაარბრიუკენის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორმა, დოქტორმა გერდ ჰუმელმა, პენსიაზე გასვლის შემდეგ, საქართველოში გადმოსახლება, საკუთარი სახსრებით ახალი ეკლესიის აგება და ლუთერანული ეკ-ლესიის აღორძინება გადაწყვიტა. გერმანული სასაფლაოს მიწაზე მან ,,შერიგების,, ეკლესია ააშენა. შემდგომში იგი საქართველოს ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის პირველი ეპისკოპოსი გახდა.

1999 წელს საქართველოში ევანგელურ-ლუთერანული საქველმოქმედო ორგანიზაცია «დიაკონური სამსახური» დაარსდა. იგი მოხუცთა თავშესაფარს ინახავს, რომელსაც სამედიცინო განყოფილება და ღარიბთა სასადილოც აქვს. «აინუნგსა» და «დიაკონურ სამსახურს», სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად, გერმანიის მთავრობაც ეხმარება.

გერმანელთა საზოგადოება არსებობს აფხაზეთის ტერიტორიაზეც (შეიქმნა 1992 წელს), რომელსაც ლავრენტი გარტი ხელმძღვანელობს. მისი თქმით, ამჟამად აფხა-ზეთში 31 გერმანელი ცხოვრობს. გერმანიის მთავრობის პროგრამით, ვინც კი ერთ-ერთი მშობლის მხრიდან გერმანული წარმოშობისა იყო, შეეძლო გერმანიაში წასულიყო საცხოვრებლად, თუმცა შემდეგ ეს პროცესი გართულდა, რადგან ბევრს გაუჭირდა საბუთებით თავისი გერმანული წარმოშობის დამტკიცება. მათი უმრავლესობა პენსიონერია. საზოგადოების მიზანი ამ ადამიანთა დახმარებაა. იქაურ გერმანელთა საზოგადოება ლუთერანულ ეკლესიაში იკრიბება, რომელიც 1913 წელს ააშენეს გერმანელებმა სოხუმში. გერმანულ თემს იგი 1999 წელს დაუბრუნეს. იქ გერმანელი მღვდელმსახური წელიწადში რამდენჯერმე ატარებს რელიგიურ რიტუალს.

მამუკა კომახია

ლატვიელები

ლატვიელების თვითწოდებაა ლატვიეში. ლაპარაკობენ ლატვიურ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ბალტიკურ ჯგუფს განეკუთვნება.

ლატვიაში 1300 ათასზე მეტი მცხოვრებია. ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე 1500 ათასი ლატვიელი სახლობს, დაახლოებით 160 ათასი ლატვიელი ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის მკვიდრია. ლატვიელთა მცირე რაოდენობა საქართველოშიც ცხოვრობს.

ისტორიული ნარკვევი

საქართველოში მცხოვრები ლატვიელები, უმეტესად, შერეული — ქართულ-ლატვიური — ოჯახების წარმომადგენლები არიან. მათი სათვისტომო გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა. 1994 წელს თბილისში ოფიციალურად მოქმედ ლატვიელთა სათვისტომოში (“ვე შოლ”) 50 ლატვიელი იყო გაერთიანებული. ეს ლატვიელთა მეორედ შექმნილი სათვისტომოა, რომელსაც საქართველოში ლატვიის საპატიო კონსული რეგინა იაკობიძე უძღვება. პირველი სათვისტომო ჩამოყალიბდა I მსოფლიო ომის დროს, როდესაც საქართველოში ლატვიელი ლტოლვილები გამოჩნდნენ. საბუთების მიხედვით, ცნობილია, რომ მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ ჯარის სხვადასხვა ნაწილებიდან გამოქცეულმა ჯარისკაცებმა (განსაკუთრებით თურქეთის ფრონტზე მობილიზებულებმა) საქართველოს მოაშურეს. ისინი დასახლდნენ დიდუბეში (გერმანელთა კოლონიაში — на Садовой улице). ამჟამად ეს ქუჩა აღარ არის. საზოგადოება იურიდიულად რეგისტრირებული იყო მიხეილის პროსპექტის N180-ში. 1923 წელს, უცხოელების შესახებ მიღებული კანონით, საბჭოთა საქართველოსთვის ლატვიელები მტრული სახელმწიფოს მოქალაქეებს წარმოადგენდნენ, რადგან ლატვია არ გახდა სოციალისტური სახელმწიფო და არ შევიდა სსრკ-ს შემადგენლობაში (ლატვია სსრკ-ს შემადგენლობაში 1940 წ. შევიდა). ლატვიელების პირველი დიპლომატიური მისია საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო კარგად დაფუძნებული, რომ იძულებული გახდა დეპორტირებულ თანამემამულეთა გამგზავრების ორგანიზებით დაკავებულიყო. ყველაზე ბოლოს გაემგზავრა კონსული — იული სტრაუმე, რომელიც თავის მოვალეობას საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებდა. მან 16 წელი იმოღვაწა საქართველოში და ღრმა კვალი დატოვა თბილისის, საქართველოსა და საერთოდ, ამიერკავკასიის ცხოვრებაში. სტრაუმე სწავლობდა სანკტ-პეტერბურგში, სტაჟირება გაიარა პარიზში და 1908 წელს მხატვრად გაამწესეს თბილისში მოქმედ კავკასიის შინამრეწველობის (კუსტარულ) კომიტეტში. იგი იყო თბილისში გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი. თანამედროვე მუზეუმში შემორჩენილია მისი 500 ნამუშევარი. პოლონელ მხატვარ გრინევსკისთან ერთად სტრაუმეს მოუხატავს სათავადაზნაურო ბანკი (ახლანდელი ეროვნული ბიბლიოთეკა), მანვე შექმნა პირველი კარადები სამუზეუმო ექსპონატებისთვის. 1999

წელს, ზაფხულში, საქართველოში ლატვიელთა საზოგადოების თაოსნობით ლატვიის არქივთან და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმთან ერთად ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ი. კ. სტრაუმეს დაბადებიდან 125 წლისთავის აღსანიშნავად. ამავე დროს, მემორიალური დაფა გაკეთდა იმ შენობაზე, რომელშიც ლატვიის საკონსულო იყო განთავსებული — ყოფილი მიხეილის ქ. N171 (ახლანდელი დ. აღმაშენებლის გამზ.)

ინდუსტრიალიზაციის ხუთწლედებში სახელმწიფომ საქართველოში ლატვიელი ინჟინრები მოავლინა. ასე აღმოჩნდნენ აქ დულკისი, ურკევიცი (ეს უკანასკნელი ამიერკავკასიის საჰაერო ტრანსპორტის პირველი მინისტრი იყო). ამ გვარების წარმომადგენლები დღესაც ცხოვრობენ საქართველოში.

ლატვიელთა ახალი ნაკადი საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოსახლდა, უმეტესად ქალები, რომლებმაც ქმრებთან ერთად განვლეს ომის წლები (მაგ., ალევტინა კრუზმან-ბერუაშვილი, აუსტრა ტაურინა-მელიქიშვილი და სხვ.).

სხვა დროს ლატვიელი ქალები და ქართველი მამაკაცები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის უმაღლესმა სასწავლებლებმა დააკავშირა, რის შედეგადაც საქართველოს ახალი ლატვიელი მოქალაქეები შეემატა.

ლატვიელთა სათვისტომოში მშობლებთან ერთად ახალი თაობაც არის გაერთიანებული. მათი ლატვიურ ენასთან, კულტურასთან ზიარებაა სათვისტომოსთან არსებული საკვირაო სკოლის ფუნქცია. სწავლობენ სიმღერებს, ცეკვებს. მას შემდეგ, რაც ლატვიელთა საზოგადოება საკმაოდ ორგანიზებული გახდა, მისი ძირითადი ამოცანაა: იდენტურობისა და ლატვიასთან კავშირების შენარჩუნება (ამისათვის ლატვიიდან ღებულობენ ლიტერატურას, გაზეთებს, კასეტებს, აწყობენ შეხვედრებს ლატვიიდან ჩამოსულ თანამემამულეებთან), ლატვიელები ცდილობენ დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში ინტეგრაციას, სწავლობენ ქართულ ენას და ა. შ..

ქართველები დიდი ხანია დაინტერესებულნი არიან ლატვიური კულტურით, რომლის შესახებაც ცნობები ქართულ პრესაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლებში გვხვდება. იმავე საუკუნის 90-იან წლებში ამიერკავკასიაში მოღვაწეობდა ე. ბირზნიექს-უპიტისი, რომლის მოთხრობებშიც ჩანს დიდი სიყვარული საქართველოსადმი. ლატვიურ ენაზე თარგმნილია შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი», ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებები.

ქართულად თარგმნილია ი. რაინისის, ა. უპიტისის, ვ. ლაცისის და სხვათა თხზულებები.

ლატვიას უძღვნეს ლექსები ი. ნონეშვილმა და თ. ჭილაძემ. ე. კემპეს ეკუთვნის ლექსები საქართველოზე.

გულდამ ჩიქოვანი

ლიტველები

ლიტველთა თვითწოდებაა ლიეტუვიაი. ლაპარაკობენ ლიტვურ ენაზე.

გასული საუკუნის ბოლოს ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე ცხოვრობდა 2851 ათასი ლიტველი, აქედან ლიტვის სსრ-ში 2712 ათასი სახლობდა. 500 ათასი ლიტ-ველი საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრი იყო. მცირე რაოდენობით ლიტ-ველები საქართველოშიც ცხოვრობენ.

ისტორიული ნარკვევი

პირველი ცნობები საქართველოში მცხოვრებ ლიტველებზე XIX საუკუნის II ნახევარში გაჩნდა. ლიტველების ნაწილი რუსეთის ადმინისტრაციამ სამუშაოდ გამო-აგზავნა საქართველოში, ნაწილი კი გადმოასახლა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღმოჩნდნენ ლიტველები მთელ ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქარ-თველოში I მსოფლიო ომის დროს, მათ შორის, მრავალი მასწავლებელი, მედიცინის მუშაკი, ინჟინერი, ფარმაცევტი და სხვ. მათ გარდა, მრავლად იყვნენ გამოქცეულები და არმიაში სამსახურის დროს სხვადასხვა დარღვევისათვის გადმოსახლებულნი; აქვე დარჩა რუსეთ-თურქეთის ომში მობილიზებულ ლიტველთა ნაწილიც. ამრიგად, 1914-1918 წლებში ამიერკავკასიაში რამდენიმე ათასი ლიტველი აღმოჩნდა. მრავლად იყვნენ ისინი ჩრდ. კავკასიაშიც.

ლიტველებმა თანდათან დაიწყეს ლიტვური საზოგადოებების ჩამოყალიბება ეკატერინოდარში, კისლოვოდსკში, პიატიგორსკში, გროზნიში, ბაქოში, ალექსანდრო-პოლში, ყარსში, თბილისში, ბათუმში. ყველაზე მრავალრიცხოვანი თბილისის ლიტველთა კოლონია იყო, რომელიც ჯერ კიდევ I მსოფლიო ომამდე შეიქმნა. ერთო-ბა სოციალურ და კულტურულ საქმიანობას ახორციელებდა.

1912 წლის დაარსდა ურთიერთდახმარების ლიტვური საზოგადოება, აგრეთვე, ლიტვური გუნდი კომპოზიტორ იულიუს შტპრეკას ხელმძღვანელობით. ტარდე-ბოდა ლიტვური საღამოები. 1917 წლის აპრილში თბილისში ლიტველებმა აირჩიეს თბილისის ლიტველთა ნაციონალური საბჭო (თავმჯდ. პრანას დაილიდე). მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ გააქტიურდნენ რუსეთ-თურქეთის ფრონტის ლიტველები. მათი მიზანი ლიტვაში დაბრუნება და ლიტვის დამოუკიდებლო-ბისათვის მხარდაჭერა იყო. აქვე ჩამოყალიბდა ლიტვური ენის შემსწავლელი ორგანიზაცია (მათთვის, ვისაც მშობლიური ენაზე წერა-კითხვა დაავიწყდა). კავკასი-ის ფრონტის დაშლის შემდეგ ლიტველი ჯარისკაცები 1917 წლის ბოლოს თბილისის ლიტველთა კოლონიას შეუერთდნენ. ჩატარდა კავკასიის ლიტველთა ყრილობა, რომლის მუშაობაში 21 კაცი მონაწილეობდა — ყველა იმ ქალაქის წარმომადგენელი, სადაც ლიტველები აქტიურობდნენ; აირჩიეს პრეზიდიუმი (თავმჯდ. პეტრას ვილეიშისი). ყრილობის მონაწილეთა მიზანი იყო ჩამოეყალიბებინათ ინსტიტუტი, რომელიც დაიცავდა მათ და კონტაქტს დაამყარებდა ვილნიუსთან. საბოლოო მიზანი კი ლიტვის აბსოლუტური დამოუკიდებლობა და სამშობლოში დაბრუნება იყო.

ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ საჭირო გახდა უცხოელ მოქალაქეთა იურიდიული სტატუსის განსაზღვრა. საბჭომ დაიწყო ლიტველთა რეგისტრაცია. მოწმობა ეძლეოდა პირს, რომელიც დაასაბუთებდა, რომ ის წარმოშობით ლიტვიდან არის, გარდა ამისა, საჭირო გახდა ლიტვის წარმომადგენლობის შექმნა, რადგან ბოლშევიკებმა რუსეთის ტერიტორიაზე ლიტვისკენ მიმავალი გზები ჩაკეტეს. წარმომადგენლობას უნდა მოეძებნა ლიტვამდე მოსაღწევი გზები სხვა სახელმწიფოთა გავლით.

1918 წლის 2 ივნისს კავკასიის ლიტველთა საბჭომ თხოვნით მიმართა ლიტვის საბჭოს, ამიერკავკასიის სახელმწიფოებში ლიტვის ოფიციალური წარმომადგენლობა გაეხსნა. ლიტვაში დელეგაცია უნდა გამგზავრებულიყო. ლიტველთა საბჭოს თავმჯდომარე პრანას დაილიდე შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს, რომელმაც მას ლიტვის მთავრობასთან მილოცვის წერილი გაატანა იმის იმედით, რომ ლიტვა პარიზის კონფერენციაზე მხარს დაუჭერდა საქართველოს მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ. 1918 წლის 30 აგვისტოს საქართველოში აკ-რედიტებულ იქნა ლიტვის წარმომადგენლობა.

მრავალი სიძნელის გადალახვის შემდეგ 10000 ლიტველი სამშობლოში დაბრუნდა.

ზუსტად 80 წლის შემდეგ — 1998 წლის იანვარში — დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკაში ლიტველთა სათვისტომო “RUTA”-ს თავმჯდომარე ირენა ჯიქია-სლი-ზეავიჩუტე ლიტვის რესპუბლიკის საპატიო კონსული გახდა.

საქართველოში ლიტველთა სათვისტომო “RUTA” 1990 წლიდან ფუნქციონირებდა, მაგრამ რეგისტრირებულ იქნა 1996 წლის 28 ნოემბერს.

ამჟამად, საქართველოში ლიტველთა მცირე რაოდენობა მოსახლეობს, ძირითადად, შერეული ოჯახები და მათი შვილები განაგრძობენ ლიტვური ტრადიციების, ენის დაცვა-შენახვას.

თბილისში არსებულ სათვისტომოში 60 წევრი ირიცხება. სათვისტომოს თავმჯდომარეა ზინა ქარუხნიშვილი. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია (ფუნქციონირებს კ. კეკელიძის ქ. N11-ში). სათვისტომოს მიზანია საქართველოში მცხოვრებმა ლიტველებმა შეინარჩუნონ სამშობლოსთან სულიერი და ფიზიკური კავშირები, შვილები აზიარონ ლიტვურ კულტურას (ამ მიზნით შეკრებები იმართება თბილისელ ლიტველთა ოჯახებში, ლიტვის საელჩოში, რომელიც გაიხსნა 2004 წ.), აგრეთვე, «კავკასიურ სახლში». ლიტველები ჩართულნი არიან ლიტვის რესპუბლიკის იმ პროგრამებში, რომლებიც აფინანსებენ და წარმართავენ მათ მუშაობას. პროგრამის მიხედვით, ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა — სწავლობენ ლიტვურ ენას, ისტო-რიას, კულტურას. საკვირაო სკოლაში 8-10 ბავშვი სწავლობს. მასწავლებლებს გასამრჯელოს უხდის ლიტვური პროგრამა. იმავე პროგრამის ფარგლებში ხდება სას-წავლებლად ლიტვაში წასულ ახალგაზრდათა დაფინანსება და სხვ.

მცირე რაოდენობით ლიტველები ცხოვრობენ გორში, ბორჯომში, ქობულეთსა და კახეთში.

გულდამ ჩიქოვანი

ესტონელები

ესტონელების თვითწოდებაა ეესტლასედი; წარმომავლობითა და ენით ბალტიისპირა-ფინური ჯგუფის ფინურ-უგორულ ხალხებს განეკუთვნებიან.

ესტონელები კათოლიკები იყვნენ XIII საუკუნიდან. რეფორმაციის პერიოდში (XVI ს.) კათოლიკეობა ლუთერანობით შეიცვალა. XIX საუკუნის შუა წლებში ესტონეთის მოსახლეობის 10-12%-მა მართლმადიდებლობა მიიღო. გასული საუკუნის ბოლო წლებისთვის ესტონეთის რესპუბლიკასა და ყოფილი სსრკ-ს მთელ ტერიტორიაზე (სსრკ-ს შემადგენლობაში ესტონეთი შევიდა 1940 წ.) ესტონელთა რაოდენობა 1,7 მლნ-ს შეადგენდა. აქედან, 925 ათასი ესტონეთში ცხოვრობდა, დანარჩენები — რუსეთის ფედერაციაში და, აგრეთვე, ლატვიაში, უკრაინაში და მცირე რაოდენობით — საქართველოში. ესტონელები ცხოვრობენ შვეციაში, კანადაში, აშშ-ში.

ისტორიული ნარკვევი

შუა საუკუნეების საქართველოში მოსახლეობის აღრიცხვის საქმე მოუგვარებელი იყო. მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი გახდა XIX-XX საუკუნეებში (ფაქ-ტობრივად, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ), როდესაც იმპერიის მოსახლეობის კამერალური აღწერების, «საოჯახო სიებისა» და სხვა ღონისძიებების შედეგად სათანადო მონაცემები დაგროვდა. სწორედ იმდროინდელ ცნობებში, სხვა ხალხებთან ერთად, საქართველოში მცხოვრები ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებიც მოიხსენიებიან — ესტონელები, ლატვიელები, ლიტველები.

მიგრანტთა მოსვლას საქართველოში შემდეგი მიზეზები განაპირობებდა: მკვიდრდებოდნენ რუსი ჩინოვნიკები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რუსეთის არმიის დემობილიზებული ჯარისკაცები (მათ შორის ბალტიისპირელები) და სხვ. საქართველოში მცხოვრები ესტონელები პირველივე შესაძლებლობისთანავე, ანუ რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, დაბრუნდნენ ესტონეთში.

1866-1878 წლებში აფხაზეთიდან მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი თურქეთში გაასახლეს. აფხაზთა სოფლები დაიცალა. ამ მიწებზე რუსეთის ადმინისტრაციამ ჩაა-სახლა სომხები, ბერძნები (თურქეთიდან). ამავე პერიოდში მოხდა ესტონელების ჩამოსახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 50 მ-ზე, ქ. გულრიფშიდან 13 კმ-ში.

ესტონელთა დასახლების ადგილს 1955 წლამდე ბაღნაშენი ეწოდებოდა, შემდგომში — ესტონკა. იგი აფხაზეთის ასსრ-ის გულრიფშის რაიონის ვლადიმიროვკის სასოფ-ლო საბჭოში შედიოდა. მასთან ერთად ამ საბჭოში გაერთიანებული იყო სოფლები შმათი და ხუმუშქური. ესტონელთა სიმცირის გამო მათი რაოდენობრივი მონაცემები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცნობარებში არ არის მითითებული — ისინი

გაერთიანებულნი არიან გრაფაში «დანარჩენები». სოფ. ესტონკაში ჩამოყალიბებული იყო კოლმეურნეობა — მეთამბაქოეობისა და მეჩაიეობის პროფილით, მოქმედებდა რვაწლიანი სკოლა, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, ამბულატორია.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პირობებში, ესტონელთა უმეტესობა ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა. ნაწილი კვლავ ცხოვრობს აფხაზეთში, მაგრამ დაზუსტებული ცნობები მათ შესახებ არ მოგვეპოვება.

ესტონელები ცხოვრობენ საქართველოს ქალაქებში — ძირითადად, თბილისში. მათი უმეტესობა ქართულ-ესტონური შერეული ოჯახების წარმომადგენლები არიან. აქაური ესტონელები კავშირს არ კარგავენ სამშობლოსთან, ინარჩუნებენ ენას, კულტურას. ესტონელთა სათვისტომო თბილისში 1993 წლის ჩამოყალიბდა, იგი თავიდან 20 კაცისაგან შედგებოდა (თავდაპირველად ესტონელთა სათვისტომო ლატვიელთა სათვისტომოსთან გაერთიანდა, ამჟამად ცალკე ფუნქციონირებს). ეს-ტონელთა სათვისტომოს თავმჯდომარე იყო და არის რეგინა კახიძე. იგი აქტიურად არის ჩართული ესტონელთა სათვისტომოს საქმიანობაში).

ესტონელთა სათვისტომოსთან გახსნილია სკოლა, რომელიც კვირაში სამ დღეს მუშაობს საელჩოში. ესტონურ ენას ახალგაზრდებს ასწავლის რეგინა კახიძე (ქალიშ-ვილობის გვარია — ესსინი).

ესტონეთის საელჩო თბილისში 2006 წლის 18 დეკემბერს გაიხსნა (ელჩი ჰარი ლათეინი).

გულდამ ჩიქოვანი

ბოშები

ბოშები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცხოვრები ხალხია. მათ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ (ინგლისელები: Gypsies — „ეგვიპტელები», უნგრელები: Cig'any ჰოლანდიელები: Heidens — „წარმართები», ფინელები: Mustainen — „შავები” და სხვ.).

მიიჩნევა, რომ ბოშები წარმომავლობით ინდოეთიდან არიან. ბოშების წინაპრებს ინდოეთი პირველი ათასწლეულის ბოლოს უნდა დაეტოვებინათ. სავარაუდოდ, ისინი პირველად წინა აზიის (ირანის ტერიტორია), ეგვიპტისა და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში განსახლდნენ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულისკენაც დაიძრნენ. XV-XVI საუკუნეებში ბოშები უკვე ევროპასა და ჩრდილო აფრიკაშიც სახლდებიან, XIX საუკუნეში კი ამერიკის კონტინენტსა და ავსტრალიაშიც. ევროპაში ბოშების მიმართ თავდაპირველი კეთილ-განწყობილი დამოკიდებულება მალე მათი დევნით შეიცვალა. ბოშებს კანონგარეშე პირებად აცხადებდნენ და ქვეყნის საზღვრებს გარეთ ასახლებდნენ, მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში 500 ათასზე მეტი ბოშა განადგურდა. ომის შემდეგ ბევრმა მათგანმა მკვიდრი ცხოვრების წესი აირჩია. 1971 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბოშათა მსოფლიო კავშირი შეიქმნა, რომელიც ევროპის ბოშური ორგანიზაციების წარმომადგენლებს აერთიანებს.

ბოშები მთელ მშოფლიოში იბრძვიან თავიანთი სოციალური და კულტურული უფლებების დასაცავად, სურთ მათ მიმართ გულგრილად განწყობილ მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი დისკრიმინაციული და გაუსაძლისი მდგომარეობა დაანახონ.

მშოფლიოში მათი საერთო რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემით, 6-იდან 10 მილიონამდე მერყეობს. ბოშები უმეტესად უნგრეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, რუმი-ნეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიასა და რუსეთში სახლობენ. ბოშური ენა ინდოევროპული ოჯახის ინდო-არიულ ჯგუფს მიეკუთვნება, მას მრავალი დიალექ-ტი აქვს. განსახლების პროცესში ბოშათა მრავალრიცხოვანი სუბეთნიკური ჯგუფებიც გაჩნდა: კელდერარები, ლოვარები, სერვები და სხვა.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, 1989 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო სულ 1744 ბოშა. მათ შორის: თბილისში — მხოლოდ 53; აფხაზეთში — 412; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 126; ქუთაისში — 251; რუსთავში — 32. მაგრამ ეს მონაცემები დღეს უკვე არ ასახავს რეალობას. 2002 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალები ბოშების რაოდენობის შესახებ არაფერს გვაუწყებს.

ისტორიული ნარკვევი

ბოშების საქართველოში ჩამოსახლების ზუსტი ისტორიული თარიღი უცნობია. თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ ბოშათა მომთაბარე ჯგუფები საქართველოში პირველად XIX საუკუნის დამდეგს გამოჩნდნენ. მათ ძირითად საქმიანობას მცირე ვაჭრობა და მკითხაობა წარმოადგენდა.

საქართველოში პირველად ხელისუფლება ბოშათა პრობლემებით 1921 წელს დაინტერესდა. მათთვის გამოიყო სპეციალური საცხოვრებელი ადგილები, შეიქმნა ბოშათა ანსამბლები, რომლებიც წარმოაჩენდა მათ ეროვნულ კულტურასა და ყოფას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ის, რომ ბოშებმა დაიწყეს საშუალო განათლების მიღება (რუსულ ენაზე).

ბოშათა დიდი ნაკადი საქართველოში 1930-იან წლებში, ძირითადად, უკრაინიდან და მოლდოვიდან შემოვიდა. ისინი უმთავრესად შავი ზღვის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ ბოშათა მომთაბარე ცხოვრების სტილს, ამ პერიოდში ბოშებს საქართველოში შენარჩუ-ნებული ჰქონდათ კულტურული იდენტობა და პოპულარიზაციას უწევდნენ თავიანთ კულტურულ ტრადიციებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბოშები ერთ-ერთი ყველაზე მარგინალური ჯგუფი გახდა საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა ანკლავებს შორის. 90-იან წლებში ბევრმა ბოშამ დატოვა ქვეყანა და საცხოვრებლად უმეტესად რუსეთის ფედერაციაში გადავიდნენ. ამის მიზეზად, ერთი მხრივ, ეკონომიკური სიდუხჭირე და, მეორე მხრივ, ნაციონალისტური იდეოლოგიის გააქტიურება სახელდება.

ამჟამად ბოშათა უმრავლესობა დასახლებულია თბილისში, სადაც დაახლოებით 250-300 ადამიანი უნდა ცხოვრობდეს. ბოშები ცხოვრობენ აგრეთვე იმერეთში, აჭარაში, კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, როგორც პატარა სოფლებში, ასევე სხვა ტიპის დასახლებულ პუნქტებსა თუ ქალაქებში.

საცხოვრებელი გარემო
და საქმიანობა

ბოშები ერთიანდებოდნენ მომთაბარე ჯგუფებად, რომელთა წევრები შეიძლებოდა ნათესავები არ ყოფილიყვნენ. ბანაკი, როგორც წესი, 10-იდან 25 კარავს ითვლიდა. ნებისმიერ ოჯახს შეეძლო ბანაკს გამოყოფოდა. ბოშები, როგორც წესი, თავს გარკვეულ ე.წ. «როდოს», ორ-სამთაობიან დიდ ოჯახს მიაკუთვნებენ, რომელიც დიდი წინაპრის სახელს ატარებს. ჩვეულებრივ უპირატესობას მამის შტოს ანიჭებენ, თუმცა შესაძლებელია თავი დედის გვარსაც მიაკუთვნო. არ არის აუცილებელი ერთ «როდოში» გაერთიანებული ადამიანები ერთ ადგილას, ერთად ცხოვრობდნენ.

ოჯახის წყობა პატრიარქალური იყო. კაცები ხელშეუხებელი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ოჯახის უფროს წევრებს ხაზგასმულ პატივს სცემდნენ. გათხოვილი ახალგაზრდა ქალი «უწმინდურად» ითვლებოდა და სხვებთან ურთიერთობისას მრავალი აკრძალვა უნდა შეესრულებინა. ახალგაზრდა გოგონები შედარებითი თავისუფლებით სარგებლობდნენ. მათ ქალიშვილობის სიწმინდის დაცვა ევალებოდათ. მოხუც ქალებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ.

შრომა კოლექტიური იყო, დოვლათი თანაბრად ნაწილდებოდა, მათ შორის მათზეც, ვისაც შრომა არ შეეძლო. ბანაკს ხელმძღვანელობდა ბელადი, როგორც წესი უფროსი თაობის ადამიანი, ვინც კარგად ფლობდა გარშემომყოფთა ენას. კონფლიქტებსა და სადავო საკითხებს განიხილავდა სასამართლო («სენდო»). მასში შედიოდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები. სენდოს გადაწყვეტილება უსიტყვოდ სრულდებოდა. ბოშებში ყველაზე გავრცელებული საქმიანობა იყო ცხენებით ვაჭრობა, ქალებში — მკითხაობა; მისდევდნენ მჭედლობას, ხეზე კვეთას, საიუველირო საქმესა და სხვ.

ბოშურ ოჯახში დღეში ერთხელ იკვებებოდნენ, როდესაც დედა სოფლიდან ან ქალაქიდან ბრუნდებოდა და სანოვაგე მოჰქონდა. ამ დროს სუფრასთან ბოშათა ბანაკის სხვა წევრებსაც პატიჟებდნენ. ერთობლივი ჭამა ბოშებისთვის სხვისი პატივისცემის, მეგობრობისა და თანასწორობის ნიშანია. გამასპინძლებაზე უარის თქმა შეურაცხყოფის მიყენების ტოლფასი იყო. დიდ დღესასწაულებზე ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ.

ნაციონალური ტრადიციული სადღესასწაულო საკვებია: ფქვილში მომზადებული კომბოსტოს, ბრინჯისა და ხორცის შეჭამადი («შახ ტულიარდო»), სქელი სუპი ხორცით, წიწაკითა და პომიდვრით («პაპრიკაში»), ხაჭოთი, ქიშმიშითა და შაქრით მომზადებული რულეტა («სავიაკო»).

ბოშებში დაქორწინების საფუძველს გარიგება წარმოადგენდა. ბავშვები ხანდახან ჩვილობის ასაკშიც ინიშნებოდნენ. არსებობდა ქალიშვილების გაცვლის ტრადიციაც. როდესაც ქალს ათხოვებდნენ, საქმროს და ცოლად საცოლის ძმას მიჰყვებოდა. არსებობდა პატარძლის «ყიდვის» ტრადიციაც. გავრცელებული იყო მოტაცებით ქირწინებაც.

გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ბოშები მომთაბარეობდნენ. ამ დროს ისინი კარვებში ცხოვრობდნენ. კარვების შიდა მოწყობილობა მკაცრად იყო სტრუქტურირებული. «წმიდა» ნივთები: ხატები, მათრახი, სარკე, ჭურჭელი, ჩაიდანი განლაგებული იყო ერთ კუთხეში, შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს. ქალებს მათთან მიახლოება ეკრძალებოდათ.

დღეს საქართველოში ბოშები ცხოვრობენ ნაქირავებ ან ნაყიდ საკუთარ სახლებში, საბჭოთა სტილის საერთო კორპუსებში, დროებით თავშესაფრებსა და კარვებში. საქართველოში ბოშები უმთავრესად წვრილმანი ვაჭრობითა და მკითხაობით ირჩენენ თავს. ბოშათა უდიდესი ნაწილი საქართველოში უმუშევარია.

ტრადიციული ბოშური ჩასაცმელი ქალებისათვის ე.წ. «შეუკერავი» ქვედაბოლოა, რომლის შეერთების ნაწილი თავში შემჭიდროებული წინსაფრით («კიტრინცი»)

იფარება. ზედა ჩასაცმელს, როგორც წესი, ფართო მკლავები და ამოღებული გულისპირი ჰქონდა, რათა მოსახერხებელი ყოფილიყო ძუძუს საწოვებლად. გათხოვილი ქალის სამოსის აუცილებელი ატრიბუტია თავსაფარი — ხშირად მონეტებჩაკერებული («მეჟედია»). ბოშა ქალებს ძალიან უყვართ სამკაულები, განსაკუთრებით, ოქროსი. კაცების სამოსია ფართო შარვალი, ჩექმები, პიჯაკი ვერცხლის ღილებით და ღია ფერის აბრეშუმის პერანგები.

რელიგია
და რწმენა-წარმოდგენები

მორწმუნე ბოშები ევროპის ქვეყნებში ძირითადად კათოლიკეები არიან, რუსეთის ტერიტორიაზე — მართლმადიდებლები, ბალკანეთის ქვეყნებში — სუნიტი მუსლიმები. მათში გავრცელებულია აგრეთვე ტრადიცული რწმენა-წარმოდგენებიც.

საქართველოში მცხოვრებ ბოშათა ნაწილი თავს მუსლიმად ან მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, თუმცა საქართველოში სხვა რელიგიური იდენტობის ბოშათა ჯგუფებიც არიან, მათ შორის ევანგელისტური აღმსარებლობის ქრისტიანები.

ფოლკლორი

ბოშები სახელგანთქმულნი არიან, როგორც კარგი მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები. მათი ფოლკლორი მეტად პოპულარულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სერბეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში. ითვისებდნენ რა იმ ხალხების ფოლკლორულ ელემენტებს, ვის გვერდითაც ცხოვრობდნენ, ბოშებს ამ ქვეყნების კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეჰქონდათ. რუმინულ და უნგრულ სავიოლინო მუსიკასა და ესპანურ ფლამენგოში ნათლად იგრძნობა ბოშური ფოლკლორის გავლენა. საქართველოში ბოშათა ფოლკლორული ანსამბლები საკმაოდ იყო წახალისებული საბჭოთა კავშირის პერიოდში, თუმცა ამაჟამად საქართველოში ისინი აღარ მოქმედებენ.

თანამედროვე ვითარება

საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა ბოშათა უფლებების დასაცავად. უსახლკარობისა და უკიდურესი სიღარიბის ყველაზე სერიოზული პრობლემა არის თბილისში, კერძოდ, სამგორის რაიონში. ბოშები ცხოვრობენ დანგრეულ სახლებში, მივარდნილ «ბარაკებში». სიღარიბე მთელი ბოშათა საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია. 8-10-კაციანი ოჯახების უმეტესობა პატარა ოთახში ცხოვრობს. არაფერი კეთდება ბოშების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად. მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ბოშათა უმეტესობისთვის სამედიცინო მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი. ისინი სამედიცინო დახმარებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. გარდა ამისა, ბოშები ხშირად ხდებიან უკანონო დაკავების მსხვერპლნი.

ბოშები სახლებში მშობიარობენ, ექიმისა და სამედიცინო დახმარების გარეშე. აქედან გამომდინარე, არც ახალშობილებს არეგისტრირებენ და მათ სამოქალაქო სტატუსსაც არ ანიჭებენ. ეს ნიშნავს, რომ ბავშვები დაბადებისას არ ხდებიან საქართველოს მოქალაქეები. ბოშებს არა აქვთ ხმის მიცემის უფლება, იმ მიზეზით, რომ არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი საბუთი. იმავე მიზეზით ისინი ვერ მონაწილეობენ სოციალურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში და არ შეუძლიათ ლეგალურად გავიდნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ. ფაქტობრივად, აღარ არსებობს ბოშათა ეროვნული ფოლკლორი. მათი ტრადიციული ანსამბლები, რომლებსაც თავისი წვლილი შეჰქონ-დათ კულტურული ცხოვრების განვითარება-გამრავალფეროვნებაში, უკვე დაშლილია.

ბოშების მძიმე სოციალური მდგომარეობა განპირობებულია მათი უმუშევრობით. ისინი ძირითადად ვაჭრობენ და ამ გზით ინახავენ თავიანთ მრავალრიცხოვან ოჯა-ხებს. დასაქმება ბოშების მთავარ პრობლემას წარმოადგენს. ამას ერთვის განათლების პრობლემა, მხოლოდ უფროს თაობას და ახალგაზრდების უმნიშვნელო რაოდენობას აქვს დაწყებითი განათლება (1-4 კლასი) მიღებული. დიდმა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა — ქართული — და ძალიან ცოტამ იცის რუსული წერა-კითხვა.

ბოშები არ ენდობიან საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებს. მათ უმრავლესობას მიაჩნია, რომ არავის შეუძლია მათი გაუსაძლისი ცხოვრების პირო-ბების შეცვლა. შეიძლება სწორედ ეს იყოს პასუხი იმაზე, თუ რატომ არ ამყარებენ ბოშები ურთიერთობას საქართველოს მოსახლეობასთან, და ამის ნაცვლად საკუთარ საზოგადოებაში ჩაკეტილები ცხოვრობენ.

ბოშები ოფიციალურად არ არიან აღიარებულნი ეთნიკურ, ან კულტურულ უმცი-რესობად. თბილისში მცხოვრები ყველა ოჯახი ცდილობს, საკუთარი ეროვნული ტრადიციები თაობიდან თაობას გადასცეს და ამ გზით შეინარჩუნოს საკუთარი ეთნოკულტურული იდენტობა.

მომზადებულია
ტოლერანტობის ცენტრის
მიერ

ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში

საქართველოში დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელი იქნება ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებისა და მისი წარმატებული განხორციელების გარეშე. სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისათვის კი აუცილებელია ეროვნული უმცირესობების, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და ჯავახეთში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელებისა და სომხების სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში არსებული ვითარების შეფასება.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. თუ 1989 წლის აღწერის მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ, 2002 წლის აღწერის შედეგებით, საქართველოში (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების გამოკლებით) მათი ხვედრითი წილი 16%-მდე დაეცა.

მკვეთრად შემცირდა რუსების, ბერძნების, ებრაელებისა და უკრაინელების რაოდენობა. მნიშვნელოვნად იკლო აგრეთვე აზერბაიჯანელებისა და სომხების რაოდენობამაც. ამჟამად აზერბაიჯანელები მოსახლეობის 6,5%-ს შეადგენენ, სომხები — 5,7%-ს. 1989 წლის აღწერის მიხედვით, სომხები საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობა იყო. დღეს კი, სომხების ემიგრაციისა და ამავე დროს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ტრადიციულად მაღალი შობადობის გამო, აზერბაიჯანელები, მათი ემიგრაციის მიუხედავად, საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობაა.

ეროვნული უმცირესობების რაოდენობის შემცირების უმთავრესი მიზეზი ემიგრაციაა. ემიგრაციის პირველ ტალღას ბიძგი მისცა 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ. ემიგრაცია მოსახლეობის გადარჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია გახდა და ამიტომაც მან მასობრივი ხასიათი მიიღო როგორც ქართველებში, ისე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორისაც.

1990-იანი წლების დასაწყისში ეროვნული უმცირესობების ემიგრაციის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორი მათ მიმართ საქართველოს ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ჯგუფების დისკრიმინაციული პოლიტიკა იყო. ახალბედა ხელისუფლების ნაციონალისტური რიტორიკა ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების შევიწროებაში გადაიზარდა. ქართულ საზოგადოებაში პოპულარული გახდა ლოზუნგი «საქართველო ქართველებისათვის», არაქართულმა მოსახლეობამ კი «სტუმრის» სტატუსი შეიძინა. შევიწროებას მასობრივი ხასიათი არ მიუღია, თუმცა ნაციონალისტურმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა რეგიონებში, ძირითადად, აზერბაიჯანელები და ოსები აიძულეს დაეტოვებინათ/გაეყიდათ სახლები და ემიგრაციაში წასულიყვნენ.

ემიგრაციული განწყობილები და ქცევა ყველაზე მეტად დამახასიათებელი სლავური მოსახლეობისთვის გახდა, რომელიც ძირითადად საბჭოთა პერიოდში ჩამოსახლდა საქართველოში, აგრეთვე ოსებისათვის, ვინაიდან პოლიტიკური კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში 1990 წლის ბოლოდან მკვეთრად გამწვავდა, ხოლო 1991 წელს იგი ომში გადაიზარდა. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა სლავების (რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების) გასვლა. მათ შორის ბევრი იყო საბჭოთა არმიის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც 1990-იანი წლების დამდეგიდან ზოგიერთი სამხედრო შენაერთის დისლოკაციის შეცვლასთან დაკავშირებით მასობრივად ტოვებდნენ საქართველოს.

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, 1992 წელს ქვეყნის ახალმა ლიდერმა, ედუარდ შევარდნაძემ უარი თქვა ნაციონალისტურ პოლიტიკაზე, თუმცა ამას ეროვნულ უმცირესობებს შორის ემიგრაციული აქტიურობის შემცირება არ მოჰყოლია. ამის შემდეგ ემიგრაციის მთავარ ფაქტორად უმუშევრობა, ცხოვრების დონის გაუარესება და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის საჭირო პირობების არარსებობა იქცა. ამ ფაქტორის გამო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად ემიგრაციაში ქართველებიც წავიდნენ.

ეროვნული უმცირესობებისათვის ყველაზე მიმზიდველი საემიგრაციო ქვეყანა რუსეთის ფედერაციაა, რომელიც ლინგვისტური (საბჭოთა პერიოდში ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობაში ძირითადი ენა რუსული იყო) და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მახლობელია მათთვის. ზოგიერთი ეროვნული უმცირესობა უპირატესობას ისტორიულ სამშობლოში ემიგრაციას ანიჭებს. ამას ხელს უწყობს საქართველოში ცხოვრების უპერსპექტივობის განცდა და ისტორიული სამშობლოს მიზიდულობის ძალა: რუსები რუსეთში მიდიან, ბერძნები — საბერძნეთში, ებრაელები — ისრაელში, უკრაინელები — უკრაინაში, სომხების ნაწილი — სომხეთში, აზერბაიჯანელების ნაწილი — აზერბაიჯანში. საყურადღებოა, რომ საქართველოს ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობიდან, სომხებიდან და აზერბაიჯანელებიდან, ეთნიკურად ორიენტირებული ემიგრაცია უფრო აზერბაიჯანელებისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა რუსეთი აქაც კონკურენციის გარეშეა. რუსეთის შემდეგ მიგრაციული თვალსაზრისით ეროვნული უმცირესობებისათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნები აშშ და საბერძნეთია.

ბოლო წლებში ემიგრაციის უმთავრეს მიზეზებად ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური სახის ფაქტორები სახელდება. მათ შორის უმნიშვნელოვანესია

უმუშევრობა, ცხოვრების დონის დაცემა, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების მცირე შანსი, ხვალინდელი დღისადმი რწმენის დაკარგვა, პოლიტიკური არასტაბილურობის განცდა. ემიგრაციულ განწყობილებზე ნაკლებ გავლენას ახდენს ე. წ. დისკრიმინაციული ხასიათის ფაქტორები: ხელისუფლებისა და მოსახლეობის მტრული დამოკიდებულება ეროვნული უმცირესობებისადმი მათი ეთნიკური წარმოშობის გამო, მშობლიური ენისა და კულტურის განვითარების, რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილების შეუძლებლობა.

ეროვნული უმცირესობების ემიგრაციის შემაფერხებელი ფაქტორია მათი ინტეგრაციის მაღალი ხარისხი ქართულ საზოგადოებაში, მიგრაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების არარსებობა და შერეული ოჯახები. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ემიგრაციისაგან თავის შეკავების უმთავრესი მიზეზებია მატერიალური რესურსების უქონლობა და ნათესავებთან განშორების სიმძიმილი.

ეროვნული უმცირესობები საქართველოში განსახლებულნი არიან როგორც დისპერსიულად, ისე კომპაქტურად. აზერბაიჯანელების კომპაქტური დასახლებები ქვემო ქართლშია, სომხების — ჯავახეთში, სადაც ისინი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. აზერბაიჯანელები ასევე კომპაქტურად ცხოვრობენ კახეთისა და შიდა ქართლის რაიონებში, სადაც ქართულ მოსახლეობასთან ინტენსიური ურთიერთობის შედეგად, ისინი მეტ-ნაკლებად ინტეგრირებულნი არიან. ჩეჩნები პანკისის ხეობაში სახლობენ კომპაქტურად. დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები ძირითადად მთელი ქვეყნის მასშტაბით არიან განსახლებულნი და მათი ინტეგრაციის დონე სხვადასხვაა. ისინი, ძირითადად, ქალაქებში ცხოვრობენ.

სამოქალაქო ინტეგრაციის კრიტერიუმები და არსებული პრობლემები

სამოქალაქო ინტეგრაცია ისეთი გარემოს შექმნას გულისხმობს, როდესაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები აქტიურად და თავისუფლად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვაში, მატერიალური და კულტურული ფასეულობების შექმნაში. ქვემოთ სამოქალაქო ინტეგრაციის რამდენიმე კრიტერიუმს და ამ თვალსაზრისით, არსებულ პრობლემებს განვიხილავთ. ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ის სფეროები, სადაც სახელმწიფოს სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გააქტიურება მართებს.

სახელმწიფო ენის ცოდნა და განათლება. ამ სფეროში არასაკმარისი ინტეგრაცია ხელს უშლის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამცირებს ეკონომიკური და პროფესიული წარმატების მიღწევის მათ შანსებს. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ძნელდება მათი ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან. გარდა ამისა, მათ მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა ქართველებში წარმოშობს ეჭვს, რომ ეროვნული უმცირესობები ლოიალურნი არ არიან სახელმწიფოს მიმართ.

სახელმწიფო ენის არცოდნა საინფორმაციო იზოლაციას იწვევს, რის შედეგადაც ეროვნული უმცირესობები არ არიან ინფორმირებულნი საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. უცხოურ (რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, თურქულ)

საინფორმაციო საშუალებებზე დამოკიდებულების გამო ისინი ფაქტობრივად სხვა ქვეყნის საინფორმაციო სივრცის ნაწილნი ხდებიან. ზოგიერთ შემთხვევაში უცხოური მედიის მიერ საქართველოში მიმდინარე პროცესების ტენდენციური გაშუქება ეროვნულ უმცირესობებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში პრობლემებსაც წარმოშობს.

სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ქვემო ქართლსა და ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა. რუსულმა ენამ კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაკარგა პოზიციები. განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული ხარვეზების გამო ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ მშობლიურ ენაზე მეტყველებს და სხვა ერებთან ურთიერთობაში არა თუ ქართულს, რუსულ ენასაც ვეღარ იყენებს. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ენის შესწავლის სფეროში სახელწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული და არაეფექტიანი იყო.

სახელმწიფო ენის არცოდნას განათლების სისტემაში არსებული ზოგიერთი ხარვეზი განაპირობებს: ბავშვის არაქართულენოვან სკოლაში შეყვანის შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური ქართული ენის მასწავლებლების არარსებობა; თანამედროვე ენის სწავლების ერთიანი მეთოდური და მეცნიერული მიდგომის არარსებობა; გართულებულ სასწავლო სტანდარტებსა და პროგრამებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები. ქართულენოვან სკოლაში შეყვანის შემთხვევაში კი პრობლემას ქმნის რელიგიის ისტორიის (ფაქტობრივად კი მართლმადიდებლობის) სწავლება (ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას აზერბაიჯანული მოსახლეობის წინაშე) და ისტორიის გაკვეთილზე მხოლოდ ეთნიკურ ისტორიაზე საუბარი, როდესაც არ არის ნაჩვენები სხვა ერების როლი საქართველოს, როგორც მრავალეთნიკური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რამდენიმე მიმართულებით უკვე გადადგა ნაბიჯი: მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე გაიგზავნა კვალიფიციური კადრები სპეციალური პროგრამის ფარგლებში; ჯავახეთში მიმდინარეობს, ქვემო ქართლში კი დაგეგმილია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა ეროვნული კომისარიატის დახმარებით პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის სტანდარტებისა და პროგრამების შეცვლას და გამარტივებს, ქართული ენის პედაგოგთა გადამზადებას და მათთვის სპეციალური მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნას; ამოქმედდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრები, სადაც არაქართულენოვანი სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა ინტენსიური მომზადება მიმდინარეობს ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი ძალისხმევის მიუხედავად, აღნიშნული პოლიტიკის ხარვეზს ის წარმოადგენს, რომ პროგრამა ძირითადად ახალგაზრდა თაობაზე არის გათვლილი და მასში ჩართულნი არ არიან უფროსი ასაკის ადამიანები, რაც ამ

თაობის წარმომადგენლებში სახელმწიფო ენის შესწავლის კუთხით არსებული მგომარეობის შენარჩუნებას გამოიწვევს. ეს პრაქტიკულად ამ თაობის ადამიანების უმრავლესობის მეორეხარისხოვან მოქალაქეებად დარჩენას შეუწყობს ხელს. ამ საკითხის მოგვარება ძნელი იქნება რამდენიმე ფაქტორის გამო, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ — უფროსი თაობის ადამიანებში ქართული ენის შესწავლის სტიმულის ნაკლებობა; ამ ასაკის ადამიანების მიერ ახალი ენის შესწავლის სირთულე; არასაკმარისი რესურსები მათთვის სახელმწიფო ენის შემსწავლელი ცენტრების მასობრივად გასახსნელად.

პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობა. არჩევნებში მონაწილეობის ხარისხი საქართველოს შემთხვევაში ვერ გამოდგება ინტეგრაციის ინდიკატორად, რადგან წლების განმავლობაში არჩევნების გაყალბების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი სწორედ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში იყო. ასევე, წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურის გამო, ეროვნული უმცირესობები არჩევნებში მონაწილეობას სახელ-მწიფოსადმი ლოიალობის გამოხატულებად მიიჩნევენ. ამიტომაც მუდამ სახელისუფლებო პარტიას უჭერენ მხარს.

უფრო სანდო ინდიკატორია მათი წარმომადგენლობის დონე ხელისუფლების ორგანოებში, პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში. 1992 წლიდან მოყოლებული, ეროვნული უმცირესობები ყველაზე მცირე რაოდენობით 1992-95 წლების მოწვევის პარლამენტში იყვნენ წარმოდგენილნი. შემდგომში, 1995-99 და 1999-2004 წლების მოწვევის პარლამენტებში, მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. საყურადღებოა, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში პროპორციულ თუ მაჟორიტარულ არჩევ-ნებში ხელისუფლების მხარდაჭერით ხვდებოდა. ვარდების რევოლუციის შემდგომ არჩეულ პარლამენტში მათი რაოდენობა 9-მდე შემცირდა, რაც შესაძლოა პო-ლიტიკური კონკურენციის გამწვავებით აიხსნას, როდესაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პარტიულ სიებში ადგილის დათმობა დიდ ფუფუნებად იქცა.

ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატების რაოდენობის მიუხედავად, მათი საპარლამენტო მოღვაწეობის ხარისხი ძალზე დაბალია. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ისინი სრულყოფილად ვერ მონაწილეობენ საპარლამენტო ცხოვ-რებაში. მათ ყოფნას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უფრო ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს — აქაოდა ეროვნული უმცირესობებიც ჩართულნი არიან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიო.

დისპერსიული განსახლების ადგილებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეროვნული უმცირესობები თითქმის არ არიან წარმოდგენილნი. განსხვავებული მდგომარეობაა კომპაქტური დასახლების ადგილებში. მაგალითად, ჯავახეთში თანამდებობებზე ძირითადად სომხები არიან. თუმცა ქვემო ქართლში აზერბაიჯანელებს იშვიათად შეხვდებით მაღალ პოსტებზე, რაც აზერბაიჯანელების პოლიტიკური პასიურობითაც შეიძლება აიხსნას. აზერბაიჯანელებისაგან განსხვავებით, სომხები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურობითა და

უფრო მეტი ორგანიზებულობით გამოირჩევიან და შესაბამისად რეგიონის დონეზე როგორც არჩევითი, ისე დანიშვნითი თანამდებობები მათ უკავიათ.

დაბალია ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის დონე პოლიტიკური პარტიების, განსაკუთრებით ოპოზიციური პარტიების მუშაობაში. მაღალ პარტიულ თანამდებობებზე კი პრაქტიკულად ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილნი არ არიან.

ბოლო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურების მიუხედავად სამოქალაქო სექტორში მათი გავლენა ჯერ კიდევ სუსტია. არასამთავრობოების აქტიურობა უფრო ჯავახეთსა და ქვემო ქართლშია შესამჩნევი. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებში ენის, კულტურის, ტრადიციების შენარჩუნებას ემსახურება. ამ საქმიანობისათვის დაფინანსება ძირითადად მათი ისტორიული სამშობლოდან მოდის, სახელმწიფო თუ კერძო არხებით.

ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის დაბალი ხარისხი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რამდენიმე ფაქტორით შეიძლება ავხსნათ: სახელმწიფო ენის არცოდნით, რის გამოც მათთვის გართულებულია საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყება; ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური პასიურობით და სუსტი პოლიტიკური მობილიზაციით; პოსტსაბჭოურ პერიოდში ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ჩამოყალიბებული მანკიერი ტრადიციით, რაც არჩევნებში პროსახელისუფლო პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერაში გამოიხატება (ამ ფაქტორს ყველა ხელისუფლება აქტიურად იყენებდა, რამაც ამ ამომრჩეველთა პოლიტიკური გულგრილობის გაღვივებასაც შეუწყო ხელი); 1990-იანი წლების შემდეგ ეროვნულ უმცირესობათა წრიდან გამოსული პროფესიონალი კადრების ემიგრაციით.

ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა. ბიზნეს-ელიტაში ეროვნული უმცირესობები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ დიდი ბიზნესის წარმოებისათვის პოლიტიკური კავშირებია აუცილებელი, რასაც ისინი მოკლებულნი არიან. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, ძირითადად, წვრილ და საშუალო ბიზნესში არიან ჩართულნი. მაგალითად, მათ წამყვანი პოზიციები უკავიათ საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების საბითუმო ბაზრებზე.

შედარებით მსხვილ ბიზნესში ჩართულნი არიან ქვემო ქართლსა და ჯავახეთში მცხოვრები აზერბაიჯანელები და სომხები. მათი ბიზნესი 1990-იან წლებში ჩამოყალიბებულ კლანურ ურთიერთობებსა და აზერბაიჯანსა და სომხეთში არსებულ კავშირებს ეფუძნება.

წლების განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო კორუმპირებული საგზაო პოლიცია, რომელიც არაქართულენოვანი მოსახლეობისაგან, ეთნიკურ ქართველებთან შედარებით, უფრო მეტ არაფორმალურ გადასახადს კრეფდა. ამჟამად ამ ფაქტორის გავლენა შესუსტებულია. ჯავახეთის სომ-

ხებისათვის დღემდე დიდად ხელისშემშლელია ამორტიზებული გზები, რის გამოც საქართველოს სხვა რეგიონებში პროდუქციის გატანა ჭირს. სამცხე-ჯავახეთის დაახლოებით 245-კილომეტრიანი მთავარი გზის შეკეთება აშშ-ის მთავრობის სპეციალური პროგრამის ფარგლებში 2007 წელს დაიწყება, რისთვისაც 102,2 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯება. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ რეგიონსა და ცენტრს შორის ეკონომიკური ურთიერთობა უფრო ინტენსიური უნდა გახდეს.

ვარდების რევოლუციამდე კონტრაბანდული და ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა წლების განმავლობაში უზრუნველყოფდა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა ეკონომიკურ თვითკმარობას. ვარდების რევოლუციის შემდეგ განვითარებული პროცესების შედეგად კი მოსახლეობა ეკონომიკური პრობლემების წინაშე დადგა. ვარდების რევოლუციამდე აზერბაიჯანელთა ეკონომიკური საქმიანობა სახელმწიფო სტრუქტურებთან კორუფციულ გარიგებას ეფუძნებოდა. ხელისუფლების მხრიდან კონტრაბანდასთან გააქტიურებული ბრძოლის შედეგად ამჟამად საზღვარზე საქონლის მათთვის ხელსაყრელ ფასად შემოტანა გართულებულია.

კონტრაბანდული არხის ჩაკეტვამ ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა უმრავლესობა აღნიშნული შემოსავლის გარეშე დატოვა. დღეს ამგვარი ბიზნესით მხოლოდ ერთეულები არიან დაკავებულნი, წვრილ და საშუალო მოვაჭრეებს კი აღარ უღირთ მსგავსი საქმიანობის გაგრძელება. კონტრაბანდული საქონელით ვაჭრობისა და გადასახადების დამალვის ბრალდებით დაიხურა საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სადახლოს საბითუმო ბაზრობაც, სადაც არა მარტო აზერბაიჯანელები, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსული ადამიანებიც ვაჭრობდნენ.

«ტრადიციული» ეკონომიკური საქმიანობის შეფერხების გამო მოსახლეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სასოფლო-სამეურნეო მიწებმა, რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ ქვემო ქართლში როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური სახის პრობლემად გადაიქცა. 1990-იანი წლებში მიღებული კანონმდებლობის შესახე ამ რეგიონის მოსახლეობის უმეტესობის არაინფორმირებულობის შედეგად მიწის დიდი ნაწილი მსხვილმა მოიჯარეებმა ჩაიგდეს ხელთ, მოსახლეობის უმრავლესობა კი მიწის გარეშე დარჩა. ამიტომაც ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ მიწის ნაკვეთები მსხვილი მოიჯარეებისაგან რეალურზე გაცილებით მაღალ ფასად მიეღოთ. ამასთან რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს მრავალსულიანი აზერბაიჯანული ოჯახების მოთხოვნილებას.

მიწის განაწილების პროცესი, თავის მხრივ, პრობლემას ქმნის კანონთან მიმართებაში. 1990-იან წლებში სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ კანონის გამოცემის შემდეგ, კანონიერად თუ კორუფციული გარიგების შედეგად, ზოგიერთმა პირმა მრავალი ასეული ჰექტარი მიწა იჯარით აიღო. დღეს ამ მიწების მათთვის ჩამორთმევა მიწის უკანონოდ პრივატიზაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში თუ გახდება შესაძლებელი, ან მათ თავად უნდა გამოიჩინონ კეთილი ნება და დათმონ მითვისებული სავარგულები, რაც ნაკლებ მოსალოდნელია.

სამოქალაქო ინტეგრაციის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ასპექტები

სამართლებრივი კუთხით ადგილობრივი კანონმდებლობა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციები უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის, მათ შორის ეროვნული უმცირესობების, უფლებების დაცვას. ასევე, სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ 2005 წელს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩოკონვენციის რატიფიკაცია, რაც კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებას ითვალისწინებს. ამასთანავე, საერთაშორისო ვალდებულებების აღება სახელმწიფოს წინაშე ინსტიტუციონალური სახის პრობლემებსაც წარმოშობს.

კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისათვის სახელმწიფო ვალდებულია კონკრეტული პროგრამები განახორციელოს მათი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, რაც დაფინანსებასა და კვალიფიციურ კადრებს მოითხოვს.

ჩარჩოკონვენციის თანახმად სახელმწიფომ კომპაქტური დასახლების ადგილებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სასამართლოებთან ურთიერთობისას თარჯიმანით უნდა უზრუნველყოს. სახელმწიფომ, ასევე, რაც შეიძლება მოკლე დროში, სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამები უნდა შეიმუშავოს, რაც კვალიფიციური ორენოვანი (ქართულ/სომხური, ქართულ/აზერბაიჯანული) პედაგოგების მოზიდვას მოითხოვს.

ინტეგრაციას ხელს შეუწყობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალური პროგრამების განხორციელება. ამ მხრივ აღსანიშნავია ქუთაისში არსებულ საჯარო ადმინისტრირების ქართულ ინსტიტუტში სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების მიღება, რამაც საჯარო სამსახურაში მათი წრიდან კვალიფიციური კადრების მოხვედრა უნდა უზრუნველყოს.

ინტეგრაციის ეკონომიკური კომპონენტი ეროვნული უმცირესობების ეკონომიკურ მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნებოდა ქვემო ქართლისა და ჯავახეთის სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული მოსახლეობისათვის გარკვეული ვადით სახელმწიფო შესყიდვების პროგრამის შემუშავება. ამგვარი პროგრამის განხორციელება თავდაცვის სამინისტრომ უკვე დაიწყო ჯავახეთში. სახელმწიფოსა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის ორმხრივსასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს უმრავლესობისა და უმცირესობათა ეკონომიკურ ინტეგრაციას, მოხსნის იმ ფსიქოლოგიურ ბარიერს, რაც ქართულ სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის არსებობს.

ინტეგრაციის სფეროში არსებული სამართლებრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური სახის პრობლემების მონიტორინგისა და მათი გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობას. ინტერესთა ჯგუფების გრძელვადიანი და ეფექტური თანამშრომლობა კი, თავის მხრივ, ინტეგრაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფდა.

დასკვნა

ეროვნული უმცირესობების, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და ჯავახეთში კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელებისა და სომხების, სამოქალაქო ინტეგ-რაცია სახელმწიფოს განვითარებისათვის უდიდესი გამოწვევაა. კავკასიის რეგიონში, სადაც გაყინული კონფლიქტები და რეგიონული და არარეგიონული პოლიტიკური ჯგუფების დაპირისპირებაა, მიმდინარე პროცესებისაგან იზოლირებული ქვემო ქართლი და ჯავახეთი, შესაძლოა, არასტაბილურობის კერად გადაიქცეს. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქვემო ქართლსა და ჯავახეთში სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შემუშავება სახელმწიფო ენის შესწავლის, საზოგადოებრივ-პოლიტი-კური აქტიურობის გაზრდისა და ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის გათვალისწინებით. სამოქალაქო ინტეგრაციის არსებული პოლიტიკა გაცილებით ეფექტიანი და წარმატებული იქნება, თუკი სამთავრობო და არასამთავრობო დაინტერესებულ ჯგუფებს შორის მეტი კოორდინაცია იქნება და ისინი სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ერთიან თვალსაზრისს შეიმუშავებენ.

მამუკა კომახია

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ეთნო-კულტურული პროცესები საქართველოში

1 საბჭოთა კავშირში საყოველთაო აღწერა ჩატარდა 1926, 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლებში.

2 ცხრილში მონაცემები აფხაზებისა და ოსების შესახებ შესულია თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ტერიტორიების გამოკლებით.

ქართველები

1. *აბესაძე ნ.*, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, თბ., 1986.
2. *გარდაველიძე ვ.*, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, თბ., 1982.
3. *გრეგაძე ნ.*, საქართველო — მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ., 2004.
4. *გეზარაშვილი ც., ჯალაბაძე გ.*, ქართული ხალხური ტანსაცმელი, თბ., 1988.
5. *გექაია მ.*, ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები, თბ., 1988.
6. *გეგეშიძე მ.*, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956.
7. *აბდუშელიშვილი მ.*, მუსხელიშვილი დ., სურგულაძე ირ., ქართველები, ქსე, ტ. X, თბ., 1986.
8. *გიორგაძე გრ.*, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002.
9. *კუტალეიშვილი ზ.*, ნაოსნობა საქართველოსი, თბ., 1987.
10. *მეტრეველი რ.*, პატრიარქი, ერის სულიერი მამა, თბ., 2008.
11. *ჩიტაია გ.*, შრომები ხუთ ტომად, თბ., 1997-2002.
12. *ნადირაძე ე.*, ქართული ლუდი, კრ. «ეთნოლოგიური ძიებანი», თბ., 2007.
13. *ლორთქიფანიძე ო.*, ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972.
14. *ლორთქიფანიძე ო.*, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ. 2002.
15. Грузины, Народы мира, т. II, М. 1962.
16. *საქართველოს ისტორია*, I, თსუ გამომცემლობა, თბ., 2006.
17. *ფრუიძე ლ.*, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში, თბ., 1974.
18. *შამილაძე ვ.*, მესაქონლეობის კულტურულ-სამეურნეო და სოციალ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, თბ., 1979 (რუსულ ენაზე).
19. *ჩიტაია გ.*, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, შრომები, ტ. I, შემდგენელი რედაქტორი თ. ცაგარეიშვილი, თბ., 1997.
20. *ჩიტაია გ.*, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები, შრომები, ტ. II, შემდგენელი რედაქტორი თ. ცაგარეიშვილი, თბ., 2000.
21. *ცაგარეიშვილი თ.*, მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1987.

22. *ჯავახიშვილი ივ.*, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბ., 1986.
23. *ხარაძე რ.*, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939.

აფხაზები

1. *Коряков Ю.Б.* Атлас кавказских языков. Москва, 2006. С.24.
2. ეს რიცხვი მოიცავს როგორც საკუთრივ აფხაზებს, ასევე ჩრდილოკავკასიელი აბაზების შთამომავლებს, რომლებიც დიასპორაში ერთ ხალხად აღიქმებიან.
3. *Ломтатидзе К.В.* Абхазский язык // Языки народов СССР. Т. 4. Иберийско-кавказские языки. «Наука». Москва, 1967. С. 101.
4. *ჯანაშია ს.* ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. // *მისივე* შრომები, I. თბილისი, 1949. გვ. 68.
5. *Джанашиа* С. *Н.* [Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование «Абхазского царства»] // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია),№2, 1991. გვ. 39.
6. *Анчабадзе З.В.* Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976. С. 51-52.
7. *Анчабадзе З. В.* Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959. С. 108.
8. *გერძენიშვილი ნ.* აფხაზეთის შესახებ // *მისივე*, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III. თბილისი, 1966.
9. იხ. მაგალითად: *გიულდენშტედტის* მოგზაურობა საქართველოში. ტ. 2. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1964. გვ. 48; Новейшие географические и исторические известия о Кавказе, собранные и пополненные *Семеном Броневским.* Часть первая. Москва, 1823. С. 330.
10. *Дзидзария Г.А.* Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982. С. 373.
11. ამ მხრივ გამოსაყოფია რუსეთის ფედერაციის როლი, რომლის ჯარები, სამშვიდობო ძალების სტატუსით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონაში იმყოფებიან 1994 წლიდან. საქართველოში ამას ბევრი აღიქვამს, როგორც ფარულ ექსპანსიას.
12. *Мачавариани К.Д.* Абхазские вина // *Его же*, Очерки и рассказы (Из наблюдений разных годов). Батум, 1909. С. 116.
13. *Торнау Ф.Ф.* Воспоминания кавказского офицера. Москва, 2000. С. 85.
14. Статистический взгляд на Абхазию // «Тифлисские ведомости».№24, 25 и 26'1831. С. 324.
15. *Клапрот Генрих-Юлиус.* Путешествие по Кавказу и Грузии, предпринятое в 1807-1808 гг. //Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. / Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В.К.Гарданова. Нальчик, 1974. С. 266.
16. *ჟან ფრანსუა გამბა.* მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი, 1987, გვ. 89.
17. *Берадзе Т.Н.* Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тбилиси, 1989. С. 177.

18. Акты, собранные Кавказской Археографической комиссиею. Том IV. Тифлис,1870. С. 450.
19. როგორც ვხედავთ, სოციალური ტერმინების უმეტესობა აფხაზური წარმოშობისაა, ნაწილი კი (ათავად, აშნაყმა) — ქართული ენიდანაა ნასესხები. ეს ფაქტი აფხაზეთის ისტორიული განვითარების სპეციფიკაზე მიუთითებს.
20. *Инал-ипа Ш. Д.* Абхазы (историко-этнографические очерки). Сухуми, 1960. С. 334; *Инал-ипа Ш.Д.* Абхазы. В разделе: «Народы Грузинской ССР»/ /Народы Кавказа. II. Москва, 1962. С. 405.
21. *ვახუშტი ბატონიშვილი.* აღწერა სამეფოსა საქართველოსა // ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973, გვ. 786.

ოსები

1. *გვასალია ჯ.*, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები — შიდა ქართლი», თბ., 1983 .
2. *გვრიტიშვილი დ.*, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, «მიმომხილველი», I, თბ., 1949.
3. *ეზუხბაია ვ.*, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1928-1939 წწ.), თბ., 1973, გვ. 2.
4. *თოგოშვილი გ.*, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან — უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე, სტალინირი, 1958.
5. *თოგოშვილი გ.*, საქართველო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1969.
6. *თოფჩიშვილი რ.*, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნო-ისტორიის საკითხები, თბ., 1997.
7. *ითონიშვილი ვ.*, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969.
8. *ლომოური ნ.*, ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები, ჟურნ. «ცისკარი», N5, 1995.
9. ნართები. ცხინვალი, 1977.
10. *ნინიძე დ.*, სავახტანგო, გაზ. «ახალგაზრდა ივერიელი», N45, 20 აპრილი, 1991.
11. *ჩიქოვანი გ.*, ნიხასის როლი ოსთა საზოგადოებრივ ყოფაში ნართული ეპოსის მიხედვით. საისტორიო კრებული, IV, თბ., 1973 წ.
12. *ჩიქოვანი გ.*, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის საკითხისათვის, გაზ. «ახალგაზრდა ივერიელი», N17, 12 თებერვალი, 1991, გვ. 3.
13. *ჩიქოვანი გ.*, დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების ისტორიისათვის (იმერეთი), კრ. საქართველო Georgia, N2, თბ., 1998.
14. *ჩიქოვანი გ.*, დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების ისტორიისათვის (რაჭა), კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2003.
15. *ჩიქოვანი გ.*, დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლებისა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI, თბ., 2004.
16. *Абаев В. И.* Кавказский субстрат, ОЯФ, т. I, М.- Л., 1949.
17. *Абдушелишвили М. Г.* Генезис горнокавказских групп в свете данных антропологии, ПОН, Орджоникидзе, 1967.
18. *Алексеев В. П.* Антропологические данные к происхождению осетинского народа, ПОН, Орджоникидзе, 1967.

19. *Апхазава Н. И.* Культурно-этнические процессы в Северо-Западной части Шида Картли с древнейших времен до позднего средневековья, Сб. Осетинский вопрос, Тб., 1994.
20. *Ванеев.* К вопросу о времени заселения Юго-Осетии, Изв. Юго-осет. НИИ, в. III, Сталинир, 1936.
21. *Волкова Н. Г.* Этнический состав населения Северного Кавказа XVIII начале XX века, ч. 1974.
22. *Гаглоев З.Д.*, Осетинские фамилии, Цхинвал, 2002.
23. *Гаглоиты Ю. С.* Аланы и вопросы этногенеза осетин, Тб., 1966.
24. *Гаглоиты Ю. С.* Этногенез осетин по данным письменных источников, "ПОН, Орджоникидзе, 1967.
25. *Гакстгаузен.* Закавказский край, ч. II, СПБ, 1857.
26. *Гамрекели В.* Двалы и Двалетия, Тб., 1961.
27. *Дзаттиаты Г. Г.* Раннесредневековый могильник в селение Едыс (Южная Осетия), СА,№2, 1986.
28. *Джавахадзе Н.*, Система родства осетин, Тб., 1989.
29. *Джусойты Н.*, История Осетинской литературы, Тб., 1980.
30. *Думбадзе М., Ломидзе Б., Лорткипанидзе М.* К истории нагорной Картли в V-XVIII вв. კრებ. «საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში», თბ., 1983.
31. *Итонишвили В. И.*, Южная Осетия в центральной Грузии?!, сб. "Осетинский вопрос", Тб., 1994.
32. *Калоев Б. А.,* Осетины, М., 1967.
33. *Крупнов Е. И.*, Об этногенезе осетин и других народов Северного Кавказа, сб. Против вульгаризации марксизма в археологии, М., 1953.
34. *Крупнов Е. И.*, Проблема происхождения осетин по археологическим данным, ПОН, Орджоникидзе, 1967.
35. *Кузнецов В. А.*, Некоторые вопросы этногенеза осетин по данным средневековой археологии, ПОН, Орджоникидзе, 1967.
36. *Матарадзе Л. О.,* политике правовых аспектах грузино-осетинского конфликта и возможностях его мирного урегулирования, сб. Осетинский вопрос, Тб., 1994.
37. *Лавров Д.*, Заметки об Осетии и осетинах, сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. III, Тифлис, 1883.
38. *Нодия Г.*, Политческая смута и этнотерриториальные конфликты в Грузии. сб. Спорные границы на Кавказе, М., 1996.
39. *Лекишвили С.*, Когда возник термин "Южная Осетия", сб. Осетинский вопрос, Тб., 1994.
40. *Миллер В. Ф.*, Осетинские этюды, ч. 1-3, М., 1881-1887.
41. Очерки истории Юго-Осетинской автономной области, I, Тб., 1985.
42. *Смирнов А. П.*, Скифы, М., 1966.
43. *Тахъазты Х.*, Ирон Ёвзаг, Дзёуджыхъёу, 1991.
44. *Техов Б. В.*, Центральный Кавказ в XVI в до н. э., М., 1977.
45. *Харадзе К.*, Происхождение и развитие топонимов Шида Картли, сб. Осетинский вопрос, Тб., 1994.
46. *Чиковани Г.*, Осетинский ныхас, КЭС, V, 2, Тб., 1979.
47. Чындзёхсёвы ёмё зианы ёгъдёуттё, Дзёуджыхъау,1995.
48. История южных осетин, Цхинвал, 1990.
49. История Осетии, Владикавказ, 2000.
50. История Северной Осетии XX век, Москва, 2003.

ებრაელები

1. თბილისი, ენციკლოპედია, თბ., 2002.
2. Краткая еврейская энциклопедия, том 2, Иерусалим, 1982.
3. ქართული ენციკლოპედია, ტ. III, 1977.
4. *ჭიჭინაძე ზ.*, «ქართველი ებრაელები საქართველოში», თბ., 1990.
5. *მეტრეველი რ.*, «ებრაელები საქართველოში», თბ., 2002.
6. *მამისთვალიშვილი ე.*, «ქართველ ებრაელთა ისტორია», თბ., 1995.
7. *ციციაშვილი ა.*, «ებრაელები და საქართველო», თბ., 2003.
8. დანიელ ხანანაშვილის შესავალი წერილი წიგნისათვის, «საქართველოს რაბინები, რელიგია და ისტორია», ისრაელი, 2000.
9. *აჯიაშვილი ჯ.*, «გამოიღვიძე, ქნარო», თბ., 1992.
10. *იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ.*, «გვიხმობს მამული მამა-პაპათა», თბ., 1995.
11. *ბოსტანაშვილი შ.* , «საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნე», თბ., 1998.

სომხები

1. *აბდალაძე ალ.* ქართლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა უძველესი დროიდან XII ს-ის დასაწყისამდე, თბ., 1982.
2. *ანთაძე კ.*, საქართველოს მოსახლეობა XIX ს., თბ., 1973.
3. *ბაგრატიონი იოანე*, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.
4. *ბერიაშვილი ლ.*, მიწათმოქმედება მესხეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1973.
5. *ბერძენიშვილი დ.*, ახალქალაქი ჯავახეთისა, «არტანუჯი», 1998,№7.
6. *გუგუშვილი პ.*, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, თბ. 1949.
7. *გეგეშიძე მ.*, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ. 1961.
8. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1941.
9. *დავითაშვილი გ.*, საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ზოგიერთი თავისებურებანი, «ძეგლის მეგობარი», თბ., 1976.
10. *თოფჩიშვილი რ.*, სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა?, თბ., 2000.
11. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, რედაქტორი ლ. მელიქიშვილი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ., 1998.
12. *მაისურაძე გ.*, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVII საუკუნეებში, თბ., 1982.
13. *ლომსაძე შ.*, მესხები, II ახალციხური ქრონიკები, თბ., 1997.
14. *ლომსაძე შ.*, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1978.
15. *რობაქიძე ა.*, ქართველი ხალხის ტრადიციულ საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპი (საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობები), სიეა, თბ., 1986.

16. *სონღულაშვილი ა.*, ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში, თბ., 2002.
17. *სვანიძე მ.*, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI-XVII სს-ში, თბ., 1984.
18. *ფრონელი ა.*, დიდებული მესხეთი, თბ., 1991.
19. *ჩიქოვანი თ.*, ჯავახეთი, თბ., 1982.
20. *ჩიტაია გ.*, გლეხის სახლი ქვაბლიანში, «მიმომხილველი», I, 1920.
21. *ჩიქოვანი თ.*, ამერკავკასიის ხალხური საცხოვრებლის ისტორიიდან, თბ., 1967.
22. *ჩიქოვანი თ.*, ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი), თბ., 1960.
23. *ჩიქოვანი თ.*, ამიერკავკასიის ხალხური საცხოვრებლის ისტორიიდან, თბ., 1967.
24. *ჩიქოვანი ვ.*, კერა აჭარულ სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობებში, სასყკ, 1976,№4.
25. *ჭიჭინაძე ზ.*, სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები, მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თბ., 1912.
26. *ჯავახიშვილი ი.*, საქართველოს საზღვრები, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989.
27. ივ. ჯავახიშვილის არქივიდან. გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1988,№ 39.
28. *ჯანიაშვილი ლ.*, სამცხე-ჯავახეთის ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციის ისტორიულ-პოლიტიკური და ეთნოლოგიური ასპექტები XIX საუკუნეში, «ანალები»,№1, თბ., 2003.
29. *ჯანიაშვილი ლ.*, ეთნიკური პროცესები სამცხე-ჯავახეთში. «პოლიტიკა», 1997,№1-2.
30. *ჯანიაშვილი ლ.*, სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ყოფა და კულტურა (დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თბ., 1999.
31. *ჯანიაშვილი ლ.*, სამცხე-ჯავახეთის ექსპედიციის დღიურები, 1995,№3.
32. *ჯაოშვილი ვ.*, საქართველოს მოსახლეობა XVII-XX სს., თბ., 1984.
33. *ჯალაბაძე გ.*, მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ.. 1972.
34. *Агаян Ц.,* Вековая дружба народов Закавказья, Ереван, 1970.
35. *Бакрадзе Д.*, Исторический очерк Турецкой системи землевладения. Приложение к протоколу Кавказского юридического общества, Тфл.,1889,№9.
36. *Бонч-Буревич В.Д.*, О религии, религиозном сектанстве и церкви. Иззбранние сочинения, т.1, М., 1959.
37. *Вермишев Х.А.*, Экономический быт государственных крестянь в Ахалцихском и Ахалкалакских уездах, Тифлиской губернии. МИЭБГКЗ, т. 5, Ч. II, Тфл., 1886.
38. Грузино-армянские культурные взаимосвязи, Тфл., 1991.
39. *Джавахов И.*, Государственный строй древней Грузии и древней Армении. //Известия КИАИ, т. 3, Ереван,1925.
40. *Мурадян М.*, Армянская эриграфика Грузии (Картли и Кахети), Ереван, 1985.
41. Загурский Л. П., Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., Тфл., 1873.
42. *Иоанисян А.*, Россия и Армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947.
43. *Карапетян Э.Т.*, Армянская семейная община, Ереван, 1958.

44. Культура жизнеобеспечения и этнос, Ереван, 1983.
45. *Кучаев М. Н.*, Акчевое и тапное земледелие в Ахалцихском уезде. СМЭБГКЗ, т.5. Ч-II. Тфл., 1888.
46. *Лисициан С.*, Из материалов по изучению жилищъ Армении, Известия КИА, т.4, Ереван, 1927.
47. *Лисициан С.*, К изучению Армянского крестьянского жилища (Карабахский карадам), Известия КИАИ, т.3, Ереван, 1925.
48. *Марутян А.Т.* Интерьер армянского народного жилища (вторая половина XIX- начало XX в.), Армянская этнография и фольклор,№ 17, 1989. Ереван.
49. *Меликсед-Беков Л. А.*, О необходимости сравнителъного изучения крестянских жилишъ армян и грузин. //Известия КИАИ, т.3, Ереван, 1925.
50. *Пантюхов И.И.*, О пешерных и позднейшихъ жилищахъ на Кавказе, Тфл., 1896.
51. Dubois de Montpereux, Frederic, voyage autour du Kaucase chez les therkesses et les abkases, en Kolchide, en Georgie, en Armenie et en Crime. Paris 1839.
52. *გუგუშვილი თ.*, საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები, 1998.
53. *ნოზაძე ვ.*, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, 1989.
54. *კომახია მ.*, საქართველოს სომხური მოსახლეობა, ტომი 1,№1, 2004, საქართველოს გაეროს ასოციაცია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი.
55. *ნოდია გ.* (რედ.), ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში: აზერბაიჯანელები, ჯავახეთის სომხები და მუსულმანი მესხები. თბ., მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.
56. *Вартанян О.,* Сми Джавахети, Бюллетень Центра экстремальной журналистики, [http://www.cjes.ru/bulletin/?bulletin—id=2314], 17 მაისი, 2007.
57. *Нодия Г.*, Одно общество, много Этносов – Этническое многообразие и гражданская интеграция в Грузии, Тб., Кавказский институт мира, демократии и развития, 2003.

აზერბაიჯანელები

1. *ანთაძე კ.*, საქართველოს მოსახლეობა XIX ს., თბ., 1973.
2. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (კაცთათვის), ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1972.
3. *ბერძენიშვილი ნ.*, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნაწილი I (ბატონყმური ურთიერთობები), თბ., 1953.
4. *ბერძენიშვილი ნ.*, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ. 1975.
5. *ბოჭორიშვილი ლ.*, ალგეთის ხეობის ძველი მოსახლეობა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (მასალა შეკრებილია 1948-49 წ.), თბ., 1956.
6. ბორჩალოს მაზრა, «ივერია», 1890.
7. *გაბაშვილი ვ.*, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1949.
8. *გამრეკელი ვ., ცქიტიშვილი ზ.*, 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, «მაცნე»,№1, 1973.
9. *გიულდენშტედტი*, მოგზაურობა საქართველოში, ქართული თარგმანითა და გამოკვლევებით, გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I თბ., 1962.

10. *გიულდენშტედტი*, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ, გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1962.
11. *კალაკატუაცი მ.*, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1983.
12. *ლორთქიფანიძე ი.*, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწილი III-IV, თბ., 1938.
13. ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწილი I-II, თბ., 1935.
14. ლორთქიფანიძე მ., თურქ-სელჩუკების განდევნა, საქართველოს საზღვრების გაფართოება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ. 1979.
15. მდივან-ბეგ ხერხეულიძე ომან, მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა, ზ.
16. *მელიქიშვილი გ.*, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის საკითხები, თბ., 1965.
17. *მემმედლი შ.*, საქართველოს აზერბაიჯანელთა ლიტერატურული ტრადიციები, თბ., 2001.
18. *ორბელიანი პაპუნა*, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებელი დაურთო ს. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.
19. *სონღულაშვილი ა.*, ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში, თბ., 2002.
20. სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ XVIII ს. (აღწერა მოწინავე დროშის საბარათაშვილოს და სომხითის, შედგენილი ბატონიშვილის ვახუშტის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წ.), გამომცემელი ე. თაყაიშვილი, ტფ., 1907.
21. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1957.
22. *ფუთურიძე ვ.*., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955.
23. *ბერი ეგნატაშვილი*, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
24. *შენგელია ნ.*, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968.
25. *ჭიჭინაძე ზ.*, სამხრეთ საქართველო (სომხითი), გეოგრაფიულ-სატატისტიკური წერილი, თბ., 1901.
26. *ჭიჭინაძე ზ.*, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913.
27. *ჯაოშვილი ვ.*, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში, თბ.,1984.
28. დედე ქორქუთის წიგნი, ოღუზურიდან თარგმნეს და კომენტარები დაურთეს ე. ჯაველიძემ და გ. შაყულიშვილმა. თბ., 1987.
29. *ჯაფარიძე გ.*, ჰაჯი, «კავკასიონი», 1995,№5.
30. *ჯუკაშვილი ი.*, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ყოფა და კულტურა (ხელნაწერი).
31. *ჯუკაშვილი ი.*, საველე-ეთნოგრაფიული დღიური (თბილისი-მარნეული), 1995.
32. Азербайджанские сказки, Баку, 1987.
33. *Аргутински-Долгорук А.М.*, Борчалинскій уезд Тифлиской губерніи в экономическомъ и комерческомъ отнашеніах изследованіе А.М Аргутинскаго-Долгорукова. Район Тифлиско-Карско-Эриванской железной дороги (в экономическомъ и комерческомъ отнашеніах), Тфл. 1897.
34. *Аляров С.*, Об этногенезе Азербайджанского народа, Баку, 1984.
35. *Баирам-Алибеков Т.*, Изъ космогеническихъ поверии Талишинцев Ленкоранскаго уъезда // СМОМПК. Тиф., 1893.- Вып.17.

36. *Бартольд В.В.*, К вопросу о погребальных обрядах турков и монголов. // Соч. - М., 1964.- Т. 4
37. *Васильев А.М.*, История Саудовской Аравии, М., 1982.
38. *Гейбулаев Г. А.*, К этногенезу Азербайджанцев (по данним топонимии), К проблеме этногенеза Азербайджанского народа, Баку 1984.
39. *Геибулаев Г. А.*, Кипчакские Этнотопонимы в Азербайджане, АЭС№5, Баку,1976, С. 88.
40. *Петрушевски*, Очерки по истории феодальных отношении в Азербайджане и Армении в XVI начале XIX вв. Ленинград, 1949.
41. *Грюнбаум Г.Э.*, Классический ислам, М.,1988.
42. *Ефендіевъ*, Из поверий Татар Шемахинского уъезда. // СМОМПК, Вып.17, Тиф., 1893.
43. *Ибрагимов Джафар*, Феодальние государства на територии Азербайджана XV века, Баку, 1967.
44. Коран, Перевод И.Ю. Крачковского, М., 1990.
45. *Меликишвили Г.*, К истории древней Грузии, Тб. 1959.
46. *Мучаев Р. М.*, Древнейшая культура северо-восточного Кавказа. М., 1961.
47. *Мусхелишвили Д. Л.*, Из исторической географии восточной Грузии (Шек и Гогарена), Тб.,1982.
48. Сборник матеріаловъ для описанія Тифлиской губернии, под редакціею К. А. Зисермана, Ч. I. Тифлис 1870.
49. Сборник статистическихъ сведенъй в Тифлиской Губернии. Издание Тифлиского Губернского статистического Комитета. Тиф., 1903.
50. *გაბაშვილი მ., ა. აბულაძე, სახელმწიფო ენისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის სრულყოფა საქართველოში*, კვლევა მომზადებულია საჯარო პოლიტიკის ცოდნის ქსელის პროგრამის ფარგლებში, 2005.
51. *კომახია მ., ქვემო ქართლი: სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება*, კვლევა მომზადებულია საჯარო პოლიტიკის ცოდნის ქსელის პროგრამის ფარგლებში, 2006.
52. *კომახია მ., საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა*, ტომი 1,№2, საქართველოს გაეროს ასოციაცია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 2003.
53. *ნოდია გ.*, (რედ.), ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში: აზერბაიჯანელები, ჯავახეთის სომხები და მუსულმანი მესხები. თბილისი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002.
54. *ჯაოშვილი ვ.*, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბილისი, 1984.
55. საქართველოს რეგიონული მედია-რუკა, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი/ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი, თბილისი, 2005.
56. ტრენინგებისა და კონსულტაციის ცენტრი, განათლების სისტემის როლი ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციაში: სამოქალაქო და სახელმწიფო სექტორებში მოქმედი დაინტერესებული პირების ხედვა (კონფერენციის მასალები, მარნეული, 2-3 აპრილი, 2005), 2005.
57. *Wheatley, J., Obstacles Impeding the Regional Integration of the Kvemo Kartli Region of Georgia*. ECMI Working Paper #23. European Center for Minority Issues, February, 2005.
58. *Комахиа М.*, Азербайджанцы Грузии: проблемы гражданской интеграции, Центральная Азия и Кавказ,№5 (35), 2004.

59. *Нодия Г.*, Одно общество, много Этносов – Этническое многообразие и гражданская интеграция в Грузи., Тбилиси, Кавказский институт мира, демократии и развития, 2003.
60. გაზეთები: ერი, დილის გაზეთი, 24 საათი, რეზონანსი, Зеркало, Эхо,

ბერძნები

1. *გაჩეჩილაძე რ.*, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბ., 1997.
2. *კომახია მ.*, საქართველოს ბერძნული მოსახლეობა, ტომი 1 —№2, 2003, საქართველოს გაეროს ასოციაცია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი.
3. ბერძნები საქართველოში, თბ., 2000.
4. *Комахия М.*, Греки Грузии: миграция и социально-экономические проблемы, “Центральная Азия и Кавказ”,№6 (42), 2005.
5. გაზეთები: «რეზონანსი», «მთავარი გაზეთი», «24 საათი», «ახალი ვერსია», “Элиники Диаспора”, “Батуми”, “Панорама”, “Кавказский Акцент”, “Многонациональная Грузия”.

1 ყაუხჩიშვილი ს., საქართველოში ბერძენთა დასახლების ისტორია, ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ქუთაისი 1946, ტ. IV, გვ. 221.
2 ЦГИАГ, ფ. 2, საქმე. 10766.
3 *Пашаева Л. Б.*, Этнические процессы, ИС (Исторический сборник), II, Тбилиси, 1971, с. 88.
4 *ჩიტაია გ.*, ლაზური ორნამენტი, «ძეგლის მეგობარი», 1967,№12, გვ. 73.
5 *ჩიქოვანი თ.*, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბილისი, 1960, გვ. 60.
6 *ბოჭორიშვილი ლ.*, წალკელი ქალის თავსაბურავი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1956, გვ. 127-147.
7 *Такаишвили Е.*, Археологические экскурсии разыскания и заметки. Тиф. губерния, Борчалинский уезд, Триалетинское приставство,СМОМПК, Тифлис, 1913, с. 3.

ქურთები

1. *კომახია მ.*, საქართველოს ქურთული მოსახლეობა, ტომი 1 —№3, 2004, საქართველოს გაეროს ასოციაცია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი.
2. *ჯაოშვილი ვ.*, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბილისი, 1984.
3. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. I. თბილისი, 2003.
4. *Комахиа М.*, Курды-езиды Грузии: Вопросы этнического самосознания и консолидации, Центральная Азия и Кавказ,№2 (38), 2005.
5. *Пир Д.*, На пути к истине, Езидизм, Тбилиси, 2003.

6. ჟურნალ-გაზეთები: «რეზონანსი», “Новый Взгляд”, “Свободная Грузия”, “Многонациональная Грузия”, “АЗИЯ и АФРИКА”, “Сегодня”, “Kaniya Sipî”.

1 ყველა ქვეყნიდან, სადაც ქურთები ცხოვრობენ, მხოლოდ ირანში იყო ოფიციალურად გამოკრული აბრა — “ostan kurTistan” (ქურთების ქვეყანა), რაც პირადად ნახა ავტორმა 1991 წელს; ამჟამად ასეთი დასახელება ერაყშიც არის.

2 *ლომსაძე შ.*, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975, გვ. 336; Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Тифлис, 1873, 130: с. 48.

3 *Загурский Л.*, Календарь на 1901 год. Тифлис, 1900, стр. 50-51.

4 Kurdo-Qanat. Dimilkî (Zazakî) ya Batûmî. Hevi. Kovaraçandiya Giɛto, Paris, 1986, p. 85.

5 *ამინე ა.*, ამიერკავკასიის ქურთების ყოფა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა), ერევანი, 1957, გვ. 218 (სომხურ ენაზე).

6 *Шпажников Г. А.*, Религии стран Западной Азии, М., 1976, с. 149.

7 *Джалил Д.*, Курды Османской империи в первой половине XX века, М., 1973, с. 29, Лазарев М. С., Курд ский вопрос 1891-1917, М., 1972, с. 35.

8 *ფაშაევა ლ.*, ქურთების დასახლება საქართველოში. «ქართული ეთნოგრაფიის მასალები», მიძღვნილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის თინათინ ოჩიაურის 80 წლისადმი, XXVI, თბილისი, 2004, გვ. 91-94.

9 *სახოკია თ.*, მოგზაურობა, თბილისი, 1950, გვ. 213-214.

10 *Пашаева Л. Б.*, Религиозно-кастовые запреты у курдов-езидов в прошлом. Тбилиси, 1988, КЭС, с. 115-156.

11 *Пашаева Л.*, Курды Закавказья, их посты и праздники. Археология, этнология и фольклористика Кавказа. Материалы международной конференции, Ереван, 17-18 ноября, 2003 г., с. 274-276. Первопристольный Эчмиадзин, 2003, с. 23.

12 *ფირი დ.*, აღნიშნული ნაშრომი, გვ. 23-24.

13 *Джафаров М. У.*, Ностальгия, Тбилиси, 2004 г., с. 293.

14 იქვე, გვ. 295.

15 *ფაშაევა ლ.*, «ქართული ეთნოგრაფიის მასალები», ვ. ბარდაველიძის 100 წლისადმი მიძღვნილი კრებული, XXV, თბილისი, 2005, გვ. 252-255; «კავკასიის ეთნოლოგიის კრებული», IX, მიძღვნილი რ. ხარაძის ხსოვნისადმი, თბილისი, 2005, გვ. 178-181; «კავკასიის ეთნოლოგიის კრებული», მიძღვნილი ა. რობაქიძის ხსოვნისადმი, თბილისი, 2003, გვ. 191-198.

ავარიელები და სხვა დაღესტნელი ხალხები

1. *გუგუშვილი თ.* საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები (1990-1998 წლები), თბილისი, 1998.
2. *სანიკიძე გ.*, ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 1999.
3. *სონღულაშვილი ა.* ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში, თბილისი, 2002.
4. *ხუციშვილი ნ.*, დაღესტანი, «კავკასიური სახლი», თბილისი, 2002.
5. Народы Дагестана, Издательство Академии Наук СССР, Москва, 1995.

6. *Bobrovnikov V. Muslim Nationalism in the Post-Soviet Caucasus: The Dagestan Case*, Caucasian Regional Studies, Volume 4, Issue 1, 1999.
7. Khabal.info, 10 May 2007.
8. http://www.dagpravda.ru
9. http://www.kavkaz.memo.ru
10. *ბერძენიშვილი ნ.*, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.
11. *ომარაშვილი ნ.*, ქართულ-დაღესტნურ ტრადიციულ და თანამედროვე ურთიერთობათა შესწავლისათვის. კრებ. საქართველო — ევროპა-ამერიკა. თბ., 1997.
12. *Омарашвили Н.*, Быт и Культура Аварцев проживающих в Грузии (в Кахети). Ав-тореферат. Тб., 1990.

ვაინახები

1. *მარგოშვილი ლ.*, პანკისის ხეობა. თბ., 2002.
2. პანკისის კრიზისი. თბ., 2002.
3. *ხანგოშვილი ხ.*, ქისტები. თბ., 2005.
4. *მამისიმედიშვილი ხ.*, ვაინახები და ქართველი მთიელები. თბ., 1997.
5. *ჯალაბაძე ნ.*, ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა, ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში. თბ., 2006 წ.
6. *მთივლიშვილი გ.*, სტატუსდაკარგული ჩეჩენი ლტოლვილები
7. *გულუა ე.*, ახალი კანონი ლტოლვილებისათვის
8. http://72.167.26.199/index.php?a=article&id=815&lang=ge
9. http://72.167.26.199/index.php?a=article&id=658&lang=ge

ასურელები

1. *წერეთელი კ.*, სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, თბ., 2000.
2. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი I, თბ., 2003.
3. *Kokoev K.*, *Svanidze G.*, Melikishvili L., Interview with Mr. Genadi Ivanov, one of the Heads of the International Assyrian Congress in Georgia, National Minorities in Georgia, 1999, Tbilisi.
4. *Benny Fr.*, *Yadgar B.*, Caucasus, Georgia, Tbilisi - Brief History of Mision, Detroit, 2002.
5. The Assyrian-Georgian Relief Fund, 1998 Annual Report.
6. *Комахия М.*, Ассирийцы Грузии: Проблемы Сохранения Самобытности, Центральная Азия и Кавказ,№3 (45), 2006.

უდიები

1. *კალანკატუაცი მ.*, ალვანთა ქვეყნის ისტორია, თბ, 1985.
2. *სტრაბონი*, გეოგრაფია, თბ., 1957.
3. *მოვსეს ხორენაცი*, სომხეთის ისტორია, თბ., 1984;

4. *ჰეროდოტე*, ისტორია, თ. I-II, 1976.
5. *ბეჟანიშვილი გ.*, საქორწინო კავშირის დამყარებისათვის სავალდებულო წინაპირობები უდიებში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XI, თბ., 1960.
6. *ბეჟანიშვილი გ.*, უდიური ეთნოგრაფიულო მასალები, 1956 წ. ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში,№25.
7. *ედილი ზ.*, ალბანელთა კვალი საინგილოში,№19, 1908/XII.
8. *ნეშუმაშვილი მ.*, ისტორია და უფლის ღიმილი, 1997.
9. თ. შარაბიძე, ვინ არიან უდიები?! კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, V, თბ., 2003.
10. *ჯეირანაშვილი ე.*, უდიური ენა, თბ., 1971.
11. *Абас-Кули (Бакиханов)*, Происхождение племен, населяющих нынешние Закавказские провинции, газ. «Кавказ», 1848,№ 1.
12. *უდიური ენა*, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10. თბ., 1986, გვ. 102.
13. საფრთხეში მყოფი კავკასიური ენები საქართველოში, [http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ecling/ecling03.htm#descr].
14. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.
15. *Удины*, Советский Энциклопедический Словарь. М., 1980, с. 1386.
16. *Волкова Н. Г.*, Удины Грузии, Полевые Исследования Института Этнографии, 1975, Издательство “НАУКА”ю М., 1977, с. 110-116.
17. *Григорян М.*, *Удины стоят на пороге самоуничтожения*, Голос Армении,14.05.2005.
18. *Кузнецов И.*, *Удины*, 2003, Библиотека “Вехи”, [http://www.vehi.net/istoriya/Armenia/kagantv/udiny.html].
19. *Мамедов А.*, *Некоторые аспекты современной этнической ситуации в Азербайджане*, Центральная Азия и Кавказ,№6, 1999. [http://www.ca-c.org/journal/cac-06-1999/mamedov.shtml]
20. *John M. Clifton*, Deborah A. Clifton, Peter Kirk, and Roar Ljÿkjell, *The Sociolinguistic Situation of the Udi in Azerbaijan*, SIL International, 2005.
21. *Wolfgang Sch.*, *The cognitive dimension of clausal organization in Udi*, 2000.
22. Agency France Press, *Christian minority in Azerbaijan gets rid of Armenian eye sore*, February 17, 2005.

რუსები

1. *ზურაბაშვილი ლ.*, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში. თბ., 1989.
2. *მელიქსეთ-ბეგი ლ.*, რუსების ახალშენები საქართველოში (რევოლუციამდელი პერიოდი), ნაბეჭდი ვერსია
3. *სონღულაშვილი ა.*, ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში. თბ., 2002.
4. *სონღულაშვილი ა.*, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში. თბ., 2005.
5. *ჯაოშვილი ვ.*, საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996.
6. საქართველოს მოსახლეობის აღწერის ძირითადი შედეგები, ტ. I-II. თბ., 2002.

7. *К. Капанадзе*, История русского населения в Грузии, жур. “Клио”, 2000, сс.184-193;
8. *გაჩეჩილაძე რ.*, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბ., 1997.
9. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, *საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.*
10. *Rekhviashvili J.*, *Georgia: Ethnic Russians Feel Insulted From Tensions*, RFE/RL, 11 October, 2006.
11. *Vartanian O.*, Land Reform may be the last straw for Georgia’s Dukhobor community, IWPR‘s Caucasus reporting service, 20 September 06.
12. *Grigorian M.*, Last Days of the Georgian Dukhobors, IWPR‘s Caucasus reporting service, No. 254, 23 September, 2004.
13. *PeuchJean-Ch*, Southern Caucasus: Facing Integration Problems, Ethnic Russians Long for Better Life, RFE/RL, 21 August, 2003.
14. Русскоязычным жителям СНГ предложили вернуться на Родину, Независимая газета, 25.12.2006. [http://www.ng.ru/courier/2006-12-25/12—narodinu.html]
15. *Комахиа М.*, Славянское население Грузии, “Центральная Азия и Кавказ”,№4 (52), 2007.
16. *Мамедов С.*, Юрий Симонян, Анатолий Гордиенко, Невоенное российское присуствие на Южном Кавказе, “Независимая газета”, 25.12.2006. [http://www.ng.ru/courier/2006-12-25/12—kavkaz.html]
17. *Таратута Ю.*, Александра Конфисахор, Роман Перл, Всемирный конгресс соотечественников получил господдержку, “Коммерсант”,№200 (№3531), 25.10.2006. [http://www.kommersant.ru/doc.html?docId=716076]
18. [http://www.russianclub.ge/]

უკრაინელები

1. *Михаил Б.*, (председатель Координационной Рады украинцев), Конференция: История и Реаллии Этнических Общин Грузии (9.11.2001), 2003.
2. საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაცია, თბილისი, 2006.
3. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.
4. *Theodora Turula*, Our Diaspora: A visit with the Ukrainian community in Tbilisi, The Ukrainian Weekly, July 28, 2002, No.30, Vol. LXX.

პოლონელები

1. *გრიშიკაშვილი ა.*, ქართველები პოლონეთში. თბ., 2006.
2. *სონღულაშვილი ა.*, ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში. თბ., 2002.
3. *Кавказская Полония.* Журнал Польского Образовательного Центра,№ 1-23. Тбилиси.
4. *კოზლოვსკი ნ.*, მადლიერების გრძნობით. გაზ. «ოქროს უბანი», 1999.

5.http://cejsh.icm.edu.pl/cejsh/cgi-bin/getdoc.cgi?04PLAAAA0011282 Wozniak A. Polish Ethnographic Research in Georgia in the Second half of the 19th Century and the Beginnning of the 20th.

ჩეხები

1. *Шмальцель. Чешское Г.*, Землячество в Грузии "Злата Прага". Сборник статьей. Тбилиси, 2006.

გერმანელები

1. *ბურჭულაძე გ.*, გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში, თბ., 1911.
2. *მანჯგალაძე გ.*, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974.
3. *მანჯგალაძე გ.*, გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში, თბ., 1991.
4. *სონღულაშვილი ა.*, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
5. *ლ. ბრეგაძე*, არტურ ლაისტის გაზეთი და საქართველო, «კრიტიკა», N3, 1975; წიგნში: «პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს», თბ., 1982.
6. *Басихин П.*, Немецкие колонии на Кавказе, "Кавказский вестник", 1900;№1.
7. *Никифоров Н.*, Экономический быт немецких колонистов в Закавказском крае. "Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края", т. I, 1885.
8. *მანჯგალაძე გ.*, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974.
9. *სონღულაშვილი ა.*, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
10. *სონღულაშვილი ა.*, ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში, თბ., 2002.
11. *ბრეგაძე ლ.*, არტურ ლაისტის გაზეთი და საქართველო. წიგნში: პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს, თბ., 1982
12. *შპრინგჰორნი დ.*, გერმანელები საქართველოში. თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, 2004.
13. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის შედეგები.
14. *Аугст Г.*, (президент Ассоциации немцев Грузии "Айнунг"), Конференция: История и Реалии Этнических Общин Грузии (9.11.2001). 2003.
15. *O'Flynn K.*, Ethnic Germans Cut Adrift in Abkhazia, The Moscow Times, February 22, 2007, [http://www.themoscowtimes.com/stories/2007/02/22/003.html

ლატვიელები

1. ქსე, 6, თბ., 1983 წ., 135.
2. *Якобидзе Р.*, Сборник докладов конференции: История реалии этнических общин Грузии, Тб., 2003 г. 5 марта, 46-48.

ლიტველები

1. ქსე, 6, თბ., 1983, 259.
2. *Джикия И.*, Сборник докладов конференции. История и реалии этнических общин Грузии, Тб., 2003 г. 5 марта, 28-29.
3. *ჩიქოვანი გ.*, ლიტველებისგან ჩაწერილი ინფორმაცია.

ესტონელები

1. ქსე, 4, თბ., 1979.
2. *ჯაოშვილი ვ.*, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984.
3. Сборник докладов конференции "История и реалии этнических общин Грузии" 2003 г. 5 марта;
4. *ჩიქოვანი გ.*, ინფორმაციები ჩაწერილი თბილისში მცხოვრები ესტონელებისაგან.

ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში

1. *გაგაშვილი მ., აბულაძე ა.*, სახელმწიფო ენისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის სრულყოფა საქართველოში. მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის «საჯარო პოლიტიკის ცოდნის ქსელის» პროგრამის ფარგლებში. ხელნაწერი. 2005.
2. *სტეფანიანი ა.*, ეთნიკურ უმცირესობათა ურთიერთობები და მათი მდგომარეობა საქართველოში, წიგნში: დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში, ადამიანის უფლებები საქართველოში, სადისკუსიო მასალა№6, 2003.
3. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი I. თბილისი, 2003.
4. *კომახია მ.*, სომხური მოსახლეობა საქართველოში, (კვლევა მომზადებულია საქართველოს გაეროს ასოციაციისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროექტის ფარგლებში), ტომი I, N1, 2003.
5. *კომახია მ.*, აზერბაიჯანული მოსახლეობა საქართველოში, (კვლევა მომზადებულია საქართველოს გაეროს ასოციაციისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროექტის ფარგლებში), ტომი I, N2, 2003.
6. ეთნიკური-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, (აზერბაიჯანელები, ჯავახეთის სომხები და მუსულმანი მესხები) — გია ნოდიას საერთო რედაქციით, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. თბილისი, 2002.
7. *გაჩეჩილაძე რ.*, მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალური-ეკონომიკური შედეგები, სადისკუსიო წერილების სერია, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა-საქართველო. თბილისი, 1997.

8. *Комахия М.*, Азербайджанцы Грузии: проблемы гражданской интеграции, Центральная Азия и Кавказ,№5(35), 2004.
9. *Сванидзе Г., Сванидзе Д.*, Эмиграция из Грузии и ее причины, в книге: Миграция на Кавказе, Материалы конференции, Кавказский институт СМИ. Ереван, 2003.
10. Одно общество, много этносов: Этническое многообразие и гражданская интеграция в Грузии – Гиа Нодиа (ред.), Кавказский институт мира, демократии и развития. Тбилиси, 2003.